საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ალექსანდრე აბდალაძე

ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX—XI საუკუნეებში

„მეცნიერება"
თბილისი
1988

63.3(247)
ბ 143

ალ. ბბდალაძის წინამდებარე ნაშრომი ეხება ქართული, სომხური და „ალვანური" პოლიტიკური ერთეულების გაცხოველებულ ურთიერთობას IX—XI საუკუნეებში. ამ პერიოდში მკაფიოდ გამოიკვეთა მთელი ამიერკავკასიის (უფრო მეტიც — მთელი კავკასიის), პოლიტიკური გაერთიანების ტენდენცია, საბოლოოდ საქართველოს მეთაურობით დიდი წარმატებით რომ განხორციელდა XII საუკუნეში.

ნაშრომი დაინტერესებს სპეციალისტებს და მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი გ. პ ა ი ჭ ა ძ ე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
რეცენზენტები: ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
კ. კ უ ც ი ა — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ბ $\frac{0503020000}{М\ 607\ (06)-88}$ 152—88

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1988.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

როგორც ცნობილია, XI ს-ის სახელგანთქმული ქართველი მეისტორიე და მოღვაწე, რუისის არქიეპისკოპოსი ლეონტი მროველი (და მისი თანამოაზრეებიც) კავკასიის ადგილობრივ ხალხებს: ქართველებს, სომხებს, ალვანელებს, ლეკებსა და სხვებს ერთი, საერთო წარმომავლობისად მიიჩნევდა[1]. წანამძღვარი, რომელსაც ლეონტი მროველი ემყარებოდა (იმდროინდელ, საქრისტიანო მწერლობაში გავრცელებული შეხედულებით ხომ ესა თუ ის ხალხი, უფრო სწორად, ხალხთა გარკვეული ჯგუფი, ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟის — სემის, ქამის ან იაფეტის ნაშიერს წარმოადგენდა), რაღა თქმა უნდა, თანამედროვე მეცნიერულ კრიტიკას ვერ გაუძლებს. მაგრამ საყურადღებო ის გახლავთ, რომ ქართველმა მემატიანემ მაინცდამაინც კავკასიის ადგილობრივი, ძირძველი ხალხები გამოყო ცალკე ჯგუფად და მათი საერთო წარმოშობა იქადაგა.

უდავოა, რომ ლეონტი მროველი და მისი თანამოაზრენი, კერძოდ, ლეონტის მფარველი და დამსაქმებელი საქართველოს სამეფო კარი (სახელდობრ, მისი უშუალო მეურვე მარიამ დედოფალი უნდა იყოს) ამგვარი კონცეფციის შექმნით მიზნად ისახავდნენ კავკასიის ხალხთა დარაზმვას უცხოელ დამპყრობთა, საერთო მტრის წინააღმდეგ,

---

1 ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 3—4. ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთასთვის" დამახასიათებელი ე. წ. „არმენოფილური" ტენდენციის შესახებ იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, „ქართლის ცხოვრება" და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბ., 1982; იქვე მითითებული და განხილული სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაც. ამ საკითხზე მოკლედ წინამდებარე ნაშრომშიც ვისაუბრებთ თავის ადგილზე. აღსანიშნავია, რომ ახლახან გამოქვეყნებულ „ქართლის ცხოვრების" გ. პეჩისეულ გერმანულ თარგმანში (დართულ წინასიტყვაობასა და შენიშვნებში) ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთას" არმენოფილური ტენდენციის კვალდაკვალ არაფერია ნათქვამი. კომენტარების გარეშეა გადათარგმნილი გერმანულად ქართული ტექსტის სათანადო არმენოფილური ცნობები თუ აღგილები. ამ საკითხებზე არსებული არც სამეცნიერო ლიტერატურაა მითითებული (იხ.. Das Leben Kartlis. Eine Chronik aus Georgien, 300—1200. Herausgegeben von Gertud Pätsch, Leipzig, 1985, გვ. 52, 65), რაც გამართლებული არაა, რამეთუ საქმეში ჩაუხედავ უცხოელ მკითხველს, შესაძლოა, მცდარი წარმოდგენა შეექმნას ჩვენს უძველეს ისტორიაზე.

რომელიც კავკასიის ხალხებს, ჩვენდა სავალალოდ, არასოდეს არ აკლდათ, ყოველთვის მრავლად ჰყავდათ.

ლეონტი მროველსა თუ მის წინამორბედ თანამოაზრეებს (რომლებიც ძირითადად X—XI სს-ის მოღვაწეები უნდა ყოფილიყვნენ), როგორც ითქვა, საერთო წარმოშობის ხალხთა ჯგუფში გაუერთიანებიათ კავკასიის მხოლოდ ადგილობრივი, იმ დროისათვის ერთი კულტურულ-ისტორიული სამყაროს წარმომადგენელი ხალხები (რომლებიც ან უკვე იყვნენ ქრისტიანები, ან არადა საქმე ისე მიდიოდა, რომ დღეს თუ ხვალ გაქრისტიანდებოდნენ) და არა XI საუკუნისათვის კავკასიაში მცხოვრები ირანული, არაბული თუ თურქული მოდგმის ტომები. საქმე ისაა, რომ არცთუ ისე დიდი ხანია კავკასიაში, კერძოდ ამიერკავკასიაში, დამკვიდრებული ეს მაჰმადიანური თუ გამაჰმადიანებული ტომები, ჩვეულებრივ, იმ ხანებში წარმოადგენდნენ დასაყრდენს ამიერკავკასიის ადგილობრივ, ძირძველ ხალხთა მტრებისათვის: ჯერ არაბთა სახალიფოსათვის, ხოლო შემდგომ სახალიფოს ნანგრევებზე ამიერკავკასიის მისადგომებთან, მის მეზობლად აღმოცენებული პოლიტიკური ერთეულებისათვის, XI ს-ის შუა ხანებიდან კი თურქ-სელჩუკებისათვის. ამდენად, ამიერკავკასიის ძირძველი კულტურულ-ისტორიული სამყაროს შემადგენელი ქრისტიანული სამეფო-სამთავროების ერთმანეთთან ურთიერთობის ხასიათი განსხვავებული იყო მათი ურთიერთობისაგან ამიერკავკასიაშივე შექმნილ წვრილ-წვრილ თუ შედარებით მსხვილ მაჰმადიანურ პოლიტიკურ ერთეულებთან.

იმ ორი სამყაროდან, რომელნიც შეიძლება დავინახოთ IX—XI სს-ის ამიერკავკასიაში, წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ საგანგებოდ შევისწავლოთ საქრისტიანო, ამიერკავკასიის ადგილობრივი, ძირძველი ხალხებისაგან შემდგარი სამყარო, ქრისტიანული, ქართულ-სომხურ-ალვანური პოლიტიკური ერთეულების, სამეფო-სამთავროების ურთიერთობები. მეზობელ, ამიერკავკასიისვე მაჰმადიანურ პოლიტიკურ ერთეულებთან, საამიროებთან მათ ურთიერთობას კი შეეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს ქართულ-სომხურ-ალვანური სამეფო-სამთავროების შესახებ ზემოხსენებულ საკითხების კვლევა.

. რაც შეეხება ჩვენი წიგნის ქრონოლოგიური ჩარჩოების IX—XI სს-ით შემოფარგვლას, ეს განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

1. მართალია, ამიერკავკასიის ხალხებს არც ამ ეპოქაში მოჰკლებიათ უცხოელ დამპყრობთა თავდასხმები, შემოტევები, მაგრამ IX ს-ის მეორე ნახევრიდან XI ს-ის შუა ხანებამდე მათ, მეტნაკლებად, ცხოვრებისა და განვითარების შედარებით მშვიდობიანი ხანა დაუდ-

გათ. როგორც მოსწრებულად შენიშნავენ ხოლმე, ამიერკავკასიაში სხვადასხვა ჯერის მომხდურთა შეძოსეცებს შორის არსებული დროის ხანმოკლე, შედარებით მშვიდობიანი შუალედები ამიერკავკასიის ხალხებისათვის შეიძლება ერთგვარ ანტრაქტად მივიჩნიოთ. ასეთია, კერძოდ, ხანა არაბთა ბატონობის ჯერ შესუსტების, ხოლო მალე სავსებით გადაშენებასა და თურქ-სელჩუკთა ბატონობის დამყარებას შორის[2]. ბუნებრივია, ამგვარმა, შედარებით ხელსაყრელმა ვითარებამ გამოიწვია აღმავლობა ამიერკავკასიის ქვეყნების ცხოვრებაში, მათი დაწინაურება როგორც სოციალ-ეკონომიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით. ამიერკავკასიაში ჩამოყალიბებულმა ქართულმა, სომხურმა და ნაწილობრივ ალვანურმა პოლიტიკურმა ერთეულებმა, სამეფო-სამთავროებმა ძალა მოიკრიბეს. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და ალვანეთში გაჩაღდა ბრძოლა ცალ-ცალკე ამ ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანებისათვის. ამასთანავე, ეს ბრძოლები იმთავითვე მთელი ამიერკავკასიის, უფრო მეტიც, მთელი კავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში გადაიზარდა, რამდენადაც ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის IX—XI სს-ში მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობა არსებობდა. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმატებით საბრძოლველადაც ხომ კავკასიის პოლიტიკური გაერთიანება აუცილებელი იყო. კავკასიის გაერთიანების ძველთაძველი, პროგრესული იდეაც IX—XI სს-ში აღორძინდა და განვითარების ახალ, მანამდე არნახულ საფეხურს მიაღწია. აი, ესოდენ გამორჩეული აღნიშნული ეპოქა, IX ს-დან XI ს-ის მეორე ნახევრამდე, ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიაში.

2. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი შესწავლის საგანია ქართულ-სომხურ-ალვანური სამეფო-სამთავროების ურთიერთობები. ქართული, სომხური და ალვანური პოლიტიკური ერთეულები კი ამიერკავკასიაში ხელახლა იქმნებიან, ყალიბდებიან VIII ს-ის დასასრულიდან, მეტადრე IX ს-ში და ნაწილობრივ X ს-შიც. სომხური და ალვანური სამეფო-სამთავროები შედარებით მალე ქრებიან ასპარეზიდან. XI ს-ის შუა ხანებიდან გარკვეული მიზეზების გამო აღარც სომხეთში და მით უფრო არც ალვანეთში ძლიერი, იმ დროის კვალობაზეც კი საერთაშორისო თვალსაზრისით ანგარიშგასაწევი სომხური და ალვანური პოლიტიკური ერთეულები აღარ არსებობდნენ. ამდენად, საქართველოს გაცხოველებული ურთიერთობის შესახებ სომხურ და ალვანურ სახელმწიფოებთან XI ს-ის 60-იანი წლების შემდეგ ლაპარაკი

---

[2] იხ. В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, М., 1963, გვ. 41.

გამართლებული აღარაა და წინამდებარე ნაშრომის ზედა ქრონოლოგიური საზღვარიც სწორედ აქ გაივლის. მართალია, თავის დროზე ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილ, დაქუცმაცებულ სომხეთში ერთხანს კიდევ განაგრძობდა არსებობას ორიოდე სომხური მეორეხარისხოვანი, მეტისმეტად დასუსტებული, სულთმობრძავი სამეფო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკთა გაბატონებამ, ავადსახსენებელმა „დიდმა თურქობამ", სულ ერთიანად უკუღმა შეატრიალა ადგილობრივი ხალხების ცხოვრების ჩარხი, ხსენებული სომხური სამეფოების ბედიც საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო, მათი დღეები დათვლილი ჩანდა და მათთან საქართველოს ურთიერთობაზეც თითქმის არავითარი საყურადღებო მასალა არ შემოგვრჩენია. ცხადია, თურქ-სელჩუკთა შემოსევები და გაბატონებაც თავისთავად იმდენად უარყოფითი, ლამის საბედისწერო მნიშვნელობის მოვლენაა ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში, რომ ამ ნიშნითაც ჩვენი წიგნის ზედა ქრონოლოგიური საზღვრის XI ს-ის შუა ხანებზე დადება სავსებით გამართლებული უნდა იყოს.

IX—XI სს-ში ქართულ-სომხურ-ალვანური სახელმწიფოების ურთიერთობების შესასწავლად, ბუნებრივია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ პირველწყაროებს, რომლებიც შექმნილია და შემორჩენილია ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე, კერძოდ, ძველ ქართულ და ძველ სომხურ ენებზე. სამწუხაროდ. ალვანური მწერლობის ძეგლები თითქმის სავსებით დაღუპულია. მართალია, საბოლოო სახით X ს-შია შექმნილი და ჩვენამდე შემორჩენილია მოვსეს კალანკატვაცის (ყალანკატვაცის) სახელით ცნობილი „ალვანთა ქვეყნის ისტორია", მაგრამ საუკუნეთა სიღრმიდან ამ ძეგლის მხოლოდ სომხურ ტექსტს მოუღწევია და, გარდა ამისა, ქართულ-სომხურ-ალვანური სამეფო-სამთავროების ურთიერთობის თაობაზე IX—X სს-ში მასში ერთობ მწირი მასალის მოპოვება თუ მოხერხდება.

საქართველო-სომხეთ-ალვანეთის IX—XI სს-ის ისტორიის შესასწავლად ისევე, როგორც ამიერკავკასიის მაჰმადიანურ საამიროებთან მათი ურთიერთობის შესახებ საყურადღებო მასალები მოიპოვება ბერძნულ (ბიზანტიურ) და არაბულ, აგრეთვე ნაწილობრივ სპარსულ და სირიულ წყაროებშიც. მაგრამ საკუთრივ ქართულ-სომხურ-ალვანური სამეფო-სამთავროების ერთმანეთს შორის IX—XI სს-ის ურთიერთობების საკვლევად აღნიშნულ პირველწყაროებში მაინცდამაინც მნიშვნელოვანი ცნობები არ ჩანს. ამიტომ პირველწყაროების საგანგებოდ მიმოხილვისას ჩვენ შემოვიფარგლებით X—XI სს-ის ქართული და სომხური წყაროების განხილვით. ცხადია, თავის ადგილზე გამოყენებული იქნება სხვა ენებზე შემორჩენილი სათანადო, შედარე-

ბით მცირერიცხოვანი მონაცემებიც. რაც შეეხება IX ს-ის ქართულ ან სომხურ, ჩვენს წიგნში დასმული საკითხების განსახილველად გამოსადეგ საისტორიო პირველწყაროს, ამგვარი, ოდნავ მაინც მნიშვნელოვანი ძეგლი ჯერჯერობით მეცნიერებისათვის ცნობილი არაა.

სომხურისაგან განსხვავებით, ქართული წყაროები, სადაც IX—XI სს-ის ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობებზე მოიპოვება პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობები, საკმაოდ მცირერიცხოვანია. რითაა გამოწვეული ეს გარემოება? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ამიერკავკასიის ცხოვრებაში IX—XI სს-ში სომხეთს წამყვანი ადგილი ეჭირა? არა! საზოგადოდაც, ჩვენამდე მოღწეული, ჟამთა სიავეს გადარჩენილი ქართული მატიანეები რაოდენობისა თუ საერთო მოცულობის მხრივ არაა ისე უხვმოსავლიანი, როგორც სომხური. ეს ფაქტი, მნიშვნელოვანწილად მაინც, განპირობებულია „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შექმნით. ძველ საქართველოში ძირითადად ყურადღება ექცეოდა „ქართლის ცხოვრების“ გამრავლების, მისი შევსების, დაცვა-შენახვის, მოვლა-პატრონობის საქმეს, რამაც „ქართლის ცხოვრების“ კრებულს გარეთ დარჩენილი სხვა საისტორიო თხზულებებისადმი ინტერესის განელება, მათი მივიწყება, დაკარგვა გამოიწვია. სომხეთში სხვაგვარი ვითარება იყო. იქ „ქართლის ცხოვრების“ მსგავსი კრებული არ შექმნილა და ამის გამოც საისტორიო მწერლობის ცალკეული ძეგლები უფრო გადარჩა. თავისთავად ისეთი კრებულის შექმნა, როგორიც „ქართლის ცხოვრებაა“ და რომელიც მიზნად ისახავდა იმ დროის კვალობაზე სისტემაში მოყვანილი, გეგმაზომიერი, გაბმული თხრობა მიეწოდებინა მკითხველისათვის საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, ჩვენი წინაპრების აზროვნების მაღალ დონეს ადასტურებს, მაგრამ როგორც ითქვა, ამ დიდი მნიშვნელობის მოვლენას ჩვენთვის, შთამომავლობისათვის, აუნაზღაურებელი დანაკარგიც მოჰყვა შედეგად.

IX—XI სს-ში ქართულ-სომხურ-ალვანური სამეფო-სამთავროების ურთიერთობის თაობაზე „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ძეგლებიდან თითქმის მხოლოდ „მატიანე ქართლისაჲში“ მოიპოვება საკმაოდ მცირერიცხოვანი მასალები. ამ საკითხებთან დაკავშირებით სუმბატ დავითის ძის „ცხორება და უწყება ბაგრატონიანთაში“ მხოლოდ ორიოდე და ისიც არაპირდაპირ ცნობას თუ წავაწყდებით. სუმბატ დავითის ძეს ხომ სულ სხვა მიზნები ჰქონდა დასახული. რაც შეეხება „მატიანე ქართლისაჲს“, მართალია, იგი ფრიად მნიშვნელოვანი პირველწყაროა, მაგრამ მის ავტორს „მრავალსიტყვაობა სძულს: მისი მოთხრობის ენა მარტივი და ბუნებრივია და სიტყვის მოკლედ მოჭრა უყვარს. ამ მხრივ იგი მეტად თავდაჭერილი და მოკლედ-მოუბარი

მწერალია"...[3] ამგვარი სტილის, სიტყვამომჭირნე მემატიანის თხზულებაში, რომელსაც მიზნად დაუსახავს „ქართლის", საკუთრივ საქართველოს ისტორიის გადმოცემა გარკვეულ ეპოქაში, გასაგებია, ქართულ-სომხურ-ალვანური პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობებზე უხვ მასალებს ვერ ვიპოვით. ამ საკითხებზე ჩვენი მემატიანე მხოლოდ მაშინ გვაწვდის უაღრესად ლაკონურ ცნობებს, როცა ამას მისი თხზულების მიზანდასახულობა აუცილებლად, დაბეჯითებით, დაჟინებით მოითხოვს.

უეჭველია, რომ რამდენიმე საუკუნის ამბების აღმწერი „მატიანე ქართლისაჲს" ავტორის განკარგულებაში არა ერთი და ორი ისეთი ქ ა რ თ უ ლ ი საისტორიო წყარო ყოფილა (ამის შესახებ თვითონ მემატიანეც მიგვითითებს), რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ[4]. მოსალოდნელია, რომ „აფხაზთა" ანუ ლიხსიქეთის სამეფოს, „ქართველთა სამეფოს", კახეთის საქორეპისკოპოსოსა და საკუთრივ ქართლის, აგრეთვე თბილისის საამიროს ისტორიის ამსახველ ამ წყაროებში გაცილებით უფრო უხვი ცნობები იქნებოდა ქართულ-სომხურ-ალვანური პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობის შესახებ IX—XI სს-ში, ვიდრე ეს „მატიანე ქართლისაჲს" ავტორს შემოუნახავს შთამომავლობისათვის.

ქართულთან შედარებით სომხური საისტორიო წყაროების სიუხვეზე საუბრისას ყურადღება უნდა მივაპყროთ სხვა გარემოებასაც; როგორც აღნიშნავენ, ძველ სომხურ ორიგინალურ ლიტერატურაში, განსხვავებით არაერთ სხვა ხალხთა, კერძოდ, ძველი ქართული ლიტერატურისაგან, საისტორიო მწერლობა მთავარი ჟანრია[5]. თუ ჩვენში, საქართველოში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" ლამის ეროვნულ „სახარებად" იქცა (საერთოდაც, ქართველი კაცის სულსა და გულს ლექსი თუ მოთხრობა უფრო ესალბუნებოდა, ვიდრე მატიანე), სომხეთში დაახლოებით ამგვარი ბედი ძველი სომხური საისტორიო მწერლობის „მამად" აღიარებული მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიას" ხვდა წილად[6].

---

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 206.

[4] იხ. იქვე, გვ. 205—206.

[5] იხ. მაგ., C. J. F. D o w s e t t, Armenian Historiography, წიგნში: Historiens of the Middle East, Edited by B. Lewis and P. M. Holt, Oxford, 1962, გვ. 259; J. M u y l d e r m a n s, L'historiographie armeniene, Le Muséon, 1963, LXXVI, 1—2, გვ. 109.

[6] იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 131—132; VII, გვ. 253—254; ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 133—134.

შესასწავლი ეპოქიდან პირველი ქართული ძეგლი, რომელიც საყურადღებოა საქართველო-სომხეთის ურთიერთობის თვალსაზრისით, არის სტეფანე მტბევარის „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი“, რომელიც 914—918 წლებს შორისაა დაწერილი. მართალია, ამ თხზულებაში კონკრეტული ცნობები საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ ერთობ ცოტაა, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ავტორის დამოკიდებულება მუხანათი მტრისაგან სომხეთზე, სომეხთა თავს დატეხილი უბედურების მიმართ.

სამხრეთ აზერბაიჯანში IX ს-ის დასასრულს შექმნილი საჯიდთა სახელმწიფო ღვთის რისხვად მოევლინა სომხეთს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მათ შეიპყრეს სომეხთა ცნობილი მეფე, სმბატ I (890—914) და წამებით ამოჰხადეს სული. მიუხედავად იმისა, რომ იმავე ხანებში საჯიდთა ლაშქარმა დაარბია საქართველოს სამხრეთი პროვინციებიც, ტყვედ ჩაიგდეს და აწამეს ქართველი დიდებული, სტეფანე მტბევარის ნაწარმოების გმირი, მთავარი მოქმედი პირი გობრონი, სტეფანე მტბევარი, თითქოს, მაინც გახარებულია ქართველთა და სომეხთა საერთო მტრის მიერ სომხეთის აოხრებით და ერთგვარად ნიშნის მოგებითაც საუბრობს სომეხთა უბედურობის თაობაზე. ვინაიდან ცნობილი ქართველი მწერლის ამგვარი პოზიცია ერთი შეხედვით მოულოდნელია, ამიტომ ჩვენ შევეცდებით საგულდაგულოდ ვეძიოთ სათანადო მიზეზები. მანამდე კი მოვუსმინოთ თვით სტეფანე მტბევარს: ... „სცოდა ბოროტი დიდმან სახლმან (ქვეყანამ — ა. ა.) სომხითისამან...“ ამის სანაცვლოდ ღმერთმა „მისცნა იგინი (სომხები — ა. ა.) მახვილსა ბოროტსა და... სრვასა სიკვდილისასა უწყალოსა, რომელთა მფლველ არავინ იყო...

...რამეთუ მიწაჲ იგი სომხითისაჲ ამპარტავან არს და მკვიდრნი მისნი ცუდად მზვაობარ, ანგაჰარ, ლაღ და ცოდვის მოყვარე, ამპარტავან, უწყალო, უყვარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტესი, რომელთათვის ქრისტე ცუდად მოკვდა“...

სომხეთის მიმართ „განეწყო უფალი რისხვითა გულისწყრომისა მისისაჲთა. და მიშვებითა ღმრთისაჲთა აღიძრა მეფე სარკინოზი...

...ემსგავსა სახლი იგი სომხითისაჲ კაცსა მას უგუნურსა, რომელმან დადგა სახლი საფუძველსა ზედა საცთურებისასა და ქვიშასა ზედა წვალებისასა“...[7]

ივ. ჯავახიშვილის თანახმად, „სტეფანე მტბევარის თხზულება იმ ხანას ეხება, როდესაც საქართველოში დაუცხრომელი ბრძოლა იყო

7 ქართული პროზა, I, თბ., 1981, გვ. 158—160.

გაერთიანებისათვის. ამ დროს ქართველთა და სომეხთა შორის მეტოქეობა და მტრობაც ჩამოვარდა. ამიტომაც არის, რომ სტეფანე მტბევარის ვნებათაღელვით აღსავსე გრძნობას სომხებისადმი და სარწმუნოებრივს სიძულვილსაც ცოტა არ იყოს ეროვნულ-პოლიტიკური ელფერიც ადევს"[8].

კ. კეკელიძეც მსგავს თვალსაზრისზე იდგა „გობრონის წამების" სათანადო მონაცემების შეფასებისას. მისი სიტვით, „ეს თხზულება ტ ი პ ი უ რ ი ნ ი მ უ შ ი ა იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთა, რომლებიც მეათე საუკუნიდან გაჩნდა ჩვენში და რომლებიც სომხებისადმი ეროვნულ-სარწმუნოებრივი ხაზით სიმშვიდესა და ლოიალობას ვერ იჩენდა"[9].

ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარი პოზიციიდან, ეპოქის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მივუდგეთ სომეხთა მიმართ სტეფანე მტბევარის განწყობილების წარმომქმნელი მიზეზების ძიებას. ამდენად, არადამჯერებლად მიგვაჩნია ჯ. აფციაურის განცხადება: „სტეფანე მტბევარი ვერ ამაღლდა იქამდე, რომ არაბთა აგრესიაში დაენახა ისეთი საფრთხე, რომელიც საჭიროებდა სომხებთან დოგმატიკური ხასიათის კამათის დავიწყებას და მათთან გაერთიანების საჭიროებას"[10].

სტეფანე მტბევარი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო, თავისი დროის სულისკვეთებას გამოხატავდა და მას არაფრით არ დაუმსახურებია ამგვარი საყვედური შთამომავლობისაგან. როგორც ეტყობა, ჯ. აფციაურის მოტანილი განცხადება შორეული წარსულისადმი თანამედროვეობის პოზიციიდან მიდგომის მაგალითია, რაც გაუმართლებელია. ამა თუ იმ ეპოქის გასაგებად, მისი სულის შესაცნობად, მასში ჩასაწვდომად ხომ აუცილებელია მკვლევარი იმ „დროის ქერქში" მოექცეს, რომელსაც სწავლობს, იკვლევს.

საზოგადოდ, სომხური ეკლესიის დიდი პრეტენზიები მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი. მართალია, სომხური ეკლესიის მესვეურთა მისწრაფებებს, იერარქიულად სომხურისადმი დაექვემდებარებინათ ქართული ეკლესიაც, პრაქტიკულად თითქმის არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ შეხლა-შემოხლა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, დროდადრო ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა მეტისმეტად, უკიდურესობამდე მწვავდებოდა. ქართულის მიმართ

---

8 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119—120.

9 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 145—6; ხაზგასმა ჩვენია.

10 ჯ. ა ფ ც ი ა უ რ ი, იდეური ბრძოლის მხატვრული ასახვის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ ჰაგიოგრაფიაში, თბ., 1984, გვ. 26.

სომხური ეკლესიის პრეტენზიების „დასასაბუთებლად“ სომხურ გარემოში არაერთი ლეგენდა წარმოიქმნა. ამგვარ ვითარებაშია გაჩენილი, კერძოდ, სომხური ლეგენდა ქართული ანბანის ვითომცდა მესროპ-მაშტოცის მიერ შექმნის შესახებ[11].

სომხური ეკლესია ქართული ეკლესიის დაქვემდებარებაზე პრეტენზიას სტეფანე მტბევარის ხანაშიც აცხადებდა[12], მაშინ როდესაც ქართული ეკლესია აშკარად აღმავლობის, გაძლიერების გზაზე იდგა. ამ დროისათვის უკვე მომხდარი ფაქტია ქართული ეკლესიისა და საერთოდ ქართული კულტურის ბუმბერაზი მოღვაწის, გრიგოლ ხანძთელის (ასევე მისი უშუალო მოწაფეების) ფრიად ნაყოფიერი, ხანგრძლივი საქმიანობა. ქართული ეკლესიის თავკაცები თვითონ ისახავენ არა მარტო მთელი საქართველოს, არამედ აგრეთვე მთელი კავკასიის საეკლესიო გაერთიანების გეგმებს (საეკლესიო გაერთიანება კი ნოყიერ ნიადაგს ამზადებდა კავკასიის პოლიტიკური გაერთიანებისათვის), კერძოდ, ჩრდილო კავკასიის წარმართებისა და სომეხ-ალვანელ „მწვალებელთა“ (მონოფიზიტთა, გვიანდელი ტერმინი რომ მოვიშველიოთ — გრიგორიანთა) „მართალ სარწმუნოებაზე“, მართლმადიდებლობაზე მოქცევას.

სტეფანე მტბევარი, გარდა იმისა, რომ სახელოვანი მწერალია, იგი ცნობილი საეკლესიო პირიც იყო. სტეფანე ახლადშექმნილი ტბეთის საეპისკოპოსოს პირველი ეპისკოპოსი გახდა. ბუნებრივია, სტეფანეს გაელაშქრა სომხური ეკლესიის იმ დროისათვის მაინც აშკარად დრომოჭმული პრეტენზიების წინააღმდეგ. სტეფანე მტბევარის პოზიციის ესოდენ ნათლად და მწვავედ გამოკვეთისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებასაც, რომ ჩვენს ავტორს მოღვაწეობა უხდებოდა სომხეთის მეზობლად მდებარე ქართულ ოლქში, ასევე ტაო-კლარჯეთში შემორჩენილი, სომხებით დასახლებული ადგილების მახლობლად.

როგორც უკვე აღინიშნა, სტეფანე მტბევარის ხანაში ქართულ-სომხურ სამეფო-სამთავროებს შორის „მეტოქეობა და მტრობაც ჩამოვარდა“. საქმე ისაა, რომ საკუთრივ, ცალ-ცალკე საქართველოსა და სომხეთშიც ამ ქვეყნების გაერთიანებისათვის ბრძოლებში მეფე-მთავრები ერთმანეთს არ ინდობდნენ, ხშირი იყო ძმათაშორის სისხლისმღვრელი ომები. ასეთ ვითარებაში, მაშინ როდესაც მთელი რიგი ქართული და სომხური ოლქები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, შეიძლება ითქვას, გადახლართულნი იყვნენ ერთმანეთთან და საქარ-

---

11 იხ. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ა. აბდალაძის გამ., თბ., 1984, გვ. 283—284, იქვე მითითებულია სათანადო ლიტერატურაც.

12 იხ. იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამ., თბ., 1965, გვ. 189—190.

თველოსა თუ სომხეთში ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისაკენ მიმართული ბრძოლები მთელი ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში გადაიზარდა, რაღა გასაკვირია, ქართველ-სომეხ ხელისუფალთა შორისაც მომხდარიყო შეტაკებები. დროდადრო ქართველი მეფე-მთავრები ერეოდნენ მეზობელი სომხეთის საქმეებში და პირიქითაც, სომეხი ხელისუფალნი — საქართველოს, მეტადრე ქართლის საქმეებში. სომეხმა ბაგრატუნებმა ისარგებლეს გუარამ მამფალისა და მისი ძმის, ბაგრატ I კურაპალატის სახლებს შორის ჩამოვარდნილი შეხლა-შემოხლით და გუარამის ყოფილი სამფლობელოს ნაწილი დაიკავეს ქვემო ქართლში. ქვემო ქართლის ერთი ნაწილი მათ თბილისის ამირებსაც წაართვეს და ამგვარად შეძლეს ფეხი მოეკიდებინათ საქართველოს ამ მხარეში. ცხადია, ეს ფაქტი არასასიამოვნო იქნებოდა როგორც ქართველ მეფე-მთავართათვის, ისე ქართული ეკლესიის საჰეთმპყრობელთათვის. ბუნებრივია, ქვემო ქართლის ხსენებულ ნაწილში სომხური ეკლესიაც გააჩაღებდა საქმიანობას მის ასათვისებლად. ამას შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ მცხეთის საკათალიკოსო ტახტს მცხეთიდანვე არცთუ მოშორებით თანდათან უმცირდებოდა სამწყსო. რა თქმა უნდა, ქართული ეკლესიის თავკაცები, მოღვაწეები ამ ამბავს ვერ შეურიგდებოდნენ. რაკი სომხური ეკლესიისა და სომეხ ბაგრატუნთა პრეტენზიები ქართული ოლქების მიმართ ერთი და იგივე მოვლენის ორ მხარეს წარმოადგენდა, სტეფანე მტბევარი და მისი თანამოაზრენი არა მარტო „მწვალებლური“ სომხური ეკლესიის, არამედ სომეხ ბაგრატუნ მეფეთა დაცემის, დასუსტების მომხრენიც იქნებოდნენ.

სომხეთის იგივე მეფე სმბატ I-მა, რომლის წამებასა და სიკვდილით დასჯას საჯიდთა მიერ სტეფანე მტბევარი, თითქოს, ერთგვარი ნიშნის მიგებითაც კი იუწყება, დაახლ. 904 წ. დალაშქრა „ვურის ქვეყანა“. დრასხანაკერტცის ცნობით, „სმბატ მეფემ მრავალი სიმაგრე დაიპყრო ვურის ქვეყანაში და იმ მხარეებში თავისი გამგებელნი დააყენა“. ჩვენი აზრით, სავსებით ეჭვმიუტანლად ირკვევა, რომ დრასხანაკერტცისეული „ვური“ არის იგივე ლეონტი მროველისეული „ჰური“, ხოლო „ვურის ქვეყანა“ არტაანის ოლქია[13]. არტაანი და მისი მომიჯნავე ოლქები იმ ხანებში ეკუთვნოდა ქართველ ბაგრატიონთა იმ შტოს, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ცნობილი აშოტ კუხიც[14], ტბეთის აღმაშენებელი, ტბეთის საეპისკო-

---

13 ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, ჰოვპანეს დრასხანაკერტცისეული ვურისა და ეამრთა „ქვეყნების“ კვალდაკვალ, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1984, № 4,

14 აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სახელი აშოტი საქართველოში სომხეთიდან თუ

პოსოს დამფუძნებელი, ვისი ნებითაც ტბეთის პირველ ეპისკოპოსად სტეფანე მტბევარი აკურთხეს.

არტაანის გამგებელნი 904 წლისათვის აშოტ კუხის ახალგაზრდა (თუ მცირეწლოვანნი არა) ძმისწულები, დავითი და გურგენი ჩანან, რომლებიც იმ ხანებში მაინც თავიანთი უშვილო ბიძის, აშოტ კუხის მფარველობისა თუ გავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ მოქცეული. ერისთავთერისთავ აშოტ კუხის ერთადერთი მემკვიდრეც სწორედ მისი ძმისწული, შემდგომში ცნობილ ერისთავთერისთავი, დიდად წოდებული გურგენი გახდა (აშოტ კუხი გარდაიცვალა 918 წ.). რაკი სტეფანე მტბევარს „გობრონის წამება“ აშოტ კუხის „ბრძანებით“ დაუწერია და სტეფანეს ტბეთის პირველ ეპისკოპოსად კურთხევაც აშოტ კუხის ნებით მომხდარა, ბუნებრივია, აშოტ კუხი და სტეფანე მტბევარი საერთოდაც თანამოაზრეებად, თანამოსაგრეებად მივიჩნიოთ. ამდენად, „გობრონის წამებისეული“ ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) განწყობილება აშოტ კუხისა და მისი მემკვიდრის, გურგენ დიდის პოზიციის ასახვასაც უნდა წარმოადგენდეს. გურგენ დიდს კი, გარდა იმისა, რომ ქართული ოლქების გამო ებრძოდა სომეხთა ბაგრატუნ მეფეებს, მიზნად უნდა ჰქონოდა დასახული სომეხთა (კერძოდ, თავის საკმაოდ ვრცელ სამფლობელოში მცხოვრები სომხების), საერთოდ. მონოფიზიტ (გრიგორიან) „მწვალებელთა“ მოქცევაც მართლმადიდებლობაზე, „ქართულ ქრისტიანობაზე“. აღსანიშნავია, რომ ჰერეთის ცნობილი დედოფალი დინარი გურგენ დიდის და იყო. როგორც ეტყობა, ჰერეთის „ქართულ რჯულზე“ მოქცევის საქმეში დინარ დედოფალთან ერთად გურგენ დიდსაც მიუძღვის გარკვეული წვლილი[15]. გურგენ დიდი ქვემო ქართლიდან სომეხთა მფლობელობის აღმოფხვრასაც ცდილობდა და ამ მხარეში „სომხური რჯულის“ დანერგვასაც აღუდგებოდა წინ. ყოველივე ეს განაპირობებდა ქართველ-სომეხ ხელისუფალთა, მეტადრე ქართულ-სომხური ეკლესიების ისედაც გამწვავებული ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად, უკიდურესად გამწვავებას. სწორედ ამგვარი ვითარებაა ასახული სტეფანე მტბევარის თხზულებაში.

სომხეთის გზით შემოსულად მიაჩნიათ, ხოლო ამგვარ საფუძველსაც ემყარებიან ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად, როგორიცაა ბაგრატიონთა ეროვნული წარმომავლობა. მაგრამ სახელი აშოტი ძველთაგანვე უნდა ყოფილიყო გავრცელებული ჩვენში, კერძოდ, ჭანურ-მეგრულ გარემოში. ამის დასტური ჩანს დღესაც არსებული გვარი აშოთია.

15 იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 193, შენ. 177.

კ. კეკელიძის სიტყვით, „საქართველოს ეკლესია, გენეტიურად დაკავშირებული აღმოსავლეთის ქრისტიანობასთან, დღიდან თავისი არსებობისა შეუჩერებლივ მიიწევდა სირია-პალესტინისაკენ... მერვე საუკუნის გასულიდან იმან კურსი შეიცვალა და „სლვანი თჳსნი“ წარმართა... საბერძნეთისაკენ“[16]. ქართული ეკლესიის მიერ „კურსის შეცვლა“, მნიშვნელოვანწილად მაინც, სომხურ ეკლესიასთან ურთიერთობის მეტისმეტად გამწვავებით აიხსნება. როგორც ითქვა, სტეფანე მტბევარის ხანაში ქართველი და სომეხი მეფე-მთავრებიც ერთმანეთის მეტოქეები გახდნენ, რამეთუ ამიერკავკასიის ცალკეული ქვეყნების გაერთიანებისათვის მიმდინარე ბრძოლები მთელი ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში გადაიზარდა. ამიერკავკასიისა თუ მთელი კავკასიის პოლიტიკურად გაერთიანება, რა თქმა უნდა, პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა — საერთო ძალებით ხომ უფრო წარმატებით შეიძლებოდა გავმკლავებოდით მრავალრიცხოვან უცხოელ დამპყრობლებს. ამიტომ ამიერკავკასიის გაერთიანებისაკენ ლტოლვის საფუძველზე IX—X სს-ში ქართველ-სომეხ ხელისუფალთა შორის წარმოქმნილი მეტოქეობა საგანგებო ყურადღების, შესწავლის ღირსია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ეს გარემოება იწვევდა ჩვენში, საქართველოში, ანტიმონოფიზიტური განწყობილების გაღრმავებას და პირიქითაც.

ვფიქრობთ. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ, თანამედროვე მკვლევართ, არა გვაქვს უფლება პრეტენზია წავუყენოთ სტეფანე მტბევარს, თუ რატომ არ იქადაგა მან ქართველ-სომეხთა ერთობა, კერძოდ, ქართულ-სომხური ეკლესიების ინტერესთა შერიგება. გასაგები მიზეზების გამო სომეხთა მიმართ მეტისმეტად ფრთხილი, სათუთი დამოკიდებულების მომხრე თვით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც კი, რომლის თხზულება, საზოგადოდ, მაღალი ღირსებებით გამოირჩევა, სომეხი „მამების“ შესახებ მეტისმეტად ცუდი აზრისაა: „ხოლო შემოკრბა ოდესმე წინაშე მეფისა (დავითისა — ა. ა.) ნათესავი გულარძნილი, ყოველად ბოროტთა სომეხთა ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამძღურები“[17]. უკეთუ ბრალს დავდებთ სტეფანე მტბევარს, რომ იგი „ვერ ამაღლდა“ და „სომხებთან დოგმატიკური ხასიათის კამათი“ ვერ დაივიწყა. მაშინ იგივე ბრალდება უნდა წავუყენოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს და სხვა მემატიანეებსაც, რაც არაფრით არ არის გა-

---

16 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 134—135.

17 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356.

ნართლებული. „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს“ და ჩვენც მოვლენები ამა თუ იმ ეპოქის თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა შეეაფასოთ.

ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობის მეტისმეტად გამწვავების დასტურია არსენ საფარელის ანტიმონოფიზიტური თხზულებაც — „განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა“. მართალია, მასში ასახულია ამიერკავკასიის ქვეყნების საეკლესიო და პოლიტიკური ვითარება IV ს-ის დასასრულიდან 726 წლამდე, მაგრამ თუ თხზულება დაწერილია ამჯერად ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, ე. ი. IX—XI სს-ში, მაშინ ამის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რაოდენ აქტუალური ყოფილა იმ ხანებში ქართველ-სომეხთა საეკლესიო, იდეოლოგიური განხეთქილების საკითხი, რამდენად გამწვავებულა ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა. სწორედ შექმნილი, საგანგებო ვითარების გამო დაუსახავს მიზნად არსენ საფარელს, რომ აჩვენოს „განყოფაᲐ სომეხთა ქართლისაგან“, ანუ რაც იგივეა, „ვითარ განდგეს სომეხნი მართლისა სარწმუნოებისაგან“[18].

ამ ბოლო დროს საფარელის თხზულების დათარიღების საკითხი საგანგებოდ შეისწავლა ზ. ალექსიძემ. მან არ გაიზიარა ძეგლის არც IX და არც X ს-ით დათარიღების ადრე გავრცელებული თვალსაზრისები (საფარელის თხზულების IX ს-ზე ადრე დაწერის შესაძლებლობა სავსებით გამორიცხულია). ზ. ალექსიძის მიხედვით, „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ მხოლოდ 1004 წ. შემდეგ შეიძლებოდა დაწერილიყო. რაც შეეხება საფარელის ტრაქტატის შექმნის ზედა ქრონოლოგიურ საზღვარს, ზ. ალექსიძე ვარაუდობს, რომ მისი გადაწევა XIII ს-ის დამდეგამდეც კი შეიძლება, თუმცა დაბეჯითებით ამაზე ლაპარაკი ძნელიაო[19].

როგორც ეტყობა, არსენ საფარელის თხზულება და სომეხი ავტორის, უხტანესის, „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ დაახლოებით ერთსა და იმავე ხანაში უნდა იყოს დაწერილი. ერთ-ერთი მათგანის შექმნა მეორის საპასუხოდ უნდა მომხდარიყო. ამის დასტური ჩანს ხსენებული თხზულებების მიზანდასახულობა და მათი სათაურებიც კი. ქართული და სომხური „განყოფა“ თუ „გამოყოფა“ თითქოს ერთმანეთს ეხმაურებიან, საფარელი და უხტანესი თითქოს ერთმანეთს ეკამათებიან, იცავენ თავიანთი ეკლესიების პოზიციებს.

მართალია, გადაჭრით ძნელია თქმა, საფარელმა დაწერა უფრო ადრე „განყოფისათჳს“, თუ უხტანესმა „გამოყოფა“, მაგრამ ჩვენ

---

18 არსენი საფარელი, განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა, ზ. ალექსიძის გამოცემა, თბ., 1980, გვ. 78.

19 იქვე, გვ. 68, 112, 117, 199—201.

შაინც ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ პირველი მათგანი უფრო ადრინდელია. ისეთ ვითარებაში, როდესაც ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა ერთობ გამწვავდა და ამავე დროს ქართული ეკლესიის გაძლიერების, აღმასვლის პროცესი აშკარად შესამჩნევი გახდა, ხოლო სომხური ეკლესია, პირიქით, კრიზისს მოეცვა, არსენ საფარელი უხტანესის საპასუხოდ რომ წერდეს თავის თხზულებას, ვფიქრობთ. მისი ტონი გაცილებით უფრო გაცხარებული იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, იგი ამ მხრივ უხტანესს ტოლს არ დაუდებდა. სახელდახელო შედარებიდანაც კი კარგად ჩანს, რომ უხტანესი უფრო შემტევი, აგრესიული მწერალია ქართული ეკლესიის მიმართ, ვიდრე არსენ საფარელი სომხური ეკლესიისადმი.

ქვემოთ საგანგებოდ ვისაუბრებთ იმის თაობაზე, რომ უხტანესის „გამოყოფა" არ შეიძლება დაწერილიყო XI ს-ის შუა ხანებზე თუ 60-იან წლებზე გვიან. ამიტომ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც საფარელის თხზულებაა უფრო გვიანდელი. XII ს-სა და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, როცა სომხეთის დიდი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა, ქართული ეკლესია გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა მონოფიზიტ (გრიგორიან), „მწვალებელ" სომეხთა „მართალ", „ქართულ სარწმუნოებაზე" მოსაქცევად, რისთვისაც ხშირად მეტისმეტად მკაცრ, „სისხლიან" ზომებსაც მიმართავდა. ეს მშვენივრად ჩანს როგორც ქართული, ასევე და კიდევ უფრო მეტად სომხური წყაროებიდანაც (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათვის", კირაკოს განძაკეცის „სომხეთის ისტორია" და სხვა). საკითხისადმი არაფერი ამის მსგავსი მიდგომა არსენ საფარელის თხზულებაში არ იგრძნობა და ამიტომ XII ს-ით ან XIII ს-ის პირველი მეოთხედითაც კი მისი დათარიღების შესაძლებლობის ვარაუდი უნდა გამოირიცხოს.

XII ს. და XIII ს-ის პირველი მეოთხედი საქართველოს ისტორიის ის ხანაა, როცა მონოფიზიტ სომეხთა მამხილებელ ქართულ თხზულებაში დაუშვებელია ნათქვამი ყოფილიყო, რომ მართლმადიდებელ ქართველებსა და „მწვალებელ", „ბოროტად მადიდებელ", მონოფიზიტ (გრიგორიან) სომხებს ერთი და იგივე განმანათლებელი (გრიგოლ პართელი) ჰყავდათო. გრიგოლ განმანათლებლის სახელი განუყრელად დაუკავშირდა სომხურ ეკლესიას და XII—XIII სს-ის მონოფიზიტ სომეხთა მამხილებელი ქართველი ავტორი, სასულიერო პირი, თუნდაც თავისი წყაროდან არ მოიტანდა ისეთ ცნობას, რომლის მიხედვითაც გრიგოლს ოდესღაც, თითქოს, ქართველებიც ცნობ-

ლნენ თავიანთ განმანათლებლად[20]. XI ს-ის დასასრულამდე საქართველოში მსგავსი აზრების აქა-იქ გამოჩენა ასე თუ ისე დასაშვებია, რადგან ბიზანტიაში და მის კვალდაკვალ საქართველოშიც გრიგოლ განმანათლებელი ბერძნული ორიენტაციის მოღვაწედ ითვლებოდა. XII ს-დან კი ჩვენში ბიზანტიას ძველებურად ანგარიშს აღარ უწევდნენ.

სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენ უკვე ნაწილობრივ ვისაუბრეთ 1072—73 წლებში დაწერილ „მატიანე ქართლისაჲს" შესახებ. ამ თხზულების უცნობი ავტორი ძველი ქართული საისტორიო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი სანდო, პირუთვნელი მემატიანეა. მართალია, ქართულ-სომხურ-ალვანური პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობათა შესახებ „მატიანე ქართლისაჲში" დაცული მასალები უხვი არაა, მაგრამ რაცაა, ფრიად საყურადღებოა და უმეტესწილად უაღრესი ნდობის ღირსიც ჩანს. ამასთანავე, ქართველ მემატიანეს აღნიშნულ საკითხებზე შემოუნახავს რამდენიმე უნიკალური ცნობა, რომლის მსგავსი არც ერთ სხვა, დღეისათვის ცნობილ წყაროში არ მოიპოვება. ამ მხრივ უნდა მოვიხსენიოთ, მაგ., ცნობები ბუღა თურქის წინააღმდეგ გუარამ მამფალისა და „აბულაბაზ სომეხთა ერისთავის" კავშირის, განჯის ამირას წინააღმდეგ ბაგრატ III-ისა და ანის-შირაკის მეფის, გაგიკ I-ის ერთობლივი ბრძოლის, ანისისათვის ბრძოლაში „ვესტის" ბაგრატ IV-ის მხარეს გადასვლის შესახებ და სხვა. ასევე უნიკალურია „მატიანე ქართლისაჲს" ცნობა დინარ დედოფლის მიერ ჰერეთის სამეფო კარისა, თუ ამ სამეფოს მონოფიზიტური ოლქების მართლმადიდებლობაზე, „ქართულ ქრისტიანობაზე" მოქცევის თაობაზე. ჰერეთის სამეფო ქართულ ოლქებთან ერთად ალვანურ მიწა-წყალსაც მფლობდა, ხოლო ამ ქვეყნის ერთი, მნიშვნელოვანი ნაწილის ეკლესია X ს-ის შუა ხანებამდე სომხურ ეკლესიას ექვემდებარებოდა. ამდენად, დინარ დედოფლის მიერ ჰერეთის „ქართულ რჯულზე" მოქცევა უაღრესად საინტერესო ფაქტია საქართველო-ალვანეთ-სომხეთის ურთიერთობათა თვალსაზრისით. ე. თაყაიშვილის თანახმად, IX—X სს-ის ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი ქალებიდან სახელი მხოლოდ დინარ დედოფლისაა ცნობილი[21]. ესეც იმის დასტურია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ყოფილა დინარ დედოფლის მოღვაწეობა ჰერეთის სამეფოში. ამის თაობაზე კი პირდაპირი ცნობა მხოლოდ „მატიანე

---

20 იხ. არსენი საფარელი, გვ. 81.

21 იხ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ. 1949, გვ. 42—43.

ქართლისაჲში“ არის შემონახული. მართალია, დინარის შესახებ არსებობს ჩვენში კარგად ცნობილი რუსული თქმულებაც[22], მაგრამ მასში ჰერეთის დედოფლის ცხოვრებისა და საქმიანობიდან თითქმის აღარაფერი შემორჩენილა ერთი-ორი სადავო, ბუნდოვანი მინიშნების გარდა. რუსულ თქმულებაში უფრო თამარ მეფის მოღვაწეობაა ასახული, ვიდრე დინარისა. ბუნებრივია, თამარ მეფის სახეს საუკუნეების მანძილზე (რუსული თქმულების გაჩენამდე და ჩაწერამდე) დაუჩრდილავს დინარ დედოფლის ღვაწლი, თუმცა სათანადო თქმულებაში დინარის სახელი მაინც გადარჩენილა.

ზემოთ უკვე ვახსენეთ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის მიუკერძოებლობა, მისი ცნობების სანდოობა. ჩვენი მემატიანე ამიერკავკასიის, კერძოდ, ქართულ-სომხური სამეფო-სამთავროების ურთიერთობის შესახებ საუბრისასაც რომ პირუთვნელია, ამის ნათელსაყოფად ერთ მაგალითსაც განვიხილავთ[23]. IX ს-ის 80-იან წლებში „ქართველთა საკურაპალატოში“ საშინელი შინაამლილობაა. გუარამ მამფალისა და ბაგრატ I კურაპალატის მემკვიდრენი ერთმანეთს დაერივნენ: „მას ჟამსა, ვითარცა მოიტყუა ნასრა ძმან გუარამისმან დავით ძე ბაგრატისი, მამის ძმისწული მისი, და მოკლა იგი“. საქმეში სომეხთა და ლიხსიქეთის ანუ „აფხაზთა“ ხელისუფალნი ჩაერივნენ: „იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა“[24].

„მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ქართველი იყო. მას დიდი სურვილი ჰქონდა, საქართველო ქართლის, „ქართველთა სამეფოს“ მეთაურობით გაერთიანებულიყო. მიუხედავად ამისა, ჩვენი მემატიანე თუ მაინც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ IX ს-ის 80-იან წლებში შინაამლილობით მოცული „ქართველთა საკურაპალატოს“ ბედი ძირითადად ლიხსიქეთის მეფეებისა და სომეხი ბაგრატუნების ურთიერთბრძოლაში წყდებოდა, ეს გარემოება სწორედ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის იმ დროისათვის განსაცვიფრებელ პირუთვნელობაზე მეტყველებს.

ბრძოლა გრძელდებოდა. იგი კვლავინდებურად დაუნდობელი იყო. „მატიანე ქართლისაჲს“ თანახმად, მეომარ მხარეთა დაჯგუფებები დაახლ. ძველებური შემადგენლობისა რჩებოდა. თუმცაღა პირველობისათვის ახლო ნათესავები, ბაგრატ კურაპალატისა და გუარამ მამფალის ნაშიერნი ერთმანეთს ხოცავენ, მემატიანეს ამ შემთხვევაშიც

---

22 იხ. მაგ., Г. Г. Пайчадзе, Повесть о Динаре (Критический обзор истории изучения памятника), საიუბილეო კრებული: „ივ. ჯავახიშვილი 100“, თბ., 1976.

23 იხ. აგრეთვე ა. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება“ და..., გვ. 194—216.

24 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 258—259.

პირველ რიგში „აფხაზთა“ დამარცხება აქვს აღნიშნული[25]. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ნასრას ბანაკისათვის ტონის მიტანამდე „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორს სავსებით სამართლიანად ლიხსიქეთის მეფე მიაჩნია. სუმბატ დავითის ძე იგივე ამბებს სხვანაირად გადმოგვცემს. იგი აღნიშნული ბრძოლის აღწერისას სომხებს საერთოდ არ ახსენებს და არც „აფხაზთა“, ლიხსიქეთის მეფის როლს წარმოაჩენს იმ ზომამდე, როგორც ეს „მატიანე ქართლისაჲში“ არის. ეტყობა, სუმბატ დავითის ძეს, „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორისაგან განსხვავებით, ეთაკილება იმის აღნიშვნა, რომ „ქართველთა საკურაპალატოს“ საქმეებში IX ს-ის 80-იან წლებში სომეხი ბაგრატუნები ჩარეულან. სუმბატ დავითის ძეს სურს დაგვარწმუნოს, რომ ბაგრატ კურაპალატის მემკვიდრეთა მიერ ნასრას განადგურებასა და ლიხსიქეთის ჯარის დამარცხებაში მხოლოდ ღვთის ხელი ერია და არა სომეხთა მეფისა. ეს კი იმის დასტურია, რომ სუმბატი ამ შემთხვევაში ტენდენციური მემატიანეა, ხოლო „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი პირველწყაროთა მიუდგომელი მეისტორიეა. მისი მიუკერძოებლობა სხვა შემთხვევებშიც კარგად ჩანს.

ქართულ-სომხურ-ალვანური სამეფო-სამთავროების ურთიერთობათა შესახებ მეტად უხვი მასალაა დაცული IX ს-ის მეორე ნახევარსა და X ს-ის პირველ მესამედში მცხოვრები სომეხი მემატიანის ჰოვჰანეს დრასხანაკერტცის „სომხეთის ისტორიაში“[27]. მასში სომხეთის, აგრეთვე მეზობელი ქვეყნების ისტორიაც გადმოცემულია უძველესი დროიდან დაახლ. 925 წლამდე. მატიანეში ვრცელი ადგილი უჭირავს ავტორის თანადროულ ამბებს. მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საყურადღებო დრასხანაკერტცის „ისტორიის“ სწორედ ეს მონაკვეთია. დრასხანაკერტცი სომეხთა კათალიკოს-პატრიარქი იყო 30 წლის განმავლობაში, 898—929 წლებში. ბუნებრივია, იგი იმჟამინდელი სომხეთის მშფოთვარე ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ძალასა და ენერგიას არ იშურებდა სომხეთის უკეთესი მერმისის შესაქმნელად. ამიტომაცაა, რომ დრასხანაკერტცის „ისტორიის“ ის ნაწილი, რომელშიც IX ს-ის დასასრულისა და X ს-ის პირველი მეოთხედის ამბებია აღნუსხული, მეტად შინაარსიანი, საინტერესო. პირველწყაროსნოვანი ფაქტებითაა დახუნძლული. აღსანიშნავია, რომ თუკი მოვსეს ხორენაცის სომხეთში „ისტორიის მამას“ უწოდებდნენ, დრასხანაკერტ-

---

25 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 260—261.

26 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 378—79.

27 Ցովհաննու կաթողիկոսի Դրասխանակերտեցւոյ Պատմութիւն հայոց, Թիֆլիս, 1912.

ცის „ისტორიკოსის“ საპატიო მეტსახელი მიაკუთვნეს, ხშირად მას იხსენიებდნენ, როგორც ჰოვჰანეს ისტორიკოსს[28].

მართალია, დრასხანაკერტცის „ისტორია“ ფრიად მნიშვნელოვანი პირველწყაროა, მაგრამ ამავე დროს ეს ავტორი ერთობ ტენდენციური მეისტორიეა. მ. დარბინიან-მელიქიანის სიტყვით, დრასხანაკერტცის „ისტორია“, საზოგადოდ, „დაღდასმულია მოვლენების სუბიექტური აღქმით, მასში ასახულია ავტორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პლატფორმა. თხზულების პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენს ერთიანი სომხური სახელმწიფოსა და ძლიერი სამეფო ხელისუფლების იდეა, რაც დრასხანაკერტცის ისტორიული კონცეფციის განმსაზღვრელია“...[29] დრასხანაკერტცის „ისტორიაში“ ტენდენციურადაა ასახული, კერძოდ, სომხეთის ურთიერთობა საქართველოსა და „ალვანეთთან“. ამის საჩვენებლად ორიოდე მაგალითს განვიხილავთ.

დაახლოებით 904 წ. ომში[30] „ეგრისის მეფეს“, იგივე „აფხაზთა“, ე. ი. ლიხსიქეთის მეფე კონსტანტინეს სომეხთა მეფე სმბატთან ერთად ებრძოდა „ქართველთა მეფე“ ადარნასეც. დრასხანაკერტცის თანახმად, ერთ მშვენიერ დღეს გამართულა სამშვიდობო მოლაპარაკება, რომლის დროსაც ადარნასეს ბრძანებით ღალატით შეუპყრიათ კონსტანტინე და სმბატისათვის გადაუციათ იგი. მალე სმბატს გაუთავისუფლებია კონსტანტინე თითქოს იმის გამოც, რომ კონსტანტინე ადარნასეს სიძე ყოფილა. ამით სომეხთა მეფეს თურმე თავისი მადლიერება გამოუხატავს ადარნასესადმი[31]. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ადარნასესა და კონსტანტინეს შორის მოხდა შეთანხმება (საზოგადოდ, ისინი ქართლისათვის და ამდენად მთელს საქართველოში პირველობის მოპოვებისათვის ებრძოდნენ ერთმანეთს) და ამის შემდეგ „ქართველთა მეფემ“ იზრუნა თავისი სიძის ტყვეობიდან განთავისუფლებისათვის. მაგრამ თვით დრასხანაკერტცისვე მომდევნო

---

28 დრასხანაკერტცისა და მისი „ისტორიის“ შესახებ იხ. იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ილ. აბულაძისა, თბ., 1937; იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა; Լ. Բաբայան, Դրվագներ Հայաստանի զարգացած ֆեոդալիզմի դարաշրջանի պատմագրության, Ե., 1981. გვ. 17—42; Մ. Դարբինյան-Մելիքյան, Հովհաննես Դրասխանակերտցու պատմական կոնցեպցիան, ՊԲՀ, 1982, № 3. ამ შრომებში მითითებულია სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაც.

29 ՊԲՀ, 1982, № 3, გვ. 125.

30 იხ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 104; შდრ. История Анонимного повествователя. Псевдо-Шапух Багратуни, Ер., 1971, გვ. 25 (მ. დარბინიან-მელიქიანის გამოცემა), გამომცემელი აღნიშნულ ომს 905—7 წლებით ათარიღებს.

31 იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 109—111.

ცნობებიდან სრულიად საწინააღმდეგო რამ ირკვევა. თავისი სიძის, კონსტანტინეს ტყვეობიდან განთავისუფლების გამო „ქართველთა მეფე“ იმდენად განაწყენებულა, რომ აშკარად გადამტერებია სომეხთა მეფე სმბატს, მისი დაუძინებელი მტერი გამხდარა[32]. დაუჯერებელია, თითქოს, სომეხთა მეფეს არ სცოდნოდა მასთან ურთიერთობაში რა ეწყინებოდა და რა გაეხარდებოდა ადარნასეს, სმბატის კარის მეზობელსა და მის ძველ, ნაცად მოკავშირეს. სომხეთის მეფე სმბატ I სულაც არ ჩანს ასეთი გულუბრყვილო პოლიტიკოსი. უბრალოდ, სმბატმა გარკვეული მოსაზრებით მიზანშეწონილად მიიჩნია ლიხსიქეთის მეფესთან დაახლოება (რაც დრასხანაკერტცის „ისტორიიდანაც“ კარგად ჩანს), თუნდაც ამას „ქართველთა მეფესთან“ დაპირისპირება მოჰყოლოდა შედეგად. დრასხანაკერტცი კი არაფრად აგდებს იმას, რომ წინააღმდეგობაში ვარდება და გვარწმუნებს, სმბატმა ადარნასეს „ხათრით“ გაათავისუფლა ლიხსიქეთის მეფე ტყვეობიდან, ხოლო ადარნასემ სამაგიეროდ არგაგონილი უმადურობა გამოიჩინაო სომეხთა მეფისადმი. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ დაახლ. 904 წ. ომში სმბატისა და ადარნასეს ურთიერთობის აღწერისას დრასხანაკერტცის ტენდენციურობას საზღვარი არა აქვს, მისი სათანადო ცნობები ოდნავადაც ვერ უძლებენ კრიტიკას. აქ ჩვენს მემატიანეს, თითქოს, აშკარად ვიჭერთ ტყუილში.

მეორეგან კათალიკოსი მემატიანე გვაუწყებს, რომ სომხეთზე უცხოელ დამპყრობთა თავდასხმის გამო იგი და მისი მხლებლები „ალვანეთს“ გაიქცნენ. მივიდნენ „ალვანელთა“ „მეფე ადარნასესთან, რომელიც კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთით იმყოფებოდა; რადგან ისინიც ჩვენი ხალხთაგანი იყვნენ და ჩვენი სამწყსოს ცხოვართაგანნი, [ამიტომ] თითოეულ ჩვენთაგანს მათგან არა მცირე ულუფა და ხარჯი დაგვიწესდა... ისინი მოვალისებურად გვიხდიდნენ ყველას საკმარისს“-ო[33].

დრასხანაკერტცის მიერ დაახლ. X ს-ის 10-იანი წლების დამლეგის ამბების აღწერისას მოხსენიებული ალვანეთის მეფე ადარნასე იგივე „მატიანე ქართლისაის“ ჰერეთის ხელისუფალი ადარნასე პატრიკია[34]. დრასხანაკერტცის სურს დაგვარწმუნოს, რომ ალვანეთი, ანუ ამ შემთხვევაში ჰერეთის სამეფო სომხეთის თითქმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. კათალიკოსი მემატიანე ამჯერად ორმაგად ტენდენციურია. ჰერეთის სამეფო იმ ხანებში სომხეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული იყო, ყოველ შემთხვევაში, ჰერე-

---

32 იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 112—118.
33 იქვე, გვ. 130.
34 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 264.

თის მეფეებს დიდი სურვილი ჰქონდათ დამოუკიდებლობისა და საქმე ისე არაა. თითქოს, ადარნასე პატრიკსა და ჰერეთის მოსახლეობას სომხეთიდან ამოსდიოდათ მზე და მთვარე, როგორც ამას დრასხანაკერტცი გვიხატავს. მხოლოდ ესაა, რომ ჰერეთის ეკლესია მნიშვნელოვანწილად ჯერ კიდევ მონოფიზიტური იყო და ამდენად, ნებსით თუ უნებლიეთ, ცნობდა სომხური ეკლესიის უზენაესობას. თუ მაინცდამაინც გავლენებზე მიდგება საქმე, ჰერეთის სამეფოს ალვანური ოლქები სომხურზე გაცილებით მეტად ქართულ გავლენას განიცდიდნენ (ჰერეთის სამეფო შედგებოდა სწორედ ქართული და ალვანური მიწა-წყლისაგან; ეს უკანასკნელი სამეფოს მნიშვნელოვან ნაწილს რომ შეადგენდა, ამიტომაც იხსენიება სომხურ და ბიზანტიურ წყაროებში ჰერეთის სამეფო ალვანეთის სახელწოდებით). ეს სულ მალე აშკარად გამოჩნდა: როგორც ზემოთ ითქვა, X ს-ის შუა ხანებისათვის, ხსენებული ადარნასე პატრიკის მემკვიდრის, იშხანიკის დროს, დინარ დედოფლის თაოსნობით ჰერეთის სამეფო კარი და მონოფიზიტური მოსახლეობაც მართლმადიდებლობაზე, „ქართულ სარწმუნოებაზე" მოიქცა. ჰერეთის სამეფოს ბედი საბოლოოდ დაუკავშირდა ქართულ სამყაროს. რა თქმა უნდა, ამ მოელენის საფუძვლები საუკუნეების მანძილზე მზადდებოდა. ესოდენ დიდი მნიშვნელობის. ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელი ფაქტი შეუძლებელია ერთი ხელის დაკვრით, წარსულში ფესვგამდგარი წანამძღვრების გარეშე მოხდეს.

ადარნასე პატრიკის დროსვე კახთა ქორეპისკოპოსი კვირიკე და ლიხსიქეთის მეფე კონსტანტინე გაერთიანებული ძალებით უტევენ ჰერეთის სამეფოს. დამარცხებულმა ადარნასემ „მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და კვრიკეს ორჭობი, ვითარ დაიზავნეს, და შემოიქცეს"[35]. თუკი ჰერეთის სამეფო სომხეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, როგორც ეს დრასხანაკერტცის ესახება, ნუთუ ჰერეთის აღნიშნულ დალაშქვრას, ადარნასეს სასტიკად დამარცხებას კვირიკესა და კონსტანტინეს მიერ სომხეთის მხრივ არავითარი გამოხმაურება არ მოჰყვებოდა? საქმეც ისაა, რომ სომხეთის მეფე-მთავრებს ჰერეთთან იმ ხანებში აღარაფერი ესაქმებოდათ. ასე რომ, დრასხანაკერტცი სომხეთ-„ალვანეთის" ურთიერთობის ხასიათის განსაზღვრისას აშკარად აზვიადებს ჰერეთის სამეფოში იმ დროს ჯერ კიდევ შემორჩენილი მონოფიზიტური აღმსაარებლობის როლს ქვეყნის ცხოვრებაში.

დაახლოებით დრასხანაკერტცის თანამედროვეა მეორე სომეხი მემატიანე, თომა არწრუნი. მისსა და სხვა, ანონიმი ავტორის სახელს

---

35 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 264.

უკავშირდება „არწრუნთა სახლის ისტორიის“ შექმნა[36]. თომა არწრუნს მიზნად დაუსახავს მატიანეში დიდი ადგილი დაეთმო თავისი მოგვარე მთავრების, არწრუნების (რომლებმაც დაუკვეთეს „ისტორიის“ დაწერა) საგმირო საქმეთა წარმოჩენისათვის, მათი სამფლობელოს, ვასპურაკანის ისტორიის გადმოცემისათვის უძველესი დროიდან X ს-ის დასაწყისამდე (თუმცაღა თ. არწრუნის თვალსაწიერში ვასპურაკანთან ერთად მოქცეულია მთელი დანარჩენი სომხეთიც და სომხეთის მეზობელი ქვეყნებიც). თავისი მოგვარე მთავრების მეხოტბე მეისტორიე, ბუნებრივია, საზოგადოდ. ტენდენციური იქნება. თ. არწრუნის ცნობები ტენდენციურია ვასპურაკანის ურთიერთობის შესახებ სხვა სომხურ სამეფო-სამთავროებთან და რაღა გასაკვირია, თ. არწრუნის „ისტორიაში“ საქართველო-სომხეთის ურთიერთობაც მიკერძოებით იყო ასახული. ისიც უნდა ითქვას, რომ თ. არწრუნი, ვითარცა მეისტორიე, პირუთვნელობის მხრივ თუ საერთოდაც მთელი თავით მაღლა დგას მისი „ისტორიის“ გამგრძელებელზე, ანონიმ ავტორზე, რომელიც ასევე არწრუნთა საგვარეულოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო და X ს-ის პირველ ნახევარში უნდა ეცხოვრა. ანონიმი ავტორი სეპარატისტი არწრუნი მეფე-მთავრების თავაწყვეტილი მეხოტბე და აპოლოგეტია.

თ. არწრუნის „ისტორიაში“ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ რამდენიმე ცნობა ავტორის არათანადროული ხანებიდანაც მოიპოვება. დრასხანაკერტცის მსგავსად, თ. არწრუნსაც აქვს მცდარი, აკვიატებული წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ საქართველო, საზოგადოდ, სომხეთს უნდა ექვემდებარებოდეს, კავკასიაში ჰეგემონის როლი, თითქოს. სომხეთმა უნდა იტვირთოს. თ. არწრუნი წინარე საუკუნეების საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებაც სწორედ ამგვარი პოზიციიდან კრებს, არჩევს მასალებს[37]. თ. არწრუნი არაერთ გამოსადეგ, სინამდვილის სწორად ამსახველ ცნობასაც გვაწვდის. ასე მაგ., ფრიად საინტერესოა მის მიერ წანართა ქართული ტომის სიმამაცის საგანვებოდ აღნიშვნა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძო-

---

[36] იხ. Թովմա Արծրունի և Անանուն, Պատմություն Արծրունյաց տան, Ինագիր հրատարակություն պատրաստեց, աշխարհաբար բարգմ. և ծանոթագր Վ. Վարդանյան, ե., 1985; Թովմա Արծրունի և Անանուն. Պատմություն Արծրունյաց տան, ներածությունը... Վ. Վարդանյանի, ե., 1978. (ქვემოთ ამ გამოცემას ვუთითებთ); Լ. Բարայան. დასახ. ნაშრომი, გვ. 43—72; ე. ცაგარეიშვილი, თომა არწრუნისა და ანონიმი ისტორიკოსის ცნობები საქართველოს შესახებ, მრავალთავი, IV, თბ., 1975.

[37] Թովմա Արծրունի և Անանուն, გვ. 59, 80—81, 189; მრავალთავი, IV, გვ. 266, 267, 270.

ლებში. წანართა სიმამაცეს კი ამიერკავკასიის სხვა ხალხებიც გაუმხნევებია სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში[38].

საქართველო-სომხეთ-ალვანეთის ურთიერთობებზე, ჩვეულებრივ, დიდ გავლენას ახდენდა ესა თუ ის დამპყრობელი, მათ შორის, არაბთა სახალიფოც. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს თ. არწრუნის ერთი ცნობაც: „რადგანაც სომეხთა ქვეყნის ზედამდგომლობა მინდობილი ჰქონდა აშოტს, რომელიც მთავართა მთავარი იყო, [იგი] შეუდგა სომეხთა, ქართველთა და ალვანთა მთავრების დამორჩილებას, რაც განახორციელა კიდეც“[39]. ისევე, როგორც სომხეთის მთავართა მთავარს აშოტ I-ს (884/5 წლიდან სომხეთის მეფეს) სომხეთის ზედამხედველობა არაბთაგან ჰქონდა მინდობილი, ქართველი და ალვანელი მთავრების დამორჩილების ნებართვაც მას სახალიფოს ხელისუფლებისაგან უნდა ჰქონოდა მიღებული. სხვანაირად ძნელი გასაგები იქნებოდა, არაბთაგან გარკვეული უფლებამოსილებით აღჭურვილი აშოტ I სომეხი მთავრების დამორჩილებასთან ერთად, იმავდროულად რად შეუდგა ანდა როგორ მოახერხებდა ქართველი და ალვანელი მთავრების დაქვემდებარებასაც. გარკვეული მიზეზების გამო არაბთა ძალაუფლება სომხეთში უფრო მტკიცე აღმოჩნდა, ვიდრე საქართველოში და ხალიფები სომეხ ხელისუფალთა მეშვეობითაც ცდილობდნენ საქართველოში თავიანთი ბატონობის გახანგრძლივებას.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ თ. არწრუნის ანონიმი გამგრძელებლის „ცოდვები“. აღსანიშნავია, რომ იგი დიდი რიხით გვაუწყებს ვასპურაკანის მეფის, გაგიკ არწრუნის (908—942) უსაზღვრო, ამასთანავე, ყოვლად უსაფუძვლო პრეტენზიების თაობაზე, საქმეს ისე წარმოგვიდგენს, ვითომც არწრუნებს შესწევდათ ძალა, მთელს ამიერკავკასიაში გაბატონებულიყვნენ. ანონიმი ავტორის ტენდენციური თვალსაზრისით, სომხეთის საზღვრები ალანთა და კასპიის კარამდე ვრცელდება[40] და რადგან მისი დიდი სურვილია, გაერთიანებული სომხეთის მეფეები არწრუნები გახდნენ, მემატიანემ თავისი ზოგადი, საფუძველსმოკლებული თვალსაზრისიდან გამომდინარე „ქართველთა ქვეყანაც“ არწრუნთა მომავალი, ოცნებებში გაელვებული, ნანატრი „იმპერიის“ ნაწილად გამოაცხადა[41].

საბოლოო სახით X ს-ში შექმნილი, მოვსეს კალანკატვაცის (კაღანკატვაცის) სახელით ცნობილი „ალვანთა ქვეყნის ისტორია“[42]

---

38 Թովմա Արծրունի և Անանուն, გვ. 190; მრავალთავი, IV, გვ. 271.

39 Թովմա Արծրունի և Անանուն, გვ. 217; მრავალთავი, IV, გვ. 277.

40 Թովմա Արծրունի և Անանուն, გვ. 288.

41 იხ. იქვე, გვ. 292; შდრ. მრავალთავი, IV, გვ. 278.

42 Մովսես Կաղանկատուացի, Պատմութիւն Աղուանից աշխարհի, Ե., 1983.

იქიდან მოყოლებული, სანამდისაც ჩვენი ცოდნა ასე თუ ისე სწვდება, მხოლოდ და მხოლოდ ძველ სომხურ ენაზე არსებობს. მართალია, „ალვანთა ქვეყნის ისტორია“ მეცნიერებისათვის, საზოგადოდ, უნიკალური ძეგლია, მაგრამ ქართულ-სომხურ-ალვანური ურთიერთობების თაობაზე IX—X სს-ში მასში ერთობ მწირი მასალაა დაცული.

„ალვანთა ქვეყნის ისტორია“ მეტად რთული აღნაგობის თხზულებაა. მასში თავმოყრილია სხვადასხვა ტიპისა და ხასიათის მასალები. მატიანეში ყოველთვის არც ერთნაირი მსოფლმხედველობაა გატარებული. ასე მაგ., „ალვანთა ქვეყნის ისტორიაში“ უფრო მეტად წინა პლანზე წამოწეულია სომხეთის როლი მთელი კავკასიის მასშტაბით, მაგრამ ზოგჯერ ხაზგასმითაა წარმოჩენილი ალვანეთის უპირატესობაც.

როგორც ჩანს, ალვანეთში შეღწევისათვის არა მარტო IX—X სს-ში, არამედ ძველთაგანვე ზრუნავდნენ ქართველი და სომეხი ხელისუფალნი, ასევე ქართული და სომხური ეკლესიებიც, რაც მათ შორის ისედაც არსებულ წინააღმდეგობებს კიდევ უფრო ამძაფრებდა. „ალვანთა ქვეყნის ისტორიაში“ ამის დამადასტურებელი არა ერთი და ორი ცნობა მოიპოვება. ის ფაქტიც, რომ ამ ძეგლის გარდა ძველ სომხურ ენაზე კიდევ შემორჩენილია თხზულებები ალვანეთის ისტორიის შესახებ[43], მეტყველებს სომხეთის საერო თუ სასულიერო ხელისუფალთა საგანგებო ინტერესებზეც ალვანეთის მიმართ. საქართველო-სომხეთის მეტოქეობაზე ალვანეთში უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

IX—X სს-ში საქართველო-სომხეთ-ალვანეთის ურთიერთობათა თაობაზე სხვა წყაროების (როგორც ქართული, ასევე სომხური) მონაცემებს ავსებს და საერთოდ უხვ მასალას გვაწვდის X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის დამდეგის ავტორის, სტეფანოს ტარონეცის, მეტსახელად ასოღიკის (რაც საეკლესიო საგალობლების შემსრულებელს ნიშნავს) ე. წ. „მსოფლიო ისტორია“. ამ მატიანეში არის ისეთი, უნიკალური ცნობები, რომლებსაც სხვაგან ვერსად ვერ ვპოულობთ[44] (ასეთია მაგ., ასოღიკისეული მასალები სახელგანთქმული ქართველი

მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ლ. დავლიანიძის გამოცემა, თბ., 1985; Мовсес Каланкатуаци, История страны Алуанк, Ереван, 1984.

43 იხ. ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968; ესაი ჰასან ჯალალიანცი, ალვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, კ. კუციას გამოცემა, თბ., 1971.

44 Ստեփանոսի Տարօնեցւոյ Ասողկեան Պատմութիւն տիեզերական, Ս. Պետերբուրգ, 1885; Լ. Բաբայան. დასახ. ნაშრომი, გვ. 114—125; Հայ ժողովրդի պատմություն, III, Ե., 1976, გვ. 326—27.

ხელმწიფის. დავით დიდი კურაპალატის. მისი საოცარი, დიადი საქმიანობის, მოღვაწეობის შესახებ). ამჟამად ჩვენთვის და საერთოდაც მეცნიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასოღიკის „ისტორიის“ მესამე, ბოლო ნაკვეთი, რომელშიც გადმოცემულია დაახლ. 120 წლის (ნოყოლებული IX ს-ის დასასრულიდან ვიდრე 1004 წლამდე) განმავლობაში მომხდარი ამბები, ცხადია, მათი ერთი ნაწილი, ის, რაც იცოდა და ამასთანავე საყურადღებოდ, აღნუსხვის ღირსად მიიჩნია მემატიანემ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ასოღიკის „ისტორიაში“ საეჭვო ღირსების მასალებიც საკმაოდ მოიპოვება და ნებსით თუ უნებლიეთ მემატიანე ყოველთვის ვერც ტენდენციურობისაგან აღწევს თავს. მის ტენდენციურობას, ალბათ, ის გარემოებაც იწვევს, რომ ასოღიკს ემჩნევა ბიზანტინოფილური განწყობილება. თავისი სამშობლოს აღმავლობის, გაძლიერების მნატვრელი მემატიანე ბიზანტიაზე გარკვეულ იმედებს ამყარებს[45], რაშიც, ცხადია, მწარედ ცდება. ბიზანტიის იმპერია სომხეთის დაპყრობაზე ფიქრობდა და არა მის აღორძინებაზე. ასოღიკის ბიზანტინოფილობით უნდა აიხსნას კერძოდ ის, რომ იგი აზვიადებს ბიზანტიის კეისრების როლს აბასიდთა სახალიფოს დასუსტების ჟამს სომეხთა მეფეების ტახტზე აყვანის საქმეში[46]. მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა, ასოღიკის „მსოფლიო ისტორია“ ფასდაუდებელი განძია ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხების შესასწავლად IX—X სს-ში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ აშკარა მოწმობაა იმ გამწვავებული ურთიერთობისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე არსებობდა ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის. უხტანეს ეპისკოპოსის „სომხეთის ისტორია“ სამი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. „ჩვენი (ე. ი. სომეხთა — ა. ა.) მეფეებისა და მამამთავართა რიცხვი“; 2. „ქართველთა გამოყოფა სომხებთან ერთობისაგან“ (ანუ „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“); 3. „ნათლისღება ტომისა, რომელსაც წადი (წათი) ეწოდება“[47]. უკანასკნელი, მესამე ნაწილი, სამწუხაროდ, დაკარგულია. უხტანესის „სომხეთის ისტორიის“ პირველ ნაწილში თხრობა იწყება დასაბამიდან და გრძელდება სომეხთა გაქრისტიანებამდე. „ისტორიის“ პირველი ნაწილი ავტორს გამიზნული უნდა ჰქონოდა, როგორც თავისებური „შესავალი“ წიგნის დანარჩენი ნაწილებისათვის. უხტა-

---

[45] Լ. Բարայան, დასახ. ნაშრომი, გვ. 123—124.

[46] Ստեփանոսի Տարօնեցւոյ... გვ. 157, 159.

[47] Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 325; შდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, გვ. 114.

ნესის „სომხეთის ისტორიის“ ეს პირველი ნაკვეთი ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მემატიანე მასში წარმოგვიდგება, ვითარცა ძველი, ოდინდელი „დიდი“, ძლიერი სომხეთის გულდამწვარი ჭირისუფალი, რომელიც მისტირის თავისი ქვეყნის დაფერფლილ დიდებას, მისი მზის ჩასვენებას. ამავე დროს, უხტანესი სულაც არაა ხელჩაქნეული მეისტორიე. იგი მებრძოლი მოღვაწეა და თავისი თხზულებით მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სომხეთის აღორძინებას, მის გაძლიერებას მომავალში.

უხტანესის მიხედვით, ლეგენდარულმა არამმა, თითქოს, სომეხთა ერთ-ერთმა მამამთავარმა, „თავისი სიმამაცით განავრცო სომხეთის საზღვრები იმდენად, რომ ყოველი ერი სომხეთს დიდს ეძახდა“[48]. როგორც ვხედავთ, უხტანესი ხაზს უსვამს, რომ ოდესღაც სომხეთი „დიდი“ სახელმწიფო ყოფილა. სიტამდეილეში „დიდი სომხეთი“ წმინდა წყლის ადმინისტრაციული ხასიათის ცნებას წარმოადგენდა. იგი გაჩნდა იმის შედეგად, რომ დანარჩენი სომხეთი განესხვავებინათ რომის იმპერიისა თუ კიდევ უფრო ადრე პონტოს სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული სომხეთის შედარებით მცირე ნაწილისაგან, ე. წ. „მცირე სომხეთისაგან“. მაგრამ სომეხმა მემატიანეებმა „დიდი სომხეთის“ ცნება სულ სხვანაირად გადაიაზრეს და მასში იმპერიის არსის განმსაზღვრელი ნიშნები დაინახეს. სომეხ მეისტორიეთა წარმოსახვაში გაელვებულ „სომხეთის იმპერიის“ მბრძანებლებს კი პირველ რიგში მთელი კავკასია უნდა დაექვემდებარებინათ თავიანთი ხელისუფლებისათვის. სწორედ ამგვარი პოზიციიდან განიხილავს უხტანესი საქართველო-სომხეთის ურთიერთობას საზოგადოდაც და კერძოდ, თავისი „ისტორიის“ პირველ ნაწილშიც. უხტანესის ტენდენციურობაზე მეტყველებს ისიც, რომ მისი „სომხეთის ისტორიის“ მეორე ნაწილს ეწოდება „ქართველთა გამოყოფა სომხებთან ერთობისაგან“ ანუ „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“. რაკი ერთ მშვენიერ დღეს, თითქოს, ქართველთა სომეხთაგან გამოყოფა მომხდარა, უხტანესის ჩანაფიქრით, ეს იმის მომასწავებელია, რომ მანამდე, საუკუნეების მანძილზე ქართველები, მათი ქვეყანა უსიტყვოდ ემორჩილებოდა სომხეთს. ამასთანავე, რამდენადაც უხტანესმა მის მიერ ვრცლად აღწერილი „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ შეიტანა წიგნში, რომელსაც „სომხეთის ისტორია“ დაარქვა, ისე გამოდის, რომ მან „ქართველთა გამოყოფა სომხებთან ერთობისაგან“ სომხეთის ისტორიის კუთვნილ ერთ-ერთ ფაქტად

---

[48] Ուխտանես Եպիսկոպոս, Պատմութիւն Հայոց, Վաղարշապատ, 1871, გვ. 29.

მიიჩნია. სხვათა შორის, უხტანესის „სომხეთის ისტორიის“ მეორე ნაწილი უფრო ვრცელია, ვიდრე პირველი, რომელიც დროის გაცილებით უფრო ხანგრძლივი მონაკვეთის მომცველია. აქედანაც უნდა ჩანდეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან, ამასთანავე არასასურველ მოვლენად თვლიდა უხტანესი სომხეთის ისტორიისათვის სომხეთისადმი თითქოს უსიტყვოდ მორჩილი „ქართველთა ქვეყნის“, ქართველთა გამოყოფას სომეხთაგან.

იმის გამო, რომ უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობის მეტისმეტად გამწვავების დასტურად მივიჩნიეთ, ცხადია, პირველ რიგში დაბეჯითებით უნდა შეგვეძლოს იმის თქმა, თუ როდის დაიწერა ეს თხზულება, როდის გამწვავდა ასე უსაშველოდ ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა. ტრადიციულად უხტანესი X ს-ის მეორე ნახევრის ავტორადაა მიჩნეული[49]. ცნობილმა ბელგიელმა მეცნიერმა, პ. პეეტერსმა უარყო უხტანესის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიღებული ქრონოლოგია, ნაყალბევად გამოაცხადა რა უხტანესის „ისტორიის“ წინასიტყვაობაში მოცემული ისტორიული ფონი და თარიღები. მან უხტანესის „სომხეთის ისტორია“ XI ს-ის მეორე ნახევრის ან XII ს-ის ძეგლად მიიჩნია. პ. პეეტერსის სათანადო არგუმენტები საგანგებოდ შეისწავლა და მათი ავკარგიანობა შეაფასა ზ. ალექსიძემ.

ზ. ალექსიძის თანახმად, XI ს-ის მეორე ნახევარი და XII ს. „ამიერკავკასიის საეკლესიო ცხოვრებაში თითქოს უფრო შესაფერისი ხანაა ქართველთა და სომეხთა განხეთქილების შესახებ ასეთი გულმხურვალე სუბიექტურობით სავსე თხზულების დასაწერად“. უხტანესის სიტყვების („ზარი, შიში და მუქარა სარწმუნოებასუსტი ადამიანებისაგან ჩვენზე... ამას არ ემაყოფილდებოდნენ, არამედ ბრძოლასა და შუღლში ებმებოდნენ, ნადირობდნენ ნაირნაირი საშუალებებით, იარაღთა ცეცხლით, აგრეთვე მრავალი სხვადასხვა ბოროტებითა და ვერაგობით“...) კითხვისას, ზ. ალექსიძის მიხედვით, „შეუძლებელია არ გაგვახსენდეს მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათვის“, რომელიც ასახავს XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე სომხეთში შექმნილ სიტუაციას“. ზ. ალექსიძის დასკვნით, „უხტანესის X ს-დან XI ს-ის II ნახევარში, ან XII ს-ში გადმოსაყვანად ურყევი საფუძველი არ მოგვეპოვება, თუმცა ასეთი შესაძლებლობა მკვლევარს მუდამ გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს“[50].

---

[49] იხ. მაგ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 325; შდრ. Լ. Բաբայան, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

[50] უ ხ ტ ა ნ ე ს ი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, ზ. ალექსიძის გამოცემა, თბ., 1975, გვ. 228—235; შდრ. ამავე წიგნის ანოტაცია.

ჩვენი აზრით, არ არის გამართლებული დაშვება შესაძლებლობისა, რომ უტტანესი XI ს-ის მეორე ნახევრის, მით უფრო XII ს-ის ან XIII ს-ის დამდეგის (მხითარ გოშის თანამედროვე) ავტორი იყოს. ვფიქრობთ, XI ს-ის მეორე ნახევარი არაა შესაფერისი ხანა უტტანესის „გულმხურვალე სუბიექტურობით სავსე თხზულების დასაწერად". ამ დროს საქართველოსა და სომხეთს ხომ თურქ-სელჩუკთა გაშანადგურებელი შემოსევები დაატყდა თავს, დაიწყო ხანა ავად სახსენებელი „დიდი თურქებისა". ასეთ ვითარებაში ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის კამათი კი არ უნდა გამწვავებულიყო, არამედ, პირიქით, უნდა მიყუჩებულიყო. ამასთანავე, როგორც კარგადაა ცნობილი, მთელი XII ს-ისა და XIII ს-ის პირველი მეოთხედის განმავლობაში საქართველოს სამეფო ხელისუფლება დაუცხრომლად, თითქმის განუწყვეტლივ იბრძოდა სომხეთის გასათავისუფლებლად მაჰმადიან მფლობელთა ბატონობისაგან. საქართველო იბრძოდა და ერთადერთს მხოლოდ მას შესწევდა ძალა, თავის ირგვლივ შემოეკრიბა მთელი კავკასია. დროის ამ მონაკვეთში არაა მოსალოდნელი, სომეხ „მამებს" შესძლებოდათ ქართული ეკლესიის (რომელიც საქართველოს სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთ მძლავრ დასაყრდენს წარმოადგენდა აღნიშნულ ბრძოლაში) წინააღმდეგ „გულმხურვალე სუბიექტურობით სავსე თხზულების" შექმნა. შესაძლოა, ცალკეული, შედარებით წვრილ-წვრილი გამოხდომები ამ ეპოქაშიც შეგვხვდეს, მაგრამ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ისეთი თანამიმდევრული ბრძოლის წარმოება, როგორიც უტტანესის თხზულებაშია, XI ს-ის II ნახევრიდან XIII ს-ის II მეოთხედამდე ჩვენ წარმოუდგენელი გვგონია.

ვფიქრობთ, პარალელის გავლებაც უტტანესისა და მხითარ გოშის თხზულებებს შორის გამართლებული არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ უტტანესის ტონი ქართული ეკლესიის მიმართ ფრიად შემტევია. აგრესიულია, განმაქიქებელია. იგი აშკარად ავლენს ანტიქალკედონურ და ამდენად ანტიქართულ განწყობილებას. პ. პეეტერსის სიტყვით. უტტანესი იყო გაბოროტებული პამფლეტისტი, ქალკედონის მიმდევართა შეურიგებელი მოძულე[51]. რა თქმა უნდა, ამგვარი „მამები" მონოფიზიტურ სომხეთში ყოველთვის შეიძლება ყოფილიყვნენ, მაგრამ XI ს-ის II ნახევრიდან XIII ს-ის II მეოთხედამდე უტტანესის თხზულების მსგავს ნაწარმოებს გასავალი არ ექნებოდა და ამდენად მისი შექმნაც არაა მოსალოდნელი. უტტანესი კი, როგორც ჩანს, „ვარაუდობდა, ან იცოდა, რომ მის მიერ დაწერილი ქართველთა და

51: იხ. უ ტ ტ ა ნ ე ს ი, დასახ. ნაშრ., გვ. 228.

სომეხთა საეკლესიო განხეთქილების ისტორია სამონასტრო საკრებულოში ხმამაღლა საკითხავი იქნებოდა"[52].

უხტანესის მიხედვით, სომეხი მოსე ეპისკოპოსის შემავიწროვებელი ქართველები „სატანას ძენი არიან და თანახმა მათი"[53]. ეს სიტყვები აწმყო დროს გულისხმობს, ე. ი. უხტანესი თავის თანამედროვე ქართველებსაც ასეთებად მიიჩნევს და არა მარტო VII საუკუნისას. მეორეგან უხტანესი წერს: „მრავალი უბოროტესი გმობა და წვალება შემოიღო ეკლესიაში ამ კირონმა თავის მომხრეებთან ერთად, ღმერთმა ხელი შეუშალოს მას და იმათაც"[54]. აქაც საერთოდ ქართული ეკლესიაა ნაგულისხმევი და არა მარტო კირიონის დროინდელი, VII ს-ისა. უხტანესისეული წყევლა-კრულვის მიზანი ისაა, რომ ქართულ ეკლესიას კირიონის მიერ გაკაფულ გზაზე, დაე, წარმატება ნუ ექნება, ხელი მოეცაროს. უხტანესის თანახმად, თითქოს, ღვთის ნებაც სწორედ ასეთი ყოფილა: „აღივსო უფლის მრისხანების ფიალა ქართველებზე, რადგან მოიცვა ისინი წყევლამ და საწყალობელმა გოდებამ, ვინაიდან არ იდგნენ უფლის აღთქმაზე და არ უნდოდათ მისი სჯულის მიხედვით სვლა"[55]. ეტყობა, ყოველივე ამით უხტანესი მოძღვრავს თავის თანამედროვე მონოფიზიტებს (გრიგორიანელებს), სომხებს და ალვანელებსაც, რომ საძრახისია მათ მიერ „ქართული რჯულის" მიღება (შესაძლებელია, უხტანესის ერთ-ერთი მიზანი ისიც ყოფილიყო, რომ თავისი' თხზულებით გაელაშქრა ჰერეთის მონოფიზიტების „ქართულ სარწმუნოებაზე" მოქცევის წინააღმდეგ[56]). ამ გზით უხტანესი იღწვოდა თავისი თანადროული სომხური ეკლესიის შერყეული პოზიციის განსამტკიცებლად. იგი ცდილობდა, ამიერკავკასიელ მონოფიზიტთა თვალში სახელი გაეტეხა იმდროინდელი მთელი ქართველობისათვის თუ არა, ქართული ეკლესიისთვის მაინც.

რაც შეეხება მხითარ ჯოშის ტრაქტატს „ქართველთათვის", მასში სრულებითაც არ ჩანს უხტანესისათვის დამახასიათებელი აგრესიულობა ქართული ეკლესიის თუ საერთოდ ქართველობის მიმართ. მხითარის ტონი მოწყალების მთხოვნელისას უფრო ჰგავს, ვიდრე უხტანესისას. იგი სთხოვს, ეხვეწება, ემუდარება თამარ მეფესა და მის სამეფო კარს, რომ ნუ დაუშვებენ სომხური მონოფიზიტური (გრიგორიანული) ეკლესიის აწიოკებას, მის დარბევას, ნუ აიძულებენ

---

52 იხ. უხტანესი, დასახ. ნაშრ., გვ. 231, 233.

53 იქვე, გვ. 71.

54 იქვე, გვ. 165.

55 იქვე, გვ. 173, 177.

56 იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 326; Լ. Բարայան, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

მონოფიზიტ სომხებს, რომ ძალდატანებით მოიქცნენ „ქართულ რჯულზე“, მართლმადიდებლობაზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველო ჯერ ჯალალ ად-დინის ურდოებმა ააოხრეს, ხოლო მერე მონღოლებმა დაიპყრეს, სომეხი „მამები“ ისევ იმაღლებენ ხმას ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, ზოგიერთ მათგანს კვლავ გაახსენდა სომხური ეკლესიის ძველი, უსაფუძვლო პრეტენზიები ქართული ეკლესიის მიმართ.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ X ს-ში (ასევე. XI ს-ის I ნახევარშიც) ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა ერთობ მშვიდია. სტეფანე მტბევარის „გობრონის წამებაც“ ამის აშკარა დასტურია. საერთოდაც, ამ საკითხთან დაკავშირებით მასალა საკმაოდ დიდი რაოდენობით არსებობს, რომელსაც ჩვენ ქვემოთ მოვიტანთ კიდეც. რამდენიმე სათანადო ცნობა მოტანილია ზ. ალექსიძის დასახ. ნაშრომშიც. ნათელია, რომ X ს-ში სომხური სამეფო-საშთავროები, მეტადრე სომხური ეკლესია ასე ადვილად არ აპირებდნენ, კავკასიაში პირველობა დაეთმოთ ქართული სახელმწიფოებისათვის თუ ქართული ეკლესიისათვის. ამის შედეგად ხშირი იყო გაცხარებული შეხლა-შემოხლა განსაკუთრებით ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის, რაც XI ს-ის პირველ ნახევარშიც გრძელდებოდა. სწორედ ამგვარი ვითარების გამოძახილია უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“.

ბიზანტიის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად XI ს. შუა ხანებიდან, მას შემდეგ, რაც დაეცა სომხური სამეფო-საშთავროები, სომეხთა კათალიკოს-პატრიარქიც სომხეთის მიწა-წყალს მოაშორეს, სომხური საპატრიარქოს რეზიდენცია საუკუნეების განმავლობაში ხან სად და ხან სად, სომხეთის გარეთ, უცხო მხარეებში მდებარეობდა. სომხური საპატრიარქო სავსებით გაუქმებასაც ბეწვზე გადაურჩა. ასე რომ, XI ს-ის II ნახევარსა და XII ს-შიც სომხური ეკლესიის ბედი სულ მთლად უკუღმა შეტრიალდა. ამიტომ ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ აღნიშნულ ეპოქაში სომხური ეკლესია ქართულ ეკლესიას კავკასიაში პირველობას ვეღარ შეეცილებოდა. ქართულმა ეკლესიამ სწორედ XI—XII სს-ში მიაღწია „თავისი ეკუმენიტარების და ძლიერების უმაღლეს წერტილს“[57].

ჩვენი აზრით, უხტანესი მიზნად იმასაც ისახავდა, რომ თავისი თხზულებით შეეგულიანებინა. წაექეზებინა სომხეთის ბაგრატუნი მეფეები, მოეწოდებინა მათთვის, რათა ებრძოლათ სომხური ეკლესიის შერყეული პოზიციების განსამტკიცებლად ამიერკავკასიაში. ეს უნდა

---

[57] კ. კეკელიძე, ეტიუდები, XI, გვ. 23.

ჩანდეს იმ ცნობებიდან, სადაც ლაპარაკია მარზპან სმბატ ბაგრატუნის საქმიანობაზე VII ს-ის დამდეგს. სმბატს სომხური ეკლესიის განმტკიცების მიზნით საეკლესიო კრების მოწვევა განუზრახავს. „ჩვენმა სმბატმაო“, „კეთილმსახურმა და ყოვლადქებულმა სმბატ მარზპანმა, რომელიც თუმცა სომეხთა ქვეყნის მეფე არ იყო, მაგრამ უმეფობის დანაკლისს ავსებდა თავისი ყველაფერზე მზრუნველობით, ყველაფერში დავითის მსგავსად, რომელიც წინუძღოდა ისრაელის ხალხს“, იზრუნაო სომხური ეკლესიის აწეწილი საქმეების მოსაგვარებლად. სმბატი „არის ჩვენი (სომეხთა — ა. ა.) ტომიდან, ჩვენ მეფეთაგან, გვარით ბაგრატუნი და ჩვენი საყვარელი, როგორც მკვიდრი და ჩვენ მეფეთა ერთსისხლი, სწორი და ღვიძლი... მფარველი და შემწე სომხეთისა... რომელმაც მაშინ, სომხეთში უხელმწიფობისას, შეავსო მეფისა და პატრიარქის უყოლობა, რადგან თავისი ბრძენი და მოაზროვნე გონებით მოიფიქრა [და] შემცდარ ეპისკოპოსთა ღალატის განზრახვა შეაფერხა, განამტკიცა მათი სუსტი გონება და კვლავ წამოაყენა დაცემისაგან...“[58].

ვფიქრობთ, აშკარაა, რომ უხტანესი ერთობ ცხოველმყოფელი ძაფებით უკავშირებს თავისი თანადროული სომხეთის ბაგრატუნ მეფეებს მარზპან სმბატ ბაგრატუნის. თუკი სმბატ მარზპანმა შეძლო ამდენი სამსახური გაეწია თავისი ქვეყნისათვის, სომხური ეკლესიისათვის, სომხეთის ბაგრატუნ მ ე ფ ე ე ბ ს მით უფრო მართებთ იზრუნონ ქვეყნისა და ეკლესიის ძლიერებისათვის. სომხეთში ბაგრატუნთა ხელისუფლება XI ს-ის მეორე ნახევრისათვის დამხობილია. ასე რომ, XI ს-ის შუა ხანებიდან თუ 60-იანი წლებიდან სომხეთის ბაგრატუნ მეფეებზე სომხური ეკლესიის გაძლიერების ვერც ერთი მეოცნებე იმედებს ვერ დაამყარებდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენი აზრით, სავსებით ბუნებრივია დავასკვნათ, რომ X ს. და XI ს-ის I ნახევარი სრულიად შესაფერი დრო იყო უხტანესის თხზულების დასაწერად. დაშვება შესაძლებლობისა, რომ „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ XI ს-ის II ნახევარსა თუ XII ს-ში, ანდა სულაც XIII ს-ის I მეოთხედშიც შეიძლებოდა დაწერილიყო, გაუმართლებელია.

X საუკუნეში საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ სხვა წყაროების მონაცემებს ნაწილობრივ ავსებს და ამდენად ჩვენთვის გარკვეულ მნიშვნელობას იძენს ფსევდო-შაპუჰ ბაგრატუნის „ისტორიაც“. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. ეს ნაწილები სხვადასხვა დროს

---

[58] უ ხ ტ ა ნ ე ს ი, გვ. 95, 97, 99, 121.

დაწერილადაა მიჩნეული[59]. მ. დარბინიან-მელიქიანი, ლ. ბაბაიანი და ე. ცაგარეიშვილი, რომლებიც ამ ბოლო ხანებში შეეხნენ აღნიშნულ საკითხს, ფსევდო-შაპუჰის „ისტორიის“ პირველ ნაწილს IX—X სს-ის თხზულებად მიიჩნევენ, ხოლო მეორე ნაწილი (ამჯერად ჩვენთვის სწორედ ისაა საინტერესო), მათი აზრით, XII ს-ის II ნახევარზე ადრე არაა ჩაწერილი, თუმცა მასში არაუგვიანეს X ს-ის ამბებია გადმოცემული (უმეტესწილად ლეგენდარული ფორმით). ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ხსენებული მკვლევარნი დიდ, თითქმის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ფსევდო-შაპუჰის „ისტორიის“ მეორე ნაწილში ქალაქ გორის მოხსენიების ფაქტს, სადაც თითქოს მომხდარა გადამწყვეტი ბრძოლა სომეხთა მეფე სმბატსა და „ლაზთა ანუ აფხაზთა“ მეფე „დატოსს“ შორის. ცნობილია, რომ ქალაქი გორი დავით აღმაშენებლის მიერაა დაარსებული. ამიტომ X ს-ის ამბებში ქალაქ გორის მოხსენიება იმის მოწმობად მიაჩნიათ, რომ ფსევდო-შაპუჰის „ისტორიის“ მეორე ნაწილი არაა არც X და არც XI ს-ის ძეგლი.

ფსევდო-შაპუჰის „ისტორიაში“ გორის მოხსენიების ფაქტის ესოდენ მყარ არგუმენტად მოხმობისას მკვლევარნი ნებსით თუ უნებლიეთ სიზუსტეს არ იცავენ. სინამდვილეში, ფსევდო-შაპუჰი სახელდებით ორჯერ იხსენიებს გორს და ორივეჯერ ქალაქს კი არა, სოფელს უწოდებს მას[60]. ამასთანავე, გორი თუ მისი სანახები სახელწოდების გარეშე იქვე კიდევ ორჯერ იხსენიება. ერთხელ ისევ სოფელი ეწოდება მას („როდესაც ისინი მიუახლოვდნენ სოფელს“-ო, ნათქვამია „ისტორიაში“ და ნაგულისხმევია გორი), მეორეგან კი ნახსენებია სიტყვა ქალაქი და ისევ გორი თუ მისი სანახები იგულისხმება: „აფხაზთა მეფემ დააგუბა მდინარის წყალი, ციხესიმაგრეს ირგვლივ [წყალი] შემოავლო და შეუძლებელი გახდა ქალაქში შესვლა ყინულის გამო, რომლითაც დაიფარა მთელი ველი“[61]. როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია ციხესიმაგრეზე, რომელშიც, შესაძლოა, უფლისციხე იგულისხმებოდეს. სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ დაახლ. 904 წ. ომის დროს ლიხსიქეთის მეფე კონსტანტინე მოწინააღმდეგეებთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ სწორედ უფლისციხეში

---

[59] იხ. История Анонимного повествователя. Псевдо-Шапух Багратуни (აქ დაბეჭდილია „ისტორიის“ ძველი სომხური ტექსტიც); Լ. Բաբայան, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—110; ე. ცაგარეიშვილი, ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო-შაპუჰი) და მისი „ისტორია“, მრავალთავი, V, თბ., 1975.

[60] История Анонимного повествователя, გვ. 188—189; მრავალთავი, V, გვ. 162.

[61] იქვე.

გამაგრდა[62]. საზოგადოდ, ძველ წყაროებში საკმაოდ არის მაგალითები იმისა, რომ ესა თუ ის ციხესიმაგრე ქ ა ლ ა ქ ა დ იწოდება და ფსევდო-შაპუჰის მოტანილ ცნობაშიც იქნებ უფლისციხეა ნაგულისხმევი. ოთხიდან ერთადერთ და ისიც საეჭვო შემთხვევაში გორი კიდეც რომ იგულისხმებოდეს ქალაქად, უფრო ბუნებრივი იქნებოდა, X ს-ის ამბებში გორის ქალაქად მოხსენიება გვიანდელი გადამწერის თუ რედაქტორის სახელთან დაგვეკავშირებინა და არ მიგვეწერა ფსევდო-შაპუჰისათვის, რადგან იგი როცა ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ი თ იხსენიებს გორს ორჯერ, ორივეჯერ სრულიად გარკვევით ს ო ფ ე ლ ს უ წ ო დ ე ბ ს მას.

რაც შეეხება სოფელ გორს, მისი მოხსენიება დავით აღმაშენებლამდე სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი. დავითმა ხომ ქ ა ლ ა ქ ი გორი დააარსა და არა სოფელი გორი. XII ს-ის დასაწყისისათვის ამ ადგილას უნდა ყოფილიყო სოფელი (ან ნასოფლარი მაინც) და მასაც გორი უნდა რქმეოდა. ასეთი თუ მსგავსი სახელწოდების სოფელი ხომ არაერთია საქართველოში. არც ისაა მოსალოდნელი, დავით აღმაშენებელს ცარიელ ადგილზე შექმნილი ქალაქისათვის მაინცდამაინც გ ო რ ი დაერქმია.

ფსევდო-შაპუჰის „ისტორიაში“ უფლისციხის (სადაც მომხდარი ბრძოლის შესახებ იუწყება მემატიანე) მაგიერ გორის მოხსენიება შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ამ ორი მომიჯნავე ადგილის სახელწოდებებიდან სომეხთათვის გორის დამახსოვრება გაცილებით უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო, ვიდრე უფლისციხისა.

ამრიგად, გორის მოხსენიების ფაქტი არ იძლევა იმის საბუთს, რომ ფსევდო-შაპუჰის „ისტორიის“ მეორე ნაწილი XII ს-ის II ნახევარში თუ მის შემდეგ დაწერილად გამოვაცხადოთ. ჩვენი აზრით, საერთოდაც არავითარი სერიოზული დაბრკოლება არ არსებობს იმისათვის, რომ ფსევდო-შაპუჰის „ისტორიის“ მეორე ნაწილი XI ს-ით დავათარიღოთ. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ ფსევდო-შაპუჰის ცნობები მეტისმეტად ტენდენციურია (მათ ზღაპრულობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) და ამ მასალის გამოყენება მხოლოდ დიდი სიფრთხილით, სხვა წყაროებთან მათი საგულდაგულო შეჯერების შემდეგ შეიძლება.

---

[62] იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 262; История Анонимного повествователя, გვ. 29 — 30; П. М. М у р а д я н, Армянская эпиграфика Грузии, Ереван, 1985, გვ. 64, შდრ. იქვე, გვ. 71—72. ფსევდო-შაპუჰისეულ სათანადო თხრობაში 904 წლის ამბებთან შერწყმული ჩანს 978 წ. ამბებიც. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სახელი „დატოს“, რომელიც უფრო სახელ თეოდოსის დამახინჯებულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე კოსტანტისას, ან თუნდაც კოსტანტოსისას.

საქართველო-სომხეთის ურთიერთობის, ასევე ამ ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობებზე ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკის ზეგავლენის შესახებ საყურადღებო მასალები მოიპოვება XI ს-ის სომეხი მემატიანის, არისტაკეს ლასტივერცის (ლასტივერტელის) „ისტორიაში“[63]. ვარდაპეტი (მოძღვარი) არისტაკესი დასავლეთ სომხეთის ერთ-ერთი, „ბიზანტიზირებული“ ოლქის მკვიდრი ყოფილა. ამის გამო მას აშკარად ემჩნევა ბიზანტინოფილური განწყობილება[64]. ლასტივერცის „ისტორია“ მემატიანის თანადროული ეპოქის შესახებ მოგვითხრობს (მასში გადმოცემულია 1000—1072 წლების ამბები), რაც ძეგლისადმი ინტერესს ერთიორად ზრდის.

მართალია, ლასტივერცი სომხეთის პატრიოტია, იგი მოთქვამს, გოდებს სომხეთის დაცემის, ბიზანტიის ხელისუფალთა მიერ სომხური სახელმწიფოს მოსპობის გამო, მაგრამ მაინც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არისტაკესს ბიზანტიის გაბატონება სომხეთში ბუნებრივად, გარდუვალობად ეჩვენება. XII ს-ის სომეხი მემატიანის, მათეოს ურჰაეცისაგან განსხვავებით, არისტაკესი ბიზანტიის იმპერიას სომხეთის შეურიგებელ მტრად არ მიიჩნევს.

XI ს-ის 10-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე 60-იან წლებამდე თითქმის განუწყვეტელი ბრძოლები მიმდინარეობდა საქართველოსა და ბიზანტიას შორის. ამისი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სომხეთისათვის მეტოქეობაც იყო. ამ დროს ლასტივერცი, ისევე როგორც სომეხთა გარკვეული წრე, ბიზანტიის ინტერესების გამომხატველი უფროა, ვიდრე საქართველოსი. მათ საქართველოსთან სომხეთის შეერთებას ურჩევნიათ, ბიზანტიამ დაიპყროს სომხეთი. რა თქმა უნდა, საერთო მტრის (იგივე ბიზანტიის იმპერიის) წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა დარაზმვის დიდი საქმისათვის ლასტივერცისა და სხვათა (მაგ., ლასტივერცის თანამედროვის, სომეხთა კათალიკოს-პატრიარქის პეტროს გეტადარძის) მსგავსი პოზიცია საზიანო იყო.

სომხეთის დაპყრობისა და აოხრების გამო არისტაკესი ბიზანტიის იმპერიას თავს არ ესხმის, აშკარად არ ამხელს მას. მაშინ როდესაც სომხეთში საქართველოს მეფის, გიორგი I-ის ერთადერთ ლაშქრობასთან დაკავშირებით დიდ აურზაურს, განგაშს ტეხავს[65]. არისტაკესის თანახმად, გიორგი I-სა და მის ჯარს სამაგიეროც მიუზღო ღმერთ-

---

[63] Պատմութիւն Արիստակէսի Լաստիվերտցւոյ, աշխ. Կ. Ցուգրաջյանի, Ս., 1963; არისტაკეს ლასტივერტელი, ისტორია, ე. ცაგარელიშვილის გამ., თბ., 1974,

[64] იხ. Повествование вардапета Аристакэса Ластивертци, М., 1968 (კ. იუზბაშიანის გამ.), გვ. 14, 28—29.

[65] არისტაკეს ლასტივერტელი, გვ. 44. 47.

მა, დასაჯა ისინი ბიზანტიის იმპერიის ხელით. მართალია, ბიზანტიის მიერ სომხეთის დაპყრობისას ამ ქვეყნის აოხრებას ლასტივერცი საკმაოდ მუქ ფერებში აღწერს[66], მაგრამ სანაცვლოდ ღმერთს არ დაასჯევინებს ბიზანტიის იმპერიას, თუმცა სულ მალე ბიზანტიას სწორედ რომ ნამდვილი ღვთის რისხვა დაატყდა თავს თურქ-სელჩუკთაგან, რის შესახებაც არისტაკესს შესანიშნავად მოეხსენება.

აღსანიშნავია, რომ ლასტივერცი ბიზანტიის იმპერიის მიერ სომხეთის დაპყრობას უფრო რამდენიმე სომხის ღალატს აბრალებს, ვიდრე იმპერიის ხელისუფლების მზაკვრულ, ვერაგულ პოლიტიკას[67]. ამგვარი ლეგენდები სომეხ ბიზანტინოფილთა წრეში უნდა ყოფილიყო შექმნილი და გავრცელებული. მის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი ცბიერებით განთქმულ ბიზანტიურ დიპლომატიასაც უნდა მიუძღოდეს. ამგვარი ვითარების შედეგია ის, რომ ბიზანტინოფილ ლასტივერცის „ისტორიის" პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის, კერძოდ, სომხეთისათვის საქართველო-ბიზანტიის ბრძოლის შესახებ ხშირად ტენდენციური ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, საკუთრივ საქართველო-სომხეთის ურთიერთობასთან დაკავშირებით ლასტივერცის „ისტორიაში" არსებულ მასალებსაც სიფრთხილით უნდა მივუდგეთ.

წყაროების ჩვენეული მიმოხილვიდან ისე გამოვიდა, რომ X—XI სს-ის ყველა სომეხი მემატიანე მეტნაკლებად ტენდენციურია საქართველო-სომხეთის, ისევე, როგორც სომხეთ-ალვანეთის ურთიერთობათა თაობაზე საუბრისას, მაშინ როდესაც IX—XI სს-ში საქართველო-სომხეთ-ალვანეთის ურთიერთობების შესახებ ქართული წყაროებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ძეგლში, „მატიანე ქართლისაჲში" სინამდვილე თითქმის ყოველთვის სავსებით ობიექტურადაა ასახული. რით უნდა აიხსნას ეს? ვფიქრობთ, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ სომხური ეკლესია მოწყვეტილი აღმოჩნდა მსოფლიო ეკლესიისაგან, შეიძლება ითქვას, იგი თავის თავში ჩაიკეტა. სომხური სასულიერო წრეების წარმომადგენლებს, მათ შორის სომეხ მემატიანეებსაც, შეუძლებელია, ყურადღება არ გაემახვილებინათ ამ გარემოებაზე. შექმნილ ვითარებაში მათ ისღა დარჩენოდათ, რომ ეროვნული ეკლესიის პოზიციის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, დიდი მონდომებით, შემართებით, ყოველგვარი საშუალებების გამოყენებით „დაესაბუთებინათ", რომ სომხური ეკლესიის გამოყოფა, მოწყვეტა მსოფლიო ეკლესიისაგან სავსებით გამართლე-

---

66 Արիստակես Լաստիվերցի, Պատմություն, Թարգմանություն Վ. Դուրգյանի, Ս., 1971, გვ. 36; არისტაკეს ლასტივერტეცი, გვ. 71.

67 არისტაკეს ლასტივერტეცი, გვ. 66, 67, 69—70.

ბულია. ამაში ბრალი, თითქოს, სომხური ეკლესიის თავკაცებს კი არა, დანარჩენი საქრისტიანო მსოფლიოს „მამებს“ მიუძღოდათ. „მართლმადიდებლები“ მონოფიზიტები, სომხები იყვნენ და არა ქალკედონიანები. ასეც რომ ყოფილიყო, მსგავსი შეხედულების არსებობა, გამუდმებით მისი დაცვა მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებთან ჭიდილში, მუდამ მისი „დასაბუთების“ გზების ძიება, მთელს საქრისტიანო სამყაროსთან დაპირისპირება, სასულიერო წრეებიდან გამოსულ სომეხ მწერალთა, კერძოდ, სომეხ მემატიანეთა ტენდენციურობისათვის ნოყიერ ნიადაგს ამზადებდა, რაც მთელს მათ თვალსაზრისს ასვამდა დაღს და არა მარტო წარმოდგენებს ეკლესიების ურთიერთობის შესახებ.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ „დიდი სომხეთის“ ცნების თაობაზე. გაცილებით ადრე გაჩენილი ეს ტერმინი X—XI სს-ში იხმარებოდა. ასე მაგ., კედრენე-სკილიცას ცნობით, ბიზანტიის იმპერატორ ბასილ ბულგართმმუსვრელს შეუთვლია ანის-შირაკის მეფე ჰოვჰანეს-სმბატისათვის: „სანამ ცოცხალი ხარ, ანისის და ე გ რ ე თ წ ო დ ე ბ უ ლ ი დ ი დ ი ა რ მ ე ნ ი ი ს მმართველად იყავიო“[68]. ამ დროისათვის „დიდი სომხეთის“ („დიდი არმენიის“) ცნება რომ სავსებით მოძველებულია, ამიტომაც ამბობს ბიზანტიელი მემატიანე, ე გ რ ე თ წ ო დ ე ბ უ ლ ი დიდი არმენიაო. მაგრამ სომხურ საისტორიო მწერლობაში X—XI სს-ში და შემდგომაც გამოთქმა „დიდი სომხეთი“ ყოველგვარი „ეგრეთწოდებულის“ დართვის გარეშე გვხვდება. ასე მაგ., ასოლიკის მიხედვით, ანის-შირაკის მეფე გაგიკ I (990 — დაახლ. 1017) „დ ი დ ი ს ო მ ხ ე თ ი ს“ მ ე ფ ე ა[69]. ამგვარ წარმოდგენებსაც თუ პრეტენზიებსაც უნდა შეეწყო ხელი იმისათვის, რომ სომეხი მემატიანეები IX—XI სს-ის საქართველო-სომხეთის ურთიერთობებს, როგორც წესი, მიკერძოებით ასახავენ. რაკი მათ სურთ დააჯერონ მკითხველი, რომ სომხეთის დიდი სახელმწიფო, ე. წ. „დიდი სომხეთი“ ძველად არსებობდა და მომავალშიც იქნება, მათი საფუძველს მოკლებული აზრით, მთელი კავკასია სომხეთის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს.

რაც შეეხება „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის გაცილებით ობიექტურ პოზიციაზე დგომას საქართველო-სომხეთის ურთიერთობებზე საუბრისას, შესაძლოა, ეს იმის შედეგიც იყოს, რომ ჩვენი მემატიანის ხანაში სომხეთი საქართველოს მეტოქეობას ვეღარ უწევდა ამიერკავკასიისა თუ მთელი კავკასიის გაერთიანების საქმეში. X—XI სს-ის

---

[68] გეორგიკა, ტ. V, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1963, გვ. 59—60; ხაზგასმა ჩვენია.

[69] Սոխիտանուի Տարօնեցւոյ... გვ. 285; იხ. აგრეთვე ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ერ ტ ე ლ ი, სომხეთის ისტორია, გვ. 189; Կ. Ցուզբաշյան, „Բագրատունյաց շրջանի“ Հայաստանը՝ միջազգային իրավունքի տեսանկյունից, ՊԲՀ, 1975, № 1, გვ. 42.

სომეხ შეწატიანეებს, ალბათ, ისიც აღიზიანებდათ, რომ სომხეთი სუსტდებოდა და ეცემოდა, ხოლო საქართველო, პირიქით, პოლიტიკურად ერთიანდებოდა, ძლიერდებოდა, აღმავლობის გზას ადგა. სომეხ მეისტორიეებს ადვილად უნდა შეემჩნიათ, რომ ამიერკავკასიის გაერთიანების ძველისძველი იდეისათვის X—XI სს-ში ქართველ მეფეებს უფრო ხელეწიფებოდათ ხორცი შეესხათ, ვიდრე სომეხ ხელისუფალთ. ეს უკანასკნელნი უკვე X ს-ის ბოლო მეოთხედიდან მთელი კავკასიის მასშტაბით ქართველ მეფეებს პირველობას ვეღარ ეცილებიან. ქართველ-სომეხ ხელისუფალთ შორის პირველობისათვის ბრძოლა კი საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და X—XI სს-ში სომხეთის მიერ პოზიციის აშკარად დათმობას დიდი შეშფოთება თუ აღშფოთება უნდა მოჰყოლოდა. სომეხი მემატიანეები კავკასიაში ქართველ ხელისუფალთა უცილობელ პირველობას ასე ადვილად ვერ შეეგუებოდნენ და ალბათ, ესეც განაპირობებდა მათ ტენდენციურობას. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის წინაშე კი ამგვარი პრობლემები არ მდგარა. მის დროს საქართველოს მეფეებს კავკასიაში ვეღარავინ უწევდა სერიოზულ მეტოქეობას. ერთადერთ ძალას. რომელსაც შეეძლო ამიერკავკასიისა და მთელი კავკასიის გაერთიანება, XI ს-ის შუა ხანებისათვის მხოლოდ და მხოლოდ საქართველო წარმოადგენდა.

IX—XI სს-ში ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობათა თაობაზე ცნობები XII—XIII სს-ის სომეხ მეისტორიეთა თხზულებებშიც მოიპოვება. მაგრამ რადგან სათანადო მასალები ბევრი არაა და, გარდა ამისა, ეს ავტორები შედარებით გვიანი ხანისა არიან, ჩვენ აქ მათ შესახებ საგანგებოდ აღარ ვისაუბრებთ. ისე კი, წინამდებარე ნაშრომისათვის გამოსადეგ ცნობებს ქვემოთ, თავის ადგილზე უყურადღებოდ არ დავტოვებთ, XII—XIII სს-ის სომხური მატიანეებიდანაც მოვიხმობთ მათ.

მიუხედავად იმისა, რომ IX—XI სს-ში საქართველო-სომხეთ-ალვანეთის ურთიერთობის საკითხებს არაერთი მკვლევარი შეხებია თავის გამოკვლევაში, აღნიშნულ ხანაში ხსენებული ქვეყნების ურთიერთობებისადმი მიძღვნილი საგანგებო სამეცნიერო შრომები თითქმის არ მოგვეპოვება. ამიტომ ამჯერად თავს შევიკავებთ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისაგან და ამა თუ იმ მკვლევარის სათანადო მოსაზრებასა თუ წვლილზე ქვემოთ, ცალკეული საკითხების შესწავლის დროს მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას.

დასასრულ, ერთ საკითხზე უნდა შევჩერდეთ. უკვე, არაერთხელ, სახელწოდება „აფხაზთა სამეფოს“ პარალელურად ჩვენ გამოვიყენეთ „ლიხსიქეთის სამეფოც“. რითაა ეს გამოწვეული? IX—X სს-ში მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველ სამეფოს იმდროინდელ წყა-

როებში ხშირად „აფხაზთა სამეფო“. „აფხაზეთი“ ეწოდება, თუმცა იმავე ხანების სომხურ წყაროებში (მაგ., დრასხანაკერტცის, ასოღიკის, ფსევდო-შაპუჰის „ისტორიებში“) იგივე სახელმწიფო ეგრისის, ლაზთა სამეფოდაც იხსენიება. აღსანიშნავია, რომ ერთი შედარებით გვიანდელი სომხური ხელნაწერის მინაწერში „ჭენთა ქვეყანა“, „აფხაზეთი“ და „შიგა საქართველო“ ერთი და იგივე ქვეყნის, დასავლეთ საქართველოს სინონიმურ სახელწოდებებადაა მიჩნეული[70]. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ „აფხაზთა სამეფო“ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა[71], მისი სატახტო ქალაქიც დასავლეთ საქართველოს გული, ქუთაისი იყო. თანამედროვენი ქვეყანას „აფხაზთა სამეფოს“ უწოდებენ მხოლოდ იმის გამო, რომ სამეფო დინასტია აფხაზეთის სამთავროდან მომდინარეობდა. მართალია, „აფხაზთა“ სამეფო დინასტიის ეროვნული წარმომავლობის შესახებ ლაპარაკი ჭირს, მაგრამ ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს XIII ს-ის სომეხი მემატიანის, ვარდანის ცნობა იმის თაობაზე, რომ IX—X სს-ის „აფხაზთა მეფეები“ ვახტანგ გორგასალის ნაშიერნი ყოფილან[72]. IX ს-ის დასასრულიდან მოყოლებული ვიდრე X ს-ის 70-იან წლებამდე „აფხაზთა მეფეები“ მთელი საქართველოს, აგრეთვე მთელი კავკასიის პოლიტიკურ გაერთიანებაზეც აცხადებდნენ პრეტენზიას. ძველი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი ხელისუფალი, სახელმწიფო მოღვაწე, ვახტანგ გორგასალიც თავის დროზე მსგავს მიზნებს ისახავდა და ეტყობა, ამის გამო გამოაცხადეს იგი IX—X სს-ის „აფხაზთა მეფეებმა“ თავიანთ წინაპრად. ეს გარემოება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ „აფხაზთა მეფეებს“ თავი ქართველებად მიაჩნდათ.

დასავლეთ საქართველო, ყოველ შემთხვევაში, მისი უდიდესი ნაწილი ისტორიულად ეგრისს წარმოადგენდა და არა აფხაზეთს (საკუთრივ აფხაზეთი შედარებით პატარა მხარე იყო დასავლეთ საქართველოში). ამიტომაც არის, რომ X—XI სს-ის სომეხი მემატიანეები ხშირად „აფხაზთა სამეფოს“ ნაცვლად „ეგრისის სამეფოს“ ან „ლაზთა სამეფოს“ იხსენიებენ. ვფიქრობთ, არაა გამართლებული, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ესა თუ ის ქვეყანა მმართველი სამეფო დინასტიის სადაურობის საფუძველზე თორმეტი საუკუნის წინათ გაჩენილი და რამდენიმე საუკუნის შემდეგ გაუჩინარებული სა-

---

70 იხ. Մայր Յուցակ Ձեռագրաց Սրբոց Յակոբեանց, հատոր առաջին, կազմեց Ն. Գոլոտրեան, Երուսաղեմ, 1966, გვ. 80.

71 იხ. მაგ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 418—422, 425—428.

72 Հաւաքումն պատմութեան Վարդանայ վարդապետի, Վենետիկ, 1862, էջ. 91—92.

ხელით იწოდებოდეს. სასურველია, ტრადიციული სახელწოდების გვერდით სინამდვილის უკეთ ამსახველი ტერმინიც შემოვიტანოთ. ამ საკითხთან დაკავშირებით მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „რასაკვირველია, არის შემთხვევები, როდესაც „აფხაზში" საკუთრივ „აფხაზი" იგულისხმება, მაგრამ „აფხაზთა სამეფო" და „აფხაზთა მეფე" არ გულისხმობს საკუთრივ აფხაზეთს. ამდენად, უფრო მართებულად მიგვაჩნია ამ სახელმწიფოს ეწოდოს ეგრის-აფხაზეთის სამეფო და მის მეფეებს ეგრის-აფხაზეთის მეფენი, როგორც მას ვახუშტი ბაგრატიონი უწოდებდა"[73]. რადგან „აფხაზთა სამეფო" ძირითადად აფხაზეთისა და ეგრისის სამთავროთა გაერთიანების შედეგად შეიქმნა, სახელწოდება ეგრის-აფხაზეთი, თითქოს, მისაღებია, მაგრამ ვფიქრობთ, მასაც ეღობება წინ ზოგიერთი დაბრკოლება. საქმე ისაა, რომ ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოში საკმაოდ მომრავლებულია ქართის ელემენტი, ქართების (ასევე მესხების) ტომის შთამომავლებით დასახლებულია მთელი ოლქები. ეს უკანასკნელი უმრავლესობას შეადგენს, კერძოდ, „აფხაზთა სამეფოს" დედაქალაქ ქუთაისში და მის სანახებში. ქუთაისი იმ ხანებში აღარც ეგრისის შემადგენელი ნაწილი იყო და მით უმეტეს, არც საკუთრივ აფხაზეთისა.

„აფხაზთა სამეფოში" ქართული ენის სახელმწიფო ენად ქცევის, ქართული კულტურის ფესვების ღრმად გადგმის შედეგად „აფხაზთა სამეფო" იგივე მეორე, ახალ ქართლს წარმოადგენდა[74]. ასეთ ვითარებაში, ჩვენი აზრით, უფრო მისაღები უნდა იყოს „აფხაზთა სამეფოს" ვუწოდოთ არა ეგრის-აფხაზეთის, არამედ ლიხსიქეთის სამეფო. „აფხაზთა სამეფოს" თანამედროვე, მენციერული სახელწოდება სიტყვა ლიხს, ლიხის მთას რომ დავუკავშიროთ, ამაში უჩვეულო არაფერი უნდა იყოს: ჯერ ერთი, „მატიანე ქართლისაჲს" ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „აფხაზთა სამეფო" სწორედ ლიხის მთამდე ვრცელდებოდა მაშინვე, როცა იგი შექმნილა[75]. მეორეც, მთელ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა აღსანიშნავად უკვე XII ს-ში დამოწმებულია სიტყვა ლიხთ-იქითნი[76]. ვფიქრობთ, ტერმინი „ლიხსიქეთის სამეფო" გაცილებით უკეთ მიგვანიშნებს, რომ ამ სამეფოში მთელი დასავლეთ საქართველო ერთიანდებოდა, ვიდრე ამას გამოხატავს სახელ-

---

73 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 421.

74 იხ. ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 591.

75 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 251.

76 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 669; იხ. აგრეთვე ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 587.

წოდება „აფხაზთა სამეფო“. დასავლეთ საქართველოს ცნება საერთოდაც მჭიდროდ უკავშირდება ლიხის მთას, ლიხის უღელტეხილს. სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოში სახელწოდება ლიხიდან მომდინარე არაერთი ტოპონიმიც გვხვდება. ცნობილია, მაგ., ლიხეთი რაჭაში, ლიხაური გურიაში და ლიხნი საკუთრივ აფხაზეთში.

ტერმინი „ლიხსიქეთის სამეფო“ აღმოსავლეთ საქართველოს ჭკვიდრთა თვალთახედვის არედან გამომდინარეობს. ამდენად, იგი შეიძლება მოუხერხებელი იყოს დასავლეთ საქართველოში მყოფი დამკვირვებლისათვის, მაგრამ რაკი ისტორიულად, კერძოდ, IX—XI სს-შიც საქართველოს გული ქართლი იყო, არაერთი, მთელს საქართველოში გავრცელებული ტერმინი შექმნილა სწორედ ქართლის პოზიციიდან გამომდინარე. გვიანი შუა საუკუნეების მთელი დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი სახელწოდებაც — იმერეთი ხომ ქართლშია შექმნილი და აქედანაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოშიც.

„აფხაზთა სამეფოს“ გვერდით სინამდვილის უკეთ ამსახველი, ამავე დროს, მარჯვე, მოქნილი, მოხერხებული ტერმინის შემოღება გამართლებულია იმითაც, რომ სახელწოდება „აფხაზთა სამეფო“ მხოლოდ რამდენიმე საუკუნის მანძილზე არსებობდა, მან ჟამთა სრბოლას ვერ გაუძლო. კვლავ ცალკე სამეფოდ გამოყოფილ დასავლეთ საქართველოს გვიან შუა საუკუნეებში, როგორც ითქვა, „აფხაზთა“ კი არა, იმერეთის სამეფო ეწოდა. დასავლეთ საქართველოს „აღწერაში“ ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს, რომ „ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი“[77]. რადგან მთელი დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად სახელწოდება „აფხაზეთი“, „აფხაზთა სამეფო“ დროის მხოლოდ გარკვეულ შუალედში გაჩნდა და არსებობდა, ვინაიდან იგი ძველ მატიანეთა ფურცლებს მაინცდამაინც დიდხანს არ შემორჩა და ვერც ისტორიულ სინამდვილეს გადმოგვცემდა მოხერხებულად, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, ვიმეორებთ, სავსებით მიზანშეწონილი უნდა იყოს, „აფხაზთა სამეფოს“ გვერდით და მის პარალელურად დავამკვიდროთ ახალი, საფუძვლიანი, მარჯვე ტერმინი. ჩვენ ჯერჯერობით ასეთად მიგვაჩნია „ლიხსიქეთის სამეფო“[78], ვიდრე ვინმე უკეთეს ტერმინს შემოგვთავაზებდეს. XIII ს-ის სომეხი მემა-

---

77 ქართლის ცხოვრება IV, გვ. 742.

78 შდრ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, „ქართლის ცხოვრება“ და... გვ. 195, შენ. 3. უნდა ითქვას, რომ დას. საქართველოს აღმნიშვნელად სიტყვა ლიხსიქეთი გვხვდება თანამედროვე ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც (იხ. მაგ., ო. ჭ ი ლ ა ძ ე, ყოველმან ჩემმან მპოვნელმან, თბ., 1981, გვ. 155).

ტიანეები მთელ დას. საქართველოს, გარკვეული მიზეზების გამო, სვანეთს უწოდებენ, მაგრამ ცხადია, არსებულ ვითარებას ამით სწორად ვერ ასახავენ. ასევე, თანამედროვე მეცნიერულ ისტორიოგრაფიაში მთელი დასავლეთ საქართველოსთვის IX—X სს-ში მხოლოდ და მხოლოდ „აფხაზთა სამეფოს“ წოდება გარკვეულ უხერხულობას ქმნის. ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ, მის პარალელურად მოვიხმოთ ტერმინიც — „ლიხსიქეთის სამეფო“.

თავი პირველი

პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში IX—XI საუკუნეებში

არაბთა სახალიფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის ამიერკავკასიისათვის წინარე საუკუნეებში გაჩაღებული ბრძოლა IX ს-შიც გრძელდებოდა და თანდათან უფრო და უფრო მეტად მწვავდებოდა. სახალიფოს გავლენა ამიერკავკასიის ქვეყნებში შედარებით სუსტდებოდა, ხოლო აღმავლობის, გაძლიერების გზაზე დამდგარი ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ გეგმებში ამიერკავკასია, მეტადრე, საქართველო და სომხეთი სულ უფრო მეტ ადგილს იჭერდა. რაც შეეხება ხაზარებს, რომლებიც VIII ს-ში ხშირად ლაშქრობდნენ ამიერკავკასიაში და არბევდნენ საქართველოს, სომხეთს, განსაკუთრებით კი ალვანეთს, მათი უკანასკნელი დიდი ლაშქრობა ამიერკავკასიაში, არაბული წყაროების მიხედვით, 799/800 წ. მოეწყო. ამის შემდეგ ხაზარები ამიერკავკასიის ხალხთათვის ძველებურად მრისხანე ძალას აღარ წარმოადგენდნენ[1].

არაბთა სახალიფოს ფეოდალური დაშლის ნიშნებმა უკვე IX ს-ის დამდეგიდან იჩინეს თავი. ჰარუნ არ-რაშიდის ხალიფობის (786—809) გარეგნულად ბრწყინვალე წლები სინამდვილეში აბასიდთა სახალიფოს ძლიერების დასასრულის დასაწყისს მოასწავებდა. სახალიფოს დღითი დღე დასუსტების მაუწყებელი იყო ის ფაქტი, რომ IX—X სს-ში მისი როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი ნაწილები სავსებით ან თითქმის დამოუკიდებელ საამიროთა მთელი ქსელით მოიფინნენ. X ს-ის შუა ხანებისათვის აბასიდთა სახალიფო ქალაქ ბაღდადით და მისი სანახებით შემოიფარგლა. სახალიფოს დაშლის წყალობით, მიუხედავად ამ დროს წარმოქმნილი ცალკეული საამიროების მძლავრობისა, მანამდე არაბთა ბატონობის უღელქვეშ მყოფ, აწ განთავისუფლებულ კულტურულ ხალხებს განვითარების ახალი შესაძლებლობა მიეცათ.

---

[1] იხ. А. П. Новосельцев, Страны Закавказья и Хазария в VIII—первой половине IX вв., წიგნში: საქართველო და აღმოსავლეთი, თბ., 1984, გვ. 192—93.

თავის მხრივ, დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ შუა აზიაში, ირანში, ამიერკავკასიაში, ეგვიპტეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არაბთა ბატონობის მოსპობა-გადაშენებაში[2].

სახალიფოს დასუსტების ჟამს ბიზანტიის იმპერია, პირიქით, თანდათან ძლიერდებოდა: „IX ს-ის მეორე ნახევარი და X ს-ის პირველი ნახევარი წარმოადგენს ხანას, როცა ბიზანტიამ შეძლო არა მარტო თავისი საზღვრების განმტკიცება, არამედ საყრდენი პუნქტების შექმნაც მეზობელ ქვეყნებზე წარმატებით შეტევისათვის. მოგვიანებით, X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის დასაწყისში, ამას შედეგად მოჰყვა ბიზანტიის სამფლობელოთა მნიშვნელოვანი გაფართოება...

განსაკუთრებით შესამჩნევი იყო წარმატებები იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე"...[3]

ჯერ კიდევ VIII ს-სა და IX ს-ის I მეოთხედში, როცა ბიზანტიას უძნელდებოდა გამკლავება სახალიფოსთან, როდესაც სახალიფომ შეავიწროვა ბიზანტია ევფრატის აუზში, ბიზანტიის კეისრები სამაგიეროდ შეეცადნენ ფეხის მოკიდებას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ამით მათ კავკასიის მთიანეთთან, აქაურ მთიელებთანაც ეწადათ მჭიდრო კავშირის დამყარება[4]. ამგვარი პოლიტიკის გამოვლინებას უნდა წარმოადგენდეს ისიც, რომ კეისრები VIII ს-ში არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში დასავლეთ საქართველოში მხარს უჭერდნენ აფხაზთა მთავრებს, რომელთა მეთაურობითაც გაერთიანდა ლიხსიქეთი VIII ს-ის დამლევს. ლიხსიქეთის მოსახლეობასა და ხელისუფლებას, ცხადია, არც ბიზანტიის პრეტენზიები მოსწონდა. მთელი დას. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ სწორედ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში შეიქმნა ე. წ. „აფხაზთა" ანუ ლიხსიქეთის სამეფო.

ცნობილია, რომ IX ს-ის დასაწყისში ქართლის ერისმთავარმა აშოტ ბაგრატიონმა უარი განაცხადა აბასიდთა სახალიფოსთან „თანამშრომლობაზე", გაეცალა ქართლს და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დამკვიდრდა, სადაც „ქართველთა საკურაპალატო", „ქართველთა" სამთავრო ჩამოყალიბდა. არაბთა წინააღმდეგ აშოტს ბიზანტიის ხელისუფლება უჭერდა მხარს. აშოტმა კეისრისაგან კურაპალატის ბიზანტიური ტიტულიც მიიღო: „ბერძენთა მეფემან მოუბოძა კურაპალატობა აშოტს, და მოუძღურებულ იყვნეს სარკინოზნი, და განდიდნა

---

2 იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 107, 113, 115, 118.

3 История Византии, т. 2, М., 1967, გვ. 188.

4 იხ. Ն. Ադոնց, Պատմական ուսումնասիրություններ, Պարիս, გვ. 152.

აშოტ კურაპალატი"[5]. რაც შეეხება საქართველოს გულს, ქართლს, აქ არაბთა ძალაუფლება IX ს-ის 60-იან წლებამდე შედარებით მტკიცე იყო მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილი სამთავროს ხელისუფალთა მიერ „ქართველთა კურაპალატის" ტიტულის მიღებით აქაური ბაგრატიონები სერიოზულად აცხადებდნენ პრეტენზიას ქართლზე.

ბიზანტიის კეისრები ცდილობდნენ სომხეთშიც მოგებინათ დასაყრდენი არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ამ მხრივ თვალსაჩინო წარმატებას ვერ მიაღწიეს. სახალიფოსათვის კიდევ უფრო ნაკლები წინააღმდეგობის გაწევა შეძლეს ბიზანტიელებმა ალვანეთში. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმაზე თუ გავამახვილებთ ყურადღებას, რომ ალვანეთში არაბებს მთელი VIII ს-ის განმავლობაში თავს ესხმოდნენ ხოლმე ხაზარები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ბიზანტიელთა მოკავშირენი იყვნენ სახალიფოსთან ბრძოლაში. საზოგადოდ, არაბთა ძალაუფლება თითქმის ყოველთვის უფრო მტკიცე იყო სომხეთსა და ალვანეთში, ვიდრე საქართველოში. არაბთა ბატონობა ქართლის მთიანეთშიც კი საკმაოდ არამყარი ჩანდა და გარდა ამისა, IX ს-ის დამდეგიდანვე პერიფერიებში წარმოქმნილი ქართული სამეფო-სამთავროები ებრძოდნენ არაბებს ქართლისათვის.

როგორც ითქვა, „აფხაზთა" (ლიხსიქეთის) სამეფო საბოლოოდ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში შეიქმნა. კეისრები ვერ ურიგდებოდნენ დას. საქართველოში თავიანთი გავლენის სავსებით აღმოფხვრას. ეტყობა, ლიხსიქეთის სამეფოს დაქვემდებარების მიზნითაც ულაშქრიათ ამ ქვეყანაში ბიზანტიის ჯარებს IX ს-ის I ნახევარში[6]. მომდევნო ხანებშიც ბიზანტიის ხელისუფლება ცდილობდა ლიხსიქეთის სამეფოს საქმეებში ჩარევას, ამ ქვეყნის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას. კეისრებს უთუოდ შეაშფოთებდათ ლიხსიქეთის სამეფოს მეტისმეტად გაძლიერება, კერძოდ, მისი პრეტენზიები მთელი საქართველოს გაერთიანებაზე და ჩრდილო კავკასიის მიმართაც. ბიზანტიის ხელისუფლება მარჯვედ, მოხერხებულად იყენებს ლიხსიქეთის სამეფოში დაახლ. 868—881 წლებში ტახტისათვის ატეხილ ბრძოლებს და ახერხებს ჩაერიოს ამ შეხლა-შემოხლაში[7]. ლიხსიქეთის სამეფოს საქმეებში ჩარევის სურვილი უნდა გასჩენოდა ბიზანტიის ხელისუფლებას X ს-ის 60—70-იან წლებშიც, როცა ლიხსიქეთს კვლავ ატყდა

---

5 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 252, აგრეთვე გვ. 376.

6 იხ. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. 2, გვ. 327—29; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 217—218.

7 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 258, 261; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 429—430.

ბრძოლა სამეფო ტახტისათვის[8]. ბიზანტიის იმპერიის მესვეურებს საერთოდაც და კერძოდ იმ ხანებში რომ არ აწყობდათ ლიხსიქეთის სამეფოს გაძლიერება, მისი (და არც სხვათა) მეთაურობით მთელი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, ამის დამადასტურებელი უნდა იყოს შემდეგი გარემოებაც. როცა X ს-ის 70-იან წლებში დავით კურაპალატს შესთავაზეს, ლიხსიქეთის ტახტზე აეყვანა თავისი გაზრდილი ბაგრატ III, დავითი მხოლოდ დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმებულა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ამ ბრწყინვალე გეგმის განხორციელებაზე. დავით კურაპალატი ერთიანი საქართველოს შემოქმედი, მისი შექმნის ყველაზე უფრო დიდი მესაძირკველეთაგანია და მისგან მსგავსი მოქმედება, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია. მაგრამ დავით კურაპალატის ყოყმანი სინამდვილეში მოჩვენებითი უნდა ყოფილიყო და იმითაც უნდა აიხსნას, რომ დავითი ასე თუ ისე ბიზანტიის კეისრის უზენაესობას ცნობდა, ხოლო ბიზანტიის ხელისუფლებას ლიხსიქეთის სამეფოს კვლავ განმტკიცება, მით უმეტეს, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლის, ბაგრატ III-ის ლიხსიქეთს გამეფება და ამით მთელი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების აშკარა პერსპექტივის გაჩენა, არამც და არამც ხელს არ აძლევდა[9].

მართალია, „ქართველთა საკურაპალატო“, რომელიც IX ს-ის დასასრულს „ქართველთა სამეფოდ“ იქცა, ბიზანტიის იმპერიის უზენაესობას აღიარებდა, მაგრამ მათ შორის დაპირისპირება უფრო შეიმჩნევა, ვიდრე ინტერესთა ერთიანობა. კეისრები ერთთავად იმის ცდაში იყვნენ, „ქართველთა საკურაპალატო“ თუ „ქართველთა სამეფო“ მაინცდამაინც არ გაძლიერებულიყო: „იმპერია ხელს უწყობდა ბაგრატიონთა სახლის წევრთა გათიშვას და მათ ურთიერთდაპირისპირებას, რაც იმპერიისადმი მათ ვასალობას უმაგრებდა ზურგს“[10].

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებით, ბიზანტიასა და „ქართველთა სამეფოს“ შორის X ს-ის I ნახევარში დიდი შეხლა-შემოხლა ამტყდარა ბასიანის საკითხთან დაკავშირებით, მისი დასაკუთრების თაობაზე. ამავე დროს, იმპერიის ხელისუფლებას არტანუჯის ხელში ჩაგდებაც განუზრახავს, მაგრამ ქართველთა ენერგიული პროტესტის შედეგად იძულებული გამხდარა ხელი აეღო ამ საქმეზე[11].

---

8 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 270—71.

9 შდრ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 11 და შემდგომი.

10 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 466.

11 გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 260—73, 280—85.

945—958 წლებში „ქართველთა სამეფოში“ მეფე არ ჰყოლიათ, მეფობა გაუქმებული ყოფილა, რაც ბიზანტიისა და „ქართველთა სამეფოს“ ინტერესთა აშკარა დაპირისპირებით, მათი ურთიერთობის მეტისმეტად გამწვავებით უნდა აიხსნას[12]. „ქართველთა სამეფო“ ოფიციალურად მაინც მხოლოდ IX ს-ის ბოლოს შეიქმნა და უკვე 945 წლისათვის აქ მეფობის გაუქმება ბიზანტიის აგრესიული პოლიტიკის დამადასტურებელია. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად გამწვავდა X ს-ის დასასრულსა და XI ს-ის I ნახევარში, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

IX ს-ში ხალიფებს დიდი ბრძოლის გამართვა უხდებათ თბილისის განდგომილი ამირების დასამორჩილებლად. თბილისის ამირებსა და სახალიფოს კარიდან მათ დასასჯელად მოვლენილ ჯარს შორის საქართველოს მიწა-წყალზე გაჩაღებულ ბრძოლებში ზოგი ქართველი ხელისუფალი თბილისის ამირას ემხრობოდა, ზოგიც მათ დამსჯელებს. ქართველი მეფე-მთავრები პირველობისათვის ბრძოლაში იმ ხანებში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ და, ბუნებრივია, ძალთა ორი მტრული დაჯგუფებიდან ყველა ქართველი მეფე-მთავარი ერთსა და იმავე დაჯგუფებას ვერ მიემხრობოდა. ასე მაგ., IX ს-ის 40-იანი წლების დამდეგს თბილისის ამირას დასასჯელად მოსულ არაბთა სარდალ ხალიდ იაზიდის ძეს და მის ვაჟს, მუჰამედს დაჰკავშირებია „ქართველთა კურაპალატი“ ბაგრატი, ხოლო კახეთის მთავარს, პირიქით, თბილისის ამირას მხარე დაუჭერია[13].

საქართველოში ბუღა თურქის ლაშქრობის დროსაც, 853 წ., ქართველი მეფე-მთავრები ერთსულოვნად არ აღსდგომიან მას წინ. უფრო მეტიც, აშოტ დიდი კურაპალატის ვაჟებიდან ერთი, სახელდობრ, ბაგრატ კურაპალატი ბუღა თურქს მიემხრო, ხოლო მეორე — გუარამ მამფალი ებრძოდა ბუღას და მომხრეებიც გაიჩინა მის წინააღმდეგ. ბუღას შეებრძოლნენ აგრეთვე ლიხსიქეთის მეფე და კახეთის მთავარი[14].

სახალიფოს დასუსტებისა და დაშლის ჟამს, IX ს-ის ბოლოს, სამხრეთ აზერბაიჯანში საჯიდთა სახელმწიფო შეიქმნა. IX ს-ის II ნახევარში საჯიანებს დიდი თანამდებობები ეკავათ სახალიფოს არმიაში. საჯიანთა დინასტიის ფუძემდებლის, აბუ-საჯ დივდადის ვაჟი, მუჰამედ იბნ აბუ-საჯ აფშინი 889/90 წ. აზერბაიჯანსა და სომხეთში ხალიფას

---

12 იხ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამ., 1949, გვ. 47—48; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. II, გვ. 475.

13 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 254—55; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 397, 471.

14 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.

ნაცვლად იქნა დანიშნული. ისარგებლა რა სახალიფოს შინაარეულობით, მისი სისუსტით, მუჰამედ აფშინმა უარი განაცხადა ხალიფას მორჩილებაზე და აზერბაიჯანის მბრძანებლად მოგვევლინა. ხალიფები ვერ ურიგდებოდნენ საჯიდთა განდგომას და დროდადრო ახერხებდნენ მათ დაქვემდებარებას[15]. საჯიდთა სახელმწიფომ, მართალია, სულ რაღაც ოცდაათიოდე წელიწადს იარსება, მაგრამ ამ შედარებით მოკლე ხნის განმავლობაშიც მოასწრო და განსაკუთრებით დიდი ვნება მიაყენა სომხეთს. მათ თარეშს ვერც აღმ. საქართველო გადაურჩა. 913/14 წ. საჯიანმა ამირა იუსუფმა („მატიანე ქართლისაცხოვრისა" აბულ-კასიმი) დალაშქრა ქართლ-კახეთი და სამცხე-ჯავახეთი. ამ დროს შეიპყრეს და აწამეს ცნობილი მიქელ-გობრონი.

როგორც ქართველ, ასევე სომეხ ხელისუფალთ XI ს-ში ბრძოლა უხდებოდათ განჯის გაძლიერებულ საამიროსთან. ეს საამირო მაჰმადიანური სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე უფრო საიმედო ბურჯს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში.

სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებდა იმას, რომ როგორც არაბთა სახალიფო, ისე ბიზანტიის იმპერიაც, როცა ამის შესაძლებლობა მიეცემოდათ, პირველ რიგში, ჩვეულებრივ, სომხეთში გაბატონებას ცდილობდნენ (ისინი სომხეთისთვისაც ეომებოდნენ ხშირად ერთმანეთს) და შემდეგ შემოდიოდნენ ჩვენში. ამ მხრივ საყურადღებო ჩანს ლასტივერტის ერთი ცნობაც. ბიზანტიის კეისარ ბასილ II ბულგართმმუსვრელს ქართველთა მეფე გიორგი I-თვის შემოუთვლია: „ის, რაც არ არის შენი სამამულო მემკვიდრეობა, დათმე და მშვიდობით იცხოვრე შენს წილხვედრ [ქვეყანაში], ნუ გადამეღობები გზაზე, რომელსაც სპარსეთს მივყავარ"-ო[16]. „სპარსეთისაკენ" მიმავალი გზის ხელში ჩასაგდებად ბიზანტია სომხეთის არაერთ ოლქში უნდა გაბატონებულიყო. გიორგი I ბიზანტიას სომხეთისთვისაც უწევდა მეტოქეობას და ამის შედეგიც იყო 1021—22 წლების დიდი ომი საქართველო-ბიზანტიას შორის.

საქართველოსთვის სომხეთი წარმოადგენდა ერთგვარ საფარს სამხრეთიდან შემოსეული მტრისაგან თავის დასაცავად, ისევე, როგორც საქართველო იყო საფარი სომხეთისათვის ჩრდილო კავკასიიდან შემოსევების ჟამს. მაგრამ IX—XI სს-ში ამიერკავკასიას ჩრდილოეთიდან არ ემუქრებოდა ისეთი საფრთხე, როგორც სამხრეთიდან. განსაკუთრებით X—XI სს-ში საქართველომ წარმატებით გადაჭრა ჩრდილო კავკასიიდან შემოსევების აღკვეთის პრობლემა. ამ დროისათვის

---

[15] იხ. М. Х. Шарифли, Феодальные государства Азербайджана второй половины IX—XI вв., Баку, 1965, გვ. 35—37.

[16] არისტაკეს ლასტივერტი, გვ. 50—51.

ხაზარები მრისხანე ძალას აღარ წარმოადგენდნენ. რაც შეეხება ჩრდილო კავკასიის მკვიდრ ტომებს (იმ ხანებში განსაკუთრებით ალანები, ოსები აქტიურობდნენ), ქართველი ხელისუფალნი ახერხებდნენ მათ მოკავშირეებად ქცევას, ხშირად თავიანთი გავლენის ქვეშ მოქცევასაც. საამისოდ ქართველი მეფე-მთავრებისათვის მძლავრ იარაღს წარმოადგენდა ქრისტიანობის გავრცელება ჩრდილო კავკასიაში. სხვათა შორის, ამ მხრივ საინტერესოა კალანკატვაცის „ისტორიაში" წარმოდგენილი შეხედულება იმის შესახებ, რომ ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაზე თავდასხმები შეწყდებოდა, უკეთუ ჩრდილო კავკასიის ტომები ქრისტიანობაზე მოიქცეოდნენ, თუკი ერთმორწმუნეობა დამყარდებოდა[17]. თუ საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფლებამ X—XI სს-ში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია ჩრდილო კავკასიელი ტომების ერთმორწმუნეებად და მოკავშირეებად გადაქცევის საქმეში, სომხეთის მეფე-მთავრებმა ვერ შეძლეს თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ საკუთრივ სომხეთსა თუ მეზობლად მდებარე მაჰმადიანური საამიროები. მათ წინააღმდეგ ბრძოლებში სომხეთი სისხლისგან იცლებოდა.

IX ს-ის დასაწყისიდანვე სომხეთში არსებული არაბული საამიროები სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომის ტენდენციას ამჟღავნებენ[18]. მათ წინააღმდეგ სახალიფოს კარიდან დამსჯელი ჯარების გამოგზავნა, ჩვეულებრივ, სომხეთის დარბევას იწვევდა. თუ ჩვენში IX—XI სს-ში ფაქტობრივად ერთი, თბილისის საამირო არსებობდა, სომხეთში შედარებით მრავლად შეიქმნა არაბული, მაჰმადიანური საამიროები. ესეც იმის დასტურია, რომ არაბობა სომხეთში გაცილებით უფრო ყოვლისმომცველი იყო, ვიდრე საქართველოში. ვფიქრობთ, სხვა მიზეზებმაც განაპირობეს ის ამბავი, რომ X—XI სს-ში სომხეთი თანდათან სუსტდებოდა, უძლურდებოდა. ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ცნობილია, რომ IX ს-ის დასაწყისში აბასიდთა სახალიფოს წინააღმდეგ სამხრეთ აზერბაიჯანში იფეთქა ე. წ. ხურამიტთა აჯანყებამ, რომელიც 837 წლამდე გაგრძელდა. 817 წ. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ბაბეკი. აჯანყება მოედო მეზობელ მხარეებსაც (ალვანეთს, ირანს) და სახალიფოსათვის ერთობ სახიფათო ხასიათი მიიღო. ხურამიტთა მოძრაობის ზოგიერთმა „ტალღამ" თავისებური ფორმით სომხეთის ერთ ნაწილსაც გადაუარა. სიუნიქის (სივნიეთის) მთავარი ვასაკი სახალიფოს კარისაგან განდგომილი ამირას, სევადას, წინააღმდეგ

---

17 მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 124.

18 იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, II, Ե., 1984. გვ. 348.

რომელიც სომხეთში დათარეშობდა, ბაბეკს დაუკავშირდა. ბაბეკმა ცოლად შეირთო ვასაკის ასული და ვასაკის სიკვდილის შემდეგ სიუნიქში გაბატონება მოიწადინა. რაკი სიუნიქის მთავრები არ დაჰყვნენ ბაბეკის ნებას, მან დალაშქრა სომხური ოლქები, დაარბია გეღარქუნის (ბელარქუნის) მხარე, ამოჟლიტა 15000 კაცი.

ხალიფა მუთასიმმა ბაბეკის წინააღმდეგ მხედართმთავარი აფშინი გაგზავნა დიდძალი ჯარით. ბაბეკმა მიაღწია დაეთანხმებინა ბიზანტიის კეისარი თეოფილე, რომ იგი თავს დაესხმოდა სახალიფოს. ამ შეთანხმების შესაბამისად ბიზანტიელებმა ილაშქრეს სომხეთში, მაგრამ დამარცხდნენ და უკან დაიხიეს[19].

IX ს-ის შუა ხანებისათვის, სომხეთში თავისი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, სახალიფოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა საგანგებო ღონისძიებებისათვის მიემართა. მისგან ამგვარი ნებიჯის გადადგმას ითხოვდა სომხეთში დამკვიდრებული ბრავალრიცხოვანი მაჰმადიანური მოსახლეობაც, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა სომეხი ნახარარების მიმართ. სომხეთის მაჰმადიანურმა მოსახლეობამ სომეხ ნახარარებს, მეტადრე სომხეთის მთავართა მთავარ ბაგარატ ბაგრატუნის და აშოტ არწრუნის ბრალად დასდეს, რომ ისინი სახალიფოს მტრები არიანო. იმავე ხანებში სახალიფოს მოხელეებსა და სომეხ ნახარარებს შორისაც არაერთი შეტაკება მოხდა. 851 წელს ხალიფა მუთავაქილმა სომხეთში ჯარი გამოგზავნა იუსუფის სარდლობით. ხალიფას იუსუფისათვის, თითქოს, აღუთქვამს, რომ მას გადასცემდა აჯანყებული სომეხი მთავრების, ბაგარატ ბაგრატუნისა და აშოტ არწრუნის სამფლობელოებს, უკეთუ იუსუფი შეძლებდა ბორკილებდადებული მიეყვანა ისინი აბასიდთა სახალიფოს იმდროინდელ სატახტო ქალაქ სამარაში. იუსუფმა მოახერხა კიდეც ბაგარატ ბაგრატუნის დატყვევება, მაგრამ აჯანყებულმა სომხებმა სიცოცხლეს გამოასალმეს არაბი სარდალი. ამბოხებულ სომეხ ნახარარებს შეუერთდა სომხეთის ერთ-ერთი ამირა, მუსა იბნ ზურარაც.

სახალიფოს ურჩი ადგილობრივი მთავრებისა და განდგომილი არაბი ამირების დასასჯელად ხალიფა მუთავაქილმა 852 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიის ქვეყნებში ურიცხვი, უთვალავი ჯარით ბუღა თურქი გამოგზავნა. თავდაპირველად ბუღა თურქმა სომხეთის დარბევას მიჰყო ხელი. უწინარეს ყოვლისა, იგი თავს დაესხა მუსა იბნ ზურარას, რომელსაც თვლიდა დამნაშავედ იუსუფის მოკვლის გამო. ბუღამ დაატუსაღა მუსა თავის ძმებთან ერთად და ხალიფა მუთავაქილს გაუგზავნა. ბუღამ შეიპყრო აგრეთვე ბაგარატ ბაგრატუნის ვაჟე-

---

[19] იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, II, ե., 1984, გვ. 351.

ბიც, აშოტი და დავითი, აშოტ არწრუნი და მრავალი სხვა სომეხი ნახარარი. ცხადია, ამ დროს არაერთი სომხური ოლქი აღმოჩნდა, რაც შეეხება ბაგარატ ბაგრატუნის ძმას, სმბატ სპარაპეტს (მხედართმთავარს), რომელიც ბაგარატის შემდეგ სომხეთის მმართველად ითვლებოდა, იგი მიუვიდა, დამორჩილდა ბუღა თურქს, ცდილობდა რა მორიგებას. საერთო ენის გამონახვას მასთან. სმბატ სპარაპეტი, ძალაუნებურად, მონაწილეობდა სომხეთისა და მთელი ამიერკავკასიის ამაოხრებელი, ამკლები ბუღა თურქის ლაშქრობებში. მაგრამ საბოლოოდ ბუღამ არც სმბატ სპარაპეტი დაინდო, ისიც დაატყვევა. ბუღა თურქი 855 წლამდე დარჩა სომხეთში, ვითარცა ხალიფას ნაცვალი ამ ქვეყანაში. მის ბობოქრობას და ავკაცობას ბოლო არ უჩანდა.

ბუღა თურქის მიერ დატყვევებელი და სამარაში გაგზავნილი სომეხი ნახარარების უმრავლესობა იძულებული გახდა მაჰმადიანობა მიეღო. მათ შორის იყვნენ ბაგარატ ბაგრატუნი, აშოტ და ვასაკ არწრუნები, სიუნიქის მთავარი ვასაკი, მისი ძმა აშოტი და სხვები. ზოგიერთმა ნახარარმა კი რჯულის გამოცვლას, გამაჰმადიანებას მოწამეობრივი სიკვდილი ამჯობინა. მათგან ყველაზე ცნობილი პიროვნებაა სმბატ სპარაპეტი, რომელსაც შთამომავლობამ აღმსაარებელი უწოდა.

861 წელს თურქი სარდლების მიერ მოკლულ იქნა ხალიფა მუთავაქილი, რასაც სახალიფოს შემდგომი დაშლა და დასუსტება მოჰყვა შედეგად. სომხეთის სპარაპეტმა, სმბატ აღმსაარებლის ვაჟმა, აშოტ ბაგრატუნიმ ისარგებლა სახალიფოს მდგომარეობის გართულებით და მიაღწია იმას, რომ 862 წელს სახალიფოს ხელისუფლებამ იგი სომხეთის იშხანაც იშხანად (მთავართა მთავრად) იცნო. ამიერიდან სომხეთში სახალიფოს ძალაუფლება აშკარად სუსტდება[20]. ამავე ხანებიდან სომხეთში შეღწევას დაბეჯითებით ცდილობს, მიზნად ისახავს აღმავლობის გზაზე დამდგარი ბიზანტიის იმპერია. სახალიფოს, რომელსაც სომხეთი თავის საბატონო ქვეყნად მიაჩნდა, გადაწყვეტილი აქვს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, არ დაუშვას ბიზანტიის მიერ სომხეთის ხელისუფალთა მიმხრობა და ამიტომ გარკვეულ შეღავათებს ანიჭებს მას.

თუ რაოდენ მძაფრი იყო ბიზანტიისა და სახალიფოს დაპირისპირება სომხეთისათვის, ეს კარგად ჩანს ტარონის ბაგრატუნთა სომხური სამთავროს მაგალითზეც. ტარონის მთავრები ცდილობდნენ მოხერხებულად გამოეყენებინათ ბიზანტია-სახალიფოს წინააღმდეგობები, მაგრამ ბიზანტიელები თითოეულ მათ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდნენ. კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად, ტარონის მთავარი

---

20 იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, II, ს., 1984, გვ. 352—61.

გრიგორი, თანამედროვე ბიზანტიის იმპერატორ ლეონ VI-ისა (886—912), სიტყვით კეისრის მეგობრობაზე დებდა თავს, „ნამდვილად კი სარკინოზთა მბრძანებლის სასიამოვნოდ აკეთებდა საქმეებს...“[21] ბიზანტიის ხელისუფლება ყოველი ღონით ცდილობდა დაესწრო მოწინააღმდეგისათვის ტარონში გაბატონება და საბოლოოდ მიზანსაც მიაღწია[22].

ბიზანტიის იმპერიის შეტევა არაბული, მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ X ს-ის 20-იანი წლებიდან მოყოლებული კიდევ უფრო გაძლიერდა და თანდათანობით მოიცვა ზემო ევფრატის აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალი, კერძოდ, სომხეთის მთელი რიგი ოლქებიც. მაგრამ სომეხთა მეფეები არც იმის მომხრე იყვნენ, რომ სომხეთში ბიზანტია გაბატონებულიყო. უფრო მეტიც, როცა X ს-ის 20-იან წლებში იოანე კურკუასის მეთაურობით ბიზანტიის ჯარი შეიჭრა სომხეთში და დვინის აღება დააპირა, სომეხთა მეფე აშოტ II ერკათი (914—929) ბიზანტიელთა წინააღმდეგ დვინის ამირას მიეშველა. საქმე ისაა, რომ აშოტ ერკათის ჩანაფიქრით, არაბობამდელი სომხეთის დედაქალაქი დვინი კვლავ სომეხთა კუთვნილება უნდა გამხდარიყო და არა ბიზანტიელებისა. როგორც ეტყობა, აშოტ ერკათმა თავისი მეფობის გარკვეული მომენტიდან სწორედ ანტიბიზანტიურ პოზიციაზე დადგომის წყალობით მიიღო ხალიფასაგან შაჰანშაჰის („მეფეთა მეფის“) ტიტული.

დვინის წინააღმდეგ წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ იოანე კურკუასმა დაიპყრო მაჰმადიანთა ხელთ მყოფი სომხეთის ქალაქები, ხლათი და ბაღეში. 931 წელს ბიზანტიელები დიდძალი ჯარით შევიდნენ სომხეთში, კვლავ ააოხრეს ხლათი, აგრეთვე ბერკრი. ამ ლაშქრობის დროს იოანე კურკუასმა აიძულა ვასპურაკანის სომხური სამეფოს ხელმწიფე გაგიკ არწრუნი, რომ წერილობით მიემართა რომანოს კეისრისათვის, რათა მას მიეღო სომხები თავისი მფარველობის ქვეშ. იოანე კურკუასის ამ დიპლომატიურმა ნაბიჯმა ხელი შეუწყო ბიზანტიის იმპერიის მიერ ვასპურაკანის სამეფოს დაპყრობის გეგმის იმთავითვე შემუშავებას.

ბიზანტიის ჯარის წარმატებამ შეშფოთება გამოიწვია სახალიფოში. სახალიფოს ჯარებმა მიაშურეს სასაზღვრო ზონას, რომელიც ძირითადად შუამდინარეთიდან ზემო ევფრატის ოლქებამდე ვრცელ-

---

21 გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. 2, გვ. 235—36.

22 სომხეთისათვის ბიზანტიისა და სახალიფოს (თუ სახალიფოს დაშლის შედეგად წარმოქმნილი ცალკეული მაჰმადიანური სახელმწიფოების) სასტიკ მეტოქეობაზე იხ. აგრეთვე იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 36—39, 60—63; Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 29.

დებოდა. ამ რეგიონში ბიზანტიის იმპერიას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ჰამდანიდები. X ს-ის შუა ხანებისათვის ზემო შუამდინარეთი და ჩრდილო სირია სწორედ ჰამდანიდების სამფლობელოს წარმოადგენდა. ჰამდანიდთა სახელმწიფო ესაზღვრებოდა სომხეთს, რომელსაც ისინი ხშირად ესხმოდნენ თავს. ჰამდანიდებმა ზოგიერთი სომხური ოლქი დაიპყრეს კიდევაც. მათ განსაკუთრებით ცუდ დღეში ჩააგდეს ტარონის სომხური სამთავრო, თავიანთ მარწუხებში მოაქციეს იგი[23].

X ს-ის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული XI ს-ის შუა ხანებამდე სომხეთისათვის ბრძოლაში ბიზანტიის იმპერიის ყველაზე უფრო ძლიერ, საშიშ მეტოქედ საქართველო იქცა. ვფიქრობთ, აღნიშნულ ეპოქაში „სომხეთის საკითხის" გადაჭრის აუცილებლობა ძირითადად ეროვნულ-ეკლესიურ-ეროვნულ-ეკლესიურ ნიშნველოვანწილად განაპირობებდა საქართველო-ბიზანტიის გაუთავებელ შეტაკებებს, ხშირად ამ „ერთმორწმუნე" სახელმწიფოებს შორის საშინელი სისხლისღვრით რომ მთავრდებოდა. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ საკითხებს ცალკე თავი მივუძღვნათ და ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

თუ ბიზანტიის იმპერია IX—XI სს-ში უპირისპირდებოდა აბასიდთა სახალიფოსა და მის ნანგრევებზე აღმოცენებულ მაჰმადიანურ პოლიტიკურ ერთეულებს საქართველოსა და სომხეთში თავისი გავლენის გავრცელების მიზნით, ამასვე ვერ ვიტყვით ალვანეთის მიმართ. ბიზანტიის იმპერია ალვანეთისათვის ბრძოლას IX—XI სს-ში თითქმის სრულებით ვეღარ ახერხებდა. ალვანეთში ჯერ სახალიფომ, ხოლო მისი დაშლის შემდეგ საამიროებმა შედარებით მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. მაჰმადიანობამაც იძალა კავკასიის ამ ძირძველ ქვეყანაში. შეიძლება ითქვას, რომ XI საუკუნისათვის ძველი, საქრისტიანო ალვანეთი აღარც არსებობდა. მისი დიდი ნაწილი გამაჰმადიანდა, ზოგიერთი ოლქის მოსახლეობა კი მონოფიზიტობას, „სომხურ ქრისტიანობას" აღიარებდა და თანდათან სომხდებოდა. ასევე, არაერთი ალვანური ოლქის მოსახლეობამ გამაჰმადიანებას ან გასომხებას მართლმადიდებლობაზე, „ქართულ რჯულზე" მოქცევა არჩია და თანდათან ქართველდებოდა. ალვანეთში შექმნილი ვითარების შესახებ შედარებით ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

ზოგადად IX—XI სს-ის ამიერკავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენ ასე გვესახება: აბასიდთა სახალიფოს დასუსტების, დაშლის შედეგად და ზოგჯერ მისი მოქიშპე ბიზანტიის კეისრების მხარდაჭერითაც ამიერკავკასიაში არაერთი ქართულ-სომხურ-ალვანური

---

23 იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 65—68.

სამეფო-სამთავრო შეიქმნა. ამ სამეფო-სამთავროთა ხელისუფალნი სრული დამოუკიდებლობისაკენ, თავიანთი სამფლობელოების გაფართოებისაკენ მიისწრაფოდნენ. ძირითადად უცხოელ დამპყრობთა (საბალიფოს, მაჰმადიანური საამიროებისა და ბიზანტიის) დაუსრულებელი შემოტევების გამო ქართულ-სომხურ-ალვანური სამეფო-სამთავროების შემდგომი განვითარება, გაზრდა-გაფართოება, გაძლიერება ხშირად ფერხდებოდა. საქართველო-სომხეთ-ალვანეთში არაერთი პოლიტიკური ერთეული მომხდურთა აგრესიის მსხვერპლიც გახდა. ამასთანავე, დამპყრობლები არცთუ იშვიათად ქართულ-სომხურ-ალვანური სამეფო-სამთავროების ერთმანეთისადმი წაკიდებასაც ახერხებდნენ. არა ერთხელ და ორჯერ საკუთრივ ქართული ან სომხური პოლიტიკური ერთეულებიც დაუპირისპირებიათ მათ ერთმანეთისათვის. უცხოელი დამპყრობლები ყოველთვის ცდილობდნენ ცნობილი პრინციპის — „გათიშე და იბატონე“ — გამოყენებას. ასეთ ვითარებაში სომხური და ალვანური სამეფო-სამთავროები საბოლოოდ ვერ გაუმკლავდნენ მტერთა შემოტევას, ვერც შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევა შეძლეს და ყოველივე ამის შედეგად XI ს-ის შუა ხანებისათვის (როცა ადრინდელ აგრესორებს ახალი, კიდევ უფრო საშიში, ველური ძალა დაემატა თურქ-სელჩუკთა სახით) აღარც ალვანური და აღარც რამდენადმე მნიშვნელოვანი სომხური სამეფო-სამთავროები აღარ არსებობდნენ, ისინი დაეცნენ, გაქრნენ ისტორიის სარბიელიდან. ცალკეულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებსა და გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოსაც არაერთხელ დაემუქრა საშინელი, საბოლოო საფრთხე, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენმა ქვეყანამ გაუძლო განსაცდელს, მოიგერია გადამთიელთა შემოტევები და ამიერკავკასიის, ასევე მთელი კავკასიის პოლიტიკური გაერთიანების ისტორიული მისიაც საქართველოს ხვდა წილად.

თავი მეორე

ქართველი, სომეხი და ალვანელი ხალხების ერთობლივი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ IX—XI საუკუნეებში

მიუხედავად უცხოელ დამპყრობთა ცდებისა, ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ ქართულ-სომხურ-ალვანური სამეფო-სამთავროები, ამიერკავკასიის ხელისუფალნი, ხალხები არაერთხელ დარაზმულან, ერთობლივი ძალებით დაპირისპირებიან საერთო მტერს, რადგან მომხდურთა ურდოებთან გამკლავება სხვაგვარად ძალზე ძნელი, ზოგჯერ შეუძლებელიც კი იყო.

როგორც ეტყობა, „ქართველთა საკურაპალატოს" დამფუძნებელი, აშოტ დიდი კურაპალატი ძლიერი ხელისუფალი ყოფილა. „მატიანე ქართლისაჲს" თანახმად, „განადიდა უფალმან მ ე ფ ო ბ ა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა"[1]. როგორც ვხედავთ, თავისი პირუთვნელობით ცნობილი მემატიანე აშოტ კურაპალატის მ ე ფ ო ბ ი ს შესახებაც კი ლაპარაკობს. თუ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" სათანადო მონაცემებსაც გავიხსენებთ[2], იქნებ, მართლაც დასაშვები იყოს, რომ აშოტ დიდი ბაგრატიონი მეფის ტიტულსაც ატარებდა, ან პრეტენზიას მაინც აცხადებდა ამ ტიტულის მიღებაზე, თუმცა „ქართველთა სამეფოს" არსებობა უკვე ამ დროს, IX ს-ის I მეოთხედსა თუ შესამედში, ოფიციალურად აღიარებული არ ყოფილა. სუმბატ დავითის ძის მიხედვით, აშოტ ბაგრატიონი ძლიერი ხელისუფალი გამხდარა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დამკვიდრდებოდა: „აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოსა მისსა და მაშინ გაძლიერდა ჯელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა. და ვერ უძლო წინააღდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 252; ხაზგასმა ჩვენია.

2 იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1947, გვ. 107, 109—111.

მათგან...“ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადასულმა აშოტ კუ-
რაპალატმა ძალა მოიკრიბა, რის შემდეგაც იგი „კუალად ეუფლა
ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“...[3]

წყაროთა ერთმხრივი ჩვენებით, აშოტ დიდი ბაგრატიონი ხშირად
წარმატებით ებრძოდა არაბებს. მას თავისი სამფლობელო, თითქოს,
ბარდავამდეც კი გაუფართოებია. ყოველ შემთხვევაში. სავსებით შე-
საძლებელია, აშოტ დიდს ალვანური ოლქებისთვისაც ებრძოლა. სა-
ფიქრებელია, ამ ბრძოლაში მისი მოკავშირე გამხდარიყო ბარდავის
სანახებში თუ მეზობლად მცხოვრები ალვანური მოსახლეობის ერთი
ნაწილი მაინც.

ქართველები, სომხები და ალვანელები, იმდროინდელი შეხედუ-
ლებით, საერთო მტერს, კერძოდ, მაჰმადიან მფლობელებს ერთობლივი
ძალისხმევით უნდა დაპირისპირებოდნენ იმის გამოც, რომ ისინი ქრის-
ტიანები იყვნენ. მართალია, ქართველები ქალკედონიანებად ითვლებოდ-
ნენ, ხოლო სომხები და ალვანელთა უმრავლესობა — მონოფიზიტებად
(რაც ხშირად მათ შორის დაპირისპირებას იწვევდა), მაგრამ მიუხედავად
ამისა, ქრისტიანობა მაინც ის დედაბოძია, საყრდენია, რომელიც „ურ-
ჯულოთა“ წინააღმდეგ შეთანხმებული, ერთსულოვანი მოქმედების
საკმაოდ მტკიცე საფუძველს ქმნიდა. ამის დამადასტურებელი მასა-
ლები მოიპოვება როგორც ქართულ, ასევე სომხურ წყაროებშიც. ასე
მაგ., „მატიანე ქართლისაჲს“ თანახმად, საქართველოს მეფე ბაგრატ
III-მ და სომეხთა მეფე გაგიკ I-მა გაერთიანებული ძალებით შეუ-
ტიეს, „მიმართეს ფადლონს, დიდად განლაღებულსა, მ ო ძ უ ლ ე ს ა
ქ რ ი ს ტ ე ა ნ ე თ ა ს ა“[4]. განჯის მაჰმადიანი ამირა ფადლონი, თითქოს,
ყველა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ი ს, მთელი ს ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ს საერთო
მტერი ყოფილა.

ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი მოქმედება დასტურდება
ბუღა თურქის წინააღმდეგ ბრძოლაში. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით,
ბუღამ „აღიყვანა მთიულთაგან მძევალნი, კაცი სამასი, და ლამრბდა
შესლვასა ოვსეთად, და შევიდა ცხავატამდის. ხოლო აბულაბაზ სო-
მეხთა ერისთავმან და გუარამ აშოტის ძემან მიუწერეს მთიულთა,
რათა არა შეუშუან. ხოლო მათ გაწირნეს მძევალნი მათნი. უშუელა
ღმერთმან: რამეთუ მოვიდა თოვლი, დაუდგეს წინა და შეებნეს: მოს-

---

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 376—77; იხ. აგრეთვე ქრესტომათია, I, გვ-
111—112.

4 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 280; ხაზგასმა ჩვენია.

ცა ღმერთმან ძლევა, და მოკუდა ურიცხვ ერი სარკინოზთა“... ბუ-ღა თურქი „შეიქცა გარე და დაიზამთრა ბარდავს“[5].

როგორც ირკვევა, „მატიანე ქართლისაჲსეული“ აბულაბაზი იგივე სომხეთის მმართველი, შემდგომში აღმსაარებლად წოდებული სმბატ სპარაპეტია[6]. ბუღა თურქის წინააღმდეგ გუარამ მამფალისა და აბუ-ლაბაზ სომეხთა ერისთავის (სმბატ სპარაპეტის) ერთობლივი მოქმე-დება ერთი შეხედვით მოულოდნელია, რადგან არაბ დამპყრობთა მი-მართ მათი დამოკიდებულება სულ სხვადასხვანაირი ჩანს. გუარამ მამფალი, გარდა იმისა, რომ ბუღა თურქს ებრძოდა, სხვა დროსაც. ყოველთვის უპირისპირდებოდა არაბებს[7]. შეიძლება ითქვას, რომ გუა-რამ მამფალი „ანტიარაბული ფრონტის ერთგვარი ორგანიზატორია ამიერკავკასიაში[8]. ამასვე ვერ ვიტყვით სმბატ სპარაპეტზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, სმბატი ამიერკავკასიაში მოსულ ბუღა თურქს, გარ-კვეული პოლიტიკური მოსაზრებით, წინ მიეგება, მეგზურობას უწევ-და მას. მაგრამ ირკვევა, რომ სმბატის მოქმედებით ბუღა თურქი კმა-ყოფილი მაინც არ ყოფილა. ბუღამ ხომ ბოლოს სმბატიც შეიპყრო და ბორკილებგაყრილი სამარაში გაგზავნა, სადაც მას წამებით ამოხადეს სული. სმბატ სპარაპეტს, თითქოს, მოუნანიებია ბუღა თურქის მხარეს გადასვლა, გამაჰმადიანებაზეც სასტიკი უარი განუცხადებია და ამი-ტომაც უწოდებიათ მისთვის აღმსაარებელი[9].

სმბატ სპარაპეტი აშკარად არასოდეს დაპირისპირებია ბუღა თურქს, გარეგნულად ბოლომდე, თითქოს, მის ერთგულ თანაშემწედ რჩებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ბუღას მეშვეობით სმბატმა ვერ მიიღო იმდე-ნი, რამდენსაც ელოდა. ბუნებრივია, სმბატს ბუღა თურქის ჯარების მიერ არც სომხეთის ოლქების აკლება მოეწონებოდა. ამის გამო სმბატს გადაუწყვეტია, ფარულად ბუღა თურქის მოწინააღმდეგე ძა-ლებს დაკავშირებოდა, თავისი წვლილი შეეტანა მის დამარცხებაში.

ისმის კითხვა: რამ წარმოშვა საჭიროება, ბუღა თურქის წინააღ-მდეგ ქართველ მთიელთა ასამხედრებლად გუარამ მამფალთან ერთად „აბულაბაზ სომეხთა ერისთავიც“ (სმბატ სპარაპეტი) გარჯილიყო? ჩვენი აზრით, ეს ასე შეიძლება აიხსნას: როგორც უკვე ითქვა, „ქარ-თველთა კურაპალატი“ ბაგრატ I, გარკვეული მიზეზების გამო, ბუღა თურქს მიემხრო. ასეთ ვითარებაში გუარამ მამფალისათვის ადვილი

---

5 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.

6 იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, „ქართლის ცხოვრება“ და... გვ. 196—199.

7 იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 257.

8 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 473; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 74.

9 Հ. Հ ա ր ա ր յ ա ն յ ա ն, Հայաստան IX—XI դարերում, Ե., 1959, გვ. 14.

არ უნდა ყოფილიყო მთიულთა ამხედრება ბუღას ურდოების წინააღმდეგ. ამის გამო გუარამს, როგორც ჩანს, განუზრახავს ესარგებლა სმბატ სპარაპეტის უკმაყოფილებით ბუღა თურქისადმი. სმბატის განწყობილება გუარამისათვის უცნობი არ იქნებოდა იმიტომაც, რომ სმბატი, იგივე „აბულაბაზი“ გუარამ მამფალის სიმამრი ყოფილა[10]. სმბატ სპარაპეტის გადმობირებით გუარამს უფრო ადვილად შეეძლო დაერწმუნებინა მთიულები, რომ ბუღას ურდოების უძლეველობის მითი არაა დასაჯერებელი: აი, დღემდე ბუღა თურქის მოკავშირე, სომხეთის უპირველესი ხელისუფალი, „აბულაბაზ სომეხთა ერისთავი“, რომელსაც არაბული სახელიც კი მიუღია, განუდგა ბუღას და ჩვენს ბანაკში გადმობარგდაო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თ. არწრუნის „ისტორიაში“ საყურადღებო ცნობები მოიპოვება წანართა ქართული ტომის სიმამაცეზე. წანარებს დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ, კერძოდ, ამიერკავკასიის ხალხთა ამკლები მტარვალისათვის, ბუღა თურქისათვის. ბუღას ვერ მოუხერხებია მათი დამორჩილება. იგი იძულებული გამხდარა გასცლოდა წანართა ციხესიმაგრეებს. საზოგადოდ, წანართა არაჩვეულებრივი, განსაცვიფრებელი სიმამაცის ამბავი იმდენად გავრცელებულა, რომ დამპყრობელ არაბთა შორის გაჩენილა გადმოცემა, თითქოს წანარები არაბული წარმოშობისა ყოფილიყვნენ[11].

მას შემდეგ, რაც ბუღა თურქი იძულებული გახდა შეეწყვიტა ბრძოლა წანართა წინააღმდეგ, მისი ჯარი ალვანეთს, კერძოდ, არცახს, მთიან ყარაბაღს შეესია. თ. არწრუნის ცნობით, არცახის გამგებელს, ესაი აბუ მუსას წანართა მაგალითით შეუგულიანებია თავისი მეომრები. არცახის მთავარს ასე მიუმართავს მათთვის: „რად უნდა ვიყოთ წანარებზე ნაკლები ვაჟკაცები“[12]. თომა არწრუნისვე თანახმად ბუღა თურქის ურღოებთან შებმისას წანართა გმირობის ამბავმა გამოძახილი ჰპოვა შედარებით შორეულ, ვასპურაკანის სომხურ სამთავროშიც. მეშატიანე გვაუწყებს: „ამავე დროს [მათ], რომლებიც დარჩენილიყვნენ არწრუნთა სახლიდან, რ ო გ ო რ ც კ ი ე ს მ ა თ ს ა მ ე ფ ო ჯ ა რ ი ს (სახალიფოს ჯარის — ა. ა.) დ ა მ ა რ ც ხ ე ბ ა წ ა ნ ა რ თ ა გ ა ნ, მოვიდნენ ერთ ადგილს, შეადგინეს გუნდი ქვეითი თანამებრძოლებისა

---

10 ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 198—199.

11 იხ. В. Ф. М и н о р с к и й, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

12 Թովմա Արծրունի և Անանուն გვ. 190; შდრ. მრავალთავი, IV, გვ. 271. არცახელები კარგა ხანს მედგრად იცავდნენ თავს, მაგრამ საბოლოოდ მტრის მოგერიება მაინც ვერ შეძლეს (იხ. Т. И. Т е р-Г р и г о р ь я н, Борьба Арцаха с арабскими захватчиками в IX веке, Баку, 1942).

უბრალო ხალხის მასასთან ერთად"[13]... თ. არწრუნი ასევე საგანგებოდ წარმოაჩენს ქართველი კონსტანტი კახას და ალვანელი სოლომონის მტკიცე რწმენასა და მამულისათვის თავდადებას, მათ მოწამეობრივ სიკვდილს[14]. ამით თომა არწრუნი მოუწოდებს თანამემამულეებს, რომ არ გამაჰმადიანდნენ, თუნდაც ეს სიცოცხლის განწირვის ფასად დაუჯდეთ[15]. მსგავს ვითარებაში, როცა ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, ამიერკავკასიის ხალხთა ამგვარი, თუ შეიძლება ითქვას, ჯანსაღი ხასიათის შეჯიბრიც უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მათი ერთობლივი ბრძოლის თავისებურ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს.

Ამიერკავკასიის ხალხები გაერთიანებული ძალებით იბრძოდნენ, ერთმანეთს მხარში ედგნენ საჯიანთა სახელმწიფოს ულმობელი ამირების თარეშის აღსაკვეთადაც. ამის დამადასტურებელი არა ერთი და ორი ჩვენება შემოუნახავთ მატიანეებს, პირველ რიგში კი დრასხანაკერტცის „სომხეთის ისტორიას". საჯიანი ამირა აფშინი არაერთხელ დაესხა თავს სომხეთის მეფე სმბატ I-ს (890—914). სმბატმა ვერ შეძლო ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის. ლტოლვილი სმბატი „ქართველთა მეფის", ადარნასეს სამფლობელოში პოულობდა ხოლმე საიმედო თავშესაფარს. დრასხანაკერტცის ცნობით, აფშინისაგან დევნილმა სმბატმა „სასწრაფოდ შეადგინა მცირედი გუნდი და დიდი სიჩქარით გადავიდა ტაოს მხარეთა სიმაგრეებში, თავისი მეგობრის ადარნასეს მამულში". როცა აფშინმა „დაინახა, რომ [ადარნასესგან] შეუძლებელია [სმბატ] მეფის ღალატი, რადგან ერთგზის, ორგზის და სამგზის კიდეც გამოსცადა ეს... წამოვიდა და გასწია დედაქალაქ დვინისაკენ"[16].

„ქართველთა მეფე" ადარნასე საჯიან ამირას თავის მტრადაც მიიჩნევდა და, ბუნებრივია, აფშინის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება, თანაგრძნობა გაეწია სმბატ I-თვის. აღსანიშნავია, რომ დრასხანაკერტცი ერთგან საჯიან ამირა იუსუფს „სპარსთა, სომეხთა, ქართველთა და ალბანთა ოსტიკანად" იხსენიებს[17]. როგორც ჩანს, საჯიანები სამხრეთ აზერბაიჯანის გარდა თითქმის მთელი ამიერკავკასიის (დას. საქართველოს გამოკლებით) დაქვემდებარებაზეც აცხადებდნენ პრეტენზიას.

---

[13] Թովմա Արծրունի և Անանուն, გვ. 207: მრავალთავი, IV, გვ. 276; ხაზგასმა ჩვენია; იხ. აგრეთვე Լ. Բաբայան, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—62.

[14] Թովմա Արծրունի և Անանուն, გვ. 199—200; მრავალთავი, IV, გვ. 275.

[15] იხ. Լ. Բաբայան, დასახ. ნაშრომი, გვ. 68—69.

[16] Ստեփանոս Դրասխանակերտցի, სომხეთის ისტორია, გვ. 90—91, იხ. აგრეთვე გვ. 81—82.

[17] იქვე, გვ. 263.

„ქართველთა მეფე“ ადარნასესა და სომეხთა მეფე სმბატ I-ის ინტერესები იმდენად ემთხვეოდნენ საჯიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ამის წყალობით ადარნასე-სმბატს შორის წარმოქმნილი სერიოზული ხასიათის დაპირისპირებაც კი შედარებით ადვილად ჩასაფარცხი გამხდარა. როგორც ზემოთ ითქვა, ადარნასესა და სმბატის ურთიერთობა ერთობ გამწვავებულა დაახლ. 904 წ. ომის შემდეგ. ადარნასეს გადაუწყვეტია ტახტიდან ჩამოეგდო, უფრო მეტიც, მოეკლა სომხეთის მეფე სმბატ I და მისი სამფლობელო თავისი სამეფოსათვის შეეერთებინა. ადარნასეს სმბატის უკმაყოფილო სომეხი ნახარარებიც მიუმხრია. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ სმბატის უკმაყოფილო ნახარარების მეთაურმა, ჰასანმა „ჩააბარა ადარნასეს ანისის ციხე“. მაგრამ მოწინააღმდეგეებმა სმბატ I-ის ტახტიდან ჩამოგდება ვერ მოახერხეს, რადგან მან დროულად შეიტყო ამის შესახებ[18]. ყურადღებას იპყრობს ის, რომ როგორც კი ამ ორომტრიალიდან სმბატი გამარჯვებული გამოვიდა, იგი მაშინვე შერიგებია ადარნასეს, „თავისი მოღალატე ნახარარები კი ჩამოართვა და ყველანი დააბრმავა“.

ასოღიკის მიხედვით, დაახლ. იმავე ხანებში, 907 წ., ადარნასე საჯიან ამირა იუსუფსაც მიმხრობია სმბატის წინააღმდეგ[19]. ასოღიკი აქ ამბების შესახებ ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ წერს. ამდენად, შესაძლოა, მის ცნობაში ყველაფერი არც იყოს თავის ადგილზე. მაგრამ რაკი ადარნასესა და სმბატ I-ს შორის დაპირისპირებაც ხდებოდა ხოლმე („ქართველთა მეფე“ ვერ ეგუებოდა, კერძოდ, სმბატ I-სა და ლიხსიქეთის მეფეს შორის კავშირის დამყარებას), ვერც იმის შესაძლებლობას გამოვრიცხავთ, რომ ადარნასე გარკვეული, პოლიტიკური მოსაზრებით, დ რ ო ე ბ ი თ საჯიან ამირასაც დაკავშირებოდა (იქნებ, არა მაინცდამაინც 907, არამედ სხვა წლებში) სომეხთა მეფესთან ბრძოლაში.

ადარნასესთან სმბატის სულ მალე შერიგების მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, ის უნდა იყოს, რომ სმბატის სამფლობელოს ისევ და ისევ საშინელი საფრთხე ემუქრებოდა საჯიან ამირასაგან და მისთვის კვლავ აუცილებელი გამხდარა ადარნასესთან მჭიდრო, კეთილმეზობლური კავშირურთიერთობის დამყარება. სხვათა შორის, დრასხანაკერტცის „ისტორიაში“ დაცული, მითითებული მასალები იმ მხრივაც იპყრობენ ყურადღებას, რომ სომეხი ნახარარები მომხრე ყოფილან სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს „ქართველთა სამეფოსთან“ შეერთებისა. ამგვარი გადაწყვეტილება კი მათ იმის გამო მიუღიათ, რომ ხალიფასთვის

---

[18] იქვე, გვ. 114—119.

[19] Ստեփանոսի Տարօնեցւոյ... გვ. 164.

და საჯიანი ამირასათვის ხარკის ძლევა დამამცირებლად მიუჩნევიათ. „ქართველთა მეფე“ ადარნასე არავის მოხარკე არ იყო და ნახარარებმა, ეტყობა, დაასკვნეს, რომ ბაგრატუნთა სომხეთის „ქართველთა სამეფოსთან“ შეერთებით სომხებს შეეძლებოდათ ხალიფასა და საჯიანების მოხარკეობისგან თავის დაღწევა. როგორც ჩანს, ხსენებული ნახარარები ფიქრობდნენ, რომ სომხებს მხოლოდ ქართველებთან მჭიდრო კავშირის ვითარებაში შეეძლოთ წარმატებით შებრძოლებოდნენ უცხოელ დამპყრობლებს.

სომეხთა მეფე სმბატ I-ს თავის გუშინდელ „ბოროტ მოცილესთან“, „ქართველთა მეფე“ ადარნასესთან შერიგება რომ საჯიანთაგან კარს მომდგარი საფრთხის გამო ეჩქარებოდა, მალე ეს სავსებით ნათელი გახდა. 909 წ. საჯიანი ამირა იუსუფი თავს დაესხა სომხეთს. სმბატი ვერ გაუმაგრდა, ვერ გაუმკლავდა მას. იუსუფი „უკან დაედევნა სმბატს, ქართველთა ქვეყანამდის მიჰყვა და სდია მანამდე, ვიდრე კლარჯეთის მიუვალ სიმაგრეებში შეეხიზნებოდა“[20]. მართალია, დრასხანაკერტცი აქ ადარნასეს არ იხსენიებს, მაგრამ წარმოუდგენელია „ქართველთა მეფესთან“ შეთანხმების გარეშე ლტოლვილ სმბატს „ქართველთა ქვეყნისთვის“ შეეფარებინა თავი. საჯიანი ამირა ხომ იმას ცდილობდა, როგორმე ერთმანეთისთვის წაეკიდებინა სმბატ I და ადარნასე, ადარნასეს დახმარებით შეეპყრო სმბატი და თუ სმბატი დარწმუნებული არ იქნებოდა მისადმი ადარნასეს კეთილგანწყობილებაში, ისე „ქართველთა სამეფოში“ გადმოსვლას ვერ გარისკავდა.

საჯიანი ამირას მიერ 913—14 წლებში სომხეთისა და საქართველოს დარბევის, მის წინააღმდეგ ქართველ და სომეხ ხელისუფალთა კავშირის შესახებ ქართული წყაროებიც გვაუწყებენ. სტეფანე მტბევარი სომხეთიდან გადმოხვეწილი სმბატ I-ის შესახებ ამბობს, რომ „მიივლტოდა იგი მთათა ზედა აფხაზეთისათა“[21]. სომხეთში დაბრუნებული სმბატ I მტრებმა შეიპყრეს და წამებით ამოჰხადეს სული. იმდროინდელ შეხედულებებს, მაშინდელ მსოფლმხედველობას თუ გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, სახელგანთქმული მეფის, სომხეთის უპირველესი ხელისუფლის ტყვედ ჩავარდნა და მტრის მიერ მისი საშინელი ტანჯვით მოკვლა სომხეთისათვის დიდი ტრაგედია უნდა ყოფილიყო. შეიძლება ითქვას, რომ სმბატ I-ის თანამედროვე დრასხანაკერტცი გოდებს, მოთქვამს საჯიანთა ჯალათებისაგან სომეხთა მეფის გაუგონარი წამების გამო. სმბატს დიდხანს გაუძლია სატანჯველისათვის. ბოლოს ჯალათებს სრულიად დაუჯერებელი რამ ჩაუდენიათ:

---

20 იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 125—26.

21 ქრესტომათია, I, გვ. 81; ქართული პროზა, I, გვ. 160; იხ. აგრეთვე ქართლის ცხოვრება, I, გვ. 262.

რაკი „სმბატი მაინც გამობრუნდა და განაგრძო სუნთქვა, მაშინ უკვე მის სასირცხო ასოს დაუწყეს უწყალო, ენით მოუთხრობელი ტანჯვა-წამების მიყენება, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე [აწამებდნენ სმბატს]“...[22].

ფრიად საყურადღებოა, რომ სომხეთში დატრიალებულ ამ საშინელ ტრაგედიამდე სულ ცოტა ხნით ადრე მტრის მიერ თავისი ქვეყნიდან დევნილი სომეხთა მეფე სმბატი დროებით საქართველოში გადმოხვეწილა, რათა კვლავ ძალა მოეკრიბა და შებრძოლებოდა მტარვალს. კონკრეტულად საქართველოს რომელ მხარეს შეაფარა თავი სმბატმა, ამის თქმა ჭირს. ვინაიდან სტეფანე მტბევარი „აფხაზეთის მთებს“ ასახელებს, საფიქრებელია, რომ სმბატი დას. საქართველოში გადასულა, რადგან 914—918 წლებში დაწერილ თხზულებაში „აფხაზეთი“ აღმოსავლეთ საქართველოს მომცველადაც არ შეიძლება იგულისხმებოდეს. სმბატის ლიხსიქეთის სამეფოში გადასვლა იმითაც უნდა აიხსნას, რომ იმჟამად აღმ. საქართველო მისთვის უსაფრთხო, მყუდრო ადგილსამყოფელს, ყახიზარს აღარ წარმოადგენდა, რადგან საჯიანთა ჯარი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოსაც შეესია. ასოღიკის თანახმად, საჯიან ამირა იუსუფს, დაულაშქრავს რა სომხეთი, უკან დასდევნებია თავისი ქვეყნიდან ლტოლვილ სომხეთის მეფე სმბატ I-ს და ამ დროს სამცხეში ყველის ციხისათვის შემოურტყამს ალყა, ხოლო სმბატ I „აფხაზეთში“ გადასულა[23]. ქართული წყაროების მიხედვითაც, საჯიან ამირას აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო მას შემდეგ დაულაშქრავს, რაც სომხეთიდან გამოქცეულ სმბატ I-ს კვალში ჩასდგომია[24]. ლიხსიქეთის მეფე, რომელიც მთელი საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას ისახავდა მიზნად, ცხადია, ვერ შეურიგდებოდა საჯიანი ამირას თარეშს აღმ. საქართველოში, იგი დაუპირისპირდებოდა საჯიანთა სახელმწიფოს და ამიტომაც შეძლებისდაგვარად დახმარება უნდა აღმოეჩინა სომეხთა მეფისათვის საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასოღიკის ცნობით, სმბატ I-ის მოკვლის (914 წ.) შემდეგ მისმა ვაჟმა აშოტმა კონსტანტინოპოლს, კეისრის კარს მიაშურა, ხოლო სმბატის მეორე ვაჟი, აბასი „ქართველთა ქვეყანაში“ წამოსულა და ქართველების სიძე გამხდარა[25]. აბასი თავისი ძმის, აშოტის, ერკათად („რკინისა“) წოდებულის მეფობის ჟამსაც მნიშვნელოვან როლს ასრუ-

---

22 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 153—157.

23 Ստեփանոսի Տարօնեցւոյ... გვ. 164; ასოღიკი დას. საქართველოს ხან „ეგრისს“ უწოდებს, ხანაც „აფხაზეთს“ (იხ. მგ., იქვე, გვ. 163, 251).

24 ქრესტომათია, I, გვ. 81; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 262—264.

25 Ստեփանոսի Տարօնեցւոյ... გვ. 169.

ლებდა სომხეთის ცხოვრებაში. დასახანაკერტცის თანახმად, აშოტ ერკათი (914—929) „თავის ღვიძლ ძმასთან აბასთან ერთად“ გულუშიშრად ებრძოდა უცხოელ დამპყრობლებს[26]. თ. არწრუნის გამგრძელებლის მიხედვით, მას შემდეგ, რაც აბასი სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს მეფე გახდა (929 წ.), მასსა და ვასპურაკანის ბეგეს, გაგიკს შორის ბრძოლა გამართულა, აბასი დამარცხებულა და „ქართველთა ქვეყანაში“ გადმოხვეწილა[27]. ძნელია თქმა, სინამდვილეში აბასმა ორჯერ შეაფარა თავი საქართველოს, თუ ხსენებული მემატიანეები ერთი და იგივე ამბავს გადმოგვცემენ სხვადასხვანაირად. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ აბასი თავის მტრებთან ბრძოლის ჟამს მშიერად ყოფილა დაკავშირებული საქართველოსთან.

საინტერესოა გაირკვეს, თუ რომელი ქართველი ხელისუფლის ასული შეირთო ცოლად აბასმა, რადგან ამ ქორწინებას, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. საკითხის გამოსაკვლევად შეიძლება მივმართოთ დასახანაკერტცის სათანადო ცნობებს, თუმცა ისინი წინააღმდეგობრივი, არეული ჩანან. დასახანაკერტცის თანახმად, ერთ მშვენიერ დღეს, აშოტ ერკათმა „მოსიყვარულე გულით მოუხმო თავისთან თავის ძმას აბასს, რომელიც მთავართა მთავრად იყო დადგენილი, აგრეთვე ქართველთა მთავარს გურგენს — მის სიმამრს. მან არ იცოდა, რომ ისინი მის მიმართ ბოროტი შურით ღალატს ქსელავდნენ“[28]. სათანადო სომხური ტექსტის *Նորուն աներ* ნიშნავს „მის სიმამრს“ და ამ შემთხვევაში იგულისხმება აბასის სიმამრი. ასე გაუგია ეს ადგილი ილ. აბულაძეს[29]. მაგრამ ე. ცაგარეიშვილს იგივე სიტყვები თარგმნილი აქვს, როგორც „თავის სიმამრს“[30]. ტექსტის ამგვარი გაგებით, გურგენი, ალბათ, იგივე ცნობილი ქართველი ხელისუფალი, 918 წლიდან ერისთავთერისთავი, გურგენ დიდი აშოტ ერკათის სიმამრი გამოდის. მართალია, ცოტა ქვემოთ[31] ეგეთი გურგენი თოთქოს მოხსენიებულია აშოტ ერკათის სიმამრად, მაგრამ ტექსტი ამ ადგილზე ერთობ ჩახლართულია და არეული უნდა იყოს. ამასთანავე, ამაზე უფრო ადრეც და მომდევნო გვერდზეც[32] აშოტ ერკათის

---

26 იოანე დასხანაკერტელი, გვ. 161.

27 Թովմա Արծրունի և Անանուն, გვ. 302; მრავალთავი, IV, გვ. 278.

28 იხ. და შდრ. იოანე დასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 235.

29 იხ. იოანე დასხანაკერტელი, ილ. აბულაძის გამოცემა, გვ. 60, 69; შდრ. Մոսիսէնց Օրբելեան, Պատմութիւն Նահանգին Սիսական, Թիֆլիս, 1910, გვ. 194—195.

30 იხ. იოანე დასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 235.

31 იქვე, გვ. 237.

32 იხ. იქვე, გვ. 230—232, 238, აგრეთვე გვ. 242.

სიმამრად სრულიად გარკვევით იხსენიება „დიდი მთავარი საჰაკი“: „მეფისწული [აშოტი] წავიდა და ცოლად შეირთო საჰაკ დიდი მთავრის ასული, რომელსაც მეტსახელად სევადა ერქვა. იქ ჩააბეს ფერხული და გამართეს ცეკვა“. ...„დიდი და ჩინებული საჰაკ მთავარი, რომელსაც აშოტ მეფე დასიძებით ეშვილა“[33]. უკეთუ ქართველი ხელისუფალი, გურგენ დიდიც იყო სომეხთა ერთ-ერთი სახელგანთქმული მეფის, აშოტ ერკათის სიმამრი, მოსალოდნელია, თანადროულ, იმ-ჟამინდელი ამბების დაწერილებით აღმწერ მემატიანეს, დრასხანაკერტცის ამ შემთხვევაშიც ეთქვა რაღაც იმის მსგავსი სიტყვები, როგორიც საჰაკის სიმამრობის თაობაზე აქვს ნათქვამი. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ აშოტ ერკათის სიმამრისა თუ სიმამრების შესახებ დრასხანაკერტცის „სომხეთის ისტორიაში“ ცნობები არეული ჩანს, მაგრამ ისინი უფრო მაინც იმ აზრს უჭერენ მხარს, რომ გურგენი აბასის სიმამრი იყო და არა აშოტ ერკათისა[34]. სომეხთა მეფის, აშოტ ერკათის წინააღმდეგ მის ამბოხებულ ძმას. აბასს, უფრო მოსალოდნელია, მიმხრობოდა საკუთარი და არა აშოტ ერკათის სიმამრი.

თუ რამდენად მომწიფებული, ნიადაგმომზადებული იყო აზრი იმ ხანებში ქართველების, სომხებისა და ალვანელების ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობის შესახებ საერთო მტრის, კერძოდ, საჯიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ეს კარგად ჩანს დრასხანაკერტცის „ისტორიაში“ მოტანილი კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ნიკოლოზ მისტიკოსის (901—907, 911—925 წწ.) წერილიდანაც, რომელიც მას დრასხანაკერტცისთვის, ვითარცა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქისთვის, გაუგზავნია. ნიკოლოზ მისტიკოსი წერს დრასხანაკერტცის, რომ უნდა აღმოიფხვრას მოცილეობა ქართველ. სომეხ და ალვანელ ხელისუფალთა შორის, რათა შესაძლებელი გახდეს მათი ძალების გაერთიანება საჯიანთა წინააღმდეგ. ნიკოლოზ მისტიკოსი აღნიშნავს, რომ მას წერილები „ქართველთა“ და ლიხსიქეთის მეფეებისათვისაც გაუგზავნია, რომლებსაც თურმე არიგებდა, „დაეცვიწყებინათ ურთიერთმტრობა, ჩამოეგდოთ სიყვარული, ერთობა, ზავი და მშვიდობა ერთმანეთს შორის და საერთოდ სომხეთისა და ალვანეთის მთავრებს შორის, რომ შეერთებულიყვნენ და საერთო ძალით ებრძოლათ მუხანათი მტრის აბუსაჯის შვილების წინააღმდეგ“[35].

ცხადია, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ძალით ბრძოლის იდეა ამიერკავკასიაში ბიზანტიიდან არაა შემოტანილი. ამიერკავკასიის ხალხები ნიკოლოზ მისტიკოსის წერილამდეც გაერთიანებული ძალებით

---

33 იქვე, გვ. 230, 238.

34 იხ. Հ. Հարությունյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

35 Իոանէ Դրասխանակերտցի, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 189—93.

არაერთხელ აღსდგომიან წინ უცხოელ დამპყრობლებს, საერთო მტერს. მართალია, ქართველ-სომეხ-ალვანელ მეფე-მთავართა შორის მეტოქეობაც არსებობდა, მაგრამ ისინი შეთანხმებას, მორიგებასაც ახერხებდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებზე თავს დამტყდარი საგარეო საფრთხის ჟამს. ნიკოლოზ მისტიკოსმა თუ მართლა მოსწერა მსგავსი რამ დრასხანაკერტცის, ეს უფრო იმით უნდა აიხსნას, რომ ბიზანტიის ხელისუფალნი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ცდილობდნენ ამიერკავკასიის ქვეყნების ცხოვრებაში ჩარევას, მათი მოქმედების თავისი სურვილისამებრ წარმართვას. ბიზანტიის იმპერია დაინტერესებული იყო საჯიანთა სახელმწიფოს მოსპობით და ცხადია, ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა ამიერკავკასიის ხალხთა ძალები ამ მიზნის მისაღწევად. საზოგადოდ, სხვა ვითარებაში კი, როგორც კარგადაა ცნობილი. ბიზანტიის ხელისუფლება, არათუ არ მოუწოდებდა ქართველებს, სომხებსა და ალვანელებს გაერთიანებისაკენ, არამედ პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა მათ შორის მტრობის ჩამოგდებას, მათ გათიშვას. ბიზანტიელთა ცნობილი, სამოქმედო პრინციპიც ხომ ამას გულისხმობდა.

ცნობილია, რომ ბიზანტიის კეისარმა სახელგანთქმულ ქართველ ხელისუფალს, დავით დიდ კურაპალატს, 978 წელს აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში მიშველებისა და მის დამარცხებაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილის სანაცვლოდ, არაერთი ოლქი გადასცა, მათ შორის ჰარქი და აპაჰუნქიც[36], რომელთა საზღვარზე მდებარეობდა ქალაქი მანასკერტი[37]. იმ ხანებში მანასკერტი ბიზანტიისთვის მარვანიდთა მაჰმადიანური დინასტიის დამფუძნებელს, დიარბექირის ამირას, ბადს თუ ბაზს[38] წაერთმია და დავით კურაპალატი კეისრისაგან ფაქტობრივად მხოლოდ ნებართვას იღებდა, შებრძოლებოდა მარვანიდებს მანასკერტისათვის და მისი სანახებისათვის. 990 წელს გარდაიცვალა ბაზი და დიარბექირის ამირა გახდა მარვანი. სწორედ ამ ხანებში დავით კურაპალატს დაულაშქრავს მანასკერტი. დავითის ჯარს ალყა შემოურტყამს ქალაქისათვის და აუღია კიდეც იგი. დავით კურაპალატს მანასკერტიდან გაუძევებია მაჰმადია-

---

[36] იხ. Սեբեոսի Տարոնեցւոյ... გვ. 192; ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში, თბ., 1969, გვ. 38, 42—45.

[37] იხ. Ֆ. Հակոբյան, Հայաստանի պատմական աշխարհագրություն, Ե., 1968, გვ. 170; Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 108—109.

[38] იხ. К. Э. Босворт, Мусульманские династии, М., 1971, გვ. 87; შდრ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 479, 482; ბ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1975, გვ. 186—187.

ნები და ქალაქში დიდი რაოდენობით ჩაუსახლებია ქართველები და სომხები, თავისი ძალაუფლებისათვის დაუქვემდებარებია მანასკერტი[39].

ასოღიკის თანახმად, დავით კურაპალატის მიერ მანასკერტის აღებას, თითქოს, მთელი მაჰმადიანური სამყაროს აღშფოთება გამოუწვევია. მათ დავითისათვის მოუთხოვიათ ხელი აეღო ქალაქზე, თუ არადა ომით ემუქრებოდნენ მას. დავით კურაპალატი სულაც არ აპირებდა, რაიმე დაეთმო მტრისათვის[40]. მაშინ სამხრეთ აზერბაიჯანის ამირას, რავადიდთა დინასტიის წარმომადგენელს, მამლან მუჰამედს, რომლის სატახტო ქალაქს თავრიზი წარმოადგენდა[41], დიდძალი ჯარი შეუყრია და დავით კურაპალატის წინააღმდეგ დაძრულა. რამდენადაც რავადიდები საფრთხეს უქმნიდნენ სომხურ სამეფოებს. მამლანთან საბრძოლველად დავით კურაპალატს, „ქართველთა მეფე" ბაგრატ II-ის გარდა, ანის-შირაკის მეფე გაგიკი და ვანანდის (ყარსის) მეფე აბასიც მიშველებიან. სომეხთა მეფეები იმის გამოც მიუვიდოდნენ დავითს, რომ დავითი და მამლანი სომხეთის მიწა-წყალზე უნდა შებმოდნენ ერთმანეთს. დავით კურაპალატი და მისი მოკავშირეები ბაგრევანდის ოლქში, ქალაქ ვალაშკერტში (ვაღარშაკერტში) დაბანაკებულან. მტრის ჯარს ამჯერად ბრძოლაში ჩაბმა ვერ გაუბედია, უკან გაბრუნებულა, მაგრამ უკან დახევის დროს ბაგრევანდის სომხურ ოლქში თუ მის ახლომახლო არაერთი ადგილიც გაუვერანებია[42].

997—998 წლებში დავით კურაპალატი და მისი ქართველი და სომეხი მოკავშირეები კიდევ ორჯერ შეებრძოლნენ მეზობელ მაჰმადიან ამირებს. 997 წელს მათ განიზრახეს ხლათის აღება, მაგრამ უშედეგოდ, ხოლო 998 წელს სასტიკად დაამარცხეს მამლანი და მისი მოკავშირეები[43].

ვფიქრობთ, დავით კურაპალატის ხელმწიფობის ჟამს საერთო მტრის წინააღმდეგ ქართველ-სომეხთა ინტერესების ერთიანობის დამადასტურებელია ასოღიკის ის სიტყვები, რომლითაც ეს მემატიანე ახასიათებს დავითის პიროვნებას და ღვაწლს: დიდი კურაპალატი დავითი, რომლის სიკვდილის ამბავი მე ხანგრძლივი გოდებით უნდა გადმომეცა, სიტყვის შემოკლების საჭიროება რომ არ არსებობდესო, იყო „კაცი, იმდროინდელ ყველა მეფეზე უფრო მშვიდი, წყნარი. იგი

---

39 Սեբէոսեանցի Տարոնեցւոյ... გვ. 276.

40 იხ. მაგ., ე. კოპალიანი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, თბ., 1962, გვ. 266.

41 იხ. М. Х. Шарифли, დასახ. ნაშრომი, გვ. 63—66.

42 Սեբէոսեանցի Տարոնեցւոյ... გვ. 267.

43 იხ. იქვე, გვ. 268—274; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 483; Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 111.

გახდა მიზეზი ყოველთა აღმოსავლელთა მშვიდობისა და აღმშენებლობისა, მეტადრე სომხებისა და ქართველებისა. რამეთუ ომის მძვინვარება ყოველი მხრიდან დააცხრო მან, სძლია რა ყოველ, ირგვლივ მყოფ ნათესავთ"[44]. სომეხი მეისტორიე ასოღიკი თაყვანს სცემს ქართველ ხელისუფალს, დავით დიდ კურაპალატს იმიტომაც. რომ დავითის მეთაურობით ქართველებმა და სომხებმა შეძლეს გამკლავებოდნენ საერთო მტერს, კერძოდ, მაჰმადიან ამირებს, რითაც საქართველოსა და სომხეთს ცხოვრებისა და განვითარების შედარებით მშვიდობიანი პირობები შეექმნათ.

X ს-ის უკანასკნელ მესამედში საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე ქალაქ განძაში (განჯაში) და მის სანახებში შადადიანთა მაჰმადიანური, ქურთული წარმოშობის დინასტია გაბატონდა. განძასა და მის მახლობელ ოლქებში შადადიანთა სახელმწიფო შეიქმნა[45]. განძის შადადიანი ამირები თავს ესხმოდნენ როგორც მეზობელ ქართულ, ასევე სომხურ მიწა-წყალს. „მატიანე ქართლისაჲ" ავტორის სიტყვით, „მას ჟამსა განდიდნა ფადლონ, ამირა განძისა, იწყო კერძოებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ჟამითი-ჟამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითი-ადგილად"[46]. პ. თოფურიას თანახმად, „ზუსტია ქართული წყაროს მიერ შადადიანი ფადლ ბ. მუჰამედის (985—1031) მოქმედების შეფასება. მას მართლაც იმდენი შეეძლო, რომ მხოლოდ „ჟამითი-ჟამად მეკობრობით და პარვით" დაერბია და „ადგილითი ადგილად" გაეძარცვა ქვეყანა. ეს იყო ერთდროული ალაფისა და ნადავლისათვის გათვალისწინებული სამხედრო თარეში"[47].

განძის შადადიანი ამირები, როცა შესაძლებლობა მიეცემოღათ. სომხურ სამეფო-სამთავროებსაც არბევდნენ. ასოღიკის ცნობით. ტაშირ-ძორაგეტის მეფე დავით უმიწაწყლოსა და განძის ამირა ფადლონს შორის დიდი ბრძოლაც მომხდარა[48]. ფიქრობენ, რომ ეს შეტაკება 1003 წლამდე უნდა მომხდარიყო[49]. საზოგადოდ, შადადიანებმა, დროთა განმავლობაში სომხეთის საზღვრისპირა მხარეებში მთელი რიგი ოლქები დაიპყრეს და ტაშირ-ძორაგეტის სამეფოსაც უშუალოდ დაუმეზობლდნენ. რაკი ტაშირ-ძორაგეტის მეფე დავით უმიწაწყლო ასე თუ ისე ანის-შირაკის მეფის, გაგიკ I-ის (990 — დაახლ. 1017) უზე-

---

44 Ստեփանոսի Տարոնեցւոյ... გვ. 275.

45 იხ. პ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 53—64.

46 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279.

47 პ, თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 188—189.

48 Ստեփանոսի Տարոնեցւոյ... გვ. 257.

49 იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 102.

ნაესობას ცნობდა, ბუნებრივია, გაგიკიც დაპირისპირებოდა განძის ამირა ფადლონს. გაგიკ I-ს არც სომხეთის სხვა მხარეების მიმართ არ უნდა მოსწონებოდა ფადლონის პრეტენზიები. მათ შორის ინტერესთა დაპირისპირება სხვა შემთხვევებშიც ჩანს[50].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-სომხეთ-ალვანეთში არსებული მაჰმადიანური საამიროები ტერიტორიული თვალსაზრისით ხშირად უფრო ახლოს მდებარეობდნენ ქართულ-სომხურ-ალვანურ სამეფო-სამთავროებთან, ვიდრე ეს უკანასკნელნი ერთმანეთთან, საზოგადოდ, ქართველ, სომეხ და ალვანელ ხელისუფალთ იშვიათად თუ ჰქონდათ კეთილმეზობლური ურთიერთობა მაჰმადიან ამირებთან, ჩვეულებრივ მათი ურთიერთობა მტრული ხასიათისა იყო X—XI სს-ში. მეზობელ საამიროებთან ქართველ-სომეხ-ალვანელთა ინტერესების შეურიგებლობის ერთ-ერთ მასაზრდოებელ მძლავრ წყაროდ შეიძლება ისიც მივიჩნიოთ, რომ როგორც საქართველოს, ასევე სომხეთისა და ალვანეთის ძველი დედაქალაქები — თბილისი, დვინი და ბარდავი მაჰმადიან ამირათა ხელთ რჩებოდა IX—XI სს-ის განმავლობაშიც[51]. როგორც ცნობილია, დედათბილისის საქართველოსთვის დაბრუნება და მისი კვლავ ქართველთა სატახტო ქალაქად ქცევა დავით აღმაშენებელმა შეძლო XII ს-ში, ხოლო რაც შეეხებათ დვინსა და ბარდავს, ისინი სერთოდ ვეღარ ეღირსნენ სომხური და ალვანური სახელმწიფოების დედაქალაქობას, მათ სამუდამოდ დაეტყოთ ჟამთა სიავის მსახვრალი ხელი.

ზემოთქმულის შემდეგ აღარაა საკვირველი ის შემართება და ურთიერთგაგება, რასაც იჩენენ ახლად გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ III და ანის-შირაკის მეფე გაგიკ I მათივე კარის მეზობლის, განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ ბრძოლაში. რა თქმა უნდა, ბაგრატ III ვერ მოითმენდა ფადლონის თარეშს დანარჩენ საქართველოსთან სწორედ იმ წლებში შემოერთებულ კახეთ-ჰერეთში: „იხილა რა დიდმან მეფემან ბაგრატ კადნიერება მისი, დიდად შეძრწუნდა და აღივსო შურითა. განემზადა ყოვლითა სპითა მისითა, წარგზავნა მოციქული წინაშე გაგიკ შაჰანშა სომეხთა მეფისა; აწვა, რათა იძიოს შური ფადლონისაგან. ხოლო მან განიხარა სიხარულითა დიდითა, მოსწრაფედ მოუწოდა ყოველთა სპათა თჳსთა, წარმოემართა და მოვიდა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა. შეკრბეს ორნივე ძორაკერტს; მიმართეს ფადლონს"...[52] ბრძოლაში, რომელიც XI ს-ის 10-იანი წლე-

---

50 იხ. მაგ., იქვე, გვ. 92.

51 იხ. Ա. Տեր-Ղևոնդյան, Արաբական ամիրայությունները Բագրատունյաց Հայաստանում, ե., 1965, გვ. 183.

52 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279—280.

ბის დამდეგს უნდა მომხდარიყო, განძის ამირა ფადლონი სასტიკად დამარცხდა[53].

საქართველოსა და სომხეთის მიმართ განძის შადადიანთა საამიროს დაპირისპირება შემდგომშიც გრძელდებოდა. იგივე ფადლონის წინააღმდეგ ახლადგამეფებული ბაგრატ IV-ის ჯარსაც ულაშქრია: „დიდი ფადლონ ავად იქცეოდა, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა. და ვიდრე ყრმაღა იყო ბაგრატ, შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნეს ლიპარიტ და ივანე აბაზას-ძე; მოვიდა დიდი კვრიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით სომეხთა მეფე და ჯაფარ ამირა ტფილელი, რამეთუ ესე ყოველნი პირობითა კვრიკესითა შეკრებულ იყვნეს ეკლეცს ფადლონს ზედა; გააქციეს ფადლონ და აუწყვდეს ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხვ. ამიერითგან ვიდრე სიკუდილადმდე შეჰავდა ფადლონ“[54]. როგორც ფიქრობენ, ეს ბრძოლა 1030 წელს უნდა მომხდარიყო[55].

„მატიანე ქართლისაჲსა“ ნახსენები ბაგრატ IV-ის ერთ-ერთი მოკავშირე, დავით სომეხთა მეფე, ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფოს ხელმწიფე დავით უმიწაწყლოა. ეს გარემოება საგანგებო ყურადღების ღირსია, ვინაიდან გაერთიანებული საქართველოსა და ტაშირ-ძორაგეტის კვირიკიან მეფეებს შორის, საზოგადოდ, აშკარა დაპირისპირება შეიმჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეფეები მიზნად ისახავდნენ კვირიკიანთა განდევნას ქვემო ქართლიდან, როგორც ვხედავთ, ბაგრატ IV-ისა და ტაშირ-ძორაგეტის მეფის, დავით უმიწაწყლოს ჯარები ერთმანეთის მხარდამხარ ებრძვიან განძის ამირა ფადლონს. მართალია, „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორს დავით უმიწაწყლოს ბრძოლაში ჩაბმა, მონაწილეობა უფრო კახეთ-ჰერეთის მეფის ღვაწლად მიაჩნია, ვიდრე ბაგრატ IV-ისა, მაგრამ მოკავშირეთა წარმმართველ-დამრაზმველი ძალა მაინც გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარი უნდა ყოფილიყო. ის ფაქტი, რომ ბაგრატ IV და დავით უმიწაწყლო ერთობლივი ძალით ებრძოდნენ დუშმანს, მოწმობს მათ შორის, დროებით მაინც, დაპირისპირების, წინააღმდეგობების მივიწყებას, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. ეს კი საერთო მტერთან ბრძოლაში მათი ინტერესების თანხვდენილობამ განაპირობა.

მიზანშეწონილი იქნებოდა, აქვე მიმოგვეხილა ამიერკავკასიის ხალხთა, კერძოდ, ქართველებისა და სომხების ერთობლივი ბრძოლა

---

53 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 193—195; პ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 188—191.

54 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 296.

55 იხ. პ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 192—193, აგრეთვე Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 102, შენ. 9.

ბიზანტიის იმპერიის აგრესიის წინააღმდეგ X—XI სს-ში, მაგრამ ამ ეპოქაში ბიზანტია-საქართველო-სომხეთის ურთიერთობები იმდენად რთული და დახლართულია, რომ, ჩვენი აზრით, ამ პრობლემის შესწავლას საგანგებო მონოგრაფიაც კი შეიძლება მიეძღვნას. ამის გამო გადავწყვიტეთ, წინამდებარე ნაშრომში ცალკე თავი მაინც გამოვყოთ ხსენებული საკითხის საკვლევად. ბიზანტიელ აგრესორთა მოსაგერიებლად საქართველო-სომხეთის ერთობლივი ბრძოლის შესახებ სხვა, მომიჯნავე საკითხებთან ერთად სწორედ იქ ვისაუბრებთ.

თავი მესამე

ლტოლვა ამიერკავკასიის ერთიანობისაკენ და მისი იდეოლოგიური წანამძღვრები IX—XI საუკუნეებში

მართალია, ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანების, ამიერკავკასიის (თუ მთელი კავკასიის) ერთ სახელმწიფოდ გადაქცევის იდეა ადრეც არსებობდა, მაგრამ ამ მხრივ IX—XI სს. სულ სხვაა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქის ამიერკავკასიის ისტორია სწორედ გაერთიანებისაკენ ლტოლვის ნიშნით ხასიათდება. IX—XI სს-ში როგორც ქართველი, ისე სომეხი და ზოგჯერ ალვანელი ხელისუფალნიც აცხადებენ პრეტენზიას ამიერკავკასიის გაერთიანებაზე და პრაქტიკულადაც დგამენ ნაბიჯებს ამ მიმართულებით. ამის ნათელსაყოფად პირველ რიგში უნდა მოვიტანოთ სუმბატ დავითის ძის სიტყვები, ნათქვამი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის შესახებ: ბაგრატმაო „დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხითისა ჴელმწიფებითა, ნებიერად განაგებდა“[1]. შესაძლოა, ეს ცნობა გაზვიადებულიც იყოს, მაგრამ რადგან ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის მთელი კავკასიის გაერთიანებისთვის ბრძოლაში გადაიზარდა, ამდენად, მოსალოდნელია, გაერთიანებული საქართველოს პირველივე მეფის, ბაგრატ III-ის დროს საქართველოს სამეფო კარზე მთელი კავკასიის პოლიტიკური გაერთიანების გეგმაც დასახულიყო[2]. ამ მიმართულებით ქართველ ხელისუფალთა უპირატესობა სხვა ქართულ ძეგლებშიცაა აღნიშნული. 1046 წ. ჯავახეთში, ღრტილაში გამართულ ქართველ-სომეხთა საეკლესიო პაექრობაზე ქართველმა ბერმა, ექვთიმე გრძელმა განუცხადა მარმაშენის სომხური მონასტრის წინამძღვარს: „ესრეთ არს წესი, რომელ: მეფენი თქუენნი წინაშე ჩუენთა და მღდელთ-მოძღუარნი მღდელთ-მოძღუართა და მთავარნი მთავართა შიშით და

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382; ხაზგასმა ჩვენია.

2 იხ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 242—43.

ძრწოლით წარმოდგებიან და შევრდომით თაყუანის-სცემენ“[3]. XI ს-ის 60-იან წლებში ბაგრატ IV-მ სასტიკად დააჯარცხა და დაიმორჩილა ტაშირ-ძორაგეტის მეფე კვირიკე. ამასთან დაკავშირებით „მატიანე ქართლისაჲ“ ნათქვამია, რომ ბაგრატ IV-ს „მონებდეს სომეხნი“[4]. მიუხედავად იმისა, რომ მემატიანემ ეს სიტყვები, თითქოს, ერთ კონკრეტულ შემთხვევას მიუსადაგა, გამოთქმა — „მონებდეს სომეხნი“ მაინც უფრო ზოგადი ელფერისა ჩანს და მთელ სომხეთს უნდა გულისხმობდეს, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ 1045 წ. ბაგრატ IV-მ ანის-შირაკის სამეფოს დაკავებაც შეძლო (თუმცაღა დროებით).

ქართველ მწიგნობართაგან თუ მემატიანეთაგან განსხვავებით სომეხთა მეფეების იდეოლოგები მიიჩნევდნენ, რომ ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში IX—X სს-ში და XI ს-ის დამდეგსაც სომეხი ხელისუფალნი პირველობდნენ, ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანება სწორედ მათი მეთაურობით უნდა მომხდარიყო. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა დრასხანაკერტცის „ისტორიის“ სათანადო მონაცემები. დრასხანაკერტცის მიხედვით, სომხეთში 884/85 წწ. გამეფებული აშოტ I „ახლადბოძებულ სამეფოში განადიდებდა თორგომის ტომს (ნაგულისხმევია სომხები — ა. ა.). შემდეგ მან ხელი აღმართა ჩრდილოეთის მხარეზე, დიდი მთის კავკასიის ხეობებზე, მის ჭალებსა და გრძელწიაღოვან ხევებში მცხოვრები ტომები დაიმორჩილა... ასევე ერთობითა და სიყვარულით დაიკავშირა ეგრისის მეფეც, რომელიც ხშირად ნახულობდა [აშოტს], შვილობილის მოვალეობას იხდიდა მის წინაშე და ყოველთვის ერთგულ სამსახურს უწევდა“[5].

ამ ცნობის თანახმად, სომხეთის მეფე აშოტ I-ს თითქმის მთელი კავკასია დაუქვემდებარებია, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. სხვაც რომ არა იყოს რა, აშოტ I-ს (+890 წ.) მხოლოდ რამდენიმე წელს დასცალდა ყოფილიყო ახლადშექმნილი სომხეთის სამეფოს მეფე და ასე უცებ იგი იმდენს ვერ მოასწრებდა, რასაც დრასხანაკერტცი მიაწერს. როგორც ჩანს, იმდროინდელი სომხეთის სამეფო კარზე მსგავსი გეგმები არსებობდა, რაც აისახა დრასხანაკერტცის „ისტორიაში“. კათალიკოსი მემატიანე აქ ხორენაცის სულ სხვა, გაცილებით ადრინდელი ეპოქების აღმწერი „სომხეთის ისტორიის“ გავლენასაც განიცდის. დრასხანაკერტცის თავისი გმირების, სახელდობრ, აშოტ I-ის დახასიათება ხორენაცისეული თარგებისათვის მოურგია და ამით კი-

---

3 ძველი ქართული პოლემიკური ლიტერატურის ორი ძეგლი, პუბლიკაცია ი. ლოლაშვილისა, წიგნში: ლიტერატურული ძიებანი, თბ., 1983, გვ. 282.

4 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 307.

5 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, სომხეთის ისტორია, გვ. 38.

დევ უფრო მეტად გაუბუნდოვანებია, გაუმრუდებია სინამდვილე. მცდარია, კერძოდ, დრასხანაკერტცისეული წარმოდგენა აშოტ I-ისა და ლიხსიქეთის, „ეგრისის“ მეფის ურთიერთობის შესახებ. ეს ხომ ის ხანებია, როცა „იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა“. ლიხსიქეთისა და სომხეთის მეფეების ბრძოლის მიზეზები ერთობ ღრმა ხასიათისა იყო, ისინი ამიერკავკასიაში პირველობის მოპოვებისათვის ეცილებოდნენ ერთმანეთს და ამდენად აშოტ I-დმი „ეგრისის“ მეფის უსიტყვო მორჩილება დაუჯერებელია. სომეხთა მეფე აშოტ I-ს დას. საქართველოში ფეხიც არ დაუდგამს და გაუგებარია, რად უნდა დაქვემდებარებოდა მას „ეგრისის მეფე“.

დრასხანაკერტცისვე სიტყვით, სომეხთა მეფე სმბატ I-მა (890—914) „ქართველთა დიდი კურაპალატიც (ადარნასე — ა. ა.) ... დაითანხმა და დაიმორჩილა... ამგვარად, გაიზიდა და გაიზარდა მისი სამფლობელოს საზღვარი ჩრდილო-დასავლეთიდან კარნუ ქალაქამდე და კიდევ უფრო იქით, კლარჯეთამდე, მიაღწია დიდი ზღვის ნაპირამდე, ეგრისის [ქვეყნის] საზღვრამდეც და დიდი მთის კავკასიის ძირამდის, [დაიმორჩილა] გუგარელნი და წანარნი ალანთა კარამდის და მათი მცველი კარის სიმაგრე თავად აიღო“[6]. აშკარაა ამ ცნობების ტენდენციურობაც. სმბატ I-ის სამფლობელო სინამდვილეში შავ ზღვამდე არ განვრცობილა და არც ლიხსიქეთის საზღვრამდე არ მიუღწევია მას. „ქართველთა კურაპალატი“, უკვე იმ წლებში „ქართველთა მეფედ“ კურთხეული ადარნასეც მხოლოდ მოკავშირე იყო სმბატ I-ისა და არა მისი მონა-მორჩილი. როგორც ზემოთ აღინიშნა, როცა სმბატმა მოკავშირეობის საფუძველი დაარღვია, ადარნასემ მისი ტახტიდან ჩამოგდება და სმბატის სამფლობელოს მისაკუთრებაც კი განიზრახა. ერთი სიტყვით, დრასხანაკერტცის „ისტორიიდან“ მოტანილ ნაწყვეტებში უფრო კათალიკოსი მემატიანის ოცნებაა ასახული, ვიდრე რეალურად არსებული ვითარება. დრასხანაკერტცისა და მისი თანამოაზრეების დიდი სურვილია, განივრცოს სომხეთის საზღვრები შავ ზღვამდე და კავკასიონის მთებამდე, მიაღწიოს იმ მიჯნებს, რომელსაც მათი მცდარი წარმოდგენებით, თითქოს, ფლობდა ოდინდელი „დიდი სომხეთი“.

რაკი IX—X სს-ის საქართველო სომხეთისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნად მიაჩნიათ, ანდა ფიქრობენ, რომ თუ ეს ასე არ არის, ამით ისტორიის სამართლიანობა, კანონზომიერება ირღვევა, X—XI სის სომეხი მემატიანეები, სომეხი ბაგრატუნების იდეოლოგები საქართველო-სომხეთის ურთიერთობას ძველ ხანებშიც ტენდენციურად

---

[6] ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, სომხეთის ისტორია, გვ. 63—64.

„აშუქებენ“, ცდილობენ „დაასაბუთონ“ საქართველოს სომხეთისადმი დაქვემდებარება ისტორიულად უძველესი დროიდანვე, კერძოდ, სომხეთში არშაკუნთა მეფობის ჟამს (სომხეთის ბაგრატუნი მეფეები ხომ თავიანთ დინასტიას სომხეთის არშაკუნთა სამეფოს აღმდგენლად თვლიდნენ და პრეტენზიას აცხადებდნენ არშაკუნთა მთელი სამფლობელოს დაუფლებაზე). ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს „ნერსეს კათალიკოსის ცხოვრების“ მესროპ ხუცესისეული (ვაიოცძორეცისეული) რედაქცია, რომელიც X ს-ის 60-იანი წლებით თარიღდება. სავარაუდო წყაროსაგან განსხვავებით, მესროპ ვაიოცძორეცის თხზულებაში მოიპოვება ისეთი ცნობები, რომელთა მიხედვით IV ს-ის II ნახევარში აღმ. საქართველო არშაკუნთა სომხეთის შემადგენელ ნაწილად გამოიყურება[7]. სინამდვილეში საქმე ასე არ ყოფილა. ქართული და სხვა არასომხური წყაროების მონაცემებს რომ თავი დავანებოთ, იმავე ხანის შესახებ მოგვითხრობენ ვაიოცძორეციზე შედარებით ადრინდელი სომეხი მემატიანეები, ფავსტოს ბუზანდი და მოვსეს ხორენაცი, მესროპის მიერ დასახელებულ სომეხ მეფეებსა და მხედართმთავრებს ისინიც იხსენიებენ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ სომხეთის ხელისუფლებად მიიჩნევენ მათ. ეფიქრობთ, მესროპ ხუცესის მიზანდასახულობა სავსებით ნათელია. მას სურს „დაგვისაბუთოს“, რომ იმ მეტოქეობაში, რომელიც ქართველ-სომეხ მეფე-მთავართა შორის არსებობდა IX—X სს-ში ამიერკავკასიის (თუ მთელი კავკასიის) პოლიტიკური გაერთიანების გზაზე, ისტორიულად ვითომც სომეხ მეფეებს უნდა მიენიჭოთ უპირატესობა, მათ, თითქოს, მეტი უფლებები აქვთ, სწორედ მათი მეთაურობით უნდა მოხდეს კავკასიის გაერთიანება.

ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანებისათვის იდეოლოგიური წანამძღვრების შექმნის საქმეში დიდ როლს ასრულებდნენ ქართული და სომხური ეკლესიები. ცნობილია, რომ საქართველოს საეკლესიო გაერთიანება წინ უსწრებდა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას. მართალია, მთელი კავკასიის მასშტაბითაც ამგვარადვე არ მომხდარა (რაც ქართულ-სომხური ეკლესიების მწვავე ხასიათის დაპირისპირებამ განაპირობა), მაგრამ სათანადო ცდები თვალნათლივ შეიმჩნევა საუკუნეების განმავლობაში. ქართული თუ სომხური ეკლესიების სწრაფვა კი, გაბატონებულიყვნენ მთელს კავკასიაში, ხელს უწყობდა კავკასიის ერთიანობის იდეის შემდგომ განვითარებას, მის ცხოველმყოფელობას.

სომხური ეკლესიის დიდი პრეტენზიები ადრიდანვე დასტურდება[8]. მას შემდეგ, რაც VII ს-ის დამდეგს ქართულ-სომხურ ეკლესიებს

---

7 იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, „ქართლის ცხოვრება“ და..., გვ. 153—156.

8 იხ. მაგ., იქვე, გვ. 146—48, 158—159; მ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი, გვ. 26,

შორის განხეთქილება მოხდა, ქართული ეკლესია თანდათან მჭიდროდ დაუკავშირდა ბიზანტიას, ბერძნულ ეკლესიას, ხოლო სომხური ეკლესია კვლავინდებურად და კიდევ უფრო მკვეთრად დაპირისპირებული აღმოჩნდა ბიზანტიის ეკლესიასთან. სასანიდთა ირანის მსგავსად, არაბთა სახალიფოს ხელისუფლებამაც განიზრახა ესარგებლა ამით და სომხური ეკლესია თავის თანამდგომად ექცია ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მართალია, არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება იმის დასტურად, რომ არაბ დამპყრობლებს სომხური ეკლესია შეუვიწროებიათ, მაგრამ ყოფილა „თანამშრომლობის" ცდებიც. რაც ასახულია სომხურ გადმოცემებში[9]. აღსანიშნავია, რომ არაბებმა ბიზანტიისადმი დაპირისპირებული სირიული ეკლესიის სახითაც დასაყრდენი გაიჩინეს სირიის ათვისების საქმეში[10].

როგორც ცნობილია, სომეხთა კათალიკოსმა აბრაამ I-მა (607—610) ქართულ-სომხური ეკლესიების განხეთქილების ჟამს თავისი საყოველთაო ეპისტოლეთი ასე დამოძღვრა საკუთარი მრევლი: ქართველები „რადგან არ მოიქცნენ ჭეშმარიტებაზე", ჩვენო „ვბრძანეთ ქართველთა შესახებ: სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში, არც მეგობრობაში, არც დედამძუძეობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომელიც განთქმულია მცხეთის მიდამოში, არც მანგლისის ჯვარში და ნურც ჩვენს ეკლესიაში მიიღებთ მათ, არამედ მათთან ქორწინებისაგანაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ ვითარცა ურიებს!"[11] აბრაამის მოწოდება თავისი მრევლისადმი და შთამომავლობისადმი ცხოვრებაში თუმცაღა მთელი სიგრძე-სიგანით არ განხორციელებულა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კავკასიაში პირველობის მოპოვებისათვის ბრძოლის გამო ქართულ-სომხური ეკლესიების ისედაც გამწვავებული ურთიერთობა ამგვარი ფანატიკური გამოხდომების შედეგად კიდევ უფრო მეტად უნდა გართულებულიყო.

მართალია, სათანადო მასალები არ ჩანს, მაგრამ სომხურ-ალვანური ეკლესიების ურთიერთობის (რის შესახებაც ქვემოთ ვიტყვით) გათვალისწინებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ შექმნილ ვითარებაში

122—30, 170—72, 278—79; Մ. Օրմանեան, Հայոց եկեղեցի, Կոստանդնուպոլիս, 1911.

[9] იხ. მაგ. А. Н. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, Ер., 1977, გვ. 173, 183, 188, 224, 226; Т. М. Мамедов, Албания и Атропатена по древнеармянским источникам. Баку, 1977, გვ. 69—70.

[10] იხ. Е. А. Беляев, Арабы, ислам и арабский халифат в раннее средневековье, М., 1966, გვ. 170, 172.

[11] ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოცემა, თბ., 1968, გვ. 121—22.

სომხური ეკლესიის თავკაცებს სახალიფოს ხელისუფლებაზე დამყარებით ქართული ეკლესიისთვისაც უნდა შემოეტიათ. ს. ჯანაშიას საამისოდ შესაფერის დროდ მიაჩნია VIII ს-ის II ნახევარი[12]. VIII ს-ში მცხეთის საკათალიკოსო რომ შევიწროებული იყო არაბთაგან, ამაზე ჯუანშერის ცნობაც უნდა მიგვითითებდეს: არჩილ მეფის დროსო „განრყუნილ იყო საყოფელად მცხეთა“[13]. ცნობილია, რომ თბილისის ამირა თავისი აგენტის, ვინმე ცქირის მეშვეობით გრიგოლ ხანძთელის მიერ აღორძინებულ ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ცხოვრებაში ჩარევასაც კი ცდილობდა და მით უფრო შეძლებდა ქართლის ეკლესიის შევიწროებას. გრიგოლ ხანძთელიც, ალბათ, არაბთა მძლავრობის გამოც გადავიდა ქართლიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, თუმცა მას ისიც უნდა დაესახა მიზნად, რომ სომხური ეკლესიის გავლენა აღმოეფხვრა ტაო-კლარჯეთში.

როგორც ჩანს, სომხური ეკლესია ქართული ეკლესიის დაქვემდებარებაზე პრეტენზიას აცხადებდა და აქეთკენ მიმართულ გარკვეულ ნაბიჯებსაც დგამდა არა მარტო VIII, არამედ IX ს-შიც. ჩვენი აზრით, ქართულ ეკლესიაზე არაბთა მხარდაჭერით სომხური ეკლესიის შეტევის ერთ-ერთ ხელშემწყობ გარემოებად უნდა ქცეულიყო ბიზანტიაში გაჩაღებული ხატთდათრგუნვის მძაფრი. მოძრაობა, რომელიც IX ს-ის I ნახევარშიც გრძელდებოდა[14]. იმ ხანებში ქართულ ეკლესიას არ შეიძლება ბიზანტიის მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა და ამიტომ მარტოდმარტო უნდა გამკლავებოდა სომხური ეკლესიისა და მისი მფარველი არაბთა სახალიფოს შემოტევებს VIII ს-ის მეორე მეოთხედიდან IX ს-ის შუა ხანებამდე. როგორც ზემოთ ითქვა, ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა უნდა გამწვავებულიყო IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედშიც ქვემო ქართლში ინტერესების შეჯახებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, IX საუკუნეშივე, გრიგოლ ხანძთელისა და მისი თანამოსაგრეების მოღვაწეობის შედეგად ტაოში და კლარჯეთშიც უნდა ყოფილიყო შემთხვევები სომხური, მონოფიზიტური მოსახლეობის მართლმადიდებლობაზე, „ქართულ რჯულზე“ მოქცევისა, რასაც ასევე მოჰყვებოდა ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობის გართულება.

IX ს-ის უკანასკნელი მესამედიდან, როცა სახალიფო დასუსტდა, ხოლო ბიზანტია თანდათან გაძლიერდა და კეისრები დაბეჯითებით შეეცადნენ სომხეთის თავიანთი გავლენის ქვეშ მოქცევას, ბიზანტიის

---

12 ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 408—11.

13 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.

14 იხ. История Византии II, გვ. 49—79.

ეკლესიის მესვეურებმაც კვლავ გაიხსენეს ძველი გეგმა, რომლის მიხედვით მონოფიზიტური (გრიგორიანული) სომხური ეკლესია ბიზანტიის ეკლესიას უნდა დაქვემდებარებოდა. მონოფიზიტი სომხები „ბერძნულ ქრისტიანობაზე", ქალკედონიანობაზე უნდა მოქცეულიყვნენ. ასეთ პირობებში, იმ დროისათვის აშკარად გაძლიერებულ ქართულ ეკლესიას (გრიგოლ ხანძთელისა და მისი თანამოსაგრეების დიდმნიშვნელოვანი საქმიანობა ხომ უკვე მომხდარი ფაქტია) უნდა გაადვილებოდა სომხურ ეკლესიასთან ბრძოლა. მაგრამ სომხური ეკლესიის „მამამთავართ" (სომხეთში „მამამთავარს" — „ჰაირაპეტს" უწოდებდნენ ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, კერძოდ, სომეხთა კათალიკოს-პატრიარქებს) ყველაფერი უნდა ეღონათ იმისათვის, რათა კავკასიაში პირველობა სომხურ ეკლესიას მოეპოვებინა და არა ქართულს. შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში მათ უცდიათ საერთო ენის გამონახვა ბიზანტიის საეროთუ სასულიერო ხელისუფლებასთანაც, თუმცა ამას საბოლოოდ წარმატება არ მოჰყოლია. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ზემოთ უკვე ნახსენები, დრასხანაკერტცის „ისტორიაში" შემონახული ნიკოლოზ მისტიკოსის წერილი დრასხანაკერტცისადმი. ამ წერილის საფუძველზე უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ IX ს-შიც და X ს-ის პირველ მეოთხედშიც სომხური ეკლესიის საქეთმპყრობელნი დაბეჯითებით ფიქრობდნენ თავიანთი გავლენისათვის დაექვემდებარებინათ ქართული ეკლესია. მსგავსი გეგმა X ს-ში სავსებით ფანტასტიკური ჩანს.

ნიკოლოზ მისტიკოსს, თითქოს, ასეთი რამ მიუწერია დრასხანაკერტცისათვის: ...„შენი ღმრთისმოყვარეობისათვის ვგონებ არ არის გაუგებარი ჩვენი გულის დიდი წუხილი და დაუნელებელი ტკივილი სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა შენდამი რწმუნებული ერთობლივი სამწყსოსათვის მწარე ვნებისა და ჭირის გამო, რომელიც თავს დაგატყდათ სარკინოზ ისმაიტელ მოძალადეთაგან...

აწ, თუ თქვენი უწმინდესობა მართებულად მიიჩნევს, უპირველესად ყოვლისა საჭიროა ღმრთის მოხილვისა და შემწეობის ყოველ ჟამს მოხმობა, ხელთა ზეაპყრობა და მოწყალებისა და შებრალებისაოვის მთელი გულით ყოვლისმპყრობელი ღმრთის მიმართ ვედრება სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა შენი სამწყსოსათვის და საზოგადო სარგებლისათვის ფიქრი. შემდეგ კი აღარ შეეგუო მათ დაღუპვას და იზრუნე, რომ განსწავლო ისინი ყველაფერში საღმრთო მეცნიერებით...

წერილი გამოვუგზავნეთ მაგ კურაპალატსაც („ქართველთა მეფე" ადარნასეს, — ა. ა.) და აფხაზთა მეთაურსაც და ვურჩევდი, რომ მ ა თ ე ს შ ი ნ ა თ თ ქ ვ ე ნ ი დ ა რ ი გ ე ბ ა"...[15]

ცხადია, ისმის კითხვა, თუ რამდენად სანდოა ამ წერილის ცნობები. ნუთუ მართლა ექვემდებარებოდა X ს-ის I მეოთხედში მართლმადიდებლური ქართული ეკლესია „მწვალებლურ" სომხურ ეკლესიას? რა თქმა უნდა, სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მკითხველს ხომ კარგად მოეხსენება, როგორი განწყობილებაა გამოვლენილი 914—918 წლებში დაწერილ „გობრონის წამებაში" სომხური ეკლესიისა და საერთოდ სომხეთის მიმართ. „ᲒᲝᲑᲠᲝᲜᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲐ" ეკლესიებში საკითხავად იყო გამიზნული. რასაკვირველია, სომხურისადმი დაქვემდებარებული ეკლესია ამგვარი, ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) სულისკვეთებით გაჟღენთილი ნაწარმოების საჯაროდ გამოტანას ვერ იკისრებდა. ქართული ეკლესიის სომხურისადმი დაქვემდებარების შესახებ ხსენებული წერილის ცნობის გამო ზ. ალექსიძე აღნიშნავს: „საქართველოს და სომხეთის ეკლესიების ისტორიაში სულ მცირედ ჩახედული მკითხველისათვისაც კი იმდენად აშკარაა ამ ცნობის სრული შეუსაბამობა რეალურობასთან, რომ მის კრიტიკას აზრი არა აქვს. ვერც კონსტანტინოპოლის პატრიარქს დავწამებთ ასეთ უვიცობას ისეთ საკითხებში. როგორიცაა ამიერკავკასიის ეკლესიების ურთიერთობა, რომელშიც ბიზანტიის ეკლესია აქტიურად და უშუალოდ იყო ჩაბმული"...[16].

ქართული ეკლესიის სომხურისადმი დაქვემდებარების თაობაზე მოტანილი ცნობების უსაფუძვლობის მიუხედავად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი საგანგებო შესწავლა მაინც აუცილებელია, მათ კრიტიკას აზრი აქვს. ბიზანტიის იმპერიის საერო და საეკლესიო ხელისუფლება, მტკიცედ ჰქონდათ რა გადაწყვეტილი სომხეთის დაპყრობა, თავიანთი მიზნის განხორციელებისათვის ყოველნაირ საშუალებებს იყენებდნენ, მოქმედებდნენ იარაღითაც და დიპლომატიური ხერხებითაც. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ბიზანტიაში გავრცელდა პატრიარქ ფოტიოსის (857—67, 877—86) მიერ პოლიტიკური მოსაზრებით შეთხზული ცნობები კეისარ ბასილ I-ის (867—86) სომეხ არშაკუნთაგან წარმომავლობის შესახებ[17]. ამ თვალსაზრისს არ უარყოფდნენ ბასილ I-ის მემკვიდრეები, რამდენადაც ერთ-ერთ მათგანს, მწიგნობარ კეისარ კონ-

---

15 ᲘᲝᲐᲜᲔ ᲓᲠᲐᲡᲮᲐᲜᲐᲔᲠᲢᲔᲚᲘ, გვ. 189—193; ხაზგასმა ჩვენია.

16 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 054.

17 იხ. Կստանդին Ծիրանածին, ხ., 1970 (Ჯ. ᲑᲐᲠᲗᲘᲙᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ), გვ. 253; Ա. Հովհաննիսյան, Դիվագներ հայ ազատագրական մտքի պատմության, I, Ս., 1957, გვ. 37, 40.

სტანტინე პორფიროგენეტს (912—959) სათანადო ცნობები შეუტანია თავის თხზულებაში — „ბასილის ცხოვრება". ე. წ. მაკედონელთა დინასტიის კეისრებს ამგვარი რამ თუ მარტო იმისთვის სჭირდებოდათ, რომ თავიანთი მდაბიური წარმოშობა მიეჩქმალათ. მათ ხომ შეეძლოთ სხვა სახელოვანი წინაპრები გამოეძებნათ და არა მაინცდამაინც სომეხი არშაკუნები. აკი დედის ხაზით ბასილ I კონსტანტინე დიდის ნაშიერად გამოაცხადეს და გარდა ამისა, ალექსანდრე მაკედონელის სიდიადეც მიანიჭეს[18].

ბასილ I-ის წინაპრებად სომეხ არშაკუნთა გამოცხადების მთავარი მიზეზი ისაა, რომ ამით ბიზანტიის კეისრებს მოემზადებინათ გარკვეული იდეოლოგიური საფუძველი სომხეთში გასაბატონებლად. სასანიდთა ირანთან და არაბთა სახალიფოსთან შეხლა-შემოხლის დროს თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდა ბიზანტიის ხელისუფლება სომხეთის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას, ეს მშვენივრად ჩანს კონსტ. პორფიროგენეტის „ბასილის ცხოვრებიდანაც". როცა სომხეთში დამხობილა არშაკუნთა ტახტი (428 წ.), გადარჩენილ არშაკუნებს თავი კონსტანტინოპოლში შეუფარებიათ: „იმ დროს რომაელთა (ე. ი. ბიზანტიელთა — ა. ა.) შორის ხელისუფლება ეპყრა ზენონის სიმამრს, ლეონ დიდს[19]. მან მიიღო ეს ადამიანები და პატივი მიაგო მათ თავიანთი კეთილშობილური წარმოშობის შესაბამისად, უბრძანა ველყო სატახტო ქალაქში (კონსტანტინოპოლში — ა. ა.) საცხოვრებელი ადგილითა და აუცილებელი სურსათ-სანოვაგით. მაშინ სპარსთა მეფემ, გაიგო რა, რომ კაცი, რომელსაც ეძებდნენ, გაქცეულია სამშობლოდან, სატახტო ქალაქში უპოვია თავშესაფარი და კეისრებს დიდი სიყვარულით მიუღიათ, წერილი მისწერა მათ. ვითარცა მეგობარი, [იგი] უკანვე მოუხმობდა, აღუთქვამდა მათ ხელახლა აყვანას წინაპართა ტახტზე, მაგრამ [სინამდვილეში] განზრახული ჰქონდა ამგვარი ფანდით დაემორჩილებინა [სომეხი] ხალხი. როდესაც მათ მიიღეს [სპარსთა მეფის] ბარათი და ფიქრობდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, მათმა ერთ-ერთმა მსახურმა ამის შესახებ აცნობა კეისარს და გადასცა მას წერილი. როცა აშკარა გახდა, რომ სპარსთა მეფის მიერ მათი მიხმობის მიზანი უფრო მეტად [სომეხი] ხალხის დამორჩილება იყო, ვიდრე მათი ხელისუფლების [აღდგენა], ხოლო ეს არც მიწვეულებს და არც რომაელთა სახელმწიფოს ხელს არ აძლევდა, მათ გადაწყვიტეს, ისე მოქცეულიყვნენ, რომ სპარსთა გეგმები ჩაშლილიყო. კეისარმა მათი გაქცევის თავიდან აშორების მიზნით, უფრო ვრცელი სამ-

---

[18] იხ. Կոստանդին Երիցանայի, გვ. 36.

[19] ნაგულისხმევია ბიზანტიის კეისარი ლეონ I (457—474).

ფლობელოს ბოძებისა და უფრო მეტად უზრუნველყოფის საბაბით, ისე, რომ არ სწყენოდათ, გადაასახლა ისინი მაკედონიის ქალაქ ნიკეში ქალებსა და ბავშვებთან ერთად".

„გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როდესაც სარკინოზები თანდათანობით გაძლიერდნენ, ამირმუმნმა (ე. ი. არაბთა ხალიფამ — ა. ა.) ადრინდელი არშაკუნების ნაშიერთა მიმართ იგივე ხერხს მიმართა. წერილი გაუგზავნა მათ და მიიწვია, თითქოს მათი წინაპრების ძალაუფლებისა და ტახტის [დაპატრონების] მიზნით... კეისარმა გაიგო ეს ამბავი, წერილი [კეისარს] გადასცეს. იგი მიხვდა, რომ [სარკინოზები] იწვევდნენ მათ არა რაიმე წყალობის მისანიჭებლად, არამედ მზაკვრული განზრახვით, თავიანთი ხელისუფლების განვრცობის მიზნით (სარკინოზები იმედოვნებდნენ, რომ თუ [არშაკის] შთამომავალნი თავიანთ ხელქვეშ ეყოლებოდათ, მაშინ შეძლებდნენ [სომეხი] ხალხის ადვილად მიმხრობას, რადგან ამ უკანასკნელს უყვარდა ადრინდელი არშაკი). აი, ამის გამო კეისარმა, უფრო მეტად უზრუნველყოფის საბაბით, [არშაკის ნაშიერნი] დაუყოვნებლივ გადაიყვანა ფილიპეში, რომელიც ასევე მაკედონიის ერთ-ერთი ქალაქი იყო. შემდგომ, უფრო მნიშვნელოვან ქალაქში დამკვიდრებისა და უფრო მაღალი მდგომარეობის შექმნის მომიზეზებით, გადაიყვანა ისინი ქალაქ ადრიანოპოლისში. [არშაკის მოდგმას] მოეწონა ადგილი, ისინი აქ თავს ისე გრძნობდნენ, როგორც მშობლიურ ქვეყანაში, საკუთარ ხალხს შორის. შესაძლებლობა ჰქონდათ შეუბღალავად, წმინდად დაეცვათ თავიანთი კეთილშობილური წარმომავლობა და ეროვნული სახე"[20].

კონსტ. პორფიროგენეტის დროს სომხეთის დაპყრობის საკითხი ბიზანტიის პოლიტიკაში მეტად აქტუალური იყო და მწიგნობარ კეისარს წარსულში წიაღსვლითაც სურს ამის გამართლება თუ ნათელყოფა. განზრახული ჰქონდათ რა სომხეთში გაბატონება, კერძოდ, სომხური ეკლესიის ქალკედონიანობაზე მოქცევა, ბიზანტიის ხელისუფალნი ზოგჯერ, გარკვეული მოსაზრებით, სომეხთა „მამამთავრების" გულის მოგებასაც ცდილობდნენ. ასე მაგ., თავისი სისასტიკით ცნობილი კეისარი ბასილ II ბულგართმმუსვრელი (976—1025), რომელმაც მოსპო ვასპურაკანის სამეფო და ფაქტობრივად დაიპყრო ანის-შირაკის სამეფოც, ამავე დროს ისეთი „ყურადღებით", იმდენად „თბილად" ეპყრობოდა სომეხ „მამებს", რომ სომხეთში ლეგენდაც კი შეიქმნა, თითქოს ბიზანტიის ეს მრისხანე კეისარი „სომხური სარწმუნოების" (გრიგორიანობის) აღმსაარებელი გამხდარა. კირაკოს განძაკეცის სიტყვით, ბასილ II „იყო კაცი კეთილმოსურნე, მეტადრე სომეხი ერის მიმართ.

---

[20] იხ. Կոստանդին Պիրանածին, გვ. 33—35.

ამიტომაც უარყო მან ქალკედონური მრწამსი და ჩვენს (სომეხთა — ა. ა.) ჭეშმარიტ სარწმნოებაზე მოიქცა"[21]. აღსანიშნავია, რომ ბასილ II-ს, თუ ამას ბიზანტიის იმპერიის ინტერესები მოითხოვდა, მაჰმადიანთა მიმართაც შეეძლო გამოეჩინა „გულითადი" დამოკიდებულება, მაშინ, როდესაც იმპერიის მოსაზღვრე მაჰმადიანური სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლა ბიზანტიის და თვით ბასილ II-ის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენდა. ქრისტიანთა საშინელი მოძულის, იბნ ალ-ასირის მიხედვით, ბასილ II თურმე მამაცი, მართალი ადამიანი, ბრძენკაცი ყოფილა. იგი კეთილად იყოო განწყობილი მაჰმადიანთა მიმართ[22].

სომხური ეკლესიისადმი ბიზანტიის ხელისუფალთა „კეკლუცობა", რა თქმა უნდა, დიდხანს არ გაგრძელებულა. როცა ბიზანტიის იმპერიამ ძირითადად დაასრულა სომხეთის დაპყრობა (XI ს-ის შუა ხანები), ბ ი ზ ა ნ ტ ი ი ს ა გ ე ნ ტ ი, სომეხთა კათალიკოს-პატრიარქი პეტროს გეტადარძიც (1019—1058) არ დაინდეს. იგი სომხეთიდან გააძევეს და საპატიო ტყვეობაში ჰყავდათ ბიზანტიაში. საპატრიარქო ტახტიც სომხეთიდან ბიზანტიაში იქნა გადატანილი. ამასთანავე, დღედღეზე ამ ტახტის საბოლოოდ დამხობასაც აპირებდნენ[23], მაგრამ ბიზანტიის იმპერიის საგარეო მდგომარეობის მეტისმეტად გართულებამ და სომეხთა მიერ დიდძალი ქრთამის გაღებამ იხსნა სომეხთა საპატრიარქო ტახტი მოსპობისაგან.

ზემოთქმულის შემდეგ, ალბათ, არცაა მაინცდამაინც საკვირველი, რომ ნიკოლოზ მისტიკოსსაც გარკვეული, პოლიტიკური მოსაზრებით, ხელგაშლილობა (ცხადია, ცარიელი სიტყვით და არა საქმით) გამოეჩინა სომხური ეკლესიის, კერძოდ, სომხეთის კათალიკოს-პატრიარქის, ჰოვჰანეს დრასხანაკერტცის მიმართ, „დაეკმაყოფილებინა" მისი პრეტენზიები ქართული ეკლესიისადმი. ნიკოლოზ მისტიკოსს, ამ მხრივ, მაგალითი თავისი ცნობილი წინამორბედისაგან, ფოტიოსისგანაც შეეძლო აეღო. ფოტიოსმაც მისწერა წერილი თავის თანამედროვე სომხეთის პარტიარქს, ზაქარია I-ს (855—876). როცა ამგვარ ნაბიჯს დგამდა, ფოტიოსის ჩანაფიქრი იყო. მიეღწია სომხური ეკლესიის მართლმადიდებლობაზე, „ბერძნულ სარწმუნოებაზე" მოქცევისათვის, მისი დაქვემდებარებისათვის ბიზანტიის ეკლესიისადმი. საბოლოო მიზნის მისაღწევად არსებული სერიოზული სიძნელეების შემსუბუქების გან-

---

[21] Կիրակոս Գանձակեցի, Պատմութիւն Հայոց, Թիֆլիս, 1909, გვ. 83.

[22] Իբն ալ-Ասիր, ե., 1981 (ა. ტერ-ღევონდიანის გამოცემა), გვ. 204—5.

[23] იხ. მაგ., Памятники армянской агиографии, Ереван, 1973 (კ. ტერ-დავთიანის გამოცემა), გვ. 81.

ზრახვით, ფოტიოსი ცდილობს სომეხი „მამების“ გულის მოგებას, მათ გადაბირებას. ამის გამო იგი ცნობს სომხური ეკლესიის სამოციქულო უფლებებს, მის უზენაესობას ჩრდილოეთის ყველა ხალხზე[24].

საფიქრებელია, ბიზანტიის ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა დრასხანაკერტცის თავისი მიზნებისათვის გამოყენებაც, ამასთანავე, მისი ქალკედონიანობაზე მოქცევაც კი. მემატიანე კათალიკოსი გვაუწყებს: ...„გავემართე და წავედი დერჯანის გავარში და ერთი თვე დავყავი იქ. თუმცა ხშირად მაწვეველი [მომდიოდა] და სიყვარულით აღსავსე სურვილით მიწვევდა კეისართან სასახლეში, მაგრამ მე არ ვისურვე, რადგან ვფიქრობდი, რომ შეიძლება გამოჩენილიყო ვინმე, ვინც თავისი თვალით მნახავდა და ჩემს იქ მისვლას ჩემი ქალკედონიტობით [ახსნიდა] და მე გადაბირებულად მიმიჩნევდა. ასე ამგვარად არ ვისურვე წავსულიყავი უძლურ გონებათა ცდუნებით“[25]. ეტყობა, სომხეთში გავრცელდა ხმები დრასხანაკერტცის ქალკედონიანობაზე მოქცევისა თუ ქალკედონიანობისადმი მისი კეთილგანწყობილების შესახებ. ამიტომაც დრასხანაკერტცი, რომელიც ლამის მუხლმოყრილი ეევედრება კეისარს, დაიხსნას სომხეთი მაჰმადიანთა თარეშისაგან[26], ამავე დროს უარს აცხადებს კონსტანტინოპოლს ჩასვლასა და თავის სათაყვანებელ კეისართან წარდგომაზე. მოტანილი ცნობა იმდენად დამაფიქრებელია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა კიდეც აზრი დრასხანაკერტცის ქალკედონიანობაზე მოქცევის შესახებ, თუმცა ეს მოსაზრება ამჟამად მიღებული არაა[27].

ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებას განზრახული რომ უნდა ჰქონოდა სომეხთა პატრიარქის, დრასხანაკერტცის ქალკედონიანობაზე მოქცევა, შესაძლოა, ამაზე მითითება თუ მინიშნება ნიკოლოზ მისტიკოსის დრასხანაკერტცისადმი გამოგზავნილ წერილშიც შეიმჩნეოდეს. ასე მაგ., ნიკოლოზი მიმართავს სომეხთა კათალიკოს მემატიანეს, რომ მან იზრუნოს, გ ა ნ ს წ ა ვ ლ ო ს თ ა ვ ი ს ი ს ა მ წ ყ ს ო „უ ვ ე ლ ა ფ ე რ ში ს ა ღ მ რ თ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი თ“. ცნობილია, რომ ბიზანტიელები მონოფიზიტ სომხებს, კერძოდ, მათ პატრიარქსაც, მწვალებლებად მიიჩნევდნენ და თუ ნიკოლოზ მისტიკოსი დრასხანაკერტცის “საღმრთო მეცნიერებაზე“ ლაპარაკობს, ალბათ, მას იმედი აქვს, სომეხთა პატრიარქი ქალკედონურ მრწამსს, „ბერძნულ ქრისტიანობას“ აღიარებს და თავის სამწყსოსაც ამავე სულისკვეთებით

---

[24] იხ. R. G r o u s s e t, Histoire de l'Armenie des origines a 1071, Paris, 1947, გვ. 383.

[25] ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 211—13.

[26] იქვე, გვ. 196—210.

[27] იხ. იქვე, გვ. 027, 033, 038.

დამოძღვრავს. რაკი ბიზანტიის ხელისუფლება ესოდენ ძნელად განსახორციელებელ გეგმას შეიმუშავებს სომხეთის, კერძოდ, სომხური ეკლესიის მიმართ, საბოლოო მიზნის მისაღწევად ზოგჯერ, მოქალაქეებით, გარკვეულ დათმობებზე წასვლაც უჩვეულო ამბავი როდია. ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება სომხეთის მიმართაც თავისთვის (და საზოგადოდ, დამპყრობლისათვის) ჩვეული, ნაცადი ხერხებით მოქმედებდა.

რასაკვირველია, სავსებით მოსალოდნელია, დრასხანაკერტცის თავის „ისტორიაში" შეტანისას გადაეკეთებინა მისდამი ნიკოლოზ მისტიკოსის მიერ გამოგზავნილი წერილი, მაგრამ საერთოდ, ეს ეპისტოლე თავიდან ბოლომდე, მთლიანად ნაყალბევი არ უნდა იყოს. ვფიქრობთ, ეს ჩანს წერილის იმ ადგილებიდან, რომელთა მიხედვით ამიერკავკასიაში, იმ ხანებში მაინც, წამყვან პოლიტიკურ ძალად ქართველი სამეფოებია მიჩნეული და არა სომხური, სწორედ ქართველმა ხელისუფლებმა უნდა დარაზმონ ამიერკავკასია სომხეთის გადასარჩენად, საჯიანთა დასამარცხებლად. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის ძალზე ტენდენციურად ამსახველი მემატიანე, დრასხანაკერტცი ასე რელიეფურად არ წარმოაჩენდა ქართველი მეფეების უპირატესობას ამიერკავკასიაში, უკეთუ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილი მის მიერ საგრძნობლადაა გადაკეთებული. ეპისტოლეს ნაყალბევობის აზრს ეწინააღმდეგება ის გარემოებაც, რომ მასში „ქართველთა" და ლიხსიქეთის მეფეები იმგვარადვე იწოდებიან, როგორც საერთოდაც იხსენიებდნენ მათ ბიზანტიაში. ცნობილია, რომ ბიზანტიელები მედიდურობისა თუ სხვა, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრების გამო არც ქართველ და არც სომეხ ხელისუფალთ, ისევე, როგორც ბევრ სხვასაც. მეფეებს არ უწოდებდნენ. ნიკოლოზ მისტიკოსის დრასხანაკერტცისადმი გამოგზავნილ წერილში „ქართველთა მეფე" ადარნასე მხოლოდ და მხოლოდ კურაპალატად, ხოლო ლიხსიქეთის მეფე „აფხაზთა მეთაურად" იხსენიება, მაშინ, როდესაც თვითონ დრასხანაკერტცი მეფეებს უწოდებს მათ. ასევე, კათალიკოსი მეისტორიე დასავლეთ საქართველოსა და მის მეფეებს „ეგრისსა" და „ეგრისის მეფეებს" უწოდებს, დრასხანაკერტცის „ისტორიაში" სიტყვა აფხაზი მარტოოდენ მასში შეტანილ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილის ტექსტში ჩნდება. ალბათ, ვერ გამოვრიცხავთ ვერც იმ შესაძლებლობას, რომ დრასხანაკერტცის შეეწევდა უნარი, სიყალბე ოსტატურად ჩაედინა, ბიზანტიის დიპლომატიისათვის დამახასიათებელი თავისებურებები გაეთვალისწინებინა. მაგრამ აღნიშნული მომენტიც სხვა, ზემოხსენებულ მონაცემებთან ერთად მთლიანობაში საკმაოდ მტკიცე საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილის ნაყალბევობის აზრი უკუვაგდოთ.

ვინაიდან სომხეთში გაბატონებასა და სომხური ეკლესიის ქალკედონიანობაზე, „ბერძნულ ქრისტიანობაზე“ მოქცევას ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ამის გამო ნიკოლოზ მისტიკოსსაც, იმპერიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ცარიელი სიტყვით და არა საქმით, მოჩვენებით, ანგარიში გაუწევია სომხეთის პატრიარქის, დრასხანაკერტცის პრეტენზიებისათვის ქართული ეკლესიის მიმართ. სხვათა შორის, ამ ხანებშიც სომხური ეკლესიის პრეტენზიის შემორჩენას ქართული ეკლესიის იერარქიულად დაქვემდებარების თაობაზე ნაწილობრივ მაინც ის გარემოებაც უნდა კვებავდეს, რომ ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი, კათალიკოსი, გარკვეული მიზეზების გამო, ჯერ კიდევ არ იყო გაპატრიარქებული. ჩვენი კათალიკოსის გაპატრიარქება მხოლოდ მელქისედეკ I-ის (1012—1030, 1039—1045) ჟამს მოხდა. რაც შეეხებათ ბ ი ზ ა ნ ტ ი ი ს ე კ ლ ე ს ი ს ა დ მ ი დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ უ ლ ი სომხური ეკლესიის „მამამთავრებს“, ისინი ამ დროისათვის კარგა ხნის გაპატრიარქებული ჩანან.

ამრიგად, ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობასთან დაკავშირებით კონსტანტინოპოლის მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ე ლ ი პატრიარქის, ნიკოლოზ მისტიკოსის ერთი შეხედვით უცნაური პოზიცია, საკთხის საგანგებო შესწავლის შემდეგ აღარ უნდა იყოს გაუგებარი: პოლიტიკური მოსაზრებით რა არ ხდება! პოლიტიკა და რელიგია ხომ მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთმანეთს ბიზანტიის იმპერიაში. არამცთუ მონოფიზიტური, მწვალებლური, მაგრამ მაინც ქრისტიანული ეკლესიის „მამამთავრის“, არამედ ზოგჯერ მაჰმადიანური სახელმწიფოს ხელისუფალთა გულის მოსაგებად, საამებლადაც კი შეიძლებოდა გარჯილიყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი. ამ მხრივ ერთობ ნიშანდობლივია, რომ იგივე ნიკოლოზ მისტიკოსს წერილი მიუწერია კრეტის ამირასთვისაც, რომელსაც „ფრიად სახელგანთქმულ, საპატიო და საყვარელ“ პიროვნებად იხსენიებდა და ასე მიმართავდა: „მთელს სამყაროში გამოირჩევა ორი საბრძანებელი, სარკინოზთა და რომაელთა, რომელნიც ბრწყინავენ ვითარცა ორი დიდი მნათობი ცის კამარაზე. მარტო ამიტომ ჩვენ უნდა ვცხოვრობდეთ ძმებივით შეხმატკბილებულად მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ზნე-ჩვეულებანი და რელიგია გვაქვს“[28]. ეს ის ხანებია, როდესაც ბიზანტიის იმპერიას თითქმის განუწყვეტელი შეხლა-შემოხლა ჰქონდა მაჰმადიანურ სამყაროსთან, კერძოდ, ცალკეულ მაჰმადიანურ პოლიტიკურ ერთეუ-

---

[28] იხ. A. A. Vasiliev, Byzantium and Islam, წიგნში: Byzantium, Edited by N. H. Baynes and H. St. L. B. Moss, Oxford, 1949, გვ. 311—12.

ლებთან (რაც ბიზანტიელთაგან დიდ მსხვერპლს, მუდმივ საომარ მზადყოფნას მოითხოვდა), როცა ბიზანტიის ათასობით ჯარისკაცისა თუ მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლისღვრა, დარბევა-აწიოკება, ტყვეებად გარეკვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. აი, ასეთ ვითარებაშიც კი ნიკოლოზ მისტიკოსი, ცხადია, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, კისრულობს დათაფლული ენით აამოს, ასიამოვნოს კრეტის ამირას. რაღა გასაკვირია, რომ მას ასეთივე შენიღბული, შორსგამიზნული ნაბიჯი გადაედგა სომხეთის პატრიარქთან, დრასხანაკერტცისთან ურთიერთობაშიც.

როგორც ზემოთ ითქვა, გარკვეული მიზეზების გამო VII—VIII სს.-დან ქართული ეკლესია მჭიდროდ დაუკავშირდა ბიზანტიას, რაც არაბთა სახალიფოსთან მის მკვეთრ დაპირისპირებას განაპირობებდა. არაბებთან შეუპოვარ ბრძოლებში გამოწრთობილი, გამობრძმედილი ქართული ეკლესია არაბთა ბატონობის შესუსტებისა და მით უფრო გადაშენების შემდეგ შესამჩნევად ძლიერდება. იგი ისეთ შემართებასა და სიმხნეს იჩენს, იმოდენა ენერგიას ავლენს, რომ ყოველივე ეს, ცოტა არ იყოს, მოულოდნელობადაც კი აღიქმება. ქართული ეკლესიის მძლავრი აღმავლობის დასტურია ქართველი „მამების" მისამართით გაჩენილი საოცარი გამოთქმაც — „მდუღარებაჲ სულისაჲ"[29]. ამავე დროს, არსებული წყაროებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ IX—X საუკუნეებისათვის მაინც ქართულ ეკლესიას აშკარად გამოკვეთილი ეროვნული მიმართულება გააჩნია. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს X საუკუნისათვის სინას მთის ქართველი ბერების მიერ ლოცვებში ქართველობისა და ფართო გაგებით ქართლისთვის, ე. ი. საქართველოსთვის დიდი ადგილის დათმობა. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქრისტიანობა თავისი ბუნებით ინტერნაციონალური სარწმუნოებაა და ეკლესიებში ღმერთისადმი აღვლენილ ლოცვებში ამა თუ იმ ქვეყნისა და ერისთვის მაცხოვრისათვის წყალობის, მფარველობის ვედრება ჩვეულებრივი ამბავი როდია. სინას მთის ქართველი ბერები კი, საქართველოს დიადი მომავლის რწმენით გულანთებულნი, უგულებელყოფენ ქრისტიანული მოძღვრების სულისკვეთებას და მუხლმოდრეკილნი შეჰღაღადებენ უფალს, მზრუნველობა არ მოაკლოს ქართველობას და ქართლს, რომელშიც მთელ საქართველოს გულისხმობენ გიორგი მერჩულეს მსგავსად (სიტყვა საქართველო პირველად ხომ მხოლოდ X ს-ის მეორე ნახევარში ჩნდება). სინას მთაზე დამკვიდრებული ქართველი ბერები ამას შესთხოვდნენ მაცხოვარს: „ქრისტე შეიწყალე... ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტეანენი და

---

29 იხ. ქრესტომათია, I, გვ. 93, 442.

უფროს ყოველთასა ყოველნი ქართველნი". ამავე დროს, ისინი ლოცულობდნენ „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემიქცევისა, ტყუეთა მოქცევისა, ჟამთა დაწყნარებისა და ქრისტიანობისა დამტკიცებისათჳს"[30]. ასევე ქართველი „მამების" მიერ საქართველოს უკეთესი მერმისისათვის ლოცვა-ვედრების დამადასტურებელია იშხნის ეკლესიისათვის 973 წელს გაჭედილი დიდი საწინამძღვრო ჯვრის ერთ-ერთი წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „ქრისტე, ადიდენ მეფენი ჩუენნი ღა ერი მათი დაიფარე"[31].

X—XI სს-ში გაძლიერებული ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელნი დიდი გეგმების განხორციელებას რომ ისახავდნენ მიზნად და ფიქრობდნენ მცხეთის საკათალიკოსო ტახტისათვის დაექვემდებარებინათ მეზობელი ქვეყნების ქრისტიანებიც, ეს მშვენივრად ჩანს ჩრდილო კავკასიაში, ინგუშეთში, მდებარე ტაძრის, ტყობა-ერდის ქართული ლაპიდარული წარწერიდანაც, რომელშიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I „აღმოსავლეთის პატრიარქადაა" წოდებული[32]. აქ „აღმოსავლეთში" თუნდაც რომ მხოლოდ საქართველო იყოს ნაგულისხმევი, „აღმოსავლეთის პატრიარქის" ტიტული მინიშნებას მაინც შეიცავს ქართული ეკლესიის მეთაურის პრეტენზიებზე, იმაზე, რომ მას განზრახული აქვს მცხეთის საპატრიარქოს სამწყსოს გაზრდა-გაფართოება საქართველოს მეზობელ ქვეყნებში („მთელს აღმოსავლეთში", ქვეყნიერების ოთხი მხრიდან ერთ-ერთში) თავისი გავლენის გავრცელების შედეგად. ინგუშეთში, ტყობა-ერდის ტაძარში ქართული წარწერის ამოკვეთა და მასში ქართველთა პატრიარქის მოხსენიების ფაქტიც ხომ ამის დასტურია. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ იმ ხანებში წყაროებში „აღმოსავლეთი" საქართველოს გარდა კავკასიაში სხვა ქვეყნებისათვისაც შეიძლებოდა ეწოდებინათ. ასე მაგ., დრასხანაკერტცი იხსენიებს „აღმოსავლეთის დიდ მთავარ ჰამამს", რომელსაც გამოუხსნია საჯიანი ამირას მიერ დატყვევებული სომხეთის კათალიკოს-პატრიარქი გევორქ II (877—897). ეს ჰამამი სომხური წყაროებისეული ალვანეთის მეფე იყო. დრასხანაკერტციც „აღმოსავ-

---

[30] იხ. Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей синайского монастиря, М.—Л., 1940, გვ. 26, 28; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 50; ხაზგასმა ჩვენია.

[31] იხ. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ 50—53.

[32] იხ. მაგ., Г. Г. Гамбашидзе, Вопросы христианской культуры и исторической географии Аварии, მაცნე, ისტორიის სერია, 1985, № 1, გვ. 111.

ლეთს", ზოგჯერ მაინც, აშკარად ალვანეთს უწოდებს[33]. მელქისედეკ I-ის დროისათვის ისტორიული ალვანეთის არაერთი ოლქი ეკლესიურად მცხეთის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, ქართული ეკლესიის „მამები" თუ თავკაცები ფიქრობდნენ ახლო მომავალში ალვანეთის სხვა ოლქებიც მოექციათ მართლმადიდებლობაზე, „ქართულ რჯულზე", აგრეთვე ქრისტიანობის დროშით ებრძოლათ ალვანეთისათვის, სადაც მაჰმადიანობის მოძალება მეტისმეტად სახიფათო გამხდარიყო. ასეთ ვითარებაში სავსებით მოსალოდნელია, მელქისედეკ I-ის ტიტულში — „აღმოსავლეთის პატრიარქი" — ასახული იყოს მისი პრეტენზიები ალვანეთისა და მთელი კავკასიის მიმართ მაინც. ამით ქართული ეკლესია გარკვეულ საფუძველს ამზადებდა საქართველოს მეთაურობით კავკასიის პოლიტიკური გაერთიანებისათვის.

აღმავლობის გზაზე მდგარი ქართული ეკლესია მთელს კავკასიაში რომ ცდილობდა თავისი გავლენის გავრცელებას, ეს იმითაც აიხსნება, რომ ქრისტიანული ეკლესია, საზოგადოდ, მიზნად ისახავდა, თავის მოვალეობად მიიჩნევდა მთელი მსოფლიოს, მით უმეტეს, მეზობელი ქვეყნებისა და მხარეების წარმართთა, მწვალებელთა, სხვა რელიგიების მიმდევართა „ჭეშმარიტ გზაზე" დაყენებას, მოქცევას. ასე მაგ., ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერიის ხელისუფალთაგან დევნილმა სირიულმა ნესტორიანულმა ეკლესიამ სპარსეთს შეაფარა თავი, ხოლო შემდგომში თანდათან, იქიდან ჩინეთშიც კი გაიდგა ფესვები. ნესტორიანთა განსაცვიფრებელ მისიონერულ მოღვაწეობას ზოგჯერ აზიის მეორე ალექსანდრე მაკედონელისეულ დაპყრობადაც კი იხსენიებენ[34].

საყურადღებოა, რომ საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში ქართული ეკლესიის გაძლიერებას ზოგიერთი სომეხი მღვდელთმთავარიც ხედავდა და აღიარებდა. ასე მაგ., XII ს-ის ცნობილი სომეხი საეკლესიო მოღვაწე, კილიკიაში მცხოვრები ნერსეს ლამბრონაცი სომხური ეკლესიის კრიზისიდან თავის დაღწევის საშუალებად ქართული ეკლესიისადმი მიბაძვას, ბიზანტიაზე ორიენტაციის აღებას მიიჩნევს. იგი ასე მიმართავს ბიზანტიის ეკლესიისადმი მკვეთრად დაპირისპირებულ, შეურიგებელ სომეხ „მამებს": „შეხედეთ, ჩვენგან გამოყოფილი (? — ა. ა.) ქართველთა ნათესავი, მათ (ბერძნებს — ა. ა.) დაყრდნობილი, დღითი დღე როგორ ბრწყინდება ქრისტეს მიმართ. აწ, თუმცაღა დაგვიანებით, ჩვენც იგივე აზრზე უნდა დავდგეთ"-ო,

---

33 იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 72, 130. სომეხი მემატიანეები „აღმოსავლელებად" სომხებსაც იხსენიებდნენ (იხ. მაგ., Սուրբ Գրիգորի Տաթևացւոյ... გვ. 275).

34 იხ. H. Grégoire, The Byzantine Church, წიგნში: Byzantium, გვ. 117.

„ჩვენი შერყეული ეკლესია რკინის კვერთხს უნდა მივაყრდნოთ“-ო[35]. ცხადია, ნერსეს ლამბრონაცი სომეხ საეკლესიო მოღვაწეთათვის ჩვეულ მიკერძოებას იჩენს, როცა ქართულ ეკლესიას წინარე საუკუნეებში სომხური ეკლესიის შემადგენელ ნაწილად აცხადებს, ასევე, იგი აზვიადებს იმ როლს, რაც შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ქართული ეკლესიის ბიზანტიურმა ორიენტაციამ ობიექტურად შეასრულა მისი გაძლიერების საქმეში, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ნერსეს ლამბრონაცის მიერ სომხური ეკლესიის კრიზისში ყოფნის, ხოლო ქართული ეკლესიის აღმავლობის, გაძლიერების აღიარება. ჯერ კიდევ IX—X საუკუნეებიდან შესამჩნევი ქართული ეკლესიის აღმასვლის პროცესი იმდენად აშკარა გამხდარა, რომ ამის შესახებ ამიერკავკასიისგან საკმაოდ მოშორებით, კილიკიაში მოღვაწე ნერსეს ლამბრონაცისაც მშვენივრად სცოდნია. ქართული ეკლესიისადმი დაპირისპირებული სომხური ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენლის მიერ ქართული ეკლესიის ძლიერებაზე, ძლევამოსილებაზე ესოდენ დაბეჯითებით ლაპარაკი უჩვეულო ამბავია. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მომხდარიყო, როცა სომხური ეკლესიის კრიზისი, დასუსტება, ხოლო ქართული ეკლესიის გაძლიერება საყოველთაოდ გახდა ცნობილი.

სომხური ეკლესიის ღრმა კრიზისი ნერსეს ლამბრონაცის ეპოქაზე ბევრად უფრო ადრე დაიწყო. მოვიტანთ ამის დამადასტურებელ რამდენიმე ფაქტს. სომეხთა პატრიარქი ვაჰან I (968—69) ქალკედონიანობაზე მოქცეულა, რასაც სომხურ ეკლესიაში დიდი არევ-დარევა, შეხლა-შემოხლა, განხეთქილება გამოუწვევია. ანისში საეკლესიო კრება მოიწვიეს, რომელმაც კათალიკოსად სტეფანოს III (969—72) აკურთხა. ვაჰანი იძულებული გამხდარა ვასპურაკანის მეფესთან გაქცეულიყო. „მაშინ ორივე, [ურთიერთდაპირისპირებულ] მხრიდან წყევლით აივსო სომეხთა ქვეყანა“. ვაჰანი და სტეფანოსი „ერთსა და იმავე წელს გარდაიცვალნენ, რითაც დასრულდა არეულობა სომეხთა ქვეყანაში“[36]. ასოღიკი არ აღნიშნავს, რომელი ქალკედონური ეკლესიის (ბერძნულისა თუ ქართულის) თავკაცებთან დაამყარა ვაჰანმა „წერილობით სიყვარული და კეთილგანწყობილება“. შედარებით გვიანდელი სომხური წყაროები ვაჰანის მოქმედებას ხან ქართული ეკლესიის ზეგავლენით ხსნიან, ხანაც ბერძნულისა, ანდა ერთდროულად ორივესი[37]. მართლაც, „ქალკედონიანებთან კეთილგანწყობილების და-

---

[35] იხ. Ա. Հովհաննիսյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 271—272.

[36] Սեբէոսեանի Տարօնեցւոյ... გვ. 181—82.

[37] იხ. უხტანესი, ზ. ალექსიძის გამ., გვ. 233—34.

მყარებისას“ ვაჰანი მუდიროდ უნდა დაკავშირებოდა როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ეკლესიას. ასეა თუ ისე, ის მაინც უდავო ფაქტია, რომ სომეხთა კათალიკოს-პატრიარქის, ვაჰან I-ის ქალკედონიანობაზე (მართლმადიდებლობაზე) მოქცევა სომეხთა უმრავლესობისათვის არაჩვეულებრივი, მიუღებელი ამბავი ყოფილა. და მაინც რაკი სომეხთა „მამამთავარი“ თავისი სულიერი „შვილების“, საკუთარი მრევლის დიდი ნაწილის ნების საწინააღმდეგოდ იხრება ქალკედონიანობისაკენ, ეს იმის მოწმობაა, რომ სომხურ ეკლესიაში არანორმალური მდგომარეობაა შექმნილი.

სომხური ეკლესიის კრიზისის დასტურია ისიც, რომ სომეხთა პატრიარქი პეტროს I (1019—1058) სამშობლოს მოღალატე გამოდგა, მან ბიზანტიის აგენტის როლი იკისრა გამდიდრების, სიმდიდრის მოხვეჭის მიზნით[38]. თავისი ქვეყნის გამყიდველი პატრიარქის საქციელით, ბუნებრივია, სომეხთა უმრავლესობა აღშფოთდა. XI ს-ის 30-იან წლებში პეტროსი კიდეც გადააყენეს პატრიარქობიდან, მაგრამ მან სულ მალე, ეტყობა, ბიზანტიის ხელშეწყობითაც, მოახერხა კვლავ მოკალათებულიყო სომხეთის საკათალიკოსო ტახტზე[39]. ქრისტიანობის ზნეობრივი კოდექსის სრულიად საპირისპიროდ პეტროსი იმდენად დახარბებული ყოფილა ოქრო-ვერცხლს, ბატონკაცურად ცხოვრებას, რომ ამასთან დაკავშირებით ლეგენდებიც კი შექმნილა. ასე მაგ., ანის-შირაკის სამეფოს დაცემის (1045 წ.) შემდეგ ბიზანტიაში გაწვეულ პეტროსს (რაკი მეტისმეტად შეჩვეული იყო განცხრომას და ძვირფასი ნივთების ტყვეობაში იმყოფებოდა), გადმოცემით, კონსტანტინოპოლშიც თან წაუღია ოქროს ტახტი, რომელზედაც იჯდა თურმე კეისართან საუბრისას[40]. იმავე ხანებში ქონების შეძენის, დაგროვებისაკენ აღვირახსნილი ლტოლვა სხვა სომეხ „მამებსაც“ გამოუმჟღავნებიათ[41].

XI საუკუნისათვის სომეხთა შორის გავრცელებული ჩანს შეხედულება, რომ სასულიერო წრის არა ერთი და ორი წარმომადგენელია სამშობლოს გამყიდველი. მათთვის ოქრო უფრო ძვირფასია სამშობლოზე. ლასტივერტცის მიხედვით, მართალია, 1022 წ. ბიზანტიის კეისარმა, ბასილ II-მ ხელთ იგდო „ანდერძი“, ანის-შირაკის მეფის, ჰოვჰანეს-სმბატის გარდაცვალებისთანავე ამ სომხური სამეფოს ბიზან-

---

38 იხ. ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ე ც ი, გვ. 70—71.

39 იხ. Լ ե ո, Հայոց պատմություն, II, ե., 1947, გვ. 673—76, 683.

40 იქვე, გვ. 710.

41 იხ. Я. А. М а н а н д я н. О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1954, გვ. 209—10.

ტიისათვის გადაცემის თაობაზე, მაგრამ მალე, თითქოს, შესაძლებელი გამხდარა „ანდერძის“ გაუქმება და ანის-შირაკის სამეფოს არსებობის გაგრძელებაც. სომხეთის საკათალიკოსო კარის ერთ-ერთი მოხელის, ვინმე კირაკოს ხუცესის ღალატის შედეგად კი ეს შესაძლებლობა ჩაშლილა, ანის-შირაკის სამეფოს ბედი კვლავ უკუღმა დატრიალებულა. საქმე ისაა, რომ კეისარ კონსტანტინე VIII-ს (1025—28) სიკვდილის წინ ხსენებული „ანდერძი“ კირაკოს ხუცესის ხელით ვითომც უკანვე დაუბრუნებია ანის-შირაკის მეფისათვის და ამით ბიზანტიელებს გადაუფიქრებიათ ანის-შირაკის სამეფოს გაუქმება. კირაკოსს „ანდერძი“ საიდუმლოდ შეუნახია კეისარ მიხეილ IV-ის (1034—41) ტახტზე ასვლამდე და „მიჰყიდა რა მას იგი, დიდძალი განძი მიიღო. ვაი იმ მწარე ვაჭრობას“... „ეს ვაჭარი (კირაკოს ხუცესი — ა. ა.) ძლიერ უსირცხვილო და უადამიანო [კაცი იყო] და მიზეზი გახდა ამდენი ბოროტებისა“...[42]

რასაკვირველია, ბიზანტიის კეისრის მიერ „ანდერძის“ გაუქმების შესახებ ცნობა მოგონილია, იგი ბიზანტინოფილ სომეხთა წრეში შეიძლებოდა მხოლოდ გავრცელებულიყო. სხვა იმპერიების დარად, ბიზანტიასაც ოღონდ რომელიმე ქვეყნის დაპყრობის შესაძლებლობა მისცემოდა და ამაზე თავისი ნებით უარს როგორ იტყოდა, თუნდაც აქედან ზარალი მეტი ენახა, ვიდრე სარგებლობა. მაგრამ რაკი ლასტივერტცი მაინც ესოდენ დაბეჯითებით მთელ ამ უმძიმეს ცოდვა-ბრალს კირაკოს ხუცესს აკისრებს, ეს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ სომეხი „მამებისაგან“ სამშობლოს საშინელი ღალატი უჩვეულო ამბავი არაა. მაშასადამე, სომხური სასულიერო წრეების ზნეობრივი გახრწნის პროცესს ძალიან ღრმად უნდა ჰქონოდა ფესვი გადგმული. ამასთანავე, იმჟამინდელ სომხეთში არც სხვა ისეთი ძალები ჩანდნენ, რომლებიც შეძლებდნენ სომხური ეკლესიის გაჯანსაღებას, მის განსპეტაკებას. ლეო (არაქელ ბაბახანიანი) XI ს-ის 20—30-იანი წლების სომხეთს ასე ახასიათებს: ეს იყოო შფოთიანი დრო, როდესაც სომხეთში სუფევდა ღალატი, სულმოკლეობა, სიძაბუნე, მასების შეუგნებლობა, რასაც შედეგად მოჰყვა ანის-შირაკის სამეფოს დაცემა[43].

XI საუკუნისათვის სომხური ეკლესიის კრიზისის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება ისიც მივიჩნიოთ, რომ ამ ხანებისათვის სომ-

---

[42] არისტაკეს ლასტივერტეცი, გვ. 66, 69—70. სომეხი „მამების“ ღალატთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე დავით სასუნცი, ტფ., 1939, გვ. 139—40.

[43] Ibid., ციტ. ნაშრომი. გვ. 684, 702—3.

ხეთში ხელახლა გაჩნდა და თანდათან ძლიერდებოდა რწმენა, ვითომც სომხეთის საკათალიკოსო ტახტს კვლავ სომეხთა განმანათლებლის, გრიგოლ პართელის გვარის, არშაკუნთა წარმომადგენლები დაიკავებდნენ[44]. იმ დროისათვის დიდი ხანია ასპარეზიდან გამქრალ არშაკუნთა გვარზე იმედების დამყარება უძლურების, კრიზისის ნიშანია. „მესიის“ მოლოდინში გამოჩნდნენ თვითმარქვიებიც, რომელთაც არშაკუნობა დაიჩემეს.

X—XI სს-ში მონოფიზიტური სომხური ეკლესიის დასუსტების, ამ ეკლესიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის დამადასტურებელია ის გარემოებაც, რომ მისი წიაღიდან უფრო და უფრო მეტი რაოდენობით წარმოიშობოდნენ ქალკედონიანი სომხები, ასევე თონდრაკელები, რომლებიც სასტიკად ებრძოდნენ მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას. მონოფიზიტ და ქალკედონიან სომეხთა შორის არსებული მტრობა, დაპირისპირება იქიდანაც ჩანს, რომ პირველი მათგანნი მეორეთ შეურაცხმყოფელ სახელს, წათს, წათებს ეძახდნენ[45].

ასოღიკი, მოგვითხრობს რა X ს-ის სომეხი „მამების“, ვარდაპეტების ცხოვრების შესახებ, დასძენს: „მათ ყველამ, ძიების, განსჯის, საღვთო წერილის განხილვის შედეგად, უფალ ანანიას (სომეხთა კათალიკოსი 946—68 წლებში — ა. ა.) ნებით, ქალკედონიანთა წესით მონათლულის ხელახლა მონათვლა ბრძანეს“[46]. ეტყობა, ეს საკითხი საგანგებო მსჯელობის საგანი იმიტომაც გამხდარა, რომ ქალკედონიან სომეხთა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა. როგორც ითქვა, ანანიას მომდევნო თვით სომეხთა კათალიკოსი ვაჰან I-იც კი მოიქცა ქალკედონიანობაზე და რაღა გასაკვირია მონოფიზიტ სომეხთა მასობრივად გაქალკედონიტება. აღსანიშნავია, რომ ქალკედონიან სომეხთა შორის შეიმჩნევა დენაციონალიზაციის პროცესი, რამაც სომხურ ეკლესიას, საერთოდ, სომეხ ხალხს დიდი ვნება, ზარალი მოუტანა, როგორც რაოდენობრივი, ასევე ზნეობრივი თვალსაზრისით[47].

როგორც ჩანს, ქალკედონიან სომეხთა ერთი ნაწილი ბერძნული, ბიზანტიის ეკლესიის მოკავშირე იყო მონოფიზიტური სომხური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო მეორე ნაწილი — ქართული ეკ-

---

44 იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქართული ვერსია სამკა პართელის წინასწარმეტყველებისა. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922—23 წ., გვ. 214; Ա. Հովանիսյան დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

45 Գ. Տեր-Մկրտչյան, Հայագիտական ուսումնասիրություններ, I, Ե., 1979, გვ. 482—83.

46 Ստեփանոսի Տարօնեցւոյ... გვ. 178.

47 Н. Я. Марр, Аркаун, монгольское название христиан, СПб., 1905, გვ. 16—17.

ლესიისა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1046 წ. ღრტილას საეკლესიო კრების „სიტყუჴსგების“ ერთი ადგილიც. ქართველი ბერი, ექვთიმე გრძელი ეუბნება სომხური მონასტრის, მარმაშენის, წინამძღვარ სოსთენს: „უწყი მე ყოველი პატმოთინისა თქუენისაგან“. ამის გამოც თქვენი, სომეხ ღვთისმეტყველთა მხილება ჩემთვის ძნელი არ არისო. ამაზე სოსთენი მეტისმეტად გაცხარებულა და მიუგია ექვთიმესათვის: „წყეულ იყავნ, რომელმან გასწავა შენ პატმოთინი და აღგჴურა მით ბრძოლად სარწმუნოებისა ჩუენისა“[48]. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ სომეხთა „პატმოთინი“ ქართველებს, კერძოდ, ექვთიმე გრძელს სომხებისავე (საფიქრებელია, ქართველთა მომხრე ქალკედონიანი სომხების) მეშვეობით შეუსწავლიათ და სოსთენი სწორედ მათ წყევლის.

IX—XI სს-ში სომხეთი, მეტადრე სამხრეთ სომხეთი, მოიცვა თონდრაკელთა მოძრაობამ, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას[49]. სომხური ეკლესიის „მამების“ აღშფოთება კარგად ჩანს ლასტივერტცის „ისტორიის“ XXII თავის მხოლოდ სათაურიდანაც კი: „თონდრაკელთა ბოროტი სექტის შესახებ, რომელიც აღმოცენდა ჰარქის გავარში და მრავალნი შეაცდინა“. თონდრაკელთა „სიტყვები კიბოს მსგავსად ვრცელდება და როგორც ამ სნეულებისაგან ძნელია განკურნება, ასევე მათ ქსელში გახვეულნი ძლივძლივობით თუ ახერხებენ თავის დახსნას“. თონდრაკელები თურმე უგულებელყოფდნენ, აბუჩად იგდებდნენ საზოგადოდ ქრისტიანული სარწმუნოების, კერძოდ, მონოფიზიტური სომხური ეკლესიის წესებს: ისინი „სრულებით არ ცნობდნენ ეკლესიას და მის წეს-ჩვეულებებს, არც ნათლისღებას, არც მსხვერპლშეწირვის დიდსა და შიშისმომგვრელ საიდუმლოებას, არც ჯვარსა და არც მარხვის წესს“. ლასტივერტცის მონოფიზიტ და თონდრაკელ სომეხთა ინტერესების შერიგება შეუძლებლად მიაჩნია: ჩვენო თონდრაკელთა „ღვთისუარმყოფელ დასს ზურგს ვაქცევთ, წყევლა-კრულვას ვუგზავნით“[50].

სომხეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ ვერ შეძლო საკუთარი ძალებით აღმოეფხვრა თონდრაკელობა სომხეთში: „თონ-

---

[48] ძველი ქართული პოლემიკური..., გვ. 283. სიტყვა „პატმოთინი“ მომდინარეობს პატმუთიუნისაგან, რაც სომხურად ისტორიას ნიშნავს. პატმოთინის თაობაზე იხ. Լ. Մելիքսեթ-Բեկ, Վրաց աղբյուրները Հայաստանի և հայերի մասին, I, Ե., 1934, გვ. 72—73; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 490.

[49] Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 279—89, 295—306.

[50] Արիստակես Լաստիվերցի, Պատմություն, გვ. 86—87, 98; შდრ. არისტაკეს ლასტივერტეცი, გვ. 114—15, 117, 125; იხ. აგრეთვე Ստեփանոսի Տարոնեցւոյ... გვ. 160.

დრაკელთა მოძრაობა იმდენად მძლავრი და სიცოცხლისუნარიანი გამოდგა, რომ სომხურმა ეკლესიამ, ბაგრატუნმა მეფეებმა და ქვეყნის სხვა ხელისუფლებმა ვერ შეძლეს მისი ჩახშობა"[51]. საქმე იქამდე მივიდა, რომ სომეხი დიდებულები (მაგ., ცნობილი სომეხი მწერალი, მეცნიერი და მოღვაწე გრიგორ მაგისტროსი) უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ბაგრატუნი მეფეების მიმართ, რამეთუ მათ არ შესწევდათ ძალა თონდრაკელთა გასანადგურებლად. შესაძლოა, სომეხთა პატრიარქის, პეტროს I-ის ბიზანტიის აგენტად გადაქცევაც. გარკვეულწილად, თონდრაკელთა მოძრაობითაც იყოს გამოწვეული. მოსალოდნელია, გრიგორ მაგისტროსის მსგავსად პეტროს I-იც ფიქრობდა, რომ თონდრაკელთა განადგურებას ანის-შირაკის მეფე ვერ შეძლებდა, ამისთვის საჭირო იყო ბიზანტიის მოშველიება.

*

* *

აქამდე ჩვენ უფრო იმაზე ვილაპარაკეთ, რომ X—XI სს-ში სომხური ეკლესიის ღრმა კრიზისი უცილობლად დასტურდება. სათანადო მიზეზებზე კი საგანგებოდ არ შევჩერებულვართ. ამჯერად შეეცდებით აღვნიშნოთ ზოგი მათგანი მაინც. ჩვენი აზრით, სომხური ეკლესიის განვითარებისათვის, აღმასვლისათვის, ზნეობრივი თვალსაზრისით მისი წარმატებისათვის ხელი არ უნდა შეეწყო იმ გარემოებას, რომ ბიზანტიის ეკლესიისადმი დაპირისპირებული სომხური ეკლესიის „მამები" თავის ხალხს არაბთა ბატონობის უღლის გადასაგდებად ბრძოლისაკენ კი არ მოუწოდებდნენ, არამედ დამპყრობლისადმი შეგუებას უქადაგებდნენ. ამის დასტურად რამდენიმე ადგილს მოვიტანთ VIII ს-ის სომეხი მემატიანის, სასულიერო პირის, ღევონდის (ლევონდის) „ისტორიიდან". მიუხედავად იმისა, რომ ღევონდი ხშირად ამყღავნებს ანტიპათიას არაბებისადმი, მძარცველებს, ავაზაკებს უწოდებს მათ[52], მემატიანე მაინც სასტიკი წინააღმდეგია სომხეთში ანტიარაბული ამბოხების მოწყობისა. 747—750 წლებში მომხდარი ამგვარი აჯანყების შესახებ ღევონდი გადმოგვცემს: სომეხმა ნახარარებმა გრიგორ მამიკონიანის ჩაგონებით განიზრახესო „გადაეგდოთ ქედიდან მორჩილების უღელი". გრ. მამიკონიანმა

---

[51] Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 305—6.

[52] Ղևոնդ. Պատմություն, Թարգմանություն... Ա. Տեր-Ղևոնդյանի, Ս., 1981, გვ. 138, შენ. 15 (ასევე. არც არაბთა სახალიფოში იყვნენ კარგი აზრისა სომეხთა შესახებ—იხ. მაგ., А. Мец, Мусульманский ренессанс, М., 1973, გვ. 144).

თურმე „ეს მზაკვრობა ჩაიფიქრა იმ მიზნით“, რომ აშოტ ბაგრატუნს ძალაუფლება დაეკარგა. აშოტს ალ. მოსწონებია ამბოხების „უსარგებლო განზრახვა“ და ნახარარებსაც არწმუნებდა, ხელი აეღოთ ამ „მზაკვრულ საქმეზე“: „ჰოი, ძმებო, გონივრულ აზრს ვერ ვხედავ ამ უგუნურ საქმეში, არამედ მხოლოდ მცდარ განზრახვასა და უსარგებლო სიტყვებს. ჩვენი ჯარები მცირერიცხოვანია ისმაილის (არაბთა — ა. ა.) ძალმომრეობის წინააღმდეგ, არ ძალგვიძს წინ აღვუდგეთ მათ ჯარებს და ვიხსნათ ჩვენი ქვეყანა ხახადაღებული ვეშაპისაგან... ვაძლიოთ მათ ხარკი, როგორც აქამდე ვშვრებოდით და [ამ გზით] დავიცვათ ჩვენი ქონება, ბაღ-ვენახები, ტყეები და მინდვრები“. ნახარარებს არ მიუღიათ ეს „ბრძნული რჩევა“[53].

ღევონდისეულ თხრობაში ასახულია ბაგრატუნებისა და მამიკონიანების დაპირისპირებაც და რადგან ღევონდი ბაგრატუნთა აპოლოგეტია, თითქოს, ამიტომაც არ თანაუგრძნობს იგი გრ. მამიკონიანის მეთაურობით მოწყობილ აჯანყებას. მაგრამ ამასთან ერთად ისიც მშვენივრად ჩანს, რომ სომეხი „მამის“ შეხედულებით, სომხებმა მორჩილად უნდა ზიდონ არაბთა ბატონობის უღელი და ამ გზით შეინარჩუნონ თავიანთი მდგომარეობა, უძრავ-მოძრავი ქონება.

ღევონდი გვაუწყებს სომხეთში 774—75 წლებში მომხდარი ანტიარაბული ამბოხების შესახებაც. თავდაპირველად არაბთა ხელისუფლებას განდგომია მუშელ (მუშელ) მამიკონიანი. მას გარკვეული წარმატებაც მოუპოვებია. მაშინ დაიმედებული ნახარარები შეუერთდნენ „უგუნურ განზრახვას“, რადგანაც თურმე „კიდევ უფრო მეტად შეაცდინა ისინი ერთი ბერის აზრმა, რომელიც ბოროტი სულისაგან აღტყინებული, წინასწარმეტყველებდა ფუჭი, უქმი სიტყვებით: „აჰა, მოახლოვდა თქვენი ხსნის დრო. რამეთუ აწ, მალე სამეფო კვერთხი კვლავ დაუბრუნდება თორგომის სახლს (ნაგულისხმევია სომხეთი — ა. ა.), რათა თქვენი მეშვეობით მოხდეს შურისძიება ისმაილის ნათესავზე. მცირერიცხოვნობის გამო თქვენ მათი ნუ შეგეშინდებათ, რამეთუ თქვენგან ერთი კაცი ძლევს ათასებს, ხოლო ორი [თქვენთაგანი] ბევრეულებს, ვინაიდან თქვენს ბრძოლას უფალი წარმართავს. გაძლიერდით, ნუ შეკრთებით“. ამ სახით ცისმარე დღე ცრუ და მაცდუნებელ მოჩვენებებს მოუთხრობდა. ისინი ყველანი უჯერებდნენ მას და ნათელმხილველს უწოდებდნენ. ამდაგვარი სიტყვებით მოტყუვდა რა ყველა“, მტკიცედ გადაწყვიტესო აჯანყებოდნენ არაბებს. სინამ-

---

53 Պատմութիւն Ղևոնդեայ մեծի վարդապետի Հայոց, 1887, გვ. 121—22.

დვილეში ნათელმხილველი ბერი „ცრუ, ცოფიანი კაცი“ იყოო და მისი რჩევები „ზიანის მომტანი“[54].

ღევონდის ასეთი ქადაგება, ბუნებრივია, გავლენას მოახდენდა შთამომავლობაზე საერთოდ, კერძოდ კი სომხური ეკლესიის მომავალზეც. სომეხი „მამების“ მსგავსი მოძღვრებით სომხური ეკლესია ხომ საკუთარ მრევლს უსამართლობასთან შეგუებისაკენ მოუწოდებდა, ხელს უწყობდა ერის არა გმირული, არამედ მონური სულისკვეთების გაღვივებას. ჩვენი ღრმა რწმენით, ცდებიან თანამედროვე მკვლევარებიც (მაგ., ა. ტერ-ღევონდიანი და ლ. ბაბაიანი), როდესაც სომეხთა ანტიარაბული აჯანყების მიმართ ღევონდისეულ დამოკიდებულებას სწორად მიიჩნევენ. ა. ტერ-ღევონდიანი ღევონდის სათანადო ცნობებს ასე განმარტავს: მემატიანე „ამართლებს სომეხთა მთავრის, აშოტ ბაგრატუნის პოლიტიკას და სრულებით არ ეთანხმება გრიგორ და დავით მამიკონიანების გაბედულ, განუსჯელ ტაქტიკას... ღევონდი გმობს გრიგორის მოქმედებას, ხოლო აშოტს სომეხი ერის დიდებად მიიჩნევს“. ...„მეისტორიე ეთანხმება თავისი მფარველი სამთავრო სახლის წარმომადგენელს, აშოტ ბაგრატუნის, რომ უაზრობაა აჯანყება იმ დროს, როდესაც მტერს თავისი ძლიერების მწვერვალისათვის მიუღწევია“[55]. ლ. ბაბაიანის სიტყვით, „მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილით იყო გამსჭვალული არაბი ტირანების მიმართ, შორსმჭვრეტელი პატრიოტი მემატიანე (ღევონდი — ა. ა.) ამჯობინებს და ქადაგებს არ აჯანყდნენ მათ წინააღმდეგ, არამედ თავს გაუფრთხილდნენ, ვანერიდონ სიმუხთლეს. დრო მოითხოვდა ამგვარად ფიქრსა და მოქმედებას“[56]. ლ. ბაბაიანი იქვე აღნიშნავს, რომ არაბთა ბატონობისა და ანტიარაბული აჯანყების მიმართ მსგავსი განწყობილება საერთოდაც შეიმჩნევა VII—IX სს-ის სომხურ საისტორიო მწერლობაში.

ვიმეორებთ, ა. ტერ-ღევონდიანის, ლ. ბაბაიანისა და მათ თანამოაზრე მკვლევართა საკითხისადმი მიდგომა ჩვენ არასწორად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, ა. ტერ-ღევონდიანს მეთოდოლოგიური შეცდომაც მოსდის. იგი გვიანდელი ხანის დამკვირვებლის პოზიციიდან აფასებს მოვლენებს. არსაიდან არ ჩანს, რომ ღევონდს სცოდნოდა, თითქოს, არაბთა სახალიფომ მის დროს მიაღწია ძლიერების ზენიტს და დაახ-

---

54 იქვე, გვ. 139, 141—44.

55 იხ. Ղևոնդ, Պատմություն, გვ. 13, აგრეთვე გვ. 165, შენ. 130.

56 Լ. Բաբայան, Դրվագներ Հայաստանի վաղ ֆեոդալիզմի դարաշրջանի պատմագրության, ի., 1977. გვ. 365, აგრეთვე გვ. 355—56, 359—60. ისიც ღირს ალინიშნოს, რომ არაბებს სომხეთის ზოგიერთი მხარე, მაგ., სასუნი დიდი ხნის განმავლობაში გააფთრებით ებრძოდა, მაგრამ სასუნი ერთი პატარა მთიანი კუთხე იყო და სომხეთის პოლიტიკურ მდგომარეობაზე იგი დიდ გავლენას ვერ მოახდენდა.

ლოებით ასი წლის შემდეგ იგი დაიშლებოდა, დასუსტდებოდა. ეს მხოლოდ ისტორიის შემდეგდროინდელი, თუ გნებავთ, ამჟამინდელი გადასახედიდან გამოჩნდა ასე. გარდა ამისა, განა 747—750 წლები ხელსაყრელი დრო არ იყო არაბთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებისათვის? ამ წლებში ხომ სახალიფო შინაარეულობას მოეცვა, რასაც მმართველი დინასტიის შეცვლაც კი მოჰყვა შედეგად. მართალია, VIII ს-ში არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლა საერთოდ ძნელი იყო, მაგრამ ყველა დაპყრობილ ხალხს რომ სომეხი „მამის“, ღევონდის შეხედულება გაეზიარებინა, მაშინ რაღა გამოვიდოდა? ხომ ცნობილია, რომ არაბთა სახალიფოს დასუსტების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ დაპყრობილ ხალხთა ხშირი აჯანყებები იყო.

ჩვენი აზრით, არაბთა ბატონობის მიმართ სომეხ ბაგრატუნ მთავართა, მათი აპოლოგეტის, ღევონდისა და სხვა თანამოაზრეთა დამოკიდებულება კი არ არის გამართლებული, არამედ სწორედ მამიკონიანთა მოქმედებაა უფრო მოსაწონი და მისაღები. ვფიქრობთ, სომხეთისათვის დიდ ეროვნულ უბედურებას წარმოადგენდა ქვეყნისათვის თავდადებულ მამიკონიანთა საგვარეულოს გაქრობა სომხეთის ისტორიის სცენიდან VIII ს-ის დამლევისათვის. მამიკონიანები მარადჟამს მზად იყვნენ, ხელთ იარაღი აეღოთ და შებმოდნენ ყოველი ჯურის დამპყრობელს.

არაბთა სახალიფოს ბატონობის წინააღმდეგ მიმართული აჯანყებები ყოველ დაპყრობილ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იმჟამინდელი ტექნიკური შესაძლებლობების პირობებში, მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის მთაგორიანი რელიეფიც დიდ სიძნელეებს უქმნიდა დამპყრობლებს, ამიერკავკასიელ ხალხთა აჯანყებებს შეიძლებოდა დადებითი შედეგები მოჰყოლოდა. არაერთხელ ეს ასეც მომხდარა (მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ წანართა ანტიარაბული ბრძოლები), თუმცაღა უზარმაზარი მსხვერპლისა და დანაკლისის ფასად. გარდა ამისა, როგორც ითქვა, ღევონდისა და მის თანამოაზრეთა ქადაგებას უარყოფითი როლი უნდა შეესრულებინა უცხოელთა თარეშის წინააღმდეგ სომეხი ერის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების, შთამომავლობის საბრძოლო სულისკვეთებით გაჟღენთის საქმეში. ამგვარი ვითარების დამღუპველი შედეგი კი სავსებით აშკარა გახდა XI ს-ის სომხეთისათვის, როცა დიდი წინააღმდეგობის გარეშე ბიზანტიის იმპერიამ თითქმის მთელი სომხეთი დაიპყრო და მოსპო სომხური სახელმწიფოებრიობა. ამის შემდეგ სომხეთში სომხური სახელმწიფო XX ს-მდე აღარ შექმნილა. ყოველი ჯურის დამპყრობლებთან ზოგჯერ, გამოუვალ მდგომარეობაში, „მშვი-

დობიანი თანამშრომლობა“, შესაძლოა, მართალაც, მიზანშეწონილი იყოს, მაგრამ ამბოხების სულის, ბრძოლის სულისკვეთების ჩაქრობა გაცილებით უფრო საბედისწეროა, ვიდრე აჯანყება თუნდაც არახელსაყრელ პოლიტიკურ სიტუაციაში. სომეხი „მამების“ (კერძოდ, ღევონდის) მოძღვრება კი სწორედ „ჭირთათმენის“, მოთმინების რელიგიას (გვაგონდება სხვა პირობებში ნათქვამი ცნობილი სიტყვებიც — „დიდება შენს მოთმინებას, უფალო!“) ამკვიდრებდა სომხეთში.

არაბთა ბატონობის უღლისადმი დამოკიდებულების თაობაზე სომხური ეკლესიის წარმომადგენლის, ღევონდის შეხედულებისაგან სრულიად განსხვავებული მიდგომა უნდა ყოფილიყო საქართველოში, კერძოდ, ქართულ სასულიერო წრეებში. ცნობილია, მაგ., რომ ღევონდის თანამედროვე სახელოვანმა ქართველმა მწერალმა, იოანე საბანისძემ არაბ დამპყრობთა მიმართ შეურიგებლობის, ამბოხების სულით გაჟღენთილი თავისი „აბოს წამება“ სწორედ ქართველთა კათალიკოსის, სამოელის (780—790) „ბრძანებით“ დაწერა. იოანე საბანისძე, გარდა იმისა, რომ მთელს ერს, ფართო მასებს მოუწოდებს, შთააგონებს, მედგრად გაუმკლავდნენ დამპყრობლებს, არ მიიღონ მჩაგვრელთა ნასუფრალი თავიანთი მეობის დათრგუნვის, ფეხქვეშ გათელვის ფასად, ამავე დროს, ქართველი აგიოგრაფი მთელი სულითა და გულით თანაუგრძნობს ქართლის ერისმთავარ ნერსეს, რომელიც არაბთა საწინააღმდეგო მოქმედებისათვის არაერთხელ დაისაჯა, განიცადა საპყრობილის საშინელება, იწვნია ლტოლვილობის ვაი-ვაგლახი და ბოლოს და ბოლოს თანამდებობაც დაკარგა. სომეხი „მამა“ ღევონდი კი, როგორც დავინახეთ, ხოტბას ასხამს სომხეთის ბაგრატუნ მთავრებს, რომლებიც თავის ხალხს მოთმინებას, არაბთა ბატონობისადმი შეგუებას უქადაგებდნენ, ხოლო გმობს მამიკონიანებს, რამეთუ ისინი ანტიარაბული აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ თანამემამულეებს.

იოანე საბანისძეს მიზნად დაუსახავს აღანთოს, აღაგზნოს თანამემამულენი, ჩაუნერგოს მათ ეროვნული ღირსების, მეობის შეგნება, რათა იბრძოლონ, მსხვერპლი გაიღონ თავისუფლების მოსაპოვებლად, რამეთუ სხვანაირად თავისუფლებას არავინ გვაღირსებსო. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იოანე საბანისძის ეროვნული ღაღადისი იდეურად უფრო ენათესავება ღევონდის მიერ ცოფიანად, შეშლილად გამოცხადებული „ნათელმხილველი“ ბერის შეხედულებებს, ვიდრე თვით ღევონდისას. მაგრამ სახალიფოს ბატონობისადმი საქართველოსა და სომხეთში არსებული, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული დამოკიდებულების კვალობაზე, „ნათელმხილველი“ ბერის ბედსა და იოანე საბანისძის ბედს შორისაც დიდი განსხვავებაა. თუ სომხეთში „ნათელმხილველი“ ბერი დამთხვეულად, სულით ავადმყოფად გამო-

აცხადეს და მისი, დამპყრობელთა წინააღმდეგ მიმართული ქადაგებაც, პირვანდელი სახით არ შემორჩენია შთამომავლობას, იოანე საბანისძე იმთავითვე დიდი პატივითა და ნდობით სარგებლობდა ჩვენში. იგი ქართველთა კათალიკოსის უახლოესი თანამოსაგრე ყოფილა, ხოლო მისი თხზულება, „აბოს წამება“, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმის გამო, რომ იოანემ არაბ მჩაგვრელთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გაჩაღებისაკენ თანამემამულეებს „ბუკითა და ნაღარით“ მოუწოდა, ჟამთა სიავეს გადაურჩა, ჩვენს დრომდე მოაღწია და ქართული მწერლობის ხელიხელსაგოგმანებელ მარგალიტადაც იქცა.

არაბთა სახალიფოს ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა, მორიგება სომხეთის არაერთ კათალიკოსსაც უცდია. კათალიკოს ელია (ელია I-ის (703—717) მსგავსი საქციელის შესახებ ქვემოთ აღვნიშნავთ. ამჯერად კი ვისაუბრებთ სომეხთა კათალიკოსის, საჰაკ III ძორაფორეცის (677—703) სათანადო ცდებზე. ღევონდის თანახმად, საჰაკი ეპისკოპოსთა თანხლებით სომხეთიდან გაგზავნეს არაბებთან ზავის დასამყარებლად. მაგრამ ქალაქ ხარანში საჰაკი ავად გახდა და გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოასწრო შეხვედროდა სომხეთისაკენ დაძრული არაბთა ჯარის სარდალს მაჰმედს. სიკვდილის წინ კათალიკოსს, თითქოს წერილი მიუწერია არაბი სარდლისათვის: ...„უბოძე ჩემს ხალხს მშვიდობა და იგი დაგემორჩილება შენ, გადაგიხდის ხარკს... დაე, ნურავინ თქვენთაგანი ნუ გვაწამებს ჩვენ და ნუ გვაიძულებს რჯულის გამოცვლას. აწ, უკეთუ შეასრულებ ჩემს თხოვნას, უფალი განამტკიცებს შენს ხელისუფლებას და აღასრულებს შენს სურვილებს, დაგიმორჩილებს ყოველთ... უყურადღებოდ ნუ მოეკიდები ჩემს სათხოვარს და აღსრულდება შენს მიმართ ჩემი ლოცვა-კურთხევა“[57].

როგორც ვხედავთ, სომხური ეკლესიის „მამამთავარი“ მორჩილებასა და ხარკთან ერთად ლოცვა-კურთხევასაც არ იშურებს მძვინვარე დამპყრობლისათვის. ოღონდ სომხეთმა და სომხურმა ეკლესიამ შეინარჩუნონ მშვიდობა, თავიდან აიცილონ არაბთა თარეში და ამ პირობებით სომეხთა კათალიკოსი მზადაა ილოცოს იმისათვის, რომ არაბებმა თუნდაც მთელი საქრისტიანო სამყარო დაიპყრონ. საჰაკ კათალიკოსის გარჯას თურმე ამაოდ არ ჩაუვლია. საჰაკი ჯერაც არ დაეკრძალათ, მაჰმედი რომ ჩავიდა ხარანში. ღევონდი გვაუწყებს: არაბთა სარდალი „დადგა რა მიცვალებულის ცხედართან, მიესალმა მას თავიანთი ჩვეულებისამებრ. როგორც მართლისმთქმელ კაცთაგან გვსმენია, მან გაიმეორა და მესამედაც [წარმოთქვა] იგივე სიტყვები.

---

[57] Ղևոնդիւրիւն Ղևոնդեայ... გვ. 28—30.

შემდგომ ჩაბღუჯა მისი ხელი, ვითარცა ცოცხალი ადამიანისა, დაელაპარაკა, უთხრა მას: „შევიტყვე შენი სიბრძნე იმ უსტარიდან, რომელიც წავიკითხე... თანახმა ვარ, ჩემი ხმალი ჩავაგო უცოდველ კაცთა წინაშე. აწ, შევასრულებ, გავაკეთებ ყოველივეს, რასაც წერილში ითხოვ ჩემგან და დაე, შენი ღვთისნიერი ლოცვა-კურთხევა აღსრულდეს ჩემს მიმართ“. საჰაკ კათალიკოსის თანმხლებმა პირებმა არაბი სარდლის „წერილობითი ფიცი წამოიღეს და დაბრუნდნენ სომეხთა ქვეყანაში“. სომხებმა ირწმუნეს ეს ფიცი და „ამის შემდეგ მონური მორჩილებით ემსახურებოდნენ ისმაიტელებს“[58].

ყურადღებას იპყრობს ღევონდის მიერ ერთობ გულის ამაჩუყებელი ფორმით აღწერა იმისა, თუ როგორ ცდილობდნენ საჰაკ „მამამთავარი“ (რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში) და სახალიფოს დიდმოხელე ერთმანეთს შორის „გულითადი“ ურთიერთობის დამყარებას. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიხმოთ აგრეთვე სომეხთა კათალიკოსის ჰოვჰანეს ოძნეცის (717—28) შესახებ შექმნილი გადმოცემაც. ჰოვჰანესი თურმე იმდენი უქიათ ხალიფა ომარ II-სთვის (717—20), რომ მას საოცრად მონდომებია, ეხილა ეს საკვირველი პიროვნება და თავისთან მიუწვევია კიდეც სომეხთა „მამამთავარი“. სინამდვილეში, ჰოვჰანესის შეხვედრა ხალიფასთან უფრო სერიოზული მიზეზით იყო გამოწვეული, პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. კათალიკოსმა თხოვა ხალიფას, რომ სომეხთათვის რწმენის თავისუფლება მიენიჭებინა და გადასახადი არ მოეთხოვა სომხური ეკლესიისათვის. ხალიფამ დააკმაყოფილა ჰოვჰანესის თხოვნა, რითაც არაბთა ხელისუფლება დასაყრდენს იძენდა სომხეთში. სხვათა შორის, ამ ამბის შეტყობინებისთანავე ბიზანტიის კეისარს სომეხთა კათალიკოსისათვის მოციქული გაუგზავნია, რათა გაეგო სახალიფოსთან მისი დაახლოების მიზეზები. საყურადღებოა, რომ სომეხთა შორის ბოლო ხანებამდე შემორჩენილა გადმოცემები ა რ ა ბ თ ა მ ფ ა რ-

---

58 იქვე, გვ. 30—31. ცხადია, არაბ ხელისუფალთა გარკვეული მხარდაჭერა სომხური მონოფიზიტური ეკლესიისადმი პოლიტიკური მოსაზრებით აიხსნება, თორემ ქრისტეს მიმართ მათი დამოკიდებულება ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. უკეთუ მონოფიზიტები ქრისტეს მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებდნენ და (ქალკედონიტებისგან განსხვავებით) მის ადამიანურ, კაცებრივ ბუნებას უარყოფდნენ, მაჰმადიანები ქრისტეს საერთოდ არ ცნობდნენ ღვთაებად, ერთ-ერთ მოციქულად მიიჩნევდნენ მას (იხ. მაგ., კურანი მუჰამმადისა, თბ., 1906, გვ. 108).

ვ ე ლ ო ბ ი თ ჰოვჰანეს ოძნეცის ბრძოლის თაობაზე ქალკედონიანობისა და ბიზანტიის წინააღმდეგ[59].

სომხეთის, კერძოდ, სომხური ეკლესიის სახალიფოს ხელისუფლებასთან მორიგების, მასთან საერთო ენის გამონახვის თაობაზე სომხეთში სხვა ლეგენდებიც შექმნილა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ერთი სომხური თქმულების მიხედვით, ვითომც თვით ისლამის ფუძემდებელს, წინასწარმეტყველ მუჰამედს დაუდვია ხელშეკრულება სომხებთან, რომლითაც რწმენის თავისუფლება მიუნიჭებია მათთვის, ამასთანავე, მღვდლები, აზნაურები და მხედრებიც გაუთავისუფლებია გადასახადებისაგან. არაბებთან ზავის დასამყარებლად წასულ სომეხთა ზემოხსენებულ კათალიკოს საჰაკ III-ს, თითქოს, ხელთ ჰქონია აღნიშნული ხელშეკრულება[60].

მსგავს პოზიციაზე მდგომი სომხური ეკლესია, გარდა იმისა, რომ ხელს უწყობდა ანტიარაბული ბრძოლის სულისკვეთების ჩახშობას სომხეთში, გადამთიელთა ბატონობის მიმართ ასეთ დამოკიდებულებას თვით სომხური ეკლესიის განვითარების, გაჯანსაღება-განსპეტაკების, აღმავლობის მასაზრდოებელი წყაროც საგრძნობლად უნდა დაეშრიტა, ნიადაგი მოემზადებინა მისი ღრმა კრიზისისათვის.

სომხური ეკლესიის კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ X—XI სს-ში იგი თითქმის სავსებით იზოლირებული აღმოჩნდა გარე სამყაროსაგან. თუ წინა ხანებში სომხურ ეკლესიას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის, კერძოდ, მონოფიზიტურ სირიულ ეკლესიასთან, რაც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა სომხური ეკლესიის განვითარებაზე, IX—X საუკუნეებისათვის სირიული მონოფიზიტური ეკლესია ერთობ დაკნინდა, დაძაბუნდა და მასთან ურთიერთობას სომხური ეკლესიისათვის არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. რაც შეეხებათ ბიზანტიის (ბერძნულ) და ქართულ ეკლესიებს, მათთან მჭიდრო, მეგობრულ კავშირს სომხური ეკლესია გაურბოდა მკვეთრი დაპირისპირების გამო. როგორც ჩანს, ამ გარემოებამ, შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ისედაც კარჩაკეტილობის ვითარებაში, უარყოფითი როლი შეასრულა სომხური ეკლესიის ცხოვრებაში. შესაძლოა, ებრაელების მსგავსად, რელიგიური იზოლაცია სომ-

---

59 იხ. Լեո, დასახ. ნაშრომი, გვ. 470—73; А. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 82—83, აღსანიშნავია, რომ სომეხთა კათალიკოსებსა და ხალიფებს შორის არსებული „კეთილმეგობრული“ ურთიერთობის ტრადიცია მოგვიანებითაც გაგრძელებულა (იხ. მაგ., Памятники армянской агиографии, გვ. 83—85.

60 იხ. История Анонимного повествователя. Псевдо-Шапух Багратуни, გვ. 88—92; А. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

ხური ეკლესიისათვის, გარკვეულწილად, ძლიერების წყაროსაც წარმოადგენდა, რადგან ამით უზრუნველყოფილი იყო თვითმყოფადობის შენარჩუნება, მაგრამ ეგვეე გარემოება აშკარა საფრთხესაც უქმნიდა მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას, მის განვითარებას, რამეთუ იგი თანამოსაქმის, მოკავშირის გარეშე რჩებოდა[61].

საყურადღებოა, რომ VIII—XI სს. სომხურ ენაზე სხვა, კერძოდ, ბერძნული ენიდან ლიტერატურის თარგმნის საქმეში დაცემის ხანაა[62]. ეს ხდება იმ დროს, როცა უმდიდრეს კულტურულ ტრადიციებზე დაყრდნობით ბიზანტია საქრისტიანო მწერლობის ცენტრად იქცა X—XI სს-ში. თუ ქართულ ენაზე IX—XI, აგრეთვე XII სს-ში დიდი ბერძნულენოვანი სასულიერო მწერლობის თარგმნისა და შემოქმედებითი ათვისების პროცესმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია, იმავე ხანებში ბერძნულიდან სომხურად თითქმის არაფერი თარგმნილა. რასაკვირველია, ეს გარემოება სომხური ეკლესიის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედებდა. ბერძნულენოვან სასულიერო მწერლობაზე უარის თქმა კი გამოწვეული იყო ბერძნულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობის მეტისმეტად გამწვავებით. IX—XI სს-ში (ასევე სხვა დროსაც) მარტო ბერძნები კი არ უწოდებდნენ სომხებს მწვალებლებს, არამედ პირიქითაც — სომხებიც ასევე იხსენიებდნენ ბიზანტიელებს[63]. მონოფიზიტი სომხები IX—XI სს-ში ქალკედონიანთა ენებიდან (ბერძნულიდან, ქართულიდან) თარგმნას, ალბათ, ისევე საჩოთიროდ მიიჩნევდნენ, როგორც მაგ., ქართველი მწერალი გიორგი მცირე — სომხურიდან თარგმნას: „დაღაცათუ პირველითგანვე გუქონდეს წერილნიცა და სარწმუნოებაჲ ჩუშმარიტი და მართალი, გარნა ქუეყანაჲ ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა. და ვითარცა თესლნი არაწმიდანი შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს **ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძნილნი და მანქანანი, და ამის მიერ ფრიად გუევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუენი (ქართველები — ა. ა.) წრფელი იყო და უმანკოჲ;** ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს, და რომელნიმე წიგნნიცა გუქონდეს მათგან თარგმნილნი“[64].

---

[61] იხ. The Cambridge Medieval History, IV, 1936, გვ. 153.

[62] Լ. Տեր-Պետրոսյան, Հայ հին թարգմանական գրականություն, Ե., 1984, გვ. 7, 14.

[63] იხ. მაგ., Ստեփանոսի Տարօնեցւոյ... გვ. 173, 203; Մատթէոս Ուռհայեցի. Ժամանակագրութիւն, 1898, გვ. 96; Լ. Բաբայան, Դրվագներ Հայաստանի զարգացման... გვ. 166—167; Հովհաննես Սկիլիցես, Ե., 1979 (Յ. ბართიკიანის გამ.), გვ. LXVI—LXVII; R. Grousset, L'Empire du Levant, Payot, Paris, 1946, გვ. 139.

[64] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 123.

*
* *

გაძლიერების გზაზე დამდგარი ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება, რომელიც სომხეთში გაბატონებას თავის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საშურ საქმედ მიიჩნევდა, სომხური მონოფიზიტური ეკლესიის ბიზანტიისაგან განზე დგომას ვერ შეურიგდებოდა. ბიზანტიაში მიაჩნდათ, რომ ქრისტიანი ერების ერთობის მიღწევა ქალკედონური მრწამსის გარეშე შეუძლებელი იყო. ბიზანტიელთა წარმოდგენით, მწვალებელთა თუნდაც მეზობელ ქვეყნებში არსებობა ბიზანტიის იმპერიის მთლიანობას, სიმტკიცეს საფრთხეს უქმნიდა, ძირს უთხრიდა[65]. ბიზანტიის ხელისუფლება ცდილობდა, თავის მორჩილ მსახურებად გაეხადა რომის პაპებიც კი[66] და სომეხთა „მამამთავრების" მიმართ მით უფრო ექნებოდა ამგვარივე პრეტენზია. ბიზანტიის ეკლესია, როგორც წესი, კეისრების პოლიტიკის იარაღს წარმოადგენდა[67] და სომხური ეკლესიის ბერძნული ეკლესიისგან განზე გადგომა კეისრებთან დაპირისპირებასაც მოასწავებდა. ბიზანტიასა და სომხეთს შორის რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი წინააღმდეგობა პოლიტიკურ ხასიათს იღებდა, ბიზანტიურ-სომხური საეკლესიო ურთიერთობები უშუალო კავშირში იყო ამავე ქვეყნების პოლიტიკურ ურთიერთობებთან. ბიზანტია აპირებდა სომეხთა ასიმილაციას ორთოდოქსალური ეკლესიის წიაღში მათი მოქცევით, ხოლო სომხები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თვითმყოფადობა ეროვნული ეკლესიის არსებობის საფუძველზე[68].

XI საუკუნისათვის სომეხთა ქალკედონიანობაზე მოქცევის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკაში. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ბიზანტიას რელიგიური ხასიათის ომი გაუჩაღებია სომხეთის წინააღმდეგ. ურჰაეცის ცნობით, ბიზანტიისათვის საბედისწერო მანასკერტის ბრძოლის (1071 წ.) წინ კეისარ რომან დიოგენს ღმერთისთვის აღუთქვამს, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად მოსპობდა „მწვალებელ" სომეხთა სარწმუნოებას.

---

65 იხ. მაგ., Լ ե ո, დასახ. ნაშრომი, გვ. 312, 318; ნ. კ ე ფ ა ღ მ ა ძ ე, იოანე იტალოსის შემოქმედება, თბ., 1970, გვ. 33—34.

66 Ш. Д и л ь, Основные проблемы византийской истории, М., 1947, გვ. 70.

67 იქვე, გვ. 78.

68 იხ. S. Der Nersessian, Études byzantines et arméniennes, I, Louvain, 1973, გვ. 313; К. Н. Ю з б а ш я н, Некоторые проблемы изучения армяно-византийских отношений, Լրաբեր, 1971, № 3, გვ. 42.

მაშინ სომეხ ბერებს დაუწყევლიათ „ურჯულო“ კეისარი, რომ არ ღირსებოდა ბრძოლის ველიდან უკან დაბრუნება[69]. სხვათა შორის, ეს ასეც მოხდა. ბიზანტიის გამძაფრებული შეტევის შედეგად მონოფიზიტური სომხური ეკლესია კიდევ უფრო სუსტდებოდა, მისი მთლიანობა ირღვეოდა. ქალკედონიან სომეხთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, სომხეთში ქალკედონური, „ბერძნული“ საეპისკოპოსოებიც შეიქმნა[70].

თუ რამდენად მწვავე იყო IX—XI სს-ში ბიზანტიურ-სომხური ეკლესიების, ბერძნულ-სომხური სასულიერო წრეების ურთიერთობა, ამის დასტურად კიდევ რამდენიმე ცნობას მოვიტანთ. ბერძენი ბერებისათვის სომხის სახელს შეურაცხმყოფელი მნიშვნელობაც კი მინიჭებია. ასე მაგ., გიორგი მცირეს თანახმად, ქართველი ბერების სახელის გატეხვის მიზნით ბერძნებს მათთვის სომხობა დაუწამებიათ. ბერძენ ბერებს მოუნდომებიათ ქართველთა გამოძევება შავი მთის (სირია) სახელგანთქმული სვიმეონწმინდის მონასტრიდან, რის გამოც ისინი ანტიოქიის პატრიარქის წინაშე დაუბეზღებიათ. პატრიარქს ეჭვი შეპარვია დამსმენთა სიმართლეში და უთქვამს მათთვის: „ვითარ ეგების ესე, რომელმცა ქართველნი არა მართლმადიდებელნი იყვნეს“. მაბეზღართ თავისი არ დაუშლიათ. „იგინი დაუმტკიცებდეს და რეცა უკეთურებისა საფარველად ჰრქუეს მას, ვითარმედ: „არა უწყით, თუ ქართველნი არიან ანუ სომეხნი“[71]. ეროვნული, ასევე ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) სულისკვეთებით გამორჩეულ, ამ ამბების თანამედროვე გიორგი მცირეს ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი ხსენებული ბერების ქართველობასა და დამბეზღებელთა თაღლითობაში. ეს უკანასკნელნი დარწმუნებულნი ყოფილან, რომ თუ ქართველ ბერებს სომხობას დასწამებდნენ, ამით უსათუოდ მიაღწევდნენ მიზანს, გაიმარჯვებდნენ მათთან ჭიდილში. როგორც ეტყობა, საზოგადოდ, ყოფილა იმგვარი შემთხვევებიც, როცა სომეხი ბერები ქართველობის სახელს ეფარებოდნენ და ასე გადიოდნენ ცხოვრების ფონს.

ბიზანტიის იმპერია უკვე VI ს-ში სომხეთის, კერძოდ, სომხური ეკლესიის მიმართ დაადგა ისეთ პოლიტიკას, რომლის არსი იუსტინიანე I-ის ნოველებში ჩამოყალიბებულია შემდეგი სიტყვებით: „სომხებმა ყველაფერში უნდა იხელმძღვანელონ რომაული (ბიზანტიური —

---

69 Մատթէոս Ուռհայեցի, გვ. 198—99.

70 იხ. მაგ., Ш. Дилъ, დასახ. ნაშრომი, გვ. 31, 58; Հովհաննես Սկիւլիցես, გვ. LXVIII.

71 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 149—50.

ა. ა.) კანონებით"[72]. ამგვარი ვითარების შედეგიცაა, რომ სომხური ეკლესია უპირისპირდებოდა ბიზანტიის ეკლესიას და მის წინააღმდეგ ირანელ და არაბ დამპყრობლებთან ცდილობდა მორიგებას. ეს კი სომხურ-ბიზანტიური ეკლესიების ურთიერთობის შემდგომ გამწვავებას იწვევდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბიზანტიის ეკლესია უკრძალავდა მართლმადიდებელ (ქალკედონიან) ქრისტიანებს სომხებთან ურთიერთობას, მით უმეტეს, მათთან ქორწინებას. ერთ-ერთი ყველაზე უფრო კულტურული პიროვნება XII ს-ის ბიზანტიაში, სოლუნის მიტროპოლიტი ევსტათი, სომხების შესახებ დაუფარავი სიძულვილით ლაპარაკობდა, ხოლო მისი თანამედროვე, ნიკიერი მწერალი ნიკოლოზ მესარიტი სომხებს „ამკობდა" ეპითეტებით — „გულჩახვეულნი", „მლიქვნელნი", „ცბიერნი", „ვერაგნი"[73]. კიდევ უფრო ადრე სომეხთა მიმართ მეტი სიძულვილი გამოუმჟღავნებია ბერძენ მონაზონ ქალს კასიას, რომელსაც IX ს-ში უნდა ეცხოვრა. კასიას სომხებზე უთქვამს: „სომეხთა შემაძრწუნებელი ერი საშინლად მატყუარა და ბოროტია, ამასთანავე, გადარეული, მერყევი, მეტისმეტად გაბღენძილი, ვერაგობით აღსავსე. სავსებით სამართლიანად განაცხადა მათ შესახებ ერთმა ბრძენმა: „სომხები ბოროტნი არიან მანამდეც კი, სანამ სახელს გაითქვამდნენ, ხოლო როდესაც აღზევდებიან, კიდევ უფრო მეტად ბოროტნი ხდებიან. გამდიდრება მათ ძალიან აბოროტებთ. უკეთუ წინანდელზე მეტი სიმდიდრე და პატივი შეიძინეს, მაშინ ბოროტზე უბოროტესნი ხდებიან"[74]. XI ს-ში მცხოვრებ კესარიის ბერძენ მიტროპოლიტს, მარკოსს სომეხთადმი სიძულვილი თავისებურად გამოუხატავს. მას თავისი ძაღლისათვის სახელად არმენი დაურქმევია და საერთოდაც ყველა ძაღლს თურმე არმენს ეძახდა[75].

ბერძნების სიძულვილი სომეხთა მიმართ სულაც არ იყო ცალმხრივი ხასიათისა. სომხებიც სიძულვილს სიძულვილითვე უპასუხებდნენ. ისევე, როგორც კესარიის ბერძენი მიტროპოლიტი ძაღლებს არმენს ეძახდა სახელად, სომეხი მემატიანე ასოღიკიც სებასტიის ბერძენ მიტროპოლიტს ძაღლს ადარებდა[76]. კიდევ უფრო შორს მიდის

---

[72] იხ. Հ. Բարթիկյան, Բյուզանդիա և Հայաստան, Լրաբեր, 1971, № 3, გვ. 26.

[73] იხ. А. П. Каждан, Армяне в составе господствующего класса византийской империи в XI—XII вв., Ереван, გვ. 141.

[74] იხ. Ա. Ալպոյաճեան, Պատմութիւն հայ գաղթականութեան, Գահիրէ, 1941, გვ. 312.

[75] Մատթէոս Ուռհայեցի, გვ. 180.

[76] Ստեփաննոսի Տարօնեցւոյ... გვ. 244.

დაახლ. XI ს-ის II ნახევარსა და XII ს-ის დასაწყისში მცხოვრები ცნობილი სომეხი ვარდაპეტი (მოძღვარი) პოღოს ტარონეცი[77]. პოღოსის თანახმად, ბიზანტიელებმა ქრისტეს ჯვრის უარმყოფელთა წინააღმდეგ ომს თავი ანებეს და სომხებს ეომებოდნენ. როგორც ცოფიანი ძაღლი, მგლის დაფრთხობა რომ არ ძალუძს და კაცს დაგლიჯავს, ასევე ბიზანტიელთა წინამძღვრები სომხებს ეძგერნენო[78].

როგორც ვხედავთ, XI საუკუნისათვის ბიზანტიურ-სომხურ ეკლესიებს შორის ნამდვილი უფსკრული იყო წარმოქმნილი. ამავე დროს, ძლევამოსილი ბიზანტიის იმპერიის საერო თუ სასულიერო ხელისუფლებისათვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევა სომხურ ეკლესიას თანდათან უძნელდებოდა. სომხეთის მეზობელ სახელმწიფოებთან ბრძოლაში ბიზანტიელთა თვალსაჩინო წარმატებისა და სომხეთის თანდათან დასუსტების ვითარებაში სომეხთა ზოგიერთ წრეში, მათ შორის სამღვდელოების ერთ ნაწილშიც, უნდა წარმოქმნილიყო და გაძლიერებულიყო პრობიზანტიური განწყობილება. შეუძლებელია X—XI სს-ში განვითარების მაღალ საფეხურზე ასულ ბიზანტიურ კულტურას და მეცნიერებასაც ნელ-ნელა გარკვეული გავლენა არ მოეხდინა სომხეთის, კერძოდ, სომხური ეკლესიის, ქვეყნის ზედაფენების ცხოვრებაზე[79]. ამგვარ პირობებში სომხეთში უნდა მომხდარიყო ერთგვარი რეაქცია სომხური ეკლესიის კარჩაკეტილობის წინააღმდეგ, უნდა მომრავლებულიყვნენ ბიზანტინოფილები. მაგრამ საყოველთაოდ აღიარებული, უდავო ფაქტია ისიც, რომ სომხური ეკლესიის „მამების“ თუ „მამამთავრების“ დიდი უმრავლესობა სასტიკად უპირისპირდებოდა ბიზანტინოფილობის ყოველგვარ გამოვლინებას, სომხური ეკლესიის სულ მცირედ გადახრასაც კი ქალკედონიანობისაკენ. X—XI სს-ში სომხური ეკლესიის კრიზისი ისედაც აშკარაა და ბიზანტინოფილებისა და ბიზანტიის მოწინააღმდეგეთა შეხლა-შემოხლას სომხურ ეკლესიაში მისი შემდგომი დასუსტება უნდა გამოეწვია.

ჩვენ ზემოთ, გზადაგზა, მოვიტანეთ ისეთი ცნობებიც, საიდანაც ჩანდა, რომ X—XI სს-ში „მწვალებლური“ სომხური ეკლესიის წინააღმდეგ იბრძოდა ქართული ეკლესიაც. ამჯერად ამ საკითხზე დამატებით კიდევ მოგვაქვს მასალები. ჩვენში მონოფიზიტებს (სომხებსა თუ ალვანელებს) მწვალებლებად რომ მიიჩნევდნენ, ამას გვიდასტურებს საქართველოს სამეფო კარის თვალყურის დევნებით შედგენილი „ქარ-

---

77 მის შესახებ იხ. ՀՍՀ, հ. 9, ხ., 1983, გვ. 369.

78 იხ. Ա. Հովհաննիսյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 26—27.

79 იხ. Լեո, დასახ. ნაშრომი, გვ. 667, 673; К. Н. Юзбашян, „Повествование“ Аристакеса Ластивертци и закат „Эпохи Багратидов“, Л., 1975. გვ. 36.

თლის ცხოვრებაც“: ჰერეთის სამეფოში, სანამ დინარ დედოფალი მათ მოაქცევდაო, „ყოველნი იყვნეს მწუალებელნი“[80]. ყურადღებას იპყრობს დიდი ქართველი მწერლის, მეცნიერისა და მოღვაწის ექვთიმე მთაწმინდელის ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) განწყობილებაც. როგორც ცნობილია, ექვთიმემ შეადგინა „მცირე სჯულისკანონი“ ქართული ეკლესიის სახელმძღვანელოდ. მართალია, მას ბიზანტიური საეკლესიო სამართლის ძეგლები გამოუყენებია, მაგრამ ისინი ქართულ ნიადაგზე გადაუმუშავებია, თავის ნაშრომში ქართული მასალა შეუტანია და „სჯულის კანონის“ ახალი, ქართული რედაქცია ჩამოუყალიბებია. ექვთიმე მთაწმინდელის „მცირე სჯულისკანონს“ მნიშვნელოვანწილად უნდა განესაზღვრა მონოფიზიტი სომხების მიმართ ქართული ეკლესიის დამოკიდებულება. ექვთიმე არაერთგან მსჯელობს სომხურ ეკლესიაში დამკვიდრებულ წესებზე და გმობს მათ: „გუეუწყა, ვითარმედ ქუეყანასა მას სომხეთისასა“ ესა და ეს „მწვალებლური“ წესია მიღებული, მაგ., „ქუეყანასა მას სომხეთისასა წმიდათა და პატიოსანთა ხატთა გამოსახვასა არა შეიწყნარებენ“, „ქუეყანასა მას სომხეთისასა თჳნიერ შესამოსლისა ხუცესნი აღასრულებენ წირვასა თჳსითავე შესამოსლითა და ესე დიდი წვალებაჲ არს სხუათავე თანა ცთომათა“ და ა. შ. ექვთიმეს სიტყვით, ყოველივე ეს „უჯერო არს და სრულიად უწესოჲ“, „ესე სრულიადი არს სიცოფე და უგუნურებაჲ და წარტყუენვაჲ მტერისაგან. ჰეშმარიტად ყოველი უწესოჲ და განდრეკილი მოძღურებაჲ ეშმაკისა მიერ მოპოვნებულ არს“[81].

აღსანიშნავია, რომ ექვთიმე მთაწმინდელს გრიგოლ ნაზიანზელის ერთ-ერთი თხზულების თარგმნისას სომეხთა შესახებ ნათქვამი სიტყვებიც ერთობ გაუმძაფრებია, თარგმანში უფრო მეტად თავისი დამოკიდებულება გამოუმჟღავნებია სომეხთადმი, ვიდრე გრიგოლ ნაზიანზელისა: ...„არს ნათესავი იგი სომეხთაჲ არა წრფელი, არამედ მზაკუვარი და გულარძნილი, და ბოროტი, მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი დაფარულ არიან ზღუასა შინა, და ვერ იხილვენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ. ესრეთ სხუასა იტყჳან იგინი (სომეხნი — ა. ა.) და სხუაჲ უც გულსა, და სიწრფოებაჲ მათ თანა არა არს. და რაჲ საკჳრველ არს უკუეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინაჲთგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუვარ, და ბოროტად

---

80 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 266.

81 იხ. მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის გამ., თბ., 1972, გვ. 33—34. 46—48, 63—64, 74, 77; შდრ. დიდი სჯულისკანონი, თბ., 1975, გვ. 392.

აღმსაარებელ"[82]. ყოველივე ამასთან ერთად, ექვთიმე მთაწმინდელი მოუწოდებს ქართველ სამღვდელოებას: „სომეხთა ეკრძალე, ნუ ასჯნდიკოზებ, ნუცა ამზახებ ქართველთა, უკანონო არს"[83]. ექვთიმე მთაწმინდელს სიცოცხლეშივე ხვდა წილად დიდი პატივი და აღიარება საქართველოში, კერძოდ, ქართულ ეკლესიაში. ამიტომ ქართველი „მამები" ექვთიმე მთაწმინდელის შეუვალ, საყოველთაო ავტორიტეტსაც უნდა დამყარებოდნენ და გაეძლიერებინათ შეტევა „მწვალებლური" სომხური ეკლესიის წინააღმდეგ.

მონოფიზიტი (გრიგორიანი) სომხების მიმართ ფრიად აგრესიული, არაკეთილმოსურნე განწყობილება შეიმჩნევა 1046 წ. ღრტილას საეკლესიო კრების „სიტყუსგებაშიც". ამ ძეგლის მიხედვით, სომხური ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მარმაშენის მონასტრის წინამძღვარი სოსთენი „დაგმობილი" სარწმუნოების აღმსაარებელი ყოფილა: „იყო ვინმე მონაზონი, ნათესავით სომეხი, მოძღუარი და წინამძღუარი სჯულისა მათისა, სახელით სოსთენი, კაცი უკუე ენა-მანქანა და ფრიად მეცნიერი წერილთა და სარწმუნოებისა მათისა ურწმუნოებისა და განდრეკილისა".

ქართველი ბერი, ექვთიმე გრძელი უკიჟინებს სოსთენს, რომ სომხური ეკლესია, განსხვავებით ქართულისაგან, მოკლებულია შესაძლებლობას, მჟიდრო კავშირი ჰქონდეს მსოფლიო ეკლესიასთან, იგი ჩაკეტილია თავის „მწვალებლურ" ნაჟუჟში. ამდენად, ექვთიმე გრძელის აზრით, ქართული ეკლესია მოწინავეა (ქართველები „ღმრთის ერი" გახლავთ), ხოლო სომხური ეკლესია ჩამორჩენილია (მონოფიზიტი სომხები „ურწმუნონი", „ცნობისაგან გამოჯუებული", „ეშმაკთა თანა შერაცხილნი" არიან)[84].

იმის გამო, რომ IX—XI სს-ში ქართული ეკლესია აღმავლობას განიცდიდა, ხოლო სომხური ეკლესიის კრიზისი X—XI სს-ში სრულიად აშკარად ჩანს, ამავე დროს რადგან საქართველო საერთოდაც თანდათან ძლიერდებოდა, ხოლო სომხეთი სუსტდებოდა, უნდა ყოფილიყო შემთხვევები მონოფიზიტ სომეხთა ქალკედონიანობაზე, კერძოდ, „ქართულ რჯულზე" მოქცევისა, მათი გაქართველებისა. როგორც ცნობილია, ან პრობლემასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში, სახელდობრ, ნ. მარისა და ამ მიმართულებით მისი თანამოაზრეების

---

82 იხ. ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982, გვ. 221—23.

83 იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 161; სულხან-საბას ლექსიკონში სიტყვა სუნდიკოზანი განმარტებულია, როგორც მომნათლავი, ნათლია,

84 ძველი ქართული პოლემიკური... გვ. 278—82, 285—86.

შრომებში არაერთი გაზვიადებული, დაუსაბუთებელი, მიუღებელი მოსაზრება გვხვდება[85]. უნდა ითქვას, რომ სათანადო მასალების მეტისმეტი სიმწირის პირობებში ბევრი რამ დღემდე ბუნდოვანი, გაურკვეველი რჩება.

როგორც უკვე ითქვა, ბიზანტიისა და ქართული ეკლესიების მცდელობით სომხეთის პატრიარქ ვაჰან I-საც (968—69) კი განუზრახავს ქალკედონიანი გამხდარიყო. ზემოთ ისიც აღვნიშნეთ, რომ სომეხთა მემატიანე კათალიკოსი, დრასხანაკერტცი არ თანხმდება კონსტანტინოპოლს ჩასვლაზე იმის შიშით, ქალკედონიანობა არ დამწამონო. საყურადღებოა, რომ სწორედ იმავე ხანებში, ცოტა ადრე, საჯიანთაგან დევნილ დრასხანაკერტცის ხანგრძლივად შეუფარებია თავი „ქართველთა მეფის", ადარნასეს კარზე[86]. ქალკედონიანად შერაცხვის საფრთხე დრასხანაკერტცის ჩვენშიც ისევე შეიძლებოდა დამუქრებოდა, როგორც ბიზანტიაში ჩასვლისას. შესაძლოა, დრასხანაკერტცის „ქართველთა სამეფოში" დიდი ხნით ხიზნობისას უკვე დაირხა ხმა მისი გაქალკედონიტების შესახებ და ამიტომაც ამის შემდეგ ამბობს იგი უარს კონსტანტინოპოლს ჩასვლაზე. დრასხანაკერტცის „ქართველთა სამეფოში" ყოფნა ქართველ საერო და სასულიერო ხელისუფალთ ხელსაყრელ შემთხვევად უნდა მიეჩნიათ და მისი „გადმობირება" ეცადათ. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ არსებობს პირდაპირი, მკაფიო ცნობები, თუ როგორ ცდილობდა საქართველოს მეფე ბაგრატ IV მარმაშენის მონასტრის წინამძღვრის, სოსთენის „ქართულ რჯულზე" მოქცევას და ამისათვის მარმაშენის მონასტრის წინამძღვრობის ტოლფას „თანამდებობასაც" სთავაზობდა ქალკედონურ გარემოში. ბაგრატს ვერაფერი გაუწყვია, სოსთენი მტკიცედ დამდგარა „მშობლიურ რჯულზე"[87]. მიუხედავად ამისა, რაკი სომეხი „მამების" თუ „მამამთავრების" მოქცევის ცდები ყოფილა, მით უფრო მოსალოდნელია საერო წრის წარმომადგენელთა გაქალკედონიტება[88].

ასოღიკის მიხედვით, დაახლ. X ს-ის მიწურულს გაგისა და მისი სანახების მთავარი, დემეტრე მარზპანი განდგომია ტაშირ-ძორაგეტის მეფეს, დავით უმიწაწყლოს (დაახლ. 996—1048/49), დაჰკავშირებია

---

[85] იხ. Н. Ю. Ломоури, К истории грузинского Петрицонского монастыря, Тбилиси, 1981.

[86] იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 188—189.

[87] ძველი ქართული პოლემიკური... გვ. 286.

[88] იხ. მაგ., ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 80.

ქართველებს და მათი მეშვეობით ისიცა და მისი შვილიც, ტაშირის მამფალი, ხელახლა მონათლულან, „ქართული რჯულის“ აღმსაარებელნი გამხდარან. ასოღიკის სიტყვით, დემეტრეს „მშობლიური სომხობის სარწმუნოება“ მიუტოვებია. დავით უმიწაწყლოს თურმე სასტიკად დაუსჯია დემეტრე მარზპანი, რომელიც, თითქოს, მიმხვდარა, რომ ისინი, „ვინც განეშორებიან უფალს, წარწყმდებიან“[89]. მოტანილი ცნობა მრავალმხრივ საინტერესოა. ყურადღებას იპყრობს, კერძოდ, დემეტრე მარზპანის ვაჟის მამფალად მოხსენიება. ეს ხომ წმინდა წყლის ქართული ტიტულია (სიტყვა მამფალი მომდინარეობს მამაუფალისაგან). როგორც კარგადაა ცნობილი, გარკვეული მიზეზების გამო, ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფოს შემადგენლობაში ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოექცა. ბუნებრივია, ამ მხარეში ქართული სული კვლავ ტრიალებდა, ქართული ტრადიცია შემორჩენილი იყო. ქართული სამეფო-სამთავროებისა და ქართული ეკლესიის გაძლიერების, გაერთიანების გზაზე საქართველოს მტკიცედ დადგომის ჟამს ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს არაერთ დიდებულს ქართული ორიენტაცია უნდა გამოემჟღავნებინა. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან სწორედ დემეტრე მარზპანი და მისი ვაჟი, ტაშირის მამფალი. ადვილი შესაძლებელია, მათი მამა-პაპის მონოფიზიტობა, „მშობლიური სომხობის სარწმუნოება“ არც იყოს მაინცდამაინც ისე ძველისძველი, როგორც ეს ასოღიკს ეჩვენება. იქნებ, დემეტრეს არცთუ შორეული წინაპარია მოქცეული „სომხურ რჯულზე“ ამ მხარეებში სომეხ ხელისუფალთა გაბატონების შედეგად. ასეა თუ ისე, X ს-ის დასასრულიდან ტაშირ-ძორაგეტის სომხურ სამეფოში მონოფიზიტთა (მათ შორის, ქართველ მონოფიზიტთა) „ქართულ ქრისტიანობაზე“ მოქცევის შემთხვევები თანდათან უნდა მომრავლებულიყო. ამგვარი რამ ასოღიკის აღნიშნული ცნობის ქვეტექსტშიც შეიძლება ამოვიკითხოთ. მემატიანე დემეტრე მარზპანის დასჯის მაგალითით ცდილობს დამოძღვროს ის მონოფიზიტები, რომელთაც სარწმუნოებრივი მერყეობა დასტყობიათ: ისინი, „ვინც განეშორებიან უფალს, წარწყმდებიან“-ო. ეტყობა, უფლისაგან, ამ შემთხვევაში მონოფიზიტური (გრიგორიანული) სომხური ეკლესიისაგან, ჩამოშორებულნი თუ განზე განმდგარნი ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში, საერთოდ სომხეთში ცოტა არ ყოფილა და ასოღიკი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს სომხური ეკლესიის განმტკიცების საქმეში.

ვარდანის თანახმად, დაახლ. X ს-ის შუა ხანებში ბაღქის მთავარ-

---

[89] Սեբեոսի Տարեգրություն... გვ. 257.

საც განუზრახავს კავშირი დაემყარებინა ქართველებთან და ქართულ ეკლესიასთან, რისთვისაც იგი სომხებს შეურისხავთ[90]. ეს ის დროა, როცა დინარ დედოფლის მოღვაწეობის წყალობით მონოფიზიტური ჰერეთის სამეფოს „ქართულ რჯულზე“ მოქცევა მოხდა. როგორც ჩანს, იმავე ხანებში ჰერეთის სამეფოს მეზობელი სომხური ოლქების ხელისუფალთაც განუზრახავთ ზურგის შექცევა „მშობლიური სომხობის სარწმუნოებისათვის“.

ყურადღებას იპყრობს ვალაშკერტის (სომხური ვაღარშაკერტის) ქართული საეპისკოპოსოს არსებობა სომხეთში უკვე XI ს-ის I მეოთხედში. ვალაშკერტის (ვაღარშაკერტის) ქართველ ეპისკოპოს ზაქარიას 1021 წლისათვის იხსენიებს ლასტივერტცი. იგი ზაქარიას ქართველ პოლიტიკურ მოღვაწედაც მიიჩნევს[91]. მოსალოდნელია, ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსო ჯერ კიდევ დავით კურაპალატის დროს შექმნილიყო, ანდა საფუძველი მაინც იმ წლებში ჩაჰყროდა მას. დავით კურაპალატის ხელშეწყობით ქართული ეკლესიის გავლენა საქართველოს საზღვრებს გარეთაც რომ გავრცელებულა, ამის დასტურად შეიძლება მანასკერტის მაგალითიც დავასახელოთ. როცა მანასკერტში დავითმა ქართველები და სომხები დაასახლა მაჰმადიანთა ნაცვლად, ცხადია, იქ ქართული ეკლესიაც გაჩნდებოდა, რომელიც მცხეთის საკათალიკოსოს ხელდებული იქნებოდა.

ასოღიკის ცნობით, სომხეთის პატრიარქის, ხაჩიკ I-ის (973—92) დროს, ე. ი. სწორედ დავით კურაპალატის ხელმწიფობის ხანებში, იმჟამად ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი სომეხი ვარდაპეტი (მოძღვარი) ჰოვჰანესი სიცოცხლეს გამოესალმა „გაცოფებული ქართველთა ტომისაგან მახვილით და დაიმარხა სავანეში, რომელსაც აკსიგომი ეწოდება, ბასიანის გავარში“[92]. რაკი ჰოვჰანესი ბასიანის სავანეში დაუსაფლავებიათ, მოსალოდნელია, იგი ბასიანშივე მოეკლათ. როგორც ჩანს, ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის იმ ხანებში დიდი შეხლა-შემოხლა უნდა ყოფილიყო ბასიანისათვის, ქართული ეკლესია თანდათან აქაც ავიწროებდა „მწვალებლურ“ სომხურ ეკლესიას. დაახლ.

---

[90] Հաւաքումն պատմութեան Վարդանայ վարդապետի, Վենետիկ, 1862, გვ. 89.

[91] ԼԱՍՏԻՎԵՐՏԵՑԻ, გვ. 45, 51; იხ. აგრეთვე ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962, გვ. 463—64; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 71—72; Պ. Մուրադյան, Հայաստանի վրացերեն արձանագրությունները, Ե., 1977, გვ. 22—24, 76—79.

[92] Մատթէոսի Տարօնեցւոյ... გვ. 185.

იმავე დროს ბასიანის მეზობლად მდებარე ვაღარშაკერტშიც უნდა შეეღწია ქართულ ეკლესიას.

ოშკის 977 წ. ხელნაწერის, „სამოთხის“ ანდერძში „ძლიერისა და ღმრთისმსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა კურაპალატისა“, დავითის შესახებ ნათქვამია, რომ იგი „მართლმადიდებლობისა თუალი არს“[93]. მართლმადიდებლობის ბურჯად მიჩნეულ ძლევამოსილ ქართველ ხელისუფალს, დავით კურაპალატს, ბუნებრივია, ეზრუნა თავის საბრძანებელში თუ მეზობელ ოლქებში მცხოვრებ „მწვალებელთა“, მონოფიზიტ სომეხთა მართლმადიდებლობაზე, „ქართულ რჯულზე“ მოსაქცევად. ამავე დროს, ცნობილია, რომ ქართველთა ჯარს გიორგი I-ის მეფობის ჟამს სომეხთა დედაქალაქ ანისშიც კი შეუვიწროებია მონოფიზიტური სომხური ეკლესია[94]. ამდენად, ისიც დასაშვებია, რომ ვალაშკერტის ქართულ საეპისკოპოსოს საფუძველი დავით კურაპალატის დროს ჩაჰყროდა, მაგრამ საბოლოოდ გიორგი I-ის მეფობის დასაწყისში შექმნილიყო იგი.

მონოფიზიტი სომხები, მეტადრე სომხური სასულიერო წრის წარმომადგენლები, როგორც ზემოთაც ითქვა, ასე ადვილად არ თმობდნენ „მშობლიური სომხობის სარწმუნოებას“ და თანამემამულეებსაც მოუწოდებდნენ, მტკიცედ მდგარიყვნენ მამა-პაპურ რჯულზე. ამისი შესანიშნავი დადასტურებაა თუნდაც უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, რომლის ძირითადი მიზანი სწორედ სომხური მონოფიზიტური ეკლესიის შერყეული პოზიციის განმტკიცებაა. სომეხი „მამები“ არ დაკმაყოფილდნენ ბრძოლის ამგვარი ხერხებით და თავიანთ მრევლს პრაქტიკულ რჩევა-დარიგებებსაც აძლევდნენ იმის თაობაზე, რომ ყოველდღიურ ყოფაში ისინი არ დაახლოებოდნენ ქართველებს, არ გათქვეფილიყვნენ მათთან. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ცნობილი სომეხი საეკლესიო მოღვაწის, დავით ალმაშენებლის თანამედროვის, დავით ალავიკის ძის ე. წ. „კანონთა კრებულში“ ერთი ასეთი „კანონის“ შეტანა: მონოფიზიტ სომეხთაგანო „არავინ ჭამდეს ქართველის მიერ დაკლული ცხოველის ხორცს. შიმშილისაგან იძულებულის გარდა“[95]. დავით ალავიკის ძე თანადროულ სომხურ საზოგადოებრიობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობ-

---

93 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, თბ., 1986, გვ. 47.

94 ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ე ც ი, გვ. 44, 46—47.

95 იხ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, ტფ., 1928, გვ. 165—68.

და[96]. ამგვარი პიროვნების ხსენებული „კანონი“. ცხადია, ქართულ-სომხური ეკლესიების გამწვავებულ ურთიერთობას კიდევ უფრო მეტად გაამძაფრებდა. ცნობილია, თუ რაოდენ მძიმე იყო სომხეთის პოლიტიკური მდგომარეობა დავით აღმაშენებლის ხანაში. სომეხთა დიდი ნაწილი სწორედ დავით აღმაშენებელს შესცქეროდა იმედის თვალით, რომ იგი იხსნიდა სომხეთს უცხოელ დამპყრობთა თარეშისაგან. მიუხედავად ამისა, ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა იმ დროსაც მწვავე იყო[97] და ამის გამოვლინებაცაა დავით ალავიკის ძის ხსენებული „კანონი“. სომხური ეკლესია ქართულის მიმართ ამგვარივე პოზიციაზე იდგა, მით უმეტეს, X—XI სს-ში, რაც განაპირობებდა შეხლა-შემოხლას მათ შორის.

როგორც დავინახეთ, X—XI სს-ში სომხურ ეკლესიას უპირისპირდებოდნენ, ებრძოდნენ როგორც ბიზანტიური (ბერძნული), ასევე ქართული ეკლესიები. ჩვენ ზემოთ ისიც აღვნიშნეთ, რომ ზოგჯერ ბიზანტიის კეისრები, ასევე კონსტანტინოპოლის პატრიარქები „გულითად“ დამოკიდებულებას იჩენდნენ სომეხი „მამებისადმი“ თუ „მამამთავრებისადმი“[98], მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ დროებითი, შენიღბული სვლა, პოლიტიკური ფანდი იყო. საერთოდ, ბიზანტიურ-სომხურ ეკლესიებს შორის არსებული უფსკრული გადაულახავი რჩებოდა. მართალია, წინააღმდეგობები, შეხლა-შემოხლა ქართულ-ბერძნულ ეკლესიებს შორისაც აშკარაა, მაგრამ ისინი მაინც ერთი მიმართულებისა იყვნენ, ერთ ბანაკს წარმოადგენდნენ საქრისტიანო სამყაროში და ამდენად, ქართულ-ბიზანტიური ეკლესიები თუ ყოველთვის არა, ზოგიერთ მომენტში მაინც მოკავშირეებად შეიძლება მივიჩნიოთ.

მთელს აღმოსავლეთში არაბერძენი ქრისტიანი ხალხები განუდგნენ ქალკედონურ მრწამსს, მარტო საქართველო, ქართველები იცავდნენ მას მტკიცედ. ამის გამოც მოსალოდნელია, ბიზანტიის ხელისუფლებას საქართველო, ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროები და ქართული ეკლესია გარკვეულ დრომდე მოკავშირედ გაეხადა კავკასიის მონოფიზიტური, „მწვალებლური“ თუ წარმართული ქვეყნების მოქცევის საქმეში. ცნობილია მაგ., კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები ლიხსიქეთის მეფისადმი ალანთა (ოსთა) ქვეყანაში ქრისტიანობის გასავრცელებლად ბიზანტიის ეკლე-

---

[96] Ա. Աբրահամյան, Դավիթ Ալավկա որդու կանոնները, 1953, გვ. 2 (ცალკე ამონაბეჭდი ჟურნალ „ეჯმიაწინდან“); ՀՍՀ, III, ե., 1977, გვ. 300.

[97] იხ. ა. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება“ და... გვ. 218—24.

[98] ამასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე Արիստակես Լաստիվերտցի, გვ. 47—48; Սամփադիսի Տարօնեցւոյ... გვ. 201—2, 275—76.

სიისა და ლიხსიქეთის სამეფოს ერთობლივი მოქმედების, თანამშრომლობის შესახებ[99]. მარტო ბიზანტიელებს, მოკავშირის გარეშე, როგორც ჩანს, უძნელდებოდათ ჩრდილო კავკასიელთა, კერძოდ, ოსების გაქრისტიანება. ჩრდილო კავკასია ხომ მრავალმხრივ, მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან და ქართველ საერო თუ სასულიერო ხელისუფალთ მეტი გავლენა ექნებოდათ იქ, ვიდრე კონსტანტინოპოლის პატრიარქებს.

დროდადრო, გარკვეულ მომენტამდე მაინც, ბერძნულ-ქართული ეკლესიები ასევე ერთმანეთის მოკავშირენი იქნებოდნენ მონოფიზიტური (გრიგორიანული), „მწვალებლური" სომხური ეკლესიის მართლმადიდებლობაზე, ქალკედონიანობაზე მოქცევის საქმეშიც, მის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამგვარი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზემოთ უკვე აღნიშნული იმ გარემოებიდანაც, რომ სომეხი მემატიანეები სომხეთის პატრიარქის, ვაჰან I-ის (968—969) ქალკედონიანობაზე მოქცევას ხან ქართული, ხანაც ბერძნული ეკლესიის გავლენას მიაწერენ. როგორც ეტყობა, ეს მეისტორიენი ბერძნულ და ქართულ ეკლესიებს ერთნაირად დაინტერესებულად მიიჩნევენ სომხური ეკლესიის ქალკედონიანობაზე მოქცევით. საერთო ინტერესს კი, მეტოქეობასთან ერთად, ზოგჯერ მაინც მოკავშირეობაც უნდა გამოეწვია, მით უმეტეს, რომ სომხური ეკლესიის „მამები", ყოველ შემთხვევაში, მათი უდიდესი ნაწილი თავგამოდებით იცავდნენ „მშობლიური სომხობის სარწმუნოებას" და ამდენად მონოფიზიტური სომხური ეკლესიის მართლმადიდებლობაზე მოქცევა დიდ, ლამის გადაულახავ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

სომხური ეკლესიის წინააღმდეგ ბერძნულ-ქართული ეკლესიებისა თუ საერთოდ საქართველო-ბიზანტიის საერო და სასულიერო წრეების, მათი ზედაფენების თანამოაზრეობა ჩანს გიორგი მთაწმინდელის საუბრიდან ბიზანტიის კეისართან. XI ს-ის 60-იან წლებში, საქართველოში რამდენიმე წლის ყოფნის შემდეგ, გიორგი მთაწმინდელი ბიზანტიაში რომ დაბრუნდა, იგი თავდაპირველად კონსტანტინოპოლს ჩასულა და კეისარ კონსტანტინე X დუკას (1059—1067) წინაშე წარმდგარა. ამ დროს კეისართან ყოფილან ყარსის (ვანანდის) სომხური სამეფოს მეფე გაგიკი, მისი თანმხლები პირები და სხვებიც. საუბრის დროს კეისარს გიორგი მთაწმინდელისათვის სომეხთა სარწმუნოების თაობაზეც უკითხავს: „მერმე კუალად ჰკითხა მეფემან სომეხთათჳს: „თუ აქუს რაჲ ნაწილი ქრისტეანეთა თანა?" გიორგი მთაწმინდელის პასუ-

---

99 იხ. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 212—18; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 443—45.

ხი ისეთივე არაკეთილგანწყობილებით გამოირჩევა სომხური ეკლესიის მიმართ, როგორიც კეისრის შეკითხვა იყო: „ხოლო მიუგო წმიდამან მოკლედ, ვითარმედ: „ბოროტსა სარწმუნოებასა სახელცა ნუ ედებინ“. და მათ ყოველთა წინაშე სირცხვლითა აღავსნა სომეხნი იგი მეფენი“. კეისარი მეტად კმაყოფილი დარჩენილა გიორგი მთაწმინდელის პასუხით[100].

ყარსის მეფე გაგიკი იმის გამო იმყოფებოდა კეისრის კარზე, რომ სომხეთში თურქ-სელჩუკთა თარეშისა და ბიზანტიის დიპლომატიის დაწოლის ვითარებაში იგი იძულებული გახდა 1065 წ. თავისი სამფლობელო კეისრისათვის გადაეცა, ხოლო თვითონ თავი ბიზანტიისათვის შეეფარებინა. როგორც ჩანს, ბიზანტიის ხელისუფლება არ დაკმაყოფილდა ამით და გაგიკისა და მისი ამალის მართლმადიდებლობაზე, „ბერძნულ რჯულზე“ მოქცევაც განიზრახა. ბიზანტიელები როგორც კი ფეხს შედგამდნენ რომელიმე სომხურ ოლქში, დაჟინებით მოითხოვდნენ იქაურ სომეხთა მართლმადიდებლობაზე მოქცევას[101] და, რაღა გასაკვირია, მათ ბიზანტიაში მყოფი გაგიკისა და მისი ამალის გაქალკედონიანებაც გადაეწყვიტათ. ბიზანტიის ხელისუფალთა სწორედ ამგვარ ღონისძიებაში მიუღია მონაწილეობა გიორგი მთაწმინდელს და დაუგმია კიდეც „სომხური სარწმუნოება“. გავითვალისწინებთ რა, თუ როგორი აღფრთოვანებით აღწერს ყოველივე ამას გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი გიორგი მცირე, ვფიქრობთ, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ მას ბერძნულ-ქართული ეკლესიები, უფრო სწორად, ბიზანტიის საიმპერატორო კარი და ქართული ეკლესია ერთმანეთის მოკავშირეებად მიიჩნია „სომხური რჯულის“, მონოფიზიტური სომხური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ალბათ, დაისმება კითხვა: უკეთუ ბერძნულ-ქართული ეკლესიები მოკავშირეებია სომხურ ეკლესიაზე შეტევის ჟამს, მაშინ როგორ უნდა გავიგოთ ის ფაქტი, რომ XI ს-ის შუა ხანებში ბერძნული ეკლესიის მესვეურებმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება განიზრახეს? როგორც ცნობილია, ბერძნული ეკლესიის ეს შემოტევა გიორგი მთაწმინდელის წყალობით იქნა მოგერიებული. მან საკადრისი პასუხი გასცა ანტიოქიის ბერძენ პატრიარქს[102]. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობისაკენ მიმართული ბერძნული ეკლესიის ცდები

---

100 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 178—80.

101 იხ. C. Toumanoff, The Background to Mantzikert. The Proceedings of the XIII th International Congress of Byzantine Studies, 1967, გვ. 421.

102 იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 149—155.

შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ამ ხანებში, კერძოდ. კონსტანტინოპოლის პატრიარქის, მიხეილ კერულარიოსის დროს (1043—1058) ბერძნული ეკლესია საერთოდაც ერთობ აგრესიული ჩანს. სწორედ მიხეილ კერულარიოსის პატრიარქობისას, 1054 წელს მოხდა საბოლოო განხეთქილება ბერძნულ და რომის ეკლესიებს შორის. ამის შემდეგ, მიუხედავად გარკვეული მცდელობისა, ვეღარასოდეს მოხერხდა მათი მორიგება და დაახლოება[103]. ასეთ ვითარებაში ბერძნული ეკლესიის თავკაცებს რაღა შეუშლიდათ ხელს, იგივე XI ს-ის 50-იან წლებში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზეც მიეტანათ იერიში. მაგრამ გარდა ამისა, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია მეორე გარემოებაც: როგორც ზემოთ ითქვა, XI ს-ის 40-იანი წლებიდან ბიზანტიის ხელისუფლებამ მოახერხა სომხური საკათალიკოსო გაეუქმებინა სომხეთში და იგი ბიზანტიაში გადაეტანა. ამ დროისათვის ქართული ეკლესია თავისი ძლიერების თითქმის ზენიტს აღწევს. იგი წარმატებით უწევს მეტოქეობას ბერძნულ ეკლესიას ჩრდილო კავკასიაში და სომხეთშიც. ცნობილია, რომ უფრო ადრე, ჯერ კიდევ IX—X სს-ში, მოყოლებული გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ხანებიდან, ქართულმა ეკლესიამ თითქმის სავსებით გააძევა ბერძნული ეკლესია დასავლეთ საქართველოდან. ბიზანტიის ხელისუფალთ არ უნდა მოსწონებოდათ ქართული ეკლესიის თანდათანობით, ამ ზომამდე გაზრდილი პრეტენზიები მთელი კავკასიის მასშტაბით (რასაც XI ს-ის შუახანებამდელი არაერთი სათანადო ფაქტი მოწმობდა და ღაღადებდა) და მას შემდეგ, რაც ქართული ეკლესიის მოკავშირეობაც სომხური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში აღარ ესაჭიროებოდათ, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობა უნდა გადაეწყვიტათ.

ქართული ეკლესიის გავლენის გავრცელება მთელს კავკასიაში მნიშვნელოვანწილად უმზადებდა ნიადაგს და უწყობდა ხელს საქართველოს სახელმწიფოს მიერ მთელი კავკასიის გაერთიანების საქმეს, რაც არამც და არამც არ შეესაბამებოდა ბიზანტიის იმპერიის დიდმპყრობელურ პოლიტიკურ გეგმებს. ერთი სიტყვით, კავკასიის მიმართ ბიზანტიის იმპერიის აგრესიული ზრახვები და ქართული ეკლესიის აღნიშნული პრეტენზიები ერთმანეთთან შეუთავსებელი აღმოჩნდა და ბიზანტიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ქართული ეკლესიის აქტიურობა, მისი შემართება, მისი წიაღიდან ამოფრქვეული, ამოხეთქილი ენერგია, „მდუღარებაჲ სულისაჲ“ ან ჩაეხშო და ჩაექრო, ანდა თავის სასარგებლოდ წარემართა.

---

[103] იხ. S. Runciman, The Eastern Schism, Oxford, 1963, გვ. 28—54.

სომხური საზოგადოებრიობის დიდი უმრავლესობა სომხურ ეკლესიას სასოებით შესცქეროდა, მისგან ელოდა შველასა და ხსნას. XII ს-ის პირველი ნახევრის სომეხი მემატიანის, მათეოს ურჰაეცის თანახმად, სომხეთში, თავისი მნიშვნელობით „საკათალიკოსო ტახტი სამეფო ტახტზე ნაკლები არ იყო"[104]. ამგვარი შეხედულების საფუძვლიანობას სომხეთის ისტორიის არაერთი ეპოქა ადასტურებს. სომეხთა საკათალიკოსო ტახტის დიდი მნიშვნელობა ხაზგასმითაა წარმოჩენილი ერთი სომხური ხელნაწერის 1102 წლის ანდერძ-მინაწერშიც. სრულიად სომეხთა კათალიკოს-პატრიარქი გრიგორ II (1066—1105), რომელმაც პაჰლავუნთა გვარიშვილების პატრიარქობას დაუდო სათავე, ხსენებულ ანდერძ-მინაწერში თავისი ხანგრძლივი „მეფობის" (!) შესახებ ლაპარაკობს. გრიგორ II-ს „თავისი თავი არა მარტო განმანათლებლის, არამედ თრდატის ტახტზე მჯდომარედაც წარმოუდგენია"[105].

ამგვარ ვითარებაში X—XI სს-ში სომხური ეკლესიის კრიზისს, თანდათანობით მის დასუსტებას და მორალურად დაკნინებას ფრიად უარყოფითი ზემოქმედება უნდა მოეხდინა სომხურ საზოგადოებრიობაზე. ამრიგად, სომხური ეკლესია X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის პირველ ნახევარში (სანამ ბიზანტიელები დაიპყრობდნენ თითქმის მთელ სომხეთს) არამცთუ ხელს ვერ უწყობდა სომხეთის გაძლიერებას, მის პოლიტიკურ გაერთიანებას, არამედ პირიქით, მნიშვნელოვანი „წვლილი" შეიტანა სომხეთის დაცემაში. მით უმეტეს, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სომხურ ეკლესიას არ შესწევდა ძალა, X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის პირველ ნახევარში მოემზადებინა ნიადაგი სომხეთის, სომეხი მეფეების მეთაურობით ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის.

რაც შეეხება ქართულ ეკლესიას, როგორც ზემოთაც ითქვა, მან IX—XI სს-ში დიდი როლი შეასრულა არა მარტო საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის საძირკვლის ჩაყრაში, არამედ მთელი ამიერკავკასიის, უფრო მეტიც მთელი კავკასიის გაერთიანების დიადი, პროგრესული საქმის განხორციელების რთულ, ეკლიან, ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ გზაზე. ისევე, როგორც თავის დროზე სომხური ეკლესიის წარმატებათა მეშვეობით ფართოვდებოდა.

---

[104] Մատթէոս Ուռհայեցի, ժամանակագրութիւն, გვ. 154; იხ. აგრეთვე Մ. Օրմանեան, Հայոց եկեղեցի.

[105] Ա. Հովհաննիսյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 107—8; ნაგულისხმევია გრიგოლ განმანათლებელი და სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფე, თრდატ III დიდი (293—330).

იზრდებოდა სომხეთის ტერიტორია[106], IX—XI სს-ში, ძლიერების. აღმავლობის ხანაში ქართულმა ეკლესიამაც დიდად შეუწყო ხელი ერთიანი საქართველოს შექმნას და მისი პოზიციის განმტკიცებას მთელს კავკასიაში. IX საუკუნისათვის ამიერკავკასიაში პირველობის მოპოვებისათვის მხოლოდ ქართული და სომხური ეკლესიები ებრძოდნენ ერთმანეთს. ალვანური ეკლესია სუსტი იყო და ამ ბრძოლაში ვერ მონაწილეობდა. ზემოთ აღნიშნული მიზეზების შედეგად ქართულ-სომხური ეკლესიების ჭიდილში უკვე X ს-ის მეორე ნახევრისათვის ქართული ეკლესიის უპირატესობა თვალსაჩინო გახდა. ვინაიდან მთელს ამიერკავკასიაში, უფრო მეტიც, მთელს კავკასიაში საქართველოს ხელისუფალთა და ქართული ეკლესიის გავლენის გავრცელების გეგმები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან. ქართული ეკლესიის იდეოლოგები მშობლიური ეკლესიის როლის, მისიის წარმოჩენასთან ერთად კავკასიაში ქართული სახელმწიფოს, სამეფოს პირველობასაც ქადაგებდნენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქართული ეკლესიის პროგრესული მოღვაწენი საქართველოს მეთაურობით კავკასიის გაერთიანების იდეოლოგიურ წანამძღვრებს ამზადებდნენ. სინამდვილეშიც, XI ს-ის შუა ხანებისათვის ამიერკავკასიაში საქართველო წარმოადგენდა ერთადერთ ძალას, რომელსაც ქრისტიანობის დროშით შეეძლო ქართველების, სომხებისა და ალვანელების დარაზმვა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

*

* *

წინამდებარე ნაშრომის პირველივე სტრიქონები ლეონტი მროველის კონცეფციაზე საუბრით დავიწყეთ. როგორც ცნობილია, ლეონტი მროველი კავკასიის ძირძველი ხალხების: ქართველების, სომხების, ალვანელების, ლეკებისა და სხვების ნათესაობას, საერთო წარმოშობას ქადაგებს. ეტყობა, მსგავსი შეხედულებები იმ ეპოქის საქარ-

---

[106] იხ. Н. Я. Марр, Кавказский культурный мир и Армения. Пг., 1915, გვ. 21. სხვათა შორის, IX ს-სა და X ს-ის პირველ ნახევარშიც კი შე-მონაცვალ სომხური ეკლესიის ერთგვარი პრეტენზია არა მარტო მთელს ამიერკავკასიაზე, არამედ ჩრდილო კავკასიაზეც. ტრადიციებზე დამყარების გარდა, ამისი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ალვანურ მონოფიზიტურ ეკლესიას დროდადრო უნდა ეცადა ქრისტიანობაზე მოექცია და თავისი გავლენისათვის დაექვემდებარებინა ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი ტომი (იხ. მოვსეს კალანკატუაცი, გვ. 111—123, 125, 138, 168). რადგან სომხური ეკლესია მონოფიზიტურ ალვანურ ეკლესიას თავის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა, ჩრდილო კავკასიაში ალვანური ეკლესიის მონაპოვარსაც საკუთარ მიღწევად მიითვლიდა.

თველოში ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ქართველთა მიერ მონათესავე ხალხის ძიების, მათთან დაახლოების საოცარი სურვილის კლასიკური ნიმუშია გამოჩენილი ქართველი მოღვაწის, იოანე მთაწმინდელის გადაწყვეტილება, წასულიყო ესპანეთში, მეორე იბერიაში და თავის მხლებლებთან ერთად იქაურ „ქართველთა“ გარემოცვაში დამკვიდრებულიყო. გიორგი მთაწმინდელის სიტყვით, „განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოვანე, რაჲთა აღიღოს ძე თჳსი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ“[107]. მაშინ, როდესაც ქართველი კაცი მონათესავე ხალხს ესპანეთში ეძებდა, ხოლო ნაწილობრივ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანშიც“ და განსაკუთრებით რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა ერთა შვილების ძმობა-მეგობრობის განსაცვიფრებელი სადიდებელია აღბეჭდილი, რაღა საკვირველია, ჩვენში კავკასიის ძირძველ ხალხთა ნათესაობის, მათი საერთო წარმოშობის იდეაც გაჩენილიყო. ნ. ბერძენიშვილის თანახმად, „ლეონტი მროველის მონათესავეობა და ვეფხისტყაოსნის ძმადნაფიცობა ერთი და იმავე წყაროთი მორწყული ფეოდალური სამყაროს ნაყოფია“[108].

ლეონტი მროველის კონცეფცია კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობის თაობაზე უნდა მივიჩნიოთ იდეოლოგიურ წანამძღვრად იმ დიდი, პროგრესული საქმის განხორციელებისათვის, რასაც კავკასიის გაერთიანება ჰქვია და რაც ჩვენში თუ უფრო ადრე არა, ბაგრატ III-ის პოლიტიკის დღის წესრიგში მაინც იდგა. ივ. ჯავახიშვილი, განიხილავდა რა ლეონტის ცნობას კავკასიის ძველ ხალხთა მონათესაობის შესახებ, დასძენდა: ლეონტის მიერ ჩამოთვლილ „ერთა ერთთესლოვანი შთამომავლობისა და ძმობის აზრი უფრო პოლიტიკური მეგობრობისა და ერთობის განმტკიცების სურვილითა და მოსაზრებით უნდა იყოს შეტანილი“ ლეონტი მროველის თხზულებაშიო[109]. ლეონტი მროველის კონცეფციას XI ს-ის საქართველოს ხელისუფალთა პოლიტიკურ გეგმებს უკავშირებდა ნ. ბერძენიშვილი. მისი აზრით, ლეონტი მროველი „იდეოლოგიური მებრძოლი იყო საქართველოს პოლიტიკური აგრესიისათვის“[110]. ლეონტი მროველის თვალსაზრისის გასაგებად, სხვა მომენტებთან ერთად, XI ს-ში კავკასიასა თუ ამიერ-

---

107 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 54.

108 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 557.

109 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 179, 187.

110 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 93.

კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას ამა თუ იმ ზომით არაერთი სხვა მკვლევარიც ითვალისწინებდა[111].

როგორც ცნობილია, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“ საქართველოს წარსული გადმოცემულია უძველესი დროიდან V ს-მდე ქ. შ. ამასთანავე, თხზულების უმეტესი ნაწილისათვის დამახასიათებელია „არმენოფილური“ ტენდენცია. „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენა და შევსება ხომ საქართველოს სამეფო კარის ნებითა და დასტურით ხდებოდა. ასეთ ვითარებაში რით უნდა აიხსნას „არმენოფილური“ ტენდენციის შემცველი თხზულების შეტანა „ქართლის ცხოვრებაში“? ნუთუ საქართველოს სამეფო კარს კავკასიის გაერთიანებისაკენ მიმართული თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელების გზაზე ამგვარი მატიანე რამდენადმე მაინც ხელს უწყობდა? ამ სახის, მეტისმეტად რთულ კითხვებზე პასუხის გაცემა უკვე ვცადეთ ჩვენს დასახელებულ წიგნში (იქვე განხილულია წინამორბედ მკვლევართა სათანადო მოსაზრებებიც) და აქ ყველაფერს არ გავიმეორებთ, მხოლოდ მოკლედ გადმოვცემთ ჩვენს შეხედულებას. ეს კი სასურველად მიგვაჩნია თუნდაც იმის გამო, რომ ამჟამად ზოგი რამ შედარებით ახლებურად გვესახება.

როგორც დავინახეთ, XI ს-ის მეორე ნახევრისათვის, ლეონტი მროველის დროისათვის, ქართულ სასულიერო წრეებში, აგრეთვე ქართველ დიდებულთა ერთ ნაწილში მაინც, ერთობ ძლიერი ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) განწყობილება სუფევდა. გარდა იმისა, რომ ქართული ეკლესია ქვეყნის საერო წრეებზე დიდ ზეგავლენას ახდენდა, ქართველ დიდებულთა ანტიმონოფიზიტურ (ანტისომხურ) განწყობილებას, ეტყობა, სხვა გარემოებაც კვებავდა. ქართული საზოგადოებრიობის ერთ ნაწილში (უმეტესად, ზედაფენებში) არსებული ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) სულისკვეთება კი უარყოფითად მოქმედებდა საქართველოსთვის სომხეთის შემოერთების საქმეზე, რაც XI ს-ში საქართველოს მეფეთა პოლიტიკის დღის წესრიგში იდგა.

X ს-ის დასასრულიდან თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საქართველო, ქართველი ხელისუფალნი სომხეთში თავიანთი გავლენის გავრცელების ჟამს ბიზანტიის იმპერიის ინტერესებს ეჯახებოდნენ. სომხეთისათვის, სახელდობრ, სომხეთის უმთავრესი, ანის-შირაკის სამეფოსათვის ბრძოლაში ბიზანტიის კეისრისა და საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის გეგმებიც სრულიად აშკარად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. როგორც ვიცით, ანის-შირაკის მეფის, ჰოვჰანეს-სმბატის (დაახლ. 1017—1042) „ანდერძის“ თანახმად, ჰოვჰანესის სიკვდილის შემდეგ ანის-შირაკის

---

111 იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი.

სამეფო ბიზანტიას უნდა გადასცემოდა. მაგრამ ცნობილია, რომ ბაგრატ IV-მ, როგორც ეტყობა, საგანგებო ღონისძიებების შედეგად, შეძლო თითქმის მთელი ანის-შირაკის სამეფოს დაკავება 1045 წელს. ბიზანტიის ხელისუფლებამ, თავისი აგენტის, სამშობლოს მოღალატე ქართველი დიდებულის, ლიპარიტ ბაღვაშის დახმარებით სასწრაფოდ მიიღო საჭირო ზომები. მალე ბაგრატ IV-ის ჯარი და მოხელეები ანისიდან გამოდევნეს. ყოველივე ამით სავსებით ცხადი გახდა ბიზანტია-საქართველოს მისწრაფების შეურიგებლობა იმ დროისათვის დაცემის პირას მისული სომხეთის დაუფლებისათვის ბრძოლაში. ესოდენ ძლევამოსილ იმპერიასთან ქართველ ხელისუფალთა, სახელდობრ, ბაგრატ IV-ის დაპირისპირება სომხეთისათვის მეტყველებს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რაც „სომხეთის საკითხის“ გადაჭრას ენიჭებოდა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისათვის. საზოგადოდ, ეჭვს არ იწვევს, რომ ჩვენში, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის, აუცილებლად მიუჩნევიათ საქართველოსთან სომხეთის, კერძოდ, ანისისა და მისი სანახების შემოერთება. ამ მხრივ ფრიად საყურადღებო ცნობა შემოუნახავს „ისტორიანი და აზℓანი შარავანდედთანის“ ავტორს. მოგვითხრობს რა გიორგი III-ის სალტიკი ბრძოლის შესახებ ანისისა და გარემომცველი ოლქების მაჰმადიან მფლობელთა, შადადიანთა წინააღმდეგ, მეისტორიე გვაუწყებს: გიორგი III-მო „გარდახუეწასა შინა შადადიანისა ჴელთ იგდო ქალაქი (ანისი — ა. ა.) ნებისაებრ თჳსისა და არა დამბრუნებელმან და შემტყობელმან დაიმჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად“[112].

ბაგრატ IV-ის დროისათვის ბიზანტიის იმპერიის აგრესიული ზრახვები საქართველოს მიმართაც კარგად იყო ცნობილი და თუ ბიზანტია სომხეთში გაბატონდებოდა, იგი საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს სახელმწიფოს არსებობასაც. სწორედ ამის გამო გადაწყვიტეს საქართველოს მეფეებმა, კერძოდ, ბაგრატ IV-მ სომხეთისათვის ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ ისეთ ძლევამოსილ მეტოქესთან, როგორიც ბიზანტიის იმპერია იყო. სომხეთისათვის ბრძოლაში საქართველო ესოდენ მრისხანე ძალებს, ჯერ ბიზანტიის იმპერიას, ხოლო შემდეგ თურქსელჩუკებს რომ გამკლავებოდა, ცხადია, აუცილებელი იყო როგორც სომხეთში, ასევე საქართველოში მცხოვრებ სომეხთა მხარდაჭერის მოპოვება. ისეთ ვითარებაში კი, როცა საქართველოს სასულიერო და საერო წრეებშიც აშკარად ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) განწყობილება სუფევდა, სომეხთა მხარდაჭერის მოპოვებას საქართვე-

---

112 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 6; ხაზგასმა ჩვენია.

ლოს სამეფო ხელისუფლება მხოლოდ საგანგებო ზომების გატარებით თუ შეძლებდა. იმ ხანებში, სომხეთის დაცემის ჟამს, ბიზანტიაში გადასახლებულ სომხებს კეისრები ურიგებდნენ ადგილ-მამულს, ტიტულებს, თანამდებობებს. ამის მსგავსი რამ უნდა მომხდარიყო ჩვენშიც. სომხებს იმ დროს საქართველოსათვისაც რომ საკმაო რაოდენობით მოუშურებიათ, ეს ჩანს არისტაკეს ლასტივერცის „ისტორიიდან". არისტაკესი, გოდებს რა ანის-შირაკის მეფის, გაგიკ II-ის (1042—1045) კონსტანტინოპოლში გაწვევისა და მისი იქ დაკავების, სამშობლოში დაუბრუნებლობის გამო, ამასთანავე გვაუწყებს, რომ სომეხთა „უპატრონო ცხენოსანი ჯარი მოდებულია ზოგი სპარსეთს, ნაწილი საბერძნეთს, ზ ო გ ი ც ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი. სამშობლოდან გადახვეწილი, პატივახდილი დიდებულები და აზნაურები დრტვინავენ ყველგან, სადაც არიან"...[113] ბუნებრივია, ბიზანტიასთან ანისისათვის ბრძოლაში დამარცხების (1045 წ.) შემდეგ ბაგრატ IV-ის მომცრე, ბიზანტიის მოწინააღმდეგე სომხებს საქართველოსთვის მოეშურებინათ. მათი რიცხვი არც მანამდე უნდა ყოფილიყო ჩვენში მცირე. სხვას რომ თავი დავანებოთ, ცნობილია, რომ 1021 წლიდან მოყოლებული, სომეხთა ემიგრაციამ არნახული მასშტაბები მიიღო[114].

საქართველოში ჩამოსახლებული სომხებისათვის, მათი ზედაფენისათვის სამეფო კარის მიერ მამულების ბოძებას, მათთვის დროებით მაინც გარკვეული შეღავათების მინიჭებას ქართველი დიდებულების გულისწყრომა, აღშფოთება უნდა გამოეწვია. კიდეკ უფრო განრისხდებოდნენ ისინი იმისათვის, რომ ხანდახან სომხებს მაღალ თანამდებობებსაც უწყალობებდნენ ხოლმე საქართველოს სამეფო კარზე. საზოგადოდ, საქართველოს მეფეების სამსახურში ზოგჯერ სომხების აღზევება იმის გამო ხდებოდა, რომ მათი სახით საქართველოს ხელისუფალნი უფრო ერთგულ დასაყრდენს ხედავდნენ, ვიდრე ზოგიერთ „ორგულბუნება", ხელმწიფობის მოსურნე ქართველ ფეოდალში.

ბაგრატ IV-ს მწიგნობართუხუცესის „სახელო" სომხისთვის უბოძებია. ეს უკანასკნელი 1046 წ. ღრტილას ქართველ-სომეხთა საეკლესიო პაექრობისას, თურმე ნუ იტყვით და სომეხთა გულშემატკივარი, მხარდამჭერი ყოფილა. ბაგრატ IV-ის სამსახურში, თითქოს, დაწინაურებული ჩანს მწიგნობართუხუცესის თუ სოსთენის დისწული იერემიაც, ისიც სომეხი, რამდენადაც საეკლესიო პაექრობაზე თურმე იგიც სოსთენს ეშველებოდა. ღრტილას კრების „სიტყვსგების" აღმწერი აღშფოთებას ვერ მალავს საქართველოს მეფის მწიგნობართუხუცესის

---

[113] Արիստակես Լաստիվերցի, Պատմություն, გვ. 34; Შდრ. არისტაკეს ლასტივერტელი, გვ. 68—69; ხაზგასმა ჩვენია.

[114] იხ. მაგ. Հովհաննես Սկիւդացեաց, გვ. LXXVIII—LXXXII.

საქციელით. საერთოდაც იგი უკმაყოფილო ჩანს ქართველი მეფის სამსახურში სომეხთა აღზევების გამო, ვინაიდან, მისი აზრით, ისინი არიან „შინაგანმცემი სარწმუნოებისა ჩუენისა"[115], ე. ი. „ქართული სარწმუნოებისა". საქართველოს ხელმწიფეთა მიერ სომეხთა დაწინაურების, მათთვის მამულების ბოძების გამო განსაკუთრებით ქართველი საერო წარჩინებულები უნდა განრისხებულიყვნენ. ეს კი იწვევდა იმის საჭიროებას, რომ საქართველოს სამეფო კარის იდეოლოგებს ემტკიცებინათ, ქართველ მეფეთა სამსახურში აღზევებული სომხები არ არიანო „მ ყ უ ა რ ი უ ტ ბ ო", არამედ ისინი „ღ ი რ ს ნ ი ი ყ ვ ნ ე ს ქ ა ც ო ბ ი ს ა ნ ი", მათ „ყ ო ვ ე ლ ნ ი ს ა თ ნ ო ე ბ ა ნ ი ს ა ღ მ რ თ ო ნ ი დ ა ს ა ყ ა ც ო ბ ო ნ ი აქუნდეს"[116].

XI ს-ში ქართველ-სომეხთა დაახლოების, საერთო მტრის წინააღმდეგ მათი დარაზმვის თავგამოდებული მომხრე უნდა ყოფილიყო ეროვნებით სომეხი, საქართველოს ცნობილი დედოფალი, ბაგრატ IV-ის დედა მარიამი. მარიამ დედოფალს თავისი თავდაპირვანდელი სამშობლოს, დაცემის პირას მისული სომხეთის, ახალ სამშობლოსთან, საქართველოსთან, შემოერთება რომ სურდა და იგი სომხებსაც რომ მფარველობდა, ეს ჩანს მისი დამოკიდებულებიდანაც მარმაშენის სომხური მონასტრის მიმართ, კერძოდ, ამ მონასტერში ამოკვეთილი ერთი სომხური წარწერიდან[117]. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე „მატიანე ქართლისაჲს" შემდეგი ცნობა: 1045 წელს ბაგრატ IV-მ თანამოსაგრე სომეხთა მხარდაჭერით რომ ანის-შირაკის სამეფო დაიკავა, საკუთრივ ქალაქი ანისი „მოსცეს ანელთა" „ბაგრატის დედასა, რამეთუ მამულად ეყვოდეს სომეხნი — სენაქერემ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა"[118]. მარიამის მამა, სენექერიმ არწრუნი ანის-შირაკის მეფე კი არ ყოფილა, არამედ ვასპურაკანის სომხური სამეფოსი. ეს უკანასკნელი 1021 წელს გაუქმდა, დაიპყრო ბიზანტიის იმპერიამ. მართალია, მარიამ დედოფლის დედა გვარად ბაგრატუნი იყო, მაგრამ ამის გამო არც დედამისს და მით უფრო, არც მარიამს ანის-შირაკის სამეფო ტახტზე არ შეიძლებოდა საფუძვლიანი პრეტენზია ჰქონოდათ. სინამდვილეში, ანისის მარიამ დედოფლისათვის ეადაცემისას იმას კი არ უნდა მინიჭებოდა დიდი მნიშვნე-

---

115 ძველი ქართული პოლემიკური... გვ. 279—81.

116 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 90, 109—110, 123; ხაზგასმა ჩვენია.

117 იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 176—77. აღსანიშნავია, კერძოდ, რომ მარიამი წარწერაში „სომეხთა და აფხაზთა" დედოფლად იხსენიება. თუ IX ს-ის ბოლოს „იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა", მარიამის სურვილია ქართველთა და სომეხთა დაპირისპირების ნაცვლად მათი ინტერესების შეთანხმება, ამ ორი ქვეყნის გაერთიანება მოხდეს.

ლობა, რომ მარიამი ვასპურაკანის ყოფილი სამეფოს ხელმწიფის ასული იყო და მას დედა ბაგრატუნის ქალი ჰყავდა, არამედ ანელებისათვის საქართველოს დედოფალი მარიამი ცნობილი უნდა ყოფილიყო, ვითარცა სომეხთა მფარველი.

XI ს-ის 40-იან წლებში ანის-შირაკის სომხური სამეფოსათვის საქართველო-ბიზანტიის მეტოქეობა იმდენად გამწვავდა, რომ ამ ქვეყნების ხელისუფალნი, თითქოს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ანის-შირაკის სამეფოს თითოეული დიდებულის, თითოეული სომეხი „მამის" მიმხრობასა თუ გადაბირებაში. ასე მაგ., ცნობილია, რომ ანის-შირაკის სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო დიდებული სარგის ვესტი აშკარა ბიზანტინოფილი, ბიზანტიური ორიენტაციის კაცი იყო. მაგრამ ბაგრატ IV-ს, ალბათ, გარკვეული საზღაურის საფასურად, მოუხერხებია თავის მხარეზე გადაეყვანა იგი. 1045 წელს სარგის ვესტი ბაგრატ IV-ს „მოერთო" „ცხრითა ციხითა ანისისათა", რითაც დიდად შეუწყო მას ხელი ანის-შირაკის სამეფოს დაკავების საქმეში[119]. ასევე, ზემოხსენებულ სოსთენსაც და მარმაშენის სომხურ მონასტერსაც. მათი მიმხრობის მიზნით, როგორც ეტყობა, ასე თუ ისე მფარველობდნენ ბაგრატ IV და განსაკუთრებით დედამისი, მარიამ დედოფალი. მართალია, ბაგრატ IV-ს სოსთენის მართლმადიდებლობაზე, „ქართულ რჯულზე" მოქცევაც განუზრახავს, მაგრამ ქართული ეკლესიის მესვეურთაგან განსხვავებით. იგი შორსმჭვრეტელობას იჩენდა, დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ამგვარ საკითხებს[120]. სხვანაირად არც შეიძლებოდა. აღსანიშნავია, რომ იმავე ხანებში, იგივე მარმაშენის მონასტრის მიმართ, როგორც ეს გრიგორ მაგისტროსის წერილებიდან ჩანს, ყურადღება გამოუჩენია ბიზანტიის კეისარსაც, მას დაუსაჩუქრებია მონასტრის წინამძღვარი.

როგორც ზემოთ ითქვა, თავისი სისასტიკით ცნობილი, სომხეთის დამპყრობელი ბიზანტიის იმპერატორი ბასილ II ბულგართმმუსვრელი (976—1025), გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, მეტისმეტად „გულთბილ" დამოკიდებულებას ამყარებს სომხურ ეკლესიასთან. შედეგმაც არ დააყოვნა — ბიზანტინოფილი, სომხეთში ბიზანტიის იმპერიის გაბატონების თავგამოდებული მომხრე გახდა სომხეთის კათალიკოს-პატრიარქი პეტროს გეტადარძი (1019—1058). შექმნილ ვითარებაში, ბუნებრივია, ბაგრატ IV-ს და დედამისს, მარიამ დედოფალსაც მიეღოთ საგანგებო ზომები სომხური ეკლესიის მოღვაწეთა გუ-

---

118 ქართლის ცხოვრება. I, გვ. 299.

119 იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 213—215.

120 იხ. იქვე, გვ. 178—180.

ლის მოსაგებად, მათ გადმოსაბირებლად, ბიზანტიასთან დასაპირისპირებლად. ბაგრატისა და მარიამის ამგვარი ნაბიჯისათვის კი ჩვენში ეპვის თვალით შეუხედავთ. ვფიქრობთ, ამის დამადასტურებელია ღრტილას 1046 წ. საეკლესიო კრების „სიტყვსგების“ ერთი ადგილი. „სიტყვსგების“ აღმწერი საზეიმოდ აცხადებს რა, რომ „ესრეთ იდიდა წმიდისა ამის და ღმრთის-მზრახველისა ღმერთშემოსილისა მამისა ეფთვმი გრძელისა მიერ მართლ-მადიდებელი სჯული და წმიდა სარწმუნოება ჩუენი“, იქვე დასძენს: ბაგრატ IV-მო „დიდითა პატივითა და მოწლითა სიყუარულითა ყ ო ვ ლ ი თ უ რ თ ს რ უ ლ ს ა ჰ ე შ მ ა რ ი ტ ს ა ღ მ რ თ ი ს-მ ს ა ხ ურ ე ბ ა ს ა დ ა მ ა რ თ ა ლ ს ა ა ღ ს ა რ ე ბ ა ს ა დ ა ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა ს ა ზ ე დ ა დ ა ჯ ე რ ე ბ უ ლ მ ა ნ დ ა დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ მ ა ნ, წარგზავნა წმიდა ესე ბერი უდაბნოსა თჳსსა“[121]. ერთი შეხედვით მოულოდნელი და საკვირველიცაა, თუ რატომ დაეპვებულან „სიტყვსგების“ აღმწერი და მისი თანამოაზრეები „მართალი აღსარების“, „მართალი სარწმუნოების“ მიმართ ბაგრატ IV-ის დამოკიდებულების სიმტკიცეში. აქ შეიძლება მოვიგონოთ უკვე ნახსენები თქმულება, რომლის მიხედვით, სომხეთის დამპყრობი კეისარი ბასილ II ბულგართმმუსვრელი სომხური ეკლესიისადმი მოჩვენებითი, წინასწარგამიზნული ყურადღების გამოჩენის გამო მონოფიზიტობაზე (გრიგორიანობაზე), „სომხურ რჯულზე“ მოქცეულად გამოცხადდა. როგორც ეტყობა, ჩვენში, ზოგიერთ წრეებში მაინც, არ მოსწონდათ ბაგრატ IV-ის ფრთხილი დამოკიდებულება „მწვალებლურ“ სომხურ ეკლესიასთან, საზოგადოდ, სომხებთან ურთიერთობაში და ამის საფუძველზე ბაგრატის „ჰეშმარიტ მართლმადიდებლობაშიც“ კი ეპვი შეუტანიათ. შესაძლოა, ამასთან დაკავშირებით საქართველოსა და სომხეთში ერთგვარი მითქმა-მოთქმაც გაჩენილიყო (ცნობილია, მაგ., რომ მოჩვენებითი რელიგიური კომპრომისის გამოც კი ჰერაკლე კეისარს თვით ბიზანტიელებმა მწვალებლობა დასწამეს).

საქართველოსა და ბიზანტიის ხელისუფალნი ერთმანეთს რომ ეცილებოდნენ, უპირისპირდებოდნენ სომხური ეკლესიის მიმხრობის, მონოფიზიტური სომხური ოლქების ქალკედონიანობაზე, „მართალ სარწმუნოებაზე“ მოქცევის საქმეშიც, ეს ზაქარია ვალაშკერტელის შესახებ არისტაკეს ლასტივერციის ცნობებიდანაც უნდა ჩანდეს. საქართველოს წინააღმდეგ ომის დროს, 1022 წელს კეისარ ბასილ II-ს ზაქარია ვალაშკერტელი ჩამოუშორებია ვალაშკერტის (ვაღარშაკერტის) საეპისკოპოსო კათედრისაგან, კონსტანტინოპოლში გადაუსახლე-

---

121 ძველი ქართული პოლემიკური ლიტერატურის ორი ძეგლი, გვ. 287; ხაზგასმა ჩვენია.

ბია იგი. ამასთანავე, ბასილმა ზაქარიას „წამყვანებს უბრძანა, რომ მისთვის ენა ამოეგლიჯათ. [ზაქარია] წავიდა და აღარც დაბრუნებულა თავის [სამშობლოში], არამედ დარჩა იქ სიკვდილამდე“[122]. ვფიქრობთ, კეისარ ბასილ II-სგან ზაქარია ვალაშკერტელის დასჯის თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მაინც ის უნდა იყოს, რომ ბიზანტიის იმპერატორს ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსოს გაუქმება, მისი ბერძნული საეპისკოპოსოთი შეცვლა უნდა ნდომოდა, ბასილს დაუშვებლად უნდა მიეჩნია ქართული ეკლესიის ესოდენ ღრმად შეჭრა სომხეთში.

სომხეთისათვის ბრძოლაში საქართველოს ბიზანტიასთან მეტოქეობის გამო უნდა მომხდარიყო ჩვენში არშაკიდთა, არშაკუნიანთა კულტის გაჩენაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიზანტიაში წარმომავლობით არშაკიდად გამოაცხადეს ე. წ. მაკედონელთა დინასტიის ფუძემდებელი, კეისარი ბასილ I (867—886) და ამდენად მაკედონელთა მთელი დინასტიაც, რომელიც თითქმის XI ს-ის დასასრულამდე ინარჩუნებდა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტს. ბასილ I-ისა და მისი მემკვიდრეების არშაკიდებად მონათვლა პოლიტიკური მოსაზრებით მოხდა — ბიზანტიის ხელისუფალნი და მათი იდეოლოგები ფიქრობდნენ, რომ ამ გზით უფრო ადვილად შეიძლებოდა სომხეთში გაბატონება, რამდენადაც არშაკუნთა კულტი სომხეთში ძლიერი იყო XI ს-შიც კი (ამის ერთ-ერთი მიზეზი სომეხ ბაგრატუნთა სისუსტეც უნდა ყოფილიყო). სომხეთში არშაკუნთა პოპულარობის დასტურია ისიც, რომ XI ს-ის ცნობილი სომეხი მწერლის, მეცნიერისა და მოღვაწის, გრიგორ მაგისტროსის სულ სხვა გვარის მქონე ახლო წინაპრები პაპლავუნებად მოგვევლინნენ იმ მიზნით, რათა ამით სომხეთის არშაკუნი მეფეებისა და გრიგოლ განმანათლებლის შთამომავლებად გამოეცხადებინათ თავი[123]. ჩვენი აზრით, IX—XI სს-ის ბიზანტიასა და სომხეთში არშაკიდთა განდიდების, მათი კულტის არსებობის გათვალისწინებით ხდება მხოლოდ შესაძლებელი გავიგოთ, თუ რატომ ლაპარაკობს ამდენს ლეონტი მროველი სომეხ არშაკუნთა ძლევამოსილებაზე, რად მიიჩნევს არშაკუნთა (არშაკუნიანთა) გვერდითი შტოს წარმომადგენლებს ქართლის (იბერიის) მეფეებად საუკუნეების მანძილზე. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სუმბატ დავითის ძის მიერ სომეხ არშაკუნთა (არშაკუნიანთა) განდიდება და ბაგრატ IV-ის დედის, წარმოშობით სომეხი მარიამ დედოფლის არშაკუნიანად გამოცხადება: საქართველოს „სანატრელი დედოფალი“ მარიამი „ნაშობი იყო

---

122 არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, გვ. 51.

123 იხ. ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 174—175.

ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა“-ო[124]. სინამდვილეში მარიამ დედოფალი არშაკუნი კი არა, მამით არწრუნი და დედით ბაგრატუნი იყო. მარიამის არშაკუნიანობა ჩვენში უნდა შეეხთხზათ იმიტომ, რომ ამით სომხეთისათვის ბრძოლაში შეიძლებოდა დაპირისპირებოდნენ, ერთი მხრივ, ბიზანტიის იმპერიის ვითომც არშაკიდი კეისრების, ხოლო მეორე მხრივ, თითქოს, არშაკუნთა სახლიკაცების, სომხეთში ბაგრატუნების დასუსტების, დაცემის ჟამს გამეფების მოსურნე პაჰლავუნების პრეტენზიებს.

ბიზანტიის კეისრების დარად, ქართველ მეფეებსაც, საქართველოსთან სომხეთის შემოერთების განზრახვით, თავი სომეხი არშაკუნების პოლიტიკურ მემკვიდრეებადაც რომ უნდა გამოეცხადებინათ, ეს, თითქოს, ჩანს XIII ს-ის სომეხი მემატიანის, კირაკოს განძაკეცის „ისტორია“-ში შემონახული გადმოცემიდანაც: „პატიოსანი და ძვირფასი ტახტი, აგრეთვე გასაოცარი გვირგვინი, რომელთა მსგავსი სხვა მეფეებს არ ჰქონდათ და რომელთა შესახებ ამბობენ, რომ სომეხთა მეფის თრდატ დიდის[125] მამის, ხოსროვისა იყო, იქ (საქართველოში— ა. ა.) დარჩენილა ლტოლვილობის შედეგად, იქაური ადგილების სიმაგრის გამო; ისინი ქართველთა მეფეებს რგებიათ და ჰქონიათ დღემდე“[126]. რაკი ბაგრატ IV დედით თურმე არშაკუნი ყოფილა და ამავე დროს იგი არშაკუნთა ნაქონ სამეფო ტახტზეც მჯდარა (ლეონტი მროველისა და კირაკოს განძაკეცის არაპირდაპირი ცნობების, მათი „ისტორიების“ სათანადო მონაცემების მიხედვით), ყოველივე ამის საფუძველზეც ჰქონდა მას უფლება პრეტენზია განეცხადებინა სომხეთის შემოერთებაზე, სომხეთისათვის ბრძოლაში ბიზანტიის კეისრებისათვის თუ სომეხ პაჰლავუნთათვის მეტოქეობის გაწევაზე.

რა თქმა უნდა, შექმნილ ვითარებაში საქართველოს გარკვეულ წრეებში არსებული ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) განწყობილება სომხეთის მიმართ საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკური გეგმების განხორციელებისათვის ძალზე დიდ დაბრკოლებას ქმნიდა. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, სტეფანე მტბევარი საჯიანთაგან სომხეთის აოხრებას სამართლიან საქმედ თვლიდა, ამით „მწვალებლურ“ სომხეთს ღვთის მიერ კანონიერად დასჯილად მიიჩნევდა. საყურადღებოა, რომ სტეფანე მტბევარის „გობრონის წამებას“ დიდი პოპულა-

---

124 ქართლის ცხოვრება, გვ. 386; ხაზგასმა ჩვენია.

125 თრდატ დიდი არშაკუნთა დინასტიის წარმომადგენელია, იგი სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფეა.

126 Կիրակոս Գանձակեցի, 1909 წ. გამ., გვ. 301.

რობა მოუპოვებია ჩვენში, მას ეკლესიებში კითხულობდნენ. ცხადია, ამგვარი ნაწარმოებები საქართველოში სომხებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას გააღვივებდნენ. კ. კეკელიძის სიტყვით, სტეფანე მტბევარის „გობრონის წამება“ „ტიპიური ნიმუშია იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთა, რომლებიც მეათე საუკუნიდან გაჩნდა ჩვენში და რომლებიც სომხებისადმი ეროვნულ-სარწმუნოებრივი ხასიათ სიმშვიდესა და ლოიალობას ვერ იჩენდა“[127]. მაშასადამე, სტეფანე მტბევარი თავისი ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) განწყობილებით ეპოქის სულს თუ სულისკვეთებას გამოხატავდა. ლეონტი მროველი ცნობილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის, გიორგი მთაწმინდელის მოწაფის, მისი უახლოესი თანამოსაგრისა და ბიოგრაფის, გიორგი მცირეს თანამედროვეა. როგორც თავის ადგილზე დავინახეთ, გიორგი მცირეს ანტიმონოფიზიტური (სომეხთა საწინააღმდეგო) განწყობილება იმდენად აშკარა და გამოკვეთილია, რომ იგი სომხურიდან ქართულად წიგნის თარგმნასაც კი დიდ ცოდვად მიიჩნევს. უეჭველია, გიორგი მცირეს იმჟამინდელ საქართველოში არა ერთი და ორი თანამოაზრე უნდა ჰყოლოდა, მიმდევრები უნდა გამოსჩენოდა. ასეთ პირობებში საქართველოსთან სომხეთის შემოერთების საქმეს, რაც XI ს-ის პირველ ნახევარში რეალურად გამოიყურებოდა, ხელსაყრელი ნიადაგი ვერ შეექმნებოდა. პირიქით, საქართველოში ფესვგადგმული, სომხებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება საქართველო-სომხეთის ერთობის მიღწევას დიდად უშლიდა ხელს, მის განხორციელებას ფრიად ვნებდა. აი, ასეთ ძლიერ მიმდინარეობას, საქართველოს როგორც სასულიერო, ასევე საერო წრეებშიც დამკვიდრებულ აზრს, შეხედულებებს უნდა დაპირისპირებოდა ლეონტი მროველი საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერით. ლეონტის წინაშე დასმული ამოცანის გადაჭრა დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული, რაც უკიდურესობაში ჩავარდნასაც არ გამორიცხავდა, რამეთუ ლეონტის უნდა ემტკიცებინა იმის სრულიად საწინააღმდეგო რამ, რაც შესისხლხორცებული ჰქონდა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას და რასაც საქართველოს მომავლისათვის (კერძოდ, სომხეთის შემოერთების უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის) შეიძლებოდა უარყოფითი როლი შეესრულებინა. როგორც ვიცით, სტეფანე მტბევარის ხანაში ბაგრატუნთა სომხური სამეფო მეტოქეობას უწევდა ქართულ სამეფო-სამთავროებს ამიერკავკასიაში და სტეფანეს ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) განწყობილება ამის შედეგიც უნდა იყოს. ლე-

---

[127] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 146.

ონტი მროველის დროს კი არავითარი საფრთხე აღარ არსებობდა იმისა, რომ სომხეთი შეეცილებოდა საქართველოს პირველობას ამიერკავკასიაში. ასეთ ვითარებაში ქართულ საზოგადოებრიობაში ძირგადგმული უარყოფითი დამოკიდებულება სომხებისადმი საზიანო უნდა გამხდარიყო, რადგან იგი მეტისმეტად დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა საქართველოსთან სომხეთის შემოერთების ისედაც ურთულეს პრობლემას. სომხეთის შეერთების გარეშე კი, მით უფრო, თუ იმჟამინდელ სომხეთში გაბატონდებოდნენ ბიზანტიელები ან თურქ-სელჩუკები, საქართველოს ერთობ გაუჭირდებოდა როგორც ბიზანტიის იმპერიის, ისე თურქ-სელჩუკთა შემოტევების მოგერიება.

სტეფანე მტბევარის, გიორგი მცირესა და მათ თანამოაზრეთა საპირისპიროდ, ლეონტი მროველი მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის განხეთქილების ჩამოგდებამდე ქართველ-სომეხთა ერთობა საესებით შესაძლებელი ყოფილა, ქართველები სულაც არ გაურბოდნენ სომხებთან ურთიერთობას, როგორც ამას IX—XI სს-ში არაერთი ქართველი „მამა" ქადაგებდა. პირიქით, ლეონტის თანახმად, ქართველები უძველეს დროს, თითქოს, სომხეთის პოლიტიკურ უპირატესობასაც კი აღიარებდნენ. ლეონტი მროველი საკმაოდ ვრცლად საუბრობს ძველად სომხეთის ძლიერებაზე, მის დიდ წარსულზე, სომხური ენის განსაკუთრებულ როლზე, რითაც, ჩვენი აზრით, ჩააგონებს თავის თანამედროვე, XI ს-ის ქართველებს, რომ შესაძლებელია სომხების ნათესავებად, ძმებად მიღება, ამაში არაფერია საჩოთირო და სათაკილო. ქართველები უნდა შეეგუონ სომეხთა გვერდით ყოფნას, ცხოვრებას, მათთან ერთად მოქმედებას. ეს აუცილებელია მრავალრიცხოვანი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში წარმატების მოსაპოვებლად. აბა რა დადებითი შედეგი უნდა მოჰყოლოდა ქართული და სომხური ჯარების ერთობლივ მოქმედებას მაშინ, როცა ჯარის ქართული ნაწილი სომხური რაზმების თვალწინ თავლად გადააქცევდა სომხურ ეკლესიას[128]. ვითარცა მართლმადიდებელი ქალკედონიანი მთავარეპისკოპოსი ლეონტი მროველიც, ცხადია, მომხრე იქნებოდა მონოფიზიტ (გრიგორიან) სომეხთა მართლმადიდებლობაზე, „ქართულ რჯულზე". მოქცევისა, მაგრამ როგორც ჩანს, იგი მიიჩნევდა, რომ ეს საქმე დიდი სიფრთხილით უნდა განხორციელებულიყო. „ქართულ სარწმუნოებაზე" სომეხთა მოქცევის, მათი თანდათანობით გაქართველების საკითხში სწორედ ამგვარ პოზიციაზე იდგნენ ლეონტი მროველის თანამედროვე საქართველოს

---

128 იხ. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 180—81.

მეფე ბაგრატ IV და ცოტა მოგვიანებით მისი სახელოვანი შვილიშვილი დავით აღმაშენებელიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბიზანტიის იმპერიის მიერ სომხეთის დაპყრობა რთული პროცესია, რომელშიც დიპლომატიამ ისეთივე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, როგორიც სამხედრო ოპერაციებმა[129]. რაკი საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სომხეთისათვის ბრძოლაში შებმოდა ბიზანტიის მრისხანე, იმ დროისათვის ძლევამოსილ იმპერიას, ჩვენში ისიც უნდა განეზრახათ, რომ სომხეთში დაპირისპირებოდნენ განვითარების უაღრესად მაღალ საფეხურზე მდგომ, თავისი ვერაგობით, ცბიერებით ცნობილ ბიზანტიურ დიპლომატიას. ამგვარი რამ კი საქართველოში დამკვიდრებული ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) განწყობილების ვითარებაში ძალზე გაჭირდებოდა. გაჭირდებოდა იმიტომაც, რომ საქართველოში საკმაოდ დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ სომხები, რომელთა უმრავლესობას სომხეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. გარდა ამისა, საერთოდაც ურთიერთობა მეზობელ საქართველო-სომხეთს, მეტადრე ერთმანეთის მომიჯნავე ქართულ-სომხურ ოლქებს შორის ერთობ გაცხოველებული, თითქმის ყოველდღიური ხასიათისა იყო. ასეთ პირობებში ქართველთა უარყოფით დამოკიდებულებას სომეხთადმი ხშირად და მწვავედაც უნდა ეჩინა თავი, რის შესახებაც მთელს სომხეთში იქნებოდა ცნობილი. ქართული დიპლომატია შეეცდებოდა საგანგებო ზომების მიღებას ქართველ-სომეხთა გამწვავებული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, ქართველთა ანტისომხური განწყობილების გასანელებლად, რათა ამით სომხეთში შეძლებოდა ბრძოლა ბიზანტიური დიპლომატიის წინააღმდეგ. ვფიქრობთ, ლეონტი მროველიც თავისი თეორიით მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო ქართველ ხელისუფალთათვის, რათა ეს უკანასკნელნი წარმატებით დაპირისპირებოდნენ ბიზანტიის დიპლომატიას სომხეთისათვის ბრძოლაში.

ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთას" „არმენოფილური" ტენდენცია, ზემოაღნიშნულის გარდა, იმითაც უნდა აიხსნას, რომ ჩვენს მემატიანეს უხვად გამოუყენებია ტენდენციური სომხური მასალები, განსაკუთრებით სომხური თქმულებები, ლეგენდები. როგორც ეტყობა, საქართველოს სამეფო კარმა (კერძოდ, საქართველოსთან სომხეთის შეერთების მოსურნე, ეროვნებით სომეხმა, საქართველოს სახელოვანმა დედოფალმა მარიამმა?) ლეონტი მროველს დაავალა ისეთი მატიანის შედგენა, რომელშიც წარმოჩენილი იქნებო-

---

[129] იხ. К. Юзбашян, „Повествование" Аристакэса Ластивертци и закат „Эпохи Багратидов", зз. 12.

და წარსულში ქართველ-სომეხთა თანამშრომლობა, მათი ერთობლივი მოქმედება საერთო მტრის წინააღმდეგ. ეს საკითხი მეტად აქტუალური იყო XI საუკუნისათვის და რადგან ქართველ-სომეხთა ერთობის მიღწევა ძნელდებოდა ზემოთ აღნიშნული დამაბრკოლებელი მიზეზების გამოც, საქართველოს სამეფო კარს უნდა ეფიქრა სათანადო იდეოლოგიის შემუშავებაზეც, დასახული ამოცანის ისტორიულად „დასაბუთებაზე".

ლეონტი მროველს ძველ ხანაში კავკასიის ხალხების, სახელდობრ, ქართველ-სომეხთა ერთობის ამსახველი მატიანის შესადგენად ქართული მასალები მაინცდამაინც ვერ მოუპოვებია. გ. მელიქიშვილის სიტყვით, საერთოდ, „ქართლის ცხოვრების" „საწყისი ნაწილის შემდგენელ-გადამმუშავებელთა ხელთ ქვეყნის წარსულის შესახებ მეტად მწირი მასალა ყოფილა"[130]. ამის გამო ბუნებრივია, ლეონტი მროველს, მის წინაშე საქართველოს სამეფო კარის მიერ დასახული ამოცანის განსახორციელებლად, ქართველ-სომეხთა ერთობის მღაღადებელი, მქადაგებელი „ისტორიის" დასაწერად, უხვად გამოეყენებინა სომხური საისტორიო წყაროები, მათ შორის, სომხური ზეპირგადმოცემებიც. როგორც ზემოთ ითქვა, ძველ სომხურ ორიგინალურ ლიტერატურაში, განსხვავებით არაერთ სხვა ხალხთა, კერძოდ, ძველი ქართული ლიტერატურისაგან, საისტორიო მწერლობა მთავარ ჟანრს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ლეონტი მროველის დროისათვის ხალხურ ს ა ი ს ტ ო რ ი ო ზეპირსიტყვიერებასაც (რომელიც ხშირად წერილობითი ძეგლებიდან იღებდა სათავეს) სომხეთისა თუ საქართველოში დამკვიდრებული სომხური მოსახლეობის ცხოვრებაში უფრო დიდი ადგილი უნდა დაეკავებინა, ვიდრე ქართველთა შორის. ჩვენს ხალხს სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნიმუშები უფრო იზიდავდა, ვიდრე საისტორიო მწერლობა და საისტორიო ზეპირსიტყვიერება.

XI საუკუნისათვის საქართველოში სომხური თუ ნაწილობრივ გაქართველებული, სახელდობრ, ქალკედონიანობაზე, „ქართულ რჯულზე" მოქცეული მოსახლეობა საკმაოდ ჩანს. საქართველოში მცხოვრებ სომეხთა შორის, გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით პოპულარული უნდა გამხდარიყო ის სომხური თქმულებები, რომლებშიც საქართველო-სომხეთის ურთიერთობა იყო ასახული, ამასთანავე, მოსალოდნელია, ასახული იქნებოდა ტენდენციურად. ამგვარი თქმულებები, ლეგენდები უფრო გავრცელებული იქნებოდა საქართველო-

---

130 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 66, აგრეთვე, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ეტიუდები, XII, გვ. 31.

131 იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163—164.

სომხეთის საზღვრისპირა მხარეებში, კერძოდ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ასევე, ჰერეთის სამეფოს ზოგიერთ ოლქშიც. მაგრამ X—XI სს-ში სომხურ მოსახლეობას ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს შიგა რაიონებშიც უნდა შემოეღწია. ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების უფრო და უფრო მეტად დაახლოების, მეტადრე ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის ერთ ნაწილს საქართველოს გულისთვის, ქართლისთვის უნდა მოეშურებინა, აქ უნდა დამკვიდრებულიყო დროებით თუ სამუდამოდ. ამდენად, საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ არსებული სომხური თქმულებები ასე თუ ისე, ამა თუ იმ ზომით ქართლშიც, კერძოდ, შიდა ქართლშიც უნდა გავრცელებულიყო. სხვათა შორის, მოსალოდნელია, ლეონტი მროველის ერთ-ერთი წინამორბედიც რუისის საეპისკოპოსო ტახტზე, X ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწე, ანტონ მროველი წარმოშობით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ყოფილიყო[131]. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ლეონტი მროველის ეპისკოპოსობის ჟამს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები არიან გიორგი III, ტაოელი (1055—1065) და გაბრიელ III, საფარელი (1065—1080)[132], ე. ი. ორივე მათგანი მჭიდროდაა დაკავშირებული სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან. შესაძლოა, საქართველოს იგივე მხარეებს ლეონტი მროველის ცხოვრებაც მნიშვნელოვანი ძაფებით უკავშირდებოდეს და მას ამის შედეგადაც ჰქონდეს შეთვისებული იქ გავრცელებული ტენდენციური სომხური თქმულება-ლეგენდები საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ ძველ ხანებში.

იქნებ, არ იყოს შემთხვევითი, რომ ძველ ხანაში ქართველ-სომეხთა ერთობის მქადაგებელი მატიანის შედგენა საქართველოს სამეფო კარს ქართული ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწისათვის, რუისის საეპისკოპოსოს ინიციატორისათვის, ლეონტი მროველისათვის დაუვალებია. ლეონტი მროველი რომ ცნობილი სასულიერო პირი და მოღვაწე იყო, ამის თაობაზე, კიდევ ერთხელ, სულ ახლახან გამომზეურებული მასალებიც ღაღადებენ[133]. ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) განწყობილება განსაკუთრებით ძალუმად, მძლავრად ქართულ სასულიერო წრეებში იგრძნობოდა, ხოლო იმდროინდელი, ერთობ გაძლიერებული ქართული ეკლესია, ისევე, როგორც საზოგადოდაც

---

132 იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1980, გვ. 59.

133 იხ. ზ. სარჯველაძე, ლეონტი მროველი — მომგებელი XI საუკუნის ხელნაწერისა, „ლიტერატურული საქართველო“, 25. I. 1985 წ.

შუა საუკუნეების ეკლესია, დიდ ზეგავლენას ახდენდა საერო წრეებზეც. ვინაიდან XI ს-ის შუა ხანებისათვის სომხეთის მიმართ საქართველოს სამეფო კარის გეგმების (რაც შექმნილ, რთულ ვითარებაში საქართველოსთან სომხეთის შემოერთებას გულისხმობდა) განხორციელებისათვის საქართველოში, კერძოდ, ქართულ სასულიერო წრეებში დამკვიდრებული სომეხთა საწინააღმდეგო განწყობილება საზიანო, ხელშემშლელი გამხდარიყო, სწორედ ქართული ეკლესიისვე თვალსაჩინო წარმომადგენლისათვის უნდა დაევალებინათ ქართველ-სომეხთა ერთობის ქადაგება, რათა ამით ერთგვარად მაინც გაენელებინათ სომეხთადმი ჩვენში არსებული, გავრცელებული უარყოფითი დამოკიდებულება. როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს სამეფო კარისათვის ლეონტი მროველის „არმენოფილური" ტენდენციის შემცველი მატიანე სახიფათო არ უნდა ყოფილიყო. ჩვენში, საქართველოში უკვე XI ს-ის შუა ხანებისათვის მიაჩნდათ, რომ მაღალი ღმერთის მიერ დასჯილი „მწვალებელი" სომეხი მეფეების დამხობილი სამეფო ტახტის აღდგენა, სომხეთში ანგარიშგასაწევი სომხური სახელმწიფოს ხელახლა შექმნა აღარ მოხდებოდა. ამდენად, საქართველოს მეფეებს აღარ აფიქრებდათ ის, რომ სომხეთის მეფეები ოდესმე მეტოქეობას გაუწევდნენ მათ კავკასიის გაერთიანების, კავკასიაში პირველობის მოპოვების საქმეში.

ეტყობა, საქართველოში, გარკვეულ წრეებში მაინც, ლეონტი მროველის „არმენოფილური" კონცეფცია არ მოსწონებიათ და გაულაშქრებიათ კიდეც მის წინააღმდეგ. ამ მხრივ საყურადღებოა XII ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწის, არსენ ბერის გამოხმაურება ლეონტის „არმენოფილურ" თვალსაზრისზე, რაც არსენისეულ „ცხორებაჲ ნინოჲსი"-ში ნათლად, აშკარად შეიმჩნევა. ს. ჯანაშიას თანახმად, არსენ ბერი ფრიად საინტერესო მწერალია. მას საპატიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს შუა საუკუნეთა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ქართველთა, მათი ენისა და მეფეების წარმომავლობის საკითხების არსენისეული გააზრების შედეგად „ძირეულად უარყოფილ იქნა ლეონტისეული კონსტრუქცია დინასტიათა ცვლის შესახებ ქართლში... და ბაგრატიონების სამეფო პრეროგატივების გენეზისიც თვით ქართლის სამეფოს დასაწყისს დაუკავშირდა ფარულად. რამდენადაც კატეგორიულად, ამდენადვე სამართლიანად უკუაგდო ფსევდოარსენიმ[134] ლეონტის უსუსური დებულებაც ქართული ენის წარმოშობის შესახებ; ჩვენ „ენა მათი (ე. ი. არიან-ქართველების) უწყით",

---

134 ს. ჯანაშია ამ სახელწოდებით იხსენიებს არსენ ბერს.

ძველსა და ახალ სამშობლოში ხალხი ერთსადაიმავე ენაზე მეტყველებდაო, ასეთი იყო ახალი დებულება"[135].

მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზოგადოებრიობისათვის ლეონტი მროველის „არმენოფილური" კონცეფცია მიუღებელი ყოფილა, საქართველოს სამეფო კარმა მაინც შეიტანა იგი ქართველთა „წმიდა წიგნში", „ქართლის ცხოვრებაში" და საუკუნეების მანძილზე ხელიც არავის უხლია ლეონტი მროველის „არმენოფილური" თვალსაზრისის დამადასტურებელი ცნობებისა თუ მასალებისათვის. ეს იმის გამო მოხდა, რომ არა ერთი და ორი საუკუნის განმავლობაში სომხეთის საქართველოსთან შემოერთების, შემომტკიცების საკითხი საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდებოდა. ასეთ ვითარებაში, არა მარტო XI ს-ის შუა ხანებში, არამედ შემდგომშიც საქართველოში თუ სომხეთში მცხოვრებ სომეხთა მხარდაჭერის მოპოვება, მათთვის გარკვეული შეღავათების მინიჭება, ზოგჯერ ერთგვარ დათმობებზეც წასვლა (და არა მათ გაქართველებაზე, კერძოდ, „ქართულ რჯულზე" მოქცევაზე ფიქრი ერთი ხელის მოსმით) აუცილებელი ხდებოდა. ამისათვის კი საჭირო იყო სომეხთა საწინააღმდეგო განწყობილების განელება ქართულ საზოგადოებრიობაში და რადგან ლეონტი მროველიც არსებითად ამას ქადაგებდა, მისი „არმენოფილური" თვალსაზრისი დიდხანს სავსებით ხ ე ლ უ ხ ლ ე ბ ლ ა დ შემორჩა საქართველოს სამეფო კარის იდეოლოგიის ამსახველ ძეგლს, ოფიციალურ კრებულს — „ქართლის ცხოვრებას". „ქართლის ცხოვრების" მაინცდამაინც პირველივე გვერდები რომ „არმენოფილური" ტენდენციის შემცველია, ეს იმის დასტურია, რომ XI ს-ის შუა ხანებისათვის საქართველოს სამეფო კარს საგარეო პოლიტიკაში უმთავრეს ამოცანად სომხეთის საქართველოსთან შემოერთება მიაჩნდა. როგორც ითქვა, შემდგომშიც, საუკუნეების მანძილზე, „სომხეთის საკითხს" ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ გეგმებში.

---

135 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფსევდო-არსენი, სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, № 6, 1940, გვ. 480—481; ვრცლად ამ საკითხებზე იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი.

თავი მეოთხე

ალვანეთი IX—XI საუკუნეებში და მისი ურთიერთობა საქართველოსთან და სომხეთთან

უწინარეს ყოვლისა, მოკლედ მაინც უნდა შევეხოთ საკითხს, თუ რომელ ქვეყანას, რომელ მიწა-წყალს ვუწოდებთ IX—XI სს-ში ალვანეთს და გვაქვს თუ არა უფლება აღნიშნულ ეპოქაში სახელწოდება ალვანეთის შენარჩუნებისა. საქმე ისაა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ, ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომა შეიმჩნევა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ გვეჩვენება, რომ საკითხი ერთობ ბუნდოვანი და გაურკვეველია. ისტორიული კავკასიის ალვანეთისაგან (ალბანეთისაგან) IX—XI სს-ში შემორჩა კი რაიმე? როგორც ცნობილია, ალვანეთში ჯერ სასანიდთა ირანის, ხოლო შემდეგ არაბთა ბატონობის შედეგები ერთობ მძიმე გამოდგა. ამან კი ის გამოიწვია, რომ ალვანეთის, ალვანთა თვითმყოფადობა IX—XI სს-ში სასიკვდილო საფრთხის წინაშე დადგა. გარდა ამისა, IX საუკუნემდეც დიდი ხნით ადრე და IX—XI სს-შიც ალვანეთში თავიანთი გავლენის გავრცელებას ცდილობდნენ ქართველი და სომეხი ხელისუფალნი, აგრეთვე ქართულ-სომხური ეკლესიების საქეთმპყრობელნიც, რაც ასევე ხელს უწყობდა ალვანეთის დასუსტებას, მისი თვითმყოფადობის გაქრობას. მაგრამ მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, როგორც ჩანს, ალვანეთის, ალვანთა თვითმყოფადობას სასიკვდილო ლახვარი საბოლოოდ თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა, „დიდმა თურქობამ“ ჩასცა. ამიტომ IX—XI სს-ში, ვფიქრობთ, გაშართლებულია ვილაპარაკოთ სანახევროდ მაინც ალვანური, წვრილ-წვრილი, ზოგჯერ შედარებით მსხვილი პოლიტიკური ერთეულების არსებობაზე ისტორიული კავკასიის ალვანეთის (ალბანეთის) მიწა-წყლის ერთ ნაწილზე.

რაც შეეხება სახელწოდება ალვანეთს, ძველ ქართულ წყაროებში იგი იშვიათად იხმარება. ამას განაპირობებდა ისიც, რომ ჩვენს წყაროებში ალვანეთის ესა თუ ის მხარე თავისი, საკუთარი სახელით იხსენიება. ამავე დროს, ზოგჯერ მთელი ალვანეთის გაგებით დადას-

ტურებულია სახელწოდება ჰერეთის გამოყენება. ცხადია, ქართულ წყაროებისეულ ჰერეთს ჰქონდა ვიწრო მნიშვნელობაც, მაგრამ უდავოა, რომ ხანდახან მთელ ალვანეთსაც ჰერეთს უწოდებდნენ. ასე მაგ., „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ერთგან გვაუწყებს, რომ „მოვიდა ამირა აგარიანი, რომელი მთავრობდა სომხითს, ქართლს და ჰერეთს“[1]. რაკი ამ არაბ ხელისუფალს ექვემდებარებოდა მთელი სომხეთი და მთელი ისტორიული ალვანეთიც, ცხადია, ჩვენი მემატიანე აქ ჰერეთში მთელ ალვანეთს გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია აგრეთვე, რომ არსენ საფარელი არაერთხელ იხსენიებს ჰერთა კათალიკოსს, კერძოდ, ჰერთა კათალიკოს აბასს (551—595)[2]. აშკარაა, რომ არსენ საფარელისეული ჰერთა კათალიკოსი სინამდვილეში ალვანეთის კათალიკოსია. ამდენად, არსენისათვის ჰერეთის ცნება მთელი ალვანეთის მომცველია. მსგავსი ცნობები სხვაგანაც მოიპოვება[3]. მიუხედავად ამისა, ქართულ ორიგინალურ თუ ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება სახელწოდება ალვანეთიც შედარებით მოგვიანებითაც. ასე მაგ., „ჟელმწიფის კარის გარიგება“-ში მოტანილია რა ნაწყვეტი დავით აღმაშენებლის ეპიტაფიიდან — „ვინ ნაჴარმაგევს მეფენი თორმეტნი ჴურად ჩაესხნეს“... იქვე აღნიშნულია, რომ ამ თორმეტ მეფეთა შორის ალვანთა მეფეც უნდა ვიგულისხმოთ[4]. ამჯერად ჩვენთვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, სინამდვილეში რომელი ქვეყნის მეფე იგულისხმება ალვანთა მეფეში, ჩვენს ყურადღებას უფრო ის იპყრობს, რომ სახელწოდება ალვანეთი თუ ალვანთა ქვეყანა დასტურდება შედარებით გვიანდელი ხანის ქართულ ძეგლშიც. ამ მხრივ ინტერესს იწვევს აგრეთვე მ. ჯანაშვილის მიერ გამოქვეყნებული ლ. ა. მაღალაშვილისეული სახარების 1310 წლის ანდერძ-მინაწერი. მასში „ქართლის ცხოვრების“ გვერდით იხსენიება ქართულ ენაზე დაწერილი თხზულება — „ცხორება[ჲ] ალვანიისა“[5]. როგორც ვხედავთ, სახელწოდება ალვანია ანუ ალვანეთი ჩვენში ცოცხალია და იხმარება XIV ს-შიც. მით უფრო, უფლება გვაქვს ქვეყნის ეს სახელი გამოვიყენოთ IX—XI საუკუნეებისათვის. სწორედ ამ ეპოქაში სომხურიდან ქარ-

---

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 251, იხ. აგრეთვე გვ. 253.

2 ა რ ს ე ნ ი ს ა ფ ა რ ე ლ ი, განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა, ზ. ალექსიძის გამ., გვ. 81—82.

3 იხ. თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, გვ. 113, 193—194; Д. Л. М у с х е л и ш в и л и, Из исторической географии Восточной Грузии, Тбилиси, 1982, გვ. 17.

4 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამ., თბ., 1966, გვ. 89.

5 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1895, გვ. 204—205; ქ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, II, გვ. 314—315.

თულად თარგმნილ „პატმოთინ“-შიც დადასტურებულია სახელწოდება ალვანეთი, სახელდობრ, იხსენიება „ალვანთა კათალიკოზი“[6].

ქვეყნის სახელი ალვანეთი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება X—XI სს-ის და მომდევნო ხანების სომხურ თხზულებებში, დამოწმებულია იგი აგრეთვე ბიზანტიურ (მაგ., კონსტანტინე პორფიროგენეტთან) და არაბულ[7] ძეგლებშიც. როგორც ცნობილია, X ს-ის ავტორად მიჩნეულ მოვსეს კალანკატვაცის (კალანკატვაცის) მიეწერება ძველ სომხურ ენაზე არსებული „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ შევსება, მისი გადამუშავება. რაკი საბოლოოდ X ს-ში სახელმნილი ამ მატიანის სახელწოდებად რჩება ალვანეთის და არა არანის ან აზერბაიჯანის (ანდა შირვანის) „ისტორია“ და რადგან მემატიანე, ისევე, როგორც მისი თანამოაზრეები ოცნებობენ ძლიერი ალვანეთის სამეფოს არსებობაზე, ვფიქრობთ, სავსებით გამართლებულია სახელწოდება ალვანეთი შევინარჩუნოთ X—XI, მით უმეტეს, IX საუკუნეებისათვისაც. აღნიშნული ეპოქის კავკასიის ისტორიის მკვლევარნი იყენებენ კიდეც ქვეყნის აღმნიშვნელ სახელ ალვანეთს, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მხრივ ცნებათა აღრევა, სიჭრელე არ სუფევდეს. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია IX—XI სს-ში ალვანეთი ვუწოდოთ ისტორიული, ძველი ალვანეთის (ე. წ. კავკასიის ალბანეთის) იმ ნაწილს, იმ ოლქებს, რომლებშიც XI ს-ის შუა ხანებამდე, თურქ-სელჩუკთა შემოსევებამდე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ქრისტიანული სარწმუნოება და ალვანური ენა თუ ერთმანეთის მონათესავე სხვადასხვა ალვანური ენები. ამგვარი ოლქები კი IX—XI სს-შიც ჩანან არა მარტო ქართული წყაროებისეული ჰერეთის სამეფოს შემადგენლობაში, არამედ საერთოდაც ისტორიული ალვანეთის მიწა-წყლაზე, როგორც მდ. მტკვრის მარცხენა, ისე მარჯვენა მხარეს. X ს-ის არაბი გეოგრაფები მიუთითებენ, რომ ბარდავში რანის (ე. ი. ერთ-ერთ ალვანურ) ენაზე ლაპარაკობდნენ[8]. ალვანური ენა თუ ენები ისტორიული ალვანეთის ერთ ნაწილში უფრო გვიანაც ცოცხლობდნენ. სხვათა შორის, ერთ-ერთი ალვანური ტომის, უტიელების მცირერიცხოვანმა შთამომავლებმა, უდებმა საკუთარი ენა ჩვენს დრომდისაც შემოინახეს.

IX ს-ის 20-იანი წლების დამდეგიდან 50-იან წლებამდე ალვანეთის არაერთი ოლქის ხელისუფალი ჩანს საჰლ სმბატის ძე. ბუღა

---

6 იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, ტფ. 1892, გვ. 339.

7 მაგ., ალ-ფარიკის მატიანეში — იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 6—7.

8 იხ. В. Минорский, დასახ. ნაშრომი, გვ. 29, აგრეთვე, З. М. Буниятов, Азербайджан в VII—IX вв., Баку, 1965, გვ. 94, 100.

თურქმა ამიერკავკასია რომ დალაშქრა და დაარბია, მან საჰლის შეპყრობაც შეძლო, რომელიც დასასჯელად ხალიფას კარზე, სამარაში გაგზავნა. საჰლ სმბატის ძე საკმაოდ ძლიერი მთავარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ წყაროების ნაკლებობის გამო, სამწუხაროდ, მისი სამფლობელოს ზუსტად შემოფარგვლა ჭირს. ის კი უდავო უნდა იყოს, რომ საჰლის ძალაუფლებას ექვემდებარებოდა როგორც მტკვრის მარჯვენა, ასევე მარცხენა მხარეს მდებარე ალვანური ოლქები, მათ შორის, ზოგიერთი სანახევროდ გაქართულებული, აგრეთვე ზოგიც სანახევროდ გასომხურებული ალვანური ოლქებიც. საჰლ სმბატის ძის სატახტო ქალაქს, როგორც ჩანს, შაქი წარმოადგენდა მისი მთავრობის ბოლო ხანებში მაინც.

მოვსეს კალანკატვაცის მიხედვით, 837 წელს საჰლს შეუპყრია ხურამიტთა მოძრაობის ბელადი, ბაბეკი და ხალიფასათვის გადაუცია იგი. ამის სანაცვლოდ სახალიფოს კარს, თითქოს, უცვნია საჰლის უფლება, რომ იგი, თითქმის ვითარცა მეფე, დაუფლებოდა და ეხელმწიფა სომხეთში, ქართლსა და ალვანეთშიᲲ. საჰლ სმბატის ძეს ხალიფას კართან რომ საერთო ენის გამონახვა, მასთან მორიგება მოუხერხებია, ამის შესახებ არაბული წყაროებიც გვაუწყებენ. ასე მაგ., IX—X სს-თა არაბი ავტორის, ალ-ქუფის თანახმად, ხალიფა ალ-მუთასიმს (833—842) საჰლისათვის, ბაბეკის შეპყრობისა და სახალიფოს ხელისუფლებისათვის მისი გადაცემის საზღაურად, მარგალიტითა და ძვირფასი თვლებით მოოქვილი ოქროს გვირგვინი გამოუგზავნია, რომლის ღირებულება თურმე 500 000 დირჰემს შეადგენდა. გარდა ამისა, ხალიფას საჰლ სმბატის ძე ყოველთა ბატრიკთა ზედამდგომელად დაუდგენია. ბატრიკები (ეს სიტყვა ბიზანტიური ტიტულისაგან, პატრიკისაგან, პატრიკიოსისაგან მომდინარეობს) ქრისტიან მთავრებს ეწოდება არაბულ წყაროებში. ალ-ქუფის თხზულებაშივე მოტანილი მეორე ვერსიით, ხალიფა ალ-მუთასიმს უბრძანებია, რომ საჰლ სმბატის ძისათვის ბატრიკის გვირგვინი ებოძებინათ[10].

მოვსეს კალანკატვაცი 838 წლისათვის იხსენიებს ალვანეთის მთავარს, „უფალთა უფალ“ იოვანეს, რომელიც, თითქოს, სომხეთის, ქართლისა და ალვანეთის „უფალი“ გამხდარა[11]. „უფლად“

---

[9] Մովսէս Կաղանկատուացի Պատմութիւն Աղուանից աշխարհի, Ե., 1983, გვ. 330

[10] Ахмад ибн А'сам ал-Куфи, Книга завоеваний (извлечения по истории Азербайджана VII—IX вв.). перевод с арабского языка З. М. Буниятова, Баку, 1981, გვ. 72, 77; იხ. აგრეთვე З. М. Буниятов, Азербайджан в VII—IX вв., გვ. 188—189.

[11] Մովսէս Կաղանկատուացի, გვ. 330—331; შდრ. Մովսէս Կալանկատուացի, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ლ. დავლიანიძის გამ., გვ. 161.

და „უფალთა უფლად“ ვთარგმნით სომხურ ტერ-ს და ტერანც ტერ-ს. ეს უკანასკნელი ტიტული მსგავსი ჩანს სომხური იშხანაც იშხანისა, რაც სიტყვა-სიტყვით მთავართა მთავარს ნიშნავს. აღდგენილი სომხეთის სამეფოს პირველი მეფის, აშოტ I-ის (884/85—890) ვაჟი შაპუჰი წყაროებში იხსენიება როგორც ტერანც ტერად, ასევე იშხანაც იშხანადაც. სინამდვილეში, იგი ფლობდა კიდეც იშხანაც იშხანის ტიტულს[12]. ალვანეთის მთავარი იოვანე საჰლის ძე უნდა იყოს[13]. როგორც ეტყობა, საჰლის მემკვიდრედ მიჩნეულ იოვანეს საჰლის სიცოცხლეშივე მიუღია „უფალთა უფლის“ ტიტული. ისევე, როგორც საჰლის უფლებები უცვნია სახალიფოს კარს, უფრო მეტიც, საჰლის აღზევება ხალიფას ნებით მომხდარა, იოვანეც ხალიფასაგან ჩანს შეწყალებული, იგი წარმომადგენელია არაბული მმართველობისა ამიერკავკასიაში[14]. მაგრამ როგორც უკვე ითქვა, IX ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში ბუღა თურქს ეჰვი შეუტანია საჰლ სმბატის ძის ერთგულებაში და მისი სახლის დასჯაც გადაუწყვეტია.

ფიქრობენ, რომ კალანკატვაცის ცნობები საჰლ სმბატის ძის ყოვლისშემძლეობის, თითქმის მთელს ამიერკავკასიაში მისი გაბატონების შესახებ ერთობ გაზვიადებულია და ამდენად შეუწყნარებელიც[15]. გაზვიადება მართლაც აშკარაა, რაც იოვანეს შესახებ კალანკატვაცის მოტანილ ცნობაზეც ითქმის, მაგრამ რაკი საჰლმა მოახერხა მორიგება ხალიფასთან და იგი ერთ ხანს მაინც არაბთა მმართველობასთან „შეხმატკბილებულად“ მოქმედებდა, არც ისაა გამორიცხული, სახალიფოს კარს საჰლის მეშვეობით განეზრახა აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთის ზოგიერთი ურჩი მხარის დამორჩილება. ზემოთ უკვე ითქვა და ქვემოთაც აღვნიშნავთ, რომ სახალიფოს ხელისუფლება ზოგჯერ სომეხი მთავრისა თუ მეფის მეშვეობით ცდილობდა თავისუფლების მოპოვებისათვის მებრძოლი ქართლის დაქვემდებარებას, რის გამოც სომეხი ხელისუფლის გარკვეულ უფლებებსაც ცნობდა ქართლის მიმართ. ვფიქრობთ, შესაძლებელია რაღაც ამის მსგავსი მომხდარიყო ალვანეთის მთავრების, საჰლ სმბატის ძისა და იოვანეს ურთიერთობაშიც სახალიფოს კართან. იქნებ, გაწეული სამსახურისა და ერთგულების სამაგიეროდ, არაბებმა საჰლისა და იოვანეს უფლებები ზოგიერთ ქართულ და სომხურ ოლქებზეც იცნეს.

---

[12] Կ. Բուզբաշյան, „Բազրատունյաց ցիջանի“ Հայաստանը միջազգային իրավունքի տեսանկյունից, ՊՐՀ, 1975, № 1, გვ. 34.

[13] იხ. მაგ., იქვე, გვ. 34.

[14] იხ. იქვე, გვ. 34.

[15] იხ. მაგ., З. Буниятов, Азербайджан в VII—IX вв., გვ. 188.

აღსანიშნავია, რომ საჰლ სმბატის ძის ძალაუფლებას, როგორც ჩანს, გარკვეულ ხანებში ქართული წყაროებისეული მთელი ჰერეთის სამთავროც ექვემდებარებოდა. ჰერეთის სამთავრო კი მოიცავდა როგორც ქართულ, ასევე ალვანურ ოლქებს. ჰერეთის ხელისუფალნი, რომელნიც „რანთა მეფის" ტიტულს ატარებდნენ[16], მთელს ალვანეთზეც, ყოველ შემთხვევაში, მის ქრისტიანულ ოლქებზე აცხადებდნენ პრეტენზიას. ჰერეთის სამთავროსა თუ სამეფოს სამფლობელოს გაფართოება ძირითადად სწორედ ალვანური ოლქების შემოერთების შედეგად ხდებოდა (ამ ოლქებისათვის ჰერეთის ხელისუფალთ სასტიკი ბრძოლები ჰქონდათ განჯის საამიროსთან, შირვანშაჰებთან და სომხეთის მეფეებთანაც), რომელთა გაქართულება საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. „რანთა მეფის" ტიტული იგივეა, რაც ალვანეთის ხელისუფალთა სახელწოდება — არანშაჰიკ. ეს უკანასკნელი არანის, ანუ ქართული წყაროებისეული რანის (ზოგჯერ მთელი ალვანეთის, ხანაც მხოლოდ მისი ერთი ნაწილის აღმნიშვნელის) მფლობელობაზე მიგვანიშნებს. ჰერეთის მეფეთა ტიტული — „რანთა მეფე" ასევე ენათესავება საჰლ სმბატის ძისათვის არაბთაგან ბოძებულ ტიტულს — „არანის ბატრიკი". ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ჰერეთის მეფეები თუ გენეალოგიურად არა[17], პოლიტიკურად, ნაწილობრივ მაინც, საჰლ სმბატის ძის მემკვიდრეები იყვნენ.

რაკი ქართული წყაროებისეული ჰერეთის სამთავრო, დროის რაღაც მონაკვეთში მაინც, საჰლ სმბატის ძის ძალაუფლებისადმი დაქვემდებარებული ჩანს, ხოლო ჰერეთის სამთავროს მნიშვნელოვან ნაწილს ქართული თუ გაქართულებული ალვანური ოლქები შეადგენდნენ, ამის გამოც შეიძლებოდა მიეჩნიათ საჰლი ქართველთა ხელისუფლადაც. ასევე, საჰლის სამფლობელოში უნდა მოქცეულიყო ზოგიერთი სომხური, უფრო სწორად, არმენიზირებული ალვანური ოლქიც და იქნებ, საჰლი სომხეთის მთავრადაც ამის საფუძველზე გამოაცხადეს.

საჰლ სმბატის ძის მმართველობის წლები ნაწილობრივ ემთხვევა „ქართველთა კურაპალატის", აშოტ I დიდის ხელმწიფობის ხანას, მიუხედავად იმისა, აშოტ დიდი ბაგრატიონის მოკვლის თარიღად მი-

---

16 იხ. Д. Мусхелишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 42; თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982, გვ. 220.

17 არსებობს ამგვარი მოსაზრებაც — იხ. მაგ., Очерки истории СССР, IX—XIII вв., М., გვ. 648; შდრ. З. Буниятов. Азербайджан в VII—IX вв., გვ. 185—186, 189.

ვიღებთ 826 თუ 836 წელს[18]. „ქართველთა კურაპალატი“ აშოტი კი, ეტყობა, ალვანეთის ერთ ნაწილშიც ფიქრობდა გაბატონებას. როგორც ჩანს, აშოტ დიდს სამეფო გვირგვინის დადგმა, გამეფებაც განუზრახავს, თუმცა ოფიციალურად ამგვარი რამ არ მომხდარა. „ქართველთა კურაპალატის“, აშოტ I-ის გამეფების თაობაზე ჩვენში აზრი რომ მომწიფებულა, ეს შეიძლება დავასკვნათ იქედან გამომდინარე, რომ აშოტ დიდს მეფედ იხსენიებს არა მარტო გიორგი მერჩულე[19], არამედ ისეთი პირუთვნელი მეისტორიეც, როგორიც „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორია, აშოტ კურაპალატის მ ე ფ ო ბ ი ს შესახებ ლაპარაკობს[20]. მოვსეს კალანკატვაცის მოტანილი ცნობის თანახმად, გამეფების პრეტენზია ჰქონია საჰლ სმბატის ძესაც. IX ს-ის ალვანეთშიც გაჩენილა აზრი ალვანთა სამეფოს აღდგენის შესახებ. ამავე დროს, ზოგიერთ ალვანურ წრეში მაინც იმგვარი მისწრაფებაც ყოფილა, რომლის მიხედვით, ალვანეთს პირველობა უნდა მოეპოვებინა ამიერკავკასიაში. ალვანთა ხელისუფალს, რომელსაც გამეფებამდე, თითქოს, აღარაფერი კლებია, აღნიშნული წრეების წარმოდგენით, სომხეთი და ქართლიც უნდა დაქვემდებარებოდა.

„ქართველთა კურაპალატ“ აშოტ I-სა და მის მემკვიდრეებს, როგორც ამას მათი ტიტული მიგვანიშნებს, მიზნად ჰქონდათ დასახული მთელ ქართლში (აღმოსავლეთ საქართველოში) განევრცოთ თავიანთი ძალაუფლება, ისინი ოცნებობდნენ მთელი საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებაზეც (მათი გეგმები, შესაძლოა, უფრო მეტსაც ითვალისწინებდა). ამიტომ, ბუნებრივია, აშოტ I-ისა თუ მისი შთამომავლებისათვის მიუღებელი იქნებოდა ალვანეთის მთავრების, საჰლისა და იოვანეს პრეტენზიები. ერთი სიტყვით, ქართველ და ალვანელ ხელისუფალთა ინტერესების დაპირისპირება IX ს-ის პირველ ნახევარშივე მომხდარა. სუმბატ დავითის ძის ცნობით, აშოტ კურაპალატს ბარდავი და მისი ოლქიც დაუქვემდებარებია[21]. როგორც ჩანს, აშოტ დიდ ბაგრატიონს სერიოზულად განუცხადებია პრეტენზია ალვანეთის ერთ ნაწილზე.

იმ ხანებში ბარდავი მთელს ამიერკავკასიაში უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. მას ამიერკავკასიის

---

18 ამასთან დაკავშირებით იხ. ა. ბოგვერაძე, ერთი ქრონოლოგიური საყრდენი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა (აშოტ I კურაპალატის სიკვდილის თარიღის შესახებ), საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1970, გვ. 131—138.

19 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 109—111.

20 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 252.

21 იქვე, გვ. 376—377.

ბაღდადსაც კი უწოდებდნენ[22]. მიზნად ისახავდა რა ბარდავში გაბატონებას, ამით აშოტ დიდი ბაგრატიონი, როგორც ჩანს, თავისი ხელისუფლებისადმი თითქმის მთელი ამიერკავკასიის, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს გარდა ალვანეთის დაქვემდებარებაზეც ფიქრობდა. რასაკვირველია, ალვანთა ხელისუფალთ აშოტ კურაპალატისა და მისი შემკვიდრეების ამგვარი გეგმები არ მოეწონებოდათ და ამის შედეგიც უნდა იყოს, რომ საჰლ სმბატის ძე და იოვანე ქართველ ხელისუფალთა საპასუხოდ, ეტყობა, სახალიფოს კარის მხარდაჭერითაც, თვითონ აცხადებენ პრეტენზიას ქართლის, აღმოსავლეთ საქართველოს თუ მისი ერთი ნაწილის მიმართ. არაბი დამპყრობლები ყოველი ღონით ცდილობდნენ ამიერკავკასიის მთავრების წაკიდებას, ერთმანეთისადმი დაპირისპირებას და შესაძლოა, მას შემდეგ, რაც აშოტ ბაგრატიონი არაბებს განუდგა, ბიზანტიის უზენაესობა აღიარა, სახალიფოს ხელისუფლებას საჰლ სმბატის ძე და იოვანე გადაებირებინა „ქართველთა კურაპალატების“ თუ სხვა ურჩი ქართველი მთავრების წინააღმდეგ ბრძოლაშიც (ისევე, როგორც ბაბეკი შეიპყრეს საჰლის წყალობით), ეცნოთ მათი პრეტენზიებიც „ქართველთა ქვეყანაზე“ ან მის ზოგიერთ ოლქზე.

რა თქმა უნდა, ქართველ-ალვანელი მთავრების ინტერესთა დაპირისპირება, არაბ დამპყრობთა სათანადო მცდელობის შედეგადაც, ზიანის მომტანი იყო როგორც ქართლისთვის (აღმოსავლეთ საქართველოსთვის), ასევე ალვანეთისათვის, მაგრამ ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ შედარებით სუსტი, ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე მდგარი ალვანეთის ხელისუფალთაც ჰქონიათ IX ს-ის პირველ ნახევარში ალვანეთის, ქართლისა და სომხეთის, ე. ი. თითქმის მთელი ამიერკავკასიის გაერთიანების პრეტენზია. ეს იმის შედეგია, რომ IX—XI სს-ში მთელს ამიერკავკასიაში, მისი ძირძველი ხალხებისაგან წარმომდგარი სამყაროს, ქრისტიანული სამეფო-სამთავროების ცხოვრებაში ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანების ძველთაძველმა იდეამ მანამდე არნახული ცხოველმყოფელობა შეიძინა, იგი ეპოქის განმსაზღვრელად იქცა. თითქოს, ამიერკავკასიის არც ერთი სამეფოსა თუ სამთავროს განვითარება არ შეიძ-

---

[22] იხ. З. Бунятов, Азербайджан в VII—IX вв., გვ. 158—160, 164, Я. Манандян, О торговле и городах Армении. გვ. 200, 216—217; М. Шарифли, Феодальные государства Азербайджана второй половины IX—XI вв., გვ. 40; დ. მუსხელიშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში (IV—XIII სს.), „ცისკარი“, 1970 წ., № 11, გვ. 134.

ლებოდა სხვანაირად, თუ არა იმ გზით, რომ მას მთელი ამიერკავკასიის თავის გარშემო შემოკრებისათვის უნდა ებრძოლა.

მართალია, ალვანეთის მთავრების განზრახვას, გაბატონებულიყვნენ მთელს ამიერკავკასიაში, ახდენა არ ეწერა, ისევე, როგორც ვერც სომეხმა მეფეებმა ვერ შესძლეს IX—XI სს-ში ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანება, მაგრამ ალვანეთისა და სომხეთის ხელისუფალთა ამგვარ სწრაფვას უკვალოდ არ ჩაუვლია. მათი სათანადო ცდები თუ ხშირად მხოლოდ ცარიელი პრეტენზიები ამიერკავკასიის გაერთიანების საქმეს კიდევ უფრო მეტად აქტუალურს ხდიდა, რითაც ამიერკავკასიის თუ მთელი კავკასიის გაერთიანებისაკენ მიმართულ ქართველ ხელისუფალთა პოლიტიკური გეგმების განხორციელებას ობიექტურად ხელს უწყობდა, ერთგვარად აჩქარებდა კიდეც. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ალვანელი და სომეხი მეფე-მთავრები, საბოლოო ანგარიშით, კავკასიის პოლიტიკური გაერთიანების პროგრესულ საქმეში ცალკეულ ქართულ სამეფო-სამთავროებს თუ XI ს-ის დამდეგიდან გაერთიანებულ საქართველოს გარკვეულწილად გზას უკაფავდნენ, საერთო დიდი მიზნის ხორცშესხმაში, საქართველოს მეთაურობით მთელი კავკასიის გაერთიანებისათვის საძირკვლის ჩაყრაში ნებსით თუ უნებლიეთ მათაც თავიანთი წვლილი შეჰქონდათ.

ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ ერთ-ერთი ალვანელი მთავარი, ესაი აბუ მუსა, რომელიც არცახს, მთიან ყარაბაღს, თუ მის ერთ ნაწილს ფლობდა[23]. მან და მისმა ჯარმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს პირსისხლიანი მტრის, ბუღა თურქის ურდოებს. ცნობილია, რომ უფრო ადრე ბუღა თურქის ჯარი წანართა ქართულ ტომთან ბრძოლაში დამარცხდა. საერთოდ, არაბ მომხდურთა წინააღმდეგ წანართა მიერ გამოჩენილი სიმამაცის ამბავი ერთობ გახმაურებულა და არა მარტო კავკასიას, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც, ყოველ შემთხვევაში, თვით არაბთა სახალიფოს მოსდებია. თომა არწრუნის თანახმად, ესაი აბუ მუსას ბუღა თურქის ურიცხვ ჯართან საბრძოლველად თავისი მეომრების გამხნევება, შეგულიანება განუზრახავს და ამ მიზნით ასე მიუმართავს თანამემამულეებისათვის: „რად უნდა ვიყოთ წანარებზე ნაკლები ვაქკაცები“[24]. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ თავდაუზოგავ ბრძოლაში მეზობლისგან მაგალითის აღება, ცხადია, საყურადღებო ამბავია, მაგრამ ვფიქრობთ, მოტანილი ცნობა სხვა მხრივაც შეიძლება

---

[23] იხ. Մովսէս Կաղանկատուացի, გვ. 327—331; Т. И. Тер-Григорьян. Борьба Арцаха...

[24] Թովմա Արծրունի և Անանուն, გვ. 190; შდრ. Մրավալտաւոր, IV, გვ. 271.

იწვევდეს ინტერესს. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, „IX—XI სს. ამიერკავკასიაში დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობდა. ფეოდალური ურთიერთობა მოწიფულობის ასაკში შედიოდა და ამის შესაბამისად მცირე პოლიტიკურ ერთეულთა გამსხვილების ტენდენციები დაჟინებით თავს იჩენდა“[25]. ამგვარი პროცესი შეიმჩნევა არა მარტო საქართველოსა და სომხეთში, არამედ ალვანეთშიც. სამფლობელოების გაფართოების, გაზრდის განზრახვა უნდა ჰქონოდათ ალვანელ ხელისუფალთაც — საპლ სმბატის ძეს, იოვანეს და ესაი აბუ მუსასაც. როგორც უკვე ითქვა, მათი და ქართველ თუ სომეხ მთავართა ინტერესები ამ მიმართულებით ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ: ვფიქრობთ, თომა არწრუნის მოტანილ ცნობაშიც შეიძლება დავინახოთ ესაი აბუ მუსასა და წანართა, იგივე კახეთის მთავარს შორის არსებული ერთგვარი მეტოქეობაც, რასაც იწვევდა ამ მეზობელი სამთავროების ხელისუფალთა მისწრაფება საკუთარი საბრძანებლის საზღვრების განვრცობისაკენ.

მოვსეს კალანკატვაცი, აღნიშნავს რა აშოტ I ბაგრატუნის მიერ IX ს-ის 80-იან წლებში სომხეთის სამეფოს აღდგენას, იქვე დასძენს, რომ იმავე ხანებში „ღვთისმოსავმა ჰამამმა, რომელიც ალვანთა მეფე გახდა“, განაახლა, აღადგინა „ალვანთა სახლის დაცემული მეფობა“[26]. ჰამამის სამფლობელოს მნიშვნელოვან ნაწილს ქართული წყაროებისეული ჰერეთის სამთავრო შეადგენდა. ამავე დროს, მას მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ალვანური, მათ შორის, ნაწილობრივ არმენიზირებული ოლქებიც ექვემდებარებოდა. ჰამამს გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონია სომხეთის საერო თუ სასულიერო ხელისუფლებთან, შესაძლოა, იგი გარკვეულწილად მათი გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ როცა საჯიანმა ამირამ, აფშინმა დაატყვევა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქი გეორგ II (877—897), „ალვანთა მეფე“ ჰამამმა დიდი გულმოდგინება გამოიჩინა გეორგ II-ის ტყვეობიდან დასახსნელად, გეორგი სწორედ ჰამამის შუამდგომლობითა და მცდელობით იქნა განთავისუფლებული[27]. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ IX—X სს-თა მიჯნაზე ალვანეთი პირწმინდად, დედაბუდიანად გასომხურებულ ქვეყანას წარმოადგენდა. როგორც ამაში ჰოვჰანეს დრასხანაკერტცის სურს დაგვარწმუნოს. წინამდებარე ნაშრომის შესავალში ამ საკითხზე უკვე გვქონდა საუბარი და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

---

25 ნ. ბერძენიშვილი., საქართველოს ისტორიის საკითხები, V, გვ. 155.

26 Մովսէս Կաղանկատուացի, გვ. 335.

27 იხ. იქვე, გვ. 335—336, აგრეთვე ՅՈՎՀԱՆ ԴՐԱՍԽԱՆԱԿԵՐՏԵՑԻ, სომხეთის ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 69—72, Ստեփանոսի Տարօնեցւոյ... გვ. 161.

დრასხანაკერტცის „სომხეთის ისტორიაში“ არა ერთხელ და ორჯერ იხსენიება უტის ქვეყანა, გავარი და უტიელები. კათალიკოსი მემატიანე უტიელებს სომხებად არ მიიჩნევს, მათ სომხების მეზობლებს, სომხეთის გარშემო მყოფ ხალხებს შორის ასახელებს: „ჩ ვ ე ნ მ ა მ ე ზ ო ბ ლ ე ბ მ ა დ ა ხ ა ლ ხ ე ბ მ ა, ჩ ვ ე ნ ს გ ა რ შ ე მ ო რ ო მ ა რ ი ა ნ, ბერძნებმა, ეგრისელებმა, გუგარელებმა და უ ტ ი ე ლ ე ბ მ ა“[28]... მართლაც, უტიელები სომხები კი არა, ალვანელები იყვნენ. მათი სამკვიდრო, „უტის ოლქი“ რამდენიმე იყო და ისინი ისტორიული ალვანეთის სხვადასხვა ნაწილებში მდებარეობდნენ. მტკვრის მარჯვენა მხარის „უტის ოლქი“, შესაძლოა, რამდენადმე არმენიზირებულიც ყოფილიყო, მაგრამ ამ უტიელებსაც თვითმყოფადობა მნიშვნელოვანწილად შენარჩუნებული ჰქონიათ, ამის საფუძველზეც ისინი უპირისპირდებოდნენ სომხეთის მეფეებს. ამიტომაც, ისეთი ტენდენციური ავტორიც კი, როგორიც დრასხანაკერტცია, რომელსაც დიდი სურვილი აქვს ლამის მთელი კავკასია სომხურ ქვეყნად გამოაცხადოს, იძულებულია აღიაროს, რომ უტიელები სომხები არ არიან. როგორც ითქვა, მტკვრის მარცხენა მხარეს მობინადრე ერთ-ერთი ალვანური, უდების ტომი, რომლებიც მცირე რაოდენობით დღემდეც შემორჩნენ და მამა-პაპათა ენაც გადაარჩინეს დაღუპვას, იგივე უტიელებია, სახელწოდებები უტი და უდი ერთი და იგივეა, ერთი სიტყვის ორი ვარიანტია.

დრასხანაკერტცის თანახმად, სომხეთის მეფეები დაბეჯითებით, დაჟინებით ცდილობდნენ მტკვრის მარჯვენა მხარის უტის ოლქში გაბატონებას, მაგრამ უტიელები, როგორც წესი, ურჩობას იჩენდნენ მათდამი, სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მათ. ალბათ, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ კათალიკოსი მეისტორიე არ ფარავს თავის ანტიპათიას უტიელთა მიმართ. მოვიტანთ ზოგიერთ ცნობას დრასხანაკერტცის „ისტორიიდან“, საიდანაც ჩანს მემატიანის დამოკიდებულება უტიელთა მიმართ და სომეხ ხელისუფალთა ურთიერთობა მტკვრის მარჯვენა მხარის უტის ოლქთან, მის მთავრებთან. სომხეთის მეფე აშოტ I-მა (884/5—890) დაიქვემდებარაო „გუგარეთის ნარევი მოსახლეობა და უტის გავარის ავაზაკობის მიმდევარი ხალხი. ხელი ააღებინა მათ კაცთმოღალატეობასა და ავაზაკობაზე და ყველა წესიერი და მორჩილი გახადა. წინამძღოლები და მთავრებიც კი დაუყენა“[29].

---

28 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 177; ხაზგასმა ჩვენია.
29 იქვე, გვ. 38.

სომხეთის მეფე სმბატ I-ს (890—914), მის დროს საჯიანი დამპყრობლები თითქმის გამუდმებით ესხმოდნენ რა თავს სომხეთს, ერთხელაც თავისი ვაჟებისათვის, აშოტისა და მუშეღისათვის (მუშელისათვის) მიუნდვია მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ დრასხანაკერტცის მიხედვით, აშოტისა და მუშეღისათვის თითქოს უტიელებს უღალატიათ: „მათ არ იცოდნენ მზაკვრობა თავიანთი ჯარისა, უტის გავარის მცხოვრებ სევორდიელებისა. აშოტი და მუშეღი გამოვიდნენ ასპარეზზე და შეუტიეს [მტერს]... როდესაც გამწვავდა ბრძოლა და რბევა და [მებრძოლები] ერთმანეთს შეერივნენ, მოულოდნელად უტიელთა ჯარი უკუიქცა მზაკვრული განზრახვით და უკანმოუხედავად წავიდა საკუთარი ნებით“[30]. უტიელთა „ღალატის“, საჯიან ამირასთან მათი კავშირის შედეგად სმბატ I-ის ვაჟი მუშეღი სიცოცხლესაც გამოსალმებია: ... „ასევე [მოუვიდა] მამაც ჰაბუკს მუშეღს, სმბატ მეფის შვილს, რომელიც უტის გავარის მცხოვრებლებმა მზაკვრული ღალატით შეიპყრეს. მასაც ისეთივე სატანჯველი ხვდა წილად: სასიკვდილო წამალი შეასვეს და სიცოცხლე მოუსწრაფეს“[31].

როგორც ეტყობა, უტის მთავრებისა და მეზობელი კახეთის ქორეპისკოპოსების ინტერესებიც უპირისპირდებოდნენ ზოგჯერ ერთმანეთს, მაგრამ საყურადღებოა, რომ უტის მთავრებს უცდიათ სომხეთის მეფეებსა და კახეთის ქორეპისკოპოსთა შორის არსებული წინააღმდეგობების თავის სასარგებლოდ გამოყენებაც და მიზნისთვისაც მიუღწევიათ. დრასხანაკერტცის ცნობით, უტის მთავარ მოსეს მოუხერხებია მის წინააღმდეგ კახეთის, მემატიანის სიტყვით რომ ვთქვათ, წანართა ქორეპისკოპოსისა და სომხეთის მეფის მიერ დამყარებული კავშირის ჩაშლა, კახეთის ქორეპისკოპოსთან მორიგება: სომხეთის მეფე, აშოტ II ერკათი (914—929) „გაემართა თავის სიმამრთან, დიდ მთავარ საჰაკთან, ხოლო შემდეგ თავისი ჯარით ისიც თან წაიყვანა და უტის გავარისაკენ გასწია, რათა დაეთრგუნა სასტიკი განდგომილება მოსესი, რომელიც მას მთავრად და მბრძანებლად ჰყავდა დაყენებული უტის გავარის ურჩხულის ჩვეების მქონე ტომებში. დიდი ქორეპისკოპოსი (კახეთის მთავარი — ა. ა.), რომელიც ალანთა კარის ახლოს გუგარეთის ნაწილს ფლობდა, მოვიდა დიდძალი ჯარით მეფის (აშოტ ერკათის — ა. ა.) დასახმარებლად... სანამ მეფე უტის გავარში იდგა, რომ დაემორჩილებინა ქედფიცხელი და ავაზაკი ხალხი ამ ქვეყნისა, მოსე უეცრად გამოვიდა სისაკანის მხარეებიდან და განიზრახა წანართა დიდ ქორეპისკოპოსთან წასვლა. სიკეთის აღთქმით [მოსეს]

---

30 იქვე, გვ. 132.
31 იქვე, გვ. 140.

სურდა იგი თავის მოკავშირედ ექცია და ამით ეხსნა თავისი სამფლობელო. ასეთი უბედურება რომ ეწია მეფეს, იგი შეეცადა სასწრაფოდ დასწეოდა [მოსეს]"[32].

სომხეთთან ახლად მიერთებული უტის ოლქის მთავრების გაუთავებელი ურჩობა მეფეთა მიმართ, პირველ რიგში, ალბათ, სომხეთში ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავების, სამეფო ხელისუფლების დასუსტების შედეგია, მაგრამ ვფიქრობთ, ისიც ასრულებდა გარკვეულ როლს, რომ უტიელები ალვანური ტომია და მათი ქვეყნის სომხეთის ნაწილად გადაქცევა მათ ტომობრივ თვითმყოფადობას გაქრობის საფრთხეს უქმნიდა. როგორც ჩანს, უტიელები უარს ამბობდნენ გასომხებაზე და ამიტომაც იბრძოდნენ ისინი ესოდენ გააფთრებით თავიანთი მშობლიური მხარის სომხეთისაგან ჩამოსაშორებლად.

სომეხთა მეფე, აშოტ ერკათი დაახლ. 922—23 წლებში[33] (ამ დროისათვის მას არაბთაგან შაჰანშაჰის ტიტულიც მიეღო), დრასხანაკერტცის თანახმად, გაეშურა „უტის გავარისაკენ. გზად მიმავალმა ცუდი ამბავი შეიტყო იმ მხრიდან: ამრამად სახელდებულმა, რომელსაც საოცარი ღონის გამო მრავალთაგან მეტსახელად ცლიკი შერქმეოდა და რომელიც შაჰანშაჰს (აშოტ ერკათს — ა. ა.) ქვეყნის საქმეების გამგებლად ჰყავდა დაყენებული, გონება ბოროტების წყვდიადით დაიფარა და გაამაყდა. მან გადაწყვიტა განდგომოდა შაჰანშაჰად წოდებულის მორჩილებას, დაგმო და შეურაცხყო თავისი მკვიდრი სამფლობელო და უმჯობესად მიიჩნია უმკვიდრო გურგენის მონობის უღელქვეშ შესვლა, რომელიც გამრთა ქვეყნის ერისთავთერისთავი იყო. იმ მხარის მთელი ნახარარობაც თავისთან წაასხა [და] ამბოხებაში თავის მხარეზე გადაიბირა.

[ამრამმა] საჩქაროდ აიღო ტავუშის სიმაგრე, მასში მტკიცედ დაიცვა თავისი ოჯახი... აშოტი გაემართა და მიაღწია უტიელთა ქვეყანას. მან დაინახა, რომ [იქაურები] მას განდგომოდნენ და ზურგი შეექციათ. ვერავინ ნახა თავისი მომხრე, გარდა მცირეოდენი, უმნიშვნელო ვინმეებისა"... აშოტ ერკათს ჯარი მიაშველა „ეგრისის", ლიხსიქეთის მეფემ. „ამრამმა, რომელსაც მეტსახელად ცლიკი ერქვა და მასთან ერთად სხვა განდგომილმა ყაჩაღებმა თავიანთ დასახმარებლად დიდძალი ჯარი შეკრიბეს ყველგან და ჩასაფრებული, გამაგრებული იყვნენ გაუვალ ტყეებში მდინარე მტკვრის ნაპირას". საბოლოოდ, აშოტ ერკათის ჯარი სასტიკად დამარცხდა. სომეხთა მეფის მარცხი იმდენად მძიმე ყოფილა, რომ ეს ამბავი დრასხანაკერტცის „ისტორიის"

---

[32] იქვე, გვ. 232—235, იხ. აგრეთვე გვ. 177—178, 242, 254—256.

[33] იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 44.

სათანადო, ერთ-ერთი თავის სახელწოდებაშიაც კია ასახული — „ამრამ მთავრის განდგომისა და მისგან აშოტ შაჰანშაჰის ძლევის შესახებ“[34].

როგორც ვხედავთ, ალვანური ოლქის, უტის მთავარ ამრამს სომხეთის მეფის წინააღმდეგ ვინმე გურგენ ერისთავთერისთავი[35] მიუშველებია და მისი უზენაესობაც უღიარებია. ბუნებრივია ვიკითხოთ. ვინ უნდა იყოს ეს გურგენი, ანდა სადაა საძიებელი მისი სამფლობელო, „გამრთა ქვეყანა“? ს. ჯანაშიას სიტყვით, დრასხანაკერტცისეული „გამრთა“ მთავრის საკითხი... რთულია და მისი გადაწყვეტა არსებული მასალის მიხედვით ძნელია“. სირთულეს ქმნის კერძოდ ის, რომ დრასხანაკერტცი თავის „ისტორია“-ში არაერთხელ იხსენიებს ქართველთა მთავარ გურგენს, ხოლო „გ ა მ რ თ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს“ ერისთავთერისთავ (მთავართა მთავარ) გურგენს — მხოლოდ ერთხელ. ს. ჯანაშია ღიად ტოვებს საკითხს, შეიძლება თუ არა „გამრთა“ ერისთავთერისთავ გურგენის გაიგივება დრასხანაკერტცისეულ ქართველთა მთავარ გურგენთან[36]. ამავე საკითხთან დაკავშირებით ილ. აბულაძე აღნიშნავდა: „გამრთა ქვეყანა კაპადოკიას ეწოდება. აქ რაღაც აღრევაა. გურგენი კაპადოკიის მთავრად არის დასახელებული, მაშინ როცა იგი სამხრეთ საქართველოს მთავარი უნდა იყოს“[37]. პ. ინგოროყვას ოდნავაც არ ეპარება ეჭვი, რომ ეს გურგენი ქართველთა ხელისუფალია, იგივე დიდი ერისთავთერისთავი გურგენია[38], ოღონდ მკვლევარი არაფერს ამბობდა იმაზე, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს „გამრთა ქვეყანაში“. ასევე, ქართველთა მთავრად მიაჩნდათ ხსენებული გურგენი სომეხ მეცნიერებს ჰრ. აჭარიანსა და ლეოს[39]. „სომეხი ხალხის ისტორიის“ მრავალტომეულის მესამე ტომში ეგევე გურგენი შეცდომით ქახეთის „მთავართა მთავრადაა“ გამოცხადებული. ისევე,

---

34 იხ. Ցովհաննու կաթողիկոսի Դրասխանակերտցւոյ Պատմութիւն Հայոց, Թիֆլիս, 1912, გვ. 320 და შემდგომი; ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ილ. აბულაძის გამ., გვ. 67; ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 254—260.

35 სომხურ ტექსტში არის იშხან იშხანაც, რაც სიტყვა-სიტყვით მთავართა მთავარს ნიშნავს. მაგრამ სომხური იშხან იშხანაც-ის ბუნებრივი, ძალდაუტანებელი ქართული შესატყვისი უფრო ერისთავთერისთავი ჩანს. ვიღრე მთავართამთავარი — იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, თსუ შრომები, ტ. XVIII, 1941, გვ. 83.

36 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, კონსტანტინე პორფიროგენეტის..., გვ. 84.

37 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ილ. აბულაძის გამ., გვ. 85.

38 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 100—103.

39 Հ. Ա ճ ա ռ ե ա ն, Հայոց անձնանունների բառարան, I, Ե., 1942, გვ. 140; Լ ե ո, დასახ. ნაშრომი, გვ. 580.

როგორც დრასხანაკერტცის მიერ უფრო ადრე ნახსენები ქართველთა მთავარი გურგენი[40].

ი. მარქვარტი ფიქრობდა, რომ რადგან სომხური წყაროებისეული გამირქ (აქედანაა მიღებული გამრაც აშხარჰ — „გამრთა ქვეყანა") კაპადოკიის აღმნიშვნელია, ამიტომ დრასხანაკერტცის „ისტორია"-ში მოხსენიებული „გამრთა ქვეყნის" ხელისუფალი გურგენი აღმოსავლეთის „რომაელი გენერალი", უფრო ზუსტად რომ ითქვას, ბიზანტიის იმპერიის სხოლათა დომესტიკი, სომხური წარმომავლობის მცირე აზიელი ფეოდალი, იოანე კურკუასი უნდა იყოსო (ფიქრობენ, რომ სიტყვა კურკუას სახელ გურგენის ბერძნული გადმოცემაა). ამავე დროს, ი. მარქვარტი უშვებდა იმის შესაძლებლობასაც. რომ დრასხანაკერტცის „ისტორიის" სათანადო ადგილი („გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანი"), იქნებ, სწორად არაა ამოკითხული და მაშინ ქართველი ერისთავთერისთავი გურგენი უნდა ვიგულისხმოთო[41]. აღსანიშნავია, რომ ი. მარქვარტის მითითებული ნაშრომის პირველად გამოცემის (1903 წ.) შემდეგ მკვლევარნი მუშაობდნენ დრასხანაკერტცის „ისტორიის" ტექსტის შესწავლაზე, მაგრამ მისი ხსენებული ადგილის წაკითხვის სისწორე ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ. დ. მუსხელიშვილის აზრითაც, დრასხანაკერტცისეული „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანი" გურგენი იოანე კურკუასთან უნდა გავაიგივოთ: „თუკი იოანე დრასხანაკერტელის გამირთა ქვეყნის მთავარ გურგენს იგივე გურგენ ეე´ვად ჩავთვლით... მაშინ გამოვა, რომ იგი უტიქის ქვეყანაშიც კი საქმიანობს... მაგრამ ეს საეჭვოა და გამირთა მთავარი, ანუ კაპადოკიის მთავარი გურგენი უნდა იყოს ბიზანტიელი იოანე კურკუასი"[42].

საზოგადოდ, ბიზანტია-სომხეთის ურთიერთობის შესახებ დრასხანაკერტცი საკმაოდ უხვ ცნობებს გვაწვდის. როგორც ზემოთაც ითქვა, ვითარცა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქი და პოლიტიკური მოღვაწე, დრასხანაკერტცი პირადად იყო დაკავშირებული ბიზანტიის იმპერიის საერო თუ სასულიერო ხელისუფლებასთან. თანადროული ბიზანტიის ცხოვრების, ამ ქვეყანაში შექმნილი ვითარების თაობაზე სომეხთა კათალიკოს მემატიანეს ბევრი რამ სცოდნია. ამგვარ პირობებში მოსალოდნელია, რომ იოანე კურკუასის ჯარი უტის ოლქის ამბოხებულ მთავარს, ამრამს თუ მართლა მიეშველა სომხეთის მეფის,

---

40 Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 43—44.

41 J. Marquart, Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, 1961, გვ. 183; იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 83—85.

42 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 193, შენ. 177.

აშოტ ერკათის წინააღმდეგ, დრასხანაკერტცის ესოდენ უჩვეულო და ამავე დროს მნიშვნელოვანი ამბის შესახებ უფრო ვრცლად და ვარკვევით, გასაგებად ეთქვა, მით უფრო, რომ დრასხანაკერტცი სულაც არ არის სიტყვაძუნწი მემატიანე, პირიქით, ამა თუ იმ საკითხზე მას დიდხანს, გრძლად უყვარს ხოლმე საუბარი. შეიძლება ისეც ვიფიქროთ, რომ დრასხანაკერტცი მომხრე იყო ბიზანტია-სომხეთის დაახლოებისა, მაჰმადიანთა წინააღმდეგ მათი ერთობლივი ბრძოლისა და ამის გამო მან, განზრახ, ბურუსში გაახვია ბიზანტია-სომხეთს შორის მომხდარი დაპირისპირების, შეტაკების ფაქტი. მაგრამ თუ ასეა, მაშინ რით უნდა ავხსნათ ის ამბავი, რომ დრასხანაკერტცი სრულიად ღაუფარავად, აშკარად, ამასთანავე დაბეჯითებით ლაპარაკობს კეისრისადმი მისი მრავალგზისი უარის თაობაზე კონსტანტინოპოლში ჩასვლასთან დაკავშირებით[43]. გარდა ამისა, დრასხანაკერტცი არაა ისეთი მემატიანე, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის ხელმწიფის მიმართ სომეხთა მეფის დამოკიდებულებას უცვლელად მიიჩნევდეს. პირიქით, დრასხანაკერტცის „ისტორია“ სავსეა ისეთი მასალებით, რომელთა მიხედვით, სომეხთა მეფეების ურთიერთობის ხასიათი მეზობელი ქვეყნების მბრძანებლებთან თუ საკუთარ ვასალებთან წამდაუწუმ იცვლება. მეისტორიე კათალიკოსს სრულებითაც არ ეუხერხულება გუშინდელი „კეთილსაიმედო“, „ურთიერთმისანდობელი“ მოკავშირეების დღევანდელ დაპირისპირებაზე, შეხლა-შემოხლაზე, ომზე საუბარი. ამდენად, დრასხანაკერტცის, გარკვეული მოსაზრებით, არც ბიზანტია-სომხეთის დაპირისპირების ფაქტი არ უნდა გაებუნდოვნებინა.

ალბათ, უნდა დაისვას ასეთი კითხვაც: როგორ მოხდა, რომ დრასხანაკერტციმ იოანე კურკუასი გურგენად მონათლა? ნუთუ მან იცოდა, რომ სიტყვა კურკუას სახელ გურგენის ბერძნული ფორმაა? თუ არ ვცდებით, „კურკუას“-ის „გურგენ“-ისაგან მომდინარეობის აზრი მხოლოდ ახალი დროის მეცნიერებაში ჩნდება. სხვათა შორის, „კურკუას“-ის ეტიმოლოგიის შესახებ განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს[44].

იოანე კურკუასს იხსენიებს ასოღიკი, მაგრამ არა სახელდებით, არამედ როგორც დემესლიკოსს, ე. ი. დომესტიკოსს, დომესტიკს. „დემესლიკოს“ იოანე კურკუასს დვინის წინააღმდეგ ულაშქრია[45]. აღსანიშნავია, რომ დვინის ამირას ბიზანტიელებთან ბრძოლაში სომეხთა მეფე აშოტ II ერკათი მიშველია. მკვლევარნი ამ ბრძოლას, უმეტეს-

---

43 იოანე დრასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 213.

44 იხ. А. П. Каждан. Армяне в составе господствующего класса Византийской империи в XI—XII вв., Ереван, 1975, გვ. 13.

45 Ստեփանոսի Տարոնեցւոյ... გვ. 170.

წილად, 922 წლით ათარიღებენ[46]. თუ ეს მართლაც ასე იყო, იქნებ სწორედ ამ დროს დაუკავშირდა იოანე კურკუასი სომეხთა მეფის წინააღმდეგ ამბოხებულ უტის მთავარ ამრამს? მაგრამ შენიშნულია ისიც, რომ იოანე კურკუასი 922 წელს დომესტიკი, დომესტიკოსი ვერ იქნებოდა. ამის გამო და თეოფანეს გამგრძელებლის ცნობების საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი იოანე კურკუასის მიერ დვინის დალაშქვრას 927 წლით ათარიღებს და არა 922 წლით[47]. შესაძლოა, სწორედ ესაა მიზეზი, რომ ამგვარი ლაშქრობა არ იხსენიება დრასხანაკერტცის „ისტორია"-ში, რომელშიც იმჟამინდელი ამბები, მართალია, დაწვრილებითაა გადმოცემული, მაგრამ თხრობა მხოლოდ 924 წლამდე გრძელდება[48]. უკეთუ იოანე კურკუასმა 922 წელს მართლაც დალაშქრა დვინი, ძნელი წარმოსადგენია, ქალაქის ცხოვრებაში მომხდარ ამ ერთობ მნიშვნელოვანი ფაქტისათვის დრასხანაკერტცის სავსებით აევლო გვერდი. საქმე ისაა, რომ სომხეთის კათალიკოს-პატრიარქთა სატახტო ქალაქი დვინი, რომელსაც დრასხანაკერტცი დედაქალაქს უწოდებს, კათალიკოსი მემატიანის განსაკუთრებული ყურადღების არეშია მოქცეული, იგი ხშირად ახსენებს მას, ამასთანავე, მონაწილეა დვინში სომეხ ხელისუფალთა შორის იმავე ხანებში გამართული მოლაპარაკებისა[49]. თუ დრასხანაკერტცისეული „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანი" იოანე კურკუასია და მან დვინის წინააღმდეგ 922 წელს ნავარაუდევი ლაშქრობისას კავშირი დაამყარა უტის მთავართან, ნუთუ დრასხანაკერტცი ამ ამბების აღწერისას მისთვის და საერთოდაც უფრო მნიშვნელოვან ფაქტს, დვინისათვის ბრძოლას, თავის სათაყვანებელ, სალოცავ დვინს სრულებით არ ახსენებდა და მხოლოდ უტის მთავრის, ამრამის იოანე კურკუასთან დაკავშირების, მისდამი „ყმობის" აღნიშვნით დაკმაყოფილდებოდა? საეჭვოა, ასე მომხდარიყო.

მოსალოდნელია, თუკი დრასხანაკერტცი მოიხსენიებდა იოანე კურკუასს, ასოღიკის მსგავსად ისიც აღნიშნავდა მის ბიზანტიურ სახელოსა თუ ჩინს. სხვანაირად რომ ვთქვათ, უკეთუ დრასხანაკერტცისეული „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანი" გურგენი იოანე კურკუასია, ეს იქნებოდა მოწმობა იმისა, რომ მეისტორიე კათალიკოსი ბიზანტიურ სამყაროს, ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო წყობილებას ძალზე ცუდად იცნობდა, რასაც ვერც დრასხანაკერტცისა და საზოგადოდ ვერც ძველ სომეხ მემატიანეთა უმრავლესობის მიმართ ვერ ვიტყვით. დრას-

---

[46] იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 44, 65.

[47] იხ. Կոստանդին Պիրանածին. გვ. 232.

[48] იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 321.

[49] იოანე დრასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 254—255.

ხანაკერტცის ეპოქაში სომხეთში არსებობდა „თანამდებობა“, სახელო იშხანაც იშხანისა[50], „მთავართა მთავრისა“. როგორც უკვე ითქვა, იშხანაც იშხანი უნდა იყოს შესატყვისი ქართული ერისთავთერისთავისა და არა ბიზანტიური სხოლათა დომესტიკისა. სომხეთის სახელმწიფო წყობილების სპეციფიკის ამსახველი იშხანაც იშხანი მეისტორიე კათალიკოსს შეიძლებოდა მიესადაგებინა მსგავსი სახელმწიფო წყობის მქონე ქართული და არა ბიზანტიური სინამდვილისათვის. თუ მაინცდამაინც იოანე კურკუასს იგი იშხანად (მთავრად) მოიხსენიებდა და არა იშხანაც იშხანად.

დრასხანაკერტცი, მოგვითხრობს რა ბიზანტია-სომხეთის ურთიერთობის შესახებ, ხშირად იხსენიებს ბიზანტიის იმპერატორებს და ამასთანავე, სახელდებითაც. თუ უტის მთავარი ამრამი ბიზანტიის იმპერიას „ეყმო“. საფიქრებელია, მემატიანე აღნიშნავდა, რომ უტის გამგებელი ბერძენთა, „რომაელთა“ კეისრის „მონობის უღელქვეშ“ შევიდა და არა კეისრის მოხელის, იოანე კურკუასისა, ვითომცდა დრასხანაკერტცისეული გურგენისა. გაუგებარი იქნებოდა აგრეთვე, თუ რატომ უნდა დასჭირვებოდა დრასხანაკერტცის კეისრის მოხელის, იოანე კურკუასის მემკვიდრის არყოლაზე ხაზგასმით ლაპარაკი, თუკი სათანადო ცნობის ასეთი გაგება მისაღებია. ამგვარი რამ შეიძლებოდა ჭეშმარიტად რომელიმე დამოუკიდებელი ხელმწიფის მიმართ აღენიშნათ. ფაქტიურად სწორედ დამოუკიდებელი ხელისუფალი იყო ქართული წყაროებიდან კარგად ცნობილი „დიდი ერისთავთა-ერისთავი“ გურგენი, მფლობელი სამხრეთ საქართველოს მრავალი ოლქისა[51]. ამავე დროს ცნობილია, რომ გურგენ ეევს „არა ესუა ძე“[52]. ამდენად, დრასხანაკერტცის გურგენ ეევზე შეეძლო ეთქვა, რომ იგი უმკვიდრო იყო. რაც შეეხება იოანე კურკუასს, მას ვაჟიშვილი ჰყავდა — ესაა პატრიკიოსი რომანოს კურკუასი, რომელიც ბიზანტიის სხვადასხვა თემის მხედართმთავარი ყოფილა. იგი გამგრძელებელია თავისი გვარის ბრწყინვალე ტრადიციებისა. რომანოს კურკუასს მაგისტროსის ჩინიც უბოძეს[53].

როგორც დრასხანაკერტცის „ისტორიიდან“ უკვე მოტანილი ცნობიდან ჩანდა, უტის ოლქის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას ცდილობდა „წანართა დიდი ქორეპისკოპოსი“, ე. ი. კახეთის მთავარი. ამგვარიეე განზრახვა ჰქონია თვით აშოტ ერკათის სიმამრს, საჰაკსაც[54]. მათ

---

50 Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 270—271.

51 მის შესახებ იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 188—196.

52 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 380.

53 იხ. Կոստանդին Միրանշահին, გვ. 232.

54 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 234—235, 242.

აქეთკენ უბიძგებდათ თავად უტის „ქვეყნის“ გამგებელთა მისწრაფება სომეხთა მეფისაგან განდგომისა. ასეთ ვითარებაში, ჩვენი აზრით, არაა საკვირველი, რომ გურგენ ეე˜ესაც მოეწადინებინა თავის „ყმად“ ექცია უტის მთავარი. სიტყვაძუნწი მემატიანე, სუმბატ დავითის ძე, რომელიც საერთოდ მხოლოდ ორიოდე ხელისუფლის წარმატებებს თუ აღნიშნავს და ისიც ძალიან მოკლედ, ამბობს, რომ გურგენ დიდმა, ეე˜ვმა გურგენმა „უმეტესნი სიმჯნენი და ბრძოლანი ქმნნა ყოველთა მამათა მისთასა, და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი“. გიორგი მერჩულეს თანახმად, გურგენი არის „დიდი... ჯელმწიფე ფრიადთა ნათესავთაჲ“[55]. გურგენ ეე˜ვი ებრძოდა სომეხთა მეფეს, აშოტ ერკათს ქვემო ქართლისათვის, კერძოდ, სამშვილდისათვის. გურგენს მოუხერხებია აშოტ ერკათის მოხელის, სამშვილდის სომეხი გამგებლის გადმობირებაც[56]. სწორედ ამ დროს მომხდარა დრასხანაკერტცისეული „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანის“, გურგენის დაკავშირებაც უტის მთავარ ამრამთან ისევ და ისევ სომეხთა მეფის აშოტ ერკათის წინააღმდეგ. ყოველივე აღნიშნული იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ დრასხანაკერტცის სათანადო ცნობებში ერთი და იგივე გურგენი, ქართველი მთავარი, გურგენ ეე˜ვია ნაგულისხმევი. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც ჩანს, უტის ამბოხებულმა მთავრებმა განავრცეს თავიანთი სამფლობელო დასავლეთის მიმართულებით[57]. ამდენად, შესაძლოა, უტის „ქვეყანა“ დროის რაღაც, ხანმოკლე მონაკვეთში მაინც უშუალოდ დამეზობლებოდა ქვემო ქართლს, მისი მოსაზღვრე გამხდარიყო. როცა გურგენ ეე˜ვი ქვემო ქართლისათვის ებრძოდა სომეხთა მეფეს, დასაშვებია, იმ ხანებში უტის მთავარიც მის თანამოსაგრედ ქცეულიყო.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ როგორც ზემოთაც ითქვა, გურგენ ეე˜ვის და იყო ჰერეთის ცნობილი დედოფალი, ჰერეთის სამეფო კარისა და ამ სამეფოში შემავალი მონოფიზიტური ალვანური ოლქების „მართალ სარწმუნოებაზე“, „ქართულ რჯულზე“ მომქცევი დინარი. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი, გვაუწყებს რა დინარის ამ დიდი ღვაწლის თაობაზე, იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დინარი გურგენის დაჲ, ხოლო ჰერეთის იმჟამინდელი მეფე იშხანიკი გურგენის დისწული იყო: ... „და ჰერეთსავე, მეფობამდე იშხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყვნეს მწუალებელნი; ხოლო იშხანიკ დისწული

---

55 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 380; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 121.

56 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 250—253.

57 იხ. მაგ., იქვე, გვ. 242—243.

58 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 266.

იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებელად, დინარ დედოფალმან"[58]. ჰერეთის მეფის მართლმადიდებლობაზე, „ქართულ ქრისტიანობაზე" მოქცევასთან დაკავშირებით გურგენ ეე"ვი შემთხვევით არ უნდა იყოს ნახსენები, ჰერეთის მოქცევის საქმეში გურგენის ხელიც უნდა ერიოს[59]. ჰერეთის სამეფო კარისა და ამ სამეფოს ალვანური ოლქების მონოფიზიტობით დაინტერესებული იყვნენ სომხური ეკლესიის „მამამთავრები" და სომხეთის საერო ხელისუფალნიც. ქართული ეკლესიის საპეთმპყრობელნი და ქართველი მეფე-მთავრები კი, პირიქით, საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ მთელი ჰერეთის, სახელდობრ, ჰერეთის სამეფოს მონოფიზიტური ოლქების „ქართულ რჯულზე" მოქცევას. რაკი გურგენ ეე"ვი, საზოგადოდ, ებრძოდა, უპირისპირდებოდა სომეხთა მეფეებს, ბუნებრივია, ამ უკანასკნელთა ინტერესების საწინააღმდეგოდ იგი მიეშველებოდა თავის დას, ჰერეთის სახელგანთქმულ დედოფალ დინარს ჰერეთის „მართლ სარწმუნოებაზე" მოქცევაშიც. როგორც აღინიშნა, ჰერეთის მეფეები პრეტენზიას აცხადებდნენ არა მარტო მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე ალვანური, ქრისტიანული ოლქების დაქვემდებარებაზე, არამედ მტკვრის მარჯვენა მხარის ალვანურ ოლქებზეც. ამგვარი პრეტენზია ჰერეთის ხსენებულ მეფეს, იშხანიკსაც უნდა ჰქონოდა, კერძოდ, უტის „ქვეყნის" მიმართაც[60]. რაკი ჰერეთის მეფე იშხანიკი (და ალბათ მისი წინამორბედიც ჰერეთის სამეფო ტახტზე) გურგენ ეე"ვთან მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული, გურგენს დინარისა და იშხანიკის ინტერესების შესაბამისადაც უნდა გადაეწყვიტა დახმარებოდა სომეხთა მეფის წინააღმდეგ ამბოხებულ უტის მთავარ ამრამს. შეიძლება საკითხს მივუდგეთ იმ კუთხიდანაც. რომ რადგან მოსალოდნელია გურგენ ეე"ვის დაპირისპირება სომხეთის ბაგრატუნ მეფეებთან ჰერეთის სამეფო კარისა და ამ სამეფოს მონოფიზიტური, ალვანური ოლქების „ქართულ რჯულზე" მოქცევასთან დაკავშირებითაც, ჰერეთის სამეფოს მეზობელი, მომიჯნავე უტის ალვანური „ქვეყნის" მთავარსაც უნდა მიშველებოდა გურგენი სომეხ ბაგრატუნთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქართველ-სომეხი ხელისუფალნი, საერთოდ, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ალვანური ოლქებისათვის, კერძოდ, მათი სარწმუნოებრივი აღმსაარებლობის საკითხის ამა თუ იმ დაპირისპირებული მხარის ინტერესების მიხედვით გადაწყვეტისათვის (რაც, საბოლოო ანგარიშით. ალვანელთა გაქართველებას ან გასომხებას იწვევდა) და რადგან გურგენ ეე"ვის მონაწილეობა ჰერეთის მონოფიზიტების მოქცევის საქმეში

---

59 იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 193, შენ. 177.

60 იხ. მაგ., А. Ш. Мнацаканян, О литературе Кавказской Албании, Ер., 1969, გვ. 166—167.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს, უტის მთავართან მისი დაკავშირებაც სავსებით დასაშვები და მოსალოდნელია.

როგორც უკვე ვნახეთ, უტის მთავრის ამრამის ამბოხებამდე ცოტათი ადრე, დაახლ. 919—920 წლებში სომეხთა მეფე აშოტ II ერკათს აუჯანყდა ამრამის წინამორბედიც, უტის „ქვეყნის“ გამგებელი მოსე. მოსეს იმდენი მოუხერხებია, რომ აშოტ ერკათისთვის ჩამოუშორებია მისი მოკავშირე კახეთის ქორეპისკოპოსი, რომელიც აშოტ ერკათს სწორედ უტის მთავრის, მოსეს წინააღმდეგ საბრძოლველად მიმხრობია. კახეთის ხელისუფალი და უტის მთავარი მოსე ერთმანეთში მორიგებულან და ეტყობა, ერთობლივი ძალისხმევითაც დაპირისპირებიან სომეხთა მეფეს. ამავე დროს, აშოტ ერკათთან ბრძოლა დაუპირებიათ მის ძმას, იშხანაც იშხან („მთავართა მთავარ“) აბასს და „ქართველთა მთავარ გურგენს“[61], რომელიც სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ჩვენი გურგენ ეე˙ვი. ასე რომ, შესაძლოა, გურგენ ეე˙ვი აშოტ ერკათის წინააღმდეგ აჯანყებულ არა მარტო უტის მთავარ ამრამთან, არამედ უფრო ადრე მოსესთანაც ყოფილიყო დაკავშირებული. ასევე, მალე, როცა სომეხთა მეფის, აშოტ ერკათის სიძამრმა, მთავარმა საჰაკმა განიზრახა აშოტ მეფის სამფლობელოსათვის ჩამოეშორებინა უტის ოლქი, ქართველი ხელისუფალი გურგენი, ალბათ, კვლავ გურგენ ეე˙ვი, ისევ და ისევ აშოტ ერკათისა და მისი მოკავშირის, „ქართველთა მეფე“ ადარნასეს მოწინააღმდეგეთა რიგებში ჩანს[62]. ამდენად, ამ დროსაც შეიძლება ვივარაუდოთ გურგენ ეე˙ვის კავშირი უტის სამთავროსთან. გურგენ ეე˙ვი დღითი დღე ძლიერდებოდა. იგი, 918 წლიდან მაინც, მას შემდეგ რაც ეე˙ვი გახდა, ფაქტიურად აღარ ექვემდებარებოდა „ქართველთა მეფე“ ადარნასეს და მის მემკვიდრეს. გურგენ ეე˙ვი თვით ბიზანტიის კეისარსაც კი არ ეპუებოდა[63]. აშკარაა, რომ გურგენ ეე˙ვის (ასევე, მისი წინამორბედებისაც) ინტერესები უპირისპირდებოდა როგორც სომეხი ბაგრატუნების, ასევე „ქართველთა მეფეების“ პოლიტიკურ გეგმებს. გურგენი ებრძოდა როგორც ერთ, ისე მეორე მათგანსაც[64]. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, გურგენ ეე˙ვს მჭიდრო კავშირი დაემყარებინა სომეხთა მეფის წინააღმდეგ თითქმის გამუდმებით აჯანყებულ უტის ალვანურ სამთავროსთან. გურგენ ეე˙ვი IX—X სს-ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული, ძლევამოსილი ქართველი ხელისუფალი ყოფილა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს გურგენის

---

61 იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 234—235.

62 იქვე, გვ. 242—243; იხ. აგრეთვე Ստեփաննոս Օրբէլեան, გვ. 194.

63 იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

64 იხ. მაგ., იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 241; ა. აბდალაძე, ჰოვჰანეს დრასხანაკერტცისეული ვურისა და გამრთა „ქვეყნების“ კეალდაკვალ.

თანადროული არაბი ავტორის, მასუდის ერთი ცნობაც. მასუდი გურგენ ეე"ვს მეფედ იხსენიებს. გარდა ამისა. იგი მნიშვნელოვან მდინარედ მიიჩნევს რა მტკვარს, საგანგებო აღნიშვნის ღირსად თვლის, რომ მტკვარი გურგენის სამფლობელოდან მოედინება[65]. გურგენ ეე"ვი ერეოდა ლიხსიქეთის სამეფოს[66], ასევე, როგორც ჩანს, ჰერეთის სამეფოს საქმეებშიც და არაა გასაკვირი. მას უტის მთავარიც გაეხადა „ყმად", მით უმეტეს, რომ გურგენისა და უტის მთავრების ინტერესები სომეხთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმანეთს ემთხვეოდა.

როდესაც აშოტ ერკათის სიმამრმა, მთავარმა საჰაკმა დაიწყო მოქმედება უტის ოლქის სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოსაგან ჩამოსაშორებლად, დრასხანაკერტცის თანახმად, „ქართველთა მეფე" ადარნასეს დიდი მხარდაჭერა. შემწეობა აღმოუჩენია აშოტ ერკათისთვის[67]. ისმის კითხვა: რა რჯიდა „ქართველთა მეფე" ადარნასეს, რომ მას ასე ძალიან გამოუდგია თავი უტის ოლქის ამბებთან დაკავშირებით? უტის ოლქის აშოტ ერკათისგან განდგომით ადარნასეს რა დააკლდებოდა? ვერ ვიტყვით. რომ ადარნასეს, საერთოდ, სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს დასუსტება არ აწყობდა. უფრო მეტიც, დრასხანაკერტცისვე „ისტორია"-ში არის იმის დამადასტურებელი, საკმაოდ უხვი მასალები, რომ „ქართველთა მეფე" ადარნასე, როცა ამას მიზანშეწონილად ცნობდა, უპირისპირდებოდა სომხეთის ბაგრატუნ მეფეებს და მთელი მათი სამფლობელოს დაკავებაზეც ფიქრობდა. ჩვენი აზრით, უტის ოლქთან დაკავშირებით ადარნასეს ის აღელვებს, იგი სომეხთა მეფესთან ერთად იმიტომ ებრძვის უტის ხელისუფალს, რომ მისთვის ცნობილია გურგენ ეე"ვის კავშირი უტის მთავრებთან. უტის გამგებლის დაქვემდებარებით, თუ თავისი გავლენის ქვეშ მოქცევით კი გურგენ ეე"ვი კიდევ უფრო ძლიერდებოდა, რაც ადარნასე მეფეს არამც და არამც ხელს არ აძლევდა, რამეთუ გურგენის სახით იგი საშიშ მეტოქეს ხედავდა.

უტის აჯანყებული მთავრის, ამრამის დასამორჩილებლად სომხეთის მეფეს, აშოტ ერკათს დახმარებისათვის „ეგრისის", ლიხსიქეთის მეფისათვის მიუმართავს. სანამ ამგვარ ნაბიჯს გადადგამდა, ვიდრე „ეგრისის მეფეს" მიაშურებდა, აშოტ ერკათმა თურმე „გული დაიიმედა უეჭველი იმედით, რომ აღადგენდა წინანდელი სიყვარულის კავშირს, რომ იქნებ მისგან მოემკო სანუკვარი ნაყოფი. ეგრისის მე-

---

[65] იხ. В. Ф. Минорский, დასახ. ნაშრომი, გვ. 214; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 192.

[66] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 264—265.

[67] იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 242—243.

ფემ აშოტი მრავალი ძღვნითა და სიყვარულით აღსავსე გულით მიიღო, ყველაფერში თანაგრძნობა გაუწია მთელი გულით, სულითა და ძალით. შემდეგ კი დიდი დახმარება აღმოუჩინა მას"[68]... ყურადღებას იპყრობს ის ამბავი, რომ ლიხსიქეთის მეფესთან სომეხთა მეფის „წინანდელი სიყვარულის კავშირის" აღდგენა ყოფილა საჭირო, მაშასადამე, იმ ხანებში მათ შორის ურთიერთობა სახარბიელო არაა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საერთოდაც ლიხსიქეთის მეფეებსა და სომხეთის ბაგრატუნ მეფეებს შორის, ჩვეულებრივ, აშკარა დაპირისპირება, ბრძოლა, მეტოქეობა არსებობდა, მათი მორიგება იშვიათად ხდებოდა ხოლმე. უკეთუ დრასხანაკერტცისეული „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანი" გურგენი იოანე კურკუასია, მაშინ გამოდის, რომ ლიხსიქეთის მეფე სომეხთა მეფე აშოტ ერკათს, ვისთანაც იმ წლებში კარგი ურთიერთობა არც უნდა ჰქონოდა, ბიზანტიის იმპერიის ჯარის (რომელსაც სხოლათა დომესტიკი იოანე კურკუასი სარდლობდა) წინააღმდეგ ბრძოლაში მიშველებია. ისეთ პირობებში, როცა სომხეთის ბაგრატუნ და ლიხსიქეთის მეფეთა ურთიერთობა უმეტესწილად მტრული ხასიათისა იყო, ამიერკავკასიაში პირველობის მოპოვებისათვის, სახელდობრ, „ქართლსა ზედა" ბრძოლის გამო მათი ინტერესები შეუერიგებელი აღმოჩნდა, ძნელი დასაჯერებელია, ლიხსიქეთის მეფე სომეხთა მეფე აშოტ ერკათს უტის ალვანურ სამთავროში კვლავ გასაბატონებლად მიშველებოდა და ამით ბიზანტიის იმპერიას დაპირისპირებოდა. მთელი ამიერკავკასიის გაერთიანების პრეტენზიის მქონე ლიხსიქეთის მეფეებს თავისი ყველაზე უფრო საშიში მეტოქის, სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს დასუსტება, მისი დაშლა, კერძოდ, სომხეთისაგან უტის ალვანური სამთავროს ჩამოშორება აწყობდათ კიდევაც. მაგრამ ქართლისათვის, აღმოსავლეთ საქართველოსათვის ბრძოლაში ლიხსიქეთის მეფეებს უპირისპირდებოდა გურგენ ეე˘ვი და მათ პირველ რიგში სწორედ გურგენის გზიდან ჩამოცილება, მისი დამარცხება უნდა ჰქონოდათ განზრახული. როგორც ითქვა, გურგენ ეე˘ვი საკუთრივ ლიხსიქეთის საქმეებშიც ერეოდა, იგი აქტიურ პოლიტიკას ატარებდა ლიხსიქეთის სამეფოს მიმართ[69]. ამიტომაც ლიხსიქეთის მეფეებს ხელიდან არ უნდა გაეშვათ ისეთი შემთხვევები, რომლის მეშვეობითაც შეიძლებოდა ევნოთ გურგენ ეე˘ვისთვის. ყოველ შემთხვევაში, მის შემდგომ გაძლიერებას გადაღობებოდნენ წინ. ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ლიხსიქეთის მეფემ ჯარი მიაშველა სომეხთა მეფე აშოტ ერკათს აჯანყებული უტის მთავრის,

---

68 იქვე, გვ. 257.

69 იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

ამრამის დასამორჩილებლად. ლიხსიქეთის მეფეს ის უნდა აფიქრებდეს, რომ ამრამმა დახმარება სთხოვა „იშხანაც იშხან“ („მთავართა მთავარ“) გურგენს (და თავი მის „ყმადაც“ აღიარა), რომელიც ჩვენი გურგენ ეე-ვი, ლიხსიქეთის მეფის სახიფათო მეტოქე უნდა იყოს.

ვაიგივებთ რა დრასხანაკერტცისეულ „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხან“ გურგენს ცნობილ, სახელგანთქმულ ქართველ ხელისუფალთან, გურგენ ეე-ვთან, ამავე დროს, გვერდს ვერ ავუვლით კითხვას: რად იწოდება გურგენ ეე-ვი „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანად“, „მთავართა მთავრად“? დრასხანაკერტცი მას უფრო ადრეც, არაერთხელ იხსენიებს, მაგრამ ქართველთა და არა გამრთა ხელისუფლად.

გამირი ან გიმირი ასირიულ-ბაბილონურ წყაროებში კიმერიელებს ეწოდებათ. საკუთრივ კიმერიელებს გარდა ამ სახელით იხსენიებდნენ სხვა ბარბაროსებსაც. კერძოდ, სკვითური მოდგმის ტომებს. როგორც ცნობილია, კიმერიელთა და სკვითთა შემოსევები დასტურდება ამიერკავკასიის, სახელდობრ, საქართველოს მიწა-წყალზე ქ. წ. VIII—VII სს-ში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კიმერიელების ერთი ნაწილი, შესაძლოა, დამკვიდრდა კიდეც საქართველოს ამა თუ იმ ოლქში. ზოგიერთი მკვლევარი ასირიული წყაროების „გამირის ქვეყანასაც“ საქართველოში, უფრო მის სამხრეთ ნაწილში ათავსებს[70]. ფიქრობენ, რომ ამიერკავკასიაში სკვითურ-კიმერიული ტომების ბინადრობის კვალი დიდხანს შემორჩა, მათ სახელებთან დაკავშირებული ტოპონიმები კი დღემდე ცოცხლობს. ამასთანავე, კარგა ხანია გამოთქმული და გაზიარებულია მოსაზრება, რომ ქართული სიტყვა გძირი კიმერიელთა (ანუ გამირთა, გიმირთა) სახელწოდებას უკავშირდება. ისევე, როგორც სომხური ჰსკაჲ ანუ სკაჲ (რაც ბუმბერაზს, გოლიათს ნიშნავს) სკვითური ტომის — საკების სახელს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ თავის დროზე კიმერიელთა და სკვითთა გამოჩენას, მათ შემოსევებს, საზოგადოდ, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მათ მიერ ღარბეული და დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობაზე[71].

დრასხანაკერტცისეული „გამრთა ქვეყნის“ სამხრეთ საქართველოში ძიებისას უადგილო არ უნდა იყოს ყურადღების გამახვილება სწორედ სამხრეთ საქართველოს სინამდვილის ამსახველი „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებულ ისეთ ტოპონიმებზე, როგორიცაა ქიმერეთი (არსებობს გვარი ქიმერიძეც), რომელიც თორის მხარეში, ახალდაბასა და კორტანეთს შორის მდებარეობდა და რომ-

---

70 იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, ჰოვჰანეს დრასხანაკერტცისეული ეურისა და გამრთა „ქვეყნების“ კვალდაკვალ, გვ. 109 და შემდგომი; იქვე მითითებულია სათანადო ლიტერატურა.

71 იხ. იქვე, გვ. 109—110.

ლის ფუძე (ქიმერ) სიტყვა კიმერიელს უკავშირდება[72], აგრეთვე ქამრისი, რომელიც იქნებ იგივე გამრისია, ქამრასორი და სათუოდ ამოკითხული ქამარზა[73]. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტოპონიმი ქამრასორი, რომელიც შესაძლოა, იგივე გამრაძორი იყოს, რაც გამრის, გამრთა ხევს ნიშნავს. ს. ჯიქიას თანახმად, ქართული ტოპონიმებისეულ „ძ"-ს თურქები „ზ" ასოთი გადმოსცემდნენ[74]. ამდენად, „დავთარში" მოხსენიებული ქამრასორი, ალბათ, იგივე გამრასორი, რომლის პარალელური ფორმაა გამრაზორი, მიღებული უნდა იყოს გამრაძორისაგან. თუ ამგვარი ტოპონიმი ნამდვილად არსებობდა სამხრეთ საქართველოში, ეს იმას ნიშნავს, რომ თავის დროზე რომელიღაც ოლქისათვის, „ხევისათვის" გამრაძორი შეურქმევიათ გამრთა სახელის მიხედვით, რომლებიც, ალბათ, ამ ოლქში ცხოვრობდნენ. ასე რომ, დრასხანაკერტცისეული „გამრთა ქვეყანა", შესაძლოა, იგივე საკარაუდო გამრაძორიც იყოს. იქნებ, ცნობილი, სიმამაცით განთქმული, სამხრეთ საქართველოს მკვიდრთა, გამრეკელთა გვარის, თუ თავდაპირველად მათი საგვარეულო სახელის წარმოქმნაც „გამრთა ქვეყნის" სახელწოდებას უკავშირდება[75]. ეგების, დრასხანაკერტცის „ისტორია"-ში მოხსენიებული „გამრთა ქვეყანა" გამრეკელთა წინაპრებისეული სამფლობელოცაა სამხრეთ საქართველოში. მართალია, დაბეჯითებით ჭირს თქმა, თუ რა გზით უნდა იყოს მიღებული სიტყვა გამრისაგან[76] გამრეკელი, მაგრამ ეს, იქნებ, მასალათა ნაკლებობასაც, სიმწირეს დაბრალდეს[77]. ერთი მხრივ გამრეკელთა, ხოლო მეორე მხრივ საკარაუდო გამრაძორის სამხრეთ საქართველოსთან დაკავშირება, ეგების არ იყოს შემთხვევითი და მხარს უჭერდეს იმ აზრს, რომ დრასხანაკერტცის „ისტორია"-ში ნახსენები „გამრთა ქვეყნის იშხანაც იშხანი" გურგენი ქართველი მთავარი გურგენ დიდი ეე´ვია.

რაც შეეხება დრასხანაკერტცის მიერ გურგენ ეე´ვის მხოლოდ ერთხელ „გამრთა ქვეყნის" ხელისუფლად მოხსენიებას, ეს შეიძლება

---

72 იხ. იქვე, გვ. 110.

73 ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 470, 484, 494, 522, 587.

74 იქვე, გვ. 145.

75 შდრ. ი. მ ა ი ს ო ო ა ძ ე, ქართული გვარსახელები, თბ., 1981, გვ. 110.

76 სხვათა შორის, იმჟამინდელ საქართველოში საკარაუდოა კაცის სახელად გამრის, გამარის ან გმირის არსებობა. საქმე ისაა, რომ საკანის XI ს-ის წარწერაში გვხვდება მამაკაცის დაჭარაგმებული სახელი გმრ (იხ. ლაპიდარული წარწერები, II, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980, გვ. 108), რომელიც შეიძლება სხვადასხვანაირად გაიხსნას, კერძოდ, როგორც გამრი, გამარი ან გმირი (შდრ. იქვე).

77 უფრო ვრცლად იხ. ა. ა ბ ზ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 110—111.

ასე აიხსნას: მემატიანის მიხედვით, გურგენმა და უტის მოვარმა ამ-
რამმა ბრძოლაში დაამარცხეს ცნობილი მეფე აშოტ ერკათი. მეტსა-
ხელი ერკათ „რკინისას“, „რკინის კაცს“ ნიშნავს. აშოტ მეფეს ერკათი
უწოდეს მისი საოცარი სიმამაცის გამო[78]. როგორც ეტყობა, დრასხა-
ნაკერტცის სურს აშოტ ერკათის დამარცხება არაჩვეულებრივ ამბად
გამოაცხადოს. მეისტორიე კათალიკოსს უნდა დაარწმუნოს მკითხვე-
ლი, რომ სომხეთის შაჰანშაჰის, აშოტ ერკათის დამმარცხებელნი კაცს-
ახა მზეცნია, ლამის ავი სულებია, რომელთა მეშვეობით ღმერთმა
დასაჯა აშოტ ერკათი, რამეთუ მან ბოლო ხანებში „ღმრთის მსახურ-
ების სიტკბოება განაგდო“. მემატიანე ამრამზე ამბობს, რომ იგი
მეტისმეტად ღონიერი იყო და ამის გამო მეტსახელად ცლიკს ეძახ-
დნენ. სიტყვა ცულ და მისგან ნაწარმოები ცლიკ სომხურად ხარს,
მოზვერს ნიშნავს. დრასხანაკერტცის მიერ იქვე მოხსენიებული ცლი-
კის მოკავშირეები, თითქოს, ყაჩაღები, ავაზაკები ყოფილან, ხოლო
მისი მფარველი, ახალი „პატრონი“ გურგენი „გამრთა ქვეყნის“ უფა-
ლია. აქ, ამ კონტექსტში გამრები, გამირები, სახელწოდების მიხედვით
მაინც სკვითურ-კიმერიულ ტომთა ნარჩენები, ყოველ შემთხვევაში,
მათთან რაღაცით დაკავშირებულნი, დრასხანაკერტცის წარმოდგენი-
ლი უნდა ჰყავდეს, ვითარცა „კაცნი მჴეცნი, ნათესავნი დევთანი“[79].
ამიერკავკასიის ქვეყნებში მსგავსი შეხედულება გავრცელებული რომ
იყო, ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: ლეონტი მროველი-
სეული დევნი, კაცნი მჴეცნი, იგივე ქაჯნი[80] მსგავსებას ამჟღავნებენ
სიტყვა გმირის ადრინდელ შინაარსთან. სულხან-საბას განმარტებით.
გ მ ი რ ი „კაცი არს დიდი და საზარელი ტანითა და საქმითაცა მეტი
და გარდარეული ძალითა, ბ უ მ ბ ე რ ა ზ ი — უმცირეს მათსა, უდი-
დეს და უმჯნეს ჩვენსა“[81]. გმირთა შესახებ ასეთივე შეხედულებისაა
ვახუშტი ბატონიშვილიც. მისი სიტყვით, „ჩ ხ ი კ უ თ ი ს სამჯრით არს
ეკლესია ს ა მ ე ბ ა, წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი,
არამედ საკურველი, რამეთუ დიდროვანითა ლოდითა შენი, რ ო მ ე-
ლ ი კ ა ც თ ა გ ა ნ ა რ ა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ა რ ს მ ი ს ი ქ მ ნ ა.
რ ო მ ე ლ ი ა ვ ლ ი ა ზ ღ უ დ ე დ... ძუელად იწოდა გ მ ი რ თ-ნ ა-
კ უ ე თ ი, და იყო ციხე, ხოლო აწ ეკლესია“[82].

---

78 Հայ ժողովրդի պատմություն. III, გვ. 40.

79 იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი.

80 იხ. იქვე, გვ. 112—113.

81 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, 1, თბ., 1966, გვ. 161, შდრ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 6—7.

82 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 326; ხაზგასმა ჩვენია.

შოთა რუსთაველი, როგორც ეტყობა, ერთგან ქაჯებს გმირებს უწოდებს. ნესტან-დარეჯანი წერს ფატმანს:

„შენ ორთა დამხსენ გრძნეულთა, გამიადვილე ჰირები,
აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები:
ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრჯელ ათასი გმირები,
ავად მომიხდა თათბირი და ჩემი დანაპირები!“[83]

რუსთაველის თანახმად, ქაჯები ერთი მხრივ, გრძეულნი არიან, ხოლო, ამავე დროს ისინი, გმირებია (ამ სიტყვის ადრინდელი შინაარსით). რაკი ლეონტი მროველისეულ, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნისეულ“ ქაჯებსა და ძველი გაგებით გმირებს შორის შეიმჩნევა ერთგვარი ნათესაობა, ხოლო სიტყვა გმირი კიმერიელთა (გამირთა, გიმირთა) სახელწოდებისაგან მომდინარეობს და მოსალოდნელია, უძველეს დროს გმირები მათთანვე გაეიგივებინათ, ამიტომ ქართულ ძეგლებისეულ ქაჯებში, შესაძლოა, სკვითურ-კიმერიული ტომების ნაშთებიც იგულისხმებოდეს. სკვითურ-კიმერიული ტომების ნარჩენებზე, რომლებიც ქაჯებად უნდა მოენათლათ, ჩვენში საუკუნეების მანძილზე შეიქმნებოდა გადმოცემები, რაც ქართულ წერილობით ძეგლებშიც აისახა. ლეონტი მროველისეული, აგრეთვე ნაწილობრივ „ვეფხისტყაოსნისეული“ ქაჯებისა და იმ თვისებებს შორის, რომლითაც, საზოგადოდ, ახასიათებდნენ სკვითურ-კიმერიულ ტომებს, მსგავსებები საკმაოდ შეიძლება აღმოჩნდეს. ცხადია, იქნება განსხვავებებიც, რამეთუ საუკუნეების მანძილზე წარმოდგენები იცვლებოდა და ბევრი რამ ბურუსში გაეხვევოდა. საერთოდ, ქართველები ქაჯებად ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს რომ მიიჩნევდნენ, ეს, თითქოს, სადავო არ უნდა იყოს[84]. ჩვენი აზრით, მათ შორის სკვითურ-კიმერიული ტომების ნაშთებს (რომლებიც ამიერკავკასიის ხალხებს, შესაძლოა, ირანელებთანაც გაეიგივებინათ) თვალსაჩინო ადგილი უნდა ეჭიროთ.

როგორც უკვე ითქვა, ქართველი ხელისუფლის, გურგენ ეე´ვის სამფლობელო, მისი ძალაუფლება დღითი დღე იზრდებოდა. საფიქრებელია, მას იმთავითვე თუ მოგვიანებით დაექვემდებარა საქართველოს ის კუთხეც, რომელსაც X ს-ში თუ აღარ, უფრო ადრე მაინც „გამრთა ქვეყანასაც“, „გამრთა ხევსაც“ უწოდებდნენ. სამეცნიერო

---

83 შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957, გვ. 266 (1286-ე სტროფი).

84 იხ. მაგ., თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1957, გვ. 79, 80, 87; 91—93 და სხვაგანაც; ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 413; დ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 126; ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დრასხანაკერტცი, საზოგადოდ, ხშირად იყენებს წინადროინდელ ისტორიულ-გეოგრაფიულ სახელწოდებებს[85]. რახან დრასხანაკერტცი არ ფარავს თავის ანტიპათიას უტის მთავრის ამრამისა და მისი მფარველი გურგენის მიმართ (რომელიც, ეტყობა, ალვანური ოლქებისთვისაც უპირისპირდებოდა სომეხთა მეფეს), ბუნებრივია, მემატიანეს ისინი ყაჩაღების, ავაზაკების, კაცსახა მხეცთა, ქაჯთა ხელისუფლადაც გამოეცხადებინა. დრასხანაკერტცის წარმოდგენით, სწორედ ასეთნი უნდა ყოფილიყვნენ გამრებიც.

საზოგადოდ, ქართველ-სომეხი მეფე-მთავრების, ქართულ-სომხური ეკლესიების საუფლოს მპყრობელთა ცდები, თავიანთი გავლენისათვის დაექვემდებარებინათ ალვანეთი, მისი ქრისტიანული ოლქები, არა ერთი და ორი საუკუნის მანძილზე შეიმჩნევა. ალვანეთისაკენ მათი ლტოლვის დასტურია საქართველოსა და სომხეთში გავრცელებული იმგვარი შეხედულებაც, რომლის თანახმად, ალვანეთი ყოველგვარი სიკეთით შემკული ქვეყანა ყოფილა. მოვსეს ხორენაცის მიხედვით, „ქვეყანას ალვანეთი დაერქვა მისი კარგი ჩვეულებების გამო, რამეთუ საამოს ეძახდნენ მას“[86]. სომხური მწერლობის ძეგლებში ალვანეთს „აღუანქ“, „აღვანქ“ ეწოდება. ხორენაცის ეს სახელი გამოჰყავს სიტყვიდან *աղու* („აღუ“), რაც ნაზს, სასიამოვნოს, საყვარელს ნიშნავს. ასევე ზემოთ უკვე ხსენებული, მაღალაშვილისეული სახარების ანდერძ-მინაწერში ალვანეთი სავანედაა გამოცხადებული: ...„ქართლის ცხორება[ჲ] და ცხორება[ჲ] ალვანიისა, ესე იგი არს ს ა ვ ა ნ ი ს ა ჲ“[87]. თუკი ქართველებსა და სომხებს ჰქონდათ ამგვარი წარმოდგენა ალვანეთის შესახებ, ბუნებრივია, ასევე მიიჩნევდნენ თვით ალვანელებიც და მოგვიანებით ალვანეთში ჩამოყალიბებული აზერბაიჯანელი ხალხის შვილებიც. იქნებ, ტრადიციის გავლენითაც აიხსნება, რომ ა. ბაკიხანოვის სიტყვით, შირვანი თურმე საუკეთესო მხარეა მთელს კავკასიაში[88].

როგორც ზემოთაც ითქვა, სომხური ეკლესიის „მამამთავრებმა“ მოახერხეს საერთო ენის გამონახვა, მორიგება სპარსელ და არაბ ხელისუფლებთან და მათი მხარდაჭერითაც ისწრაფოდნენ დაექვემდებარებინათ ალვანური ეკლესია, თუმცა ქართული ეკლესიაც ძველთა-

---

[85] იხ. Ռ. Մ ա ք ա ռ ո ս յ ա ն, Տաշիր-Զորագետ, ե., 1982, გვ. 18, შენ. 9.

[86] մ ո վ ս ե ս ։ ։ ո ր ե ն ա ց ի, სომხეთის ისტორია, ა. აბდალაძის გამ., გვ. 106; იხ. აგრეთვე Հ. Հ ա կ ո բ յ ա ն, Ուղեգրություններ, I, ե., 1932, გვ. 10; მსკი, 1942, ნაკვ. V, გვ. 169.

[87] იხ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, II, გვ. 315; ხაზგასმა ჩვენია.

[88] А. Б а к и х а н о в. Гюлистан-Ирам, Баку, 1926, გვ. 3.

განვე უწევდა მეტოქეობას სომხურ ეკლესიას ალვანური ოლქებისათვის. ქართული წყაროების სათანადო მონაცემებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით მოვსეს ხორენაცის თანახმად, ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოს ქრისტიანული სარწმუნოება „კასპიის კარებამდე", ე. ი. დარუბანდამდე უქადაგნია[89]. ტენდენციური სამოსის ჩამოცილების შემდეგ ხორენაცის სათანადო ცნობაში ალვანეთში ადრეული ხანებიდანვე ქართული ეკლესიის აქტიურობის ასახვა შეიძლება დავინახოთ[90].

ალვანური ეკლესია საუკუნეების მანძილზე ცდილობდა სომხური ეკლესიისაგან გამოყოფას, მისგან ჩამოშორებას, მაგრამ სომხური ეკლესიის „მამამთავარნი" ყოველ ღონეს მიმართავდნენ თავიანთი გავლენის შესანარჩუნებლად ალვანთა ქვეყანაში[91]. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სომეხთა კათალიკოს ეღია (ელია) I-ის (703—717) მიერ ქალკედონური მრწამსისაკენ (ბიზანტიის იმპერიისაკენ) გადახრილი ალვანთა კათალიკოსისა და ალვანეთის დედოფლის დასმენა ხალიფას წინაშე. სომეხთა კათალიკოსი წერს ხალიფას: „აწ, ის, ვინც ალვანთა კათალიკოსია და ბარდავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა კეისარს, იხსენიებს მას ლოცვებში და აიძულებს ქვეყანას, მისი თანაალმსარებელნი და თანამოაზრენი გახდნენ. უწყოდეთ თქვენ ამის შესახებ და ნუ გამოიჩენთ უყურადღებობას, რამეთუ ერთი დიდგვაროვანი ქალბატონიც თანამოსაგრეა მისი. თქვენი დიდი უფლებამოსილებით ბრძანეთ თავიანთ საქმეთა შესაფერისად იმათი დასჯა, ვინც განიზრახა შესცოდოს ღმერთს"[92].

აღსანიშნავია, რომ სომხეთში ამ ამბებს დიდი გამოხმაურება მოჰყოლია, დიდი კვალიც დაუტოვებია სომხეთის, სომხური ეკლესიის ცხოვრებაში, რამდენადაც მსგავს ცნობებს არაერთი სომეხი მემატიანე იმეორებს. რაც შეეხება არაბთა ხალიფას, მას, თითქოს, ასე უპასუხია სომეხთა კათალიკოსისათვის: „ღვთის კაცო, ეღია. სომეხთა

---

89 მ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი, გვ. 172.

90 ალვანეთში ქართული ეკლესიის შეღწევასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 75; მ ი ს ი ვ ე, Из исторической географии Восточной Грузии, გვ. 62—63; თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, გვ. 78, 79, 92, 227.

91 იხ. მაგ., З. М. Бунятов. Азербайджан в VII—IX вв., გვ. 11, 29, 57, 92—95, 97, 99—101; Т. М. Мамедов. Албания и Атропатена по древнеармянским источникам (IV—VII вв.), Баку, 1977, გვ. 69—70; R. Grousset. Histoire de l'Armenie des origines a 1071, Paris, 1947, გვ. 390—391.

92 Մովսէս Կաղանկատուացի, გვ. 295—296; Мовсэс Каланкатуаци. გვ. 149; შდრ. მ ო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ა ც ი, გვ. 139.

ნათესავის კათალიკოსო, წავიკითხე შენი, ერთგულების [გამომხატველი] წერილი და მადლიერების ნიშნად გიგზავნი ჩვენს კეთილსინდისიერ მონას დიდძალი ჯარით. ვბრძანებთ, ჩვენი ხელისუფლებისადმი [...] გადგომილი ალვანელები შენს სარწმუნოებაზე მოიქცნენ. ჩვენს გადაწყვეტილებას [მათ მიმართ] ბარდავში შენს თვალწინ აღასრულებს ჩვენი მონა, ხოლო ნერსესს[93] და მის თანამოაზრე ქალს რკინის ბორკილებს დაადებს, შეურაცხყოფილთ მოიყვანს სამეფო კარზე, რათა ყოველ აჯანყებულს ჰკუა ვასწავლო მათ მაგალითზე". მართლაც, სომეხთა კათალიკოს ეღიას არაბთა სახალიფოსა და ხალიფას ერთგულ ალვანელ ხელისუფალთა მხარდაჭერით მოუხერხებია ქალკედონიანობაზე მოქცეული ალვანელების დასაჯა და ალვანური ეკლესიის კვლავ დაქვემდებარება[94].

სომხური ეკლესია ამის შემდეგაც ცდილობდა თავისი პოზიციის განმტკიცებას ალვანეთში. ნიშანდობლივია, რომ X ს-ის შუა ხანებისათვის ჰერეთის (რომელიც აერთიანებდა როგორც ქართულ, ასევე ალვანურ ოლქებსაც) სამეფო კარი და ალვანური მოსახლეობა მონოფიზიტური, „სომხური სარწმუნოების" აღმსარებელი ყოფილა. იმავე ხანებში დინარ დედოფლისა და როგორც ჩანს, მისი ძმის, გურგენ ეე-ვის მცდელობით ჰერეთის სამეფო კარი და მონოფიზიტური ოლქების მოსახლეობა „ქართულ რჯულზე" მოქცეულა. საყურადღებოა, რომ ჰერეთის მოქცევა და გიორგი მერჩულეს ცნობილი დებულება („ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების"...) ერთმანეთის თანადროულია. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეტყობა, გიორგი მერჩულეს ღრმად გააზრებული, ღრმაშინაარსიანი დებულების შექმნის IX—X სს-ში ქართული ეკლესიის მანამდე არნახულმა წარმატებებმა, კერძოდ, „ქართულ რჯულზე" ჰერეთის მოქცევამაც შეუწყო ხელი. აქედან ის დასკვნაც შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ჰერეთის მოქცევის საქმეში დინარ დედოფალთან და ალბათ გურგენ ეე-ვთან ერთად ქართულ ეკლესიასაც უნდა მიუძღოდეს დიდი წვლილი. IX—X სს. ხომ ქართული ეკლესიის საოცარი აღმავლობის, გაძლიერების, აღმასვლის ხანაა და მისთვის დამახასიათებელი „მდუღარებაჲ სულისაჲ" ჰერეთის სამეფოს ალვანურ, მონოფიზიტურ მხარეებშიც გადმოღვრილა.

სომხური ეკლესია სულაც არ შერიგებია ჰერეთის სამეფოს ხელისუფალთა და ალვანური ოლქების მართლმადიდებლობაზე, „ქართულ სარწმუნოებაზე" მოქცევას. სომეხთა კათალიკოსმა ანანია I-მა

---

93 ნერსესი ალვანთა კათალიკოსი იყო 689—706 წლებში.

94 Մովսէս Կաղանկատուացի, გვ. 296—311; მ ო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ა ც ი, გვ. 139—144.

(946—968) ყველაფერი იღონა ჰერეთის სამეფოში სომხური ეკლესიის გავლენის კვლავ აღსადგენად, მონოფიზიტობის განსამტკიცებლად[95]. მართალია, მან მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ სომეხთა კათალიკოსის მცდელობის შედეგადაც უნდა მომხდარიყო, რომ მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ალვანური ოლქები მონოფიზიტობას, „სომხურ სარწმუნოებას“ შერჩნენ, აქ ქალკედონიანობამ, „ქართულმა რჯულმა“ ფეხი ვერ მოიკიდა. ამის გამო ეს ოლქები თანდათანობით, საბოლოოდ ჩამოშორდნენ ჰერეთის სამეფოს, ქართულ სამყაროს და მათი ალვანური მოსახლეობა ნელ-ნელა ან გამაჰმადიანდა („გათათრდა“), ანდა გასომხდა.

ქართველ, ასევე სომეხ ხელისუფალთ X—XI სს-ში ალვანური ოლქებისათვის ბრძოლა უხდებოდათ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მაჰმადიანურ პოლიტიკურ ერთეულებთან, სახელდობრ, განჯის შადადიან ამირებთან და შირვანშაჰებთან[96]. როგორც უკვე აღინიშნა, ჰერთა მეფეები „რანთა მეფის“ ტიტულს ატარებდნენ. ასევე, ჰერეთის კახეთთან შეერთების შემდეგ „რანთა და კახთა მეფის“ ტიტული მიიღეს კახეთ-ჰერეთის მეფეებმა. „რანთა მეფის“ ტიტული გაჩნდა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის ტიტულატურაშიც. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან II-ის (დაახლ. 1058—1084) სამეფოს არაბულ წყაროში ეწოდება „ქვეყანა შაქისა და ჯურზანისა“, სხვაგან კიდევ იგივე აღსართანი მოხსენიებულია „მეფედ გურჯთა და შაქელთა“. ქართული წყაროების „რანთა და კახთა სამეფოს“, ე. ი. „ჰერთა და კახთა“ სამეფოს არაბულ წყაროებში შეესაბამება „სამეფო შაქისა და ჯურზანისა“[97]. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველი ხელისუფალნი მთელი ალვანეთის, ყოველ შემთხვევაში, მისი ქრისტიანული ნაწილის დასაკუთრებაზე აცხადებდნენ პრეტენზიას. თა-

---

95 იხ. ჟურნალი „Արարատ“ 1897, გვ. 129—144; თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, გვ. 203—209. სტ. ორბელიანის მიხედვითაც (გვ. 274—286), X ს-ის შუა ხანებისათვის სომხურ-„ალვანური“ ეკლესიების ურთიერთობა ერთობ გამწვაეებული, საქმე იქამდე მისულა, რომ ამ „ეკლესიათა დიდი ომი“ გაჩაღებულა. ანანია I-ს ისტორიული „კანონზომიერების“ დასაცავად მატიანის — „ალვანეთის ისტორიის“ მონაცემების გამოყენებაც უცდია, რამდენადაც ეს ძეგლი ძლიერი არმენოფილური ტენდენციის შემცველი იყო.

96 იხ. მაგ., პ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 185 და შემდგომი: Д. Мусхелишвили, დასახ ნაშრომი, გვ. 47—50; Очерки истории СССР. IX—XIII вв., М., 1953, გვ. 648; М. Шарифли, დასახ. ნაშრომი, გვ. 26—29; Ռ. Մարգվանյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—104.

97 იხ. Д. Мусхелишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

ნამედროვეთა წარმოდგენით, ალვანური ოლქების საქართველოსთან შერწყმაც მომხდარა.

X—XI სს-ის ალვანეთში თანდათან უფრო და უფრო მეტი ქრისტიანი მაჰმადიანდებოდა („თათრდებოდა"). ეს იმის შედეგადაც ხდებოდა, რომ ალვანურმა ეკლესიამ ამ დროისათვის დაჰკარგა თვითმყოფადობა, მან თავისდაუნებურად, სომხური ეკლესიის დაწოლის შედეგად, სომხური იერი მიიღო. ასეთ ვითარებაში შედარებით გაადვილდა ქრისტიან (მონოფიზიტ) ალვანელთა მოქცევა, ერთი მხრივ, „ქართულ რჯულზე", ხოლო, მეორე მხრივ, მათი გამაჰმადიანებაც. ქართველი ხელისუფალნი, ბუნებრივია, ვერ შეურიგდებოდნენ მეზობელ, ქრისტიან ალვანელთა მასობრივად გამაჰმადიანებას, რამდენადაც ამით საფრთხე ექმნებოდა თვით საქართველოსაც. ამიტომაც ებრძოდნენ ისინი X—XI სს-ში და შემდგომშიც განჯის ამირებსა და შირვანშაჰებს ქრისტიანული ალვანური ოლქებისათვის. ერთი სიტყვით, ქართველ მეფე-მთავრებს X—XI სს-შიც ალვანეთისათვის ბრძოლაში ქრისტიანობის დროშაც უნდა წაემძღვარებინათ წინ. აღსანიშნავია, რომ XI ს-ში ქართველ მეფეებს განჯის ამირებისა და შირვანშაჰების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩრდილო კავკასიელი მთიელებიც უნდა ჩაებათ. სწორედ ქართველ ხელისუფალთა ინიციატივითაც უნდა ხდებოდეს, რომ ალანები (ოსები) არბევდნენ განჯის ამირებისა და შირვანშაჰების სამფლობელოებს XI ს-ში[98].

ქართველი მეფე-მთავრები X—XI სს-ში უფრო მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე ქრისტიანული ალვანური ოლქებისათვის ებრძოდნენ მეზობელ მაჰმადიან მფლობელებს, ხოლო სომეხი ხელისუფალნი — მტკვრის მარჯვენა მხარის ალვანური მიწა-წყლისათვის. ამ მხრივ უკვე XI საუკუნისათვის შედეგები თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო. ალვანური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გაქართველებულიყო, ალვანურ ოლქებში ქართული მოსახლეობა უნდა გაჩენილიყო. მოსალოდნელია, მაგ., რომ ამ დროისათვის შირვანში არსებობდა ტოპონიმი გურჯივანი, სადაც, თითქოს, ქართველებს უცხოვრიათ[99]. ასევე, ყურადღებას იპყრობს შედარებით გვიანდელ წყაროებში სოფელ ჭალეთისა და ამავე სახელწოდების მონასტრის მოხსე-

---

[98] იხ. მაგ., В. Минорский, დასახ. ნაშრომი, გვ. 54, 75, 145; М. Шарифли, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

[99] В. Минорский, დასახ. ნაშრომი, გვ. 33—34.

ნიება შაქის აღმოსავლეთ საზღვართან თუ ყაბალის ოლქში[100]. დაბეჯითებით ძნელია თქმა, თუ როდის უნდა გაჩენილიყო ქართული სახელის მქონე სოფელი და მონასტერი (ჭალეთი) შაქის აღმოსავლეთ ნაწილში ან ყაბალის მხარეში, მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით ნიადაგი მაინც ჯერ კიდევ X—XI სს-ში უნდა მომზადებულიყო.

შაქ-შირვანში შეღწევისას, აქაური ქრისტიანი, მონოფიზიტი ალვანელების „ქართულ რჯულზე" მოქცევისას ქართულ ეკლესიას ბრძოლა უხდებოდა არა მარტო მაჰმადიანურ გარემოცვასთან, არაშედ, როგორც უკვე ითქვა, სომხურ ეკლესიასთანაც. ეტყობა, ეს ბრძოლა X—XI სს-ის შემდეგაც გრძელდებოდა. ამის დასტურია ზემოთ არაერთხელ ნახსენები მაღალაშვილისეული სახარების 1310 წლის ანდერძ-მინაწერიც. მასში მოხსენიებულია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ექვთიმე, რომლის დავალებით ქურმუხის მთავარეპისკოპოსი ისტორიული ალვანეთის ოლქების მიმართაც იჩენს მზრუნველობას, მაგრამ როგორც ჩანს, ამ გზაზე სომეხთა, სომხური ეკლესიის წინააღმდეგობას, მეტოქეობას აწყდება: ...„ამან სანატრელმან ექუთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეფისკოპოსსა და ყოვლისა მთეულისა წინამძღუარსა კჳრილე დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თუითეულისათჳს ეკლესიისა. მეცა გარდავაწერინენ კაკისა წმიდისა ბარბარეს ტაძრისა მღდელსა იასე ქიტიაშვილსა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა და წარვგზავნენ საყდართა, მონასტერთა და შჳდთა სასწავლელთა თავსმდგომთადმი და ვუბრძანე სწავლებად სჯული ჭეშმარიტი და ფილასოფოსება[ჲ], მამათა ცხორება[ჲ], ქართლისა ცხორება[ჲ] და ცხორება[ჲ] ალვანიისა, ესე იგი არს სავანისაჲ, რომელი დაწერა პეტრე ლაგაძემან და ვინმე სომეხმან გა[დაიღო] იგი. და საკუთრად დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩუეულებისამებრ"[101]. სომეხთა მიმართ ასეთი გაცხარებული ტონი, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სწორედ იმითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ ქართულ-სომხური ეკლესიები საუკუნეების მანძილზე ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ალვანეთისათვის ბრძოლაში.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ XII ს-ის პირველი ნა-

---

100 იხ. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.), ა. აბდალაძის გამოცემა, თბ., 1978, გვ. 48, 101, 148—149; Մայր ցուցակ ձեռագրաց սրբոց Յակոբեանց, կազմեց Ն. Պողարեան, IV, Երուսաղեմ, 1969, გვ. 293, 295; ტ. V, 1971, გვ. 248.

101 მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205—206; კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, გვ. 314—315; ხაზგასმა ჩვენია.

ხევრის სონეხი მემატიანე მათეოს ურჰაეცი სომხური სამეფოს, ტაშირ-ძორაგეტის (რომელიც XII ს-ის პირველ მეოთხედში დაეცა) მეფეებს ალვანთა მეფეებს უწოდებს. ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ტაშირ-ძორაგეტის სომეხმა, ბაგრატუნმა მეფეებმა, ე. წ. კვირიკიანებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ალვანური მიწა-წყლის შემოერთების საქმეში. ამ მიმართულებით მათი და განჯის შაღადიან ამირათა ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდნენ[102]. მტკვრის მარჯვენა მხარის ალვანური ოლქებისათვის განჯის ამირა ფადლონს უპირსპირდებოდა, ებრძოდა ანის-შირაკის მეფე გაგიკ I-ც. ფადლონს და გაგიკს 1003 წელს ერთმანეთში გაუყვიათ აღნიშნული ოლქების ერთი ნაწილი[103].

ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფო ძირითადად სწორედ ქართულ და ალვანურ მიწა-წყალზე იყო გადაჭიმული. მაგრამ გაძლიერებული საქართველოს მეფეებმა კვირიკიანებს თანდათანობით ქართული მხარეები ჩამოართვეს და მათ მხოლოდღა მტკვრის მარჯვენა მხარის ალვანური ოლქების ერთი ნაწილი შერჩათ. ამიტომაც უწოდებს მათეოს ურჰაეცი კვირიკიან მეფეებს ალვანთა მეფეებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: გარკვეული მიზეზების გამო არაბთა ბატონობის შედეგები გაცილებით მძიმე აღმოჩნდა ალვანეთისათვის, ვიდრე სომხეთისათვის და მით უფრო საქართველოსათვის. ამან გამოიწვია ის, რომ არაბთა ბატონობის დასუსტებისა და გადავარდნის შემდეგაც ალვანეთში ერთობ მომრავლდნენ და მტკიცედ მოიკიდეს ფეხი მაჰმადიანურმა პოლიტიკურმა ერთეულებმა. ასეთ ვითარებაში ალვანეთში IX—XI სს-ში არ შექმნილა ძლიერი ალვანური სამეფო-სამთავროები, თუმცა საამისო ცდები ამ ქვეყანაშიც შეიმჩნევა. ალვანელთა ეროვნების ჩამოყალიბების პროცესი თანდათან შეფერხდა და შეწყდა, მას ალვანეთის მიწა-წყალზე აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბების პროცესი შეენაცვლა. ძველ ალვანელთა დიდი ნაწილი გამაჰმადიანდა („გათათრდა") და აზერბაიჯანელი ხალხის შემადგენლობაში მოექცა. ასევე, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი X—XI საუკუნეებიდანვე გაქართველდა ან გასომხდა, რაც, ცხადია, გარკვეულწილად უფრო ადრეულ ხანებშიც და მოგვიანებითაც ხდებოდა. შემდგომში, როცა ამიერკავკასიაში აღარ არსებობდა სომხური სახელმწიფო, სომეხთა კათალიკოს-პატრიარქების რეზიდენცია, სატახტო

---

102 ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. Ռ. Մարգարյան, დასახ. ნაშრომი, 100—104; Լեո, დასახ. ნაშრომი, გვ. 632.

103 იხ. Очерки истории СССР, IX—XIII вв., გვ. 648.

ადგილიც ისტორიული სომხეთის საზღვრებს მიღმა მდებარეობდა და გაერთიანებული, ნიკოფსიიდან დარუბანდამდის გადაჭიმული საქართველოს სამეფოც მტრის ველური ურდოების უთვალავი შემოსევების შედეგად დაიშალა, წელში გაწყდა, გაქართველებული თუ გასომხებული ალვანელების უმრავლესობაც გამაჰმადიანდა („გათათრდა") და აზერბაიჯანელ ხალხს შეერწყა.

თავი მეხუთე

სომხეთი IX—XI საუკუნეებში და მისი ადგილი ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში

IX—XI სს-ის სომხეთის შესახებ ჩვენ გზადაგზა ზემოთაც ვსაუბრობდით და ამიტომ აქ იძულებული ვხდებით, ზოგიერთი რამ გავიმეოროთ, მაგრამ ძალზე მოკლედ შევეცდებით ამის გაკეთებას. როგორც უკვე აღინიშნა, არაბთა ბატონობის შედეგები სომხეთისათვის უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე საქართველოსთვის. ამის მიზეზს, ჯერ ერთი, წარმოადგენდა ის, რომ სომხეთი ტერიტორიულად სახალიფოს ცენტრალურ რაიონებთან უფრო ახლოს მდებარეობდა (სომხეთი უშუალოდ ესაზღვრებოდა მაჰმადიანურ სამყაროს), ვიდრე საქართველო და სახალიფოსთვის სომხეთს მეტი მნიშვნელობა მიენიჭა. მეორეც, არაბთა ბატონობის წინააღმდეგ სომეხთა ბრძოლას არ მიუღია ისეთი მასშტაბი და საყოველთაო ხასიათი, როგორც ეს ჩვენში, საქართველოში მოხდა. დამპყრობლებთან ურთიერთობაში საბრძოლო სულისკვეთების მოდუნებაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ სომხეთში პოპულარული გახდა სახარების სიტყვები: „რაჟამს გდევნიდნენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ სხუად“[1]. მაცხოვრის ამ სიტყვების ატაცებით სომეხი მემატიანეები[2], არსებითად, მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლის ჟინს კი არ უღვივებდნენ თანამემამულეებს, არმედ, პირიქით, იმგვარ აზრს უნერგავდნენ მათ, რომ ბრძოლის გარეშე მიეტოვებინათ თავიანთი მშობლიური მხარე, მიწა-წყალი და გადახვეწილიყვნენ იქ, სადაც საკუთარი ტყავის თუ ქონების გადარჩენა შეიძლებოდა[3]. თომა არწრუნის თანახმად, სომხებს მიაჩნდათ, რომ ისინი, სულ ერთია ვერ გაუმკლავდებოდნენ არაბებს. თომა არწრუნის გამგრძელებლის შეხედულებით, სომხებს ბრძოლა კი არ უნდა გაემართათ საჯიდებისათვის, არამედ მორჩილად უნდა ეძლიათ

---

[1] მათე, 10:23.

[2] იხ. მაგ., Թովմա Արծրունի և Անանուն, გვ. 310; ՅՈՎՀԱՆԵՍ ԴՐԱՍԽԱՆԱԿԵՐՏԵԼԻ, გვ. 273.

[3] შდრ. Լ. Բարայան, დასახ. ნაშრომი, გვ. 80—81.

ᲩᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲙᲘ, რამეთუ უფალმა ასე ბრძანაო[4]. მსგავსი მასალები ზემოთაც მოვიტანეთ და ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ნათელია, რომ სომხეთში საბრძოლო სულისკვეთება თანდათან ეცემოდა, სუსტდებოდა, ხოლო გამდიდრების, ფულის შოვნის (აღსანიშნავია, რომ არაბთა ბატონობამ გარკვეული დროიდან მოყოლებული სახალიფოს უზარმაზარ ტერიტორიაზე ვაჭრობა ერთობ გამოაცოცხლა) ჟინი, ვაჭრული სული უფრო და უფრო მეტად ძლიერდებოდა[5]. ამის გამოც მოხდა, რომ არაბებმა შეძლეს სომხეთში გაცილებით მტკიცედ მოეკიდებინათ ფეხი, ვიდრე საქართველოში, სადაც ვაჭრული, ჩარჩული სულისკვეთება ი მ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ფესვგადგმული არ ყოფილა. როგორც ცნობილია, ქართველთა ეროვნული „სახარების“ დამწერი შოთა რუსთაველი აშკარად ანტიპათიას ამჟღავნებს ვაჭრებისა და მათი ფსიქიკის მიმართ.

ისიც უნდა ითქვას კიდევ ერთხელ, რომ როგორც ჩანს, არაბთა სახალიფო თითქმის იმთავითვე სომხეთსა და ალვანეთში გაბატონებას მაინც შედარებით უფრო საშურ საქმედ მიიჩნევდა, ვიდრე საქართველოში. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში სახალიფოს ბატონობა საერთოდაც ფრიად ხანმოკლე, უდღეური გამოდგა. სახალიფოს ხელისუფლებასაც მაინცდამაინც დაჟინებით, საუკუნეების მანძილზე არ უცდია დასავლეთ საქართველოში გაბატონება. ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არაბებს არც მთელი თავისი ძალები გადაუსვრიათ დასავლეთ საქართველოში საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით. როგორც ითქვა, სომხეთი, ასევე ალვანეთიც, უშუალოდ ეკვროდა მუსლიმანურ სამყაროს, საქართველო კი ამ მხრივ შედარებით განსხვავებულ, რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მართალია. სახალიფოს დამპყრობლურ პოლიტიკაში სომხეთ-ალვანეთთან ერთად დიდხანს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აღმოსავლეთ საქართველოსაც, კერძოდ, თბილისის საამიროში შემავალ ქართულ ოლქებსა და დარიალის გასასვლელს, დარიალის ხეობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხაზარებისა და ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში სახალიფოს ხელისუფლება, როგორც ეტყობა, სომხეთსა და ალვანეთში თავისი პოზიციების განმტკიცებას მაინც უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე იბერიაში[6]. ასევე, დარიალზე ძვირად არაბებისათვის,

---

[4] Թովմա Արծրունի և Անանուն, გვ. 152, 288; იხ. აგრეთვე Գ. Գրիգորյան, Տարոնի Բագրատունիների իշխանությունը IX—X դարերում, Ե., 1983, გვ. 49.

[5] იხ. მგ., Լ ե ռ, დასახ. ნაშრომი, გვ. 500.

[6] იხ. А. Тер-Гевондян. Армения и арабский халифат, გვ. 85, 90.

თითქოს, დერბენდის გასასვლელი ფასობდა[7]. რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის სხვადასხვა ქვეყნების მიმართ სახალიფოს პოლიტიკის განსხვავებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ის გარემოება, რომ არაბები VIII—IX სს-ში ქართველებისგან გაცილებით ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ, ვიდრე სომხებისა და ალვანელებისაგან.

მთავარი მიზეზი არაბთა სახალიფოს მიერ სომხეთისადმი განსაკუთრებული ინტერესის გამოჩენისა მაინც ის უნდა იყოს, რომ ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ არაბების გაცხარებული ომების, თითქმის განუწყვეტელი შეხლა-შემოხლის ეპოქაში[8] სომხეთი სახალიფოსათვის სამხედრო, სტრატეგიულ ფორპოსტს, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საყრდენს წარმოადგენდა. ბიზანტიის საზღვარზე, ე. წ. სასაზღვრო ზონაში სახალიფოს ყურადღება უპირატესად სამ ქვეყანაზეა მიპყრობილი. ესენია: ასურეთი, უფრო სწორად, მისი ჩრდილო ნაწილი, ზემო შუამდინარეთი (ჯაზირა) და სომხეთი[9]. ამის გამოც სახალიფოს ხელისუფლება ყოველი ღონით ცდილობდა სომხეთში თავისი ძალაუფლების განმტკიცებას და სომხეთის ეკლესიისა თუ საერო ზედაფენის ერთი ნაწილის სახით შედარებით საიმედო დასაყრდენიც გაიჩინა. ამგვარი ვითარების შედეგია, რომ სომეხი ბაგრატუნები ხშირად სახალიფოს კეთილგანწყობილებით სარგებლობდნენ და მათი ძალაუფლებაც თანდათან მტკიცდებოდა სომხეთში.

როგორც ზემოთაც ითქვა, IX ს-ის მეორე ნახევარში აშკარად დასუსტებული ხალიფები იძულებული გახდნენ გარკვეულ დათმობაზე წასულიყვნენ სომხეთის ხელისუფალთა, პირველ რიგში, ბაგრატუნების მიმართ, ოღონდ კი შესძლებოდათ სომხეთის შენარჩუნება. სწორედ ამდაგვარ პირობებში მოხდა, რომ სახალიფოს ნებითა თუ თანხმობით სომხეთის მთავარი აშოტ I ჯერ, 862 წ. სომხეთის მთავართა მთავარი გახდა, ხოლო 884/85 წ. აღდგენილ იქნა V ს-ის პირველ მესამედში (428 წ.) გაუქმებული, დაცემული სომხეთის სამეფო. სახალიფოს ნებართვით აღდგენილი სომხეთის სამეფოს ტახტზე იგივე აშოტ I ავიყვანეს. ამ დროისათვის შესამჩნევად დასუსტებულ სახალიფოს სომხეთში თავისი პოზიციის შენარჩუნება არა მარტო ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში ესაჭიროებოდა, არამედ ურჩი ამირების დასამორჩილებლადაც. ხალიფები სომეხ ხელისუფალთა გამოყენებითაც,

---

[7] იხ. მაგ., Ахмад ибн А'сам ал-Куфи, Книга завоеваний გვ. 49, 64.

[8] ამ ბრძოლების ლაპის გამუდმებული ხასიათის შესახებ იხ. А. А. Васильев, Византия и арабы. С.—Петербург, ნაკ. I, 1900 წ., ნაკ. II, 1902.

[9] იხ. მაგ., Ш. Տեր-Ղևոնդյան, Արաբական տիրապետությունները Բագրատունյաց Հայաստանում, ե., 1965, გვ. 50; Я. А. Манандян, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

მათი მეშვეობითაც აპირებდნენ სომხეთში არსებული, ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომის მოსურნე არაბული საამიროების დაქვემდებარებას[10]. ვფიქრობთ, სწორედ ასე უნდა გავიგოთ ის ფაქტი, რომ აშოტ I-ის ხელისუფლებას სახალიფოს ნებით უნდა დამორჩილებოდნენ ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე არაბული საამიროებიც[11]. რა თქმა უნდა, ხალიფებს სომეხი მთავრისა თუ მეფის გაძლიერება სულაც არ აძლევდათ ხელს, მაგრამ მათი სახით გამაწონასწორებელი ძალა გამონახეს სომხეთის ურჩი ამირების წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში სავსებით მოსალოდნელია, სახალიფოს კარს სომეხთა ხელისუფალი აშოტ I ქართლის მთავრადაც ეცნო. მართლაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აშოტ I შედარებით მოგვიანო ხანის სომხურ წყაროებში იხსენიება არა მარტო სომეხთა, არამედ „სომეხთა და ქართველთა მთავართა მთავრად". ასევე, აშოტ I და მისი მემკვიდრეები სომხურ წყაროებშივე „სომეხთა და ქართველთა მეფეებად" იწოდებიან. დღეისათვის არაერთი მკვლევარია იმ აზრისა, რომ „სომეხთა და ქართველთა მთავართა მთავრის" ტიტული აშოტ I-ს სწორედ ხალიფამ უწყალობა[12]. ასევე, 922 წ. ხალიფას უნდა ებოძებინა სომეხთა მეფე აშოტ ერკათისათვის არა მარტო სომეხთა, არამედ „სომეხთა და ქართველთა შაჰანშაჰის" ტიტულიც[13].

რახან თანადროული წყარო არ მოიხსენიებს აშოტ I-ს ქართველთა „მთავართა მთავრადაც", შეიძლება დაბეჯითებით გაჭირდეს თქმა, რომ მას მართლაც მიანიჭა ხალიფამ არა მარტო სომეხთა, არამედ „სომეხთა და ქართველთა მთავართა მთავრის" ტიტული. მაგრამ როგორც თავის ადგილზე ითქვა, თანადროული წყაროების საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ მას შემდეგ, რაც 862 წ. აშოტ I-ს სახალიფომ „მთავართა მთავრის" ტიტული უბოძა, მისთვის ქართლზე მეთვალყურეობაც უნდა მიენდო[14]. საქმე ისაა, რომ ამ დროისათვის

---

[10] იხ. S. Der Nersessian, Études byzantines et armeniennes, t. I, გვ. 299; Տեր-Ղևոնդյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 67—70, 74—77, 86; Վ. Վարդանյան, Վասպուրականի Արծրունյաց բազավորությունը, Ե., 1969, გვ. 41, 92.

[11] ამის შესახებ იხ. Ա. Տեր-Ղևոնդյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 101; Լեո, დასახ. ნაშრომი, გვ. 513.

[12] იხ. S. Der Nersessian, დასახ. ნაშრომი, გვ. 300; Г. Г. Мкртумян. Грузинское феодальное княжество Кахети в VIII—XI вв. и его взаимоотношения с Арменией, Ер., 1983, გვ. 90; შდრ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 210.

[13] С. Т. Еремян. Присоединение северо-западных областей Армении к Византии в XI в., Լրաբեր, 1971, № 3, გვ. 6.

[14] იხ. Լեո, დასახ. ნაშრომი, გვ. 512.

ქართლში სახალიფოს ხელისუფლება საკმაოდ შერყეული იყო. იმ ხანებში ქართველი მთავარი გუარამ მამფალი ანტიარაბული ფრონტის აღიარებული ორგანიზატორი გამსდარიყო. ასევე, ხალიფებს ეურჩებოდნენ, ფაქტიურად დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდნენ თბილისის ამირებიც და რადგან ხალიფებმა სომეხ ხელისუფალთა გამოყენებაც სცადეს სომხეთის ორგული ამირების დასაქვემდებარებლად, ბუნებრივია, თბილისის საამიროსა და საზოგადოდ „მოურჯულებელ“ ქართლზეც აშოტ I-თვის დაეკისრებინათ თვალყურის დევნება. აშოტ I-ს თავადაც არ უნდა მოსწონებოდა გუარამ მამფალის გაძლიერება, მისი პრეტენზიები ქვემო ქართლსა და ამ უკანასკნელის მოსაზღვრე სომხურ ოლქებზე. ამდენად, სახალიფოს ცდების გარეშეც — ერთმანეთისთვის გადაემტერებინა ქართველ-სომეხი მთავრები, აშოტ I უნდა დაპირისპირებოდა გუარამ მამფალს.

რა თქმა უნდა, სახალიფოს მიერ აშოტ I-ისა და მისი მემკვიდრეების უფლებების ცნობა ქართლის მიმართ საკუთარი ფორმალური ამბავი იყო. IX ს-ის II ნახევარსა და X ს-ის I ნახევარში ქართველი ხელისუფალნი სრულებითაც არ აპირებდნენ დაქვემდებარებოდნენ სომეხ მეფე-მთავრებს და მათი მეშვეობით ხალიფებს. არც აშოტ I-სა და მის მემკვიდრეებს არ შესწევდათ ძალა მთელი ქართლის დასამორჩილებლად, თუმცა ამ მიმართულებით მათ ერთგვარ წარმატებას მაინც მიაღწიეს. სომეხმა მეფეებმა შეძლეს ესარგებლათ ქართველ ხელისუფალთა შორის არსებული წინააღმდეგობებით, კერძოდ. გუარამ მამფალის სახლის განადგურებით, აგრეთვე თბილისის ამირების სისუსტით და თანდათან ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაისაკუთრეს. ამ მხარეში სომეხი მეფე-მთავრების შემოჭრაზე საუბრისას შეიძლება მოვიგონოთ ისიც, რომ სომეხ ხელისუფალთა უსაფუძვლო პრეტენზიებს ქვემო ქართლის, სომხური წყაროებისეული გუგარქის მიმართ დიდი ხნის ისტორია ჰქონდა.

გასათვალისწინებელია, რომ არაბთა ბატონობის შესუსტების ჟამს სომხეთი თითქმის ერთიან ქვეყანას, ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა, რამდენადაც არაბთა ძალაუფლება IX ს-ის დასასრულამდე თითქმის მთელ სომხეთზე ვრცელდებოდა და არა მხოლოდ მის ერთ ნაწილზე. რაც შეეხება საქართველოს, როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ცალკეულმა მხარეებმა შედარებით ადრე, სხვადასხვა დროს მოიშორეს არაბთა ბატონობის უღელი. ამის გამო IX ს-ის დასასრულისათვის საქართველო ერთიან, გაერთიანებულ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა, იგი ცალკეულ სამეფო-სამთავროებად იყო დაყოფილი. ბუნებრივია, ამ სამეფო-სამთავროებს შორის არსებობდა მეტოქეობა, ბრძოლა, შეხლა-შემოხლა პირველობისათვის, თითქმის ყველა

ქართველი მეფე თუ მთავარი ცდილობდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება მისი მეთაურობით მომხდარიყო. გასაგებია, ასეთ ვითარებაში ერთიანი სომხეთის ხელისუფალთ უადვილდებოდათ ერთმანეთისადმი დაპირისპირებული, ცალკეული ქართული საბეფო-სამოთავროების, სახელდობრ, ქართლის საქმეებში ჩარევა. მით ქვემო ქართლის მნიშვნელოვან ნაწილშიც მოიკიდეს ფეხი, მაგრამ მთელს საქართველოში ან თუნდაც მთელი ქართლის მასშტაბით მათი გავლენა არ გავრცელებულა, როგორც ეს ძველ სომეხ მემატიანეებს და ზოგიერთ თანამედროვე „მკვლევარსაც" სურთ „დაგვიმტკიცონ". როგორც ზემოთ ითქვა, სომეხ მეისტორიეთ მიაჩნდათ, რომ ოდინდელი „დიდი სომხეთი" თავისი ძველი საზღვრებითა და მთელი ბრწყინვალებით კვლავ უნდა აღმდგარიყო და დაექვემდებარებინა მეზობელი ქვეყნები, უწინარეს ყოვლისა, მთელი კავკასია. გამოთქმა „დიდ სომხეთს" IX—XI სს-შიც ხმარობენ როგორც ბიზანტიელი, ისე სომეხი მემატიანეები. თავის დროზე ბერძნულ-რომაულ წყაროებში „დიდი სომხეთის" ცნება ჩნდება იმისათვის, რათა განერჩიათ სომხეთის ერთი, შედარებით დიდი ნაწილი მეორე, მცირე ნაწილისაგან, „დიდი სომხეთი" „მცირე სომხეთისაგან". მაგრამ იმის გამო, რომ „მცირე სომხეთი" პოლიტიკურად იმთავითვე ჩამოშორდა სომხურ სახელმწიფოს, აგრეთვე თვითმპყრობელური მისწრაფებების ზეგავლენით, სომხურ საისტორიო ტრადიციაში „დიდი სომხეთის" ცნება აბსოლუტურ მნიშვნელობას იძენს, დაახლოებით იმგვარს, როგორიც აქვს „დიდ ბრიტანეთს"[15].

კონსტანტინე პორფიროგენეტის წიგნში — „ცერემონიათა შესახებ" „დიდი სომხეთი", სომხეთის სხვა ნაწილებისაგან განსასხვავებლად, სომეხ ბაგრატუნთა სამეფოს აღმნიშვნელია[16]. კედრენე-სკილიცას თავისი დროისათვის, ეტყობა, ეუხერხულება გამოთქმა „დიდი სომხეთი" და სიტყვა ეგრეთწოდებულს ურთავს მას — „ეგრეთწოდებული დიდი არმენია"-ო[17]. აღსანიშნავია, რომ „დიდ სომხითს" იხსენიებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც, მაგრამ ამის გამო იგი სომხეთს ძლიერ, დიდ სახელმწიფოდ არ მიიჩნევს. პირიქით. ქართველი მემატიანე „დიდ სომხითს" საქართველოზე დამოკიდებულ ქვეყნად თვლის. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის" მიხედვით, დავით აღმაშენებელი იბრძვის „დიდი სომხითის" გასათავისუფლებლად,

---

[15] იხ. C. Toumanoff, Studies in christian caucasian History, 1963, გვ. 76, შენ. 84.

[16] იხ. Կ. Ն. Ցուզբաշյան, „Բագրատունյաց շրջանի" Հայաստանը՝ միջազգային իրավունքի տեսակետից, ՊՊՀ, 1975, № 1, გვ. 42.

[17] გეორგიკა, V, გვ. 59—60.

თურქ-სელჩუკთა განსადევნად სომეხთა მიწა-წყლიდან[18]. მაგრამ სომეხი მემატიანეებისათვის მხოლოდ ის ფაქტიც, რომ „დიდი სომხეთის“ ცნება შემორჩენილი იყო და ცოცხლობდა, ბევრს ნიშნავდა. ამ გარემოებას გარკვეულწილად მაინც მათი იმედები უნდა გაეღვივებინა და ესაზრდოებინა. მათთვის „დიდი სომხეთის“ ცნებას სულ სხვა მიზიდულობის ძალა უნდა ჰქონოდა, რასაც გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა იმ მხრივ, რომ სომეხი მეისტორიენი IX—XI სს-ში სომხეთის ურთიერთობას ქართულ-ალვანურ პოლიტიკურ ერთეულებთან ტენდენციურად გადმოგვცემენ, სომხური სამეფოებისა თუ სომეხთა მეფეების ძლიერებასა და ადგილს ამიერკავკასიის ცხოვრებაში გაზვიადებულად წარმოგვიდგენენ. სომეხ მეფეებს კი იმ ხანებში მეტისმეტად დიდი პრეტენზიები რომ ჰქონდათ, ამას გვიდასტურებს ზოგიერთი მათგანის ტიტული ტიეზერაკალიც. სომხურად ტიეზერაკალ სიტყვა-სიტყვით სამყაროს, ქვეყნის, ნსოფლიოს მპყრობელს აღნიშნავს. ტიეზერაკალად სომხურ წყაროებში იწოდებიან როგორც სომეხთა მეფეები, ასევე ბიზანტიის იმპერატორებიც[19]. მაშასადამე, IX—XI სს-ში სომეხთა მეფეებს ბიზანტიის კეისრებზე არანაკლები „მადა“ ჰქონიათ. ისინი პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მთელს კავკასიაში გაბატონებაზე ფიქრობდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ — „დანარჩენ ქვეყნიერებაზე“.

ყურადღებას იპყრობს წყაროებში არსებული იმგვარი მასალები, რომელთა მიხედვით სომეხი მთავრები თუ მეფეები არაბ ხელისუფალთა მოქრთამვითაც ცდილობდნენ თავიანთი გეგმების, მიზნების განხორციელებას. ბალაზურის ცნობით, სომეხი ბატრიკები ანუ პატრიკები, ე. ი. მთავრები არაბი მმართველების მოქრთამვას, ნოსყიდვას ცდილობდნენ უკვე IX ს-ის პირველ ნახევარში, თუ მანამდეც არა[20]. დრასხანაკერტცის თანახმად, სომეხთა მეფე სმბატ I (890—914) დაახლოებია საჯიანი ამირას, აფშინის დიდმოხელეს, საჟურისთუხუცესს. დიდძალი საჩუქრების, ძღვნის თუ ქრთამის მეშვეობით სმბატმა ბევრი რამ გამოსტყუა საჟურისთუხუცესს, თავისთვის მეტად მნიშვნელოვანი საქმეები გააკეთებინა მას. როგორც ჩანს, ქრთამს დახარ-

---

18 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337; იხ. აგრეთვე ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, გვ. 118—119.

19 Ա. Հովհաննիսյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

20 Балалзори. Книга завоевания стран. Перевод с арабского проф. П. К. Жузе. Баку. 1927. გვ. 21; იხ. აგრეთვე П. К. Жузе. Мутагаллибы в Закавказьи в IX—X вв., ЗКИ, 1937, ნაკვ. III, გვ. 189; В. Ф. Минорский, დასახ. ნაშრომი, გვ. 81. საზოგადოდ, სახალიფოს მმართველ წრეებში მექრთამეობას რომ ღრმად ჰქონია ფესვი გადგმული, ეს საყოველთაოდაა ცნობილი (იხ. მაგ., Е. А. Беляев, დასახ. ნაშრომი, გვ. 241).

ბებულ დიდმოხელეს უდიდეს რისკზე წასვლაზეც არ უთქვამს უარი. ყოველ შემთხვევაში, განრისხებული აფშინი მიიჩნევდა, რომ სომეხთა მეფემ ქრთამით გაუგიჟა მას საჭურისთუხუცესი[21]. დრასხანაკერტცისვე ცნობით, ერთი მაჰმადიანი რჯულის მოძღვარი თურმე ასე მიმართავდა არაბ მმართველს: განძის გულისთვის სომეხ ქრისტიანთა „მოძღვრების გავრცელებას რატომ უწყობ ხელს?“ არ შეგფერისო შენ, რომ „მშვიდობის აღთქმა დასდო ბილწ ქრისტიანებთან, განსაკუთრებით კი მათი მაცდუნებელი მოძღვრების სჯულმდებელთან, რომელიც მუდამ ქადაგებს ჩვენი სარწმუნოების გინებას და მუჰამედის მოწაფე არაბებს ძაღლებსა და მგლებს უწოდებს“. განძი სომხებს სხვა გზით, ძალის გამოყენებით უნდა წაართვაო — ჩასჩიჩინებდა მაჰმადიან ხელისუფალს რჯულისმოძღვარი[22].

ნათელია, რომ სომეხი მეფე-მთავრები თუ სომხური ეკლესიის მესვეურები ქრთამით ბევრ რამეს აღწევდნენ არაბთა ხელისუფლებასთან, ამ საშუალებით „სომხური ქრისტიანობის“ (გრიგორიანობის) გავრცელებასაც კი ახერხებდნენ მეზობელ მხარეებში. ვფიქრობთ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აშოტ I-მა და მისმა მემკვიდრეებმა: სმბატ I-მა და აშოტ II ერკათმა არა მარტო სომეხთა, არამედ „სომეხთა და ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მთავართა მთავრის“, თუ მეფის, ანდა შაჰანშაჰის ტიტულები რომ მიიღეს არაბთაგან, აშოტ I-ს არაბებმა რომ მიანდეს მეთვალყურეობა ქართლზეც, ხსენებულ სომეხ ხელისუფალთ ამ საქმეშიც უნდა დახმარებოდათ ქრთამი, ძვირფასი საჩუქრები, სახალიფოს კარის მოქრთამვა, მოსყიდვა. სხვათა შორის, აშოტ I-ს 862 წ. „მთავართა მთავრის“ ტიტული სომხეთის არაბი მმართველის, წარმოშობით სომეხი ალი იბნ იაჰია ალ-არმანის ხალიფას წინაშე შუამდგომლობით მიენიჭა[23]. შესაძლოა, ხალიფას კარის მიერ ქართლის მიმართ აშოტ I-ის გარკვეული უფლებების ცნობაც იგივე ალი იბნ იაჰია ალ-არმანის მეშვეობითაც მოხერხდა.

იმის გამო, რომ ბაგრატუნები მთელს კავკასიაში გაბატონებაზე ოცნებობდნენ, ისინი ამ მიმართულებით პირველ რიგში ქართლის დაქვემდებარებაზე ფიქრობდნენ, რამეთუ ქართლი არა მარტო საქართველოს გულს, არამედ თიათქმის მთელი კავკასიის ბუნებრივ ცენტრსაც წარმოადგენდა. ქართლის მიმართ სომეხი ბაგრატუნების განსაკუთრებული ინტერესი აიხსნება, კერძოდ, იმითაც, რომ მტერმრავალ სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს ხშირად დამხმარე, მაშველი თუ დაქირავებული ჯარი ესაჭიროებოდა. ამგვარი ჯარის შოვნას სომხეთის

---

21 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 92—94.

22 იქვე, გვ. 277—279.

23 Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 18.

ბაგრატუნი მეფეები, როგორც ჩანს, ჩრდილო კავკასიაში აპირებდნენ. არსებობს იმის დამადასტურებელი ცნობებიც, რომ სომეხთა მეფეების ჯარში ჩრდილო კავკასიის მთიელთა რაზმები მონაწილეობდნენ[24]. ჩრდილო კავკასიასთან მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად კი სომეხთა მეფეებისათვის აუცილებელი იყო თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ ქართლიც და დარიალის გასასვლელიც, ვინაიდან მათ დერბენდზე ხელი გაცილებით უფრო ძნელად თუ მიუწვდებოდათ. ქვემო ქართლის გარდა, დარიალის გამოც უნდა დაპირისპირებოდნენ სომეხთა მეფეები თბილისის ამირებს, რომლებიც IX ს-ის II ნახევარსა და X ს-ის I ნახევარში საბოლოოდ მოსწყდნენ სახალიფოს და მნიშვნელოვანწილად საერთოდ მაჰმადიანურ სამყაროსაც[25]. თავის დროზე დარიალის გასასვლელსა თუ ხეობაზე მეთვალყურეობა, ზრუნვა ხალიფებმა თბილისის ამირებს დააკისრეს[26] და მას შემდეგაც, რაც თბილისის ამირები თითქმის დამოუკიდებელი ხელისუფალნი გახდნენ, ბუნებრივია, მათ შერჩენოდათ პრეტენზია დარიალის მიმართ.

დარიალზე თავიანთი კონტროლის დაწესებისათვის იბრძოდნენ კახეთის მთავრებიც, ლიხსიქეთის მეფეებიც და ალბათ, „ქართველთა მეფეებიც". ასე რომ, სომხეთის ბაგრატუნ მეფეებს ისევე, როგორც საერთოდ ქართლისათვის, დარიალის ხეობისთვისაც შეხლა-შემოხლა მოუწევდათ ქართველ მეფე-მთავრებთან, რომლებიც მათთვის რაიმეს დათმობას სრულებითაც არ აპირებდნენ. საკუთრივ ქართლში ძლიერი ქართული პოლიტიკური ერთეული არც IX ს-ის დასასრულისათვის და არც მომდევნო ხანებში არ არსებობდა, ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროებიც ერთმანეთს ებრძოდნენ პირველობისათვის და თითქმის ერთიანი სომხეთის მეფეებმა, სომეხმა ბაგრატუნებმა, როგორც უკვე ითქვა, მოახერხეს დ რ ო ე ბ ი თ ესარგებლათ ამით. IX—X სს-თა მიჯნაზე სომეხთა მეფე პრეტენზიას რომ აცხადებდა თითქმის მთელ საქართველოზე, სახელდობრ, ქართლსა და დარიალზეც, ამის შესახებ არაერთი ცნობა მოიპოვება დრასხანაკერტცის „სომხეთის ისტორია"-ში. ზოგიერთი ამ ცნობათაგანი ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ კიდევაც, ორიოდე მათგანს კი აქაც მოვიტანთ. დრასხანაკერტცის მიხედვით, სომეხთა მეფე სმბატ I-მა (890—914), თითქოს, „ქართველთა დიდი კურაპალატიც და მისი თანამოაზრენი მშვენიერ წესთა მიმართულებით დაითანხმა და დაიმორჩილა. ზოგის მიმართ დიდი ძალა გამოიჩინა და განდგომილები ფეხზე დააყენა. ამგვარად, გაიზიდა და

---

[24] იხ. მაგ., Ա. Տեր-Ղևոնդյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 169, 192—193.

[25] იხ. მაგ., В. Ф. Минорский, დასახ. ნაშრომი, გვ. 210.

[26] იქვე, გვ. 205.

გაიზარდა მისი სამფლობელოს საზღვარი ჩრდილო-დასავლეთიდან კარნუ ქალაქამდე და კიდევ უფრო იქით, კლარჯეთამდე, მიაღწია დიდი ზღვის ნაპირამდე, ეგრისის [ქვეყნის] საზღვრამდეც და დიდი მთის კავკასიის ძირამდის, [დაიმორჩილა] გუგარელნი და წანარნი ალანთა კარამდის და მათი მცველი კარის სიმაგრე თავად აიღო. იქიდან კი სამხრეთის მხარეს [დაჰყვა] და მდინარე მტკვრით ქალაქ თბილისამდე [მოვიდა]"[27]...

აღწერს რა დაახლ. 904 წ. მომხდარი ომის ამბებს, დრასხანაკერტცი ამ ომის გამომწვევ ძირითად მიზეზად „ეგრისის", ე. ი. ლიხსიქეთის მეფესა და სომეხთა მეფეს შორის ქართლისა და დარიალისათვის დაპირისპირებას ასახელებს. რაც შეეხება „ქართველთა მეფე" ადარნასეს, იგი ამ ომში სმბატ I-ის მოკავშირე ყოფილა, რამდენადაც „ქართველთა" და ლიხსიქეთის მეფეებს შორის ქართლისათვის ბრძოლაში, საერთოდ, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში პირველობის მოპოვებისათვის შეურიგებელი წინააღმდეგობები არსებობდა. ხსენებული ომის გაჩაღების თაობაზე დრასხანაკერტცი გვაუწყებს: ...„ამ დროს ეგრისის მეფემ, კონსტანტინემ მეტად უჩვეულო და ურცხვი ქცევით იმუხთლა და არა თუ აღაპყრო თვალები სიწრფელით, არამედ ბოროტი განზრახვით შეკრიბა ჯარი და გაემართა ჩრდილოეთის მხრით კავკასიის მთის ხევებით, რათა გუგართა ქვეყანა[28] და ალანთა კარის ახლოს მცხოვრები მოსახლეობა ერთხელვე თავის ხელქვეით დაემორჩილებინა. რადგან ეს ხალხი სმბატ მეფეს ჰყავდა დამორჩილებული და ხელქვეითად ქცეული, [ამიტომ] ქართველთა მეფე ადარნასემ სასწრაფოდ მისწერა ეგრისის მეფეს, თავის სიძეს, რომ გაეფანტა, დაეშალა და ამოეგდო გულიდან ეს ფუჭი, უსამართლო და ამაო გადაწყვეტილება და არ გაეწია წინააღმდეგობა მასზე უფრო დიდისათვის. მაგრამ [კონსტანტინეს] დაეხშო სასმენელი, არ მიაქცია ყურადღება [ადარნასეს] სიტყვებს და გონს არ მოვიდა. მაშინ სმბატ მეფემ დიდი ჯარით შეუტია და თან წაიყვანა ქართველთა მეფე [ადარნასე]"[29]...

მართალია, სომხეთის მომავალი დიდებისათვის მლოცველი სომეხთა კათალიკოსი მემატიანე, დრასხანაკერტცი ტენდენციური ავტორია, იგი მიკერძოებით ასახავს საქართველო-სომხეთის ურთიერთობას, მაგრამ თითქმის ერთიანი, გაერთიანებული სომხეთის ჯერ „მთავართა მთავარი", ხოლო შემდეგ მეფეები IX ს-ის დასასრულსა და X ს-ის დამდეგს რომ ერეოდნენ ქართლისათვის წარმოქმნილ ქართველ მეფე-

---

27 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 64.

28 ნაგულისხმევია მთელი ქართლი.

29 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 109.

მთავართა მეტოქეობაში, ამას „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობებიც ადასტურებს[30]. სანამ თითქმის მთელი სომხეთი ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა (908 წლამდე), ხოლო საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად იყო დაყოფილი და ამავე დროს „ქართველთა კურაპალატი“ თუ „ქართველთა მეფეც“ სომხეთის მეფეს ეშველებოდა ლიხსიქეთის მეფის წინააღმდეგ ქართლისათვის ბრძოლაში, ბუნებრივია, ლიხსიქეთის მეფეებს წარმატების მოპოვება გაუძნელდებოდათ[31]. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი ამბავი იყო. უკვე 908 წლიდან იწყება სომხეთის დაშლა, დაქუცმაცება და ამდენად დასუსტებაც. ამავე ხანებიდან საგარეო ვითარებაც სომხეთისათვის გაცილებით მძიმე შეიქმნა, ვიდრე ქართული პოლიტიკური ერთეულებისათვის. ყოველივე ამას კი ქართლში სომხეთის პოზიციის შერყევა და ქართლზე ლიხსიქეთის მეფეთა გავლენის გაძლიერება მოჰყვა შედეგად. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ სომეხთა ბაგრატუნ მეფეებს და ლიხსიქეთის მეფეებს შორის მორიგებაც ხდებოდა[32], რაც „ქართველთა მეფის“ სომეხთა ბაგრატუნი მეფისადმი დაპირისპირებას იწვევდა ხოლმე, მაგრამ საზოგადოდ, IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედსა და X ს-ის თითქმის 70-იან წლებამდე ქართლისათვის ბრძოლისა თუ ამიერკავკასიაში პირველობის მოპოვებისაკენ სწრაფვის გამო ლიხსიქეთისა და სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოების ინტერესები შეურიგებელი იყო. ამ სამეფოებს შორის, ჩვეულებრივ, მტრული ურთიერთობა არსებობდა. რატომღაც ამის დანახვა არ სურს რ. ხონელიას[33]. საერთოდაც, საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხები რ. ხონელიას, სამწუხაროდ, მეტად გაუკულმართებულად, გამრუდებულად აქვს წარმოდგენილი[34]. ასე მაგ., ერთგან რ. ხონელია წერს, რომ ქართლისა და სხვა ქართული მიწების განთავისუფლებაში სომხებს ცოტა როდი მიეშველაო „აფხაზთა სამეფო“[35]. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ

---

30 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 259—262.

31 იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 101—102.

32 იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 262; იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 110—112, 257.

33 Р. А. Хонелия. Политические взаимоотношения Абхазского царства и царства армянских Багратидов в IX—X вв., საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, ერევანი, 1967.

34 იხ. ა. აბდალაძე, ჰოვჰანეს დრასხანაკერტცისეული ეურისა და გამრთა..., გვ. 100—101.

35 Р. А. Хонелия. Из истории политических взаимоотношений Абхазского и Армянского царств в начале X в., Լրաբեր, 1966, № 2, გვ. 103.

„აფხაზთა სამეფო“ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა (ცხადია, მის ცხოვრებაში მონაწილეობდნენ საკუთრივ აფხაზებიც, რომელნიც ქართული კულტურული სამყაროს სრულუფლებიანი წევრები გამხდარიყვნენ) და თუ ქართული მიწების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მიშველებაზე მიდგებოდა საქმე, „აფხაზთა“, ლიხსიქეთის სამეფოს უნდა მიშველებოდნენ სომხები და არა პირიქით. მაგრამ „მატიანე ქართლისაჲს“ განცხადება — „იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა“[36] — საერთოდ გამორიცხავს მსგავს შესაძლებლობას. ჩვენ იძულებული გავხდებით, ქვემოთ კვლავ ვაქციოთ მსჯელობის საგნად რ. ხონელიას „საქმენი საგმირონია“.

საზოგადოდ, ქართლისათვის ლიხსიქეთის, „აფხაზთა“ მეფეებსა და სომეხთა ბაგრატუნ მეფეებს შორის მიმდინარე ბრძოლებში, რასაკვირველია, საბოლოო წარმატების მეტი შანსი ლიხსიქეთის ქართული სამეფოს ხელისუფალთ ჰქონდათ. ჯერ ერთი, საამისო საფუძველს ქმნიდა ისიც, რომ სომეხ ბაგრატუნთა სამეფო თანდათან იშლებოდა, ქუცმაცდებოდა და სუსტდებოდა, ხოლო ლიხსიქეთის სამეფო სულ უფრო და უფრო მეტად ძლიერდებოდა. მეორეც, ვინაიდან ქართლში ძლიერი ქართული პოლიტიკური ერთეული არ არსებობდა, ქართლის, საქართველოს გულის, ცხოვრებაში დიდი როლი უნდა შეესრულებინა იმ დროისათვის ფრიად გაძლიერებულ ქართულ ეკლესიას, ქართველთა კათალიკოსებს, ქართულ საკათალიკოსოს, რომლის სატახტო ქალაქს მცხეთა წარმოადგენდა. ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ იმის თაობაზე, თუ როგორი ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) განწყობილებით იყო გაჟღენთილი ქართული ეკლესია, ქართული სასულიერო წრეები. ამგვარ დამოკიდებულებას ისინი ავლენდნენ. კერძოდ, სომხეთის სამეფოს, სომეხთა მეფეების მიმართაც. რაც შეეხება ლიხსიქეთის სამეფოს, იგი ეკლესიურად მცხეთის საკათალიკოსოს ექვემდებარებოდა, ლიხსიქეთში X საუკუნისათვის ბერძნული ეკლესიის პოზიცია მეტისმეტად შერყეული იყო, ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას იქ მნიშვნელოვანი ადგილი დაეჭირა.

სომეხ ბაგრატუნ და ლიხსიქეთის მეფეებს შორის ქართლისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ქართველთა კათალიკოსები, მცხეთის საკათალიკოსო ტახტი, რა თქმა უნდა, ლიხსიქეთის მეფეებს დაუჭერდა მხარს[37], ხოლო სომეხთა მეფეებს, რაც კი შეეძლო, ყოველგვარი საშუალებით აღუდგებოდა წინ, რასაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ბრძოლის ბედის ლიხსიქეთის მეფეების სასარგებლოდ გადა-

---

36 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 259.

37 იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 601.

წყვეტისათვის. სხვა რომ არა იყოს რა, ქართლში სომეხ ბაგრატუნთა შემოჭრას შედეგად მოჰყვებოდა მთელი კავკასიის მიმართ დიდი პრეტენზიების მქონე სომხური ეკლესიის გაძლიერება, მისი შემოღწევა ქართლის ოლქებში, რაც ქართული ეკლესიის თავკაცებს არამც და არამც არ ენდომებოდათ. როცა ქართლისათვის „ქართველთა" და ლიხსიქეთის მეფეები იბრძოდნენ, მაშინ მცხეთის საკათალიკოსო ტახტი „ქართველთა მეფეებს" მიემხრობოდა, რამდენადაც იმ ხანებში ქართული ეკლესიის მიმართულებას ძირითადად „ქართველთა სამეფოში" ძდებარე მონასტრებში მოღვაწე „მამები" განსაზღვრავდნენ, მაგრამ სომეხთა მეფეებთან ჭიდილში ქართული ეკლესია უყოყმანოდ უნდა დამდგარიყო ლიხსიქეთის მეფეების მხარეზე, რამეთუ ამ დროისათვის ლიხსიქეთის, ე. ი. „აფხაზთა" სამეფო დედა ქართლის გვერდით მეორე, ახალ ქართლად ქცეულიყო[38].

როგორც ცნობილია, ლიხსიქეთის მეფეები დიდი მონდომებით ცდილობდნენ თავიანთი საბრძანებლიდან ბერძნული ეკლესიის განდევნას (რაც საერთოდ ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული) და დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაქართულებას, მხარში ედგნენ ქართული ეკლესიის თავკაცებს ამ საქმეში. ამ მხრივ მარტო „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" დაცული მასალები რად ღირს: ლიხსიქეთის მეფემ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ გრიგოლ ხანძთელისა და მისი თანამოსაგრეების ნდობა მოეპოვებინა, გაეფართოებინა ქართული ეკლესიის სამოქმედო ასპარეზი დასავლეთ საქართველოში. ერთი სიტყვით, ლიხსიქეთის მეფეები ყოველნაირად ცდილობენ მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას ქართული ეკლესიის მესვეურებთან, ქართულ საკათალიკოსოსთან და მიზანსაც აღწევენ. თუ ლიხსიქეთის მეფეებმა დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოსა და მთელი კავკასიის გაერთიანებისათვის მტკიცე საძირკვლის ჩაყრაში, ეს იმის წყალობითაც მოხდა, რომ მტკიცე დასაყრდენი ჰპოვეს ქართული ეკლესიის სახით. სხვანაირად არც შეიძლებოდა — ორივენი ხომ საერთო მიზნის განხორციელებისათვის, დიდი ქართული სახელმწიფოს აშენებისათვის იღწვოდნენ.

„აფხაზთა" ანუ ლიხსიქეთის სამეფოს საყოველთაოდ აღიარებული ქართული ხასიათის, ბუნების ფონზე აღმაშფოთებლად უნდა ჩაითვალოს სომხურ ენციკლოპედიაში დაბეჭდილი რ. ხონელიას არამეცნიერული, სინამდვილის საშინლად დამმახინჯებელი სტატია — „აფხაზთა სამეფო". ამ მცირე მოცულობის სტატიაში საქართველოს ისტორიის გაყალბების არაერთი ფაქტი გვეცემა თვალში. მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ ერთ ადგილს: X ს-ის პირველ ნახე-

---

38 იქვე, გვ. 591; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 221.

უარშიო „აფხაზეთის სამეფო“ „ძლიერ, ვრცელ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მოიცავდა საკუთრივ აფხაზეთს, დასავლეთ, ნაწილობრივ აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოსაც. მოსახლეობას ძირითადად შეადგენდნენ აფხაზები, მეგრელები და სვანები“[39].

ნუთუ „აფხაზთა სამეფოს“ იმ ნაწილში მაინც, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალს წარმოადგენდა, ვეღარ შეამჩნია რ. ხონელიამ მოსახლეობა, რომელთა მიმართაც იგი სიტყვა ქართულს გაიმეტებდა? ანდა რ. ხონელიას თუ ასე ძალიან მოუნდა მეგრელებისა და სვანების „პერსონალურად“ დასახელება, ნუთუ მას არ უნდა ეთქვა, ან მიენიშნებინა მაინც საქმეში ჩაუხედავი სომეხი მკითხველისათვის, რომ მეგრელები და სვანები ქართული ტომებია და რომ იგივე აფხაზები ქართველთა მონათესავე ტომია, რომელიც X საუკუნისათვის ქართული კულტურული სამყაროს წევრი გამხდარიყო, ქართული სახელმწიფოს შენების საქმეში თავისი წვლილი შეჰქონდა? ანდა, განა შეიძლება X ს-ის „აფხაზთა სამეფოს“ მოსახლეობის შემადგენლობაზე საუბრისას პირველად აფხაზების დასახელება? ხომ კარგადაა ცნობილი, რომ საკუთრივ აფხაზები „აფხაზთა სამეფოს“ მოსახლეობის უმცირეს ნაწილს შეადგენდნენ და სახელმწიფოსაც „აფხაზთა სამეფო“ მხოლოდ და მხოლოდ მმართველი დინასტიის მიხედვით ეწოდა? „აფხაზთა სამეფოს“ დედაქალაქიც ხომ, როგორც რ. ხონელიას იგივე სტატიაშიცაა აღნიშნული, ქუთაისი იყო. განა X ს-ში თვით დასავლეთ საქართველოშიც მცირე იყო საკუთრივ ქართის ელემენტიც? რ. ხონელიას რომ კაცმა ყური უგდოს (ვაი, რომ ჰყავს მას საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორია!), ქართის ელემენტი X ს-ში არამცთუ დასავლეთ, აღმოსავლეთ საქართველოშიც არ ყოფილა. ძალიან მაინტერესებს, რ. ხონელიას აზრით, როდის და საიდან გაჩნდნენ ქართველები?! რაღა თქმა უნდა, წინასწარ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ რ. ხონელიას აზრები ამ შემთხვევაშიც ცრუმეცნიერული, ანტიქართული იქნება! ქართველი ერის ისტორიას არაერთი ფალსიფიკატორი, გამყალბებელი გამოსჩენია, ჩვენს მეცნიერებსა თუ მოღვაწეებსაც მათთვის საკადრისი პასუხი გაუციათ. ეტყობა, სხვანაირად არც იქნება, მაგრამ რაოდენ გულსატკენია, როცა მრავალტანჯული ქვეყნის გმირულ წარსულს ამავე ქვეყნის შვილი, მეცნიერად სახელდებული, ამახინჯებს, აყალბებს და თანაც ამას განზრახ, შეგნებულად ჩადის.

დრასხანაკერტცის ტენდენციური ცნობების მიხედვით, „ქართველთა კურაპალატი“ ადარნასე, რომელიც მალე „ქართველთა მეფეც“

---

[39] ՀՍՀ, I, ե., 1974, გვ. 27.

გახდა, თითქოს, მთლიანად სომეხთა მეფეზე დამოკიდებული ხელისუფალი ყოფილა. უფრო მეტიც, „ქართველთა სამეფოს“ დაფუძნება, შექმნა, ადარნასეს გამეფება თურმე მხოლოდ და მხოლოდ სომეხთა მეფე სმბატ I-ის (890—914) დამსახურებაა. დრასხანაკერტცის რომ ყური ეუგდოთ, ისე გამოდის, ვითომც ადარნასე სომხეთის სპარაპეტის, სომეხთა მეფე აშოტ I-ის ძმის, სმბატ I-ის ბიძის, აბასის გავლენის ქვეშაც ყოფილა მოქცეული. ყოველ შემთხვევაში, აბასს, თითქოს, ხელეწიფებოდა, როგორც უნდოდა, ისე მოჰქცეოდა, აბუჩად აეგდო, შეურაცხეყო ადარნასე. სომეხთა კათალიკოსი მემატიანე გვაუწყებს: აშოტ I-ის გარდაცვალების ჟამსო (890 წ.) „სამძიმრის გამოსათქმელად [სმბატთან] ქართველთა დიდი მთავარი ადარნასეც მოეიდა.

რადგან აშოტ მეფის ძმა, სომხეთის სპარაპეტი აბასი ვანანდის სამთავროს მხარეებში იდგა, [ადარნასემ] თანახმად წესისა ჯერ მასთან შეუხვია, რათა სანუგეშო სიტყვა ეთქვა მისი მწუხარე სულისათვის. [ადარნასე] პატივისცემით და კარგად მიიღეს. [აბასს] აღარც კი უნდოდა, რომ [ადარნასეს] გზა განეგრძო და სმბატთან წასულიყო, რადგან მას აფიქრებდა, რომ ისინი [ყველაფერს] გაიგებდნენ და ფიცის ვატეხისათვის [აბასს] სამაგიეროს მიუზღავდნენ და ივი ვერ შესძლებდა განეხორციელებინა თავისი სურვილი — გამხდარიყო მეფე. [ადარნასემ აბასს] უპასუხა, რომ უფრო მეტად უადგილო იქნებოდა მისი იქ წაუსვლელობა, თანაც მღელვარების, შფოთისა და არეულობის რაიმე ფაქტისა და მიზეზის გარეშე. [ადარნასეს] ნება დაერთო და ისიც გაემართა, წავიდა და შეხვდა სმბატს, გახადა მას თალხი სამოსელი და სამეფო ტანსაცმლით შემოსა. თვით კი დიდი და საპატიო საჩუქრებით იქნა დაჯილდოებული სმბატისაგან. [ადარნასე] შემდეგ კვლავ დაბრუნდა აბას სპარაპეტთან, რომელიც საშინლად იყო გაბოროტებული ზოგიერთ მოენეთაგან, თითქოს [ადარნასეს] სმბატთან ერთად მის მიმართ ბოროტი განეზრახოს. [აბასმა] შეიპყრო [ადარნასე], შეკრა რკინის ჯაჭვებით და კარის ციხეში, საპყრობილეში ჩასვა“. ამის გამო ახლადგამეფებულ სმბატ I-ს გადაუწყვეტია ბრძოლა გაემართა ბიძამისისთვის. მათ დასაშოშმინებლად გარჯილა სომეხთა კათალიკოსი. „იგი სთხოვდა [აბასს] გაეთავისუფლებინა ადარნასე და თავიდან აეცილებინა აღტყინებული რისხვის ნიაღვარი. სპარაპეტმა ცბიერებას მიმართა, ისე მოაჩვენა თავი, თითქოს თანახმაა და უთხრა: „გადმომცეს მე ადარნასემ ორი ციხე-სიმაგრე, რომლებიც მან ჩემი დის ქმარს გურგენს გამოსტაცა და [მომცეს] მძევლად თავისი შვილი დავითი და ამის შემდეგ გავუშვებ მე მას მშვიდობით“-ო. აბასს მიუღია, რასაც ითხოვდა, მაგრამ ადარნასე

მაინც არ გაუთავისუფლებია. მაშინ სმბატ I-ს დაუწყია ბრძოლა ბიძამისის ჯარის წინააღმდეგ და მხოლოდ დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ მოხერხებულა ადარნასეს გამოხსნა[40].

ბუნებრივია, ინტერესს იწვევს მოტანილ ამონაწერში მოხსენიებული გურგენის ვინაობა. იგი ქართველი ხელისუფალი ჩანს. საქმე ისაა, რომ სომხეთის მეფე აშოტ I, რომელიც ის-ის იყო გარდაიცვალა, მთელი სომხეთის, კერძოდ, მისი ჩრდილო ნაწილის შემომტკიცებაზე აცხადებდა პრეტენზიას. რადგან ადარნასეს კეთილმეზობლური, ეკ. გობრული ურთიერთობა ჰქონდა აშოტ I-თან და მის დახმარებასაც საჭიროებდა თავის მოქიშპე ხელისუფალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ადარნასეს მიერ აშოტ I-ის ხელდებული რომელიმე სომეხი მთავრის შეკიწროება მოსალოდნელი არაა. ამიტომაც ხსენებული გურგენი ქართველი მთავარი უნდა იყოს[41]. როგორც ეტყობა, ეს ის გურგენია, რომელიც თავის დროზე მცირეწლოვან ადარნასეს მიეშველა გუარამ მამფალის მემკვიდრის ნასრასა და ლიხსიქეთის სამეფოსთან ბრძოლაში. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, „მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი; უშუელეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა“[42]... გურგენს უსარგებლია ადარნასეს დაობლებით, მისი მცირეწლოვანობით და კურაპალატი გამხდარა. მალე გურგენსა და ადარნასეს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდნილა, რაც კურაპალატობის პატივის დასაკუთრების ნიადაგზეც უნდა მომხდარიყო[43]. სუმბატ დავითის ძის ცნობით, „გურგენ კურაპალატი წარვიდა ტაოთ, კალმახით, მამულით თჳსით, ცხოვრებად შავშეთს და არტანს. და ამისსა შემდგომად შეიმტერნეს ურთიერთას და შეკრიბეს ლაშქარი ერთმანერთსა ზედა ერთ-კერძო გურგენ კურაპალატმან და ერთა მისთა, მეორე-კერძ ადარნასე ქართველთა მეფემან და ბაგრატ არტანუჯელმან. მოვიდეს ესენი ჴევსა არტანისასა, სოფელსა მგლინავსა, და ჰბრძოდეს ერთმანეთსა. და მეოტ იქმნა გურგენ კურაპალატი, წყლეს და შეიპყრეს. და მოკუდა წყლულებითა მისითა გურგენ კურაპალატი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, ქრონიკონსა რ“ი“ა“, ე. ი. 891 წელს[44]. როგორც ჩანს, სწორედ ამ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ჩამოართვა გურგენს ადარნასემ ის ორი ციხე, რომელთა დათმობას, დრასხანაკერტცის ცნობით, სომხეთის სპარაპეტი აბასი მოითხოვდა ადარნასესგან.

---

40 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 43—47.

41 იხ. აგრეთვე ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გვ. 82.

42 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 261, შდრ. გვ. 379.

43 იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 75—76.

44 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 379.

აღნიშნულ ციხეებთან დაკავშირებით ს. ჯანაშია წერდა: „საყურადღებოა, რომ გურგენის ციხეებს აბასი თავისთვის მოითხოვს და არა თავისი სიძისათვის. ამ გარემოებაში ჩვენ იმის მოწმობას ვხედავთ, რომ გურგენი ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ არის"[45]. ვფიქრობთ, მსგავსი მოსაზრების გაზიარება გაჭირდება. ეტყობა, აბასი და გურგენი ერთობლივი ძალებით უპირისპირდებოდნენ სმბატ I-სა და ადარნასეს. რადგან დრასხანაკერტცის „ისტორიიდან" მოტანილ ცნობაში აღწერილია ს ო მ ხ ე თ შ ი მომხდარი ამბავი, რომლის უ შ უ ა ლ ო მ ო ნ ა წ ი ლ ე ა ა ბ ა ს ი და არა გურგენი, ეს უკანასკნელი კიდეც რომ ყოფილიყო ცოცხალი იმ დროს, ალბათ, ძნელია მოვთხოვოთ მემატიანეს ზუსტად აღნიშვნა იმისა, ხსენებულ ციხეებს აბასი თავისთვის ითხოვდა, თუ თავისი მოკავშირისათვის. ჩვენი აზრით, არ ჩანს გარკვევით, რომ აბასს ის ციხეები თავისთვის მოეთხოვოს. შესაძლოა, გურგენმა დრასხანაკერტცის მიერ აღწერილ შეხლა-შემოხლაში მონაწილეობა ვერ მიიღო იმის გამო, რომ უკვე ამ დროს იგი, იქნებ, მძიმედ, სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, მაგრამ ჯერ კიდევ არ გარდაცვლილიყო. სომხურ ისტორიოგრაფიაში ამჟამად მიღებულია, რომ სმბატ I 890 წ. გამეფდა[46]. მაშასადამე, აბას სპარაპეტის დაპირისპირება თავის ძმისწულთან, სმბატ I-თან და ადარნასესთან იმავე წელს, სმბატის გამეფების ჟამს მოხდა, გურგენი კი, როგორც დავინახეთ, 891 წ. გარდაცვლილა. ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი გურგენი, ეტყობა, მაშინვე არ გამოსთხოვებია წუთისოფელს, მას ერთხანს კიდევ უცოცხლია, ბრძოლის ველზე არ დაცემულა. სუმბატ დავითის ძის სიტყვებითაც ხომ დაჭრილი გურგენი მოწინააღმდეგეებს შ ე უ პ ყ ა რ ი ა თ, ე. ი. მას დამარცხების შემდეგ, ბრძოლაში დაჭრილსაც ცოტა ხანს მაინც უნდა ეცოცხლა.

აბას სპარაპეტის დის ქმარი, მძიმედ დაჭრილი გურგენი თუ მისი მემკვიდრე აბასის მოკავშირედ უნდა მივიჩნიოთ „ქართველთა კურაპალატისა" თუ მეფის, ადარნასესა და სომხეთის მეფის, სმბატ I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში (ამის გამოც ხსენებული ორი ციხე აბასს თავისი სიძის ან დისწულისთვის უნდა მოეთხოვა და არა პირადად მისთვის). თუ ასეა, მაშინ ადარნასემ, რომელიც სმბატ I-თან მიდიოდა სამძიმრის სათქმელად და მის გამეფებაში მონაწილეობის მისაღებად, რატომ შეუხვია აბას სპარაპეტთან, ანდა კვლავ რატომ გამოუარა მას? საქმე ისაა, რომ სმბატ I-თან მიმავალ და სამშობლოში დაბრუნებულ ადარნასეს გზად აბასის სამფლობელოში, ვანანდში, იგივე ქალაქ კარის (ყარსის) ოლქში უნდა გაეევლო.

---

45 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

46 იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 972.

ზემოთქმულის შემდეგ დასასხანაკერტცის „ისტორიიდან“ მოტანილი გაზვიადებული ცნობები ადარნასეს სომხეთში გამგზავრებისა და აბას სპარაპეტის მიერ მისი შევიწროების შესახებ, ვფიქრობთ, ასე უნდა გავიაზროთ: იმის გამო, რომ იმ ხანებში საქართველო-სომხეთის ისტორია განსაკუთრებით მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, შეიძლება ითქვას — ერთმანეთში გადახლართულიც, ამიერკავკასიაში ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა დაჯგუფებები ეროვნული ნიშნის მიხედვით როდი იქმნებოდა ხოლმე. პირიქით, ერთი, თავისი შემადგენლობით ქართველ-სომეხ ხელისუფალთაგან წარმოქმნილი დაჯგუფება უპირისპირდებოდა, ებრძოდა მეორეს, მსგავსი შედგენილობის დაჯგუფებას. 890 წლისთვისაც სწორედ ამგვარი სურათი იქმნება. გურგენ კურაპალატი და აბას სპარაპეტი ცდილობენ ერთობლივად, შეთანხმებულად იმოქმედონ ადარნასესა და სმბატ I-ის წინააღმდეგ. ტენდენციური მემატიანე დასასხანაკერტცი კი საქმეს ისე წარმოგვიდგენს, რომ „ქართველთა კურაპალატი“ თუ მეფე ადარნასე ეითომც არა მარტო სმბატ I-ის, არამედ აბას სპარაპეტის გავლენის ქვეშაც იყო მოქცეული, რაც სინამდვილეს არ შეესატყვისება. დასასხანაკერტცისვე ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ ადარნასემ თუ მანამდე არ იცოდა, როცა აბას სპარაპეტთან გაიარა, მაშინ მაინც შეიტყო, რომ აბასს სომხეთის სამეფო ტახტისათვის თავისივე ძმისწულის, სმბატის წინააღმდეგ ბრძოლა გადაეწყვიტა. მიუხედავად ამისა, აბასის სამფლობელოდან გამგზავრებული ადარნასე მონაწილეობს სმბატის გამეფებაში. როგორც დავინახეთ, ადარნასემ „გახადა მას (სმბატს — ა. ა.) თალხი სამოსელი და სამეფო ტანსაცმლით შემოსა“. ამით ადარნასე ხომ აშკარად დაუპირისპირდა აბას სპარაპეტს, მისი ინტერესების სრულიად საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა, თუმცა სამშობლოში დაბრუნებისას გზად კვლავ აბასის სამფლობელოში აპირებდა გამოვლას. ადარნასეს ამგვარი, გაბედული, პრინციპული მოქმედებიდანაც უნდა ჩანდეს დასასხანაკერტცის იმ ცნობების ტენდენციურობა, რომელთა მიხედვით, აბას სპარაპეტს როგორც მოეპრიანებოდა, თითქოს, ისე გადაწყვეტდა „ქართველთა კურაპალატის“ თუ მეფის ადარნასეს ბედს.

რაც შეეხება „ქართველთა სამეფოს“ შექმნას, მის დაფუძნებას, „ქართველთა კურაპალატის“, ადარნასეს გამეფებას, საქართველოს ისტორიის ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის თაობაზე დასასხანაკერტცი გვაუწყებს: „ქართველთა დიდი კურაპალატი ადარნასე სმბატ მეფესთან ყველაფერში ერთობის, სიყვარულისა და მშვიდობის ურყევსა და მტკიცე პირობას იცავდა. იგი მთელი თავისი შეგნებითა და ძლიერებით, დიდი მოკრძალებით, როგორც მამას, ანდა

ამაზე უფრო მეტადაც, ემორჩილებოდა მას. როგორც მონამ თავისი უფლისაგან ნებით იტვირთა შიშის საზღვარი ზომიერი წადილით და თვალს არ აშორებდა მეფეს და მიაპყრობდა დიდი სიფრთხილით და საკუთარი თავიც მას მიანდო. ამის გამო სმბატ მეფე მეტად კმაყოფილი იყო [ადარნასეთი] და მოსწონდა იგი. მან დიდი მზრუნველობით [ადარნასე] თავისთან მიიყვანა და გაამხნევა. შემდეგ დიდი პატივითა და დიდებით გვირგვინი დაადგა მას, შესაფერისი ლამაზი სამკაულითა და საჭურვლით შეამკო მეფეთა წესის თანახმად, ქართველთა ქვეყნის მეფედ დაადგინა და [მის შემდეგ], თავისი სამფლობელოს მეორე პირად დაამტკიცა იგი. მიიღო რა სამეფო პატივი [და მიაღწია] წარმატებას, [ადარნასე] კი არ გამედიდურებულა, არამედ მუდამ თავმდაბლად ექცეოდა [სმბატს]. მეფე სმბატიც წყნარი გონებით იმავე პირობაზე იდგა და ანიჭებდა მას სიკეთეს წინანდელ წესთა მიხედვით"[47].

არაერთი მკვლევარი სავსებით სანდოდ თვლის ამ ცნობებს და „ქართველთა სამეფოს" შექმნა-დაფუძნებას სომხეთის მეფის, სმბატ I-ის წყალობად მიიჩნევს[48]. ქართველი მეცნიერები კი ფიქრობენ, რომ დრასხანაკერტცის „ისტორიიდან" მოტანილი სათანადო ცნობები ტენდენციურია. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მათ დამაჯერებლობას ორი გარემოება არყევს, ორი დაბრკოლება ეღობება წინ: „პირველი დაბრკოლება ქრონოლოგიურია, მეორე კიდევ სახელმწიფო სამართლის სფეროს შეეხება". ივ. ჯავახიშვილი მოიხმობდა სუმბატ დავითის ძის ცნობას ადარნასეს 888/89 წ. გამეფების შესახებ. ამ დროს კი სომხეთში მეფობდა აშოტ I და არა სმბატი. მეორე დამაბრკოლებელ გარემოებად დიდი მეცნიერი მიიჩნევდა იმას, თუ „როგორ მოხდა და შეიძლებოდა, რომ ბიზანტიის კეისრის დაუკითხავად და ნებადაურთველად ადარნასე, რომელიც თვითონაც პირადად და მისი სამფლობელოც ბიზანტიის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშე ითვლებოდა, სმბატს, არაბთა ხალიფას მფარველობის ქვეშე მყოფს მეფედ დაესვა და გვირგვინი დაედგა", რადგანაცო, ერთი მხრივ, კურაპალატობის მიღებისთვისაც ბაგრატ I-თვის „ღმრთისა" და „ძმათა" „ნება" საკმარისი არ აღმოჩნდა, მან მხოლოდ „ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა" შეძლო ამ მამისეული პატივის დამკვიდრება, ხოლო, მეორე მხრივ, აშოტ I-ისა და სმბატ I-ის გამეფებისათვის აუცილებელი გამხდარა

---

47 იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 89—90.

48 იხ. მაგ., Ն. Ադոնց, Պատմական ուսումնասիրություններ, Պարիս, 1948, გვ. 123—124; Ս. Երեմյան, Լիպարիտ զորավարը և նրա նախորդները, Ն. Մառի անվան կարինեռի աշխատություններ, № 2, Ե., 1947, გვ. 111; Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 132.

მათი „მფარველი“ ხალიფასა და სახალიფოს წარმომადგენელი ამირას ნებართვა, თანხმობა. სამეფო გვირგვინიც სომეხთა ორივე მეფემ არაბთაგან მიიღეს, ხოლო აშოტ I-ის გამეფებისათვის ამას გარდა კეისრის დასტურიც საჭირო ყოფილაო. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, ამ მოსაზრებათა გამო დრასხანაკერტცის ცნობა „ან სრული არ უნდა იყოს, ან არეული იქნება“[49].

ე. ცაგარეიშვილი ითვალისწინებს რა ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებებს, დასძენს: დრასხანაკერტცის „ცნობაში ადარნასეს ქართველთა მეფედ დადგენის შესახებ მართლაც ყველაფერი არ არის სიზუსტით წარმოდგენილი. მასში იგრძნობა ტენდენციურობა. იოანე კათალიკოსის (იგივე დრასხანაკერტცის — ა. ა.) მისწრაფება ბაგრატუნიანთა[50] დინასტიის წარმომადგენელი მეფეების განდიდებისა და ყოვლისშემძლეობის ჩვენებისა“[51].

ამავე საკითხთან დაკავშირებით მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „ურთიერთდამოკიდებულება ადარნასე ქართველთა კურაპალატსა და სუმბატ სომეხთა მეფეს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა. ადარნასეს სახით სუმბატს ჰყავდა ერთგული მოკავშირე იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც ის ამიერკავკასიაში აწარმოებდა, ხოლო ადარნასემ სუმბატის სახით ზურგი გაიმაგრა ეგრის-აფხაზეთის გაძლიერებული საჰეფოს წინააღმდეგ.

აღნიშნული ურთიერთობის საფუძველზე სუმბატს ხელს აძლევდა ადარნასეს შემდგომი გაძლიერება და სუმბატმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ადარნასეს „ქართველთა მეფედ“ დადგენის საქმეში... შესაძლებელია, იოანე კათალიკოსი მართლაც აჭარბებს, როდესაც ადარნასეს გამეფებას მხოლოდ სუმბატ სომეხთა მეფის დამსახურებად თვლის, მაგრამ თვით ფაქტი სუმბატის მონაწილეობისა ადარნასეს გამეფებაში, საეჭვო არ უნდა იყოს. როგორც თავის დროზე ადარნასე კურაპალატს შეეძლო მიეღო მონაწილეობა და ხელი შეეწყო სუმბატის გამეფებისათვის[52], ასევე შეეძლო სუმბატს, როგორც ძლიერი მეზობელი სახელმწიფოს წარმომადგენელს, დაეჭირა მხარი ადარ-ან არეული იქნება“[49].

---

49 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. 2, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 148.

50 უნდა იყოს ბაგრატუნთა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სომეხი ბაგრატიდები იხსენიებიან ბაგრატუნებად და არა ბაგრატუნიანებად.

51. ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 0122.

52 სქოლიოში მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს: „მართალია, იქ ცოტა სხვაგვარი ვითარება იყო, იქ ბიძა ეცილებოდა მას ტახტს, აქ კი, საერთოდ, „ქართველთა მეფის“ ინსტიტუტის შემოღებას ეხება საქმე, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება“.

53 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 474.

ვინაიდან „ქართველთა სამეფოს“ შექმნა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა წყებას განეკუთვნება და ამავე დროს საკითხის შესწავლა დიდ სირთულეს უკავშირდება, ამიტომ ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელება, კერძოდ, დასახანაკერტცის სათანადო ცნობების შემდგომი, კრიტიკული შესწავლა სასურველი უნდა იყოს. უწინარეს ყოვლისა, ადარნასეს გამეფების თარიღის შესახებ ვისაუბრებთ. „ქართველთა სამეფოს“ შექმნა-დაფუძნების, საბეფო ტახტზე ადარნასეს აყვანის 888/89 წლით დათარიღება სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად მაინცადამაინც გაზიარებული არაა. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მკვლევარი ადარნასეს გამეფებას 891 წლით ათარიღებს[54], ეტყობა, ისინი ცდილობენ დასახანაკერტცისა და სუმბატ დავითის ძის ცნობების ერთმანეთთან შეთანხმებას და ამიტომ აირჩიეს ისეთი თარიღი (891 წ.), რომელიც ახლოს დგას, ერთი მხრივ, სმბატ I-ის გამეფების დროსთან (890 წ.), რომლის ღვაწლსაც ვითომც შეადგენდა „ქართველთა სამეფოს“ შექმნა, ხოლო, მეორე მხრივ, 888/89 წელთანაც, როცა სუმბატ დავითის ძის თხზულების მონაცემებით უნდა გამეფებულიყო ადარნასე. დასახელებულ მკვლევარებს, ს. ერემიანსა და გ. მკრტუმიანს მსგავსი მოსაზრებით უნდა ეხელმძღვანელათ, თორემ მარტოოდენ დასახანაკერტცის „ისტორიის“ საფუძველზე არაერთი მეცნიერი ადარნასეს გამეფებას 897 თუ 899 წლებით ათარიღებდა, იმისდა მიხედვით, თუ რომელ წელს მიიჩნევდნენ ჰოვჰანეს დასახანაკერტცის სომხეთის კათალიკოს-პატრიარქად კურთხევის თარიღად[55]. საქმე ისაა, რომ კათალიკოსი მემატიანე თავის გაპატრიარქებამდე ადარნასეს ყოველთვის ქართველთა კ ურ ა პ ა ლ ა ტ ს ან მ თ ა ვ ა რ ს უწოდებს და მხოლოდ საკათალიკოსო ტახტზე თავისი ასვლის შემდეგ იხსენიებს იგი ადარნასეს ქართველთა მ ე ფ ე დ[56]. დასახანაკერტცი ადარნასეს გამეფების შესახებ ზემოთ მოტანილ ცნობებს მხოლოდ იმის შემდეგ ათავსებს თავის „სომხეთის ისტორიაში“, როცა დაასრულებს საუბარს, თუ როგორ აკურთხეს თვითონ იგი სომხეთის კათალიკოს-პატრიარქად.

შ. ბადრიძემ ჰადიშის ოთხთავის ანდერძ-მინაწერის საფუძველზე დაასკვნა, რომ ადარნასე 897 წლის შემდეგ გამეფებულა, რადგან 897 წ.

---

[54] Ս. Երեմյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 111. Գ. Մկրտումյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

[55] ამჟამად ითვლება, რომ დასახანაკერტცი სომეხთა კათალიკოსად 898 წ. აკურთხეს.

[56] იხ. Ն. Ադոնց, დასახ. ნაშრომი, გვ. 123—124; სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამ., გვ. 29, 46, 83; იოანე დასახანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 0122—0123.

ამ ანდერძ-მინაწერში ადარნასე მეფედ კი არა, კურაპალატად იხსენიებაო[57]. მაგრამ შ. ბადრიძის ნაშრომშივე მოტანილი ანდერძ-მინაწერის ტექსტში ნათქვამია, რომ ოთხთავი, სახარება გადაწერილ იქნა ...„სალოცველად მ ე ფ ე თ ა ჩ ნ თ ა ღ თ ი ვ დიდებოჳლისა ა დ ა რ ნ ა ს ე ს კ ო ჳ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა“[58]... აქ ადარნასე არა მარტო კურაპალატად, არამედ მეფედაცაა ნაგულისხმევი, თუმცა მისი კურაპალატობა უფრო ხაზგასმით, გამოკვეთილადაა აღნიშნული, ვიდრე ჰეფობა, რასაც თავისი, რაღაც მიზეზი უნდა ჰქონდეს. ჩვენი აზრით, დასაშვებია, ადარნასე 888/89 წ. გამეფებულიყო, „ქართველთა საკურაპალატოში“ ამ დროიდან ეღიარებინათ იგი მეფედ, მაგრამ ოფიციალურად, ბიზანტიისა თუ სხვა მეზობელი ქვეყნების ხელისუფლებას „ქართველთა სამეფოს“ შექმნა მოგვიანებით, დაახლ. 899 წელს ეცნოთ. საყურადღებოა, რომ მსგავსი რამ ცოტათი ადრე მომხდარა სომხეთში. საუკუნეების მანძილზე დაცემული სომხეთის სამეფოს ხელახლა დაფუძნება 884/85 წ. განხორციელდა. სამეფო ტახტზე აშოტ I აიყვანეს. მაგრამ აშოტ I-ს გამეფება უცდია ჯერ კიდევ IX ს-ის 70-იან წლებში. სევანის 874 წ. წარწერიდან ჩანს, რომ უკვე ამ დროს აშოტ I-ს სომხეთში, გარკვეულ წრეებში მაინც, მეფედ აღიარებდნენ[59], მაგრამ ხალიფას კარმა აშოტი მხოლოდ ათი წლის შემდეგ იცნო სომხეთის მეფედ. შესაძლოა, შემთხვევითი არ იყოს ის გარემოებაც, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი აშოტ I-ს სომეხთა მ ე ფ ე დ ჯერ კიდევ გუარამ მამფალის სიცოცხლეში, ე. ი. 882 წლამდე იხსენიებს[60].

აღსანიშნავია, რომ სომეხი ნახარარები მოწადინებული ყოფილან, რათა ხალიფას ეცნო აშოტ I სომხეთის მეფედ. ალბათ, ყველა სომეხი ნახარარი თუ მთავარი არც იყო სომხეთის სამეფოს შექმნის, აშოტ I-ის გამეფების მომხრე, მაგრამ აშოტ I-ს, თითქოს, მოწინააღმდეგეებზე მეტი მხარდამჭერი ჰყოლია. დრასხანაკერტცი გვაუწყებს: „სომეხმა მთავრებმა და ნახარარებმა რომ დაინახეს [აშოტის] ასეთი კეთილშობილური სიდიადე, ერთხმად მოითათბირეს, დაედგინათ იგი თავიანთ მეფედ. [ეს გადაწყვეტილება] შეხის ძის, ისე ოსტიკანის პირით აუწყეს ხალიფას, რომელმაც მოსიყვარულე გულით შეიწყნარა ღირსად მისაჩნევი თხოვნა. მან აშოტს გაუგზავნა სამეფო გვირგვინი, რომელიც თვით ისე ოსტიკანმა მოიტანა; სამეფო გვირგვინთან ერთად

---

57 შ. ბ ა დ რ ი ძ ე, „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 113, თბ., 1965, გვ. 223—224.

58 იქვე, გვ. 223; ხაზგასმა ჩვენია.

59 იხ. Հայ Ժողովրդի պատմություն, III, გვ. 22.

60 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 257.

[მას მიართვეს] სამეფო სამოსელი და საჩუქრები, [მიაგეს] პატივი, მიჰგვარეს რაშები საპურვლითა და სამკაულით"[61].

რა თქმა უნდა, სახალიფოს კარსა და სომეხ ხელისუფალთა შორის გულითადობის, სიყვარულის არსებობა მოგონილია. სინამდვილეში დასუსტებული სახალიფო ყოველი ღონით ცდილობდა სომხეთში თავისი ძველი პოზიციების ასე თუ ისე შენარჩუნებას და ამის გამო იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო, ანგარიში გაეწია აშოტ I-ისა და მისი მომხრე სომხური საერო თუ სასულიერო წრეების მოთხოვნისათვის.

ისევე, როგორც სომხეთში, ჩვენშიც ადარნასეს გამეფების საქმეში თავიანთი სიტყვა უნდა ეთქვათ საერო დიდებულებისა და ქართული ეკლესიის „მამების" იმ ნაწილს, რომელთაც ეწადათ „ქართველთა სამეფოს" შექმნა-დაფუძნება, ადარნასეს აყვანა სამეფო ტახტზე. სუმბატ დავითის ძის ცნობით, „ადარნასე, ძე დავით კურატპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ, [ნაცვლად] მის მოკლულისა"[62]. ვის უნდა „დაესვა" ადარნასე მეფედ? პირველ რიგში, ქართველ წარჩინებულებს[63]. თუ ადარნასე „ქართველთა მეფედ" უცხო ხელისუფლებმა „დასუეს", გამოდის, რომ ერთის კი არა, რამდენიმე ქვეყნის ხელმწიფეთა მეშვეობით მომხდარა ადარნასეს სამეფო ტახტზე აყვანა, რამდენადაც სიტყვა „დასუეს" მრავლობით რიცხვშია. მაგრამ რაკი ადარნასე კურაპალატის ბიზანტიურ ტიტულს ატარებდა და ასე თუ ისე ბიზანტიის უზენაესობას ცნობდა, ამ დროისათვის გაძლიერებული ბიზანტიის იმპერიის მესვეურები, ბუნებრივია, მოისურვებდნენ თვითონ შეესრულებინათ გადამწყვეტი როლი „ქართველთა საკურაპალატოს" სამეფოდ გადაქცევაში და სხვა ვინმე არ ჩაეზიარებინათ, უკეთუ უცხოელ ხელისუფალთა მონაწილეობა ამ საქმეში საერთოდ დასაშვებია.

ალბათ, მიზანშეწონილია ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ქართულ წყაროებში ხშირად იხსენიება იმ ხანებში ამა თუ იმ ხელისუფლის „თანამდებობაზე" დასმა („დასუეს"), ისევე, როგორც ადარნასეს მეფედ დასმაზეა ნათქვამი, რაც ადგილობრივი და არა გარეშე ძალების მეშვეობით ხდება. „მატიანე ქართლისაჲს" თანახმად, „მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი, ძე იოვანე ქუაბულის ძისა და შემდგომად ამისსა დ ა ს უ ე ს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური"[64]. კახეთის ქორეპისკოპოსები

---

61 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა ე ე რ ტ ე ლ ი, გვ. 36—37.

62 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამ., გვ. 65.

63 იხ. იქვე, გვ. 47.

64 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 254; ხაზგასმა ჩვენია.

თითქმის სავსებით დამოუკიდებელი მთავრები იყვნენ იმ დროსაც, IX ს-ის პირველ ნახევარში, როცა დაჩი და სამოელი არიან ქორეპისკოპოსებად[65]. ქორეპისკოპოსს ადგილობრივი ძალები „სუამენ“, სხვა ქვეყნების ხელისუფალნი აქ არაფერ შუაში არ ჩანან. სუმბატ დავითის ძის ცნობებით, „ქართველთა საკურაპალატოშიც“ „თანამდებობაზე“ ვისიმე დასმა, უწინარეს ყოვლისა, ქართველ მთავართა, დიდებულთა მიერ ხდება. როდესაც ლაპარაკია „თანამდებობაზე დასმაზე“ ბიზანტიური ტიტულის თანხლებით[66], მაშინ ბიზანტიის ხელისუფალთა ამა თუ იმ ზომით მონაწილეობაც, ცხადია, უეჭველია, მაგრამ როცა ეს ბიზანტიური ტიტულის გარეშე ხდება, ალბათ, ადგილობრივი ძალები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს. სუმბატ დავითის ძის მატიანეში ცნობილ გურგენ ერისთავთერისთავზე ნათქვამია: აშოტ კუხის გარდაცვალების (918 წ.) შემდეგო „გურგენ ძმისწული მისი, ძე ადარნასესი, დასუეს ერისთავთა ერისთავად“[67]. არა გვგონია, წმიდა წყლის ქართული სახელო გურგენს ბიზანტიის კეისრის ნებით მიეღო. ყოველ შემთხვევაში, ბიზანტიის ხელისუფალთა სიტყვა გადამწყვეტი არ უნდა ყოფილიყო ამ საქმეში. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ რაკი იმ ხანებში უკვე არსებობდა „ქართველთა სამეფო“, „ქართველთა პეფე“ ადარნასემ დასვა გურგენი ერისთავთერისთავად, მაგრამ ტექსტში სიტყვა დასმა მრავლობით რიცხვშია — „დასუეს“. ასე რომ, მეფესთან ერთად ქართველ წარჩინებულთა მონაწილეობაცაა საგულისხმებელი.

ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად გვეჩვენება, რომ „ქართველთა საკურაპალატოში“ ადარნასე მეფედ სწორედ 888/89 წლიდან მიეჩნიათ, მაგრამ ოფიციალურად ბიზანტიის კეისარს და მის კვალდაკვალ სომეხთა მეფე სმბატ I-საც „ქართველთა სამეფოს“ შექმნა-დაფუძნება, ადარნასეს მეფობა მხოლოდ მოგვიანებით, დაახლ. ათი წლის შემდეგ ეცნოთ. „ქართველთა კურაპალატი“ ფორმალურად მაინც ბიზანტიის იმპერიის უზენაესობას ცნობდა და მის გასამეფებლად, მეფედ ასაღიარებლად, ბუნებრივია, კეისრის დასტური საჭირო ყოფილიყო. ამის მოწმობა ჩანს ისიც, რომ X ს-ის შუა ხანებში „ქართველთა სამეფოში“ უმეფობა აღინიშნება, რისი მიზეზიც „ქართველთა სამეფოს“ ბიზანტიასთან დაპირისპირება და ბიზანტიის ხელისუფალთა მხრიდან საპასუხო ზომების მიღებაა[68].

---

65 იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX—X სს.) თბ., 1963, გვ. 153.

66 იხ. ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ი ს ქრონიკა, გვ. 63, 64, 66, 67.

67 იქვე, გვ. 66.

68 იხ. იქვე, გვ. 47; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 107—108.

რაც შეეხება „ქართველთა სამეფოს“ შექმნა-დაფუძნების, ადარნასეს გამეფების საქმეში სომეხთა მეფის, სმბატ I-ის თუნდაც ა ქ ტ ი ურ მონაწილეობას (რომ აღარაფერი ვთქვათ მის გაცილებით უფრო დიდ „ღვაწლზე“), ვფიქრობთ, ამგვარი აზრიც მიუღებელია. იგივე სუმბატ დავითის ძის თანახმად, ბაგრატ კურაპალატმა „დაუტევნა ძენი: დავით, რომელი შემდგომად მისსა კურატპალატ ყუეს“[69]... კურაპალატად „ყოფა“ და „დასმა“ ერთი და იგივე შინაარსისაა. სწორედ ამ დავითის ვაჟია ადარნასე, რომელიც „დასუეს ქართველთა მეფედ“. აშკარაა, რომ ადარნასე მეფედ „დასუეს“ იმავე ძალებმა, რომლებმაც კურაპალატად „ყუეს“ მამამისი, დავითი. დავითის კ ურ ა პ ა ლ ა ტ ო ბ ა ს თ ა ნ კი სომეხთა ხელისუფალს არაფერი ესაქმებოდა. სომეხ მთავრებს თუ მეფეებს იმ ხანებში მაინც თვითონ არ ჰქონიათ ბიზანტიური ტიტულები და სხვას როგორღა მიანიჭებდნენ მას. დავითის გაკურაპალატებაც და მისი ვაჟის ადარნასეს გამეფებაც, ისევე, როგორც თავის დროზე დავითის მამის, ბაგრატ I-ის კურაპალატად დადგენაც ქართველი მთავრების, დიდებულების, ქართული ეკლესიის თავკაცების მეშვეობით და „ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა“ ხდება.

სუმბატ დავითის ძისვე მიხედვით, 958 წელს „სუმბატ კურატპალატი. ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, გარდაიცვალა... და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ ერისთავთ ერისთავი, რომელი ქართველთა მეფედ დასუეს. რეგუ[ე]ნი“[70]... როგორც ვხედავთ, აქაც „ქართველთა მეფის“ დასმაზეა ლაპარაკი. ვის უნდა დაესვა იგი? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს სომეხთა ბაგრატუნი მეფის ა ქ ტ ი ურ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა „ქართველთა მეფის“ „დასმაში“ გამორიცხულია. ჯერ ერთი, სომეხ ბაგრატუნთა სამეფო უკვე საკმაოდ დასუსტებულია, სომხეთი დაშლილია ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, დაქუცმაცებულია და მის ხელისუფალთ აღარ ძალუძთ „ქართველთა სამეფოს“ საქმეებში ჩარევა. X ს-ის შუა ხანებში ქართველ ბაგრატიონთა და ქართული ეკლესიის ერთობლივი ძალისხმევით ხომ ჰერეთის სამეფო კარისა და მონოფიზიტური (გრიგორიანული) ოლქების მართლმადიდებლობაზე. „ქართულ რჯულზე“ მოქცევა მოხდა. სომეხ მეფე-მთავრებს ძალიანაც უნდოდათ წინ აღდგომოდნენ ამ ამბავს, მაგრამ ვერ შეძლეს. მით უფრო, მათ არ შესწევდათ ძალა, „ქართველთა სამეფოს“ საქმეებში ჩარეულიყვნენ. გარდა ამისა, როგორც ითქვა, იმ წლებში „ქართველთა სამეფოში“, ბიზანტიის კეისრის სურვილით, მეფობა გაუქმებული იყო. მეფობის აღსადგენადაც ბიზანტიის ხელისუფლების

---

69 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გვ. 64.

70 იქვე, გვ. 67.

თანხმობას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ბაგრატ II-ის, მეტსახელად რეგვენის გამეფებაც კეისრის ნებით მოხდებოდა. ხოლო როცა ბიზანტიის იმპერატორთა ნებართვაა საჭირო „ქართველთა მეფის“ დასასმელად, მაშინ სომეხთა მეფის აქტიური მონაწილეობა რაღა შუაშია? მით უმეტეს წარმოუდგენელია, „ქართველთა სამეფოს“ შექმნა-დაფუძნება, ადარნასეს გამეფება მთლიანად სმბატ I-ის დამსახურება იყოს, როგორც ამის შესახებ ტენდენციური მემატიანე, დრასხანაკერტცი გვაუწყებს.

როგორც ცნობილია, ქართულ წყაროებში ჯერ კიდევ აშოტ დიდი ბაგრატიონი, „ქართველთა კურაპალატი“, იხსენიება მეფედ. ეს იმის მოწმობაა, რომ ქართველები დიდი ხანია ოცნებობდნენ „ქართველთა სამეფოს“ შექმნაზე, აღდგენაზე, მაგრამ ბიზანტიის კეისრები ეღობებოდნენ მათ წინ. მას შემდეგ, რაც სახალიფოს ნებითა და დასტურით 984/85 წ. შეიქმნა სომეხთა, ხოლო მალე „ალვანთა“ სამეფოები, ამასთანავე, ხალიფები თუ მათი წარმომადგენლები ცდილობდნენ „ქართველთა კურაპალატებთან“ დაახლოებასაც და ეს უკანასკნელნიც ზოგჯერ გარკვეული, პოლიტიკური მოსაზრებით, უარს არ ამბობდნენ არაბ ხელისუფლებთან კავშირზე, ბიზანტიის კეისრები „ქართველთა საკურაპალატოში“ თავიანთი პოზიციის შენარჩუნების მიზნით იძულებულნი უნდა გამხდარიყვნენ, დათმობაზე წასულიყვნენ და „ქართველთა სამეფოს“ შექმნა, ადარნასეს გამეფება ეცნოთ. ვფიქრობთ, ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოებაც: იმის გამო, რომ სახალიფო თანდათან სუსტდებოდა, სომეხ ბაგრატუნთა სამეფო, იმხანად თითქმის მთელი სომხეთის მომცველი, საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოდ გამოიყურებოდა და მას დიდი პრეტენზიებიც გაუჩნდა მთელი კავკასიისა თუ მის სამხრეთ, მეზობლად მდებარე ზოგიერთ ოლქზეც. ვინაიდან ბიზანტიის იმპერია IX ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან აღმავლობის გზას დაადგა, თანდათან ძლიერდებოდა და აღმოსავლეთში, კერძოდ, სომხეთშიც ადრინდელი პოზიციების აღდგენასა და განმტკიცებაზე ფიქრობდა, კეისრებს სომხეთის გაძლიერება სულაც არ მოსწონდათ. შესაძლებელია, ბიზანტიამ „ქართველთა სამეფოს“ შექმნა კავკასიაში ძალთა გაწონასწორების მიზნითაც იცნო. იქნებ, ბიზანტიის ხელისუფლებას ეწყობდა, რომ „ქართველთა სამეფოდ“ ქცეულ „ქართველთა საკურაპალატოს“ შეძლებოდა წარმატებით დაპირისპირებოდა, ერთი მხრივ, სომხეთის სამეფოს, ხოლო, მეორე მხრივ, ლიხსიქეთის სამეფოსაც, რომლის გაზრდილი პრეტენზიებიც კეისრებს ბიზანტიის ინტერესებთან აგრეთვე შეუთავსებლად უნდა მიეჩნიათ. ბიზანტიის იმპერიის თავკაცები იმჟამად ხალიფასა თუ საჯიანი ამირას ხელდებული სომხეთის მეფეების გადაბირებას, მიმხრობას, სახალიფოსთან მათ და-

პირისპირებას ცდილობდნენ (რაც სომხეთს, საბოლოო ანგარიშით, ძალიან ჯვირად დაუჯდა) და ამდენად სომეხთა ბაგრატუნი მეფეების სურვილის საწინააღმდეგოდ კეისარს, თითქოს, არ უნდა ეცნო „ქართველთა სამეფოს“ შექმნა. მაგრამ როგორც კარგადაა ცნობილი, ბიზანტიის დიპლომატია განვითარების უაღრესად მაღალ საფეხურზე იდგა და კეისრისაგან „ქართველთა სამეფოს“ ცნობას გარეგნულად სომხეთის სამეფოს ინტერესებისადმი ბიზანტიელების დაპირისპირების ფორმა არ უნდა მიეღო.

დრასხანაკერტცისეულ, ზემოთ მოტანილ ცნობებში სომხეთის სამეფოს „ქართველთა საკურაპალატოსთან“ ურთიერთობის შესახებ არაერთი წინააღმდეგობა შეიმჩნევა. სახელდობრ, თუკი სმბატ I-ის ესოდენ დიდი სურვილი იყო, ადარნასე კურაპალატი მისი ხელქვეითი, „უსიტყვოდ მორჩილი“ ქვეშევრდომი, „ყურმოჭრილი მონა“ ყოფილიყო, განა სმბატი ადარნასეს გამეფებისათვის ასე ძალიან გამოიდებდა თავს? ანდა, იმის გამო, რომ სომეხთა მეფეები: აშოტ I და სმბატ I, თითქოს, მთელს კავკასიაში გაბატონებაზე ფიქრობდნენ, ნუთუ აქ ახალი სამეფოების შექმნის ინიციატივას თვითონვე გამოიჩენდნენ? დაახლ. 904 წლის ომში სმბატ I-მა ვერაგულად შეპყრობილი ლიხსიქეთის მეფე კონსტანტინე „ქართველთა მეფის“, ადარნასეს სურვილის, მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ რომ მალევე გაათავისუფლა, ამისი ძირითადი მიზეზი ხომ ისაა, რომ სმბატ I-ს ხელს არ აძლევდა ადარნასეს გაძლიერება, ხოლო ლიხსიქეთის სამეფოს დასუსტება სწორედ „ქართველთა სამეფოს“ გაძლიერებისათვის ქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს[71]. რახან კარის მეზობელი ხელისუფლის, ადარნასეს გაძლიერება სმბატ I-ს არ სურდა, მას არც ადარნასეს გამეფებისათვის, „ქართველთა სამეფოს“ შექმნა-დაფუძნებისათვის არ უნდა გამოედო თავი. უფრო მეტიც, თავისი სამფლობელოს ზედ საზღვრებთან, მეზობლად, იმ მომიჯნავე ოლქებში, რომელთაც სომეხი მეფეები თუ მემატიანეები დაბეჯითებით ძირეულ სომხურ მიწა-წყლად მიიჩნევდნენ (ცხადია, უსაფუძვლოდ), „ქართველთა სამეფოს“ შექმნა სმბატ I-თვის საერთოდ მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს სტეფანოს ორბელიანის ცნობა, რომლის მიხედვით, ადარნასეს მიერ სამეფო გვირგვინის დადგმა სმბატ I-ის ნების საწინააღმდეგოდ მომხდარა[72]. მიუხედავად ამისა, დრასხანაკერტცის სათანადო

---

[71] იხ. Р. Хонелия. Из истории политических взаимоотношений... გვ. 98.

[72] Ստեփաննոս Օրբելեան, Պատմութիւն նահանգին Սիսական, Թիֆլիս, 1910, გვ. 299; სტ. ორბელიანიც ტენდენციურობას იჩენს, როცა ადარნასეს თანამედროვე გუგარქის ხელისუფლისა და გურგენ ქართველთა მთავრის მსგავსად ადარნასესაც ბდეშხს (პიტიახშს) უწოდებს (იქვე, გვ. 176, 185, 194, 299), მაგრამ სტეფანოსი იმაში არ უნდა ტყუოდეს, რომ სმბატ I-ს ადარნასეს გამეფება არამც

ცნობებს რეალურად, ალბათ, ის მაინც უდევს საფუძვლად, რომ სომხეთის მეფე სმბატ I-ს მონაწილეობა უნდა მიეღო ადარნასეს მეფედ კურთხევის ცერემონიალში. სმბატ I ამაზე უარს ვერ იტყოდა იმიტომაც, რომ უკვე იმ ხანებში სომხეთის სამეფოს დიდი საფრთხე ემუქრებოდა საჯიანთაგან. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში სმბატ I-ს „ქართველთა მეფის" ადარნასეს დახმარების იმედიც უნდა ჰქონოდა. მართლაც, სულ მალე საჯიანთაგან დევნილი სმბატ I, ასევე სომეხთა კათალიკოსი მემატიანე ჰოვჰანეს დრასხანაკერტცი სწორედ ადარნასეს სამფლობელოში აფარებენ თავს. ასე რომ, სომხეთისათვის შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში სმბატ I-ს უნდოდა თუ არ უნდოდა, იგი იძულებული უნდა გამხდარიყო, ეცნო „ქართველთა სამეფოს" შექმნა-დაფუძნება, ადარნასეს გამეფება, მით უმეტეს, რომ ეს აქტი ბიზანტიის კეისარმა ცნო. სმბატის მონაწილეობაც ადარნასეს მეფედ კურთხევის ცერემონიალში მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური უნდა ყოფილიყო, მას აქ ერთ-ერთი საპატიო სტუმრის როლი უნდა შეესრულებინა.

როგორც ეტყობა, რომელიმე ქვეყნის ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილ ზეიმში სხვა ქვეყნების ხელისუფალთა მონაწილეობა იმჟამინდელ სამყაროში იშვიათობას არ წარმოადგენდა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მაგ., XI ს-ის შუა წლებში ნასერ ხოსროუს ბიერ შედგენილი „საფარ-ნამეს" ცნობა იმის თაობაზე, რომ ნილოსის არხის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმს (1047 წ.) ესწრებოდნენ სტუმრები „მაღრიბიდან, იემენიდან, რუმიდან, სლავთა ქვეყნიდან, ნუბიიდან, ჰაბაშიდან. აქ იყვნენ ჩამოსულნი დელის მეფის (ხოსროვის) ძენი და მათი დედა, ქართველ მეფეთა ვაჟები, დეილემელთა უფლისწულები და თურქესტანის ხაკანის ვაჟები"[73]. ასეთ ვითარებაში რაღა გასაკვირია, ოფიციალურად ადარნასეს მეფედ გამოცხადების საზეიმო ცერემონიალს დასწრებოდა მეზობელი სომხეთის მეფეც, სმბატ I და პირიქით, უფრო ადრე ადარნასესაც მიეღო მონაწილეობა სმბატ I-ის გამეფებაში, უფრო მეტიც, მამის გარდაცვალების გამო სამძიმრის სათქმელადაც კი მისულიყო მასთან.

რაც შეეხება „ქართველთა სამეფოს" შექმნასთან, ადარნასეს გამეფებასთან დაკავშირებით დრასხანაკერტცის მიერ ფერების მეტისმე-

---

და არამც ხელს არ აძლევდა. სმბატს თურმე ისევე არ მოსწონდა ადარნასეს მიერ სამეფო გვირგვინის დადგმა, როგორც არწრუნის სამფლობელოს ცალკე სამეფოდ გამოყოფა. სტეფანოსი ორივე ამ ფაქტს სმბატის წინააღმდეგ აჯანყებად მიიჩნევს (იქვე, გვ. 299). ეტყობა, სტეფანოსსაც არ სურს იმის დანახვა, რომ „ქართველთა სამეფოს" შექმნა სმბატ I-ის ნდომა-არნდომაზე საერთოდ არ ყოფილა დამოკიდებული.

ტად გამუქებას, კათალიკოსი მემატიანის საოცარ ტენდენციურობას, ეს შეიძლება ისეც გავიგოთ, რომ რაკი დრასხანაკერტცის წარმოდგენით სმბატ I-ს ვითომც მთელი კავკასია ექვემდებარებოდა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, უნდა ექვემდებარებოდეს (სხვანაირად, თითქოს, ისტორიის კანონზომიერება ირღვევა), სომეხთა „მამამთავრის“ აზრით, როგორ შეიძლება კავკასიაში სმბატ I-ის ნების, მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე ვინმე გამეფდეს (მანამდე მაინც, სანამ საჯიანები აიკლებდნენ სომხეთს და შეავიწროებდნენ თვით სმბატ I-ს). როგორც ზემოთ აღინიშნა, დრასხანაკერტცი ტაოს ძველისძველ ქართულ პროვინციას „ქართველთა მეფის“, ადარნასეს მამულად მიიჩნევს[74]. მართლაც, ტაო ადარნასეს სამფლობელოს უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა. მაგრამ თავისი „ისტორიის“ სხვა ადგილას დრასხანაკერტცი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტაო ძველად ვითომც სომხეთის განუყოფელ ნაწილს, თითქოს, ძირეულ სომხურ პროვინციასაც კი წარმოადგენდა[75]. კათალიკოსი მემატიანის ამგვარი საერთო პოზიციაც უნდა განაპირობებდეს მის მიერ „ქართველთა მეფის“, ადარნასესა და სომხეთის მეფის, სმბატ I-ის ურთიერთობის ტენდენციურად ასახვას. დრასხანაკერტცის მცდარი, მიუღებელი თვალსაზრისით ადარნასე, რომლის ძირითად სამფლობელოს ტ ა ო შეადგენდა, სომხეთის მეფის ნებართვის გარეშე ვერ უნდა გამეფებულიყო, რამეთუ „ქართველთა მეფის“ საბრძანებელი ვითომც ძველ სომხურ მიწა-წყალზე იყო გადაჭიმული.

საზოგადოდ, ადარნასესა და სმბატ I-ის ინტერესები რომ ერთმანეთს უპირისპირდებოდა, ეს მშვენივრად ჩანს თვით დრასხანაკერტცის ცნობებიდანაც. აღნიშნავს რა დაახლ. 904 წ. ომში ვერაგულად დატყვევებული ლიხსიქეთის მეფის, კონსტანტინეს ტყვეობიდან განთავისუფლებას სმბატ I-ის მიერ, დრასხანაკერტცი დასძენს: „ქართველთა მეფე უ ფ რ ო მ ე ტ ა დ გ ა ბ ო რ ო ტ დ ა კონსტანტინეს განთავისუფლების გამო, თითქოს მასთან მოცილეობისა და უთანხმოების მიზეზით ჩაედინოს სმბატს ეს“[76]. მაშასადამე, „ქართველთა მეფე“ ადარნასე 904 წლამდეც ყოფილა „გაბოროტებული“ სმბატ I-ის მიმართ, სმბატსა და ადარნასეს შორის მანამდეც არსებობდა „მოცილე-

---

73 იხ. მ. ც ი ნ ც ა ძ ე, საქართველო და ქართველები X—XI საუკუნეების სპარსულ წყაროებში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1984, № 4, გვ. 91—92; ხაზგასმა ჩვენია.

74 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 90.

75 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ილ. აბულაძის გამ., გვ. 10.

76 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 111—112. ხაზგასმა ჩვენია.

ობა და უთანხმოება". ცხადია, ყოველივე ეს ერთი და ორი დღის ამბავი სულაც არაა, „გაბოროტებას, მოცილეობას და უთანხმოებას" ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. ამდენად, სმბატ I ინიციატივას არ გამოიჩენდა „ქართველთა სამეფოს" შესაქმნელად, რამეთუ კარგად მოეხსენებოდა, რომ სომხეთის მომიჯნავე მხარეებში აღმოცენებული ეს მზარდი ქართული სამეფო დღეს თუ არა, ხვალ სომეხ ბაგრატუნთა სამეფოს დაუპირისპირდებოდა. სხვა რომ არა იყოს რა, „ქართველთა სამეფოს" შექმნამდე, ჯერ კიდევ „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ე ბ ი ს" ტიტულიდანაც ხომ კარგად ჩანდა, რომ ქართველი ბაგრატიონები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გარდა მთელს აღმოსავლეთ საქართველოშიც აპირებდნენ გაბატონებას, ყოველ შემთხვევაში, სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდნენ ქართლზე, რაც სომხეთის მეფეების ინტერესებს უპირისპირდებოდა, რამდენადაც სომეხთა მეფეები თვითონ იბრძოდნენ „ქართლსა ზედა". აშკარაა ისიც, რომ „ქართველთა კურაპალატების" სამფლობელო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თანდათან, შესამჩნევად იზრდებოდა. სომხეთის ხელისუფალთ არც ეს, „ქართველთა სამთავროს" ზრდის ნათლად გამოკვეთილი ტენდენცია მოეწონებოდათ თუნდაც იმის გამო, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არაერთ ოლქში სომხური მოსახლეობა მნიშვნელოვანი რაოდენობით მკვიდრობდა და სომეხ ბაგრატუნ მეფეებს ამ ოლქების დასაკუთრება თვითონ უნდა ჰქონოდათ გამიზნული. სმბატ I-სა და ადარნასეს შორისაც განხეთქილება რომ გარდუვალი იყო, ეს სულ მალე ყველასათვის ცხადი გახდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ა ხ ლ ა დ შ ე ქ მ ნ ი ლ ი „ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ს ა მ ე ფ ო ს" ხელმწიფემ, ადარნასემ სმბატ I-ის ტახტიდან ჩამოგდება და მთელი მისი სამფლობელოს მიერთება განიზრახა[77].

დრასხანაკერტცის თანახმად, 914 წ. „ქართველთა მეფე" ადარნასესა და მის ჯარს სომხეთში გაუმეფებიათ საჯიანთაგან საშინელი წამებით მოკლული სმბატ I-ის ვაჟი, აშოტ II, მეტსახელად ერკათი („რკინისა"): „ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ე მ [და] მ ი ს მ ა ჯ ა რ მ ა, რა დაინახეს, რომ მოჰხედა უფალმა, დაიცვა ისინი (აშოტ ერკათი და მისი თანამებრძოლები — ა. ა.) და [მათი საქმე] სასიკეთოდ წარმართა, ა მ ი ე რ ი დ ა ნ გ უ ლ წ რ ფ ე ლ ა დ ე რ თ ნ ე ბ ა ს ა დ ა ა ზ რ ს დ ა ა დ გ ნ ე ნ, დ ა ა დ გ ე ს ა შ ო ტ ს გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი დ ა გ ა ა მ ე ფ ე ს ი გ ი მ ა მ ა მ ი ს ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ"[78]. დრასხანაკერტცის ტენდენციურობა აქაცაა გამოქონილი. ერთი მხრივ „ქართველთა

---

77 იქვე, გვ. 115—119.

78 იქვე, გვ. 161—163; ხაზგასმა ჩვენია.

მეფე“ ადარნასესა და მის ჯარს გაუმეფებიათ სომხეთში აშოტ ერკათი, ხოლო, მეორე მხრივ, ადარნასე და მისი ჯარი აშოტ ერკათთან „გულწრფელად ერთ ნებასა და აზრს“ დასდგომიან, ე. ი. ადარნასე და მისი ჯარი, თითქოს, აშოტ ერკათის ავტორიტეტს ცნობენ. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ დრასხანაკერტცის ამ სახის ცნობებთან დაკავშირებით შეიძლება ცნობილი ანდაზაც კი მოგვაგონდეს — „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ სომეხთა კათალიკოსი მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს ადარნასესა და მისი ჯარის გადამწყვეტ როლს აშოტ ერკათის გამეფების საქმეში. როცა სათანადო ცნობას ზერელედ მიტმასნილ ტენდენციურ სამოსს ჩამოვაცილებთ, სწორედ ამგვარი, ნაღდი მასალა გვრჩება ხელთ. საყურადღებოა, რომ დრასხანაკერტცი მეორეგანაც (ამჯერად, მართალია გაკვრით, მაგრამ სამაგიეროდ სავსებით ნათლად და გარკვევით) იმეორებს იგივეს: „ა შ ო ტ ს მ ბ ა ტ ი ს ძ ე, რ ო მ ე ლ ი ც გ ა ა მ ე ფ ე ს ს ო მ ხ ე თ შ ი ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ე მ დ ა მ ი ს მ ა ჯ ა რ შ ა, აქეთ-იქით მიმოვიდოდა თავისი სამფლობელო ქვეყნის სიმაგრეებში, მამაცურ სიმხნეს იჩენდა ბრძოლით და დიდ წინააღმდეგობას უწევდა ყველა მტერს“[79]...

ალბათ, სავსებით ბუნებრივია, დაისვას კითხვა: თუკი „ქართველთა მეფე“ ადარნასემ და მისმა ჯარმა 914 წ. გაამეფეს სომხეთში აშოტ II ერკათი, რატომ არ შეიძლებოდა ცოტათი უფრო ადრე ერკათის მამას, სომხეთის სახელგანთქმულ მეფე სმბატ I-ს გადამწყვეტი როლი შეესრულებინა ადარნასეს გამეფებისას? ჩვენი აზრით, არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ 899 წლისათვის „ქართველთა საკურაპალატოს“ პოლიტიკური მდგომარეობა ძირეულად განსხვავდებოდა 914 წლისათვის სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოში შექმნილი ვითარებისაგან. საქმე ისაა, რომ სომეხ ბაგრატუნთა სამეფო აშოტ II ერკათის გამეფების წინა ხანებში თითქმის განადგურების პირამდე მიიყვანეს საჯიანებმა, შეიპყრეს და გაუგონარი სისასტიკით აწამეს, ფიზიკური ტანჯვის, დასჯის ველური ხერხების გამოყენებით სიცოცხლეს გამოასალმეს სომეხთა სახელგანთქმული მეფე სმბატ I. ამასთანავე, საჯიანები ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ სომხეთის დაშლა-დაქუცმაცებისათვის და მიზანსაც აღწევდნენ. 914 წლისათვის სომხეთს არა მარტო საშინელი საგარეო საფრთხე ემუქრებოდა, არამედ მისი საშინაო მდგომარეობაც მეტისმეტად არასახარბიელო, არამყარი, აწეწილი იყო. რაც შეეხება „ქართველთა საკურაპალატოს“, მისი არც საშინაო და არც საგარეო მდგომარეობა 899 წლისათვის ამ

---

79 იქვე, გვ. 195; ხაზგასმა ჩვენია.

ზომამდე და არც ამის ნახევრად გართულებული არ ყოფილა. როცა ამა თუ იმ ქვეყანაში შექმნილი ვითარება იმდენად მძიმეა, როგორც ეს 914 წლისათვის სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოზე ითქმის, ცხადია, მეზობელი ქვეყნის ხელისუფლის ჩარევა მის საქმეებში სავსებით მოსალოდნელია, ადვილად შესაძლებელია. ამდენად, ადარნასესა და მისი ჯარის მიერ 914 წ. აშოტ ერკათის გამეფებას ახსნა ძალდაუტანებლად ეძებნება, ხოლო სმბატ I-ის თავგამოდება ადარნასეს გასამეფებლად 899 წ., როგორც უკვე ითქვა, გაუგებარია, დაუჯერებელია.

ადარნასეს მნიშვნელოვანი როლი აშოტ ერკათის გამეფებაში და პირიქით, სმბატ I-ის მხოლოდ ფორმალურად მონაწილეობა ოფიციალურად ადარნასეს მეფედ გამოცხადების საზეიმო ცერემონიალში იმის საფუძველზეც შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის ტენდენციურად აღმწერი სომეხთა კათალიკოსი მემატიანე დრასხანაკერტცი ხაზგასმით, თანაც ორჯერ მოიხსენიებს ადარნასეს ჯარის მონაწილეობას აშოტის გამეფების საქმეში, მაშინ როდესაც ადარნასეს გამეფებისას იგი სმბატ I-ის ჯარს საერთოდ არ ახსენებს, არაფერს ისეთს, ხელჩასაჭიდს არ გვეუბნება, რომლითაც სარწმუნო გახდებოდა სმბატ I-ის დიდი როლი „ქართველთა სამეფოს" შექმნაში. სომეხთა მეისტორიე კათალიკოსი მხოლოდ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გადმოგვცემს სმბატის მიერ, თითქოს, ადარნასეს გამეფებას.

მაგრამ აქ კიდევ ერთი საკითხი წამოიჭრება: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაახლ. 904 წ. ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ „ქართველთა მეფე" ადარნასემ სომხეთის ბაგრატუნი მეფის, სმბატ I-ის ტახტიდან ჩამოგდება და მთელი მისი სამფლობელოს დასაკუთრება განიზრახა, თუმცა ადარნასემ მიზანს ვერ მიაღწია, მისი ჩანაფიქრი ჩაიფუშა. ახლა კი 914 წლისათვის, როცა სმბატ I სიცოცხლეს გამოასალმეს, ჯერ აშოტ ერკათიც არ აეყვანათ სამეფო ტახტზე და მას გასამეფებლად ადარნასეს დახმარება ესაჭიროებოდა სომეხ ბაგრატუნთა სამეფოში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, რატომ არ ისარგებლა თავის ესოდენ ხელსაყრელი მდგომარეობით „ქართველთა მეფემ", ამჯერად რად არ შეეცადა შემოეერთებინა სმბატ I-ის სამფლობელო? ვფიქრობთ, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ საქმეში ბიზანტიის იმპერია ჩაერია. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, სომეხთა მეფე აშოტ II ბაგრატუნი, იგივე აშოტ ერკათი „მორჩილია რომაელთა მეფისა, როგორც მის მიერ აღზევებული და ამ პატივის მომ-

ხვეშელი"[80]. მართალია, აშოტ ერკათი თავისი მეფობის (914—929) ბოლომდე ბიზანტიის იმპერიის ერთგული არ დარჩენილა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მეფობის პირველ წლებში საჯიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში აშოტი ბიზანტიაზე ამყარებდა იმედებს და ბიზანტიის ხელისუფალნიც იმ ხანებში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ სომხეთისადმი[81], ცდილობდნენ განედევნათ საჯიანები სომხეთიდან და თვითონ გაბატონებულიყვნენ ამ ქვეყანაში. ამდენად, ადარნასემ თავისი ჯარის დახმარებით აშოტ ერკათი რომ გაამეფა და თვითონ არ დაისაკუთრა სომეხ ბაგრატუნ მეფეთა სამფლობელო, ეს ბიზანტიის კეისრის ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევით უნდა აიხსნებოდეს, რამეთუ „ქართველთა მეფე" კეისრის უზენაესობას ასე თუ ისე აღიარებდა. ამავე დროს, გაამეფა რა აშოტ ერკათი (კეისრის ნებითაც), ადარნასეც მოითხოვდა გარკვეულ საზღაურს გარჯისათვის აშოტ ერკათისაგან თუ ბიზანტიის ხელისუფლებისაგან და მიიღებდა კიდეც, მაგრამ სახელდობრ თუ რა ერგო მას, ამის შესახებ, სათანადო მასალების არარსებობის გამო, ლაპარაკი ჭირს.

თუ ეს ყველაფერი მართლაც ასე იყო, მაშინ ხომ შეიძლება ისიც ვიკითხოთ, რომ ისევე, როგორც ადარნასე ბიზანტიის კეისრის ნების შესაბამისად ამეფებს საჯიანთაგან აწიოკებულ, დარბეულ, აგრეთვე შინაგანი წინააღმდეგობებით მოცულ სომხეთში აშოტ ერკათს, იქნებ, „ქართველთა სამეფოს" შექმნაშიც სომხეთის მეფე სმბატ I ა ქ ტ ი ურ ა დ მონაწილეობდა კეისრის მითითებით? მაგრამ როგორც აღენიშნეთ, „ქართველთა საკურაპალატოში" სრულებითაც არ ყოფილა შექმნილი ისეთი საგანგებო ვითარება 899 წლისათვის, როგორც ამას ვხედავთ 914 წლისათვის სომეხ ბაგრატუნთა სამეფოში. ამგვარი, საგანგებო მდგომარეობა კი აადვილებდა ადარნასეს ჩარევას სომხეთის საქმეებში. გარდა ამისა, სომეხ ბაგრატუნთა სამეფო შეიქმნა 884/85 და არა 914 წელს. 914 წ. ბაგრატუნთა სომხეთის სამეფო ტახტზე მხოლოდ ახალი, რიგით მესამე მეფე აიყვანეს. რაც შეეხება „ქართველთა სამეფოს" შ ე ქ მ ნ ა-დ ა ფ უ ძ ნ ე ბ ა ს, 899 წ. ამის უფლება „ქართველთა კურაპალატმა", თავის მომხრე ქართველ დიდებულებთან თუ ქართული ეკლესიის თავკაცებთან ერთად, ხელიდან გამოგლიჯა ბიზანტიის კეისარს და სმბატ I-ის სამოწყალოდ მას საქმე არ გახდომია.

ჩვენი აზრით, გაჭირდება ლაპარაკი იმაზეც, რომ ბიზანტიის კეი-

---

80 გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 250; მოტანილ ნაწყვეტში ლაპარაკია ἄρχων τῶν ἀρχόντων-ის, არქონტთა არქონტის პატივზე.

81 იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 42; ახლადგამეფებული აშოტ ერკათი თავისი ამალით ბიზანტიაშიც ჩასულა კეისართან შესახვედრად და სათათბიროდ (იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 211—213).

სარს, მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის ჟამს, სომხეთის მეფე სმბატ I-თან სასურველი ურთიერთობის შენარჩუნების, ერთგვარად მისი მომადლიერების მიზნით, ხელი შეეწყო სმბატისათვის „ქართველთა საკურაპალატოს“ საქმეებში ჩასარევად, კერძოდ, „ქართველთა სამეფოს“ შექმნაში მის მიერ თითქოს აქტიური მონაწილეობის მისაღებად. ცნობილია, რომ როგორც ადარნასემდე, ისე მის შემდეგაც „ქართველთა საკურაპალატოს“ თუ „ქართველთა სამეფოს“ ხელისუფალნი ქედს არ იდრეკდნენ ბიზანტიის იმპერიის წინაშე, საჭიროების შემთხვევაში კიდევაც ემუქრებოდნენ კეისარს, „შენი მეუფების მორჩილებიდან გამოვალთ და სარკინოზებს მივეკედლებით“-ო[82]. ასეთ ვითარებაში, როცა „ქართველთა სამეფოსა“ და სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს ინტერესებიც საბოლოო ანგარიშით ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო, წარმოუდგენელია, ქარუული საერო თუ სასულიერო წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებს დაეშვათ სმბატ I-ის აქტიური მონაწილეობა „ქართველთა სამეფოს“ შექმნა-დაფუძნების, ადარნასეს გამეფების საქმეში ბიზანტიის ხელისუფლების ნების შესაბამისად, თუ ასეთი სურვილი კეისარს საერთოდ ჰქონდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მართალია, სმბატ I იმ ხანებშიც ცდილობდა კეისართან კავშირის დამყარებას, მაგრამ სომეხთა მეფე ჯერჯერობით მაინც ხალიფასა და საჯიანთა ხელდებული იყო და იგი სიფრთხილეს იჩენდა ბიზანტიასთან ურთიერთობაში[83]. ამდენად, საჯიანთა შიშით, სმბატ I-ს, საზოგადოდ, თავი უნდა შეეკავებინა ბიზანტიის კარნახით მოქმედებაზე. „ქართველთა სამეფოს“ შექმნის ჟამსაც, რაც ბიზანტიის იმპერიის დასტურით, მისი ნებით მოხდა, სმბატ I აქტიურ მოქმედებას ვერ გარისკავდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვფიქრობთ, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ სომხეთის მეფე სმბატ I-ს გადამწყვეტი როლი არ შეუსრულებია, არც აქტიური მონაწილეობა მიუღია „ქართველთა სამეფოს“ შექმნაში, ადარნასეს გამეფებაში. დრასხანაკერტცის სათანადო ცნობა ერთობ ტენდენციურია და სცოდავენ ის მკვლევარებიც, რომლებიც ამ ცნობას სანდოდ, სარწმუნოდ მიიჩნევენ, უკრიტიკოდ იღებენ ან არასაკმარის კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენენ მისდამი. სმბატ I-ის მონაწილეობა „ქართველთა სამეფოს“ ოფიციალურად აღიარებასთან დაკავშირებით მოწყობილ საზეიმო ცერემონიალში მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ შეი-

---

82 გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. 2, გვ. 285.

83 იხ. იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 60—63.

ძლება ასე ითქვას, მას ერთ-ერთი საპატიო სტუმრის მისია უნდა ჰქონოდა დაკისრებული.

თუ IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედსა და X ს. დამდეგს თითქმის ერთიანი სომხეთის სახელმწიფოს ჯერ მთავართა მთავარი, ხოლო შემდეგ მეფეები არა მარტო პრეტენზიებს აცხადებდნენ მთელს ამიერკავკასიაში გაბატონებაზე, არამედ პრაქტიკულადაც გარკვეულ ნაბიჯებს დგამდნენ ამ მიმართულებით, მას შემდეგ, რაც 908 წლიდან იწყება სომხეთის დაშლა და დასუსტება, სომეხ ხელისუფალთ აღარ შესწევდათ ძალა ებრძოლათ სომხეთის მეზობელი მხარეების შემოსაერთებლად.

მართალია, IX ს-ის დასასრულისათვის სომხეთი ერთიან სახელმწიფოდ, სამეფოდ გამოიყურებოდა და ამ მხრივ მას უპირატესობა გააჩნდა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაყოფილ საქართველოსთან, მით უფრო, ალვანეთთან შედარებით, მაგრამ სომხეთის ერთიანობა მტკიცე საფუძველს არ ემყარებოდა და იგი მალე დაიშალა კიდეც. IX ს-ის დამლევს სომხეთმა არაბთა ბატონობისაგან ფაქტიურად თავი რომ დააღწია, ყოველ შემთხვევაში, დასუსტებული სახალიფოს ბატონობის უღელი სომხეთში ანაზდად რომ აშკარად შეირყა, სომხეთი იმ დროისათვის ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა არ ყოფილა იმიტომ, რომ სახალიფოს ძალაუფლება მთელ სომხეთში ვრცელდებოდა, არაბებისათვის სომხეთი ერთ ქვეყანას წარმოადგენდა და არა რამდენიმეს. დამპყრობლის ფრთებქვეშ მიღწეული ქვეყნის ერთიანობა კი, ბუნებრივია, ზედაპირული აღმოჩნდა, მას უამრავი ხინჯი, წყლული დაჰყვა თან. დამპყრობლის უღელში შებმული ქვეყანა ხომ სხვა ცხოვრებით ცხოვრობს, სხვანაირად ფიქრობს და იქცევა, ვიდრე დამოუკიდებელი. ასეთი ქვეყნისათვის ერთბაშად დამოუკიდებლობის აღქმა და მისი სიკეთის გონივრულად გამოყენება, ეტყობა, გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდება, ხალხის, ერის სულის გაჯანსაღებას, ბრძოლის სულისკვეთების გაღვივებასა თუ გაღრმავებას დრო სჭირდება. სომხეთს კი საამისოდ არავითარი დრო არ აღმოჩენდა. დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ქვეყნის შინაგანად მოუმზადებლობას იმთავითვე საგარეო გართულებებიც დაერთო თან და სომხეთის ახლადშექმნილმა სამეფომ სულ რაღაც ოციოდე წელიწადში იწყო დაშლა. გუშინდელი, დაპყრობილი სომხეთისაგან ერთი ხელის მოსმით, მოკლე ხანში დამოუკიდებელი, ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს აშენება შეუძლებელი შეიქმნა, რამეთუ ხსენებულმა წყლულებმა ფრიად მტკივნეულად, სავალალოდ იჩინეს თავი.

IX ს-ის დასასრულისათვის სომხეთში სახალიფოს ბატონობა, მართალია, აშკარად შესუსტდა, მაგრამ სამაგიეროდ, სომხეთში თუ

მის მეზობლად არსებულ, სახალიფოსაგან თითქმის დამოუკიდებელ საამიროებთან სომეხთა მეფეებს თანდათან უძველდებოდათ ბრძოლა. ცნობილია, რომ საქართველოს გაერთიანებას გარკვეულწილად ხელს უშლიდა თბილისის საამირო და ამის გამო ქვეყნის გამაერთიანებლის როლში საქართველოს გული, ქართლი კი ვერ გამოდის (თუმცა მის დიდ მნიშვნელობას ყოველთვის კარგად გრძნობდნენ ის ხელისუფალნი, რომლებიც საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდნენ), არამედ პერიფერიებში წარმოქმნილი ქართული პოლიტიკური ერთეულები. სომხეთში კი პერიფერიებსაც სასტიკად უტევდნენ, ავიწროებდნენ არაბული მაჰმადიანური საამიროები. მაშინ, როდესაც თბილისის საამირო თანდათან სუსტდებოდა, სომხეთში, პირიქით, ახალი საამიროები იქმნებოდნენ (მაგ., გოღთნის საამირო) და ძველებიდანაც ზოგიერთი (მაგ., დვინის საამირო) უფრო და უფრო მეტად ძლიერდებოდა.

ხალიფებისაგან განსხვავებით, მაჰმადიანი ამირები, მას შემდეგ, რაც თითქმის დამოუკიდებლობა მოიპოვეს, სრულებითაც არ ფიქრობდნენ ფართო მასშტაბის პოლიტიკაზე. ისინი ყოველთვის არც იმისთვის იწუხებდნენ თავს, რომ ბიზანტიის წინააღმდეგ სომეხთა მიმხრობაზე ეზრუნათ, როგორც ამას ხალიფები აკეთებდნენ. თუ თავიანთი, შედარებით ვიწროდ შემოფარგლული ინტერესები უკარნახებდათ, ამირებს ზოგჯერ ისიც შეეძლოთ ეკისრათ, რომ ბიზანტიის იმპერიის იარაღი გამხდარიყვნენ და დაპირისპირებოდნენ, შებრძოლებოდნენ როგორც თანამორწმუნეებს, ისე სომხებსაც. საერთოდ კი სომხეთსა თუ მის საზღვრებთან არსებულ საამიროებს სომხეთში ბიზანტიელთა გაბატონება ხელს არ აძლევდათ და ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ ბიზანტიის იმპერიის საზღვრების გაფართოებას აღმოსავლეთში. ამგვარი არევ-დარევის შედეგად სომხეთის საქმეები კიდევ უფრო აიწეწა და ავბედითად წარიმართა. ისიც აღსანიშნავია, რომ სომხეთში არსებული არაერთი საამიროს ცენტრს სომხეთის დიდი, ცნობილი ქალაქები (დვინი, ხლათი და სხვა) წარმოადგენდნენ, რომლებიც სომხური სამყაროსაგან მნიშვნელოვანწილად გამოთიშულნი, მისდამი დაპირისპირებული აღმოჩნდნენ. საზოგადოდ, სომხეთის მაჰმადიანური საამიროები ხშირად ახერხებდნენ მოეწყვიტათ ერთი სომხური მხარე მეორისაგან, შეესუსტებინათ ან თითქმის მთლიანად ჩაეშალათ მათ შორის კონტაქტები[84], რაც, ცხადია, სომხეთის ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლას ხელს უწყობდა. საბოლოო ანგარიშით, IX—XI სს-ში სომეხ მეფე-მთავართა ბრძოლა სომხეთის საამიროების წინააღმდეგ სომეხთა დამარცხებით დამთავრდა[85]. ცხადია, ამის შედეგად

---

[84] იხ. მაგ., Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 114.

[85] იხ. Ա. Տեր-Ղևոնդյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.

სომხეთი კიდევ უფრო დასუსტდა და დაუძლურდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ სომხეთის საამიროების ხელისუფალთა პარპაში აიძულებდა სომეხთა ერთ ნაწილს მიეტოვებინათ სამშობლო და მის საზღვრებს ვარეთ ეძებნა თავშესაფარი[86]. სომხებს თავიანთ ქვეყანაშივე ავიწროებდა X საუკუნისათვის სომხეთში საკმაოდ მომრავლებული არაბული და ქურთული მოსახლეობა[87]. ჩვენში განსხვავებული ვითარებაა. IX ს-ის დასასრულიდან არამცთუ თბილისის დასუსტებული საამირო ვერ ავიწროებდა ამ ზომამდე ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ თავის დროზე არაბობაც მთელი საქართველოს მომცველი არ ყოფილა. ამიტომ, თუ სხვა გზა აღარ ჰქონდათ, ქართველები ქართლიდან ისევ ქართულ მხარეებში (იმერეთი, გურია, ტაო-კლარჯეთი...) გარბოდნენ და არა უცხო ქვეყნებში.

ზემოთ უკვე ითქვა იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი საფრთხე შეუქმნეს სომხეთს IX ს-ის დამლევს და X ს-ის პირველ მესამედში საჯიანებმა. ერთ-ერთ მთავარ მიზეზს სომხეთის ერთიანი სამეფოს თითქმის შექმნისთანავე დაშლისა სწორედ საჯიანთა თარეში წარმოადგენდა სომხეთში. სომხეთის მეფე სმბატ I-ს უცდია, ჩამოეშორებინა სომხეთი საჯიანთა ზედამხედველობისაგან და უშუალოდ ხალიფასათვის დაექვემდებარებინა (რაც იმჟამინდელ პირობებში მხოლოდ ფორმალური ხასიათისა შეიძლებოდა ყოფილიყო), მაგრამ სახალიფოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო სმბატის ცდას სომხეთისათვის უარესი შედეგი მოჰყოლია[88]. სომხეთში და მის მეზობლად არსებული საამიროების წინააღმდეგ სომეხთა წარუმატებელ, საბოლოოდ მარცხით დამთავრებულ ბრძოლას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ არც ბიზანტიის გაძლიერებულ იმპერიას აწყობდა სომხეთის ერთიანობა, ძლიერება და კეისრები ყოველი ღონით ცდილობდნენ სომხეთის დასუსტებას, რამეთუ ისინი მის დაპყრობაზე ფიქრობდნენ, ადვილად შესამჩნევი ხდება, რამდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სომხეთი IX ს-ის მიწურულიდან მოყოლებული. ამიტომაც სომხეთის დაშლის, დაქუცმაცების პროცესი X—XI სს-ში თანდათან ღრმავდებოდა. ჯერ იყო და სომხეთში წარმოიქმნენ ანის-შირაკის, ვასპურაკანის, სიუნიქის, ფარისოსის, ვანანდის, ტაშირ-ძორაგეტის სამეფოები, მაგრამ ცენტრიდანული ძალების თავაშვებულობა არც ამაზე შეჩერებულა. ცალკეული სამეფოებიც კი, მაგ., ანის-შირაკისა და ვასპურაკანის სომხური სამეფოები კიდევ შემადგენელ ნაწი-

---

86 იქვე, გვ. 259.

87 იხ. იქვე, გვ. 51, 64, 190—191; Գ. Գրիգորյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 159—160.

88 Հովանէ Դրասխանակերտցի, გვ. 100—104.

ლებად დაიშალნენ[89]. სომხეთში, განსაკუთრებით X ს-ის მეორე ნახევრიდან, წვრილწვრილი სამეფო-სამთავროების მთელი ქსელი წარმოიქმნა[90]. ამ მეფე-მთავრებს, ცხადია, სომხეთისათვის დიდი სარგებლობის მოტანა არ შეეძლოთ. როგორც მოსწრებულად ამბობენ ხოლმე, მათ, უმეტესწილად, მხოლოდ საფლავის ქვებზე დატოვეს თავიანთი სახელები[91].

სომხეთის დაქუცმაცებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ X—XI სს-ში ამ ქვეყანაში თავს იჩენს და საკმაოდ მძლავრადაც სამეფო თუ სამთავრო ტახტის მემკვიდრეობის იმგვარი წესი, რომ ტახტი გვერდითი შტოს წარმომადგენელზე, კერძოდ, მეფის ან მთავრის ძმაზე გადადის. მემკვიდრეობის ასეთ წესს მხარს უჭერს მხითარ გოშიც თავის „სამართალში"[92]. სამეფო, სამთავრო ტახტის მემკვიდრეობის ამდაგვარ წესს, შესაძლოა, გარკვეული საფუძველი ფეოდალური სომხეთის ცხოვრებაში, მის სინამდვილეში ეძებნებოდეს. საქმე ისაა, რომ თუ არშაკუნთა ეპოქაში და შემდგომაც, VII ს-მდე, გარდაცვლილი ნახარარის სამფლობელო, ადგილ-მამული მხოლოდ მის უფროს ვაჟს გადაეცემოდა, ხოლო დანარჩენი ვაჟები, სანახარარო სახლის უმცროსი წარმომადგენლები უმთავრესად ცხენოსან ჯარში ირიცხებოდნენ, IX ს-დან დამკვიდრდა წესი, რომლის მიხედვით გარდაცვლილი ფეოდალის მიწები ყველა მის ვაჟზე ნაწილდებოდა[93].

სომხეთის ცალკეული სამეფო-სამთავროები, ჩვეულებრივ, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, ებრძოდნენ. ანის-შირაკის ბაგრატუნთა, შაჰანშაჰთა უზენაესობა მათ მიმართ მხოლოდღა ნომინალურ ხასიათს თუ ატარებდა[94] და ისიც არა ყოველთვის. სომხეთში შექმნილი სწორედ ამგვარი ვითარების გათვალისწინებით აღნიშნავდა ი. ორბელი, რომ 961 წ. სატახტო ქალაქად ქცეული ანისი მთელი სომხეთის დედაქალაქი არასოდეს არ ყოფილაო[95]. მაშინ, როდესაც სომხეთში დაქუც-

---

[89] იხ. Արիստակես Լաստիվերտցի, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 44—45. Վ. Վարդանյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 181, 190, 195.

[90] С. Т. Еремян. Присоединение... გვ. 7.

[91] Լեհ, დასახ. ნაშრომი, გვ. 633.

[92] C. Toumanoff. The Background to Mantzikert, გვ. 423.

[93] იხ. А. Тер-Гевондян. Армения и арабский халифат, გვ. 188.

[94] იხ. С. Еремян. დასახ. ნაშრომი, გვ. 7; შდრ. Ռ. Մարգարյան, Հայոց թագավորության պետական կառուցվածքն ըստ Մատթեոս Ուռհայեցու վկայությունների, Լրաբեր, 1980, № 8, გვ. 66. აღსანიშნავია, რომ სომხეთის ბაგრატუნ მეფეთა ჯიბრზე ვასპურაკანის არწრუნი მეფეებიც იღებენ მეფეთა მეფის, შაჰანშაჰის ტიტულს (იხ. Վ. Վարդանյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 182—183).

[95] И. А. Орбели. Избранные труды, Ереван, 1962, გვ. 1; შდრ. Ռ. Մարգարյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

მაცების პროცესი ქვეყნის მომავლისათვის საშიშ ხასიათს იღებს, ჩვენში სრულიად სხვაგვარი, საპირისპირო მდგომარეობაა — საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმე, იდგა რა შედარებით მყარ ნიადაგზე, მტკიცე საფუძველზე, განუხრელად მიიწევდა წინ. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „ფეოდალური საქართველოს გაერთიანება უ ჩ უ მ რ ა დ მ ო მ ხ დ ა რ ი ყ ო, ვიდრე ეს „ქართველი“ მეფე-მთავრები (მესხური, ჰერ-კახური, თუ აფხაზური წარმოშობისა) ერთიმეორეს ებრძოდნენ“[96].

X ს-ის საქართველოსა და სომხეთში ამნაირი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ვითარების შექმნა, ჩვენი აზრით, არაერთმა მიზეზმა განაპირობა. შევეცდებით ზოგიერთი მათგანის აღნუსხვას. როგორც უკვე ითქვა, სახალიფოს ბატონობისაგან სომხეთმა თავი დააღწია, ვითარცა ერთიანმა სახელმწიფომ. მაგრამ ეს ერთიანობა, გარკვეული, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო არ იყო მტკიცე და იგი სულ მალე ხუხულასავით დაინგრა, ვერ გაუძლო შინაგან და საგარეო ვართულებებს. X ს-სა და XI ს-ის პირველ ნახევარში დაშლილ-დაქუცმაცებული, დანაწევრებული სომხეთის გამაერთიანებელი ძალები კი ამ ქვეყანაში არ აღმოჩნდნენ, ყოველ შემთხვევაში, ისინი იმდენად სუსტნი იყვნენ, რომ სომხეთის გაერთიანების დიდი საქმის განხორციელება არ შეეძლოთ. სომხეთი თანდათან სისხლისაგან იცლებოდა, ქვეყანა ღრმა კრიზისმა მოიცვა. რაც შეეხება საქართველოს, იგი ერთბაშად, გაერთიანებული ქვეყნის სახით კი არ განთავისუფლებულა არაბთა ბატონობისაგან, არამედ ცალკეულმა მხარეებმა სხვადასხვა დროს, შეუპოვარი ბრძოლის წყალობით დააღწიეს თავი სახალიფოს უღლისაგან. X საუკუნისათვის ქართული სამეფო-სამთავროები ბრძოლებში ერთობ გამოწრთობილი იყვნენ, ამავე დროს, მათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენების გარკვეული გამოცდილებაც შეიძინეს, ძალაც საკმარისად მოიკრიბეს, რამაც შესაძლებელი გახადა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლა შედარებით მკვიდრ ნიადაგზე დამდგარიყო. ერთი სიტყვით, სომხეთისაგან განსხვავებით, საქართველოს გაერთიანება პოლიტიკური და კულტურული დუღილის პირობებში მოხდა, მაშინ, როდესაც ჩვენში აშკარა იყო „მდუღარებაᲘ სულისაᲘ“. დუღილსა თუ მდუღარებას კი დიდი ძალა აქვს, მით უმეტეს, როცა იგი შედარებით ფართო წრეებს მოიცავს. „მდუღარებაᲘ სულისაᲘ“ შეიძლება ისეთი უძლიერესი ბიძგის წყარო აღმოჩნდეს, რომელსაც სასწაულების მოხდენა შეუძლია.

---

96 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 405—406; ხაზგასმა ავტორისაა.

ფრიად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ X ს-ში პირველად ჩნდება ქართლისაგან ნაწარმოები სიტყვა საქართველო, „როგორც შეკრებილი (თუ შესაკრებადი) ქვეყნის საერთო სახელი.

ეს ქვეყანა შეიგრძნეს, დაინახეს და მას საერთო სახელი უწოდეს ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე ის პოლიტიკურად გაერთიანდებოდა“[97]. აქედანაც ჩანს, თუ რაოდენ მტკიცე, მძლავრი იყო საძირკველი, რომელზედაც ერთიანი საქართველო უნდა აშენებულიყო.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, X—XI სს-ში საგარეო საფრთხის პრობლემა სომხეთისათვის გაცილებით უფრო ძნელად გადასაჭრელი აღმოჩნდა, ვიდრე საქართველოსთვის. საქართველო ასე თუ ისე გაუმკლავდა მრავალრიცხოვან მტერს, სომხეთმა კი ვერ შეძლო ეს. სომხეთის დასუსტებას, დაუძლურებას X—XI სს-ში ისიც განაპირობებდა, რომ სომეხთა ემიგრაცია ფართო მასშტაბისა გახდა. როგორც უკვე ითქვა, სომხეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, სამშობლოდან გაქცევის გასამართლებლად, სომეხმა მწიგნობრებმა[98] სახარების სიტყვებიც მოიშველიეს: „რაჟამს გდევნიდნენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიიქცეთ სხუად“[99]. ასოღიკის თანახმად, X ს-შიც კი, „სომეხთა მამამთავრის უფალ ხაჩიკის დროს[100] გაფანტული, გავრცელებული იყო სომეხთა ნათესავი დასავლეთის მხარეებში“[101]. მკვლევარ ჰ. ბართიკიანის სიტყვით, „ნათლად ჩანს, რომ X ს-ის შუა ხანებისათვის სომხები მოხეტიალე, არამდგრად ხალხად მიაჩნდათ“. ჰ. ბართიკიანი ფიქრობს, რომ ეს არ არის სომეხთათვის ბუნებრივი, თანდაყოლილი თვისება, იგი შემდგომში უნდა იყოსო შეძენილი. მაგრამ ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ X—XI სს-ში უამრავი სომეხი აიყარა თავისი მშობლიური მიწა-წყლიდან და უცხო ქვეყნებს მიაშურა[102]. მარტო ვასპურაკანის სომხური სამეფოს დაცემისას (1021 წ.) დაახლ. 70—80 ათასი სომეხი გადაიხვეწა ბიზანტიაში[103]. რაღა თქმა უნდა, მასობრივი ემიგრაცია სომხეთისთვის დიდ ეროვნულ უბედურებას წარმოადგენდა, სომხეთის მომავლისთვის მას საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა[104]. ასეთ პირობებში ქვეყნის ბრძოლისუნარიანობაზე,

---

97 იქვე, გვ. 285.

98 იხ. Թովմա Արծրունի և Անանուն, გვ. 310; Հովսեփ Դրասխանակերտցի, გვ. 273.

99 მათე, 10:23,

100 ხაჩიკ I, რომელიც ასოღიკის თანამედროვეა, სომეხთა კათალიკოსი იყო 973—992 წლებში.

101 Ստեփանոսի Տարօնեցւոյ... გვ. 258.

102 Հովհաննես Սկիւդեցու, ჰ. ბართიკიანის გამ., გვ. LXXVII—LXXXII.

103 Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 143.

104 იხ. Լ. Բաբայան, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

ძის აღმავლობაზე, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში სომხეთის სხვადასხვა კუთხეების დარაზმვაზე, ერთიანი სომხეთის სახელმწიფოს შექმნაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

X—XI სს-ში სომხეთის თანდათან დასუსტება, ალბათ, დაკავშირებულია სომეხი ბაგრატუნების ავტორიტეტის დაცემასთანაც. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ X—XI სს-ის სომხეთში, მაშინ როცა ამ ქვეყანაში მეფობდნენ ბაგრატუნები, ძლიერდება I—V სს-ის სომხეთის სამეფო დინასტიის, არშაკუნთა საგვარეულოს კულტი, რომლის არსებობა წინარე საუკუნეებშიც დასტურდება. ეს იმითაც უნდა იყოს გამოწვეული, რომ როგორც ჩანს, ბაგრატუნებს სომხეთში ვერ მოუპოვებიათ ისეთი ძალა და გავლენა, რაც იმდროინდელ პირობებში იყო საჭირო სამეფო დინასტიისათვის. ბაგრატუნთა მოქიშპე საგვარეულოებს უნდა ესარგებლათ იმითაც, რომ როგორც ითქვა. 914 წ. სოფეხთა მეფე სმბატ I შეიპყრეს საჯიანებმა და საშინელი, მხეცური წესებით ამოხადეს სული. სახელგანთქმული მეფის ასე უბედურად დაღუპვა სომხეთისათვის დიდ ტრაგედიად უნდა ქცულიყო, მაგრამ საფიქრებელია ისიც, რომ ბაგრატუნთა მოქიშპეებს სომხეთში ამ დროს ხელსაყრელი შესაძლებლობა მიეცემოდათ ღვარძლის გადმონთხევისათვის, რაც მხოლოდ ზიანს მოუტანდა სომხეთს. საზოგადოდ, აშკარაა, ფაქტია, რომ X—XI სს-ში სომეხმა ბაგრატუნებმა ვერ მოიპოვეს ისეთი ავტორიტეტი სომხეთში, როგორიც ქართველმა ბაგრატიონებმა ჩვენში, საქართველოში. ლეგენდაც ბაგრატიდთა გვარის დაცით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობის თაობაზე[105] საქართველოში გაცილებით უფრო პოპულარული იყო, ვიდრე სომხეთში, სადაც იგი საკმაოდ მკრთალ ფერებშია წარმოდგენილი[106]. საქართველოში ხაზი ესმებოდა იმ გარემოებას, რომ ბაგრატიონები ნათესავები იყვნენ ღვთისმშობლისა და თვით იესო ქრისტესი, რამდენადაც იმდროინდელი შეხედულებით, „წმიდა მეფე და წინასწარმეტყველი დავითი ხორციელად წინაპარი იყო ჩვენი უფლის იესო ქრისტესი“[107]. გასაგებია, მ ო ნ ო ფ ი ზ ი ტ უ რ სომხეთში იესო ქრისტეს „ხ ო რ ც ი ე ლ ი“ წინაპრების თუ შთამომავლობის შესახებ თქმულებები ვერ გავრცელდებოდა და სომეხ ბაგრატუნებსაც ვერ გამოაცხადებდნენ ქრისტეს ნათესავებად. ესეც უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო დინასტია სომეხ ბაგრატუნებზე უფრო

---

105 იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, წიგნში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

106 იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, გვ. 81.

107 იხ. თვენი, III, თბ., 1984, გვ. 782.

სიცოცხლისუნარიანი და ძლევამოსილი გამოდგა. სხვათა შორის, გაერთიანებული საქართველოს სამეფო ტახტიც ბაგრატიონებს რომ ერგოთ და არა ლიხსიქეთის მეფეებს, აღნიშნულ ლეგენდას ამაშიც უნდა მიუძღოდეს გარკვეული წვლილი. ქართული ეკლესია, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის იმჟამინდელ ცხოვრებაში, გაერთიანებული საქართველოს სამეფო ტახტზე იმის გამოც დაუჭერდა მხარს ბაგრატიონებს (და არა ლიხსიქეთის მეფეებს), რომ ისინი იესო ქრისტეს ნათესავებად იყვნენ შერაცხილნი.

როგორც ზემოთ, თავის ადგილზე დავინახეთ, X—XI სს-ში სომხური ეკლესია აშკარა, ღრმა კრიზისს განიცდიდა. ცხადია, მას აღარ შესწევდა ძალა, ხელი შეეწყო სომხეთის გაძლიერების, ცალკეული სამეფო-სამთავროების გაერთიანების, ქვეყნის აღმავლობის გზაზე დადგომისათვის. სომხეთში შექმნილი ამგვარი, მძიმე მდგომარეობა კი უიმედობის, სასოწარკვეთის მოძალებასაც იწვევდა. ასე მაგ., 1000 წლისათვის, ე. ი. ქრისტეს დაბადების 1000 წლის თავზე თუ XI ს-ის 30-იანი წლებისათვისაც, ე. ი. ქრისტეს ჯვარცმის. „მკვდრეთით აღდგომისა“ და „ცად ამაღლების“ 1000 წლისთავისათვის ნაწინასწარმეტყველევი იყო ქვეყნიერების წარწყმედა და განკითხვის, საშინელი სამსჯავროს დღის დადგომა. დასუსტებულ, დაუძლურებულ სომხეთში ამ წინასწარმეტყველებას დიდი გავლენა მოუხდენია, ჩვეულებრივ ბუნებრივ მოვლენებშიც კი ქვეყნის აღსასრულის ნიშნებს ხედავდნენ, რასაც უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ სომეხთა ბრძოლისუნარიანობაზე კიდევ უფრო უარყოფითად უნდა ემოქმედა[108]. იმ ხანებში სომხეთში მოღვაწეობდა ცნობილი სომეხი „მამა“ ჰოვჰანეს კოზერნი. 1023 და 1037 წწ. ბუნების გარკვეული მოვლენების „განმარტებისათვის“ სწორედ მისთვის მიუმართავთ. მას კი მეტად პესიმისტური აზრები გადმოუფრქვევია[109]. მსგავსი რამ, ალბათ, ყველა იმდროინდელ ქრისტიანულ ქვეყანაში ხდებოდა, მაგრამ ამ მხრივ უსათუოდ განსხვავება, მეტნაკლებობაც იქნებოდა. ქვეყანა, რომელიც აღმავლობას განიცდიდა, შედარებით ნაკლებად მოექცეოდა ამგვარი ცრურწმენის ტყვეობაში. ასე მაგ., მაშინ როდესაც ვასპურაკანის სულთმობრძავი სომხური სამეფოს უკანასკნელი მეფე სენექერიმ არწრუნი ძრწოდა ე. წ. ავის მომასწავებელი ნიშნების წინაშე, მისი შვილიშვილი, მისი ასულის, მარიამის ვაჟი, საქართველოს მეფე ბაგრატ IV ყოველგვარი სასწაულების, ეკლესიის, წმიდა მამების სწავლების, მოძღვრების მიმართ საოცრად კრიტიკულ დამოკიდებულებას ავლენს. მას წარმო-

---

108 იხ. Լ. Խ ո, დასახ. ნაშრომი, გვ. 630, 650, 652, 678, 681—683.

109 იხ. Լ. Բ ա բ ա յ ա ն, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

უთქვამს იმ დროისათვის დიახაც განსაცვიფრებელი სიტყვები: „ვერ-ერ თუალითა არა ვიხილო, არა მრწამს“[110].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, მისაღები უნდა იყოს დასკვნა, რომ X—XI სს-ის სომხეთში შექმნილი მძიმე ვითარების გამო ამ ქვეყნის როლი ამიერკავკასიის ისტორიაში თანდათან კნინდებოდა. უკვე X ს-ის 10-იანი წლებიდან, როცა დაიწყო სომხეთის დაშლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად[111], ფაქტიურად სომხეთს აღარ შეეძლო ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ა ნ ი პრეტენზია ჰქონოდა მთელი ამიერკავკასიის პოლიტიკურ გაერთიანებაზე, რისკენაც იგი საკმაოდ დაბეჯითებით მიისწრაფოდა[112] IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედსა და X ს-ის დამდეგს და ამ მიმართულებით იმ დროს ერთგვარ წარმატებებსაც მიაღწია. X ს-ის 10-იანი წლებიდან მოყოლებული სომეხ ხელისუფალთ აღარ შესწევდათ ძალა მეტოქეობა გაეწიათ ცალკეული ქართული პოლიტიკური ერთეულებისათვის, მით უმეტეს, X—XI სს-თა მიჯნაზე გაერთიანებული საქართველოსთვის ამიერკავკასიის თუ მთელი კავკასიის პოლიტიკური გაერთიანების საქმეში.

---

110 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 137.

111 აღსანიშნავია, რომ ასოღიკი ამ დროიდან სომხეთის დანაწევრებას, თითქოს, დაკანონებულად, ოფიციალურად აღიარებულადაც კი მიიჩნევს (Սեբեոսի Տաղանգեան... გვ. 169—170).

112 იხ. მაგ., ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 305.

თავი მეექვსე

ქართული სამეფო-სამთავროების, საქართველოს წვლილი ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში IX—XI საუკუნეებში

წინა თავებში ჩვენ ნაწილობრივ, საჭიროებისდა მიხედვით, უკვე ვისაუბრეთ ქართული სამეფო-სამთავროების, საქართველოს ურთიერთობის შესახებ სომხეთთან და ალვანეთთან. ბუნებრივია, აქ ყველაფერს ვერ გავიმეორებთ. ზოგიერთ საკითხს მხოლოდ გაკვრით შეეხებით, ხოლო სხვათა კვალდაკვალ, რომლებიც ზემოთ საერთოდ არ ყოფილა ან ნაკლებად იყო განხილული, შედარებით მეტხანს შევჩერდებით. როგორც უკვე ითქვა, „ქართველთა საკურაპალატოს" დამფუძნებელს, აშოტ დიდ ბაგრატიონს, რომელიც მეფედაც იხსენიება ქართულ წყაროებში, ქალაქ ბარდავსა და მის სანახებში გაბატონებაც კი განუზრახავს. მოსალოდნელია, „ქართველთა კურაპალატი" აშოტი იმავე დროს მეზობელი, მისი სამფლობელოს მომიჯნავე სომხური ოლქების თავის გავლენის ქვეშ მოქცევასაც შეეცდებოდა. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ სომეხი ბაგრატუნები უფრო IX ს-ის 30—40-იან წლებში ძლიერდებიან, ვიდრე იმავე საუკუნის პირველ მეოთხედში[1]. ამასთანავე, IX ს. პირველ ნახევარში სომეხ ბაგრატუნებს შორის პირველობა დასაკუთრებული ჰქონდა ტარონისა და არა შირაკის შტოს, რომელიც ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან აღზევდა მხოლოდ[2]. ტარონის ბაგრატუნებს კი მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა ვერ უნდა გაეწიათ „ქართველთა კურაპალატ" აშოტ ბაგრატიონისათვის ჩრდილო-დასავლეთ სომხეთის ოლქებისათვის ბრძოლაში.

ვფიქრობთ, ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ სუმბატ დაეითის ძე აშოტ დიდი კურაპალატის მკვლელებს ოროზ-მოროზის ძეთ უწოდებს[3]. ეს ოროზ-მოროზის ძენი, თუმცაღა აშოტ კურაპალატის

---

[1] იხ. მაგ., Ա. Տեր-Ղևոնդյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

[2] იხ. Լեո, დასახ. ნაშრომი, გვ. 508.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 377.

ქვეშევრდომნი ყოფილან, მის სამფლობელოში უცხოვრიათ, მაგრამ არაბეას მოუსყიდიათ, გადაუბირებიათ ისინი და აშოტ კურაპალატის მოკვლაც სწორედ მათი მეშვეობით მოუხერხებიათ[4]. გამოთქმა ოროზ-მოროზი, ოროზ-მოროზის ძენი საკმაოდ უცნაურად გამოიყურება. აშკარაა, რომ ქართველი მემატიანე მტრულადაა განწყობილი ოროზ-მოროზის ძეთა მიმართ და ამ უცნაური სახელითაც ამიტომ უნდა ნათლავდეს მათ. ამავე დროს, შესაძლოა, სუმბატ დავითის ძეს ოროზ-მოროზის ძენი ქართველთაგან განსხვავებული, უცხო ტომის შვილებად მიაჩნდეს და ამის გამოსახატავადაც იხსენიებდეს მათ ქართველთათვის უჩვეულო სახელით. აღსანიშნავია, რომ ოროზ-მოროზის ძენი არსებულ წყაროებში სხვაგან არსად არ გვხვდებიან. სულხან-საბას განმარტებით, სიტყვა მოროს, რაც იგივე სუმბატ დავითის ძისეული მოროზ არის, ბერძნულად სულელს ნიშნავს. მართლაც, ბერძნული μωρός სულელის, ჩერჩეტის, უგუნურის აღმნიშვნელია[5]. თუ სიტყვა მოროს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, იგი შეტანილი არაა ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, ძველ სომხურ ენაზე არსებულ თხზულებებში სიტყვა მოროს არაერთხელ გვხვდება სულელის, ჩერჩეტის, უგუნურის მნიშვნელობით[6]. რაც შეეხება სუმბატ დავითის ძისეულ სიტყვა ოროზ-ს, მისი წარმომავლობა, ეტიმოლოგია ჩვენთვის უცნობია. ეგების, სიტყვა მოროზის მსგავსად ოროზიც ბერძნულიდან მომდინარეობდეს, ბერძნულში მისი მსგავსი სიტყვებიც არსებობს[7], მაგრამ მათი მნიშვნელობები μωρός სიტყვის მნიშვნელობას არ ეთანადება, არ ესადაგება. რამდენადაც ჩვენი მემატიანე აშოტ დიდი კურაპალატის მკვლელებს უგუნურთა, სულელთა ნაშიერად მიიჩნევს, სიტყვა ოროზიც მკვლელების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველი ჩანს.

„ქართველთა საკურაპალატოში“, აშოტ კურაპალატის სამფლობელოში, ქართველების გარდა სომხებიც ცხოვრობდნენ და შესაძლოა, სუმბატ დავითის ძეს ოროზ-მოროზის ძენი მათთან გაეგივებინა. საფიქრებელია, აშოტ დიდი კურაპალატის განადგურების მოსურნე არა-

---

4 იხ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამ., გვ. 74—75; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 69.

5 А. Д. Вейсман. Греческо-русский словарь, С. Петербург, 1882, გვ. 828.

6 Հր. Աճառյան, Հայերեն արմատական բառարան III, Ե., 1977, էջ. 350; Ստ. Մալխասեանց, Հայերեն բացատրական բառարան, III, Ե., 1944, էջ. 361.

7 იხ. А. Д. Вейсман, დასახ. ნაშრომი.

ბებს სწორედ „ქართველთა საკურაპალატოში“ მცხოვრები სომხების გადაბირება, მიმხრობა მოეხერხებინათ და მათი მეშვეობით მოეკლათ აშოტ ბაგრატიონი[8]. იქნებ, ამაზე მიგვითითებდეს „ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲს“ ერთი ადგილიც. შეუტყვია რა აშოტ დიდი კურაპალატის მოკვლის თავზარდამცემი, შემაძრწუნებელი ამბავი, გრიგოლ ხანძთელს ასე დაუტირებია იგი: „ჰოი, მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო... აწ ვითარ-მე მიეცი ჯელსა შეურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი-იგი იუდაჲს მსგავსად შენ, უფლისა თჳსისა მკლველ იქმნნეს“[9]. „უ შ ჯ უ ლ ო და უნდო კაცებად“ გრიგოლ ხანძთელს თუ გიორგი მერჩულეს, შესაძლოა, მონოფიზიტი (გრიგორიანი), მწვალებლებად მიჩნეული სომხები გამოეცხადებინათ. ალბათ, არც ისაა გამორიცხული, რომ აშოტ დიდი კურაპალატის მკვლელობაში რომელიმე სომეხი მთავრის ხელიც ერიოს. საქმე ისაა, რომ სომეხ ბაგრატუნებს „ქართველთა კურაპალატის“, აშოტ ბაგრატიონის გაძლიერება არ უნდა მოსწონებოდათ, რამეთუ თავიანთ მეტოქედ უნდა მიეჩნიათ იგი. ეგების, რომელიმე სომეხმა ბაგრატუნმა, პროარაბული ორიენტაციის მთავარმა შუამავლობაც იკისრა არაბებსა და აშოტ დიდი ბაგრატიონის ქვეშევრდომ სომხებს შორის, რომლებმაც სიცოცხლე მოუსწრაფეს „ქართველთა საკურაპალატოს“ შემქმნელს.

როგორც ცნობილია, აშოტ დიდი კურაპალატის დაღუპვის შემდეგ ბიზანტიის კეისარმა კურაპალატობა აშოტის უფროს ვაჟს, ადარნასეს კი არა, შუათანა ვაჟს, ბაგრატს უბოძა. რა თქმა უნდა, ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება ამით მიზნად ისახავდა განხეთქილება ჩამოეგდო ძმებს, თუ მათ შთამომავლობას შორის, დაესუსტებინა „ქართველთა საკურაპალატო“, რათა უფრო შეძლებოდა თავის გავლენის ქვეშ მისი მოქცევა („გათიშე და იბატონე“). კეისარმა მიზანს მიაღწია, აშოტ დიდი ბაგრატიონის შემდეგ „ქართველთა საკურაპალატო“ ფაქტიურად ცალკეულ ნაწილებად დაიშალა, ხოლო აშოტ კურაპალატის შვილიშვილებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაც გაჩაღდა. მიუხედავად ამისა, „ქართველთა საკურაპალატოს“, IX ს-ის დასასრულიდან „ქართველთა სამეფოს“ ცალკეული წარმომადგენლები, ზოგჯერ დინასტიის გვერდითი შტოდანაც, ახერხებდნენ დიდი ავტორიტეტის მოპოვებას, სხვა ხელისუფალთა თავიანთი გავლენის ქვეშ მოქცევას. დ. მუსხელიშვილის სიტყვით, „შეგვიძლია დაბეჯითებით აღვნიშნოთ, რომ IX—X სს. განმავლობაში ქართველთა საკურა-

---

[8] შდრ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამ., გვ. 75.

[9] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 111—112; ქართული პროზა, I, გვ. 238.

პალატოს თუ სამეფოს უდიდესი ნაწილი პერიოდულად ერთიანდებოდა ხოლმე ერთი ფაქტიური გამგებლის ხელქვეით"[10]. ასეთი ხელისუფალნი კი მთელი ამიერკავკასიის საქმეებში ჩარევას ცდილობდნენ. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ გუარამ მამფალი, გურგენ ერისთავ-ოერისთავი, დავით დიდი კურაპალატი და სხვა.

გუარამ მამფალს რომ დიდი გეგმები ჰქონდა, ეს ჩანს იქიდან, რომ იგი არა მარტო არაბებს ებრძოდა დაუცხრომლად, ანტიარაბული ფრონტის თავკაცი იყო ამიერკავკასიაში, არამედ, ამავე დროს, გუარამი ცდილობდა, მთელი საქართველოს, ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცხოვრების წარმმართველი ყოფილიყო. მთიულთა შორის გავლენის მოპოვების[11] გარდა, ამის დასტურია ისიც, რომ გუარამი დაახლ. IX ს-ის 50-იან წლებში[12] ერევა ქართული ეკლესიის საქმეებში, ეკლესიისა, რომელიც დიდ ძალას წარმოადგენდა იმჟამინდელ საქართველოში. გუარამ მამფალს უნდოდა თავისი კანდიდატურა აეყვანა საკათალიკოსო ტახტზე და ამის გამო სახელგანთქმულ „მამას", დიდ ქართველ მოღვაწეს, იმხანად ღრმად მოხუცებულ გრიგოლ ხანძთელსაც კი დაუპირისპირდა[13].

„მატიანე ქართლისაჲს" ცნობით, „გუარამს დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი, და არტანი. და ჰბრძოდა სარკინოზთა... ხოლო გუარამ განუყენა ქუეყანანი ძმათა თჳსთა ადარნასეს და ბაგრატს, და აბოცი განუყო ცოლის ძმასა თჳსსა სომეხთა მეფესა"[14]. რა თქმა უნდა. გუარამი ნებაყოფლობით არაფერს გაუყოფდა არც თავის ძმებსა და არც ცოლისძმას, იმ დროს ჯერ კიდევ სომხეთის მთავართა მთავარს, 884/85 წლიდან სომხეთის მეფე აშოტ I-ს. უბრალოდ, გუარამ მამფალი იძულებული უნდა ყოფილიყო ასე მოქცეულიყო, რამდენადაც მისი გაძლიერება (თუნდაც სარკინოზების, არაბების შევიწროების ხარჯზე) არც „ქართველთა კურაპალატ" ბაგრატს და არც სომხეთის მთავართა მთავარს, აშოტ I-ს არ აწყობდათ. ამ უკანასკნელს დააფიქრებდა ის გარემოება, რომ გუარამ მამფალს ტაშირისა და აბოცის დაკავების შემდეგ მეზობელი სომხური ოლქების შემოერთებაც უნდა ჰქონოდა განზრახული. რ. გრუსეს თანახმად, გუარამ მამფალი მიისწრაფოდა გაბატონებულიყო სევანის ტბის სანაპიროზეც კი, რაც სომეხთა მთავართა მთავრის, აშოტ I-თვის მიუღე-

---

10 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, ვვ. 197.

11 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.

12 იხ, ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137—138.

13 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 129—132.

14 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 257.

ბელი იქნებოდა[15]. თუ გუარამ მამფალსა და აშოტ I ბაგრატუნს შორის აშკარა შეტაკებების შესახებ ცნობები არ არსებობს, გუარამის ვაჟსა და მემკვიდრეს, ნასრას უკვე სავსებით დაუფარავად დაუპირისპირდნენ „სომეხნი", ე. ი. აშოტ I ბაგრატუნი და მისი ჯარი. აშოტ I-მა ისარგებლა „ქართველთა საკურაპალატოში" შექმნილი რთული ვითარებით, აგრეთვე საქმეში ლიხსიქეთის მეფის ჩარევით და როგორც ზემოთაც ითქვა, ქართლისათვის ბრძოლაში ჩაება. ამ შეხლა-შემოხლას შეეწირა ნასრა, რითაც გუარამ მამფალის სახლიც დაეცა[16].

ლიხსიქეთისა და სომეხთა (ბაგრატუნ) მეფეებს შორის ქართლისათვის, ასევე, ამიერკავკასიაში პირველობის მოპოვებისათვის ბრძოლა შემდგომშიც დიდხანს გრძელდებოდა. ამდენად, ზღაპარია რ. ხონელიას განცხადება, თითქოს, ხანგრძლივი მტრობა არასოდეს ჩამოვარდნილა „აფხაზეთ"-სომხეთს შორის. ჩვეულებრივ, მათ შორის მეგობრობა სუფევდაო[17]. უწინარეს ყოვლისა, საკითხავია, რას გულისხმობს რ. ხონელია სომხეთის ცნებაში? სომხეთი ხომ 908 წლიდან ერთიანი ქვეყანა აღარ იყო? ისევე, როგორც ქართული, სომხური სამეფო-სამთავროებიც პირველობისათვის იმ ხანებში ხომ ერთმანეთს ებრძოდნენ და ერთ-ერთ სომხურ სამეფოს „აფხაზთა", ლიხსიქეთის სამეფოც რომ დაპირისპირებოდა, რა არის ამაში არაჩვეულებრივი და საკვირველი? 908 წლამდეც, როდესაც სომხეთი ერთიან სახელმწიფოს, სამეფოს წარმოადგენდა, ლიხსიქეთის სამეფო, როგორც წესი, უპირისპირდებოდა მას, რადგან ისინი მეტოქეები იყვნენ ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანების სირთულეებით აღსავსე გზაზე. როგორც უკვე აღინიშნა, განა „მატიანე ქართლისაჲ" სიტყვები — „იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა"[18] იმის მოწმობა არაა, რომ IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ლიხსიქეთისა და სომეხთა (ბაგრატუნ) მ ე ფ ე ე ბ ს შორის ჩვეულებრივი იყო სწორედ ბრძოლა, მტრობა და არა მეგობრობა? როგორც ვიცით, X ს-ის დამდეგსაც, დაახლ. 904 წ. ატყდა ომი ლიხსიქეთისა და სომხეთის სამეფოებს შორის. ამის შემდეგაც ლიხსიქეთისა და სომეხ ბაგრატუნ მეფეთა მორიგება იშვიათად

---

[15] R. Grousset, Histoire de l'Armenie des origines a 1071, გვ. 392.

[16] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 259—261, 379.

[17] Р. Хонелия. [Из истории политических взаимоотношений... გვ. 103.

[18] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 259. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ძველ ინდოეთში გავრცელებული თვალსაზრისით, სახელმწიფოთა საგარეო ურთიერთობა მათი გეოგრაფიული მდებარეობით განისაზღვრებოდა: მეზობელი მეზობლის მტერია, მეზობლის მეზობელი — მეგობარი, მეგობრის მეზობელი — მტერი და ა. შ. (იხ. ვ. ა ბ ა შ მ ა ძ ე, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, I, თბ., 1975, გვ. 129, 153).

ხდებოდა ხოლმე, უფრო მეტად ისინი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, რამეთუ ერთიცა და მეორეც მთელს ამიერკავკასიაში გაბატონებაზე ფიქრობდნენ.

რაც შეეხება 908 წ. შექმნილ ვასპურაკანის სომხურ სამეფოს, ლიხსიქეთის მეფეებს მასთან ბრძოლა არ უხდებოდათ, რადგან ვასპურაკანის მეფეები პრაქტიკულად არც ქართლისათვის იბრძოდნენ და არც თავიანთი სამფლობელოს გარშემო მთელი ამიერკავკასიის შემოკრებისათვის. უფრო მეტიც, ვასპურაკანის არწრუნი მეფეები უპირისპირდებოდნენ, ებრძოდნენ სომხეთის ბაგრატუნ მეფეებს[19] და ამდენად ვასპურაკანის ხელისუფალნი შეიძლებოდა ლიხსიქეთის მეფეების ბუნებრივი მოკავშირეები გამომდგარიყვნენ სომეხ ბაგრატუნთა სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ლიხსიქეთისა და ვასპურაკანის მეფეთა კავშირზე მიგვითითებს მაგ., „მატიანე ქართლისაჲს“ შემდეგი ცნობა: ლიხსიქეთის მეფე გიორგი II-მ (922—957) „მისცა ქართლი ძესა თჳსსა უხუცესსა კოსტანტის“. ამ უკანასკნელმა „ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თჳსისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი“. გიორგი მეფეს მოუხერხებია ამბოხებულთა დამარცხება. მან საკუთარი შვილი „გააპატიჟა ბოროტად: პირველად თუალნი დასწუნეს და მერმე გამოყუერეს. და მოკუდა. ხოლო აზნაურნი, რომელნი დგეს ციხესა შინა, მინდობით გამოიყვანნა, და ტბელნი განუტევნა მშჳდობით, და გაგზავნნა იგინი ასფურაგანს“[20].

„მატიანე ქართლისაჲსეული“ ასფურაგანი, რა თქმა უნდა, იგივე ვასპურაკანია. ე. ცაგარეიშვილის თანახმად, ვასპურაკანს ძველ ქართულ წყაროებში გვასპურაკანი ეწოდება[21]. გუასპურაგანი მართლაც გვხვდება ვასპურაკანის აღმნიშვნელად[22], მაგრამ ასფურაგანიც სახელწოდება გუასპურაგანის თუ ვასპურაკანის ნაირსახეობაა. ასფურაგანის ანუ ასპურაგანის[23] მსგავსი სახელებით (მაგ., ბოსფურაგანი,

---

19 იხ. Վ. Վարդանյան, დასახ. ნაშრომი; მისივე, Վասպուրականի 910—930-ական թթ. պատմության շուրջը, ՊԲՀ, 1980, № 1.

20 ქართლის ცხოვრება, I, გვ, 266—268.

21 იხ, მრავალთავი, IV, გვ. 255.

22 იხ. მაგ., მოქცევაჲ ქართლისაჲ, წიგნში: შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 326; Իոանէ Դրասխանակերտցի, ილ. ამბულაძის გამ., გვ. 85.

23 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 392.

ასპარაკანია, ასპურაგანი, ასფარახანი) იხსენიება ვასპურაკანი არაბულ და ბიზანტიურ წყაროებში[24].

როგორც ეტყობა, ლიხსიქეთის მეფე გიორგი II-ს კარგი ურთიერთობა ჰქონია ვასპურაკანის არწრუნ მეფესთან, თორემ ტბელებს ვასპურაკანში არ გააძევებდა. ცნობილია, რომ ტბელთა საგვარეულო, საზოგადოდ, ძირს უთხრიდა საქართველოს გაერთიანების საქმეს[25] და გიორგი II დამარცხებულ, მის ხელთ ჩავარდნილ ტბელებს მხოლოდ თავის მოკავშირე ხელისუფლის საბრძანებელში „გაისტუმრებდა", რათა იქიდან ასე ადვილად ვერ შეძლებოდათ, არ ღირსებოდათ სამშობლოში დაბრუნება. გიორგი II-ის მიერ სომეხ ბაგრატუნთა სამეფოსადმი დაპირისპირებულ ვასპურაკანის მეფესთან კეთილმეგობრული ურთიერთობის დამყარება კი გულისხმობს, რომ ლიხსიქეთის მეფესა და სომხეთის ბაგრატუნ მეფეს შორის იმ ხანებშიც არასახარბიელო დამოკიდებულება არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ამგვარ აზრს მხარს უჭერს ასოღიკის ცნობებიც, რომელთა შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ. როგორც ცნობილია, ლიხსიქეთის მეფე გიორგი II ერთობ ძლიერი ხელისუფალი ჩანს, იგი მთელი საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა, მისი გავლენა ვრცელდებოდა კახეთსა და ტაოშიც, ასევე, საქართველოს საზღვრებს გარეთაც, ჩრდილო კავკასიაში. ბუნებრივია, დიდი პრეტენზიების მქონე სომხეთის ბაგრატუნ მეფეებს არ მოეწონებოდათ ლიხსიქეთის სამეფოს ესოდენ გაძლიერება, მისი საზღვრების მიბჯენა სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოსთან.

სომხეთის ბაგრატუნი მეფეების აღშფოთება განსაკუთრებით უნდა გამოეწვია იმას, რომ როგორც ჩანს, ლიხსიქეთის მეფეები ქვემო ქართლისთვისაც იბრძოდნენ. ქვემო ქართლში კი, როგორც ვიცით, გარკვეული მიზეზების გამო, IX ს-ის დასასრულს სომხეთის მეფეებმა შეძლეს ფეხის მოკიდება. მართალია, პირდაპირი, ეჭვმიუტანელი ცნობები ქვემო ქართლში ლიხსიქეთის მეფეების მფლობელობის შესახებ არ შოგვეპოვება, მაგრამ არაპირდაპირი მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლიხსიქეთის მეფეებს განზრახული ჰქონდათ ქვემო ქართლიდან სომეხთა ბაგრატუნი მეფეების განდევნა.

გუარამ მამფალის ძე, მისი მემკვიდრე ნასრა ბრძოლის ველზე

---

24 იხ. Баладзори. პ. ჟუზეს თარგმანი, გვ. 5; Հովհաննես Սկիլլացես, გვ. 324, შენ. 347; E. Honigmann. Die Ostgrenze des Byzantinischen Reiches, Bruxelles, 1935, გვ. 235, 260; ბ. სილაგაძე, იაპია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ... ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, თბ., 1985, გვ. 116.

25 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 526—527.

დაეცა. „არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიყოცა საჯსენებელი მისი“[26]. მთელი ამ შეხლა-შემოხლის დროს ლიხსიქეთის მეფე ნასრას მხარდამხარ იბრძოდა. ამიტომ, ბუნებრივია, იგი გუარამ მამფალისა და ნასრას კუთვნილი ოლქების დაპატრონებას შეეცდებოდა ქვემო ქართლში. ეტყობა, ეს ქართული მიწა-წყალი იმჟამად სომხეთის ბაგრატუნ მეფეს დარჩენია, მაგრამ ლიხსიქეთის მეფეებსაც არ უნდა შეეწყვიტათ ბრძოლა მისთვის. მოსალოდნელია, დაახლ. 904 წ. ომიც სომეხთა მეფე სმბატ I-სა და ლიხსიქეთის მეფე კონსტანტინეს შორის ქვემო ქართლისათვის, გუგარქისთვისაც გაჩაღებულიყო. ვფიქრობთ, ამგვარი ვარაუდის საფუძვლიანობას მხარს უჭერს დრასხანაკერტცის შემდეგი ცნობა: სმბატ I და „ქართველთა მეფე“ ადარნასე „ერთად წავიდნენ კონსტანტინეზე თავდასასხმელად. [კონსტანტინემ] როცა დაინახა, რომ არ შეუძლია მათთვის წინააღმდეგობის გაწევა, უკანვე გაბრუნდა გამაგრებულ ადგილებში და იქ დაბანაკდა, რათა ეთხოვა [სმბატთან] შერიგება“[27]. არსებული წყაროებიდან მშვენივრად ჩანს, რომ „უკან გაბრუნებული“ ლიხსიქეთის მეფე უფლისციხეში გამაგრდა და იქ ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის. საფიქრებელია, უფლისციხისაკენ მისი „უკან გაბრუნება“ სწორედ ქვემო ქართლიდან მოხდა.

თუ დავუშვებთ, რომ 904 წლისათვის ლიხსიქეთის სამეფოს, მის მეფეს შესწევდა ძალა ქვემო ქართლისათვის, გუგარქისათვისაც დაპირისპირებოდა სომეხთა მეფე სმბატ I-ს[28], მაშინ უნდა შეეეხოთ საკითხსაც იმის შესახებ, დაახლ. 904 წ. ომის დროს სმბატ I-მა მართლა დაარბია თუ არა დასავლეთ საქართველო, კერძოდ, გურია, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს[29]. უკეთუ სმბატ I-ს გურიის აკლებაც კი შეეძლო, მაშინ ლიხსიქეთის მეფის პრეტენზია ქვემო ქართლზე, გუგარქზე არარეალური იქნებოდა. დრასხანაკერტცის თანახმად, მას შემდეგ, რაც დაახლ. 904 წ. ომში „ქართველთა მეფის“, ადარნასეს მეშვეობით სმბატ I-ს ლიხსიქეთის მეფის ვერაგულად, ღალატით შეპყრობა მოუხერხებია (ეს ამბავი უფლისციხესთან მოხდა), „სმბატ მეფემ მრავალი სიმაგრე დაიპყრო ვურის ქვეყანაში და იმ მხარეებში გამგებელნი დააყენა“[30]. ილ. აბულაძე და უფრო დაბეჯითე-

---

26 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 379.

27 იოანე დრასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 109—110.

28 იხ. აგრეთვე ე. ცაგარეიშვილი, ანონიმი ისტორიკოსი... მრავალთავი, V, გვ. 162; R. Grousset, დასახ. ნაშრომი, გვ. 428.

29 ამის თაობაზე ვრცლად იხ. ა. აბდალაძე, ჰოვპანეს დრასხანაკერტცისეული ვურისა და გამრთა „ქვეყნების“ კვალდაკვალ.

30 Ցովհաննու կաթողիկոսի Դրասխանակերտեցւոյ Պատմութիւն Հայոց, Թիֆլիս, 1912, გვ. 200—201; იოანე დრასხანაკერტელი,, ილ. აბუ-

ბით ე. ცაგარეიშვილი „ვურის ქვეყანას“ გურიასთან აიგივებენ. ე. ცაგარეიშვილის სიტყვით, „მოსაზრებას „ვურის ქვეყნის“ გურიად აღიარების შესახებ გარდა ენობრივი მონაცემებისა, თვით ფაქტობრივი მასალებიც უჭერს მხარს. იოანე დრასხანაკერტელის ცნობის მიხედვით სუმბატი მიდის დასავლეთ საქართველოში კონსტანტინე აფხაზთა მეფის წინააღმდეგ და ამ დროს იპყრობს სწორედ სიმაგრეებს ამ ვურის ქვეყანაში“. ამდენად, „ვურის ქვეყანა“, მართლაც, გურია უნდა იყოსო. ე. ცაგარეიშვილმა დრასხანაკერტცის „სომხეთის ისტორიის“ მისეულ ქართულ თარგმანშიც სომხური ტექსტის „ვურის ქვეყნის“ შესატყვისად „გურიის ქვეყანა“ შეიტანა კითხვის ნიშნის დართვით, ხოლო საძიებელში კითხვის ნიშნის გარეშეც[31].

ვფიქრობთ, დრასხანაკერტცის „ისტორიიდან“ არ ჩანს, რომ სომხეთის მეფე სმბატ I-ს ელაშქროს დასავლეთ საქართველოში. მემატიანე კათალიკოსის თანახმად, სმბატ I-მა „ეგრისის“, ლიხსიქეთის მეფე კონსტანტინე ვერაგულად, ღალატით მაშინ შეიპყრო, როცა იგი „თ ა ვ ი ს ი ბ უ ნ ა გ ი დ ა ნ გ ა მ ო ს უ ლ ი“ ს ხ ვ ა გ ა ნ „დ ა თ ა რ ე შ ო ბ დ ა“. მაშასადამე, კონსტანტინე დასავლეთ საქართველოში არ ჩავარდნილა ტყვედ. სათანადო, ქართულ-სომხური მასალების შეჯერებით აშკარა ხდება, რომ იგი უფლისციხესთან დაატყვევეს. რაც შეეხება სმბატ I-ის ლაშქრობას დასავლეთ საქართველოში „ეგრისის“, ლიხსიქეთის მეფის შეპყრობის შემდეგ, ამის შესახებ წყაროებში ცნობა არ მოიპოვება. ჩვენი აზრით, ამგვარი ლაშქრობა საერთოდაც არ შემდგარა და ამდენად „ვურის ქვეყანა“ არ შეიძლება გურია იყოს. ლიხსიქეთის მეფის, კონსტანტინეს უფლისციხესთან ტყვედ ჩავარდნის ფაქტი არ შეიძლება მოვიხმოთ იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ამ დროს სომეხთა მეფე სმბატ I-თვის დას. საქართველოში ლაშქრობა, თითქოს, ძნელი არ უნდა ყოფილიყო. კონსტანტინეს დატყვევება სულაც არაა ლიხსიქეთის სამეფოს სისუსტის დამადასტურებელი, რადგან ლიხსიქეთის მეფე მოწინააღმდეგეებმა მხოლოდ ვერაგობით, საზავო მოლაპარაკების ჟამს იგდეს ხელთ ტყვედ. კონსტანტინეს წარუმატებლობა, მისი მარცხი კანონზომიერ მოვლენად ვერ ჩაითვლება. ლიხსიქეთის სამეფოში სასრწრაფოდ მიუღიათ გადაწყვეტილება, რომ კონსტანტინეს ნაცვლად სხვა აეყვანათ სამეფო ტახტზე

ლაძის გამ., გვ. 32—33; შდრ. ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 110.

31. ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 0125—0126, 110, 251, 310; იხ. აგრეთვე П. М у р а д я н. Армянская эпиграфика Грузии, Ереван, 1985, გვ. 65.

და განეგრძოთ ბრძოლა. სმბატ I შეშფოთებულა იმის გამო, რომ „ეგრისელები“ „მომზადებული იყვნენ სხვა ვინმე კონსტანტინეზე უფრო მძლავრი დაეყენებინათ თავიანთ მეფედ“[32]. სმბატს, თითქოს, უმჯობინებია, ისევ კონსტანტინე გაეთავისუფლებინა სასწრაფოდ ტყვეობიდან.

იმის გამო, რომ დრასხანაკერტცი IX ს-ის დასასრულისა და X ს-ის პირველი მეოთხედის ამბებს, კერძოდ, სმბატ I-ის საქმეებს დაწვრილებით აღწერს[33], ძნელი წარმოსადგენია, უკეთუ სმბატმა დასავლეთ საქართველოში ილაშქრა, მეისტორიე კათალიკოსს ამ ოპერაციიდან მხოლოდ გურიის დაპყრობა მოეხსენებინა. გურიაში მისვლამდე სმბატის ლაშქარს ხომ საკმაო მანძილი, არაერთი ოლქი უნდა გაევლო, კერძოდ, ლიხსიქეთის სამეფოს, დატყვევებული მეფე კონსტანტინეს სატახტო ქალაქი ქუთაისიც. დრასხანაკერტცის „ისტორიაში“ კი თხრობას ლიხსიქეთის მეფის შეპყრობის შესახებ, რაც უფლისციხესთან მოხდა, მოსდევს ცნობები სმბატ I-ის მიერ „ვურის ქვეყნის“ დაპყრობის, ტყვედ ჩაგდებული კონსტანტინეს წაყვანისა და ანისის ციხეში მის გამომწყვდევაზე.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: დრასხანაკერტცისათვის ლიხს იქით არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ეგრისი, ცალკეულ მხარეებად, ოლქებად მისი ყოველგვარი დანაწევრების გარეშე. სომეხთა კათალიკოსი მემატიანე ლიხსიქეთის, ე. წ. „აფხაზთა მეფეს“ ეგრისელთა მეფეს უწოდებს, მხოლოდ ორჯერ ახსენებს „აფხაზთა მეთაურს“ და ისიც კონსტანტინოპოლის პატრიარქის მისდამი გამოგზავნილი წერილის ტექსტის მოტანისას[34]. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, სმბატ I-ს კიდეც რომ დაეპყრო გურია, დრასხანაკერტცი, ალბათ, აღნიშნავდა საომარი მოქმედების შესახებ ეგრისში და არა გურიაში, ანდა, მოსალოდნელია, მემატიანეს ის მაინც ეთქვა, რომ გურია „ეგრისის“ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. დრასხანაკერტცი კი, პირიქით, თითქოს მკვეთრად გამიჯნავს ერთმანეთისაგან „ეგრისსა“ და ვურს, რაც „ეგრისის“ ცნების მისეულ გაგებას აშკარად ეწინააღმდეგება, უკეთუ „ვურის ქვეყანა“ დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა. ეგრისისა და ვურის ერთმანეთისაგან გამიჯვნის დამადასტურებელი გვგონია ჩვენ დრასხანაკერტცის სიტყვები: „სმბატ მეფემ მრავალი სიმაგრე დაიპყრო ვურის ქვეყანაში... ხოლო ეგ-

---

32 იქვე, გვ. 111.

33 იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 46, 321, 322.

34 Հովանէ Դրասխանակերտցի, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 38, 64, 82, 109—111, 119, 177, 191, 192, 257.

რ ი ს ე ლ ი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე თავისთან წაიყვანა"[35]. საზოგადოდ, სომხეთში გურიას ვურს რომ არ უწოდებდნენ, ამაზე შეიძლება მიგვითითებდეს ძველი სომხური საისტორიო მწერლობის, თუ სომხური საისტორიო ტრადიციის კარგი მცოდნის, „ქართლის ცხოვრების" სომხურად მთარგმნელის მიერ „გურიის" „გავრ", „გორ"-ად გადატანაც[36].

რ. ხონელიას მიხედვით, დრასხანაკერტცისეული ვური საქართველოს სახელწოდებაა[37]. რა თქმა უნდა, რ. ხონელია აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობს, თორემ მთელი დასავლეთ საქართველო მისთვის ხომ ულაპარაკოდ, უეჭველად „აფხაზეთია". რ. ხონელიას საფუძველსმოკლებული, ტენდენციური განცხადებით, იმ ხანებში სომხეთისა და „აფხაზეთის" სამეფოებს შორის საზღვარი ვითომც სურამის ქედზე გადიოდა, მთელი დასავლეთ საქართველო „აფხაზეთს" წარმოადგენდა, ხოლო თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო, თითქოს, სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს ექვემდებარებოდა[38]. ასეთ ვითარებაში სომეხთა მეფისათვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო ლიხსიქეთის მეფის მხარეს გადასული „ვურის ქვეყნის", რ. ხონელიას თანახმად, იგივე აღმოსავლეთ საქართველოს აკლება მას შემდეგ, რაც ლიხსიქეთის მეფე კონსტანტინე უფლისციხესთან ტყვედ ჩავარდა. სინამდვილეში, როგორც ზემოთ ითქვა, ლიხსიქეთის, ე. წ. „აფხაზთა სამეფოც" ახალ, მეორე ქართლს წარმოადგენდა X ს-ში და აღმოსავლეთ საქართველოშიც იმ ხანებში სომეხთა მეფისაგან სავსებით დამოუკიდებელი რამდენიმე სამეფო-სამთავრო არსებობდა, რომლებსაც ემიჯნებოდა ლიხსიქეთის, ანუ „ეგრისის" ანდა „აფხაზთა" სამეფო. რ. ხონელიას სურვილის საწინააღმდეგოდ, ლიხსიქეთის, „აფხაზთა" მეფეებს აღმოსავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთანაც გაცილებით მჭიდრო, გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდათ, ვიდრე სომხეთის ბაგრატუნ მეფეებთან.

რ. ხონელია, ალბათ, მიიჩნევს, რომ დრასხანაკერტცისეული „ვურ" აღმოსავლეთ საქართველოს, ივერიის ძველი სომხური სახელწოდების (ვირქ, ვრაც) დამახინჯებული ფორმაა, თორემ სომხურ წყაროებში „ვურ"-ი საქართველოს აღმნიშვნელად არ გვხვდება. საერთოდაც, „ვურის ქვეყანა" მხოლოდ ორჯერ იხსენიება დრასხანაკერტცის „ისტო-

---

35 ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ილ. აბულაძის გამ., გვ. 32—33.

36 იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 238; ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ილ. აბულაძის გამ., გვ. 198.

37 Р. Х о н е л и я. Политические взаимоотношения... გვ. 16; მისივე, Из истории... გვ. 96.

38 Р. Х о н е л и я. Политические взаимоотношения... გვ. 10, 16; შდრ. მისივე, Из истории... გვ. 103.

რიაში“, სხვაგან მსგავსი არაფერი არ ჩანს. დრასხანაკერტცის „ისტორიის“ იმ ადგილებში, სადაც დასახელებულია „ვურის ქვეყანა“, მის მახლობლად ოთხჯერაა მოხსენიებული „მეფე ქართველთა“ (თაგავორ ვრაც), ერთხელ „მთავარი ქართველთა“ (იშხან ვრაც), საერთოგადოდაც, ქართველთა (ვრაცთა) შესახებ სომეხთა კათალიკოსი მემატიანე ხშირად გვესაუბრება და ამდენად ქართველების თუ მათი ქვეყნის სახელის დამახინჯება დრასხანაკერტცის „ისტორიაში“, თუნდაც გვიანდელ გადამწერთა მიერ, მოსალოდნელი არაა. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ დრასხანაკერტცის თანახმად, „ეგრისის“, ლიხსიქეთის მეფის წინააღმდეგ სომხეთის მეფის მოკავშირეა „ქართველთა მეფე“ ადარნასე. სწორედ მან მოახერხა ლიხსიქეთის მეფის, კონსტანტინეს შეპყრობა, რომელიც სომხეთის მეფე სმბატ I-ს გადასცა. უკეთუ დრასხანაკერტცისეული „ვურის ქვეყანა“ იგივე ქართველთა (ვრაცთა) ქვეყანაა, ხსენებული ომის დროს სომეხთა მეფის მიერ თავისი მოკავშირის, ქართველთა (ვრაცთა) მეფის ქვეყნის დარბევაზე ლაპარაკი გაუგებარი იქნებოდა. დასაშვებია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე, „ქართველთა მეფე“ ადარნასეს მიმართ ურჩი და ამავე დროს სომეხთა მეფე სმბატ I-თან დაპირისპირებული მხარის წინააღმდეგ გალაშქრება. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოებაც: დრასხანაკერტცი მეორეგანაც იხსენიებს რა „ვურის ქვეყანას“, გვაუწყებს, რომ სამშვილდის ერთ-ერთი სომეხი გამგებელი, აშოტ გნთუნი ვურის ქვეყნის ჯარმა იმსხვერპლაო[39]. მიუხედავად იმისა, რომ სამშვილდე იმ ხანებში სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს შემადგენლობაშია მოქცეული, მას ქართულ მხარედ მიიჩნევენ თვით სომეხი მემატიანენი, სახელდობრ, დრასხანაკერტცი[40]. უკეთუ დრასხანაკერტცისეული „ვურ“ საქართველოს სომხური სახელწოდების (ვირქ, ვრაც) დამახინჯებული ფორმაა, მაშინ გამოდის, რომ კათალიკოსი მემატიანის ცნობით, ქართული ოლქის, სამშვილდისა და მისი სანახების გამგებელი „ქართველთა ქვეყნისვე“ ჯართან ბრძოლაში დაღუპულა. დრასხანაკერტცი, ალბათ, ასე გაუგებრად, არეულ-დარეულად, ცნებათა ერთმანეთში აღრევით არ გვაუწყებდა ამ ამბავს. ესეც იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ „ვურის ქვეყანა“

---

39 Վարդանայ կարդիկոսի... გვ. 316; იოანე დრასხანაკერტელი, ილ. ამულაძის გამ., გვ. 63; შდრ. იოანე დრასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 251; რა თქმა უნდა, ძალზე საეჭვოა, სომეხთა მეფის სამშვილდეში მყოფი მოხელე გურიის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულიყო. თუ ანგვარი რამ მაინც მოხდა, დრასხანაკერტცი, ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, ახსენებდა „ეგრისის“ და არა გურიის ჯარს.

40 იოანე დრასხანაკერტელი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 224.

აღმოსავლეთ ან სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ოლქია მხოლოდ და მასში არ იგულისხმება მთელი აღმოსავლეთ საქართველო.

ჩვენი აზრით დასახელებული „ვურ“ შეიძლება დავუკავშიროთ ლეონტი მროველისეულ ჰურს[41]. ძველი არტაანის მთავარი ქალაქი, ლეონტისეული ჰური „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ იხსენიება, როგორც ური[42]. ურს უწოდებდნენ სოფლად ქცეულ ამ ადგილს ადგილობრივი მცხოვრებნი XX ს-ის დამდეგსაც, როცა იქ ბრძანდებოდა ე. თაყაიშვილი[43]. არტაანშივე ურის გარდა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ იცნობს სოფელ ურთას. ეს სახელწოდებები ერთმანეთთან დაკავშირებული ჩანან. ტერიტორიულადაც ისინი ერთმანეთთან ახლოსაა. სხვათა შორის, ურთა ახლანდელი სოფლების სახელებად გვხვდება ზუგდიდისა და ოჩამჩირის რაიონებშიც[44]. რაკი არტაანში მდებარე სოფლის, ურთას სახელწოდება წარმოქმნილი ჩანს ურისაგან და არა ჰურისაგან, იქნებ, ლეონტი მროველის დროსაც ქალაქს თუ ნაქალაქარს ერქვა ური და არა ჰური. შესაძლოა, ლეონტიმ გარკვეული წარმოდგენების საფუძველზე თუ მწიგნობრული გავლენის შედეგად უწოდა ურს ჰური[45].

ამრიგად, დასაშვებია ვიფიქროთ, რომ არტაანის მთავარი ქალაქის ან მთელი ოლქის სახელი თუ ყოველთვის არა, ზოგჯერ მაინც გამოითქმოდა, როგორც ურ, ური. ეტყობა, სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალზე მსგავსი სახელწოდების ქალაქი ჯერ კიდევ უძველეს დროს არსებობდა. გ. მელიქიშვილის სიტყვით, ...„უნებლიედ იბადება აზრი, ხომ არ შეიძლება დავუკავშიროთ არგიშთი I-ისა და სარდური II-ის წარწერებში ვიტერუხის „სამეფო ქალაქად“, ამ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ცენტრად მოხსენიებული ქალაქი ურიეიუ//ურაია ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში დასახელებულ „ქალაქ ჰურის“ სახელს“[46].

რაც შეეხება ქალაქისა თუ მისი ოლქის სახელ ურისაგან დასახანაკერტცისეული ვურის მიღებას, ამ გზაზე გადაულახავი დაბრკო-

---

41 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 10, 23.

42 ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 533—534; იხ. აგრეთვე Ս. Ե ր ե մ յ ա ն, Հայաստանը ըստ „Աշխարհացույց-ի“ Ե., 1963, გვ. 41, 89.

43 იხ. Материалы по археологии Кавказа, вып. XII, М., 1909, გვ. VIII, 59, 79, აგრეთვე, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 164.

44 იხ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1966.

45 იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი.

46 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიკის შესწავლისათვის, მოამბე, 1961, № 3, გვ. 96.

ლება არ უნდა არსებობდეს[47]. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიშველიოთ მაგ., სომხური სიტყვა ურნ//ურ, რაც ეროს ნიშნავს. საყურადღებოა, რომ სომხურ ენაში ურ-ის პარალელურად ჩნდება სიტყვა ვურ, იგივე, ეროს მნიშვნელობით[48]. ასევე, ქართული ოლქის სახელწოდებისაგან — ურ (ური) შეიძლებოდა წარმომდგარიყო დრასხანაკერტცისეული ვურ. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სიტყვების დაწერილობათა შორის ერთგვარი განსხვავებაცაა. საქმე ისაა, რომ სომხურ ენაში არსებობენ პარალელური ბგერები, მაგარი რ (*ռ*) და რბილი რ (*ր*)[49]. თუ დრასხანაკერტცისეულ ვურ-ში გვაქვს რბილი რ (*վուր*), ეროს სომხურ სახელწოდება ვურ-ში არის მაგარი რ (*վուռ*). მაგრამ სომხური ენისათვის არც მაგარი და რბილი რ-ს აღრევაა უცხო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ქართული ოლქის სახელი ურ, ური სომხურად შეიძლებოდა გამოეთქვათ და დაეწერათ. როგორც ვურ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დრასხანაკერტცის „სომხეთის ისტორიის" ხელნაწერები მხოლოდ შედარებით გვიანდელი ხანებიდანაა შემორჩენილი, XVII ს-ზე ადრინდელი ხელნაწერი არ ჩანს. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ ურის მაგიერ ვურ-ის გაჩენა გვიანდელი გადამწერების კალამსაც უკავშირდებოდეს.

დრასხანაკერტცისეული „ვურის ქვეყნის" ქალაქ (თუ ნაქალაქარ) ურთან და მის სანახებთან, არტაანის ოლქთან გაიგივებას მხარს უჭერს ფსევდო-შაპუჰ ბაგრატუნის ერთი ცნობაც, რომლის თანახმად, მოწინააღმდეგეთა ჯარების გორთან (უფრო სწორად, უფლისციხესთან) თავმოყრისა და სომხეთის მეფე სმბატ I-ის მიერ იქაურობის გაძარცვის შემდეგ სმბატი მისულა „არტაანის ქვეყანაში"[50]. როგორც თავის ადგილზე ითქვა, ფსევდო-შაპუჰის „ისტორიაში" ბევრი აღრევაა, მაგრამ ეს ცნობა, ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, არ შეიძლება უგულებელვყოთ.

ეტყობა, 904 წლისათვის არტაანის ქართველი მთავარი უპირისპირდებოდა როგორც „ქართველთა მეფე" ადარნასეს, ისე მის მოკავშირე სომხეთის მეფე სმბატ I-საც[51]. აქედან გამომდინარე, არტაანის მთავარი ლიხსიქეთის მეფის, კონსტანტინეს მოკავშირე უნდა ყო-

---

47 იხ. ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

48 Ստ. Մալխասեանց, დასახ. ლექსიკონი, ტ. III, გვ. 605—606, ტ. IV, გვ. 352; ¦ Հր. Աճառյան, დასახ. ლექსიკონი, ტ. III, გვ. 609; ტ. IV, გვ. 348; Ժամանակակից հայոց լեզվի բացատրական բառարան, IV, Ե., 1980, გვ. 604, 606.

49 ი. შილაკაძე, ძველი სომხური ენის გრამატიკა, თბ., 1975, გვ. 72.

50 ე. ცაგარეიშვილი, ანონიმი ისტორიკოსი... მრავალთავი, V, გვ. 162.

51 იხ. ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 104—105.

ფილიუო სმბატ I-ისა და ადარნასეს წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვათა შორის, ფსევდო-შაპუჰი აღნიშნავს, რომ სომხეთის მეფე სმბატი ლიხსიქეთის მეფეს ებრძოდა არა მარტო ქვემო ქართლის, გუგარქის ოლქებისათვის, არამედ კოლა-არტაანისთვისაც[52]. ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარი პოლიტიკური ვითარების შედეგია, რომ მას შემდეგ, რაც დაახლ. 904 წლის ომში ლიხსიქეთის მეფე კონსტანტინე უფლისციხესთან ვერაგულად, ღალატით ტყვედ ჩაიგდეს ხელთ, ქართლიდან ანისისაკენ მიმავალი სომხეთის მეფე სმბატ I დალაშქრავს, დაარბევს არტაანს, დრასხანაკერტცისეულ „ვურის ქვეყანას“.

ამრიგად, სომხეთის მეფე სმბატ I-ს არ დაუპყრია გურია, იგი ლიხს იქით საერთოდ არ გადასულა. ამავე დროს, მას არც მთელი აღმოსავლეთ თუ სამხრეთ საქართველო დაუმორჩილებია, მხოლოდ მისი ერთი, შედარებით მცირე ნაწილი (ქვემო ქართლში) ხელახლა დაიქვემდებარა ან უბრალოდ დალაშქრა (არტაანი).

მართალია, დაახლ. 904 წ. ომის შემდეგ სომხეთის ბაგრატუნი მეფე და ლიხსიქეთის მეფე დაზავდნენ, საჯიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეები გახდნენ, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, სომხეთის ბავრატუნ და ლიხსიქეთის ხელისუფალთა შორის მალე კვლავ უნდა ეჩინა თავი წინააღმდეგობებს, დაპირისპირებას, ინტერესთა შეურიგებლობას. სხვა რომ არა იყოს რა, ვინაიდან 914 წ. „ქართველთა მეფე“ ადარნასემ და მისმა ჯარმა სომხეთში აშოტ ერკათი გაამეფეს, ლიხსიქეთის მეფის, კონსტანტინეს ურთიერთობა სომხეთის ბაგრატუნ მეფესთან ამის შედეგადაც გაუარესდებოდა. ლიხსიქეთისა და „ქართველთა“ მეფეების ინტერესები ხომ ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო. ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ საქართველოში პირველობის მოპოვებისათვის, უწინარეს ყოვლისა, ქართლის დასაკუთრებისათვის. ამდენად, სომეხთა ბაგრატუნ მეფესთან ერთდროულად ლიხსიქეთისა და „ქართველთა“ მეფეების დაახლოება შეუძლებელი ჩანდა. ამგვარი რამ არც მომხდარა მანამდე მაინც, სანამ სომხეთის ბაგრატუნი მეფეები თვითონაც აცხადებდნენ პრეტენზიას ქართლსა თუ მთელს ამიერკავკასიაში გაბატონებაზე. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ[53], სომხეთის ბაგრატუნი მეფეები ლიხსიქეთისა და „ქართველთა“ მეფეებიდან (უფრო ადრე „ქართველთა კურაპალატებიდან“) ერთერთს უკავშირდებოდნენ ხოლმე მეორის წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, ლიხსიქეთისა და სომხეთის (ბაგრატუნთა) სამეფოებს შორის დაპირისპირება, ბრძოლა სომეხთა ბაგრატუნი მეფის, აბასის (929—953) დროსაც გრძელდებოდა. ასოლიკი ვვაუწყებს:

---

52 ე. ცაგარეიშვილი, ანონიმი ისტორიკოსი... გვ. 162.

53 იხ. აგრეთვე საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 474.

„აფხაზთა მთავარი ბერი, ბელისებური სიამაყით, დიდძალი ლაშქრით. ურიცხვი ჯარით გამოვიდა სარმატთა ქვეყნიდან, რომელიც კავკასიის ზეთებს იქითაა. უთვალავი კრებულით მივიდა, მიადგა მტკვრიდან ჩოდებული მდინარის ნაპირს. მას სომეხთა ქვეყნის გაუდაბურება ეწადა. დესპანი გაუგზავნა სომეხთა მეფეს, რათა არ ეკურთხებინა ეკლესია[54] წმიდა გრიგორის მართლმადიდებლური სარწმუნოების [წესებისა] ბიზედვით, რამეთუ მე მოვალ და ქალკედონური წესით აღვასრულებთო [კურთხევას]“: ბერის შემონათვალს სომეხთა მეფე აბასი აღუშფოთებია. ასოღიკისვე ცნობით, აბასის ჯარს დაუმარცხებია ბერის ლაშქარი. „ამპარტავანი ბერი“ შეუპყრიათ და ქალაქ კარში (ყარსში) მიუყვანიათ. სომეხთა მეფეს, თითქოს ასე მიუმართავს ბერისათვის: „იხილე ეს კეთილნაშენი ეკლესია, რამეთუ მეტად ვეღარ დაინახავ მას“. ამის შემდეგ აბასს უბრძანებია, თვალები დაეთხარათ „აფხაზთა მთავრისათვის“[55].

„სარმატთა ქვეყნის“ ხსენება „აფხაზთა მთავართან“ დაკავშირებით მაინცადამაინც არ უნდა გაგვიკვირდეს. ასოღიკს საქართველოს გამაერთიანებლის, ბაგრატ III-ის შესახებაც ნათქვამი აქვს, რომ „აფხაზთა მეფე მრავალრიცხოვანი ჯარით დაიძრა სარმატთა ქვეყნიდან დავით კურაპალატის წინააღმდეგ“...[56] ეტყობა, კავკასიონის კალთების მოსახლეობას სომეხი მემატიანეები სარმატებადაც ნათლავდნენ ხოლმე[57].

სხვათა შორის, ყარსის ხსენებული ეკლესიის ბედი, ტაო-კლარჯეთის ქართული ეკლესია-მონასტრებისა არ იყოს. შემდგომში ფრიად ტრაგიკულად წარიმართა: გვიან შუა საუკუნეებში, როცა ყარსი ოსმალებმა დაიპყრეს, ეს ეკლესია მეჩეთად აქციეს. 1877 წ. რუსეთის ჯარმა რომ აიღო ყარსი, მეჩეთად გადაკეთებული ძველი სომხური ეკლესია თავიანთ მიტროპოლიად გაიხადეს. 1918 წ. ყარსი კვლავ თურქებმა მიიტაცეს და X ს-ის სომხური ტაძარი ისევ მეჩეთად გადააქციეს. 1919 წ. სომეხთა ჯარი დაეუფლა ყარსს და თითქოს იზეიმა სამართლიანობამ — ოდინდელი სომხური ეკლესია გრიგორიან სომეხთა კუთვნილება გახდა. მაგრამ 1920 წ. თურქებმა კვლავ დაიპყრეს ყარსი და აღნიშნული, მრავალტანჯული ეკლესიაც, უკვე მერამდენედ, მეჩეთად გადააკეთეს[58].

---

54 იგულისხმება კარის, იგივე ყარსის ახლად აგებული ეკლესია.

55 Ստեփանոսի Տարօնեցւոյ... გვ. 171—173.

56 იქვე, გვ. 252.

57 შდრ. გეორგიკა, VII, გვ. 25.

58 იხ. Լ ե ո, დასახ. ნაშრომი, გვ. 595.

ასოღიკისეული „აფხაზთა მთავრის“, ბერის შესახებ სხვა წყაროებიდან, სამწუხაროდ, არაფერია ცნობილი. იგი არ შეიძლება ყოფილიყო „აფხაზთა“, ლიხსიქეთის მეფე, რადგან სომეხთა ბაგრატუნი მეფის, აბასის დროს ლიხსიქეთის მეფე იყო სახელგანთქმული გიორგი II (922—957). საერთოდაც, რამდენადაც ცნობილია, „აფხაზთა“ ანუ ლიხსიქეთის არც ერთ მეფეს სახელად ბერი არ რქმევია[59]. ასოღიკისეული ბერი მ ე ფ ე რომ ყოფილიყო, მემატიანე მას, ალბათ, სწორედ მეფედ მოიხსენიებდა და არა მთავრად. ჯერ ერთი, ჩვენ თითქმის არ გვეგულება ისეთი შემთხვევა, როცა რომელიმე ძველი სომეხი მეისტორიე ამა თუ იმ ქართველ მეფეს გარკვეული, პოლიტიკური მოსაზრებით. აკნინებდეს იმ მხრივ, რომ მას მთავრად მოიხსენიებდეს. მეორეც, ასოღიკი ამას არ გააკეთებდა იმის გამოც, რომ მის ერთ-ერთ „გმირს“, სომეხთა მ ე ფ ე აბასს მოწინააღმდეგე მეფის განადგურება უფრო დიდ ღვაწლად ჩაეთვლებოდა, ვიდრე მთავრისა (იშხანისა). იმ ხანებში ლიხსიქეთის სამეფოს მნიშვნელოვანი საქმეების მოთავეებად, თითქოს, მხოლოდ მეფენი და მათი ვაჟები — უფლისწულები ჩანან. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ასოღიკისეული ბერი უფლისწული ყოფილიყო. ლიხსიქეთის ერთ-ერთი მეფის ასულს სახელად ბევრელი რქმევია[60] და სამეფო სახლში სახელ ბერის არსებობაც არაა მოულოდნელი. მაგრამ საფიქრებელია, რომ ასოღიკი ბერის უფლისწულობაზეც გაამახვილებდა ყურადღებას, რამეთუ მოწინააღმდეგე უფლისწულისა და მისი ჯარის ასე სასტიკად დამარცხებაც სომეხთა მეფის, აბასის მიერ სომეხი მემატიანისათვის ორმაგად სასიხარულო. საამაყო, ღირსშესანიშნავი ამბავი უნდა ყოფილიყო. ასე რომ, ბერის არამცთუ მეფობის, არამედ უფლისწულობის შესახებაც ჭირს ლაპარაკი. შეიძლებოდა გვეკითხა ისიც, რომ ასოღიკის „ისტორიის“ ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებში „აფხაზთა“ მთავრის სახელი დამახინჯებული ხომ არაა? ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. საქმე ისაა, რომ ასოღიკი „აფხაზთა მთავარ“ ბერს ადარებს ბიბლიურ ბელს, იგივე ნებროთს, ბერსაც ბელის მსგავსად ამპარტავნად, ქედმაღლად მიიჩნევს[61]. სომეხ მემატიანეს ბერი და ბელი სახელების მსგავსების გამოც უნდა შეედარებინა ერთმანეთისათვის და ამდენად

---

59 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 429.

60 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 139.

61 ბელის შესახებ იხ. მ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი, სომხეთის ისტორია, გვ. 63, 69—72. როგორც ეტყობა, ასოღიკი სომეხთა მეფე აბასსა და „აფხაზთა მთავარ“-ბერს შორის მომხდარი შეტაკების აღწერისას ჰაიკისა და ბელის ბრძოლის თაობაზე სომხეთის ისტორიის „მამის“, ხორენაცისეული თხრობის ერთგვარ გაელენას განიცდის.

შეიძლება გამოვრიცხოთ შესაძლებლობა იმისა, რომ „აფხაზთა მთავრის“ სახელი ასოღიკის „ისტორიაში“ დამახინჯებული იყოს.

ყურადღების ღირსია, რომ X ს-ის 20-იანი წლებით დათარიღებულ ჭალისუბნის წარწერაში იხსენიება ცხრაზმისხევის ხევისუფალი ბერი, რომელიც ლიხსიქეთის მეფის მოხელე ყოფილა[62]. ხომ არ შეიძლება მასთან გავაიგივოთ ასოღიკისეული ბერი? ძნელი სათქმელია! ასოღიკის მიხედვით, ბერს ლამის სომხეთის ბაგრატუნთა მთელი სამეფოს დაქვემდებარება, დაპყრობა მოუწდინებია. საქმე ისაა, რომ სომეხთა მეფე აბასის დროს კარი (ყარსი) სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს სატახტო ქალაქს, დედაქალაქს წარმოადგენდა და სწორედ კარში (ყარსში) თავისი ჯარით შესვლა, იქ ახლად აგებული ეკლესიის „ქართული“, ქალკედონური წესით კურთხევაც კი გადაუწყვეტია ბერს. ალბათ საეჭვოა, რომ ასოღიკს ასე უსაშველოდ გაეზვიადებინა რეალურად შექმნილი ვითარება და ამოდენა პრეტენზიები მიეწერა ჭალისუბნის წარწერისეული ბერისათვის.

ასოღიკის „ისტორიდან“ მოტანილი ცნობების საფუძველზე ერთი რამის თქმა მაინც შეიძლება გადაჭრით: იმ ხანებში, სომეხთა მეფე აბასის დროს, ურთიერთობა ლიხსიქეთისა და სომხეთის (ბაგრატუნთა) სამეფოებს შორის მეტისმეტად მწვავე ყოფილა. ამასთანავე, ასოღიკის ტენდენციური ცნობებიდანაც კი საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ ლიხსიქეთის ჯარი უტევს სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს და არა პირიქით. ამიერიდან სომხეთის ბაგრატუნი მეფეები ლიხსიქეთის მეფეებს სერიოზულ წინააღმდეგობას ვეღარ უწევენ ვერც ქართლისათვის, ვერც ჰერეთისათვის ბრძოლაში და საზოგადოდ ვერც მთელს ამიერკავკასიაში პირველობის მოპოვების გზაზე. როგორც ჩანს, ლიხსიქეთის ხელისუფალნი უკვე სომხეთის ბაგრატუნთა მეფეების საკუთარ სამფლობელოში შევიწროებასაც აპირებენ. ამ საქმეში მათთვის მხარი უნდა აება ქართულ ეკლესიასაც, მცხეთის საკათალიკოსო ტახტს. ამის დასტური უნდა იყოს, რომ ბერს სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს დედაქალაქში, კარში (ყარსში) ახლად აგებული ეკლესიის „ქართული“ წესით კურთხევა, ე. ი. მისი „ქართულ“, ქალკედონურ კერად გადაქცევა განუზრახავს.

აბასის თანამედროვე ლიხსიქეთის მეფის, სახელგანთქმული გიორგი II-ის დიდი წარმატებები თითქმის მთელი კავკასიის მასშტაბით ცნობილი ფაქტია და მას სომეხ ბაგრატუნთა სამეფოსათვისაც რომ შეეტია, ამაში საკვირველი არაფერია. როგორც ზემოთ ითქვა, გიორგი II აქტიურად მონაწილეობდა ალანთა გაქრისტიანებაში, რითაც ჩრდილო კავკასიის, სახელდობრ, ალანთა სამეფოს თავისი გავ-

---

62 ქართული წარწერების კორპუსი, I, ნ. შოშიაშვილის გამოცემა, გვ. 142—144.

ლენის ქვეშ მოქცევასაც ისახავდა მიზნად. როცა გიორგი II-ის ამდენ-ჯერ ძლევამოსილებაზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით მასუდის ერთ ცნობას, რომლის მიხედვით, X ს-ის 30-იან წლებში, ე. ი. სწორედ გიორგი II-ის დროს, ალანთა მეფეს პრიორიტეტი ენიჭება, „აფხაზთა“, ლიხსიქეთის მეფის მიმართ[63]. ამ ცნობის გასაგებად უნდა გავითვალისწინოთ მასუდისვე მეორე ცნობა იმის შესახებ, რომ ალანთა ხელისუფლება თურმე ზოგჯერ ალანეთის (ოსეთის) ახალნერგ ქრისტიანულ ეკლესიას არბევდა. ასე მომხდარა, კერძოდ, 932 წელს[64]. რაკი იმ ხანებში ოსეთში ქრისტიანობა ძირითადად „აფხაზთა“, ლიხსიქეთის მეფის მეშვეობით ვრცელდებოდა, ალანთა მეფის მიერ საკუთარ სამფლობელოში ქრისტიანობის დევნა, დარბევა ლიხსიქეთის მეფის ინტერესების შელახვად, მის მარცხად უნდა მიეჩნიათ მასუდს თუ მის მაჰმადიან ინფორმატორებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მაჰმადიანი ავტორისათვის, სახელდობრ, მასუდისათვის ქრისტიანების დარბევა დიდი მადლია (მასუდს ხომ აღაშფოთებს ის გარემოება, რომ მის დროს მუსლიმანური სამყარო დასუსტებულია, ხოლო საქრისტიანო სამყარო პირიქით, ძლიერია და დღითი დღე უფრო და უფრო მეტად ძლევამოსილი ხდება). რახან ალანთა მეფეს ამგვარი რამ ჩაუდენია, ბუნებრივია, მასუდს ტენდენციურობა გამოეჩინა და განედიდებინა იგი, იმჟამინდელ კავკასიაში ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს ბურჯზე, ლიხსიქეთის მეფეზე უფრო ძლიერ ხელისუფლად გამოეცხადებინა.

საზოგადოდ, IX—XI სს-ში ქართველი მეფეების ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის ხელისუფლებთან ზოგჯერ მწვავე ხასიათსაც იღებდა. ამის დასტურია XI ს-ის 30-იან წლებში კახეთ-ჰერეთის ცნობილი მეფის, კვირიკე დიდის მკვლელობაც: „მას ჟამსა მოკლულ იყო დიდი კახთა მეფე კჳრიკე ოვსისა ვისმე მონისა მიერ, რამეთუ წყობასა შინა ოვსთა მეფე ურდურე მოეკლა კჳრიკე მეფესა. და მესისხლეობით მოიკლა კჳრიკე მეფე ნადირობასა შინა, ფიდრაზის გორთა, ოვსისა მონისა მიერ“[65]. მიუხედავად ამგვარი გართულებებისა, ქართველი ხელისუფალნი მაინც ახერხებდნენ თავიანთი გავლენის გავრცელებას ჩრდილო კავკასიაში, რომელიც მრავალმხრივ, კერძოდ, ეკონომიკური თვალსაზრისითაც დამოკიდებული იყო საქართველოზე. ქრისტიანობაც იქ თანდათან მტკიცედ იკიდებდა ფეხს, რის შედეგადაც საქართველოს გავლენა ჩრდილო კავკასიაში კიდევ უფრო აშკარა ხდებოდა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ხშირ დინასტიურ ქორ-

---

[63] იხ. В. Минорский, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

[64] იქვე, გვ. 204—205.

[65] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 297.

წინებებს საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის სამეფო-სამთავრო სახლებს შორის. ბოლოს და ბოლოს საქართველოს მეფეებმა შეძლეს ჩრდილო კავკასიის ხელისუფალთა თავიანთი ინტერესების შესაბამისად გამოყენება, ჩრდილო კავკასიელი მეომარი ტომებისაგან წარმოდგარი სამხედრო ძალის საქართველოს საჭიროებისამებრ წარმართვა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, სომეხთა ბაგრატუნ მეფეებს ამიერკავკასიაში პირველობის მოპოვებისათვის ეცილებოდა ოფიციალურად „ქართველთა" პირველი მეფე ადარნასეც. დაახლ. 904 წ. მომხდარი ომიდან რამდენიმე წლის შემდეგ ადარნასემ ჯერ კიდევ თითქმის ერთიანი სომხეთის მეფის სმბატ I-ის ტახტიდან ჩამოგდება და მთელი მისი სამფლობელოს მისაკუთრება მოინდომა. ასევე, 914 წ. ადარნასემ და მისმა ჯარმა სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოში აშოტ II ერკათი რომ გაამეფეს, რა თქმა უნდა, ადარნასეს განზრახული ექნებოდა, სომეხთა მეფე აშოტ II თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. როგორც უკვე აღინიშნა, სომხეთის საქმეებში ჩარევას, სომეხთა მეფეების განდევნას ქვემო ქართლიდან, უტის ალვანური სამთავროდან, ჰერეთში მათი გავლენის საბოლოოდ აღმოფხვრას ცდილობდა ცნობილი ქართველი ხელისუფალი, ერისთავთერისთავი გურგენ დიდი. ეტყობა, მან თვალსაჩინო წარმატებებიც მოიპოვა ამ მიმართულებით.

ცნობილია, რომ X ს-ის უკანასკნელ მესამედში თითქმის მთელ ამიერკავკასიაში დიდი სახელი, ავტორიტეტი მოიხვეჭა სახელგანთქმულმა ქართველმა ხელმწიფემ, დავით დიდმა კურაპალატმა. მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ როგორც ქართველი. ისე სომეხი მეფეთავრები[66]. დავით კურაპალატმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიზანტიის იმპერიის ცხოვრებაშიც 978—79 წლებში, როცა მან დიდი წვლილი შეიტანა იმჟამად ახალგაზრდა კეისრის, ბასილ II-ის (შემდგომში ბულგართმმუსვრელად წოდებულის) აჯანყებული დიდმოხელის, ბარდა სკლიაროსის სასტიკად დამარცხების საქმეში[67]. ქართულ წყაროებში ბარდა სკლიაროსის დამარცხებისას დავით კურაპალატისა და ქართველთა ჯარის დამსახურება გაზვიადებული რომ არაა, ეს შეიძლება არისტაკეს ლასტივერცის „ისტორიის" სათანადო მონაცემების საფუძველზეც დავასკვნათ. საზოგადოდ, არისტაკეს ლასტივერცი, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში შემავალი დასავლეთ სომხეთის მკვიდრი იყო, კეისარ ბასილ II-ის მეხოტბეა, მისი აპოლოგეტია. არისტაკესს ისიც მოეხსენება, რომ ბასილ II-ს დავით კურაპალატის გზიდან

---

66 იხ. მაგ., ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 123—129; L b n, დასახ. ნაშრომი, გვ. 615—617, 619, 626, 627, 629; R. Grousset, დასახ. ნაშრომი, გვ. 529.

67 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 476—479.

ჩამოშორება, მისი მოკვლა ნდომია[68]. მიუხედავად ამისა, ლასტივერცი 978—79 წლებში ბარდა სკლიაროსის დამმარცხებელ გადამწყვეტ ძალად „ქართველთა კურაპალატის", დავითის ჯარს მიიჩნევს[69].

სომეხი მეფე-მთავრები დავით კურაპალატის უზენაესობას რომ ცნობდნენ, ეს აზრი საკამათო თითქმის არასოდეს არ ყოფილა. უკანასკნელ ხანებში კი სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებებიც გვხვდება. ასე მაგ., ერთგან ვ. არუთინოვა აღნიშნავს: დავით კურაპალატი „იმდენად ძლიერი ხელისუფალი იყო, რომ მისი დაქვემდებარება შირაკის ბაგრატიდებისადმი, მისი სიუზერენებისადმი და ბიზანტიის იმპერიისადმი უფრო ნომინალურ ხასიათს ატარებდა"-ო[70]. მადლობა ღმერთს, ვ. არუთინოვამ დავით კურაპალატის ძლევამოსილება აღიარა, მაგრამ ვაი ამისთანა აღიარებას — დავითი თურმე ანის-შირაკის დასუსტებული ბაგრატუნების სიუზერენობას ცნობდა, მათ ვასალს წარმოადგენდა ნომინალურად მაინც, ისევე, როგორც ბიზანტიის იმპერიის უზენაესობასაც აღიარებდა იგი ასე თუ ისე. მსოფლიო ისტორიამ იცის არაერთი მაგალითი იმისა, რომ ამა თუ იმ ხელისუფლის ვასალი ფაქტიურად მასზე ძლიერი ყოფილა და ვ. არუთინოვასაც, ეტყობა, ამისი იმედი აქვს. უკეთუ „გავკადნიერდებით" და ვკითხავთ, შაუზე რად ამბობთ თეთრიაო, ძლევამოსილი დავით კურაპალატი შედარებით სუსტი სომეხი ბაგრატუნების ვასალი როგორ იქნებოდაო, ვ. არუთინოვა, ალბათ, ხსენებული, სხვა ქვეყნების ისტორიის მაგალითებით გაგვიმასპინძლდება. რ. ხონელიაც, რასაკვირველია, ვერ ჩამორჩებოდა ვ. არუთინოვასა და მის თანამოაზრეებს. მასაც რატომღაც „შურს" დავით კურაპალატის სახელგანთქმულობა და ცდილობს ამიერკავკასიის ისტორიაში დავითს „გამოუძებნოს" ის ადგილი, რომელიც მას თურმე სინამდვილეში შეეფერება: დავით კურაპალატი სულაც არ ყოფილაო მაინცდამაინც დამოუკიდებელი ხელისუფალი ამიერკავკასიის მასშტაბით, სათანადო საქმეებს იგი სომეხთა მეფეს უთანხმებდაო, მაგ., საქართველოს გამაერთიანებლის, ბაგრატ III-ის აყვანას „აფხაზთა", ე. ი. ლიხსიქეთის სამეფო ტახტზე[71].

სადავოდ ქცეული ჰეშმარიტების დასაცავად ისევ პირველწყაროებს უნდა მივმართოთ. სამწუხაროდ, ქართულ წყაროებში ბევრი არაფერი შემოგვრჩენია დავით კურაპალატისა და მეზობელ სომეხ ხელისუფალთა ურთიერთობის თაობაზე. შედარებით უხვი და ამავე დროს

---

68 არისტაკეს ლასტივერტელი, ისტორია, ე. ცაგარელ-შვილის გამ., გვ. 41.

69 იქვე, გვ. 49.

70 იხ. ՊԲՀ, 1972, № 1, გვ. 92.

71 Р. А. Хонелия. Некоторые вопросы истории Абхазии и абхазов по армянским источникам, ՊԲՀ, 1965, № 4, გვ. 102.

კონკრეტული ხასიათის მასალებიც ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაშია შემონახული. ცხადია, არ იქნება მართალი, თუ ვინმე იტყვის, რომ სომეხი მემატიანეები დავით კურაპალატისა და სომეხთა მეფეების ურთიერთობის შესახებ თხრობისას დავითის როლს აზვიადებენ, ხოლო სომეხთა მეფეებისას — აკნინებენ. რაღა თქმა უნდა, მოსალოდნელია, პირიქით მომხდარიყო, გავითვალისწინებთ რა სომხური საისტორიო მწერლობის ხასიათს, მიმართულებას თუ სულისკვეთებას.

სანამ სათანადო სომხურ ცნობებს მოვიტანდეთ, „მატიანე ქართლისაჲს“ ერთ ადგილსაც მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას. მაშინ, როდესაც ბაგრატ III-მ დავით კურაპალატის წინააღმდეგ გაილაშქრა (988 წ.), მემატიანის სიტყვით, „დავით კურაპალატი წარმოვიდა მსწრაფლ, მოუწოდა ლაშქარსა თჳსსა და უჴმო ყოველთა მეფეთა სომხითისათა. და მაშინ ჯერეთ ცოცხალ იყო პაპა ბაგრატისი. ბაგრატ ქართველთა მეფე; იგიცა მოვიდა დავით კურაპალატისა წინაშე“[72]. „ქართველთა მეფის“, რეგვენად წოდებული ბაგრატ II-ის შესახებ ნათქვამი — „ი გ ი ც ა მ ო ვ ი დ ა დ ა ვ ი თ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა წ ი ნ ა შ ე“ — მიგვითითებს, რომ „ყოველნი მეფენი სომხითისანიც“ მ ი ს უ ლ ა ნ დ ა ვ ი თ ი ს წ ი ნ ა შ ე, ვინაიდან მოტანილ ნაწყვეტში დავით კურაპალატის მოკავშირეებად იხსენიებიან მხოლოდ „ქართველთა მეფე“ ბაგრატ II და სომხეთის მეფეები. გამოთქმა — „მ ო ვ ი დ ა დ ა ვ ი თ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა წ ი ნ ა შ ე“ — გულისხმობს, რომ მოსულნი დავითის უზენაესობას აღიარებდნენ. რაკი დავითის წ ი ნ ა შ ე მისულან როგორც ბაგრატ II რეგვენი, ისე სომხეთის მეფეებიც, მათი დამოკიდებულება დავით კურაპალატის მიმართ დაახლოებით ერთნაირი თვისებისა უნდა ყოფილიყო. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი (ასევე, სომეხი მეისტორიე ასოღიკიც) ბაგრატ II-ს, იმ წლებში მაინც, დავით კურაპალატის გავლენის ქვეშ მყოფ ხელისუფლად მიიჩნევს. ასეთად უნდა ჩაეთვალა მას სომხეთის ხსენებული მეფეებიც. ქართველი მემატიანის სიტყვებიც, დავითმაო „უ ჴ მ ო ყ ო ვ ე ლ თ ა მ ე ფ ე თ ა ს ო მ ხ ი თ ი ს ა თ ა“ მხარს უნდა უჭერდეს აზრს, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორს ეს „მეფენი სომხითისანი“ დავით კურაპალატის ვასალებად მიუჩნევია.

ასოღიკის ცნობით, ახლად გამეფებულმა (977 წ.) ანის-შირაკის ბაგრატუნმა მეფე სმბატ II-მ შეუტია ვანანდის მეფეს, თავის ბიძას მუშელს (მუშელს), წაართვა მას შატიკის ციხე. „ამ მიზეზით ტაოს კურაპალატი დავითი ქართველთა მთელი ჯარით დაიძრა სმბატის წინა-

---

72 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 277.

აღმდეგ, მივიდა შირაკში და შეჩერდა სოფელში, რომელსაც ბავაც ძორს ეძახდნენ. მასთან ერთად იყო მუშეღიც, რომელმაც მიიწვია იგი. სმბატმა ციხესიმაგრე დაუბრუნა მათ, დამყარდა მშვიდობა, არაფერი დაშავებია სმბატის ქვეყანას, რამეთუ მშვიდობისმოყვარე და სამართლისმოქმედი იყო კურაპალატი"[73]. ამ ცნობის შესწავლისას გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოდ, ვანანდის მეფე ფორმალურად მაინც ანის-შირაკის მეფის უზენაესობას ცნობდა. მაშასადამე, დავით კურაპალატს ანის-შირაკის მეფის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის ვასალისადმი გამოსარჩლების საბაბით გაულაშქრია, ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ დავითი ანის-შირაკის მეფის შინაურ საქმეებში ერევა.

აშკარად ჩანს, რომ ანის-შირაკის მეფე სმბატ II-ს არ შესწევს ძალა გაუმკლავდეს დავით კურაპალატს. რამდენადაც ძლევამოსილია სმბატი ვანანდის მეფესთან ბრძოლაში, იმდენად უძლურია იგი დავით კურაპალატის პირისპირ. ამასთანავე, დავითი სმბატ II-ს უტევს არა ვანანდის სამეფოში, მუშეღის სამფლობელოში, არამედ ანის-შირაკისვე სამეფოს მიწა-წყალზე. ასოღიკის მიხედვით, დავით კურაპალატისათვის ძნელი არ ყოფილა სმბატ II-ის სამფლობელოს დარბევა, მაგრამ რაკი ანის-შირაკის მეფე დანებდა დავითს, დავითმაც მისი სამეფოს აკლება აღარ ინება, მან მტკიცე საზღვრები დაუწესა ანის-შირაკისა და ვანანდის სამეფოებს. ნუთუ ყოველივე აქედან არ ჩანს, რომ ანის-შირაკის მეფემ დავით კურაპალატის უზენაესობა აღიარა? კიდევ უფრო ნათელია, რომ ვანანდის (ყარსის) ბ ა გ რ ა ტ უ ნ ი მეფე მუშეღი, რომლის დაქვემდებარებას სმბატ II ცდილობდა (რამდენადაც ანის-შირაკის მეფეები საზოგადოდაც აცხადებდნენ პრეტენზიას როგორც ვანანდის, ისე სხვა სომხური სამეფო-სამთავროების თავიანთი გავლენის ქვეშ მოქცევაზე), ეყმო დავით კურაპალატს. დავითი, გარეგნულად მაინც მუშეღის ინტერესების დაცვის მომიზეზებით ებრძვის სმბატ II-ს, მაგრამ ასოღიკის თანახმად, სმბატის წინააღმდეგ დავით კურაპალატი კი არ გაჰყოლია მუშეღს, არამედ პირიქით — მუშეღი ახლავს დავითს, ე. ი. ასოღიკს მუშეღი დავითის თანასწორუფლებიან მოკავშირედ, მისი ძალისა თუ რანგის ხელისუფლად არ მიაჩნია. გარდა ამისა, ასოღიკი ამბობს, რომ სმბატმა შატიკის ციხესიმაგრე „დაუბრუნა მათ", ე. ი. დავით კურაპალატსა და მუშეღს. ვინაიდან მანამდე ეს ციხესიმაგრე მუშეღისა ყოფილა, ხოლო ამიერიდან მის მიმართ, გარკვეულწილად, დავით კურაპალატსაც მოუპოვებია უფლება, ესეც იმის დასტურია, რომ ვანანდის (ყარსის) მეფე მუშეღი დავით კურაპალატის ვასალი გამხდარა.

---

[73] Ստեփանոսի Տարօնեցւոյ... գլ. 188.

დავით კურაპალატის მიერ ანის-შირაკის მეფის დამარცხების, ამ უკანასკნელისაგან დავითის უზენაესობის ცნობის მომდევნო თუ რამდენიმე წლის შემდეგ დავით კურაპალატმა ლიხსიქეთის სამეფო ტახტზე ბაგრატ III აიყვანა. ასოღიკის მიხედვით, ბაგრატ III-ის ლიხსიქეთს გამეფებაში დავით კურაპალატის მხარდამხარ ანის-შირაკის მეფე სმბატ II-საც მიუღია მონაწილეობა[74]. მაგრამ რ. ხონელიას აზრების საწინააღმდეგოდ, განა უფრო ბუნებრივი არ იქნება, ეს ცნობა (თუ ის მისაღებია) ისე გავიგოთ, რომ დავით კურაპალატისთვის ლიხსიქეთის სამეფო ტახტზე ბაგრატ III აყვანა გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდებოდა და ამის გამო მან თავისი ვასალი სმბატ II-ც იახლა აღნიშნული საქმის მოგვარების ჟამს? ცოტათი ადრე დავით კურაპალატმა სმბატ II-ს ხომ სავსებით მოახვია თავს საკუთარი ნება, გადაწყვეტილება და ბაგრატ III-ის ლიხსიქეთს გასამეფებლად ანის-შირაკის მეფის დასტური, მისი თანხმობა რაღად დასჭირდებოდა? იქნებ, ღირდეს ყურადღება მივაპყროთ ერთ გარემოებასაც: რახან დავით კურაპალატს სმბატ II იძულებით და ახლად დაქვემდებარებული ჰყავდა, შესაძლოა, მან ლიხსიქეთის საზღვრებისაკენ ლაშქრობისას იმიტომაც იახლა სმბატი, რომ ამ უკანასკნელს არ ესარგებლა დავითის ტაოში არყოფნით და კვლავ არ შეევიწროებინა ბიძამისი, დავით კურაპალატის ვასალი, ვანანდის მეფე მუშეღი. ასე რომ, დავით კურაპალატს სმბატ II-ის თანხლებით, ეგების, ერთდროულად ორი საქმის გაკეთებაც სურდა.

ბაგრატ III-ის ლიხსიქეთის სამეფო ტახტზე აყვანა დიდ სიძნელეებს რომ უკავშირდებოდა, ეს მშვენივრად ჩანს, „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობებიდან. თუ ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ბაგრატ III-ის ქართლის ხელისუფლად დასმისას დავით კურაპალატს არავითარი ყოყმანი არ დასტყობია, როდესაც ბაგრატის ლიხსიქეთს გამეფების საკითხი დადგა და თანაც იგი უკვე „განსრულებულ იყო ასაკითა“, დავით კურაპალატი რაღაც მიზეზების გამო, თითქოს, საგონებელში ჩავარდნილა[75]. რა თქმა უნდა, ლიხსიქეთის დიდებულთა ერთი ნაწილი მაინც სრულებითაც არ იქნებოდა მომხრე ლიხსიქეთის სამეფო ტახტზე ახალი, ბაგრატიონთა დინასტიის ასვლისა. გარდა ამისა, ლიხსიქეთს ბაგრატიონთა გვარიშვილის, ბაგრატ III-ის გამეფებით, როგორც ცნობილია, მტკიცე საძირკველი ეყრებოდა მთელი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების დიად საქმეს, რაც არც საქართველოს დიდგვარიანთა ერთი ნაწილისათვის და არც ბიზანტიის იმპერიის ხე-

---

74 იქვე, გვ. 251—252.
75 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 272, 274, 275.

ლისუფალთათვის, გასაგებია, მისაღები არ იქნებოდა, ხოლო დავით კურაპალატი იმ ხანებშიც ფორმალურად მაინც ბიზანტიის კეისრის უზენაესობას აღიარებდა. რაკი ლიხსიქეთს ბაგრატ III-ის გამეფებასთან დაკავშირებით დავით კურაპალატს სირთულეები უნდა შექმნოდა[76], ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ბუნებრივია, ლიხსიქეთის სამეფოს საზღვრებისაკენ ლაშქრობისას დავითს თავისი ახლად შეძენილი ვასალი, ანის-შირაკის მეფე სმბატ II-ც ხლებოდა, თუ, ვიმეორებთ, ასოღიკის სათანადო ცნობა სარწმუნოა.

ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ანის-შირაკის მეფის, სმბატ II-ის ინტერესებს სრულებით არ შეესაბამებოდა ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლის, ბაგრატ III-ის ლიხსიქეთის სამეფო ტახტზე აყვანა. ეს ხომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების მაუწყებელი იყო, რაც იმ დროისათვის საშინლად დაქუცმაცებული სომხეთის მეფე-მთავრებისთვის, მათ შორის, რაც სმბატ II-თვის არამც და არამც სასურველი არ იქნებოდა. საქართველოს გაერთიანებამდეც ხომ ქართველი მეფე-მთავრები, ამიერკავკასიაში პირველობის მოპოვების მიზნით, ებრძოდნენ სომეხ მეფე-მთავრებს და მით უმეტეს გაერთიანებული საქართველოს მეფე შეუტევდა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილი სომხეთის ხელისუფალთ. როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეული მიზეზების გამო, სომეხმა ბაგრატუნებმა ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილის დაპაკუთრება შეძლეს. ქვემო ქართლის ეს ოლქები თავის დროზე გუარამ მამფალის თუ მისი მემკვიდრის, ნასრას სამფლობელოში, აგრეთვე თბილისის საამიროში იყო მოქცეული. ქვემო ქართლისათვის, კერძოდ, სამშვილდისათვის სომეხთა ბაგრატუნ მეფეს ებრძოდა გურგენ ერისთავთერისთავი და ბუნებრივია, გაერთიანებული საქართველოს პირველივე მეფე მით უფრო დაუპირისპირდებოდა სომეხ ბაგრატუნებს ქვემო ქართლისათვის. ეს ასეც მოხდა. ბაგრატ III-მ გადაწყვიტა არა მარტო ქვემო ქართლის ერთ ნაწილში მოკალათებულ ბაღვაშთა თავგასულობის ალაგმვა, დათრგუნვა, არამედ სომეხ ბაგრატუნთა გაძევებაც ქვემო ქართლიდან. ბაგრატ III-ის გამეფების ხანებშივე ანის-შირაკის სამეფო კარის დასტურით შეიქმნა ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფო, რომლის ბაგრატუნთა დინასტია კვირიკიანთა სახელწოდებითაცაა ცნობილი. ტაშირ-ძორაგეტის სამეფო ქვემო ქართლის არაერთ ოლქს მოიცავდა, მის სატახტო ქალაქსაც კარგა ხანს სამშვილდე წარმოადგენდა. მართალია, ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს შექმნა სომხეთის დაქუცმაცების ვითარებაში მოხდა, ეს აქტი

---

76 შდრ. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება... გვ. 10—18, 23.

ანის-შირაკის სამეფოს შემდგომი დასუსტების გამოხატულებაა[77], მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად მაინც კვირიკიანები ანის-შირაკის ბაგრატუნთა ვასალები იყვნენ და სიუზერენთაგან მათ ევალებოდათ „სომხეთის ჩრდილო საზღვრების“ განმტკიცება, ეკისრებოდათ იგივე ფუნქციები. რაც არშაკუნთა დროინდელ გუგარქის საპიტიახშოს[78]. მაშასადამე, ანის-შირაკის მეფეთა ჩანაფიქრით, ტაშირ-ძორაგეტის სამეფო მათ საყრდენად უნდა ქცეულიყო ქართული სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ ბრძოლაში (სხვა ამბავია, რომ ამგვარი მიზანი და ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს შექმნის საბოლოო შედეგი ერთმანეთს არ შეესატყვისებოდა) და ნუთუ ასეთ პირობებში ანის-შირაკის მეფე სმბატ II თავისი ნებით დათანხმდებოდა და ხელს შეუწყობდა დავით კურაპალატს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის მტკიცე საძირკვლის ჩაყრაში, ლიხსიქეთის სამეფო ტახტზე ბაგრატ III-ის აყვანაში?

გაერთიანებული საქართველოს პირველივე მეფეს, ბაგრატ III-ს (ბაგრატ IV-ისა და დავით აღმაშენებლის სათანადო ნაბიჯებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) რომ გადაუწყვეტია, სომეხ ბაგრატუნთათვის ფეხი ამოეკვეთინებინა ქვემო ქართლიდან, ვფიქრობთ, ამას ადასტურებს ასოღიკის ცნობები, რომლებსაც აქვე მოვიტანთ. როგორც ითქვა. 988 წ., როცა ბაგრატ III თავის „გამზრდელს“, დავით კურაპალატს დაუპირისპირდა, ბაგრატის წინააღმდეგ დავითს „ყოველნი მეფენი სომხითისანიც“ მიუვიდნენ. ამ მეფეებს შორის ანის-შირაკის მეფე სმბატ II-ც ყოფილა, რომელსაც ხლებია მისივე ძმაც, ანის-შირაკის მომავალი მეფე გაგიკ I (990 — დაახლ. 1017). მათ გარდა დავით კურაპალატს მისვლიან ვანანდის (ყარსის) მეფე აბასი, ვასპურაკანის, სიუნიქის (სივნიეთის) და ალვანეთის ხელისუფალნიც[79]. სომეხთა მეფე-მთავრები ასე ერთსულოვნად იმიტომაც გამოვიდნენ ბაგრატ III-ის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ მათ ბაგრატ III-ის გაძლიერება, მის მიერ საქართველოს გაერთიანება არამც და არამც ხელს არ აძლევდათ[80]. აქედან გამომდინარე, ანის-შირაკის მეფე სმბატ II-ს არც ბაგრატ III-ის ლიხსიქეთს გამეფება ენდომებოდა, რადგან ამით სავსებით ნათლად ჩანდა, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებამდე თითქმის აღარაფერი რჩებოდა.

სმბატ II-მ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ ბაგრატ III-მ დავით კურაპალატთან და მის მოკავშირეებთან ბრძოლას თავი აარიდა და

---

[77] იხ. С. Т. Еремян. Присоединение... გვ. 7.

[78] იხ. Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 101, Ռ. Թարսայիշ, Հայոց քաղաքություն... გვ. 72.

[79] Ստեփանոսի Տարոնեցւոյ... გვ. 252.

[80] ეს. Хонеля, Некоторые вопросы... გვ. 102—103.

დავითის მეშვეობით სმბატი „საკურეთის“, ე. ი. სკვირეთის ციხეს დაეპატრონა, დავით კურაპალატის საქმეში ჩარევით ბაგრატ III-ს დაუთმია სმბატისთვის ეს ციხე. ეტყობა, ასოღიკი სმბატ II-ის დიდ წარმატებად მიიჩნევს მის მიერ სკვირეთის ციხის ხელთგდებას, მაგრამ ასევე გულისტკივილით, თითქოს გაღიზიანებულიც გვაუწყებს, რომ სმბატ II-ის სიკვდილისთანავე, ე. ი. სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ „კვლავ ჩამოართვეს სომხებს საკურეთის ციხე“[81]. შესაძლოა, სმბატ II-ს სკვირეთის ციხე სამემკვიდრეოდ კი არა, არამედ დროებით მფლობელობაში, მხოლოდ თავისი სიცოცხლის მანძილზე გადასცა დავით კურაპალატმა. ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ ანის-შირაკის მეფე სმბატ II და ბაგრატ III უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს სკვირეთისათვის და საერთოდაც ქვემო ქართლისათვის. ამდენად, სმბატ II ბაგრატ III-ის ლიხსიქეთს გამეფებაში თავისი ნებით არ მიიღებდა მონაწილეობას, იგი ხელს არ შეუწყობდა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ანის-შირაკის მეფე სმბატ II ცნობდა დავით კურაპალატის უზენაესობას და იგი იძულებული გახდა დავითის გვერდით ყოფილიყო ლიხსიქეთის სამეფო ტახტზე ბაგრატ III-ის აყვანის ჟამს.

აღსანიშნავია, რომ სომეხ ბაგრატუნთა სურვილი, დაუფლებოდნენ „საკურეთის“, სკვირეთის ციხესიმაგრეს, დადასტურებულია ჯერ კიდევ X ს-ის პირველ მეოთხედში [82]. სკვირეთის საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიტანოთ ს. ერემიანის მოსაზრებაც იმის შესახებ, თითქოს, ბაგრატ III-ს არ შეეძლო ბაღვაშთა დამორჩილება, რადგან შირაკის ბაგრატუნები იცავდნენ, უჭერდნენო მათ მხარს ქართველ მეფეთა წინააღმდეგ ბრძოლაში[83]. ბაღვაშები ზოგჯერ მართლაც უკავშირდებოდნენ სომეხ ხელისუფალთ ქართველ მეფეებთან შეხლა-შემოხლისას, მაგრამ განა ქვემო ქართლში გაბატონების მოსურნე ბაღვაშებსა და სომეხ ბაგრატუნებს შორისაც დაპირისპირება, ინტერესთა შეურიგებლობა არ არსებობდა? ვფიქრობთ, სკვირეთის ციხესიმაგრის მაგალითი ამის აშკარა დასტურია. საქმე ისაა, რომ 988 წლისათვის, როცა ანის-შირაკის მეფე სმბატ II ცდილობს სკვირეთის ხელთგდებას და დროებით მიზანსაც აღწევს, იმ ხანებში სკვირეთის ციხესიმაგრე ფაქტიურად სწორედ ლაგამაწყვე-

---

[81] Ստեփանոսի Տարօնեցւոյ... გვ. 252—253.

[82] იხ. ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 224—225.

[83] Մ. Ե ր ե մ յ ա ն, Լիպարիտ զորավարը և նրա նախորդները, გვ. 113.

ტილი ქართველი ფეოდალების, ბაღვაშთა მფლობელობაში ყოფილა[84]. ბაგრატ III-ის უფლება სკვირეთის მიმართ 988 წლამდე ფორმალური ჩანს. ეტყობა, სკვირეთის დასაკუთრებას ცდილობდნენ როგორც ბაგრატ III, ასევე ბაღვაშებიც და სომეხი ბაგრატუნებიც. მიტომ ორი მათგანის კავშირი მესამის წინააღმდეგ შეუძლებელია მტკიცე საფუძველზე ყოფილიყო დამყარებული.

როგორც ზემოთაც ითქვა, დავით კურაპალატი, „ქართველთა მეფე" ბაგრატ II რეგვენი, მისი გარდაცვალების (994 წ.) შემდეგ კი მისივე მემკვიდრე გურგენი, აგრეთვე ანის-შირაკის მეფე გაგიკ I და ვანანდის მეფე აბასი ერთობლივი ძალით ებრძოდნენ მეზობელ მაჰმადიან მფლობელებს. აღსანიშნავია, რომ როცა ასოღიკი დავით კურაპალატსა და ანის-შირაკის მეფეს ერთად, ერთმანეთის გვერდიგვერდ იხსენიებს, ყოველთვის პირველად დავითს ასახელებს. ჩვენი აზრით, ეს საგანგებო შემთხვევაა და ამდენად ყურადღების ღირსიც. საზოგადოდ ცნობილია, რომ სომეხი მემატიანეები, მათ შორის იგივე ასოღიკიც, მოგვითხრობენ რა ბრძოლებზე, რომლებშიც ქართველთა ჯარის მნიშვნელობა შეუდარებლად უფრო დიდია, ვიდრე სომეხთა ჯარისა, პირველად მაინც სომეხთა ჯარს მოიხსენიებენ და მხოლოდ შემდეგ — ქართველთა ჯარს. რაკი ასოღიკი დავით კურაპალატის მიმართ გამონაკლისს უშვებს, დ ა ვ ი თ ს ს ო მ ე ხ თ ა მ ე ფ ე ე ბ ზ ე წ ი ნ ი ხ ს ე ნ ი ე ბ ს და იგი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებშიც ყოველთვის თავკაცად, საქმის სულისჩამდგმელად ესახება, აქედანაც ჩანს, რომ ა ს ო ღ ი კ ი დ ა ვ ი თ კ ურ ა პ ა ლ ა ტ ს მ ი ს ი თ ა ნ ა მ ო ს ა გ რ ე ე ბ ი ს, ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ, ა ნ ი ს-შ ი რ ა კ ი ს მ ე ფ ე თ ა მ ი მ ა რ თ უ ე ჭ ვ ე ლ ა დ, უ ლ ა პ ა რ ა კ ო დ უ ზ ე ნ ა ე ს ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ა დ მ ი ი ჩ ნ ე ვ ს და არა პირიქით, როგორც ამას ვ. არუთინოვა და მისი თანამოაზრეები გვეფიცებიან (მხოლოდ ფიცი თუ შეიძლება მათ მოიშველიონ, რამეთუ მეცნიერული არგუმენტები სრულიად საწინააღმდეგოს ღაღადებენ!).

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ბრძოლები სომხეთის მიწა-წყალზე მიმდინარეობდა, ხსენებული მაჰმადიანი მფლობელები სომხურ სამეფო-სამთავროებს უფრო მეტად უქმნიდნენ საფრთხეს. ვიდრე საკუთრივ დავით კურაპალატის საბრძანებელს. მიუხედავად ამისა, ა ს ო ღ ი კ ს მ ა თ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ს წ ო რ ე დ ს ო მ ხ ე თ ში გ ა მ ა რ თ უ ლ ბ რ ძ ო ლ ე ბ შ ი მ თ ა ვ ა რ მ ო ქ მ ე დ პ ი რ ა დ დ ა ვ ი თ კ ურ ა პ ა ლ ა ტ ი მ ი ა ჩ ნ ი ა, ხ ო ლ ო ს ო მ ე ხ თ ა მ ე ფ ე ე ბ ი, კ ე რ ძ ო დ, ა ნ ი ს-შ ი რ ა კ ი ს ბ ა გ რ ა ტ უ ნ ი

---

84 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 276.

ხელმწიფეც — დავითის თანაშემწეებად. როგორც ვიცით, სომხეთი იმ ხანებში დაქუცმაცებული, დასუსტებული იყო. ამავე დროს, ვინაიდან სომხეთს იმჟამად გაცილებით უფრო მეტად ემუქრებოდა საგარეო საფრთხე, ვიდრე საქართველოს, ასეთ ვითარებაში სომეხ ხელისუფალთ, მთელ სომეხ ხალხს თავიანთ მხსნელად ესახებოდათ დავით კურაპალატი. ასოღიკისვე ზემოთ უკვე მოტანილი სიტყვებით, დიდი კურაპალატი დავითი, რომლის სიკვდილის ამბავი მე ხანგრძლივი გოდებით უნდა გადმომეცა, თხრობის შემოკლების საჭიროება რომ არ არსებობდესო, იყო „კაცი, იმდროინდელ ყველა მეფეზე უფრო მშვიდი, წყნარი. იგი გახდა მიზეზი ყოველთა აღმოსავლელთა მშვიდობისა და აღმშენებლობისა, მეტადრე სომხებისა და ქართველებისა, რამეთუ ომის მძვინვარება ყოველი მხრიდან დააცხრო მან, სძლია რა ყოველ, ირგვლივ მყოფ ნათესავთ. ყოველნი მეფენი თავიანთი ნებით ემორჩილებოდნენ მას“[85]. დავით კურაპალატისადმი „ნებით“ დაქვემდებარებულ მეფეებში სომეხი და ქართველი მეფეები იგულისხმებიან, თორემ მაჰმადიანი მფლობელები არამცთუ თავიანთი ნებით, საერთოდაც არ აპირებდნენ დავითისადმი დამორჩილებას და მოსალოდნელია, მეეფეებსაც არ უწოდებდა მათ ასოღიკი.

დავით კურაპალატის ძლევამოსილების შესახებ ორიოდე ცნობა მოიპოვება ლასტივერცის „ისტორიაშიც“[86], ხოლო მათეოს ურჰაეცი ამირა მამლანისაგან სომხეთის დაცვის საქმეში გადამწყვეტ როლს არა სომეხ ხელისუფალთ, არამედ „ქართველთა მთავარს“, დავით დიდ კურაპალატს და მის ჯარს მიაკუთვნებს[87].

გ. მელიქიშვილის სიტყვით, „ფეოდალური საქართველოს გაერთიანებაში „ქართველთა სამეფოს“, ბაგრატიონთა დინასტიისა და საკუთრივ ქართლის როლის გაზვიადებას გარკვეული საფუძველ მოეპოვება პირველწყაროებში... „მატიანე ქართლისაჲ“-სათვის კერძოდ, ისევე როგორც ამ ამბების თანადროული სომხური წყაროებისათვის, დამახასიათებელია დავით კურაპალატის პიროვნების ყოველმხრივ განდიდება“[88]. ვფიქრობთ, დავით კურაპალატის განდიდება სომხურ წყაროებში მაინც არ შეიძლება უსაფუძვლო იყოს. როგორც ვიცით, X ს-ში, კერძოდ, დავით კურაპალატის ხელმწიფობის ჟამს, ქართული ეკლესია აშკარად უტევს სომხურ ეკლესიას, ცდილობს

---

85 Ստեփանոսի Տարօնեցւոյ... გვ. 275.

86 არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, გვ. 41, 49.

87 Մատթէոս Ուռհայեցի, გვ. 34—37.

88 გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება... გვ. 7, შდრ. Летопись Картли. გ. წულაიას გამ., გვ. 12—22, 28.

მასობრივად მოაქციოს „მწვალებელი“, მონოფიზიტი (გრიგორიანი) სომხები მართლმადიდებლობაზე, „ქართულ რჯულზე“. ამ საქმეში ქართული ეკლესიის დიდი მხარდამჭერი, შეიძლება ითქვას, თანამოსაგრე იყო დავით კურაპალატი. სომეხთა „ქართულ რჯულზე“ მოქცევის პროცესი სულაც არ მიმდინარეობდა უმტკივნეულოდ, ამასთან დაკავშირებით დავით კურაპალატის ხელმწიფობის ჟამსაც არცთუ იშვიათად ხდებოდა შეხლა-შემოხლა, შეტაკებები, სისხლისღვრაც. ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ ამის დამადასტურებელი ცნობები ასოღიკის „ისტორიიდან“, ასოღიკისა, რომელიც მართლაც რომ თაყვანს სცემს დავით კურაპალატს, თუმცა დავითის ქვეშევრდომი ქართველების, მისი ჯარის მიერ მონოფიზიტ (გრიგორიან) სომეხთა შევიწროება, შეურაცხყოფა თანადროულ სომეხ მემატიანეს აშკარად აღიზიანებს. იგი ამ დროს ვერ ფარავს თავის განაწყენებას და იმედოვნებს, რომ სამაგიეროდ ღმერთი დასჯის „ქართველ მამებს“ თუ დავით კურაპალატის ჯარს, რომელიც მას, ამასთანავე, მეორე მხრივ, სომხეთის მხსნელად მიაჩნია. ასეთ ვითარებაში ჩვენი აზრით, დავით კურაპალატს, მართლაც, დიდი ღვაწლი უნდა მიუძღოდეს სომხეთში უცხოელ დამპყრობთა თარეშის ალაგმვის საქმეში, მას დიდი გავლენა უნდა მოეპოვებინა სომხეთში. თორემ სხვანაირად „სომხური რჯულისადმი“, „მშობლიური სომხობის სარწმუნოებისადმი“ თავდადებული სომეხი მემატიანეების მიერ დავით კურაპალატის განდიდება, მისი ლამის გაღმერთება გაუგებარია.

როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს გამაერთიანებელი ბაგრატ III მთელი კავკასიის გაერთიანებაზე, დაქვემდებარებაზეც აცხადებდა პრეტენზიას[89]. ასევე დიდი პოლიტიკური გეგმები ჰქონდათ საქართველოს მეფეებს, გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ს. ჩვენ ამ საკითხებზე ქვემოთაც ვისაუბრებთ[90] და ამიტომ ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აშკარაა, რომ X ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან XI ს-ის 60-იან წლებამდე ქართველი ხელისუფალნი დიდ წარმატებებს აღწევენ არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის, უფრო მეტიც, მთელი კავკასიის პოლიტიკური გაერთიანების გზაზე. მართალია, ეს პროცესი მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს დასრულდა და ისიც არა სავსებით, არამედ ძირითად ხაზებში (დავითის დიადი საქმე მისმა მემკვიდრეებმაც განაგრძეს), მაგრამ დავით აღმაშენებელს ჰყავდა დიდი წინამორბედებიც დავით კურაპალატის, ბაგრატ III-ის, გიორგი

---

89 იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 228—244; R. Grousset, დასახ. ნაშრომი, გვ. 537—538.

90 იხ. ავრეთვე ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, გვ. 211—215.

I-ის, ბაგრატ IV-ისა და სხვათა სახით. ჯერ კიდევ IX ს-სა და X ს-ის პირველ ნახევარში ლიხსიქეთის მეფეებმა, „ქართველთა“ მეფე-მთავრებმა თუ კახეთ-ჰერეთის მეფე-მთავრებმაც (ამ უკანასკნელებმა უფრო ალვანეთისა და ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის მიმართულებით; კახეთ-ჰერეთის მეფეები ამ მხრივ XI ს-ის დასასრულამდეც აქტიურობდნენ) თავიანთი წვლილი შეიტანეს კავკასიის პოლიტიკური გაერთიანებისათვის საძირკვლის ჩაყრაში. მართალია. IX ს-სა და X ს-ის დასაწყისში ალვანეთისა და სომხეთის ხელისუფლებმაც შეასრულეს გარკვეული როლი ამ ზოგადკავკასიურ, დიდმნიშვნელოვან საქმეში, მაგრამ მომდევნო ხანებში ქრისტიანული ალვანეთი (ეს უკანასკნელი უკვე IX საუკუნეშიც) და სომხეთი თანდათან დასუსტდნენ (ალვანეთი მალე სავსებითაც ჩამოვიდა ასპარეზიდან, დაკარგა თავისთავადობა) და მხოლოდ საქართველოს, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, აღმოაჩნდა ძალა, რომელიც აუცილებელი იყო ქრისტიანობის დროშით კავკასიის გაერთიანებისათვის საბრძოლველად. IX—XI სს-ში, ისევე როგორც XII ს-ში, ქართული ეროვნული ენერგიის დაუშრეტელი წყაროა „მდუღარებაᲐ სულისაᲐ“, რამაც ქართველობას შეუძლებელი შეაძლებინა.

საქართველოს აღმავლობის, აღმასვლის პროცესი იმდენად აშკარა იყო, რომ ეს ჯერ კიდევ X ს-ში შეუმჩნევიათ უცხოელებს. ასე მაგ., მასუდის მიხედვით, ჯურზია, ჯურზანი, ე. ი. ქართველები „დიდი ხალხია“[91]. ისიც აღსანიშნავია, რომ 982 წ. შედგენილ გეოგრაფიულ ტრაქტატში — „ჰოდუდ ალ-ალამი“ — შავი ზღვა „ქართველთა ზღვად“ მოიხსენიება[92].

ასეთია IX—XI სს-ის ამიერკავკასიაში შექმნილი ნამდვილი, ჭეშმარიტი ვითარება, რომლის ფონზე ზოგიერთი ვაი-მეცნიერის უსაფუძვლო განცხადებები სასაცილოდ გამოიყურებიან. ყოველივე ეს სატირალი რომ არ იყოს. ასე მაგ., ცნობილი სომეხი ისტორიკოსის, ა. ალპოიაჯიანის მიხედვით, IX—XI სს-ში საქართველო ვითომც სომხეთის შემადგენელ ნაწილს, მის პროვინციას წარმოადგენდა. თითქოს, საქმე იქამდეც მისულა, რომ თურმე „სელჩუკების ასპარეზზე გამოსვლის დროისათვის საქართველო უკვე სანახევროდ გასომხურებული ქვეყანა იყო“[93]. ისე გამოდის, სრული გასომხურებისაგან საქართველო „დიდ თურქობას“ (დღემდე რომ ავად სახსენებელი გვგონია!), თურქ-სელჩუკებს უხსნიათ, „მფარველად“ მოგვვლენიან ისინი! IX—

---

[91] იხ. В. Минорский, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

[92] იხ. მ. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84—87.

[93] Ա. Ալպոյաճեան, Պատմութիւն հայ դաղթականութեան, II, Գահիրէ, 1955, էջ. 45.

XI სს-ის ამიერკავკაკიის პოლიტიკური ისტორიის კარგად ცნობილ. სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობის დამადასტურებელ. ზემოდებელ ფაქტებს რომ თავი დავანებოთ, „ქვეთა ღაღადსაც“ რომ ყური არ ვათხოვოთ, ა. ალპოიაჭიანისა და მისი თანამზრახველებისათვის, როგორც ეტყობა, საერთოდ უცნობია გრიგოლ ხანძთელის, სტეფანე მტბევარის, გიორგი მერჩულეს, იოანე ზოსიმეს, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, გიორგი მცირეს და სხვა იმჟამინდელ ქართველ მოღვაწეთა სახელები, მათი ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი მოღვაწეობა, კერძოდ, ზემოთ აღნიშნული მიზეზებით გამოწვეული ანტიმონოფიზიტური (ანტისომხური) განწყობილება, თორემ მსგავსი განცხადებების გადმოსროლას, ალბათ, სამარცხვინოდ მიიჩნევდნენ.

თავი მეშვიდე

ბიზანტია-საქართველო-სომხეთის ურთიერთობები X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის პირველ ნახევარში

ბიზანტიის იმპერიასთან საქართველოსა და სომხეთს გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდათ IX ს-სა და X ს-ის პირველ ნახევარშიც. რის შესახებაც ზემოთ, საჭიროების მიხედვით, შეძლებისდაგვარად უკვე გვქონდა საუბარი. X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის პირველ ნახევარში ბიზანტიის იმპერიის ხელისუფალნი როგორც ქართული, ასევე და უფრო მეტად სომხური პოლიტიკური ერთეულების, სამეფო-სამთავროების ანექსიის, ბიზანტიასთან მათი მიერთების მარტოოდენ გეგმების შედგენას აღარ სჯერდებიან და გადამწყვეტ ზომებს მიმართავენ ამ მიმართულებით თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის, რასაც არაერთხელ სასტიკი შეტაკება, შეხლა-შემოხლა. ომი და საშინელი სისხლისღვრა მოჰყვა შედეგად. XI ს-ის 60-იანი წლებისათვის ბიზანტიის იმპერიამ შეძლო თითქმის მთელი სომხეთის დაპყრობა (თუმცა სულ მალე თურქ-სელჩუკებმა განდევნეს ბიზანტიელები სომხეთიდან), მათ დაპყრობილი ჰქონდათ დავით კურაპალატის სამფლობელოს დიდი ნაწილიც და საფრთხეს უქმნიდნენ დანარჩენ საქართველოსაც, მაგრამ ქართველი ერის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. საქართველო არა მარტო თავს იცავდა ბიზანტიასთან ბრძოლაში, არამედ სომხეთისთვისაც უპირისპირდებოდა მას, რამეთუ ბიზანტიის იმპერიის გაბატონება სომხეთში საქართველოსაც კარგს არაფერს უქადდა. ამდენად, ჩვენი ნაშრომის წინამდებარე თავში მიზნად ვისახავთ, შესაძლებლობის ფარგლებში, ვისაუბროთ საკითხზეც, ბიზანტიის იმპერიის ამიერკავკასიაში შემოჭრა, მისი ცდები ამიერკავკასიის დასაუფლებლად თუ რა გავლენას ახდენდა საქართველო-სომხეთის ურთიერთობაზე.

საზოგადოდ, X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის 60-იან წლებამდე საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხების შესწავლა შეუძლებელია ამიერკავკასიის მიმართ ბიზანტიის პოლიტიკის გათვალისწინების გარეშე, ხსენებულ ხანაში ბიზანტია-საქართველო-სომხეთის ისტორია საოცრად გადახლართულია, გადანასკვულია ერთმანეთ-

თან. ვ. კოპალიანი, საგანგებოდ სწავლობდა რა იმავე ეპოქაში საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობას, არაერთხელ აღნიშნავდა: მართალია, საქართველო-სომხეთის ურთიერთკავშირის განხილვა ჩვენი წიგნის მიზანს არ შეადგენსო, მაგრამ უამისოდ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის კვლევა შეუძლებელიაო[1]. ასევე, X ს-ის მეორე ნახევრიდან XI ს-ის 60-იან წლებამდე საქართველო-სომხეთის ურთიერთდამოკიდებულების გამოძიებისას აუცილებელი ხდება იმის გაგებაც, თუ რა როლს ასრულებდა ბიზანტიის იმპერია ამიერკავკასიის ქვეყნების იმდროინდელ ისტორიაში, რაგვარად ზემოქმედებდა იგი საქართველო-სომხეთის ურთიერთობებზე.

როგორც ვიცით, IX—XI სს-ში შეიმჩნევა ლტოლვა, მიმღინარეობს ბრძოლა ერთიანი სახელმწიფოს შექმნისათვის ამიერკავკასიასა თუ მთელს კავკასიაში, რაც ბიზანტიის იმპერიის ხელისუფალთ არაფრად ეჭაშნიკებოდათ და ყოველნაირად ცდილობდნენ ამ პროცესის შეფერხებას. X ს-ის მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიის გაერთიანების საქმე საბოლოოდ ქართველ ხელისუფალთა ხელთ დადგა და ბიზანტიის კეისრების განზრახვასაც — გაბატონებულიყვნენ ამიერკავკასიაში, ძირითადად სწორედ საქართველო აღუდგა წინ.

უკვე 966 წ. ბიზანტიის იმპერიამ დაიპყრო და უშუალოდ შეიერთა ტარონის ბაგრატუნთა სომხური სამთავრო, რასაც წინ უსწრებდა გარკვეული, მოსამზადებელი საფეხურები ამ მიმართულებით[2]. როგორც ეტყობა, მომდევნო წლებშივე ბიზანტიის კეისარმა მიზნად დაისახა უფრო ღრმად შეჭრილიყო სომხეთში. ამის დასტური ჩანს იმპერატორ იოანე ციმისხის (969—976) მიერ ანის-შირაკის მეფე აშოტ III-დმი (953—977) ვრცელი მოცულობის წერილის (დაახლ. რვა ნაბეჭდი გვერდი) გაგზავნაც[3]. მასში დაწვრილებით, გაზვიადებით არის საუბარი, თუ რაოდენ დიდ წარმატებას მიაღწიეს ბიზანტიის ჯარებმა იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების დაცვა-გაფართოების მხრივ. წერილი იოანე ციმისხის ჯარის ტრიუმფალური ლაშქრობების ამსახველ მატიანეს, ქრონიკას წარმოადგენს. კეისარი აშკარა ტრაბახსაც არ თაკილობს. ყოველივე ამის მიზანი კი ის გახლავთ, რომ იოანე ციმისხმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს ანის-შირაკის სომეხთა მეფეზე, რათა ამით გაუადვილდეს თავისი ჩანაფიქრის განხორციელება — მთელი სომხეთის დაპყრობა[4]. წერილში, კერძოდ, სრულიად

---

[1] ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში, გვ. 104, 196, 212.

[2] იხ. Գ. Գրիգորյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 96—158.

[3] Մատթէոս Ուռհայեցի, გვ. 19—28.

[4] იხ. Գ. Գրիգորյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 153—154.

დაუფარავადა. გატარებული აზრი, რომ ბიზანტიის იმპერია გადაუდებელ ამოცანად ისახავს სომხეთში არსებული მულსიმანური საამიროების დაპყრობას. როგორც ზემოთ ითქვა, სომეხ ხელისუფალთ ბიზანტიის კეისრების ამგვარი განზრახვაც მიუღებლად მიაჩნდათ, რამეთუ ხსენებული საამიროების ტერიტორიებს სომხურ მიწა-წყლად აღიქვამდნენ, ის თავიანთთვის უნდოდათ და არა ბიზანტიისათვის. გარდა ამისა, ბიზანტიელთა მიერ აღნიშნული საამიროების დაპყრობას შედეგად მოჰყვებოდა ბიზანტიის იმპერიის პოზიციის განმტკიცება სომხეთში, რის შემდეგაც კეისრებისათვის ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწევრებული მთელი სომხეთის მიტაცებაც ძნელი აღარ იქნებოდა. ასეა თუ ისე, X ს-ის 70-იანი წლებისათვის ბიზანტია-სომხეთს შორის წინააღმდეგობები მეტად გამძაფრებული ჩანს. ტარონის სომხური სამთავროს დაპყრობის შემდეგ, 974 წ., როცა ბიზანტიის კეისარმა განიზრახა კიდევ უფრო ღრმად შეეჭრილიყო სომხეთში, ანის-შირაკის მეფემ შეძლო სომხური ძალების დარაზმვა აგრესორთან საბრძოლველად. იმჟამად ბიზანტიის იმპერიას სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდა გადასაწყვეტი და ამიტომ კეისარმა თავი აარიდა შეტაკებას სომეხ მეფე-მთავრებთან, დროებით მათთან მორიგება ამჯობინა.

აი, ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც ბიზანტიის იმპერიის ხელისუფალნი დღე-დღეზე აპირებდნენ მთელი სომხეთის დაპყრობას, სომხეთის საქმეებში ჩაერია დავით დიდი კურაპალატი. როგორც დავინახეთ, 977 წ. დავითის გავლენის ქვეშ მოექცნენ ანის-შირაკისა და ვანანდის (ყარსის) სომეხი მეფეები. ცნობილია, რომ X ს-ის 80-იან წლებში ურთიერთობა დავით კურაპალატსა და ბიზანტიის მრისხანე იმპერატორ ბასილ II-ს შორის მეტისმეტად გამწვავდა. თუ 978/79 წ. ბასილ II-ის აჯანყებული დიდმოხელის, ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში დავით კურაპალატის ჯარმა გადამწყვეტი როლი შეასრულა და სამაგიეროდ დავით კურაპალატს დროებით მფლობელობაში, თავისი სიცოცხლის მანძილზე კეისრისაგან არაერთი ოლქიც გადაეცა, 987 წ. დავითი იგივე ბასილ II-ის წინააღმდეგ ამბოხებულ ბარდა ფოკას მიემხრო და კეისრის ტახტიდან ჩამოსაგდებად იბრძოდა. აშკარაა, რომ 978—987 წლებს შორის ურთიერთობა ბასილ II-სა და დავით კურაპალატს შორის მკვეთრად შეცვლილა, გაუარესებულა[5]. ჩვენი აზრით, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ თანდათან განიმტკიცა რა ძალაუფლება, ბასილ II ბულგართმმუსვრელს უკმაყოფილება უნდა გამოეხატა სომხეთის საქმეებში დავით

---

5 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 477—481.

კურაპალატის ჩარევის გამო. მას, ცხადია, არ მოეწონებოდა ანის-შირაკის, ვანანდის (ყარსის) სომეხი მეფეების თუ სხვა სომეხ ხელისუფალთა მიერაც დავით კურაპალატის უზენაესობის აღიარება. ბიზანტიის იმპერია სომხეთის დაპყრობას ხომ გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა და ქართველ ხელმწიფეთა პრეტენზიებს სომხეთის მიმართ ვერ შეურიგდებოდა, სანამ სული ედგა და ძალაც ერჩოდა.

ბასილ II-ს, ალბათ, ის კი აძლევდა ხელს, რომ დავით კურაპალატი სომხეთისათვის ებრძოდა მეზობელ მაჰმადიან მფლობელებს, ამირებს, იცავდა სომხეთის მიწა-წყალს მათი თარეშისაგან, მაგრამ დავით კურაპალატის მეტისმეტი გაძლიერება კეისარს მაინც არ უნდოდა. საქმე ისაა, რომ დავითის მემკვიდრეობის დაპატრონებას მისივე „გაზრდილი", „შვილობილი", ბაგრატ III აპირებდა, მიუხედავად იმისა, რომ 989 წ. დავით კურაპალატი, კეისრის საწინააღმდეგო აჯანყებაში მონაწილეობისათვის, აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა მთელი თავისი სამფლობელო ბიზანტიისთვის ეანდერძა. ეს ანდერძი არ იყო გულწრფელი, ბიზანტიის იმპერიას სულაც არ ჰქონდა გარანტირებული დავით კურაპალატის მთელი სამფლობელოს ხელთგდება დავითის სიკვდილის შემდეგ და ამიტომ კეისარს დავითის წარმატებები, მისი ძლევამოსილება 989 წ. შემდგომაც აფიქრებდა. ამის გამო ბიზანტიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოეწყო დავით კურაპალატის მკვლელობა, რაც აღასრულა კიდეც[6].

მოსალოდნელია, ბასილ II-ს აფიქრებდა ბაგრატ III-ის დღითიდღე გაძლიერება, მისი სამფლობელოს თანდათანობით განვრცობა და ამიტომაც კეისარმა განიზრახა, მანამდე მოეწყო დავით კურაპალატის მკვლელობა, სანამ ბაგრატ III-ს ძლიერების ზენიტისათვის ჯერ კიდევ არ მიეღწია, რამეთუ საფიქრებელი იყო, საქართველოს გამაერთიანებელი ბაგრატ III თავისი „გამზრდელის", „მამობილის", დავით კურაპალატის სამფლობელოს იმ ნაწილზე მაინც განაცხადებდა პრეტენზიას, რომელიც დავითისათვის ბიზანტიას არ უბოძებია. ამ მხრივ გასათვალისწინებელია, რომ ცოტა მოგვიანებით ბაგრატ IV-მ მოიწადინა დაუფლებოდა ანის-შირაკის სამეფოს, კერძოდ, ქალაქ ანისს, მიუხედავად იმისა, რომ ანის-შირაკის მეფე ჰოვჰანეს-სმბატიც (დაახლ. 1017—1042) იძულებული გახდა თავისი სამეფო სიკვდილის შემდეგ ანდერძით ბიზანტიისათვის გადაეცა. თუკი ბაგრატ IV არაფრად აგდებს ბიზანტიის მიერ მოპოვებულ სათანადო ანდერძს და ებრძვის

---

[6] В. П. Степаненко. К датировке получения сана куропалата Давидом II, Багратидом Тао, თსუ შრომები, ტ. 227 (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), თბ., 1982, გვ. 76—77.

იმპერიას ანისისათვის, მით უფრო დასაშვებია, ბაგრატ IV-ზე უფრო ძლიერ ქართველ მეფეს, მის პაპას ბაგრატ III-ს მოენდომებინა დაუფლებოდა თავისი „მ ა მ ო ბ ი ლ ი ს“, დავით კურაპალატის სამფლობელოს. მართლაც, როგორც ცნობილია, არა მარტო ბაგრატ III და მამამისი გურგენი ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ დავით კურაპალატის მემკვიდრეობას, არამედ ამ ნიადაგზე გიორგი I სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს უმართავს ბიზანტიის იმპერიას. დავა დავით კურაპალატის სამფლობელოსათვის გიორგი I-ის შემდეგაც გრძელდებოდა, სანამ ბიზანტიის იმპერიამ საბოლოოდ არ ამოიკვეთა ფეხი იქიდან.

რაკი ბაგრატ III-ისა და მის ნაშიერთა პრეტენზია დავით კურაპალატის მემკვიდრეობაზე აშკარაა, შესაძლოა, ამის საფუძველზე მათ იმ სომეხ ხელისუფალთა დაქვემდებარებაც განეზრახათ, რომელნიც დავით კურაპალატის უზენაესობას აღიარებდნენ. ეს კი ბიზანტიის იმპერიისათვის მიუღებელი იქნებოდა და იქნებ კეისარმა ამის გამოც გადაწყვიტა დაესწრო ბაგრატ III-თვის როგორც დავით კურაპალატის სამფლობელოს შეერთება, ასევე სომეხთა მეფე-მთავრების თავის გავლენის ქვეშ მოქცევა, სომხეთში გაბატონება.

ჩვენი აზრით, ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებას სომხური სამეფო-სამთავროების, კერძოდ, ანის-შირაკისა და ვანანდის (ყარსის) სამეფოების დაქვემდებარების საბაბად უნდა გამოეყენებინა ის გარემოებაც, რომ მათი მეფეები დავით კურაპალატის უზენაესობას აღიარებდნენ. კეისარი ხომ დავით კურაპალატის ერთადერთ მემკვიდრედ თავის თავს მიიჩნევდა და დავითის ვასალების ბიზანტიისადმი დაქვემდებარებაზეც განაცხადებდა პრეტენზიას. ვფიქრობთ, ესეც უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი მაინც იმისა, რომ ანის-შირაკის მეფე გაგიკ I 1000 თუ 1001 წ. არ ეახლა დავით კურაპალატის მოკვლასთან დაკავშირებით კავკასიაში მოსულ ბასილ II-ს, მიუხედავად ამ უკანასკნელის ბრძანებისა. გაგიკმა თურმე „დამამცირებლად ჩათვალა მასთან მისვლა“[7].

საყურადღებოა, რომ ბასილ II-ს ეახლნენ ქართველი მეფეები, ბაგრატ III და მამამისი გურგენი, ხოლო ანის-შირაკის მეფე გაგიკ I-მა უარი განაცხადა წარსდგომოდა კეისარს. რით უნდა აიხსნას ეს? როგორც ეტყობა, ბაგრატ III და გურგენი იმედოვნებდნენ, რომ კეისარი გარკვეულ დათმობაზე წავიდოდა მათ მიმართ. თუ ეს ასე არ მოხდებოდა, ბაგრატსა და გურგენს გადაწყვეტილი უნდა ჰქო-

---

[7] Ստեփանոսի Տարոնեցւոյ... გვ. 277—276; ე. ცაგარეიშვილი. წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X—XI საუკუნეებში, მრავალთავი, II, თბ., 1973, გვ. 177.

ნოდათ შეეტიათ ბიზანტიის იმპერიისათვის და ამ გზით აეძულებინათ ბასილ II, ზოგი რამ მაინც დაეთმო მათთვის დავით კურაპალატის სამფლობელოდან. მართლაც, მალე „მეფეთა მეფე" გურგენი ასეც იქცევა და ერთგვარ წარმატებასაც აღწევს[8]. უეჭველია, ამ დროს გურგენს თავისი ვაჟი, იმჟამად უკვე სახელოვანი მეფე ბაგრატ III უმაგრებდა ზურგს. ბასილ II საქართველოს გამაერთიანებელთან, ბაგრატ III-თან შეტაკებას რომ ერიდება და მშვიდობიან მორიგებას ამჯობინებს, ეტყობა, სწორედ ამან ათქმევინა თანადროულ ქართველ მემატიანეს, სუმბატ დავითის ძეს, რომ ბიზანტიის მრისხანე იმპერატორს ბასილ II ბულგართმმუსვრელს ბაგრატ III-ის „შიში აქუნდა"[9].

როგორც ვხედავთ, საქართველო-ბიზანტიის ხელისუფალთა შორის არსებული მწვავე დაპირისპირების მიუხედავად, ბაგრატ III და მამამისი, „მეფეთა მეფე" გურგენი, გარკვეული მოსაზრებით, მაინც ეახლნენ კავკასიაში მოსულ ბასილ II-ს 1000 თუ 1001 წ. რაც შეეხება ანის-შირაკის მეფე გაგიკ I-ს, იგი არ წარუდგა კეისარს იმიტომ. რომ შიშობდა, ბასილ II მისგან სრულ მორჩილებას მოითხოვდა. კეისარი ისარგებლებდა იმ გარემოებით, რომ გაგიკ I დავით კურაპალატის ვასალს წარმოადგენდა და ამის საფუძველზეც მოსთხოვდა ანის-შირაკის მეფეს ბიზანტიისადმი დამორჩილებას. სხვა რა არსებითი ხასიათის მიზეზით შეიძლებოდა უარი განეცხადებინა შედარებით სუსტ ხელისუფალს კავკასიაში მოსულ მრისხანე იმპერატორის წინაშე წარდგომაზე? ამით ხომ ანის-შირაკის მეფის ურთიერთობა ბიზანტიასთან უარესდებოდა და იმპერია ხელსაყრელ შემთხვევაში ამ გარემოებასაც გამოიყენებდა სომეხთა მეფის წინააღმდეგ? გაგიკ I-ს არც იმის შესაძლებლობა ჰქონდა, რომ ბაგრატ III-ისა და გურგენის მსგავსად. საჭიროების შემთხვევაში ბიზანტიის იმპერიისათვის შეეტია, კეისარი „შეეშინებინა". უბრალოდ, ისარგებლა რა იმით, რომ ბასილ II-ს იმხანად ანის-შირაკის სამეფოში საგანგებო ლაშქრობის მოსაწყობად არ ეცალა ბულგარეთთან ომის მიზეზით, გაგიკ I-მა თავისი სამეფოს ბედისთვის უმჯობესად მიიჩნია, არ წარმდგარიყო კეისრის წინაშე იმ იმედით, რომ ვინ იცის, უახლოეს ხანაში იმპერიის საქმეები როგორ წარიმართებოდა, იქნებ ბიზანტიას ვეღარ მოეხერხებინა ანის-შირაკის სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა.

საზოგადოდ, ცნობილია, რომ ბიზანტიის ხელისუფალნი ამა თუ იმ ქვეყნის, მეტადრე ქრისტიანული სამეფო-სამთავროების დასაპყრობად ყოველთვის საგულდაგულოდ ეძებდნენ სათანადო საბაბს.

---

[8] Մատենագրութիւն... გვ. 278—279; არისტაკეს ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 50; ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები... გვ. 178.

[9] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382.

ამგვარი დამოკიდებულება შეიმჩნევა ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართაც. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ბიზანტიის იმპერია აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველად აცხადებდა თავს. X—XI სს-ში ბიზანტია მოიცვა ურჯულოთა წინააღმდეგ ჯვაროსნული მოძრაობის იდეამ. ბიზანტიის საერო თუ სასულიერო ხელისუფლებას აქეთკენ უბიძგებდა მაჰმადიანურ სახელმწიფოებში არსებული ვითარებაც. ასე მაგ., X საუკუნის 70-იან წლებში ბაღდადელები სთხოვდნენ თავიანთ თავკაცებს, რომ მოეწყოთ საღვთო ომი ბიზანტიის წინააღმდეგ. მსგავსი რამ სხვა დროსაც არაერთხელ მომხდარა. ამის საპასუხოდ ბიზანტიაში ჯვაროსნული მოძრაობის იდეა თანდათან კიდევ უფრო ცხოველმყოფელი ხდებოდა[10].

მართალია, ბიზანტიაში მონოფიზიტ სომხებს მწვალებლებად მიიჩნევდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბიზანტიის ხელისუფლება იჩემებდა, რომ ქრისტიან სომეხთა მფარველობა მის მოვალეობას შეადგენდა[11]. რაკი, ამავე დროს, ბიზანტიის იმპერატორები მიზნად ისახავდნენ მთელი სომხეთის მიტაცებას, გასაგებია, ისინი თავიანთი ნამდვილი ზრახვების შენიღბვას, დაპყრობის გასამართლებელი მიზეზის პოვნას ცდილობდნენ. სინამდვილეში, ბიზანტიის მიერ ქრისტიანული სომხეთის „მფარველობა", ცხადია, მოგონილი, შეთითხნილი ამბავი, ბედის დაცინვა იყო. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ეგვიპტის მაჰმადიანი მმართველისადმი, იხშიდისადმი გაგზავნილ წერილში კეისარი რომანოს I (919—944) გამოხატავს მზადყოფნას, აიძულოს ვასპურაკანის სომხური სამეფოს ხელმწიფე გაგიკი და აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანი ხელისუფალნი, დაემორჩილონ იხშიდს, ოღონდაც კი ამ უკანასკნელმა „მეგობრობის" ხელი გაუწოდოს კეისარს[12]. მაგრამ ბიზანტიის დიპლომატია ხომ ცნობილი იყო ვერაგობით, ცბიერებით. ამის გამო ბიზანტიის იმპერიაში ამა თუ იმ სომხური სამეფოს ან სამთავროს ანექსიის იურიდიული საფუძვლის გამოძებნა იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რომ იმპერია მზად იყო ეცადა წლობით, სანამ დაპყრობისთვის სათანადო ლეგიტიმური პირობები მომზადდებოდა[13].

---

[10] იხ. Г. Гельцер. Очерк политичсекой истории Византии. წიგნში: Очерки по истории Византии, 1912, გვ. 93; Ш. Диль, История Византийской империи, М., 1948, გვ. 77; The Cambridge Medieval History, IV (The Eastern Roman Empire), Cambridge, 1936, გვ. 147—148.

[11] იხ. Վ. Վարդանյան, Վասպուրականի Արծրունյանց թագավորությունը, გვ. 221.

[12] იქვე, გვ. 106.

[13] იხ. Կ. Ювбашян. „Повествование" Аристакэса Ластивертци... გვ. 20—21.

ბიზანტიის იმპერიაში სომხეთის დასაპყრობად შესაფერი მიზეზების, საბაბის ძებნას რომ საგანგებო ყურადღებას უთმობდნენ, ამის დასტურად ორიოდე ცნობასაც მოვიტანთ. კედრენე-სკილიცას თანახმად, 1044 თუ 1045 წ. „დაიწყო ომი ანისის წინააღმდეგ; მაგრამ საჭიროა ამთავითვე ითქვას, თუ როგორ და რა საბაბით აუტეხა ომი კონსტანტინე მეფემ ანისის ადგილისმთავარს (ანის-შირაკის მეფეს — ა. ა.), რომელიც წყნარად იყო და არაფერს ცუდს არ სჩადიოდა. როდესაც აფწაზთა მთავარმა გიორგიმ იარაღი ააღლარუნა რომაელთა წინააღმდეგ, მისი მოკავშირე იყო იოვანესიკეც. რომელიც ფლობდა ანისის ქვეყანას. ხოლო როდესაც.... ბასილი მეფე იბერიაში გაემგზავრა და ბრძოლა გაუმართა გიორგის, აოტა იგი და გააცამტვერა, იოვანესიკეს შეეშინდა, ვაი თუ მეფემ განრისხებულმა, რომ გიორგის მოკავშირე ვიყავი, საშინელი რამ არ დამმართოსო, ქალაქის გასაღებებით ეახლა მეფეს, დანებდა მას და გასაღებებიც გადასცა...

მოხდა ასე.

გარდაიცვალა მეფე ბასილი; დიდი ხნის შემდეგ გარდაიცვალა იოვანესიკეც. ეს რომ გარდაიცვალა, მისმა ვაჟმა (სინამდვილეში ძმისწულმა — ა. ა.) გაგიკმა ჩაიბარა მმართველობა, რომაელებთან მშვიდობას და კავშირს იცავდა; მაგრამ მამის სამფლობელო რომ მიიღო, არ ისურვა მისი გადაცემა რომაელებისათვის, თანახმად მამის მიერ გაცემული საბუთისა.

...ამიტომ მეფემ გადაწყვიტა ომი"[14].

ვინაიდან ბიზანტიის კეისარი ბასილ II ანის-შირაკის სამეფოს დაპყრობის საბაბად იყენებს იმას, რომ იოვანესიკე, ე. ი. ანის-შირაკის მეფე ჰოვჰანეს-სმბატი საქართველოს მეფის, გიორგი I-ის მოკავშირე იყო, ასევე, იგივე ბასილ II ცოტათი უფრო ადრე. 1000 თუ 1001 წ. შეეცდებოდა ანის-შირაკის სამეფოს დაპყრობის საბაბად გამოეყენებინა გაგიკ I-ის ვასალური დამოკიდებულება დავით კურაპალატისადმი, რამდენადაც დავითის მთელ მემკვიდრეობაზე კეისარმა განაცხადა პრეტენზია.

სომხეთის ჯერ მთავართა მთავარმა (იშხანაც იშხანმა), ხოლო 884/885 წლიდან მეფემ, აშოტ I-მა (+890 წ.), რომელმაც 860-იან წლებში იცნო ამირა აბუ-ლ-ვარდის, კაისიკთა საგვარეულოს წარმომადგენლის მემკვიდრეობითი ხელისუფლება მანასკერტზე, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, აპელბარტს (იგივე აბუ-ლ-ვარდს) გადასცა ქალაქები: ხლათი, არჭეში და ბერკრი. პორფიროგენეტი შეგნებულად ამახინჯებს ზოგიერთ ფაქტს, გვიანდელი ამბავი ადრე გადა-

---

14 გეორგიკა. 5, გვ. 59—60.

აქვს. ასე მაგ.. ეპვმიუტანელი მონაცემებით დადასტურებულია, რომ ქალაქი ბერკრი აშოტ I-ისა და მისი მემკვიდრის. სმბატ I-ის დროსაც (890—914) ჯერ კიდევ ეკუთვნოდა უთმანიკთა და არა კაისიკთა მაჰმადიანურ საგვარეულოს. პორფიროგენეტის ტენდენციურობა იმის შედეგია, რომ X ს-ში კაისიკები ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცნენ. სომხეთის რაც უფრო მეტი ქალაქი ექნებოდა აშოტ I-ს თავისი ნებით კაისიკებისათვის დათმობილი, ეს უფრო მეტად აძლევდა ხელს ბიზანტიის დიპლომატიას, რათა სომხეთში გაბატონებისათვის ბრძოლის ჟამს ამ ქალაქებზე ბიზანტიის იმპერიას სომეხი ხელისუფალნი არ შეცილებოდნენ[15].

კონსტანტინე პორფიროგენეტისვე ცნობით, დაწყებული „აშოტ ერისთავთ-ერისთავით[16], სუმბატის მამით, ხოლო აშოტ მეორისა და აპასაკი[17] მაგისტროსის პაპით, ვიდრე აშოტ მეორე ერისთავთ-ერისთავის ცხოვრებამდე ეს სამი ციხე ერისთავთ-ერისთავის ძალაუფლებაში იყო და ერისთავთ-ერისთავი მათგან ხარკს იღებდა. მაგრამ მანძიკიერტის ციხეც, აპაჰუნის, ჰარქის და კორის ქვეყანასთან ერთად ამავე ერისთავთ-ერისთავის ძალაუფლებასა და მბრძანებლობაში იყო, ვიდრე იმ ხანამდე, როდესაც მანძიკიერტის ამირა აპოსებატა და მისი ორი ძმა, აპოლესფუეტი და აპოსელმი, მეფეს (ე. ი. კეისარს — ა. ა.) დაემორჩილნენ და ხარკსაც აძლევდნენ მათი ციხეებისა და სოფლებისათვის. რადგან ერისთავთ-ერისთავი (სომეხთა მეფე — ა. ა.) მორჩილია რომაელთა მეფისა, როგორც მის მიერ აღზევებული... ცხადია, მის მბრძანებლობაში მყოფი ციხეები, ქალაქები და სოფლებიც რომაელთა მეფისაა"[18].

მაშასადამე, იმის საფუძველზე, რომ კეისარი პრეტენზიას აცხადებს სომეხთა მეფის დაქვემდებარებაზე (რასაც იმ ხანებში ბიზანტიის იმპერიამ ვერც მიაღწია, უფრო მეტიც, მალე იგივე აშოტ II ბიზანტიას დაუპირისპირდა, დვინის ამირასთან ერთად ებრძოდა ბიზანტიის ჯარს), თავის ვასალებად მიიჩნევს სომეხთა მეფის ვასალებს. დასავლეთ ევროპის კლასიკური ფეოდალიზმის ქვეყნებში გავრცელებული პრინციპი — ჩემი ვასალის ვასალი არაა ჩემი ვასალი — ბიზანტიის იმპერიაში მიღებული, პოპულარული არ ყოფილა. ასეთ ვითარებაში შეიძლებოდა ბიზანტიის ძლევამოსილ კეისარს, ბასილ II-

---

15 იხ. Ա. Տեր-Ղևոնդյան, Արաբական ամիրայությունները... გვ. 96—98.

16 ნაგულისხმევია სომხეთის ზემოხსენებული მთავარი მთავარი (იშხანაც იშხანი), შემდგომში მეფე, აშოტ I; ს. ყაუხჩიშვილი ერისთავთერისთავად თარგმნის ἄρχων τῶν ἀρχόντων-ს.

17 უნდა ვიგულისხმოთ სომეხთა ბაგრატუნი მეფე აბასი (929—953).

18 გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 249—250.

საც დავით კურაპალატის ვასალის, ანის-შირაკის მეფის, გაგიკ I-ის დაქვემდებარება გადაეწყვიტა იმ საბაბით, რომ კეისარმა გაგიკის სიუზერენი, დავით კურაპალატი აიძულა, ბიზანტიის იმპერატორი გამოეცხადებინა თავის ერთადერთ მემკვიდრედ. ბასილ II-ს ანის-შირაკის სამეფოს დაპყრობაც განზრახული რომ ჰქონდა 1000 თუ 1001 წლისათვის (დავით კურაპალატის მკვლელობის დროისათვის) და სათანადო საბაბიც გამოძებნილი, სწორედ ამიტომ არ გამოცხადდა მრისხანე კეისრის წინაშე გაგიკ I.

ჩვენი აზრით, 988 წ. დავით კურაპალატისა და ბაგრატ III-ის შეტაკების[19] ერთ-ერთი მიზეზიც ის უნდა იყოს, რომ ბიზანტიის იმპერიისაგან დავით კურაპალატის (ვითარცა კეისრის საწინააღმდეგო აჯანყების მონაწილის) სასტიკად დასჯის მოლოდინში ბაგრატ III-ს (რომელსაც, უეჭველია, მანამდეც ექნებოდა განზრახული დავით კურაპალატისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვება) უნდა ესარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით და უარი უნდა ეთქვა დავით კურაპალატის უზენაესობის ცნობაზე, რამეთუ ამის საფუძველზე ბიზანტიის იმპერიას შეიძლებოდა პრეტენზია განეცხადებინა ბაგრატ III-ის მთელი სამფლობელოს დაქვემდებარებაზეც. ბაგრატ III დავით კურაპალატის პოლიტიკურ უზენაესობას რომ აღიარებდა, ეს სრულიად აშკარაა. ბაგრატი ხომ დავით კურაპალატმა დასვა ჯერ ქართლის მმართველად, ხოლო მალე ლიხსიქეთის ტახტზეც აიყვანა. „მატიანე ქართლისაჲს" თანახმად, უშვილო დავით კურაპალატს ბაგრატი „გაეზარდა შვილად თჳსად". დავითს ჯერ კიდევ მცირეწლოვან ბაგრატზე. თითქოს, უთქვამს: „ესე არს... შვილი და გაზრდილი ჩემი"[20]. უეჭველია, რომ დავით კურაპალატი თავისი „გაზრდილისაგან", ბაგრატ III-საგან მორჩილებას მოითხოვს. რატი ბაღვაშის წინააღმდეგ ლაშქრობისთვისაც კი ბაგრატ III-ს, დავით კურაპალატის აზრით, მისგან უნდა მიეღო ნებართვა, რადგან იმდროინდელი შეხედულებით „შვილი" უნდა მორჩილებდეს „მამაუფალს"[21]. „ძამაშვილობისა" და ვასალური დამოკიდებულების ცნებები ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმჟამინდელ სომხეთშიც[22]. რაც შეეხება იმ ეპოქის ბიზანტიის იმპერატორებს, ისინიც თავიანთ ვასალებს „შვილს" ეძახდნენ, ხოლო თვითონ ვასალების ნიმართ მამას წარმოადგენდნენ. ვასა-

---

19 იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 276-277; Ստեփանոսի Տարոնեցւոյ ... 253.

20 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 272, 274, 275.

21 საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 120.

22 იხ. Ստեփանոսի Տարոնեցւոյ... გვ. 279—280.

ლისათვის უფრო საპატიო იყო, თუ კეისარი უმცროს „ძმად“ მიიჩნევდა მას[23].

შესაძლოა, დავით კურაპალატიც ბაგრატ III-ს თავის „გაზრდილსა“ და „შვილს“ რომ უწოდებს, აქ მინიშნება იყოს იმაზეც, რომ ბაგრატი, იმდროინდელი შეხედულების მიხედვით, დავითის ვასალად ითვლებოდა. საზოგადოდ, საქართველოში იმ ხანებში ამგვარი წარმოდგენები რომ არსებობდა, ეს კარგად ჩანს ჯუანშერის ერთი ცნობიდანაც. „აფხაზთა“ ერისთავი ლეონი ასე მიმართავს თავის „უფალს“, არჩილ მეფეს: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკჳდრობით კეთილად სიმჯნითა თქუენითა. ხოლო ამიერთიგან არს ესე მამულობით სამკჳდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი-ესე დღეს ღირს ყოენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს“[24].

მ. ლორთქიფანიძის აზრით, მაშინ, როდესაც დავით კურაპალატის ჯარი ბასილ II-ის წინააღმდეგ აჯანყებული დიდმოხელის, ბარდა ფოკას მხარდამხარ იბრძოდა კეისრის ტახტიდან ჩამოსაგდებად, შესაძლოა ბაგრატ III-ს ბიზანტიის საიმპერიო კარის წინადადებით გაელაშქრა დავით კურაპალატის წინააღმდეგ. ეს ლაშქრობა ბიზანტიის იმპერიის შთაგონებით უნდა იყოსო მოწყობილი[25]. ვფიქრობთ, ამ მოსაზრების გაზიარებას აძნელებს შემდეგი გარემოება: როგორც ზემოთ აღინიშნა, 988 წ. შეტაკების დროს ბაგრატ III-ის წინააღმდეგ დავით კურაპალატმა თავისი არაერთი ვასალი თუ მოკავშირე შემოიკრიბა. მათ შორის იყვნენ, კერძოდ, ანის-შირაკის მეფე სმბატ II, ვანანდის (ყარსის) მეფე აბასი და „ქართველთა მეფე“ ბაგრატ II რეგვენი. უკეთუ ბიზანტიის ხელისუფლებამ მოახერხა, რომ დავით კურაპალატს თავისი „გაზრდილი“, ბაგრატ III აუმხედრა, ნუთუ იმასაც ვეღარ შეძლებდა, დავითისათვის ზოგიერთი მისი ვასალი ან მოკავშირეც ჩამოე-

---

[23] იხ. მაგ., И. П. Медведев. Империя и суверенитет в средние века (на примере истории Византии и некоторых сопредельных государств), წიგნში: Проблемы истории международных отношений. Сборник статей памяти академика Е. В. Тарле, Л., 1972, გვ. 416.

[24] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 242; ხაზგასმა ჩვენია.

[25] М. Д. Лордкипанидзе, Из истории Грузино-Византийских взаимоотношений на грани X — XI вв., საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972, გვ. 36—37; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 157; შდრ. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება... გვ. 20—23.

შორებინა? ანდა ეს უკანასკნელნი, საკმაოდ სუსტი ხელისუფალნი, რაღას ფიქრობდნენ? თუ ბაგრატ III ბიზანტიის კეისრის შეგულიანებით, წაქეზებით ებრძვის დავით კურაპალატს, ამ შემთხვევაში დავითის ვასალები, მოკავშირეები ხომ ბიზანტიის იმპერიას უპირისპირდებიან? თავს იდებდნენ კი ისინი ამგვარი პოზიციის დაკავებას კეისრისაგან დავით კურაპალატის სასტიკად დასჯის მოლოდინში? ალბათ, არა! ზოგიერთი მათგანი მაინც ვერ გაბედავდა დაპირისპირებოდა ბიზანტიის იმპერიას დავით კურაპალატსა და ბაგრატ III-ს შორის მომხდარი უთანხმოებიდან რაღაცის მიღების, გამორჩენის სათუო შანსების იმედით. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ცნობილია, რომ დავით კურაპალატის ერთ-ერთი ვასალი, ვანანდის (ყარსის) მომცრო, სუსტი სამეფოს მეფე აბასი (984—1029), რომელიც მიეშველა დავითს 988 წ. ბაგრატ III-ის წინააღმდეგ, 1000 თუ 1001 წ. ეახლა კავკასიაში მოსულ ბასილ II ბულგართმმუსვრელს[26]. არსაიდან არ ჩანს, რომ იგი იმპერიისადმი დაპირისპირებას აპირებდა. ამდენად, თუ ბაგრატ III ბიზანტიის კეისრის წაქეზებით ებრძვის დავით კურაპალატს, იგივე კეისარი დავით კურაპალატისაგან ვანანდის მეფის (ასევე სხვებისაც, კერძოდ, ვასპურაკანელი ხელისუფლის) ჩამოშორებასაც ეცდებოდა და შეძლებდა კიდეც ამას.

გარდა იმისა, რომ ბაგრატ III-ს უნდა ეცადა, ესარგებლა მარჯვე მომენტით (ბიზანტიის კეისართან დავით კურაპალატის ურთიერთობის მეტისმეტად გართულებით) და დავით კურაპალატის უზენაესობის ცნობაზე უარის თქმა უნდა გადაეწყვიტა, შესაძლოა, კეისრისაგან დავითის სასტიკად დასჯის მოლოდინში ბაგრატ III-ს ისიც განეზრახა, რომ დაესწრო ბიზანტიის იმპერიისათვის და დავით კურაპალატის სამფლობელოც, მისი ერთი ნაწილი მაინც დაეკავებინა. ბაგრატ III-სა და მამამისს, გურგენს მოუწადინებიათ, კერძოდ, დავით კურაპალატის ვასალის, ბაგრატის პაპის, ხოლო გურგენის მამის, იმქამად უკვე ღრმად მოხუცი „ქართველთა მეფის", რეგვენად წოდებული ბაგრატ II-ის სამფლობელოს დასაკუთრება[27]. მაგრამ დავით კურაპალატმა, რომელიც, ეტყობა, გართულებული მდგომარეობიდან თავის დაღწევის იმედს არ კარგავდა, შეძლო დიდძალი ჯარი გამოეყვანა ბაგრატ III-ის წინააღმდეგ. ასოღიკის მონაცემების მიხედვით ხომ დავით კურაპალატის უზენაესობას ყველა იმდროინდელი ქართველ-სომეხ-ალვა-

---

[26] Ստեփանոսի Տարոնեցւոյ... გვ. 277—278; ე. ცაგარეიშვილი. სომხური წყაროები... გვ. 177.

[27] Ստեփանոսի Տարոնեցւոյ... გვ. 252; იხ. აგრეთვე ქართლის ცხოვრება, I, 276—277.

ნელი ხელისუფალი აღიარებდა და დავითი ვერც თავისი „გაზრდილის“, ბაგრატ III-ის ურჩობას, დაპირისპირებას მოითმენდა.

საბედნიეროდ, ძმათა შორის სისხლისმღვრელი ომი არ მომხდარა, როგორც ეს სხვა, მსგავს შემთხვევებში ხშირად ხდებოდა ხოლმე. დავით კურაპალატი და ბაგრატ III ისეთი ბუმბერაზი მოღვაწეები არიან ჩვენი წარსულისა, რომ ისინი ძმათამკვლელი ომის გაჩაღებას არ დაუშვებდნენ. დავითმაც და ბაგრატმაც მთელი თავიანთი ძალ-ღონე, ნიჭი და უნარი ხომ საქართველოს გაძლიერების, მისი პოლიტიკური გაერთიანების დიად საქმეს შეალიეს და რაღა თქმა უნდა, საქართველოში პირველობის მოპოვებისათვის ისინი მთელ საქართველოს არ ამოწყვეტდნენ. როცა ვითარება ერთობ დაიძაბა და ამის საშიშროება შეიქმნა, ბაგრატმაც და დავითმაც ქვეყნის, სამშობლოს ინტერესები პირადულზე მაღლა დააყენეს და ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე შერიგდნენ. აშკარაა, რომ ამ კრიტიკულ მომენტშიც დავით კურაპალატსა და ბაგრატ III-ს გაცილებით უფრო მეტი ჰქონდათ საერთო, ვიდრე დავითსა და იმ მეფე-მთავრებს, რომლებიც მას ბაგრატ III-ის წინააღმდეგ საბრძოლველად მიუვიდნენ. დავით კურაპალატის ვასალებსა თუ მოკავშირეებს, კერძოდ, სომეხ მეფე-მთავრებს აღაშფოთებდათ ბაგრატ III-ის მიერ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, მისი გაძლიერება. ამიტომ ისინი ყველაფერს იღონებდნენ ოღონდაც კი ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ, წაეკიდებინათ დავით კურაპალატი და ბაგრატ III. ნიშანდობლივია, რომ ბაგრატ III-ის მტრებისაგან წაქეზებული, თუმცაღა მოკლე ხანშივე დაშოშმინებული დავით კურაპალატი ასე მიმართავს თავის „გაზრდილს“, ბაგრატს (რომელმაც ძმათაშორის სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით „დაუტევნა სპანი თჳსნი ადგილსა ზედა, და თჳთ მარტო“ წარსდგა დავით კურაპალატის წინაშე. „ითხოვა შენდობა“): „მ ი თ ხ რ ე ს რ ო მ ე ლ ს ი კ უ დ ი ლ ა დ ჩ ე მ დ ა გ ა მ ო ს რ უ ლ ი ყ ა ვ, გარნა აწ ვსცან დასტური, რომელ უბრალო ხარ“[28]. ბაგრატი მთლად „უბრალოც“ არ ყოფილა, როგორც ითქვა, მას განზრახული უნდა ჰქონოდა უარი ეთქვა თავისი „გამზრდელის“ უზენაესობის აღიარებაზე და სამფლობელოებისა თუ გავლენის სფეროებისათვისაც უნდა შეცილებოდა მას ბიზანტიის იმპერიისაგან დავით კურაპალატზე თავდასხმის მოლოდინში, მაგრამ მაბეზღართ კიდევ უფრო მეტად გაურთულებიათ ისედაც გამწვავებული მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლებოდა ძველი საქართველოს ორ დიდ მოამაგეს თუნდაც ერთი ნაბიჯი წასცდენოდათ თავიანთი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების საპირისპიროდ.

---

[28] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 276—277; ხაზგასმა ჩვენია.

როგორც ცნობილია, სუმბატ დავითის ძის მიხედვით, ბაგრატ III მთელი კავკასიის პოლიტიკურ გაერთიანებაზე აცხადებდა პრეტენზიას[29]. შესაძლოა, ქართველი მემატიანე რამდენადმე აზვიადებდეს. მაგრამ ნათელია, რომ საქართველო უკვე იმ ხანებში, მართლაც, ისწრაფვოდა თავის გარშემო მთელი კავკასიის შემოკრებისაკენ. ფაქტია ისიც, რომ ბაგრატ III, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ყველაზე უფრო ძლიერ, ძლევამოსილ ხელისუფალს წარმოადგენდა კავკასიაში[30].

მართალია, ჯერ მთელი საქართველოს, ხოლო შემდეგ მთელი კავკასიის პოლიტიკური გაერთიანების ბაგრატ III-სეული გეგმები ნათლად გამოკვეთილი ჩანს, ისიც აშკარაა, რომ ბაგრატი ვერ ურიგდებოდა სომეხთა მეფეების მფლობელობას ქვემო ქართლში, მაგრამ მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, საოცარი მოვლენა შეიმჩნევა: პრაქტიკულად ბაგრატ III გაცილებით ნაკლებად აქტიურობდა სომხური სამეფო-სამთავროების დაქვემდებარების მიზნით[31], ვიდრე ამ მიმართულებით მოქმედებდნენ დავით კურაპალატი, გიორგი I და ბაგრატ IV. ალბათ, არაა შემთხვევითი, რომ ამ უკანასკნელთა სომხეთის საქმეებში ჩარევის თაობაზე სომხურ წყაროებში (ასოღიკი, არისტაკეს ლასტივერცი, მათეოს ურჰაეცი, ვარდანი) ფრიად საყურადღებო ცნობები მოიპოვება, ხოლო ბაგრატ III-ის მსგავს მოქმედებაზე იგივე სომხურ, საკმაოდ უხვი მასალების შემცველ ძეგლებში სრულებით არაფერია ნათქვამი. ეს გარემოება მკვლევარის ინტერესს აღვივებს იმის გამოც, რომ გიორგი I და ბაგრატ IV არ იყვნენ ბაგრატ III-ვით ძლიერი ხელისუფალნი, ხოლო ძლიერების ზენიტში ყოფნისას ბაგრატ III ძლევამოსილებითა თუ თავისი საბრძანებლის სივრცით სახელგანთქმულ დავით კურაპალატსაც აღემატებოდა. რაკი ეს ასეა და ბაგრატ III-ს განზრახული ჰქონდა მთელი კავკასიის შემოკრებაც საქართველოს ირგვლივ, უფრო მეტად რად არ აქტიურობდა იგი სომხური სამეფოების დასაქვემდებარებლად?

საზოგადოდ, როგორც ცნობილია, ძველი ხანების აღმწერი საისტორიო თხზულებები, მათ შორის, საქართველოს ძველი ისტორიის წყაროები ნაკლულია, ფრაგმენტულია. მაგრამ მკვლევარი ვალდე-

---

29 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382.

30 იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 228—243; C. Toumanoff, The Background to Mantzikert, გვ. 425; R. Grousset, დასახ. ნაშრომი, გვ. 537—538.

31 იხ. ა. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება" და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, გვ. 211—212.

ბულია, შემორჩენილი ფრაგმენტებისა და იმდროინდელი ზოგადი ვითარების გათვალისწინების საფუძველზე შეეცადოს გარკვეული, მეცნიერული სურათის აღდგენას იქაც, სადაც წყაროები დუმს. აქედან გამომდინარე. ვფიქრობთ, ჩვენც მოვალე ვართ, დავსვათ და შეძლებისდაგვარად შევისწავლოთ საკითხი: რა ხდება, რა განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ბაგრატ III პრაქტიკულად გაცილებით ნაკლებად იღვწოდა სომხური სამეფო-სამთავროების დასაქვემდებარებლად, ვიდრე მისი „გამზრდელი" დავით კურაპალატი, მისი ვაჟი, გიორგი I და შვილიშვილი ბაგრატ IV. თუ დავით კურაპალატი ჩაერია ანის-შირაკისა და ვანანდის (ყარსის) მეფეთა შეხლა-შემოხლაში, რის შედეგადაც დაიქვემდებარა ორივე მათგანი, თუ გიორგი I ჩაერია ანის-შირაკის მეფის, ჰოვჰანეს-სმბატისა და მისი ძმის, აშოტის დავაში. რის შემდეგაც დაიმორჩილა ანის-შირაკის სამეფო, თუკი ბაგრატ IV ბიზანტიის იმპერიას დაუპირისპირდა ანის-შირაკის სამეფოს გამო და მცირე ხნით შეძლო კიდეც მისი შემოერთება საქართველოსთან. ასევე კეისრის ხელდებული კვირიკიანების განდევნა სამშვილდიდან, XI ს-ის დასაწყისში ბაგრატ III-საც მიეცა შესაძლებლობა ჩარეულიყო ანის-შირაკის მეფესა და მის ვასალს, ტაშირ-ძორაგეტის მეფეს შორის ატეხილ ბრძოლაში[32], მაგრამ ბაგრატ III-ს ამგვარი ნაბიჯი არ გადაუდგამს.

ჩვენი აზრით, მიზეზი იმისა. სხვა ქართველ ხელმწიფეებთან შედარებით თუ რატომ იკავებს თავს ბაგრატ III სომხეთის საქმეებში ჩარევისაგან, ასეთი უნდა იყოს: დავით კურაპალატის სიცოცხლეში სომეხთა მეფე-მთავრები, კერძოდ, ანის-შირაკისა და ვანანდის მეფეები მის ვასალებს წარმოადგენდნენ და ალბათ, ამის კამოც არ ატარებდა ბაგრატ III აქტიურ პოლიტიკას სომხური სამეფო-სამთავროების მიმართ, რამეთუ დავით კურაპალატის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი დამარცხება ბაგრატმა ვერ შეძლო. უფრო სწორად, ბაგრატ III-ისა და დავით კურაპალატის შეტაკებას ძმათა შორის სისხლისღვრა მოჰყვებოდა, რისი მომხრეც არც ერთი მათგანი არ იყო. ბიზანტიის საიმპერატორო კარის მიერ მოწყობილი დავით კურაპალატის მკვლელობის შემდეგ, როგორც ჩანს, დავითის ვასალ სომეხთა მეფეების დაქვემდებარებაზე პრეტენზია განაცხადა კეისარმა ბასილ II-მ, რომელიც

---

32 სხვათა შორის, ამ დროს საქმე ეხებოდა ქვემო ქართლის ოლქებს, კერძოდ, სამშვილდესა და მის სანახებს, „ქართველთა ველს", რომელნიც ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფოს შემადგენლობაში იყვნენ მოქცეული. ხსენებულ სომეხ ხელისუფალთა შეტაკებას მათი აოხრება მოჰყოლია შედეგად (Սուքիասեանի Տարեմուտ... 279—280).

თავის თავს დავით კურაპალატის ერთადერთ მემკვიდრედ მიიჩნევდა. როგორც უკვე ითქვა, დავით კურაპალატი კი ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ ბასილ II იძულებული გახდა გარკვეულ დათმობაზე წასულიყო ბაგრატ III-ისა და მამამისის, „მეფეთა მეფე" გურგენის მიმართ[33], ვინაიდან „ბერძენთა მეფეს" ბაგრატ III-ის „შიში აქუნდა"[34]. ამასთანავე, ფაქტია ისიც, რომ იმ ხანებში, კეისარ ბასილ II ბულგართმმუსვრელის დროს, ბიზანტიის იმპერიამ არნახულ ძლიერებას მიაღწია, მის წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე ძნელი იყო და სომხური სამეფოსამთავროების საქმეებში ჩარევით ბაგრატ III-ს ბიზანტიასთან ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად არ უნდა გაემწვავებინა. მათი დაქვემდებარება შედარებით ხელსაყრელი დროისათვის უნდა გადაედო. ის „შიშიც", რომლის შესახებ სუმბატ დავითის ძე ლაპარაკობს, ბაგრატ-ბასილის ურთიერთობაში ორმხრივი ჩანს და არა ცალმხრივი. ვფიქრობთ, დასმული საკითხის ამგვარად გადაწყვეტის მართებულობას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ როგორც კი ბაგრატ III-ის მემკვიდრე, გიორგი I საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა და მისი ურთიერთობა კეისართან მეტისმეტად გამწვავდა თავის დროზე დავით კურაპალატის სამფლობელოში შემავალი ზოგიერთი ქართული ოლქის გამო, ფაქტიურად საომარი მდგომარეობაც წარმოიქმნა საქართველო-ბიზანტიას შორის[35], გიორგი I მაშინვე ერევა ანის-შირაკის სამეფოს საქმეებშიც და იმორჩილებს მას[36].

ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ კედრენე-სკილიცას ცნობა, რომლის თანახმად, ანის-შირაკის მეფე ჰოვჰანეს-სმბატმა თავისი სამფლობელო ბიზანტიის იმპერიას „უანდერძა" იმის გამო, რომ ჰოვჰანეს-სმბატი საქართველოს მეფის, გიორგი I-ის მოკავშირე ყოფილა ბიზანტიის წინააღმდეგ ომში 1021 წ. ანის-შირაკის მეფეს, თითქოს, შეშინებია, რომ კეისარი ბასილ II მას სასტიკად დასჯიდა გიორგი I მოკავშირეობისათვის და უმჯობინებია უბრძოლველად დაეთმო ბიზანტიისათვის თავისი სამეფო. რა თქმა უნდა, ჰოვჰანეს-სმბატი გიორგი I-ს რომც არ მიშველებოდა 1021 წ., კეისარი ბასილ II მაინც შეეცდებოდა ანის-შირაკის სომხური სამეფოს დაპყრობას, რადგან ეს საკითხი კარგა ხანია იდგა ბიზანტიის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში.

---

33 იხ. აგრეთვე დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 229—230; К. Юзбашян, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

34 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382.

35 იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 229—230; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 175—177.

36 არისტაკეს ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 44.

ანის-შირაკის მეფის, ჰოვჰანეს-სმბატისაგან თავისი სამფლობელოს ბიზანტიის იმპერიისათვის გადაცემის განსხვავებულ მიზეზს ასახელებს XIII ს-ის სომეხი მემატიანე ვარდანი. ვარდანის თანახმად, ჰოვჰანეს-სმბატს საქართველოს მეფე გიორგი I ავიწროებდა და ამიტომ „უანდერძა“ მან თავისი სამეფო ბიზანტიის კეისარს[37]. აღსანიშნავია, რომ ვარდანი იქვე საწინააღმდეგო ხასიათის ცნობასაც გვაწვდის. ცოტა ადრე იგი გვაუწყებს, რომ როგორც კი შეიტყო ჰოვჰანეს-სმბატმა ბასილ II-ის კავკასიაში მოსვლის ამბავი, შეეშინდა და კეისართან ძღვნით გაგზავნაო სომეხთა კათალიკოს-პატრიარქი პეტროს გეტადარძი. უკეთუ ჰოვჰანეს-სმბატს ბასილ II-ის იმედი ჰქონდა შემავიწროებელი გიორგი I-სგან თავის დასახსნელად, მაშინ კავკასიაში ბასილის მოსვლისას კი არ უნდა შეშინებოდა, არამედ პირიქით, სიხარულით ცას უნდა სწვდოდა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ბასილ II-ს ჯერ კიდევ 1000 თუ 1001 წ. ჰქონდა განზრახული ანის-შირაკის სამეფოს დაპყრობა და როცა იგი კვლავ მოადგა კავკასიას 1021 წ., ჰოვჰანეს-სმბატს მშვენივრად ეცოდინებოდა ბასილ II-ის ზრახვების თაობაზე სომხეთის მიმართ. ამიტომაც „შეეშინდა“ მას და სცადა როგორმე გადაედო ბიზანტიისაგან ანის-შირაკის სამეფოს დაპყრობა თუნდაც სათანადო „ანდერძის“ მეშვეობით. გასათვალისწინებელია, რომ 1021 წლამდე, ბასილ II-ის კავკასიაში მოსვლამდე, კეისარი ჰოვჰანეს-სმბატის წინააღმდეგ მხარს უჭერდა ამ უკანასკნელის ძმას, აშოტს. ამით ბასილი კიდევ უფრო აღრმავებდა ანის-შირაკის სამეფოში ისედაც არსებულ არეულობას და ანის-შირაკის სამეფოს საქმეებშიც ერეოდა[38].

კეისარმა ბასილ II-მ ანის-შირაკის მეფე ჰოვჰანეს-სმბატისათვის ანდერძის ჩამორთმევა იმის თაობაზე, რომ ჰოვჰანეს-სმბატის სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელო ბიზანტიას გადაეცემოდა, სამხედრო ძალის გამოყენების, სისხლისღვრის გარეშე, დიპლომატიური საშუალებებით მოახერხა. უეჭველია, ბიზანტიის დიპლომატია ყოველი ღონით შეეცდებოდა დაერწმუნებინა ჰოვჰანეს-სმბატი, რომ თუ კეისარი არ „უშველიდა“, „დაიფარავდა“ ანის-შირაკის სამეფოს, სულ ერთია, მას საქართველოს მეფე გიორგი I ან მისი მემკვიდრეები დაიპყრობდნენ, როგორც კი საამისოდ ხელსაყრელი დრო დაუდგებოდათ. ამგვარი აზრი ადვილად გავრცელდებოდა „ბიზანტინოფილ“ სომეხთა წრეებშიც. ვფიქრობთ, ვარდანის მოტანილ ცნობაში გამოჟონილია,

---

37 იხ. ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები... გვ. 196.

38 იხ. К. Юзбашян, დასახ. ნაშრომი, გვ. 17—18.

ასახულია ბიზანტიის დიპლომატიის მცდელობა, ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა ქართულ-სომხური სახელმწიფოები, რათა „ამღვრეულ წყალში“ მარჯვედ გამოეყენებინა თავისი საყვარელი პრინციპი — „გათიშე და იბატონე“. როგორც ჩანს, XI ს-ის „ბიზანტინოფილ“ სომეხთა მსგავსად, ვარდანიც უმჯობესად მიიჩნევდა ანის-შირაკის სამეფოს ბიზანტიისთვის გადაცემას, ვიდრე მის შეერთებას საქართველოსთან. ვარდანის აღნიშნული ცნობა „ბიზანტინოფილ“ სომეხთა წრიდან უნდა მომდინარეობდეს.

საქართველო-ბიზანტიის დაპირისპირება სომხეთისათვის, კერძოდ, ანის-შირაკის, ტაშირ-ძორაგეტისა და როგორც ეტყობა, ასევე ვანანდის (ყარსის) სამეფოებისათვის გრძელდებოდა ბაგრატ IV-ის ხანაშიც, ვიდრე თურქ-სელჩუკებმა არ გადათელეს ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი, მცირეაზიული ნაწილი და საქართველო და სომხეთიც სასტიკად არ დაარბიეს. როგორც ზემოთაც ითქვა, XI ს-ის 40-იან წლებში ბაგრატ IV-მ ბიზანტიის იმპერიასთან ჭიდილში შეძლო ანის-შირაკის სამეფოს, კერძოდ, სომეხთა სახელგანთქმული დედაქალაქ ანისის მცირე ხნით დაკავებაც, ხოლო ოციოდე წლის შემდეგ ტაშირ-ძორაგეტის კვირიკიანი (ბაგრატუნი) მეფე, რომელიც იმ დროისათვის ბიზანტიის ვასალს წარმოადგენდა. სასტიკად დაამარცხა ბრძოლაში და სამშვილდიდანაც განდევნა, სამშვილდე საქართველოს დაუბრუნა[39].

როგორც ცნობილია, ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებამ მოახერხა XI ს-ის ქართველ დიდებულთა შორის ყველაზე უფრო ძლიერის, ლიპარიტ ბაღვაშის გადაბირება, მისი დაპირისპირება საქართველოს მეფე ბაგრატ IV-დმი, რის გამოც ბაგრატი მთელი თავისი ძალით ვეღარ უწევდა წინააღმდეგობას ბიზანტიის იმპერიას სომხეთისათვის ბრძოლაში. 1045 წ., მცირე ხნით დაიკავა რა ანისი. ბაგრატ IV სწორედ ლიპარიტ ბაღვაშის მოღალატეობის გამო იძულებული გახდა მალევე დაეცალა სომეხთა დედაქალაქი[40], რომელიც ბიზანტიელებმა დაიპყრეს. 1064 წ. კი ანისიდან ბიზანტიელებსაც ამოაკვეთინეს ფეხი თურქ-სელჩუკებმა.

X—XI სს-ში საქართველოს ბრძოლას სომხეთისათვის, ამ ქვეყნის შემოერთების მიზნით ბიზანტიის იმპერიისადმი დაპირისპირებას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. როგორც საქართველოს, ისე სომხეთის გარ-

---

39 იხ. ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 172—174, 176, 213—215; Ռ. Մարտիրոսյան, Տաշիր-Զորագետ, გვ. 81—97; Г. Мкртумян, დასახ. ნაშრ., გვ. 123—130; თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 222—248.

40 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299—300.

კვეულ წრეებში მომწიფდა აზრი, მომზადდა ნიადაგი საიმისოდ, რომ შომხდარიყო სომხეთის შეერთება საქართველოსთან, რამდენადაც სომხეთს მხოლოდ საქართველოსთან ერთად შეეძლო გამკლავებოდა უცხოელ დამპყრობლებს, მრავალრიცხოვან მტრებს. მართლაც, XII ს-ის პირველ მეოთხედში კავკასიის დიდმა გამაერთიანებელმა, დავით აღმაშენებელმა წარმატებით გადაჭრა მაჰმადიანთაგან, დუშმანისაგან შევიწროებულ სომეხთა დედაქალაქ ანისისა და სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილის განთავისუფლების, მისი საქართველოსთან გაერთიანების ამოცანა.

ჩვენი აზრით, საქართველო-ბიზანტიის თუმცა არა აშკარა, მაგრამ ფარული მეტოქეობა სომხეთისათვის გრძელდებოდა XII ს-შიც, როცა ბიზანტიის იმპერია, თურქ-სელჩუკთაგან თავს დატეხილი საშინელებების შემდეგ. აღარ წარმოადგენდა ისეთ ძლევამოსილ სახელმწიფოს, როგორიც იყო იგი X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის პირველ ნახევარში. მაგრამ ბიზანტიის იმპერიისათვის დამახასიათებელია ძველი პრეტენზიების შენარჩუნება ყოველგვარ ვითარებაში, პრეტენზიებისა, რომელნიც მსოფლიო ბატონობისაკენ იყო მიმართული. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა XII ს-ში მწვავე ჩანს. ამისი ერთ-ერთი მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ საქართველომ XII ს-ში სომხეთი შეიერთა, რაც ბიზანტიის კეისართათვის არამც და არამც მისაღები არ იქნებოდა.

ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებამ და საქართველოში მისმა აგენტმა, ლიპარიტ ბაღვაშმა ბოლოს და ბოლოს იძულებული გახადეს საქართველოს მეფე ბაგრატ IV, რომ იგი XI ს-ის 50-იან წლებში კონსტანტინოპოლს გამგზავრებულიყო, სადაც სამი წელიწადი საპატიო ტყვეობაში იმყოფებოდა[41]. როგორც ზემოთ აღინიშნა, დაახლ. იმავე დროს ანტიოქიის ბერძნული საპატრიარქო შეეცადა იერარქიულად დაექვემდებარებინა ქართული ეკლესია, გაეუქმებინა მისი ავტოკეფალია. გავითვალისწინებთ რა, რომ ბიზანტიის იმპერატორები, საზოგადოდ, აქტიურად ერეოდნენ ბიზანტიის ეკლესიის საქმეებში[42], საფიქრებელია, ანტიოქიის საპარტიარქო ქართულ ეკლესიას ბიზანტიის საერო ხელისუფალთა მხარდაჭერით დაესხა თავს. ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლს საპატიო ტყვეობაში ყოფნა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე შეტევა, ეს ორი თანადროული მოვლენა ერთმანეთს რომ უნდა უკავშირდებოდეს და საქართველოში სახელმწიფოს მოსპობისა თუ დასუსტებისაკენ რომ უნდა იყოს მიმართული, ამას

---

41 იხ. ვ. ბერძნიშვილი, „მატიანე ქართლისაჲ"-ის ერთი ადგილის დაზუსტებისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, V, თბ., 1978, აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 188—189.

42 იხ. Ш. Дильь. Основные проблемы Византийской истории. გვ. 35—36.

ვვაფიქრებინებს იმავე ხანებში ბიზანტიის იმპერიის დამოკიდებულება სომხეთის, აგრეთვე ბულგარეთის მიმართ. როგორც უკვე ითქვა, 1045 წ. ბიზანტიის ხელისუფლებამ მოახერხა კონსტანტინოპოლში გაეტყუებინა სომხეთის უმთავრესი სამეფოს, ანის-შირაკის ახალგაზრდა მეფე გაგიკ II, რომელსაც სამშობლოში დაბრუნება აღარ ეწერა. ანის-შირაკის სამეფო ბიზანტიამ დაიპყრო. იმავე წლებში ბიზანტიაში გაიწვიეს სომეხთა კათალიკოს-პატრიარქი პეტროს გეტადარძი, რომლის თავის აგენტად ქცევას მანამდე დიდი ამბით ცდილობდნენ ბიზანტიელები და არც მას მისცეს უფლება სომხეთში დაბრუნებისა. ამიერიდან, საუკუნეების მანძილზე, სომხური საპატრიარქო სომხეთში აღარ არსებობდა. ბულგარეთშიც. მოსპო რა ამ ქვეყანაში სამეფო ხელისუფლება, ბასილ II ბულგართმმუსვრელმა გააუქმა ბულგარეთის საპატრიარქოც[43]. ისიც უნდა ითქვას, რომ ბულგარეთის ეკლესია იმ დროისათვის ჯერ კიდევ „ახალნერგ" ეკლესიად ითვლებოდა და ბიზანტიისთვის ბულგარეთის საპატრიარქოს გაუქმება გაცილებით უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო, ვიდრე დიდი ტრადიციების მქონე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობა.

სანამ ბაგრატ IV იძულებული გახდებოდა კონსტანტინოპოლს წასულიყო საკმაოდ დიდი ხნით და სანამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე იერიშს მოიტანდნენ ბიზანტიელები, მათ კავკასიაში ოთხი სამეფო-სამთავროს დაპყრობა მოასწრეს: 966 წ. დაიპყრეს ტაოონის სომხური, ბაგრატუნთა სამთავრო, 1000 ან 1001 წ. ტაოს სამთავრო თუ სამეფო — დავით დიდი კურაპალატის სამფლობელო. 1021 წ. ვასპურაკანის სომხური სამეფო, 1045 წ. ანის-შირაკის, სომხეთის უმთავრესი სამეფო. ასეთ ვითარებაში, ერთი შეხედვით თითქოს აშკარაა, რომ XI ს-ის შუა ხანებში ბიზანტიის იმპერია საქართველოს სამეფოს დაპყრობასაც აპირებდა და კონსტანტინოპოლში ბაგრატ IV-ის სამწლიანი საპატიო ტყვეობა თუ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე შეტევა აქეთკენ მიმართულ ცდებს წარმოადგენდნენ. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „კ ე ი ს ა რ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ც ი მ ა ს უ მ ზ ა დ ე ბ დ ა, რ ა ც ს ო მ ხ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო ს შ ე ე ბ ო ბ ვ ი ა". ნ. ბერძენიშვილი იქვე აღნიშნავს, თუ რა ღონეში ჩააგდო ბიზანტიის იმპერიამ სომხეთი: „იმ ხანებში ბიზანტიელ აგრესორებს საქართველოს შეზობელ სომხეთში წარმატება ხვდათ. სომეხი პატრიოტების მრავალწლიანი ბრძოლა დიდაზნაურთა მოღალატეობის შედეგად მარ-

---

[43] იხ. იქვე, გვ. 59. История Византии, т. 2, М., 1967, გვ. 223—224.

ცხით დამთავრდა: 1045 წელს ბიზანტიელებმა ანისის სომხური სამეფო გააუქმეს და ქვეყანა ბიზანტიას შეუერთეს"[44].

ნ. ბერძენიშვილის ამ თვალსაზრისს ძირითადად იზიარებს მ. ლორთქიფანიძეც: „თუ გადავხედავთ ბიზანტიის კურსს სომხეთ-საქართველოს მიმართ, ჩანს, რომ მას ნელ-ნელა ყველა სომხურ-ქართული ქვეყნის თავის უშუალო ქვეშევრდომად გადაქცევა სურდა... ბიზანტიის იმპერია ერთნაირ პოლიტიკას აწარმოებდა სომხურ-ქართული ქვეყნების მიმართ და მათ იმპერიასთან შეერთებას ცდილობდა". მაგრამ „მალე მდგომარეობა შეიცვალა. სელჩუკთა შემოტევების გააქტიურებისა და იმპერიის შიგნით შინაკლასობრივი და ტახტისათვის წარმოებული ბრძოლების შედეგად ბიზანტიის იმპერია მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ის უკვე ისე აქტიურად ვეღარ ეხმარებოდა ლიპარიტს, რომელიც ბაგრატ IV-მ სამშობლოდან გააძევა... XI ს-ის 60-იანი წლებიდან ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში არსებითი ხასიათის გარდატეხა ხდება. თურქ-სელჩუკთაგან შევიწროებული ბიზანტია იძულებულია მეტი ანგარიში გაუწიოს საქართველოს"[45].

ისე გამოდის, თითქოს, საქართველოს სამეფო ბიზანტიის იმპერიისაგან დაპყრობას ვერ გადაურჩებოდა, თურქ-სელჩუკთა შემოსევა რომ არ ყოფილიყო. ამდენად, თურქ-სელჩუკთა გამანადგურებელი, დამანგრეველი შემოსევები ობიექტურად, თითქოს, დადებით მოვლენასაც კი უნდა წარმოადგენდეს საქართველოს ცხოვრებაში, რამეთუ ბიზანტიისაგან დაპყრობილ სომხეთში სომხური სახელმწიფო ვეღარ აღსდგა XX საუკუნემდე, მაშინ როდესაც ჩვენმა წინაპრებმა თურქ-სელჩუკთა ბატონობის მძიმე უღელი შედარებით მალე მოიშორეს თავიდან და საქართველო დაახლ. 30 წლიანი კრიზისის შემდეგ კვლავ აღმავლობის გზას დაადგა დავით აღმაშენებლის ეპოქაში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ ბიზანტიის იმპერიის აგრესიული ზრახვები სულაც არ განელებულა თურქ-სელჩუკთა ლაშქრობების შედეგად. ბიზანტიის იმპერიამ 1065 წ. დაიპყრო ვანარდის (ყარსის) სომხური სამეფო[46]. ამ დროს ბიზანტიისა და ამიერკავკასიისთვის თურქ-სელჩუკთაგან შექმნილი საფრთხე კიდევ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე XI ს-ის 50-იან წლებში, როცა საქართველოს ავის მომასწავებლად უტევდა ბიზანტიის იმპერია. ბიზანტიის ხელისუფალნი, თითქოს, ერთთავად იმის ცდაში იყვნენ, რომ დაესწროთ მეტოქეებისათვის, მათ შორის თურქ-სელჩუკებისათვის, სომხეთში გაბატონება,

---

44 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 26—27; საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 146—147; ხაზგასმა ჩვენია.

45 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 190—191, შდრ. იქვე, გვ. 187.

46 Հայ ժողովրդի պատմություն, III, գ. 457.

ამ ქვეყნის დაპყრობა. მართალია, ბიზანტიის იმპერიასთან სომხური სამეფო-სამთავროების შეერთება ზოგჯერ ნებაყოფლობის ფორმას იღებდა, მაგრამ სინამდვილეში ყოველთვის ძალდატანებითი იყო. ამიერკავკასიაში „დათმობები" ბიზანტიის იმპერიის საჯარგებლოდ წარმოადგენდა საიმპერატორო ხელისუფლების მხრიდან დაწოლის შედეგს, რომელიც ფრიად მოხერხებულად იყენებდა თავისთვის ხელსაყრელ გარემოებებს[47].

ჩვენი აზრით, X—XI სს-ში საქართველოსა და სომხეთისადმი ბიზანტიის იმპერიის დამოკიდებულებათა ერთ სიბრტყეზე დაყენება გამართლებული არ უნდა იყოს. ბიზანტიის ხელისუფალნი ამიერკავკასიაში პირველი რიგის ამოცანად სომხეთის, საქართველოდან კი ტაოკლარჯეთის დაპყრობას მიიჩნევდნენ, ხოლო დანარჩენი საქართველოს დასაპყრობად პრაქტიკულად მათ მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაედგათ სათანადო, მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ამასობაში საქართველო, რომელიც აღმავლობის გზას ადგა, პოლიტიკურად გაერთიანდა, გაძლიერდა და შეძლო წარმატებით აღდგომოდა წინ ბიზანტიის აგრესიას. სომხეთი კი, როგორც ვიცით, X—XI სს-ში თანდათან ქუცმაცდებოდა, სუსტდებოდა, მასობრივი ემიგრაციის შედეგად სომხური მოსახლეობისგან, სისხლისგან იცლებოდა. ამიტომ სომხეთს სულ უფრო და უფრო მეტად უძნელდებოდა გამკლავებოდა ბიზანტიის შემოტევას.

IX ს-ის დასასრულიდან მოყოლებული XI ს-მდე ბიზანტიის იმპერიას ყოველთვის მოჰქონდა თავი სომხეთის, ცალკეული სომხური სამეფო-სამთავროების მფარველად, თითქოს (მოჩვენებით) იცავდა კიდეც მათ მომხდურთა თარეშისაგან, მათგან დაპყრობისაგან. მაგრამ სინამდვილეში სომხეთისადმი კეისრის დახმარება არასდროს არ ყოფილა მნიშვნელოვანი. სამაგიეროდ, სომხეთის დაკავშირება ბიზანტიასთან კიდევ უფრო უარესად აცოფებდა სომხეთსა თუ მის მეზობლად მდებარე მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულების ხელისუფალთ და ისინი მეტი გააფთრებით არბევდნენ, აწიოკებდნენ სომხებს. როცა ბიზანტიის ჯარი შორს ეგულებოდათ. გარდა ამისა, ბიზანტიის ხელისუფლება ყოველი ღონით ცდილობდა უთანხმოების, შუღლის, ქიშპის ჩამოგდებას ცალკეულ სომეხ მეფე-მთავართა შორის, რათა ამ გზითაც დაესუსტებინა სომხეთი და შემდეგ გარეშე თუ შინაურ მტერთაგან დაუძლურებული ქვეყანა ადვილად ეგდო ხელთ, საქმე ისე მოეწყო, რომ ესა თუ ის ღონეშეხდილი, დაჩაჩანაკებული სომეხი მეფე ან მთავარი იძულებული გაეხადა, თვითონვე

---

[47] იხ. К. Юзбашян. დასახ. ნაშრომი, გვ. 20—21, აგრეთვე გვ. 12.

ეთხოვა ბიზანტიისათვის, აჰა, შეიერთე ჩემი „საბრძანებელი“ და „მიპატრონეო“. სხვათა შორის, სომხეთის მიმართ ბიზანტიის პოლიტიკა X—XI სს-ში ძალიან გვაგონებს რუსეთის იმპერიის პოლიტიკას საქართველოს მიმართ XVII—XVIII სს-ში. ეს არცაა გასაკვირი. ცნობილია, რომ რუსეთის დიპლომატიის ხერხები და მეთოდები საკმაო მსგავსებას ამჟღავნებდა ბიზანტიურთან. ამ მხრივ ისიც ნიშანდობლივია, რომ თუ ბიზანტიელებს თავიანთი თავი „რომაელებად“, ხოლო კონსტანტინოპოლი „მეორე რომად“ მიაჩნდათ, 1453 წ. ოსმალთა მიერ ბიზანტიის დაპყრობის, კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ რუსეთის მთავრის იდეოლოგებმა მოსკოვი „მესამე რომად“ გამოაცხადეს.

ბიზანტიის იმპერია თავისი აგრესიული ზრახვების განხორციელების გზაზე X—XI სს-ში საქართველოში რომ გაცილებით დიდ, ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა, ვიდრე სომხეთში, ეს სრულიად აშკარაა. თუ დავით კურაპალატის სამფლობელოსთვის საქართველო-ბიზანტიას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომები გაჩაღდა, მწვავე სახის დაპირისპირება თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე გაგრძელდა, სანამ ბიზანტიის იმპერია არ დასუსტდა და დავით კურაპალატის სამფლობელო საქართველომ არ შემოიერთა, ბიზანტია-სომხეთის ურთიერთობაში მსგავსი რამ X—XI სს-ში არ შეიმჩნევა. როდესაც ბიზანტიის იმპერიამ 966 წ. დაიპყრო ტარონის ბაგრატუნთა სომხური სამთავრო, სხვა სომხურ სამეფო-სამთავროებს ტარონის გამო ომი არ აუტეხიათ ბიზანტიისთვის. ანის-შირაკის მეფე აშოტ III-მ 974 წ. მხოლოდ იმისთვის იზრუნა, რომ ბიზანტია უფრო ღრმად არ შეჭრილიყო სომხეთში. 1021 წ. ბიზანტიის კეისარმა ბასილ II-მ ვასპურაკანის სომხური სამეფო რომ დაიპყრო, არც ამ საბედისწერო მოვლენას გამოხმაურებიან სხვა სომხური სამეფო-სამთავროები. კერძოდ, ანის-შირაკის სამეფო, რომელიც თითქოს, უმთავრეს, უზენაესი უფლებების მქონე სახელმწიფოს წარმოადგენდა სომხეთში. უფრო მეტიც. სულ მალე, რამდენიმე თვის შემდეგ ანის-შირაკის მეფე ჰოვჰანეს-სმბატი იძულებული გახდა, მისი სიკვდილის შემდგომ ანის-შირაკის სამეფოც ანდერძით ბიზანტიისთვის გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფალნი არა მარტო დავით კურაპალატის სამფლობელოსთვის ებრძოდნენ ბიზანტიას, არამედ, როგორც ზემოთ ითქვა, სომხეთისთვისაც. რაც შეეხება სომხეთს, სომხურ სამეფო-სამთავროებს, ისინი არამცთუ მეზობელი ქვეყნებისათვის, მაგ., ქართული ოლქებისათვის ვერ ეცილებოდნენ ბიზანტიას X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ში, არამედ საკუთარი მიწა-წყლის, მომიჯნავე სომხური სამეფოს ან სამთავროს დაცვასაც ვერ ახერხებ-

დნენ ბიზანტიის შემოტევისგან. თუ ბიზანტიის ხელისუფალთათვის ქართველი პატრიოტები ანგარიშგასაწევი ძალა აღმოჩნდა[48], ამასვე ვერ ვიტყვით სომეხ პატრიოტებზე. ვინაიდან XI ს-ში ბიზანტიელ აგრესორთადმი მათ მიერ გაწეული წინააღმდეგობა შეღარებით უმნიშვნელო იყო. ჩვენში, სომხეთისაგან განსხვავებით, ბიზანტიელ დამპყრობლებთან ბრძოლამ თითქმის საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო, იარაღს მოჰკიდა ხელი „ერმაც და ბერმაც". ამის დასტურად შეიძლება მოვიხმოთ სახელოვანი ქართველი ეპისკოპოსების, საბა მტბევარისა და ეზრა ანჩელის ბრძოლა ვითომ ერთმორწმუნე, სინამდვილეში დამპყრობელი ბიზანტიის წინააღმდეგ[49]. როგორც თავის ადგილზე აღვნიშნეთ, თუ სომდიდრეზე დახარბებულმა, ბიზანტიისგან მოსყიდულმა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქმა პეტროს გეტადარძმა (1019—1058) და სხვა მისმა მსგავსმა სომეხმა „მამებმა" თავიანთი სამშობლო გაყიდეს, ქართველი ეპისკოპოსები, საბა მტბევარი და ეზრა ანჩელი გარდა იმისა, რომ იარაღით ხელში შეებნენ „ერთმორწმუნე" ბიზანტიის ჯარს, დარაზმეს ხალხი ბიზანტიელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ამავე დროს, ისინი მოუწოდებდნენ თანამემამულეებს, თანამებრძოლებს სისპეტაკისაკენ. მოუსყიდველობისაკენ, რამდენადაც ცბიერი ბიზანტიელები არა მარტო სომეხთა, არამედ ქართველთა მოქრთამვასაც, მათ მოღალატეებად გადაქცევასაც ლამობდნენ.

XI ს-ში სომხეთს რომ არ შესწევდა ძალა, გაემართა ბიზანტიელი დამპყრობლებისათვის ისეთი ფიცხელი, მედგარი ბრძოლა, როგორც ეს საქართველომ შეძლო, ამას თვით სომეხი მემატიანეებიც მშვენიერად ამჩნევდნენ. ბიზანტიის კეისრის, ბასილ II-ის აპოლოგეტი, საზოგადოდ, „ბიზანტინოფილი" სომეხი მეისტორიე არისტაკეს ლასტივერტი ხაზგასმით აღნიშნავს გიორგი I-ის ჯარის სიმამაცეს ბასილ II-ის წინააღმდეგ ბრძოლებში 1021—1022 წწ. ომის დროს მიუხედავად იმისა, რომ არისტაკესი ვერ ფარავს თავის განაწყენებას გიორგი I-ისა და მისი ჯარის მიმართ ანისის საკათედრო ტაძრის შეურაცხყოფისათვის[50] და ალბათ ზოგიერთი სხვა მიზეზის გამოც. არისტაკესის სიტყვით, მრისხანე კეისარი ბასილ II ბულგართმმუსვრელი, თვალს ადევნებდა რა ქართველთა და ბიზანტიელთა სისხლისმღვრელ ბრძოლას, გაკვირვებული იყო ქართველ მეომართა სიმამაცით, „რადგანაც ალდეზე მიხეთქებული მდინარეთა ნიაღვრის მსგავსად მათ დაამსხვრიეს ჰო-

---

48 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. VI. გვ. 27; საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 147.

49 ქართლის ცხოვრება, გვ. 291—292, 385—386.

50 არისტაკეს ლასტივერტელი, გვ. 44, 47.

რომთა (ე. ი. რომაელთა, ბიზანტიელთა — ა. ა.) ჯარები და უკუაქცი-ეს"[51]. ქართველთა სწორედ ამგვარი, თავდადებული ბრძოლის შედეგია, რომ ბიზანტიამ ვერ დაიპყრო საქართველო, სომხეთის დაპყრობის დროს კი, XI ს-ში, ბიზანტიელები მსგავს წინააღმდეგობას არ წაწყდომიან.

მათეოს ურჰაეცის მიხედვით, ბასილ II-მ სომეხთა მეფეს მოსთხოვა იმჟამინდელი სომხეთის უპირველესი ქალაქები ანისი და კარი (ყარსი), იგულისხმება მათი სანახებითურთ, სოლო ქართველთა მეფე გიორგი I-ს დამორჩილება[52]. ეს ამბავი ერთსა და იმავე დროს მომხდარა. მაშინ, როდესაც კეისარი ანისისა და ყარსის დასაკუთრებას, სომხური სამეფოების მოსპობას, სომხეთის ბიზანტიასთან შეერთებას აპირებს, იგი საქართველოს მეფე გიორგი I-საგან იმასაც სჯერდება, რომ გიორგიმ კეისრის უზენაესობა აღიაროს. როგორც ცნობილია, გიორგი I არ მოერიდა ურთიერთობის უკიდურესობამდე გამწვავებას ბიზანტიის იმპერიასთან. იგი ბიზანტიის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მოსისხლე მტერს, ეგვიპტის ფატიმიდთა სახალიფოს ხელისუფალს, ალ-ჰაქიმსაც დაუკავშირდა. ბიზანტიისა და ეგვიპტის სახალიფოს ურთიერთდამოკიდებულება იმდენად გაუარესებული ყოფილა, რომ 1016 წ. მათ შორის სავაჭრო ურთიერთობებიც შეწყვეტილა[53]. ეტყობა, საქართველოს მეფე გიორგი I ბიზანტიის კეისრისადმი არავითარ დათმობაზე წასვლას არ აპირებდა.

შეიძლება დაისვას ასეთი კითხვაც: თუკი ბასილ II-მ იმ ხანებისათვის ბულგარეთის საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო შემუსრა, მიწასთან გაასწორა (ბასილმა მარტო ერთ ჯერზე 15000 დატყვევებულ ბულგარელს თვალები დასთხარა და მათ მეფეს ასე გაუგზავნა) და მეფობაც მოსპო ბულგარეთში, ვითომ იგი ვერ შეძლებდა საქართველოს სამეფო ტახტის დამხობასაც? ძნელი სათქმელია![54] ფაქტი ისაა, რომ საქართველოს სამეფო არსებობას განაგრძობდა ბასილ II-ის სიცოცხლეშიც და მისი სიკვდილის შემდეგაც. ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ გიორგი I-ის დროსაც საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა არ იყო იმ ზომამდე მწვავე, როგორც ბიზანტია-ბულგარეთისა. სათანადო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ X ს-ის ბიზანტიის ისტორიაში ბულგარელებთან ომს უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე ომს მაჰმადიანებთან. ბულგარეთის მეფეები

---

51 იქვე, გვ. 46, აგრეთვე გვ. 51.

52 Матрѣос Уранійскій, გვ. 49.

53 იხ. E. Hönigmann, დასახ. ნაშრომი, გვ. 108—109.

54 შდრ. ვ. გაბაშვილი, ათონური ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები როგორც წყარო, წიგნში: ივირონი — 1000, თბ, 1983, გვ. 80.

ბიზანტიის იმპერატორებს ბალკანეთში ჰეგემონიისათვის ებრძოდნენ[55]. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ბულგარეთის მეფეებმა „რომაელთა ბასილევსის“ ტიტულის მიტაცებაც განიზრახეს[56]. X—XI სს-ში საქართველოს მეფეები, სახელდობრ, არც გიორგი I ბიზანტიასთან ურთიერთობაში ასე შორს არ წასულან, მათ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიის მითვისებაზე (არც კეისრების ტიტულებზე) პრეტენზია არ განუცხადებიათ. მსგავსი რამ მხოლოდ თამარ მეფის დროს მოხდა. ასე რომ, ბასილ II ბულგართმმუსვრელს ბიზანტიის იმპერიისათვის ბულგარეთი საქართველოზე გაცილებით უფრო საშიშ მტრად უნდა მიეჩნია და მეტი ძალები უნდა გადაესროლა მის წინააღმდეგ. მნიშვნელობა ჰქონდა ამასაც, რომ ბიზანტიის იმპერიის ცენტრალურ რაიონებთან, კერძოდ, დედაქალაქ კონსტანტინოპოლთანაც ტერიტორიულად ბულგარეთი უფრო ახლოს მდებარეობდა, ვიდრე საქართველო. ცხადია, განსაკუთრებით იმ ეპოქაში, ზედარებით ახლოს მყოფი მტრის მოთმენა უფრო ძნელი იყო, ვიდრე გაცილებით დაშორებულისა.

როგორც ჩანს, გიორგი I-ს დაურღვევია ტრადიციაც იმის თაობაზე, რომ საქართველოს მეფეებს კურაპალატის თუ სხვა ბიზანტიური ტიტული უნდა ეტარებინათ[57]. აქედან გამომდინარეც შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგი I ბიზანტიის იმპერიისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას აპირებდა, რასაც, ცხადია, ძლევამოსილი კეისარი ბასილ II ვერ შეურიგდებოდა. მოგვიანებით ბიზანტიური ტიტულების მიღებასა თუ ტარებაზე უარი განაცხადა დავით აღმაშენებელმა, რითაც მან უარყო ბიზანტიის იმპერიის ყოველგვარი პოლიტიკური უზენაესობა საქართველოს მიმართ. ეტყობა, მსგავსი განზრახვა ჰქონდა ჯერ კიდევ გიორგი I-ს. ისიც უნდა ითქვას, რომ დავით აღმაშენებლის ხანაში ბიზანტიის იმპერია გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე გიორგი I-ის დროს. ამდენად, დავითისათვის ბიზანტიის კეისრის უზენაესობაზე უარის თქმა აღარ იყო დაკავშირებული ისეთ დიდ სიძნელეებთან, რაც ამ მხრივ XI ს-ის პირველ მეოთხედში არსებობდა.

მართალია, გიორგი I ბიზანტიასთან ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ქართველთა დიდი წინააღმდეგობის გამო კეისარი იმაზეც თანხმდებოდა, თუ საქართველოს მეფე გიორგი მას დაემორჩილებოდა. უფრო შორს ბიზანტიის ხელისუფლება ვერ წავიდა, მას არ ეყო ძალა, სომხური სამეფოების მსგავსად საქართველოს სამეფოც მოესპო,

---

55 იხ. Ш. Диль. История Византийской империи, გვ. 77.

56 იხ. И. П. Медведев, დასახ. ნაშრომი, გვ. 419.

57 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, გვ. 83.

გაეუქმებინა. ასევე, XI ს-ის 50-იან წლებშიც, ბაგრატ IV-ის დროს, საქართველო საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ბიზანტიის იმპერია კი, ბასილ II-ის ხანასთან შედარებით, შესამჩნევად დასუსტდა. ამიტომ ბიზანტიას არ ძალუძს ისევე გაანადგუროს, გააუქმოს საქართველოს სამეფო, როგორც იმ ხანებში ანის-შირაკისა და ვანანდის სუსტ სომხურ სამეფოებს მოექცნენ. მაშინ, როდესაც კეისრები სომხურ სამეფოებს ერთმანეთის მიყოლებით აუქმებდნენ, საქართველოში ბიზანტიის ხელისუფლება ბაგრატ IV-ის ნაცვლად მისი ნახევარძმის, დემეტრეს გამეფებას ცდილობდა[58]. მაშასადამე, ბიზანტიის კეისარი იმითაც კმაყოფილი იქნება, რომ საქართველოს სამეფო ტასტზე თავისი მორჩილი მეფე ეგულებოდეს და არა ბაგრატ IV, რომელიც ბიზანტიასთან სომხეთისათვის ბრძოლაშიც კი ჩაება. ყოველივე ეს იმის დასტურია, რომ ბიზანტიის პოზიციები საქართველოსა და სომხეთში ძალზე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რამდენადაც საქართველო სომხეთთან შედარებით ერთიან, ძლიერ სახელმწიფოდ გამოიყურებოდა ბაგრატ IV-ის დროსაც. ამ მხრივ საყურადღებოა მათეოს ურჰაეცის ცნობაც, რომლის თანახმად, ბაგრატ IV მ თ ე ლ ს ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა ზ ე გ ა მ ე ფ ე ბ უ ლ ა[59]. მიუხედავად გარკვეული შეფერხებებისა, საქართველოს აღმავლობა იმდენად თვალსაჩინო იყო XI საუკუნისათვის, რომ ბაგრატ IV-ის დროსაც უცხოელები ჩვენს ქვეყანას ანგარიშგასაწევ ძალად, ერთიან სამეფოდ მიიჩნევდნენ.

სომხეთთან შედარებით საქართველოს ძლიერებამ, ქართველთა გაცილებით დიდმა ბრძოლისუნარიანობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ ბიზანტიის კეისრებმა რაც სომხეთში შეძლეს, იმასვე ვერ მიაღწიეს საქართველოში. ამასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა: „ცნობილია, თუ რა მცდარ პოლიტიკას ადგა ბიზანტიის ხელისუფლება სომხეთისა და საქართველოს მიმართ. იმის მაგიერ, რომ მას ეს სამეფონი გაემაგრებინა და ექცია აღმოსავლეთ ბუფერად აზიის მოზღვავებული ურდოების წინააღმდეგ, ბიზანტია სულ იმის ცდაში იყო, რომ მოესპო ეს სახელმწიფონი და მათი ანექსია მოეხდინა. სომხეთში მათ ეს გაუვიდათ, მაგრამ ქართლში და შემდეგ საქართველოში კი ვერ შეძლეს. საკვირველ მოვლენას ვხედავთ: იმ დროს, როდესაც სომხეთში სამთავროები და სამეფონი ისპობიან, საქართველოში ისინი ერთიანდებიან, ძალას იკრებენ და თანდათან ამიერკავკასიის იმპერი-

---

58 იხ. ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 186—187, 191—192.

59 Մատթէոս Ուռհայեցի, გვ. 55.

ის შექმნისაკენ მიისწრაფიან და ბოლოს, XII საუკუნეში კიდევაც აღწევენ ამ წარმატებას"[60].

XI ს-ის 50-იან წლებში, ბაგრატ IV იძულებული რომ გახდა კონსტანტინოპოლში წასულიყო, სადაც ის სამ წელიწადს დააყოვნეს, გამგზავრების წინ მან მეფედ თავისი მცირეწლოვანი ვაჟი, გიორგი დატოვა. „მატიანე ქართლისაჲს" მიხედვით, ბაგრატმა „დაუტევა ქუთათისს[61] მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარვიდა საბერძნეთს"[62]. როგორც ზემოთ ითქვა, 1045 წ. ბიზანტიის ხელისუფლებამ ანის-შირაკის მეფე, გაგიკ II კონსტანტინოპოლს რომ გაიტყუა, უკან დაბრუნების ნება საერთოდ აღარ დართო და აღარც სხვა მეფის დასმის შესაძლებლობა მისცეს სომხებს. ვინიცობაა, ბაგრატ IV-საც გაგიკ II-ის ბედი ელოდა, ეს საქართველოში სახელმწიფოს. მეფობის გაუქმებას არ მოასწავებდა, რამეთუ გიორგი II უკვე აკურთხეს მეფედ. რა თქმა უნდა, ეს აქტი საქართველოს სამეფო ხელისუფლების მომხრე ძალების გარკვეულ წარმატებაზე მეტყველებს. როგორც ჩანს, ამ ძალებს ანგარიშს უწევდა ბაგრატ IV-ის მძვინვარე მოწინააღმდეგე, იმ დროის ყველაზე უფრო ძლიერი ქართველი ფეოდალი. ბიზანტიის აგენტი საქართველოში ლიპარიტ ბაღვაშიც, რამდენადაც მან მცირეწლოვანი გიორგი II არა მარტო დასავლეთ, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მეფედაც იცნო: „ვიდრეღა იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი. გიორგი, მეფედ. რათა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად დაჲ ბაგრატისი გუარანდუხტ დედოფალი". გურანდუხტ დედოფალს თვალსაჩინო როლი შეუსრულებია იმჟამინდელი საქართველოს ცხოვრებაში. კერძოდ, საქართველო-ბიზანტიის გართულებული ურთიერთობის მოწესრიგებაში: „შემდგომად მცირედისა ჟამისა მოითხოვა გუარანდუხტ ბაგრატ ბერძენთა მეფისაგან. და გამოგზავნა ბერძენთა მეფემან დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძითა მიუწდომელითა. მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღუს პირსა. ხუფათს. და იყო სიხარული და ღმრთის მადლობა ღიდი. ბრძანა და შემოვიდა სახლად თჳსად ქუთათისს"[63].

ბაგრატ IV-ის სამშობლოში დაბრუნების მიუხედავად, ქართლში და სამხრეთ საქართველოში ფაქტიურად ლიპარიტ ბაღვაში ყოფილა გა-

---

60 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამ, გვ. 52.

61 როგორც ცნობილია, იმ დროს გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქს ჯერ კიდევ ქუთაისი წარმოადგენდა, რამდენადაც თბილისი ისევ მაჰმადიან ხელისუფალთ ეკავათ.

62 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 303.

ბატონებული: „ლიპარიტ მოირჭუნა ზემოსა კერძსა დაუკლებელად, და იყო ნოყიერად მისა ხუარასანს დოღლუბ[illegible] სულტანი და საბერ-ძნეთს ბერძენთა მეფე, და ზრდიდა ბაგრატის ძესა გიორგის მცირესა სახელითა მეფობისათა. ხოლო ბაგრატს აქუნდა ლიხსა ქუემოთი კერძი დაწყობით“. ქართლსა და სამხრეთ საქართველოში ლიპარიტ ბაღვაშის ძლევამოსილების გითარებაშიც ბაგრატ IV-ის დას, გურანდუხტ დედოფალს კვლავ მცირეწლოვანი გიორგი II-ის გვერდით ვხედავთ. როდესაც ქართველმა დიდებულებმა, ბაგრატ IV-ისა და სამეფო ხელისუფლების მომხრე ძალების ინტერესების შესაბამისად, შეიპყრეს ლიპარიტ ბაღვაში, „გუარანდუხტ და გიორგი, ძე ბაგრატისი, დგეს ღრტილას, და რა ცნეს შეპყრობა ლიპარიტისი, შეიყვანეს ახალქალაქსა და მუნ მოილოდინეს ბაგრატ სულთა ზედა“[64].

ბაგრატ IV-ის და გურანდუხტი ვანანდის (ყარსის) სომხური სამეფოს დედოფლადაა[65] მიჩნეული[66]. ამ ბოლო ხანებში გამოითქვა შოსაზრება, რომლის მიხედვით, გურანდუხტი ვანანდის (ყარსის) კი არა, არამედ ტაშირ-ძორაგეტის დედოფალია. როგორც ჩანს, ტაშირ-ძორაგეტში XI ს-ის 50—60-იან წლებში ორმეფობაა. ერთ-ერთ მეფედ იხსენიება სმბატი[67], რომლის მეუღლეც უნდა ყოფილიყოო გურანდუხტი[68]. ვფიქრობთ, ეს აზრი მიუღებელია. საქმე ისაა, რომ ერთი სომხური ხელნაწერი სახარების ანდერძი სავსებით უეჭველად ადასტურებს გურანდუხტის დედოფლობას ვანანდის (ყარსის) სამეფოში და არა ტაშირ-ძორაგეტში. ხსენებულ ანდერძ-მინაწერში ვკითხულობთ: „ამ წმიდა სახარების მომგებელი, გაგიკ შაჰან[შაჰი], ძე აბასისა, გურანდუხტ დედოფალი და მარემი მოიხსენე“[69]. კარგადაა ცნობილი, რომ ეს გაგიკ შაჰანშაჰი, ისევე როგორც მამამისი აბასი ვანანდის (ყარსის) მეფეები იყვნენ. გაგიკსა და მის მეუღლეს, გურანდუხტ დედოფალს

---

63 იქვე, გვ. 304.

64 იქვე, გვ. 304—305.

65 როგორც ცნობილია, იმ ხანებში საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენლები თავიანთ ქვეშევრდომებზე არ ქორწინდებოდნენ. სიძე ან პატარძალი აუცილებლად რომელიმე სხვა ქვეყნის სამეფო სახლის შვილი უნდა ყოფილიყო.

66 იხ. С. Еремян. Присоединение... გვ. 12, შენ. 30; Г. Мкртумян, დასახ. ნაშრომი, გვ. 123; Գարեգին Ա Կարողիկոս, Ցիշատակարան ձեռագրաց հատ. Ա, Անիի, 1951, გვ. 241—242.

67 Կ. Ղ ա ֆ ա դ ա ր յ ա ն, Սանահին վանքը և նրա արձանագրությունները, Ե., 1957, გვ. 187.

68 შ. დ ა რ ჩ ი ა შ ვ ი ლ ი, სომხური ლაპიდარული წარწერები და „შატიანე ქართლისას“ ერთი ცნობა, თსუ შრომები, ტ. 227 (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), 1962, გვ. 68—70.

69 Գարեգին Ա Կարողիկոս, დასახ. ნაშრომი, გვ. 237—241.

თავიანთი ასულისათვის ბებიას, საქართველოს ცნობილი დედოფლის, მარიამის სახელი დაურქმევიათ. მართალია, აღნიშნული ანდერძ-მინაწერის დაწერის ზუსტი თარიღი არ ვიცით, მაგრამ ბიბლიოგრაფიით მისი დათარიღება შესაძლებელია, რამდენადაც დადგენილია გაგიკ ყარსელის, ქართველი მწერლის, გიორგი მცირესეული გაგიკ კარელის[70] მეფობის წლები (1029—1065) და ისიც, თუ როდის ატარებდა იგი შაშაჰანშაჰის ტიტულს. ეს ტიტული ანის-შირაკის ბაგრატუნ მეფეთა კუთვნილებას წარმოადგენდა 1045 წლამდე. სანამ ანის-შირაკის სამეფოს ბიზანტია დაიპყრობდა, 1045 წლიდან კი შაჰანშაჰის ტიტული ვანანდის (ყარსის) მეფემ გაგიკმა, სომეხ ბაგრატუნთა გვერდითი შტოს წარმომადგენელმა მიიღო[71]. ამრიგად, ხსენებული ანდერძ-მინაწერი 1045—1065 წლებით შეიძლება დათარიღდეს და არა მაინცადამაინც გაგიკ კარელის (ყარსელის) მეფობის, 1029—1065 წლებით[72].

როგორც ეტყობა, გურანდუხტ დედოფალი საგანგებოდ ჩამოუყვანიათ ყარსიდან საქართველოში XI ს-ის 50-იან წლებში. გურანდუხტი „ქართლის ცხოვრებაში" პირველად იხსენიება მაშინ, როცა ჩამოთვლილია ახლადგარდაცვლილი გიორგი I-ის შვილები. გიორგისო „ესხნეს შვილნი ოთხნი: ძენი ბაგრატ და დემეტრე, და ასულნი გურანდუხტ და კატა"[73]. ამის შემდეგ გურანდუხტი, სანამ მცირეწლოვანი გიორგი II-ის რეგენტი გახდებოდა, ე. ი. XI ს-ის 50-იან წლებამდე, ქართულ წყაროებში აღარ იხსენიება. ლიპარიტ ბაღვაში რომ დაემსხო, ხოლო ბაგრატ IV კვლავ გაძლიერდა და გიორგი II-ის მეფობის ადრეული ხანაც ამით დასრულდა, გურანდუხტის სახელი კელავაც ქრება ქართული წყაროების ფურცლებიდან. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ გურანდუხტ დედოფალი ცხოვრობდა ყარსში და არა საქართველოში. ვანანდის მეფის მეუღლე გურანდუხტი თავის მშობლიურ ქვეყანაში, საქართველოში განსაკუთრებული შემთხვევის გამო ჩამოსულა XI ს-ის 50-იან წლებში, როცა ბიზანტიის იმპერიამ და მისმა აგენტმა ლიპარიტ ბაღვაშმა მეტისმეტად შეავიწროვეს ბაგრატ IV.

ქართლსა და სამხრეთ საქართველოში ლიპარიტ ბაღვაშის პარპაშისა და ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლს სამწლიან საპატიო ტყვეობაში ყოფნის ვითარებაში გურანდუხტ დედოფლის ჩამოყვანა და მცირეწლოვანი გიორგი II-ის რეგენტად მისი დანიშვნა ისევ და ისევ

---

70 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 178.

71 იხ. С. Еремян. დასახ. ნაშრომი, გვ. 11, აგრეთვე, Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 97—98.

72 შდრ. Գարեգին Ա Կարողիկոս, დასახ. ნაშრომი, გვ. 237—241.

73 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 291.

საქართველოს სამეფო ხელისუფლების მომხრე ძალების წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. ამავე დროს, გურანდუხტის ჩამოსვლა და რეგენტად დანიშვნა ბიზანტიის კეისრის თანხმობით უნდა მომხდარიყო, რამდენადაც ვანანდის (ყარსის) სამეფო იმ ხანებში, სომეხ ბაგრატუნთა მეორე, ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს მსგავსად, ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. როგორც ზემოთ ითქვა, 1065 წ. ვანანდის სამეფო შეიერთა კიდეც ბიზანტიის იმპერიამ. ამდენად, გურანდუხტის საქართველოში ჩამოყვანა და მისი რეგენტობა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მომხრე ძალებისა და ბიზანტიის კეისრის მორიგების შედეგადაც უნდა მომხდარიყო. გურანდუხტ დედოფალსა და მის თანამოაზრეებს, ბაგრატ IV-ის მომხრეებს რომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ საქართველო-ბიზანტიის გართულებული ურთიერთობის მოწესრიგებაში, სწორედ ამის დასტური ჩანს „მატიანე ქართლისაჲ“ მოტანილი ცნობა — გურანდუხტმა გამოითხოვა ბაგრატ IV კეისრისაგან და კეისარმაც დააბრუნაო ბაგრატი სამშობლოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ, კიდევ უფრო მეტი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტიის იმპერიისათვის საქართველოს დაპყრობა, საქართველოს სამეფოს მოსპობა გაციცებით ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე სომხეთისა. ამიტომ ბიზანტიის ხელისუფლებას ბაგრატ IV-ის დროსაც, კერძოდ, XI ს-ის 50-იან წლებში, როცა ბაგრატი კონსტანტინოპოლს საპატიო ტყვეობაში იმყოფებოდა, უფრო ის უნდა დაესახა მიზნად, რომ საქართველოს, მისი მეფის დაქვემდებარება მოეხერხებინა, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს მოსპობა, საქართველოს უშუალოდ ბიზანტიასთან შეერთება, რაზეც კეისრები ასევე ფიქრობდნენ (და რაც მათ სომხეთის მიმართ უკვე განახორციელეს), სხვა დროისათვის უნდა გადაედოთ. ბაგრატ IV-ის დაქვემდებარების საკითხი კი კეისრის წინაშე იდგა იმის გამო, რომ ბაგრატი ბიზანტიას ისე არ ყმობდა, როგორც ეს იმპერატორს ეწადა[74]. ბაგრატ IV არამცთუ მანამდე, მაინცდამაინც არც კონსტანტინოპოლში იძულებითი ყოფნის შემდეგ იხრიდა ქედს კეისრის წინაშე. სწორედ კონსტანტინოპოლის მოვლის შემდეგ შეავიწროვა მან ტაშირ-ძორაგეტის კვირიკიანი (ბაგრატუნი) მეფე, რომელიც იმჟამად ბიზანტიის ვასალს წარმოადგენდა. ბაგრატმა განდევნა კვირიკიანები სამშვილდიდან, მაგრამ თუ მათ უკანვე დაუბრუნა ჩამორთმეული სხვა ციხეები[75], ეს ალბათ, იმიტომაც, რომ ბიზანტიასთან ურთიერთობის

---

74 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 18.

75 იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 307; Ռ. Մարգարեան, Տաշիր-Զորագետ გვ. 91—92; Г. Мкртумян, დასახ. ნაშრომი, გვ. 128—130.

კვლავ მეტისმეტად გამწვავება ბაგრატ IV-ს არ უნდა ნდომოდა. ბიზანტიელებს ბაგრატ IV კონსტანტინოპოლის სამწლიანი საპატიო ტყვეობის შემდეგაც რომ არ მიაჩნდათ კეისრის ერთგულ ვასალად, ეს კედრენე-სკილიცას მატიანიდანაც ჩანს, რამდენადაც „ტყვეობის“ მომდევნო ხანებში შედგენილ ამ ძეგლში მეტისმეტი ანტიპათია იგრძნობა ბაგრატ IV-ის მიმართ, გალანძღულიცაა იგი[76]. კონსტანტინოპოლში იძულებითი ყოფნის დროსაც კი ბაგრატ IV-ს არ ეტყობა შიში კეისრის წინაშე. იგივე კედრენე-სკილიცას ცნობით, კონსტანტინოპოლს ჩასულმა ბ ა გ რ ა ტ მ ა კ ე ი ს ა რ ს „დ ი დ ი ს ა ყ ვ ე დ უ - რ ი მ ო ა ხ ს ე ნ ა, მეფე ხარ და არა პატარა ქვეყნის, აბაზგიის მთავართან დადებული გქონდა ხელშეკრულება და ის დაარღვიეო, ხოლო კერძო კაცი, განდგომილი მონა (ლიპარიტ ბაღვაში — ა. ა.) დაიახლოვეო“[77].

წინამდებარე ნაშრომში, თავის ადგილზე, ვრცლად ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რაოდენ მტრული ურთიერთობა არსებობდა ბიზანტიისა და სომხურ ეკლესიებს შორის. ბიზანტიის საერო ხელისუფლებაც, განზრახული ჰქონდა რა სომხეთის დაპყრობა, აუცილებლად მიიჩნევდა მონოფიზიტ (გრიგორიან) სომეხთა ქალკედონიანობაზე, „ბერძნულ სარწმუნოებაზე“ მოქცევას, რაც დიდი შეხლა-შემოხლის საგანს წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე. შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტიურ-სომხურ ეკლესიებს შორის ნამდვილი უფსკრული წარმოიშვა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში სომხური ეკლესია ვერაფერითარ წვლილს ვერ შეიტანდა ბიზანტიასა და სომხურ სამეფოებს შორის გამწვავებული ურთიერთობის მოწესრიგებაში. ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ სომხეთის კათალიკოს-პატრიარქი, ცნობილი მეისტორიე ჰოვჰანეს დრასხანაკერტცი, რომელიც წერილით ემუდარება კეისარს, მიეშველოს მაჰმადიანთაგან შევიწროებულ სომხეთს, ამავე დროს, უარს აცხადებს იგივე კეისრის მიწვევით ჩავიდეს კონსტანტინოპოლს (ამ „შუა საუკუნეების პარიზში“), აქაოდა, ქალკედონიანობა არ დამწამონო. რა თქმა უნდა, ბიზანტიის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო ართულებდა, აუარესებდა სომხეთ-ბიზანტიის ურთიერთობას. მართალია, ხშირად ბიზანტიის ეკლესია ქართულ ეკლესიასაც უპირისპირდებოდა, მაგრამ ქართული ეკლესია საზოგადოდ, კერძოდ, X—XI სს-ში, რაც არ უნდა იყოს, მაინც ბერძნული ეკლესიის მიმდევრად ითვლებოდა. მათ შორის არ არსებობდა ისეთი უფსკრული, როგორიც ბიზანტიურ-სომხური ეკლესიების ურთიერთდამოკიდებუ-

---

76 გეორგიკა, 5, გვ. 67.
77 იქვე, გვ. 68; ხაზგასმა ჩვენია.

ლებაში შეიმჩნევა. ქართული ეკლესიის მოწინავე, პროგრესული წარმომადგენლები ერთთავად იმას ცდილობდნენ, ქართული საეკლესიო მწერლობის დონე ბიზანტიურს გათანაბრებოდა, ისინი, თითქოს, ერთგვარ შეჯიბრშიც ებმებოდნენ ბიზანტიასთან და სომეხი „მამების“ მსგავსად არ გაურბოდნენ მას. ქართული ეკლესიის, საერთოდ, საქართველოს ბიზანტიასთან მჭიდრო კავშირის დასტურად უპრიანია მოვიხმოთ კ. კეკელიძის სიტყვებიც იმის თაობაზე, რომ ათონის იერიის მონასტრის გარეშე „ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო“[78].

ბიზანტიასთან ქართული ეკლესიის სიახლოვის გამო მოსალოდნელია, მის გამოჩენილ, ცნობილ წარმომადგენლებს გარკვეული წვლილი შეეტანათ საქართველო-ბიზანტიის გართულებული ურთიერთობის მოწესრიგებაში. ამას გვაფიქრებინებს, კერძოდ, გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა. ისევე, როგორც XI ს-ის 50-იან წლებში მან ქართული ეკლესიის ავტოკეფალია დაიცვა ანტიოქიის საპატრიარქოს შემოტევისაგან, კეისრისა და ბაგრატ IV-ის მორიგებაშიც, შესაძლოა, შეასრულა გარკვეული როლი. ამ მხრივ, იქნებ, ყურადღების ღირსი იყოს ის გარემოებაც, რომ ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში იძულებითი ყოფნის წლებში გიორგი მთაწმინდელიც ხშირად ჩადის ბიზანტიის დედაქალაქში[79]. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ბაგრატ IV-ის სამწლიანი საპატიო ტყვეობის დროს „მეფისა თანა იყო გიორგი მთაწმინდელი“[80]. შესაძლოა, ვახუშტის ქართლის სამეფო სახლშიც ჰქონდა მოსმენილი ამგვარი გადმოცემა. გიორგი მთაწმინდელის სიახლოვე ბაგრატ IV-სთან იმდენად ყოფილა გახმაურებული, რომ ამის შესახებ ანტიოქიის პატრიარქსაც კი სცოდნია. ამ უკანასკნელს, თითქოს, ასე მიუმართავს გიორგი მთაწმინდელისათვის: „უწყი, ვითარმედ გისმენს მეფე თქუენი, უკუეთუ მიუწერო და აუწყო უმჯობესი“[81]. მართალია, გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი, გიორგი მცირე არაფერს გვაუწყებს გიორგი მთაწმინდელის მონაწილეობაზე კეისრისა და ბაგრატ IV-ის შეთანხმებაში, მაგრამ ეს, ეგების, იმითაც აიხსნას, რომ წმინდა მამისათვის, ბერისათვის პოლიტიკაში ჩარევა სასურველი არ უნდა ყოფილიყო. გიორგი მთაწმინდელი საკმაოდ დაახლოებული ყოფილა ბიზანტიის კეისართანაც, მას მონაწილეობა მიუღია რომის პაპთან ბიზანტიის იმპერიის გამწვავებული ურთიერთობის მოწესრიგე-

---

78 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 101.

79 იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 135, 139, 140, 141.

80 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 148.

81 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 153.

ბის მიზნით გამართულ საუბარში. ასევე, კეისარი მიმართავს გიორგი მთაწმინდელს, გამოთქვას აზრი „სომეხთა სარწმუნოების“ შესახებ[82]. მით უფრო დასაშვებია, გიორგი მთაწმინდელს გარკვეული წელილი შეეტანა კეისრისა და ბაგრატ IV-ის მორიგებაში. ქართული ეკლესიის სხვა ცნობილ წარმომადგენლებსაც, საზოგადოდ, თვალსაჩინო როლი უნდა შეესრულებინათ საქართველო-ბიზანტიის დროდადრო გართულებული ურთიერთობის მოწესრიგებაში, რამეთუ საქართველოს სახელმწიფოს, სამეფოს მოსპობა გამოკვეთილად ეროვნული მიმართულების მქონე, აღმავლობის გზაზე მდგარ ქართულ ეკლესიას, ყოველ შემთხვევაში, მის პროგრესულ ნაწილს არამც და არამც არ ენდომებოდა. ქართული ეკლესიის შემდგომ წინსვლას, წარმატებას ხომ საქართველოს სახელმწიფოს, სამეფოს ძლიერება, საერო ხელისუფლების მხარდაჭერაც განაპირობებდა.

როგორც აღინიშნა, IX—XI სს-ში საქართველოში, სომხეთსა და ნაწილობრივ ალვანეთშიც მიმდინარე ბრძოლა, მიმართული ცალ-ცალკე ამ ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანებისაკენ, თანდათან მთელი ამიერკავკასიის, უფრო მეტიც, მთელი კავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლებში გადაიზარდა. მაგრამ კავკასიის გაერთიანების დიად საქმეს X—XI სს-ში წინ ეღობებოდა ბიზანტიის იმპერიის აგრესიული ზრახვები ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასიის რომელი სახელმწიფოც ბიზანტიის შემოტევას გაუმკვლავდებოდა, მას თავის გარშემო მთელი კავკასიის შემოკრების შესაძლებლობაც ეძლეოდა. სომხეთმა ბიზანტიის აგრესიას ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, ბიზანტიის კეისრებმა შეძლეს დაეპყროთ თითქმის მთელი სომხეთი, მოესპოთ სომხური სამეფო-სამთავროები, უშუალოდ იმპერიისთვის შეეერთებინათ სომხეთის მიწა-წყალი. რაც შეეხება საქართველოს სამეფოს, ის XI ს-ში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება ბიზანტიასთან, ქართველებმა შეინარჩუნეს საკუთარი სახელმწიფო. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ XI საუკუნისათვის კავკასიაში საქართველოს სახით აღმოჩნდა ის ერთადერთი ძალა, რომელსაც შესწევდა უნარი მთელი კავკასიის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისა, მრავალრიცხოვანი უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის ხალხების დარაზმვისა. მართალია, თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა, „დიდმა თურქობამ“ გარკვეული ხნით შეაფერხა ეს პროცესი, მაგრამ საძირკველი უკვე ჩაყრილი იყო და დავით აღმაშენებელმა დააგვირგვინა კიდეც კავკასიის პოლიტიკური გაერთიანების დიადი საქმე.

---

82 იქვე, გვ. 178—180.

ВЗАИМООТНОШЕНИЯ ПОЛИТИЧЕСКИХ ОБРАЗОВАНИЙ ЗАКАВКАЗЬЯ В IX—XI ВЕКАХ

Резюме

IX—XI века весьма интересный период в жизни народов Закавказья. В Грузии, Армении и «Албании» с IX века, особенно со второй половины, господство Аббасидского халифата стало постепенно ослабевать, а во второй четверти X века было окончательно свергнуто. Правда, страны Закавказья и в указанный период не испытывали недостатка нашествия со стороны иноземных захватчиков, но несмотря на это в IX—XI веках (точнее до II половины XI века) создались сравнительно благоприятные условия для мирного развития этих народов.

Последствия арабского господства оказались неоднородными для закавказских стран. Дело в том, что арабские завоеватели в свое время, в силу определенных причин, в Армении и «Албании» обосновались более прочно, чем в Грузии. Ареал арабского влияния в Грузии постепенно суживался и, наконец, был доведен до границ ослабевшего Тбилисского эмирата, в то время как вся Армения и «Албания» даже во второй половине IX века, в той или иной мере, признавали власть арабов. Вместе с тем, в Армении и «Албании» в гораздо большем количестве, чем в Грузии, осело арабское, вообще мусульманское население, которое представляло собой опору для захватчиков. В Грузии был создан лишь один, Тбилисский эмират, в Армении же, как и в «Албании» подтверждается существование нескольких эмиратов.

Сравнительно прочное положение арабских завоевателей в Армении, вместе с другими причинами, обусловило то обстоятельство, что ко второй половине IX века Армения не была разделена на отдельные царства и княжества. В Грузии в этот же период существовало несколько независимых друг от друга царств и княжеств, которые возникли в долгой, неослабной борьбе против арабов. Касательно «Албании» следует отметить, что местное население оказа-

лось менее подготовленным к сохранению своей самостоятельности. Вследствие этого, в пору ослабления арабского господства создание национального албанского государства было сопряжено с большими трудностями по сравнению с Грузией и Арменией.

В начале X века и Армения распадается на отдельные царства и княжества. Армянские цари — Багратуни — всеми способами тщетно старались воспрепятствовать этому процессу. Борьба за объединение отдельных царств и княжеств протекала как в Грузии, так и в «Албании». Эта борьба настолько обострилась во всех трех странах, что в Грузии, Армении и «Албании» нередки были братоубийственные столкновения.

В IX—XI веках между странами Закавказья существовали тесные экономические, особенно, торговые связи, что способствовало перерастанию процесса политического объединения, происходящего в отдельных странах, в борьбу за объединение всего Закавказья. Соперничество и борьба между закавказскими властелинами в IX—XI веках обострялась и тем, что Византийская империя и Аббасидский халифат (или отдельные мусульманские эмираты) старались противопоставить друг другу закавказские политические образования с тем, чтобы, опираясь на один из них, овладеть остальными. Несмотря на такую вероломную политику иноземных захватчиков, которая, естественно, отрицательно сказывалась на взаимоотношения указанных политических образований, народы Закавказья часто объединенными силами выступали против общих врагов. В X—XI веках весьма животворной была прогрессивная идея общности интересов народов Закавказья. Она возникла на основе глубокого убеждения в том, что только в тесной их связи можно было вести успешную борьбу против завоевателей.

На протяжении IX—XI веков претензии на объединение закавказских политических образований под свое начало предъявляли властители Грузии, Армении и «Албании». Но, как отмечалось выше, «Албания», где из-за тяжелых условий невозможно было создать даже единого «албанского» государства, не могла бы претендовать на ведущую политическую роль в Закавказье.

Как было сказано, с начала X века начался процесс распада единого армянского государства. В последующий период он еще более углубился. Распаду способствовали и враждебные действия соседних мусульманских эмиратов (временами и в X—XI веках громивших Армению) и Византийской империи, которые стремились окончательно подчинить Армению. Дальнейшему ослаблению Армении способствовала также вынужденная массовая эмиграция армянского населения.

В создавшихся условиях сделать определенные практические шаги к политическому объединению Закавказья Армения могла бы только в последней четверти IX века и в первые годы X века. Правящие круги Армении, несмотря на сильное противодействие со стороны «Абхазского», или Западногрузинского царства, в означенный период действительно добились определенных успехов. Властители объединенной Армении воспользовались тем обстоятельством, что в последней четверти IX века Грузия была разделена на отдельные противоборствующие царства и княжества. В результате этого армянские цари, которые вмешивались в междуусобную борьбу грузинских царств и княжеств, смогли на короткое время добиться определенного политического преимущества в Закавказье.

Процесс усиления отдельных грузинских царств и княжеств замечается еще в начале IX века, но особенно заметную роль в политической жизни Закавказья (более того, всего Кавказа) грузинские правители стали играть с начала X века. В этом отношении больших успехов добились «Абхазское», или Западногрузинское царство (до 70-х годов X века), «царь картвелов» Адарнасе, «князь картвелов» Гурген, особенно же — Давид Куропалат (последняя четверть X века), а чуть позже — и цари Кахети и Эрети. В это время дело политического объединения Грузии имело сравнительно прочную основу, что позволило в последней четверти X — в начале XI веков осуществить объединение страны (за исключением достаточно ослабевшего к этому времени Тбилисского эмирата). Правда, от объединенной Грузии вскоре отпало царство Кахети и Эрети, но при внешней опасности его властители выступали совместно с царями объединенной Грузии. Кроме того, и после отторжения царства Кахети и Эрети Грузинское государство по сравнению с тогдашними армянскими и «албанскими» царствами и княжествами выступало как политическая сила, с которой приходилось считаться.

В деле политического объединения Закавказья определенную роль сыграли грузинская и армянская церкви, которые ставили перед собой цель подчинить своему влиянию христиан всего Закавказья и распространить христианство среди язычников или «неверующих» Кавказа. Это обстоятельство часто приводило к соперничеству грузинско-армянской церквей, к обострению их взаимоотношений. Следует отметить, что в X—XI веках армянская церковь постепенно ослабевала, грузинская же укреплялась (что определенно способствовало завоеванию грузинскими правителями первенства в Закавказье). Это в некоторой степени явилось следствием того, что византийская

православная церковь с особой жестокостью боролась с армянской монофизитской церковью и притесняла ее.

В создавшейся политической ситуации стало ясно, что особенно с последней четверти X века Грузия представляла реальную политическую силу, способную сплотить народы Закавказья на борьбу против многочисленного общего врага, против иноземных захватчиков. Так была заложена в IX—XI веках основа того политического объединения Закавказья (более того, всего Кавказа), которая под главенством Грузии была осуществлена в XII веке. Этот факт имел огромное значение во многовековой неравной борьбе закавказских народов с ордами завоевателей.

პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი

აბაზგია, იხ. აფხაზეთი
აბასი 62, 63, 64, 66, 135, 154, 183—186, 226—229, 237, 239, 252, 254, 255, 272
აბასიდები 26, 43, 44, 49, 50, 53
აბაშმაძე ვ. 216
აბდალაძე ა. 3, 8, 11, 12, 18, 57, 58, 74, 112, 119, 122, 123, 125, 128, 130, 133, 154, 157—161, 166, 175, 179, 209, 219, 224, 225, 241, 257, 261
აბოცი 215
აბრაამ I 75
აბულაბაზი 17, 56—58
აბულაძე ილ. 20, 63, 147, 197, 213, 217, 219, 222, 223
აბუ-ლ-ვარდი 251
აბულ-კასიმი 48
აბუ-საჯ დივდადი 47, 64
აგარიანები 55, 135
ადარბადაგანი, იხ. აზერბაიჯანი
ადარნასე 20—22, 59—61, 73, 78, 83, 108, 154, 155, 178, 182—202, 214, 215, 219, 223—226, 231
ადრიანოპოლისი 80
აზერბაიჯანი 9, 47—49, 59, 66, 71, 136
აზერბაიჯანელები 161, 167, 168
აზია 87, 270
ათონი 276
აკსიგომი 110
ალანები, იხ. ოსები
ალანეთი, იხ. ოსეთი
ალანთა კარი, იხ. დარიალი
ალექსანდრე მაკედონელი 79, 87
ალექსიძე ზ. 15, 28, 31, 75, 78, 89, 135
ალვანეთი, ალვანია (ალბანეთი) 5, 6, 17, 20—22, 24, 25, 36, 38, 43, 45, 49, 53, 54, 58...
ალვანელები (ალბანელები) 3, 11, 24, 30, 55, 56, 59, 64, 65, 68, 71, 77, 105, 117, 134—136, 140—144, 154, 162, 163, 165—167, 171, 194, 255
ალი იბნ იაჰია ალ-არმანი 176
ალ-მუთასიმი, იხ. მუთასიმი
ალპოიაკიანი ა. 242, 243
ალ-ფარიკი 136
ალ-ქუფი 137
ალ-ჰაქიმი 268
ამიერკავკასია 4—7, 12, 14, 15, 18, 24, 26, 28, 31, 35, 37, 38, 43, 44, 48, 50, 51, 53—59, 64,...
ამრამი 146—148, 150—155, 157, 159, 161
ანანია I 91, 163, 164
ანელები 122, 123
ანისი 17, 37, 60, 88, 111, 120—123, 206, 221, 226, 247, 248, 251, 261, 262, 264, 267, 268
ანის-შირაკი 17, 37, 66—68, 72, 80, 89, 90, 93, 119—123, 167, 205, 206, 232—239, 245—249, 251—254, 258—261, 263, 266, 270, 271, 273.
ანტიოქია 103, 114, 262, 276
ანტონი 131
აპასაკი, იხ. აბასი
აპაპუნიქი 65, 252
აპელბარტი, იხ. აბუ-ლ-ვარდი
აპოლესფუეტი 252
აპოსებატა 252
აპოსელმი 252
არაბები 5, 10, 23, 24, 43—45, 47, 48, 50, 56—58, 75, 76, 79, 80, 85, 93—100, 104, 112, 134—139, 141, 142, 146, 155, 161—163, 167, 169—171, 173, 175, 176, 187, 188, 194, 203, 207, 213—215
არამი 27
არანი 136, 139
არგიშთი I 224
არიან-ქართველები 132

არისტაკეს ლასტივერტი (ლასტივერტი) 35, 36, 48, 89, 90, 92, 110, 111, 121, 124, 125, 206, 231, 232, 240, 249, 257, 259, 267
არიში 22
არსენ ბერი 132
არსენ საფარელი 15—17, 135
არტაანი, არტანი 12, 13, 184, 215, 224—226
არტანუჯი 46
არუთინოვა ვ. 232, 239
არშაკი 80
არშაკუნები 74, 78—80, 91, 125, 126, 206, 209, 237
არშაკუნიანები (არშაკიდები) 125, 126
არჩილი 76, 254
არცახი 58, 142
არცახელები 58
არწრუნები 23, 24, 58, 126, 196, 206, 210, 217, 218
არჭეში 251
ასოღიკი, იხ. სტეფანოს ტარონეცი
ასურეთი, იხ. სირია
ასფურაგანი, იხ. ვასპურაკანი
აფშინი 47, 48, 50, 59, 143, 175, 176
აფციაური ჯ. 10
აფხაზები 18—20, 22, 33, 39, 44, 68, 73, 78, 83, 122, 180, 182, 216, 220, 221, 227—230, 251, 254
აფხაზეთი 39—41, 61, 62, 182, 216, 222, 271, 275
„აფხაზთა სამეფო" 8, 38—42, 44, 45, 179—182, 216, 222, 232
აღმოსავლეთი 14, 86, 100, 111, 112, 194, 204, 250
აღმოსავლეთი საქართველო 41, 48, 62, 74, 131, 140, 141, 156, 170, 182, 198, 215, 222—224, 226, 271
აღსართან II 164
აღუანქი, აღვანქი 161
აშოთია 13
აშოტი 12, 13, 50, 51, 94, 95, 223, 258, 260
აშოტ კურაპალატი 44, 45, 47, 55, 56, 139—141, 184, 194, 212—214
აშოტ კუხი 12, 13, 192
აშოტ I, სომხეთის მეფე 24, 51, 72, 73, 138, 143, 144, 171—173, 176, 183, 184, 187, 188, 190, 191, 195, 215, 216, 251—2
აშოტ II ერკათი 52, 62—64, 142—147, 149, 151, 152, 154, 156, 159, 172, 176, 198—201, 226, 231, 252
აშოტ III 245, 266
აპარიანი ჰ. 147
ახალდაბა 157
ახალქალაქი 272

ბაბაიანი ლ. 33, 95
ბაბეკი 49, 50, 137, 141
ბაგარატ ბაგრატუნი 50, 51
ბაგრატი 184
ბაგრატ I, კურაპალატი 12, 18, 19, 47, 57, 187, 193, 214, 215
ბაგრატ II რეგვეხი 66, 193, 194, 233, 239, 255
ბაგრატ III 17, 46, 56, 68, 71, 118, 164, 227, 233, 235—239, 241, 247—249, 253—259
ბაგრატ IV 17, 69, 72, 108, 119—126, 129, 210, 237, 241, 242, 247, 248, 257, 258, 261—264, 270—277
ბაგრატიდები 188, 209, 232
ბაგრატიონები 12, 13, 17, 45, 46, 132, 139—141, 193, 194, 198, 209, 212, 214, 235, 236, 240
ბაგრატუნები 12, 13, 18, 19, 31, 32, 51, 60, 61, 63, 73, 74, 93, 94, 96, 97, 122, 123, 125—127, 143, 153—156, 167, 171, 174, 176, 177, 179—181, 188, 193—195, 198—202, 206, 209, 210, 212, 214, 216—219, 222, 223, 226, 228—234, 236—239, 245, 252, 261, 263, 266, 273, 274
ბაგრატუნიანები 188
ბაგრევანდი 66
ბადი (ბაზი) 65
ბადრიძე შ. 189, 190
ბავაც ძორი 234
ბაკიხანოვი ა. 161
ბალაზური 175
ბალკანეთი 269
წმ. ბარბარე 166
ბარდავი 55—57, 68, 136, 140, 141, 162, 163, 212

ბარდა სკლიაროსი 65, 231, 246
ბარდა ფოკა 246, 254
ბართიკიანი ჰ. 78, 101, 208
ბასიანი 46, 110, 111
ბასილ I 78, 79, 125
ბასილ II ბულგართმმუსვრელი 37, 48, 80, 81, 89, 123—125, 231, 246—249, 251—255, 258—260, 263, 266, 267—269, 270
ბაღდადი 43, 141
ბაღდადელები 250
ბაღეში 52
ბაღვაშები 236, 238, 239, 253, 261, 262, 271—273, 275
ბაღი 109
ბევრელი 228
ბელი 227, 228
ბერი 227—229
ბერკრი 52, 251, 252
ბერძენიშვილი დ. 160
ბერძენიშვილი ნ. ბ. 40, 118, 143, 160, 180, 207, 211, 224, 263, 264, 267, 269, 274
ბერძნები 44, 87, 103, 144, 151, 162, 187, 193, 259, 271, 272
ბერძნიშვილი მ. 262
ბიზანტია 17, 26, 31, 35—37, 43—48, 50—54, 64, 65, 70, 75—85, 87...
ბიზანტიელები 45, 50—52, 70, 79, 83, 85, 90, 101, 102, 105, 113, 114, 116, 124, 125, 149, 174, 195, 204, 244, 246, 261, 263, 264, 266, 267, 268, 275
ბოგვერაძე ა. 140, 215
ბულგარეთი 249, 263, 268, 269
ბულგარელები 268
ბუღა თურქი 17, 47, 50, 51, 56—58, 136, 138, 142

გაბაშვილი ვ. 268
გაბრიელ III საფარელი 131
გაგი 108
გაგიკი 24, 52, 63, 113, 114, 250, 272, 273
გაგიკ I 17, 37, 56, 66—68, 167, 237, 239, 248, 249, 251, 253
გაგიკ II 121, 251, 263, 271
გავაზი 22
ვამირი, გიმირი 148, 157, 159, 160
გამირქი 148
გამრეკელები 158
გამრთა ქვეყანა 146—148, 150, 152, 156—160
განჯა, განძა 17, 48, 56, 67—69, 139, 164, 165, 167
გარდაბანელები 191
გევორქ (გეორგ) II 86, 143
გეღარქუნი (გელარქუნი) 50
გიგინეიშვილი ბ. 217
გიორგი მერჩულე 85, 140, 152, 163, 214, 243
გიორგი მთაწმინდელი 113, 114, 118, 127, 243, 276, 277
გიორგი მცირე 101, 103, 114, 127, 128, 243, 273, 276
გიორგი I 35, 48, 111, 241, 248, 251, 257—260, 267—269, 273
გიორგი II 271—273
გიორგი II (ლიხსიქეთის მეფე) 217, 218, 228—230
გიორგი III 120
გიორგი III ტაოელი, ქართველთა კათალიკოსი 131
წმ. გიორგი 159
გიუნაშვილი ე. 106, 217
გობრონი 9, 48
გოღთნი (გოლთნი) 204
გორი 33, 34, 225
გრიგოლ განმანათლებელი, გრიგოლ პართელი 16, 17, 91, 116, 125, 227
გრიგოლ ნაზიანზელი 106
გრიგოლ ხანძთელი 11, 76, 77, 115, 181, 214, 215, 243
გრიგორი 52, 93—95, 123, 125
გრიგორ II 116
გრუსე რ. 215
გუარანდუხტი, იხ. გურანდუხტი
გუარამ მამფალი 12, 17, 18, 47, 56—58, 173, 184, 190, 215, 216, 218, 219, 236
გუგარეთი, გუგარქი 144, 145, 173, 195, 219, 226, 237
გუგარელები 73, 144, 178
გურანდუხტი 271—274
გურგენი 13, 63, 64, 146—148, 151—161, 163, 183—185, 192, 195, 215, 231, 236, 239, 248, 249, 255, 259

გურგენის ზღვა (კასპიის ზღვა) 71
გურია 41, 205, 219—223, 226
გურჯები 164
გურჯიანი 165

დავით აღმაშენებელი 14, 16, 33, 34, 68, 111, 112, 129, 135, 174, 273, 241, 262, 264, 269, 277
დავით კურაპალატი 26, 46, 65, 66, 110, 111, 215, 227, 231—241, 244, 246—249, 251, 253—259, 263, 266
დავით სასუნელი 90
დავით უმიწაწყლო 67, 69, 108, 109
დავითი 13, 18, 32, 51, 95, 111, 112, 183, 184, 191, 193, 209
დაელიანიძე ლ. 25, 137
დარბინიან-მელიქიანი მ. 20, 33
დარიალი 73, 145, 170, 177, 178
დარუბანდი, დერბენდი 162, 168, 171, 177
დარჩიაშვილი შ. 272
დასავლეთი საქართველო 38—42, 44, 45, 59, 62, 73, 83, 115, 170, 181, 182, 219—222, 271
დასავლეთი სომხეთი 35, 231
დატოსი 33, 34
დაჩი 191, 192
დეილემელები 196
დელი 196
დემეტრე 108, 109, 270, 273
დერბენდი, იხ. დარუბანდი
დერჯანი 82
დვინი 52, 59, 68, 149, 150, 204, 252
დიარბექირი 65
დიდი ბრიტანეთი 174
დიდი სომხეთი, დიდი არმენია 27, 37, 73, 174, 175
დინარი 13, 17, 18, 22, 106, 110, 152, 153, 163
დოლიძე ი. 135
დოღლუბეგი 272
დრასხანაკერტი, იხ. ჰოვჰანეს დრასხანაკერტი

ებრაელები 75, 100
ეგვიპტე 44, 250, 268
ეგრის-აფხაზეთი 40, 188
ეგრისელები 144, 221
ეგრისი 20, 39—41, 62, 72, 73, 83, 146, 155, 178, 220—223
ევსტათი 104
ევფრატი 44, 52
ეზრა ანჩელი 267
ეკლეცი 69
ერემიანი ს. 189, 238
ესაი აბუ მუსა 58, 142, 143
ესაი ჰასან ჯალალიანცი 25
ესპანეთი 118
ექვთიმე (ეფთვიმი) გრძელი 71, 92, 107, 124
ექვთიმე მთაწმინდელი 106, 107, 243
ექვთიმე 166
ელია (ელია) I 98, 162, 163

ეალაშკერტი, ეალარშაკერტი 66, 110, 111, 124
ვანანდი 66, 113, 183, 185, 205, 233—235, 237, 239, 246—248, 25[illegible], 255, 258, 261, 264, 270, 272—274
ვარდანი 39, 109, 257, 260, 261
ვასაკი 49—51
ვასპურაკანი 23, 24, 52, 58, 63, 80, 88, 122, 123, 205, 206, 208, 210, 217, 218, 237, 250, 255, 263, 266
ვახტანგ გორგასალი 39
ვახუშტი 40, 41, 159, 276
ვაჰან I 88, 89, 91, 108, 113
ვიტერუხი 224
ვური 12, 219—226

ზაქარია 110, 124, 125
ზაქარია I 81
ზენონი 79
ზუგდიდი 224

თავრიზი 66
თამარ მეფე 18, 30, 269
თაყაიშვილი ე. 17, 47, 86, 189, 191, 213, 214, 224, 270, 271
თბილისი 8, 12, 47, 49, 55, 68, 76, 170, 173, 177, 178, 204, 205, 236, 271
თეოდოსი 34
თეოფანეს გამგრძელებელი 150
თეოფილე 50
თომა არწრუნი 22, 23, 24, 58, 59, 63, 142, 143, 169

თორგომი (იგივე თარგამოსი) 72, 84
თორი 157
თოფურია პ. 65, 67, 69, 164
თრდატ III 116, 126
თრიალეთი 215
თურქები 158, 227
თურქესტანი 196
თურქ-სელჩუკები 4—6, 29, 36, 54, 114, 120, 128, 134, 136, 175. 242, 244, 261, 262, 264, 277

იასე ქიტიაშვილი 166
იაფეტი 3
იბერია, იერია 118, 125, 170, 222, 251, 276
იბნ ალ-ასირი 81
იემენი 196
იერემია 121
იესო ქრისტე 85, 86, 99, 105, 209, 210
ივანე აბაზას-ძე 69
ივერია, იხ. იბერია
იმერეთი 41, 205
ინგოროყვა პ. 45, 57, 147, 181, 192, 213
ინგუშეთი 86
ინდოეთი 216
იოანე ზოსიმე 243
იოანე დრასხანაკერტელი, იოანე კათალიკოსი, იხ. ჰოვჰანეს დრასხანაკერტცი
იოანე კურკუასი 52, 148, 151, 156
იოანე მთაწმინდელი 118
იოანე საბანისძე 97, 98
იოანე ციმისხი 245
იოვანე ქუაბულის ძე 191
იოვანე 137, 138, 140, 141, 143
იოვანესიკე, იხ. ჰოვჰანეს-სმბატი
ირანელები, იხ. სპარსელები
ირანი 44, 48, 49, 75, 79, 87, 121, 134
ისე 190
ისმაილი 94
ისმაიტელები 77, 99
ისრაელი 32
იუდა 214
იუზბაშიანი კ. 35
იუსტინიანე I 103
იუსუფი 48, 50, 59. 61, 62,
იშხანი 86
იშხანიკი 22, 152, 153
იხშიდი 250

კავკასია 3—5, 11, 14, 21, 23, 25, 27, 29, 31, 37—39, 44, 53, 54, 71—75, 77, 86, 87..,
კავკასიონი 73, 227
კაისიკები 251, 252
კაკი 166
კალანკატვაცი, იხ. მოვსეს კალანკატვაცი
კალმახი 184
კაპადოკია 147, 148
კარი (ყარსი) 183, 185, 227, 229, 268
კარნუ ქალაქი 73, 178
კასია 104
კასპიის კარი 24, 162
კატა 273
კახეთი 8, 47, 67, 143, 145, 147, 151, 154, 164, 177, 191, 218
კახეთ-ჰერეთი 68, 69, 164, 230, 242
კახელები 22, 69, 164, 230
კედრენე 37, 174, 251, 259, 275
კეკელიძე კ. 10, 14, 31, 92, 107, 127, 130, 135, 161, 166, 276
კესარია 104
კეშაღმაძე ნ. 102
კვირიკე 22, 69, 72, 230
კვირიკიანები 69, 167, 236, 237, 258, 261, 274
კილიკია 87, 88
კმერიელები 157, 158, 160
კირაკოს განძაკეცი 16, 80, 126
კირაკოსი 90
კირიონი, კირონი 30
კლარჯეთი 61, 73, 76, 178
კლისურა 254
კოლა-არტაანი 226
კონსტანტი კახა 59
კონსტანტინე 20—22, 33, 178, 195, 197, 217, 219—223, 225, 226
კონსტანტინე დიდი 79
კონსტანტინე პორფიროგენეტი 46, 51, 79, 80, 136, 174, 200, 251, 252
კონსტანტინე VIII 90
კონსტანტინე X 113, 251
კონსტანტინოპოლი 62, 64, 78, 79, 82, 84, 89, 108. 112, 113, 115. 121, 124, 149, 221, 262, 263, 266, 269, 271—276
კოპალიანი ვ. 65, 66, 245, 270
კორი 252

კორტანეთი 157
კონსტანტი, იხ. კონსტანტინე
კრეტა 84, 85
კვრილე დონაური 166
კუცია კ. 25

ლაზები 33, 39
ლასტივერცი, იხ. ანასტაკეს ლასტივერცი
ლეკები 3, 117
ლეო (არაქელ ბაბახანიანი) 90, 147
ლეონ I 79
ლეონ VI 52
ლეონი 254
ლეონტი მროველი 3, 4, 12, 117—119, 125—133, 159, 160, 224
ლიპარიტი 69, 120, 261, 262, 264, 271—273, 275
ლიხაური 41
ლიხეთი 41
ლიხთ-იქითნი 40
ლიხი 40, 41, 221, 226, 272
ლიხნი 41
ლიხსიქეთი 8, 18—22, 33, 38, 40—42, 44—47, 60, 62, 64, 73, 83, 112, 113, 146, 155—157, 177—181, 184, 195, 197, 210, 216—223, 225, 226, 228—230, 232, 235—238, 242, 253
ლოლაშვილი ი. 72
ლორთქიფანიძე მ. 40, 188, 192, 209, 254, 264

მათეოს ურჰაეცი 35, 102, 116, 167, 240, 257, 268, 270
მაისურაძე ი. 158
მაკედონია 80
მამიკონიანები 94, 96, 97
მამლან მუჰამედი 66, 240
მანასკერტი 65, 66. 102, 110, 251, 252
მანგლისი 75
მანძიკიერტი, იხ. მანასკერტი
მარემი, იხ. მარიამი
მარვანი 65
მარვანიდები 65
მარი ნ. 107
მარიამი 3, 122—126, 129, 209, 210, 272, 273
მარკოსი 104
მარმაშენი 71, 92, 107, 108, 122, 123
მარქვარტი ი, 148
მასუდი 155, 230, 242
მაღალაშვილი ლ. 135, 161, 166
მაღრიბი 196
მაჰმედი 98
მგლინავი 184
მეგრელები 182
მელიქიშვილი გ. 46, 130, 224, 236, 240, 254
მელიქსეთ-ბეგი ლ. 26, 91, 111
მელქისედეკ I 84, 86, 87
მენაბდე ლ. 86, 110
მესროპ-მაშტოცი 11
მესროპ ხუცესი (ვაიოცძორეცი) 74
მესხები 40
მთიულები 56, 58, 215
მიქელ-გობრონი, იხ. გობრონი
მიხეილ კერულარიოსი 115
მიხეილ IV 90
მკრტუმიანი გ. 189
მოვსეს კალანკატვაცი (კალანკატვაცი) 6, 24, 25, 49, 117, 136—138, 140, 143, 162, 163
მოვსეს ხორენაცი 8, 11, 19, 72, 74, 161, 162, 228
მონღოლები 31
მოსე 30, 145, 146, 154
მოსე ხონელი 118
მოსკოვი 226
მტკვარი 136, 137, 143, 144, 146, 153, 155, 164, 165, 167, 178, 184, 227
მუთავაქილი 50, 51
მუთასიმი 50, 137
მუსა იბნ ზურარა 50
მუსხელიშვილი დ. 13, 71, 141, 148, 153—156, 162, 172, 214, 215, 241, 257, 259
მუშეღი (მუშელი) 94, 145, 233—235
მუჰამედი 47, 100
მუჰამედ იბნ აბუ-საჯ აფშინი, იხ. აფშინი
მცირე აზია 261
მცირე სომხეთი 27, 174
მცხეთა 12, 75, 76, 86, 87, 110, 180, 181, 229
მხითარ გოში 16, 28—30, 206

ნასერ ხოსროუ 196
ნასრა 18, 19, 184, 216, 218, 219, 236

ნაჭარმაგევი 135
ნებროთი 228
ნერსე 97
ნერსესი 163
ნერსეს ლამბრონაცი, 87, 88
ნესტან-დარეჯანი 160
ნიკე 80
ნიკოლოზ მესარიტი 104
ნიკოლოზ მისტიკოსი 64, 65, 77, 81—85, 112
ნიკოფსია 168
ნილოსი 196
წმ. ნინო 162
ნოე 3
ნუბია 196

ოვსები, იხ. ოსები
ოვსეთი, იხ. ოსეთი
ომარ II 99
ორბელი ი, 206
ოროზ-მოროზი 212, 213
ორპობი 22
ოსები 24, 49, 112, 113, 165, 229, 230
ოსეთი 56, 230
ოსმალები 227, 266
ოშკი 111
ოჩამჩირე 224
ოჩიაური თ. 160

პალესტინა 14
პაპუაშვილი თ. 135, 139, 162, 164, 261
პარიზი 275
პაჭლაეულები 116, 125, 126
პეეტერსი პ. 28, 29
პეტრე ლაგაძე 166
პეტროს I გეტადარძი 35, 81, 89, 93, 123, 260, 263, 267
პეჩი გ. 3
პონტო 27
პოლოს ტარონეცი 105

ჟორდანია თ. 136
ჟუზე პ. 218

რავადიდები 66
რანელები 69, 139, 164
რანი 136, 139
რატი 253
რაჭა 41
რომაელები 79, 84, 148, 151, 200, 251, 252, 266, 268, 269
რომან დიოგენი 102
რომანოსი 52, 151, 250
რომი 27, 102, 115, 266, 276
რუსი 3, 131, 271
რუმი 196
რუსეთი 227, 266
რუსთაველი, იხ. შოთა რუსთაველი

საბა მტბევარი 267
საბერძნეთი 14, 101, 121, 271, 272
სავანე 158
საკურეთი, იხ. სკვირეთი
სამარა 50, 51, 57, 137
სამოელ დონაური 191, 192
სამოელი 97
სამშვილდე 152, 223, 236, 258, 261, 274
სამცხე 62
სამცხე-ჯავახეთი 48
სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 44, 45, 55, 56, 76, 131, 198, 215
სამხრეთი საქართველო 62, 131, 147, 151, 157, 158, 224, 226, 271—273
სამხრეთი სომხეთი 92
სარგისი 123
სარდური II 224
სარკინოზები 9, 44, 52, 57, 77, 80, 84, 202, 215
სარმატები 227
სარჯველაძე ზ. 131
სასანიდები 75, 79, 134
სასუნი 95
საქართველო 3, 5—12, 14, 16—18, 20, 23—25, 27, 29, 31, 32, 34—39, 41, 43, 45—49, 53, 54, 56, 61, 62...
საჯიანები, საჯიდები 9, 12, 47, 48, 59—62, 64, 65, 83, 86, 108, 126, 143, 145, 169, 175, 194, 196—199, 201, 202, 205, 209, 226
საპაკ III ძორაფორეცი 98—100
საპაკი 64, 145, 151, 154, 155
საჰლ სმბატის ძე 136—141, 143
სებასტია 104
სევადა 49, 64
სევანი 190, 215

სევორდიელები 145
სელჩუკები, იხ. თურქ-სელჩუკები
სემი 3
სენექერიმი, სენაქერიმი 122, 210
სვანები 182
სვანეთი 42
სვიმეონწმინდა 103
სიენიეთი, იხ. სიუნიქი
სილაგაძე ბ. 218
სილოგავა ვ. 158
სინას მთა 85
სირია 14, 53, 75, 103, 171
სიუნიქი, სისაკანი 49, 50, 145, 205, 237
სკვითები 157
სკვირეთი 238
სკილიცა 37, 174, 251, 259, 275
სლავთა ქვეყანა 196
სმბატი 32, 51, 57, 58, 272
სმბატ I 9, 12, 20, 21, 33, 59—62, 73, 145, 175—178, 183—187, 189, 192—202, 205, 209, 219—221, 223, 225, 226, 231, 252
სმბატ II 233—238, 254
სოლომონი 59
სოლუნი 104
სომხები 3, 9—11, 13—21, 26—28, 30—38, 48, 50—52, 55, 56, 59—61...
სომხეთი 5—9, 11—13, 16, 17, 19—29, 31, 32, 34—38, 43, 45, 47—54, 57—62,..
სომხითი 9, 71, 135, 174, 233, 237
სოსთენი 92, 107, 108, 121, 123
სპანია, იხ. ესპანეთი
სპარსეთი, იხ. ირანი
სპარსელები 59, 79, 104, 160, 161
სტეფანე მტბევარი 9—14, 31, 61, 62, 126—128, 243
სტეფანოს III 88
სტეფანოს ორბელიანი 164, 195, 196
სტეფანოს ტარონეცი (ასოღიკი) 25, 26, 37, 39, 60, 62, 66, 67, 88, 91, 104, 108—110, 149, 208, 211, 218, 226—229, 233—241, 255, 257
სულხან-საბა 107, 159, 213
სუმბატ დავითის ძე 7, 17, 19, 47, 55, 71, 125, 140, 152, 184, 185, 187, 189, 191—193, 212—214, 249, 257, 259, 271
სუმბატი 188, 193, 220, 252
სურამის ქედი 222

ტავუში 146
ტაო 59, 76, 184, 197, 218, 233, 235, 263
ტაო-კლარჯეთი 11, 17, 76, 205, 227, 265
ტარონი 51—53, 212, 245, 246, 263, 266
ტაშირი 109, 215
ტაშირ-ძორაგეტი 67, 69, 72, 108, 109, 167, 205, 236, 237, 258, 261, 272, 274
ტბეთი 11—13
ტბელები 217, 218
ტერ-დავთიანი კ. 81
ტერ-ღევონდიანი ა. 81, 95
ტფილისი, იხ. თბილისი
ტყობა-ერდი 86

უდები 136
უთმანიკები 252
ურდურე 230
ურთა 224
ური 224, 225
ურიები, იხ. ებრაელები
ურიეიუ//ურაია 224
ურჰაეცი, იხ. მათეოს ურჰაეცი
უტი, უტიქი 144—148, 150—156, 159, 161, 231
უტიელები 136, 144—146
უფლისციხე 33, 34, 217, 219—222, 225, 226
უხტანესი 15, 16, 26—32, 89, 111

ფადლონი 56, 67—69, 167
ფავსტოს ბუზანდი 74
ფარისოსი 205
ფატიმიდები 268
ფატმანი 160
ფიდრაზი 230
ფილიპე 80
ფოტიოსი 78, 81, 82
ფსევდო-არსენი, იხ. არსენ ბერი
ფსევდო-შაპუჰ ბაგრატუნი 32—34, 39, 225, 226

ქამარზა 158
ქამი 3
ქამრასორი 158
ქამრისი 158
ქართები 40, 182
ქართველები 3, 9, 10, 14—16, 20, 21, 24, 26—30, 38, 39, 45—49, 55, 56, 59, 60, 62...
ქართველთა ველი (ვრაც დაშტი) 258
„ქართველთა სამეფო", „ქართველთა საკურაპალატო" 8, 18, 19, 44, 46, 47, 55, 60, 61, 108, 181, 183, 186, 187, 189—196, 198—202, 212—214, 216, 240
ქართლელები 18
ქართლი 8, 12, 18, 20, 40, 41, 44, 45, 55, 76, 85, 86, 97, 122, 125, 131, 132, 135, 137, 138, 140, 141, 156, 163, 172—174, 176—181, 198, 204, 205, 208, 214, 216, 217, 222, 226, 229, 235, 240, 253, 270—273, 276
ქართლ-კახეთი 48
ქვემო ქართლი 12, 13, 69, 109, 152, 173, 174, 177, 218, 219, 226, 231, 236—238, 257, 258
ქიმერეთი 157
ქიმერიძე 157
ქრისტე, იხ. იესო ქრისტე
ქუთათისი, ქუთაისი 39, 40, 182, 221, 271
ქურმუხი 166

ლევონდი (ლევონდი) 93—99
ლრტილა 71, 92, 107, 121, 124, 272

უაბალა 166
უარაბაღი 58, 142
უარსი 66, 113, 114, 185, 227, 229, 234, 237, 246—248, 254, 255, 258, 261, 264, 268, 272—274; იხ. აგრეთვე კარი
უაუხჩიშვილი ს. 37, 252
უველის ციხე 62

შადადიანები 67, 69, 120, 164, 167
შავი ზღვა 44, 73, 242
შავი მთა 103
შაკშეთი 184
შაპუჰი 138
შარვანი, იხ. შირვანი
შატიკი 233, 234
შაქი 137, 164, 166
შაქელები 164
შაქ-შირვანი 166
შეხი 190
შიგა საქართველო 39
შიდა ქართლი 131
შილაკაძე ი. 225
შირაკი 212, 232, 234, 238
შირვანი 71, 136, 161, 165
შოთა რუსთაველი 8, 118, 160, 170
შოშიაშვილი ნ. 229
შუა აზია 44
შუამდინარეთი 52, 53, 171

ჩინეთი 87
ჩრდილო კავკასია 11, 45, 48, 49, 86, 113, 115, 117, 177, 218, 229—231, 242
ჩხიკუთა 159

ცაგარეიშვილი ე. 11, 20, 23, 33, 35, 63, 64, 143, 147, 149, 150, 188, 189, 197, 206, 217, 219—221, 223, 225, 232, 238, 248, 249, 255, 260
ცინცაძე მ. 197, 242
ცლიკი, იხ. ამრამი
ცქირი 76
ცხავატი 56
ცხრაზმისხევი 229

ძორაკერტი 68

წათები 26, 91
წანარები 23, 24, 58, 73, 96, 142, 143, 145, 151, 178
წერეთელი გ. 136
წულაია გ. 240

ჭალეთი 165, 166
ჭალისუბანი 229
ჭენთა ქვეყანა 39
ჭილაძე ო. 41

ხაზარები 43, 45, 49, 170
ხაზარეთი 254
ხალიდ იაზიდის ძე 47
ხარანი 98

ხაჩიკ I 110, 208
ხინთიბიძე ე. 107
ხლათი 52, 66, 204, 251
ხონელია რ. 176—182, 216, 222, 232, 235
ხორენაცი, იხ. მოვსეს ხორენაცი
ხოსროვი 126
ხუარასანი (ხორასანი) 272
ხუფათი 271

ჯავახეთი 71, 215
ჯავახიშვილი ივ. 8, 10, 20, 118, 179, 187, 188, 231
ჯაზირა 171
ჯალალ ად-დინი 31
ჯანაშვილი მ. 135, 161, 166
ჯანაშია ს. 76, 132, 133, 147, 148, 184, 185
ჯაფარი 69
ჯიქეთი 71
ჯიქია ს. 158, 224
ჯუანშერი 76, 254
ჯურზანი, ჯურზია 164, 242

ბაბაში 196
ბადიში 189
ბაიკი 228
ბამამი 86, 143
ბამდანიდები 53
ბარუნ არ-რაშიდი 43
ბარქი 65, 92, 252
ბასანი 60
ბერაკლე 124
ბერები 135, 164
ბერეთი 13, 17, 18, 21, 22, 30. 67, 106, 110, 131, 135, 136, 139, 152—155, 163, 164, 193, 229, 231
ბოვბანეს დრასხანაკერტელი 11. 12. 19—23, 37, 39, 52, 59—65. 72, 73, 77. 78, 81—87, 108, 154—159, 161, 169. 175—179, 182—191, 194—202, 205. 208, 217, 219—226, 238, 275
ბოვბანესი 110, 210
ბოვბანეს III ოძნელი 99, 100
ბოვბანეს-სმბატი 37, 89, 119, 247, 251. 258—260, 266
ბორომები, იხ. რომაელები
ბური 12, 224

Аристакэс Ластивертци 35
Ахмад ибн А'сам ал-Куфи 137, 171

Бакиханов А. 161
Баладзори 175, 218
Беляев Е. А. 75, 175
Босфорт К. Э. 65
Буниятов З. М. 136—139, 141, 162

Васильев А. А. 171
Вейсман А. Д. 213

Гамбашидзе Г. Г. 86
Гельцер Г. 250

Диль Ш. 102, 103, 250, 262, 269

Еремян С. Т. 172, 206, 237, 272, 273

Жузе П. К. 175

Каджан А. П. 104, 149

Ломоури Н. Ю. 108
Лордкипанидзе М. Д. 254

Мамедов Т. М. 75, 162
Манандян Я. А. 89, 141, 171
Марр Н. Я. 66, 91, 117
Медведев И. П. 254, 269
Мец А. 93
Минорский В. Ф. 5, 58, 136, 155, 165, 175, 177, 230, 242
Мкртумян Г. Г. 172, 189, 261, 272, 274
Мнацаканян А. Ш. 153
Мовсес Каланкатуаци 25, 162
Мурадян П. М. 34, 220
Мусхелишвили Д. Л. 135, 139, 164

Новосельцев А. П. 43

Орбели И. А. 206

Пайчадзе Г. Г. 18
Псевдо-Шапух Багратуни 20, 33

Степаненко В. П. 247

Тер-Гевондян А. Н. 75, 100, 170, 206
Тер-Григорьян Т. И. 58, 142

Хонелия Р. А. 179, 195, 216, 222, 232, 237

Шарифли М. Х. 48, 66, 141, 164, 165

Юзбашян К. Н. 102, 105, 129, 250, 259, 260, 265

Baynes N. H. 84

Der Nersession S. 102, 172,
Dowsett C. J. F. 8

Grègoire H. 87
Grousset R. 82, 101, 162, 216, 219, 231, 241, 257

Holt P. M. 8
Hönigmann E. 218, 268

Lewis B. 8

Marquart J. 148
Moss H. St. L. B. 84
Muyldermans J. 8

Pätsch G. 3

Runciman S. 115

Toumanoff C. 114, 174, 206, 257

Vasiliev A. A. 84

Աբրահամյան Ա. 112
Աղոնց Ն. 44, 187, 189
Ալպոյաճեան Ա. 104, 242
Անառյան Հ. 147, 213, 225
Արիստակես Լաստիվերտցի (Լաստիվերցի) 35, 36, 92, 121

Բաբայան Լ. 20, 23, 25, 26, 28, 30, 33, 59, 95, 101, 169, 208, 210
Բարբիկյան Հ. 104

Գարեգին Ա. Կարողիկոս 272, 273
Գրիգորյան Գ. 170, 205, 245
Դևորգյան Վ. 36

Դարբինյան-Մելիքյան Մ. 20

Երեմյան Ս. 187, 189, 224, 238

Թովմա Արծրունի 23, 24, 58, 59, 63, 142, 169, 170, 208

Լեո 89, 90, 100, 102, 105, 147, 167, 170, 172, 206, 210, 212, 227, 231

Կիրակոս Գանձակեցի 81, 126
Հակոբյան Թ. 65

Հակոբյան Հ. 161
Հարությունյան Հ. 57
Հովհաննիսյան Ա. 78, 88, 91, 105, 116, 175

Ղափաղարյան Կ. 272
Ղևոնդ 93—95, 98

Մաթևոսյան Ռ. 161, 164, 167, 206, 237, 261, 274
Մալխասեանց Ստ. 213, 225
Մատթէոս Ուռհայեցի 101, 103, 104, 116, 240, 245, 268, 270
Մելիքսեթ-Բեկ Լ. 92
Մովսես Կաղանկատուացի 24, 137, 142, 143, 162, 163
Մուրադյան Գ. 110

Յովհան Դրասխանակերտցի 147, 219, 223
Յուզբաշյան Կ. 37, 138, 174

Պողարեան Ն. 39, 166

Ստեփաննոս Օրբելեան 154, 195
Ստեփանոս Տարօնեցի 25, 26, 37, 60, 62, 65—67, 87, 89, 91, 92, 101, 109, 110, 112, 149, 150, 211, 227, 234, 237, 238, 240, 248, 249, 253, 255, 258

Վարդան 39, 110
Վարդանյան Վ. 23, 172, 206, 217, 250

Տեր-Ղևոնդյան Ա. 68, 93, 171, 172, 177, 204, 212, 252
Տեր-Մկրտչյան Գ. 91
Տեղ-պետրոսյան Լ. 191

Սվխասանէս 27

Օրմանեան Մ. 116

შინაარსი

შესავალი 3

თ ა ვ ი I. პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში IX—XI საუკუნეებში 43

თ ა ვ ი II. ქართველი, სომეხი და ალვანელი ხალხების ერთობლივი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ IX—XI საუკუნეებში . . 55

თ ა ვ ი III. ლტოლვა ამიერკავკასიის ერთიანობისაკენ და მისი იდეოლოგიური წანამძღვრები IX—XI საუკუნეებში 71

თ ა ვ ი IV. ალვანეთი IX—XI საუკუნეებში და მისი ურთიერთობა საქართველოსთან და სომხეთთან 134

თ ა ვ ი V. სომხეთი IX—XI საუკუნეებში და მისი ადგილი ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში 169

თ ა ვ ი VI. ქართული სამეფო-სამთავროების, საქართველოს წვლილი ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში IX—XI საუკუნეებში . . 212

თ ა ვ ი VII. ბიზანტია-საქართველო-სომხეთის ურთიერთობები X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის პირველ ნახევარში 244

Взаимоотношения политических образований Закавказья в IX—XI веках (Резюме) 278

პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკურ სახელთა საძიებელი 282

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3762

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
მხატვარი ნ. გაბუნია
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ე. ბოკერია
კორექტორი მ. მახარაძე
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 28.VIII.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.I.1988;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 18.3;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16.2;
პირობითი საღებავგატარება 18.6;
უე 00556; ტირაჟი 3000; შეკვეთა № 2918;
ფასი 3 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19